LA BRUYÈRE

•

LES CARACTÈRES OU LES MŒURS DE CE SIÈCLE

•

PARIS

ჟან
დე ლა ბრუიერი

•

სასიათები

ანუ

ჩვენი საუკუნის ფნე-ჩვეულებანი

•

ნაკადული თბილისი · 1978

9(4)
9(44) + 17(44) (09)
ბ 94

ჟან დე ლა ბრუიერი XVII საუკუნის მორალისტური ლიტერატურის უდიდესი წარმომადგენელია. მის ერთადერთ ნაწარმოებში „ხასიათები ანუ ჩვენი საუკუნის ზნე-ჩვეულებანი" აფორიზმებისა თუ მაქსიმების ფორმით აღწერილი და სხილებულია ლუი XIV-ს სამეფო კარისა და იმდროინდელი საზოგადოების ყველა ფენის მანკიერება.

წინამდებარე თხზულება პირველად ითარგმნა ქართულ ენაზე. თარგმანი შესრულებულია 1839 წლის პარიზული გამოცემის მიხედვით.

ფრანგულიდან თარგმნა
რუსუდან დოდაშვილმა

პირველი გამოცემა

© ქართული თარგმანი, 1978

Б $\frac{70803-74}{М-603(08)-78}$ — 124 — 77

ჟან დე ლა ბრუიერის „ხასიათები ანუ ჩვენი საუკუნის ზნე-ჩვეულებანი“.

იყო კაცი ამაოებათა ამაოებას განდგომილი; კაცი პატიოსანი და უანგარო, ამაღლებული და სპეტაკი, უსიყვარულოდ და უმეგობროდ რომ განუვლია გზა ცხოვრებისა. თავი მდიდარი, შთაგონებული შინაგანი არსებობის ჩრდილისთვის შეუფარებია და ირგვლივ მყოფთ, გალაღებულთა და აღზევებულთ ვერ უგრძვნიათ, რა პატივი ღირსებიათ მისი ნაცნობობისა და მისი გვერდით ყოფნის შედეგად. ვერ შეუნიშნავთ მის შუბლზე ციაგი წმიდანისა და, როს განუტევა სული, თვით ბრიყვნიც კი მიხვდნენ, რომ მათგან წავიდა ზეგარდმო ნიჭით მომადლებული, რჩეული პიროვნება. მიხვდნენ, მაგრამ გვიანღა იყო, ვეღარ შეაკოწიწეს დეტალები მისი ყოველდღიური ცხოვრებისა, საგონებელში ჩავარდნენ ბიოგრაფოსნი მისნი. ამის გამო ცნობილი ფრანგი ლიტერატურის მცოდნე და კრიტიკოსი სენტ-ბევი წერდა: საუკუნის სხივთა ათინათი აცისკროვნებდა წიგნის („ხასიათები“ — რ. დ.) ყოველ გვერდს, ხოლო იმ კაცს (ლა ბრუიერს — რ. დ.), ვისაც ეს წიგნი გადაშლილი ეპყრა ხელთ, პირისახე დამალული ჰქონდაო.

თუმცა რა, საუკუნე გალაღებული იყო უდიდესი პიროვნებების, სახელმოხვეჭილი მწერლების სიმრავლით, და კაცი თავად თუ არ მოინდომებდა თავის გამოჩენას, თუ მოკრძალებით განზე გადგებოდა, პირად ცხოვრებაში ბედს ვერასოდეს ეწეოდა. ლა ბრუიერს კარგად შეუნიშნავს ეს: „აღზევებული ადამიანის მხრივ წმინდა წყლის თვალთმაქცობაა, თუ მაშინვე არ დაიკავებს მისთვის განკუთვნილ ადგილს, რასაც ყველა უთმობს. არაფერი უჯდება, იყოს მოკრძალებული, გაერიოს ბრბოში, რომელიც მისი გამოჩენისას აქეთ-იქით იხევს; თავყრილობაზე სადღაც მიიკუჭოს, რათა ყველამ თვალი მოჰკრას და კისრისტეხით მოირბინოს, აქაოდა სად დაბრძანებულხართო და სათანადო ადგილი მიუჩინოს. მოკრძალება მძიმე ტვირთია უბრალო მოხელისთვის. გაერევა ბრბოში და იქნებ გაჰყლიტონ კიდეც. აირჩევს მოუხერხებელ ადგილს და იქვე დატოვებენ“.

უყვარდა და არ ამქღავნებდა, გული უთრთოდა და ფარავდა, ებრალებოდა და დუმდა, უპირდა და არაფერს ითხოვდა. ირგვლივ კი ცხოვრება დუღდა და გადმოდიოდა. ლუი XIV-ს კარი ბრწყინავდა და კაშკაშებდა, ძლიერნი ამა სოფლისანი, ამპარტავანნი და და გოროზნი, თაყვანისცემას ითხოვდნენ და მოწყალებას არ აკლებდნენ მლიქვნელებსა და მაამებლებს, რომელთა ნიჭი და უნარი ჰკლებია ჟან დე ლა ბრუიერს, XVII საუკუნის ფრანგ მორალისტთა სახელოვან წარმომადგენელს.

მორალისტური ლიტერატურის სათავეები ანტიკურ ხანაში უნდა ვეძიოთ. საფრანგეთში კი XVI საუკუნის მეორე ნახევარში განვითარდა ათასგვარი ზნეობრივი სენტენციების სახით და როგორც აფორისტული ჟანრი ჩამოყალიბდა ლაროშფუკოს, პასკალისა და ლა ბრუიერის შემოქმედებაში. მერედა, როგორ მიესადაგა აფორიზმები და მაქსიმები ლა ბრუიერის ხასიათსა და შინაგან განწყობილებას! სწავლული იყო და განმარტოება უყვარდა; დაკვირვება, ფიქრი, ანალიზი. ადამიანი იყო და ადამიანებთან ურთიერთობასაც არ გაურბოდა, არც გართობას არიდებდა თავს. საზოგადოებაში გარეულს მრავალსიტყვაობა არ სჩვეოდა, და არც კალამს ატანდა ძალას და აზრებს თვისას თხზულებათა მრავალ ტომებში არ აფრქვევდა. წერდა მხოლოდ იმისთვის, რომ ეთქვა ის, რასაც განიცდიდა. სხარტი იყო მისი გამონათქვამი, ზუსტი და პირდაპირი. ხან აფორიზმებით მიმართავდა მკითხველს, ხან დიალოგებით, ხან შეძახილით; ხან პორტრეტს მოხაზავდა, ხან პატარა ნოველას ჩაურთავდა, ხან ძველთა აზრებს მოიშველიებდა, ხან დინჯად მოჰყვებოდა ამბავს და სახტად დაგტოვებდათ მოულოდნელი დასასრულით, პარადოქსებით. ყოველივეს კი ახლდა გულისტკივილი კეთილი ადამიანისა, რომელსაც ცხოვრების უკეთესობა აიძულებს, გახდეს დამცინავი, გამკილავი და ხანდახან ენამწარეც.

XVII საუკუნე კლასიცისტური ლიტერატურის ეპოქაა. ეპოქა კორნელის, რასინის, მოლიერის... და თუ მის გვერდით არსებობდა მორალისტური ლიტერატურა, ამას უთუოდ თავისი საფუძველიც ჰქონდა. მორალისტური ლიტერატურის აფორისტული ჟანრი სწორედაც აკმაყოფილებს კლასიციზმის მოთხოვნილებებს; აფორიზმი, მაქსიმი არსებობს წარსულისა და მომავალთან კავშირის გარეშე. იგი მოთავსებულია ჩარჩოში, სადაც დრო თითქოს არ იძვრის და არ მიჰყვება საერთო დინებას. ეს მომენტი ემთხვევა კლასიცისტური ტრაგედიისთვის დამახასიათებელ დროის ერთიანობას და მასთან ერთად გადმოსცემს მარადიულ, ურყევ ესთეტურსა თუ მორალურ დებულებებს.

კლასიცისტური ლიტერატურის მსგავსად, ფორმის მხრივ აფორიზმიც ჩამოყალიბებულია მკაცრი, მხატვრული პრინციპების

დაცვით, აფორიზმის ფორმა დახვეწილია, სხარტი, მოქნილი, მაღალი ოსტატობით შესრულებული.

XVII საუკუნის ლიტერატურის ყოველ ეანრში პირველი ადგილი განკუთვნილი აქვს ზნეობის საკითხებს, მაგრამ საკუთრივ მორალისტებს უწოდებენ იმ მწერლებს, რომელთა შემოქმედებაში ზნე-ჩვეულებები იყო ერთადერთი სიუჟეტი. ფრანგ მორალისტებად ითვლებოდნენ კოეფეტო, სენო, ლემუანი, შევალიე, დე მერე, აბატი ესპრი და სხვ. მათ შორის ვერც ერთმა ვერ მიაღწია იმ მწვერვალებამდე, სადაც ამაღლდნენ ლაროფშუკო, პასკალი და ლა ბრუიერი.

ეან დე ლა ბრუიერის დაბადების წელი მტკიცედ დადგენილი არ არის. ერთნი ამბობენ, რომ იგი დაიბადა სენ-ე-უაზის დეპარტამენტის ქალაქ დურდანის მახლობლად მდებარე სოფელში 1639 წელს. მეორენი კი მის დაბადების თარიღად 1644 წელს მიიჩნევენ, ხოლო დაბადების ადგილად პარიზის უბანს, სიტეს. მამამისს, პარიზის მუნიციპალიტეტში რენტის მთავარ კონტროლიორად უმუშავია. ეან დე ლა ბრუიერმა დაახლოებით 1665 წელს ორლეანის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა. 1673 წელს კანის ოლქის საფინანსო ბიუროში მთავარი ხაზინადრის თანამდებობა შეისყიდა. ეს თანამდებობა ლა ბრუიერისთვის ერთგვარი სინეკურა იყო, რაც საშუალებას უქმნიდა, ეცხოვრა პარიზში, განმარტოებულიყო სამუშაო ოთახში და ეარსება ისე, ვით ფილოსოფოსს შეეფერებოდა. მისი თანამედროვე, ბერი ბონავანტურ დ'არგონი იგონებდა, რომ ლა ბრუიერის ოთახი სხვენზე იყო მოთავსებული, მას შუაზე ფარდა ჰყოფდა. „ქარი, ფილოსოფოსის კეთილი მსახური, მომსვლელს ფარდას გადაუწევდა და დაანახვებდა მომღიმარე ფილოსოფოსს, მეტად კმაყოფილს“, რაკი შეეძლო წიგნებში ჩაფლულს, პლატონის შრომების კითხვით გართულს, შეეცნო ჭეშმარიტება, მეტი შუქი მოეფინა თავისი გონებისთვის და გამხდარიყო იმაზე უკეთესი, ვიდრე იყო. იგი გართობას არ გაურბოდა და არც ეძებდა. როგორც ჭეშმარიტ ფილოსოფოსს შეეფერებოდა, ისწრაფოდა, ეცხოვრა მშვიდად მეგობრებსა და წიგნებს შორის; იცოდა, როგორ შეერჩია ერთიცა და მეორეც. თავაზიანი იყო, მორიდებული, მოკლებული პატივმოყვარულ მისწრაფებებს. საუბარი მისი დიდი სიბრძნით გაშოირჩეოდა, მაგრამ ამით თავს როდი იწონებდა.

1684 წელს სახელგანთქმული მწერლის, საეკლესიო მოღვაწისა და ორატორის, ბოსუეს რეკომენდაციით ეან დე ლა ბრუიერი დიდი მთავრის კონდეს შვილიშვილის, 16 წლის დიუკ დე ბურბონის აღმზრდელად დანიშნეს. ორი წლის განმავლობაში ლა ბრუიერი უფლისწულს ასწავლიდა ისტორიას, გეოგრაფიასა და საფრანგეთის მმართველობის სისტემას. როცა დიუკ დე ბურბონს

მასწავლებელი აღარ დასჭირდა, დიდმა კონდემ ლა ბრუიერს კარისკაცობა უბოძა, ათასი ეკიუ პენსია დაუნიშნა და ბიბლიოთეკარის მოვალეობა დააკისრა. პრინც კონდეს ვერსალისა და შანტილის სასახლეებში ბინადრობა და დიდებულებთან დაახლოება ლა ბრუიერისთვის, როგორც მწერლისთვის დიდად მნიშვნელოვანი იყო. იგი გაეცნო თავადაზნაურთა მაღალ წრეს, სამეფო კარს.

თუმცა დიდი კონდე მეტად სასტიკი იყო და მისი შიშით ყველა ცახცახებდა და არც მისი ძე დიუკ დ' ენგიენი და შვილიშვილი დიუკ დე ბურბონი ჩამოუვარდებოდნენ მას ქედმაღლობითა და უსამართლობით, მაინც აღსანიშნავია მათი დიდი განათლება და დახვეწილი გემოვნება. შანტილისა და ვერსალის სასახლეებში თავს იყრიდა ცნობილ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა, მუსიკოსთა, მხატვართა და მწერალთა ელიტა. აქვე იყო შესანიშნავი თეატრი, სადაც იდგმებოდა რასინის, კორნელის, მოლიერის და სხვათა პიესები. ეს იყო უდიდესი სარბიელი, სადაც ლა ბრუიერს შეეძლო დაკვირვებოდა ადამიანთა ზნე-ჩვეულებებს. დიდი კონდეს წარმტაც სრა-სასახლეებში უნდა გამოკვეთილიყო და ჩამოყალიბებულიყო მისი ირონიით აღვსილი გენია და უნდა ეგრძნო, რომ „სამეფო კარი საშუალებას არ გაძლევს, აქ იყო კმაყოფილი და თანაც გიშლის ხელს სხვაგან იყო კმაყოფილი“.

ორგვლივ საარაკო ფუფუნება სუფევდა. ნატიფი იყო ყოველივე: ბაღები, ფანჩატურები, ხელოვნური ტბები, შადრევნები, დარბაზები, მორთულ-მოკაზმული მამაკაცები, ბანოვანნი, რევერანსები, მეტყველება... მაგრამ ლა ბრუიერი, რომელიც ადრე იცნობდა ბურჟუებისა და მართლმსაჯულების ძსახურთა ყოფას, ახლა შეეჩეხა მაღალ აზნაურთა სისასტიკესა და გოროზობას, კარისკაცთა მლიქვნელობასა და გაიძვერობას, პრანჭია დამების უგულობასა და თაკერძობას. თვალთახედვიდან არც დიდ ფინანსისტთა სიხარბე და მზაკვრობა გამოპარვია.

ყოველივე იბუდებდა მის გულში, რჩებოდა მეხსიერებაში. ჩანს, არცთუ ადვილი იყო საზოგადოებისთვის ერთბაშად მიეხალა პირში სიმართლე, დაენახვებინა საკუთარი თავი. და აგერ, თეოფრასტოსის ნაწარმოებს გადაეყარა. XVI, XVII საუკუნეები სულიერ საზრდოს ანტიკურ კულტურაში პოულობენ. ხუროთმოძღვრება, მხატვრობა, მწერლობა ანტიკურ თემატიკას უბრუნდება. თეოფრასტოსს სწორედ ძველი ბერძნული ლიტერატურული წყაროების გაცნობა ახვედრებს ლა ბრუიერს. კონდეთა სასახლეში ჩაუჯდა იგი არისტოტელეს შეგირდის, ტირტამუსის (IV ს. ბ. წ. აღ-დე) ანუ როგორც ზედმეტ სახელად უწოდებდნენ, თეოფრასტოსის (ღვთაებრივად მოუბარს ნიშნავს) „ხასიათების“ თარგმნას. ლა ბრუიერი თავისი საუკუნის ღვიძლი შვილი იყო და განადიდებდა ანტი-

კურ კულტურას. რაკი „...გონივრულ, უმშვენიერეს სიტყვათა მოსავალი აღებულად“ მიაჩნდა და ფიქრობდა, „ჩვენ სხვა არა დაგვრჩენია რა, ავკრიფოთო ძველთა ან ახალ ბრძენთა მიერ დატოვებული თავთავთა მარცვლები“, ამჯობინებდა ბერძენი თეოფრასტოსი გაეცნო მანკიერების ჭაობში ჩაფლული ფრანგი საზოგადოებისთვის, რადგან ეს ოქროპირი განწყობილებით უნათესავდებოდა მთარგმნელს. თეოფრასტოსი ადამიანთა ნაკლოვანებებს ასახავდა; გამოფენდა მათ პირფერობას, სიცრუეს, თავხედობას, სიბრიყვეს, გაიძვერობას, სიძუნწეს, პატივმოყვარეობას, სიბეცეს, ცრუმორწმუნეობას... თარგმნიდა ლა ბრუიერი, გატაცებით თარგმნიდა, მაგრამ თანდათან ვეღარ ეტეოდა ნაწარმოების ფარგლებში და ავიწყდებოდა მთარგმნელის მოვალეობა. ხან ერთ შენიშვნას დაურთავდა, ხან მეორეს. გადიოდა დრო, შენიშვნების რიცხვიცა და მოცულობაც იზრდებოდა. თეოფრასტოსის ნაწარმოები უკანა პლანზე გადადიოდა, იჩრდილებოდა. ლა ბრუიერის შემოქმედებას ნიღბად თუღა გამოადგებოდა. შენიღბვა კი უფუოდ სჭირდებოდა, რადგან ვერვის აამებდა ამა თუ იმ ნაკლის გამომზეურებით. შენიშვნები დამოუკიდებელ თხზულებად იქცა და მასაც „ხასიათები“ დაერქვა. ერთ დღეს, როცა ხელნაწერი საკმაოდ გაიზარდა, შანტილიში მისთვის განკუთვნილი მყუდრო ბინა ცოტა ხნით დატოვა და პარიზს ესტუმრა. აქ მას ერთი ნაცნობი და როგორც ჩანს, საკმაოდ დაახლოებული კაცი, გამომცემელი მიშალე ეგულებოდა. მიშალეს დუქანში ჯიბიდან ამოიღო თავისი ხელნაწერი და გამომცემელს უთხრა, რა იქნება ეს ხელნაწერი დამიბეჭდოთ, თუ რაიმეს მოვიგებთ, ჩემს ჰონორარს პატარა მეგობარს გავუნაწილებო. „პატარა მეგობარი“ მიშალეს შვილი გახლდა, ხოლო ხელნაწერი „ხასიათები“ იყო. წიგნი დაიბეჭდა. საზოგადოებამ მყისვე დაიტაცა და მადმუაზელ მიშალესაც კარგი მზითევი ხვდა წილად.

ლა ბრუიერი შანტილის სასახლეში კვლავ ამუშავებდა „ხასიათებს“. ერთი გამოცემა მეორეს მოსდევდა. ნაწარმოები იხვეწებოდა, ერთი „ხასიათი“ მეორეს ასრულებდა. ერთი პორტრეტი მეორეს უნათესავდებოდა. ბოლოს ყოველივემ თავისი განზომილება მიიღო, თავის ადგილას მოთავსდა და „ხასიათები“ 16 თავად დაიყო. თეოფრასტოსის თარგმანმა პირველადელი ელვარება დაკარგა და მთარგმნელის დიდი, ორიგინალური ნაშრომის მცირე სატელიტად იქცა.

ლა ბრუიერის თხზულების პირველი თავი „ადამიანის გონების ნამოქმედარი“ ერთგვარი პოეტური ხელოვნებაა. აქ განხილულია ხელოვნებისა თუ ლიტერატურის თეორიული საკითხები. შესავალ წერილში ლა ბრუიერი აღნიშნავს, რომ ადამიანთა ცხოვრებაზე დაკვირვების შედეგად შექმნა ეს ნაწარმოები და ამიტომაც შე-

ეძლო, ეთქვა: „მე ვალს ვუბრუნებ ხალხს: იგია წყარო ჩემი შეშოქმედებისა“. აქედან გამომდინარე, მწერლის მოვალეობად თვლის ასახოს სინამდვილე, ჭეშმარიტება და ამისათვის გამოძებნოს შესაბამისი, მაღალმხატვრული ფორმაც. „აზრის გადმოსაცემად შერჩეულ სხვადასხვა გამოთქმას შორის მხოლოდ ერთია კარგი...“ და ეს უნდა იყოს „ყველაზე უბრალო, ბუნებრივი, რაც ძალდაუტანებლად უნდა გაახსენდეს მწერალს“. ამ თავში ლა ბრუიერი განიხილავს ძველსა და თანამედროვე მწერალთა შემოქმედებას, ხელოვნებისა და ენის საკითხებს. შემდეგი თავები კი ეძღვნება ადამიანთა პირად ღირსებებს, მათ მსჯელობას, ყოფაქცევას, სამეფო კარს, ეკლესიას და ა. შ.

უცოლშვილოდ გაუტარებია სიცოცხლე თვისი ლა ბრუიერს, რომელიც ერთგვარად კმაყოფილიც იყო ამის გამო, რადგან დაოჯახებული კაცი ვერც მანსარდზე იცხოვრებდა და ვერც კონდეთა ბრწყინვალე სასახლეში დაიდებდა ბინას და, რაც მთავარია, მთელ თავის დროსა და მოცალეობას ვერ შეალევდა ფილოსოფიურ ჭვრეტასა და ადამიანთა ზნე-ჩვეულებების აღწერას. ესეც არ იყოს, ლა ბრუიერი ის კაცი არ იყო, ვინც უსიყვარულოდ შეირთავდა ცოლს. მისი გული კი ერთხელ და სამუდამოდ დაუპყრია მაღალი წრის ქალბატონს (როგორც ვარაუდობენ მარი-რენე დე ბელფორიერს). ქალი ან უკვე გათხოვილი, ანდა თავის მდგომარეობით მიუღწეველი ყოფილა არცთუ მაღალი წარმოშობის მქონე მწერლისთვის. ლა ბრუიერი ოდნავი ირონიით იხსენებს თავის წინაპარს: „...იყო ერთი ეოფრუა დე ლა ბრუიერი, ვისზედაც საფრანგეთის ყველა მატიანე ერთხმად ღაღადებს, რომ იგი ყველაზე გამოჩენილ სენიორთა შორის იმყოფებოდა, როცა ისინი გოდფრუა დე ბუიონს გაჰყვნენ წმიდა მიწის დასაპყრობად: მე მისი პირდაპირი შთამომავალი გახლავართ“. რაკი სილამაზითა და მაღალი გონებით შემკულ საყვარელ ქალზე ჯვარს ვერ დაიწერდა, მისი ერთგული მეგობარი დარჩენილა კუბოს კარამდე. უთუოდ ამ ქალზე უთქვამს მწერალს: „უზადო მშვენიერებითა და უბადლო ღირსებებით შემკული ქალი ისე გიზიდავს, რომ სხვას არაფერს მოითხოვ, ოღონდ უმზირო და ესაუბრო“. „სანუკვარი და ფაქიზი გრძნობები ზოგჯერ გვეკრძალება და მეტად ბუნებრივია, რომ გულში მაინც ვნატრობდეთ, ნებადართული იყოსო. რა გაუტოლდებოდა ამ გრძნობათა მომხიბვლელობას თუ არა შეგნება იმისა, რომ მათ სათნოებას ვწირავთ მსხვერპლად“.

ზოგიერთი მწერლისგან განსხვავებით ლა ბრუიერი არა მარტო ქადაგებდა მორალს, პირად ცხოვრებაშიაც მიჰყვებოდა მაღალზნეობრივ პრინციპებს. ამიტომაც ეღერდა აგრე მძაფრად ყოველი მისი შეგონება, ყოველი მისი აფორიზმი, ყოველი მისი მოქნეული ფრაზა და გამოკვეთილი „ხასიათი“. რარიგ უფო-

რიაქებდა სულს თანამედროეთ. აკვირდებოდნენ საკუთარ თავს, სხვებს; ეძებდნენ ამა თუ იმ „ხასიათს“ სინამდვილეში. ეძიებდნენ და პპოვებდნენ ამა თუ იმ პერსონაჟს ლა ბრუიერის შემოქმედებისა. ხოლო ავტორი ამაოდ დაშვრა, როცა აცხადებდა, ჩემს წიგნში პერსონალურად არავინ ამისახავსო. მაგრამ ისე მახვილი ჰქონდა თვალი და კალამიც ისე უჭრიდა, ისე დაწერილებით აღწერდა ადამიანის ხასიათთან ერთად მის მანერებსაც, ჩაცმა-დახურვასაც, ყოველ წვრილმანს ისე ზედმიწევნით გადმოსცემდა, რომ თავისდა უნებლიეთ ქმნიდა პორტრეტს რომელიმე ნაცნობისა. ლა ბრუიერმა პორტრეტს მისცა მხატვრული ფორმა და ფილოსოფიური შინაარსი. სწორედ პორტრეტის მოხაზვაში არა ჰყავს ბადალი. ამას თავადაც გრძნობდა და მეოთხე გამოცემიდან გაამრავლა პორტრეტი, რაც დასაწყისში მეტად მცირერიცხოვანი იყო. ლა ბრუიერი შეუდარებელია, როცა ხატავს იმას, რასაც ჭეშმარიტად ხედავს. ადამიანის გარეგნობა, გამოხედვა, სიარული, კილო, ჩვევები, ისეა გამოხატული, რომ ცოცხლად გეჩვენება და ეძებ, ვისა ჰგავსო? სწორედ ამის შედეგად წარმოიშვა უამრავი „გასაღები“, ე. ი. სია იმ პირებისა, რომლებიც ამა თუ იმ მკვლევართა აზრით, გამოყვანილი ჰყავდა ლა ბრუიერს თავის ნაწარმოებში.

ავტორი უარყოფდა „გასაღებების“ რეალობას, მაგრამ უთუოდ კმაყოფილიც იყო მათი არსებობით, რადგან საზოგადოების ამგვარ აზრზე უკეთ ვერაფერი დაადასტურებდა მისი მიზნების ხორცშესხმას.

ლა ბრუიერის პორტრეტი მხატვრულ ტილოდ იქცევა, რომლის ერთ თავად, კომედიის სცენად. ზოგიერთი პატარა ნოველაა: მეუვავილე, საცოლის მაძიებელი, ზენობია, ემირი, ფრაგმენტი... მეთოთხმეტე თავში „ზოგიერთ ჩვეულებათა შესახებ“ პორტრეტი ოშვიათად გვხვდება. აქ არის ირონია, კრიტიკა, თავადაზნაურობის, რელიგიის, ოჯახის, მართლმსაჯულების და სხვათა მანკიერი ურთიერთობის საწინააღმდეგოდ მიმართული. აქ ლა ბრუიერი გვევლინება ფილოსოფოსად იმ მნიშვნელობით, რასაც ვოლტერი და დიდრო ანიჭებდნენ ამ სიტყვას.

ლა ბრუიერის სტილი დამუშავებულია, დახვეწილი, მრავალფეროვანი. ლექსიკონი მდიდარი, სავსე არქაიზმებით, მეცნიერული, ხელოსნური, ლიტერატურის, ხელოვნების, ნადირობის, ომის, საეკლესიო ტერმინებით. ბოლოში ნათქვამი სულ პატარა სიტყვა შთელი ამბის გასაღებია და უკეღმა ატრიალებს ამბავს.. ფრაზები მოკლეა, სხარტი, ენაკვიმატი, რაც მომდევნო საუკუნეში ვოლტერის შემოქმედებაში შეგვხვდება.

სიკეთისა და ბოროტების სათავეს ლა ბრუიერი ეძებს საზოგადოებრივ ყოფაში, სოციალურ უთანასწორობაში, რაც მეტისმეტად უჩვეულო იყო XVII საუკუნის ლიტერატურისთვის ისევე, როგორც ცალკეული ხასიათისა თუ ყოფაქცევის მხატვრული გან-

ზოგადების უნარი. ამიტომაც მისი შემოქმედება XVIII—XIX საუკუნის მწერალთა შემოქმედებას უკრო მეტად უახლოვდება, ვიდრე მის თანამედროვეს. „ხასიათებთან“ ერთად ლა ბრუიერი ხატოვნად ასახავდა ბუნების სურათებსაც, რაც აგრეთვე უჩვეულო და უცხო იყო იმდროინდელი ფრანგული ლიტერატურისთვის და რაც მკვეთრად გამოიკვეთა ჟან-ჟაკ რესოსა და ბერნარდენ დე სენ-პიერის ნაწერებში.

ფულის დიდი როლი საზოგადოებაში, მისი გაბატონების სავალალო შედეგები მწვავედ შეიგრძნო ჟან დე ლა ბრუიერმა და ეს პრობლემაც XIX საუკუნეს გადაუბოძა, სახელდობრ, ონორე დე ბალზაკს, რომლის შემოქმედებაში მთავარი გმირი გახდა ფული.

ლა ბრუიერის ფინანსისტი უსულგულო ადამიანია. ზემოსავლის გარდა არაფერი აღელვებს. გულგრილია მეგობრის, ცოლის, შვილის სიკვდილის მიმართაც კი. ფულია მისი ერთადერთი ღირსება და მისი საზოგადოებრივი მდგომარეობაც მხოლოდ ამით განიზომება; „ფინანსისტი თუ გაკოტრდა, კარისკაცნი მასზე ამბობენ, ბურჟუაა, არარაობა, გაგრიაო. თუ კარგად წაუვიდა საქმე, მისი ასულის ხელს თხოულობენ“.

ლა ბრუიერის კალამს არ დაუნდვია ძლიერნი ამა სოფლისანი, თვით დიდი კონდე, შეპარვით მეფეც კი დამდგარა დილემის წინაშე, დიდებულთა და მდაბიოთა შორის ვისთვის მიენიჭებინა უპირატესობა: „იმათ (ხალხს — რ. დ.) შინაგანი სამყარო აქვთ მშვენიერი და გარეგნობა დაუხვეწავი; ამათ (დიდებულებს — რ. დ.) მარტოოდენ გარეგნობა, ზედაპირი აქვთ დახვეწილი და სხვა არაფერი. არჩევანზე თუ მიდგა საქმე, ოდნავად არ ვიყოყმანებ, ვამჯობინებ ვიყო ხალხი“.

ფინანსისტთა, საეკლესიო პირთა, ყალბ ღვთისმოსავთა, თავადაზნაურობისა თუ სამართლის მსახურთა მკაცრი კრიტიკით ლა ბრუიერი გვევლინება, როგორც პამფლეტისტი, გამსჭვალული მისი საუკუნისთვის მეტად უცხო აზრებითა და მისწრაფებებით.

ლა ბრუიერის შემოქმედებაში აღწერილი განზოგადებული სახეები, პორტრეტები, შესანიშნავი სტილი, კაცთმოყვარული მოსაზრებანი, ადამიანის შინაგანი სამყაროს ღრმა ფსიქოლოგიური ანალიზი, საზოგადოების ყოველი ფენის ჩვეულებათა ზედმიწევნით ზუსტი ცოდნა მკითხველის გულს იპყრობდა და მტრებთან ერთად, მრავალ თაყვანისმცემელსაც უჩენდა. 1691 წელს, აკადემიაში მისი არჩევა თუ კრახით დასრულდა, 1693 წელს, 15 ივნისს, როცა „ხასიათების“ უკვე მეშვიდე გამოცემა არსებობდა საფრანგეთში, ლა ბრუიერი აკადემიის წევრად აირჩიეს. მას მიენიჭა წოდება „უკვდავისა“, როგორც ფრანგები უწოდებდნენ თავიანთ აკადემიკოსებს.

აკადემიაში არჩევის დღეს ლა ბრუიერმა წარმოთქვა სიტყვა. იგი მიმოიხილავდა რიშელიეს, რასინის, კორნელის, ბოსუეს, ფენელონისა და ყველა ცნობილი საზოგადოებრივი მოღვაწისა და მეურლის დამსახურებას საფრანგეთის კულტურისა და მეცნიერების წინაშე. როგორც მიღებული იყო, სიტყვა დაიბეჭდა თავისი წინასიტყვაობით. წინასიტყვაობა მეტად საყურადღებო ისტორიული ფაქტია, საიდანაც აშკარად მოჩანს რაოდენ სდევნიდა ლა ბრუიერს ზოგიერთი მწვრალი და მეცნიერი, რომელთაც ლა ბრუიერი უწოდებდა „თეობალდებს", ყალბი სწავლულის პროტოტიპს რომ წარმოადგენენ მის ნაწარმოებში. ისინი საკუთარ თავს ხედავდნენ ლა ბრუიერის პორტრეტებში და „გასაღებებით" ცდილობდნენ, სხვებიც აემხედრებინათ მწერლის საწინააღმდეგოდ. წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: აგერ, რამდენი ხანია, ყველა მათ ჩემი ნაწერი სიტყვა-სიტყვით ესმით და ისე კითხულობენ, თითქოს ისტორია იყოს. მასში ვერ გაურჩევიათ ვერც პოეზია, ვერც ხატოვნება; მხოლოდ კიცხავენ და სუსტ ადგილებს ეძებენ.

„თეობალდებმა" არათუ ქვეყანა შეეყარეს, ლა ბრუიერის მოხსენება უაზრო იყოო, დაარღვიეს აკადემიის კანონიც, რაც აკადემიკოსებს უკრძალავდა, რაიმე დაეწერათ თავიანთი კოლეგების წინააღმდეგ. სამეფო კარის ჭორებისა და ანეკდოტებისთვის განკუთვნილ პერიოდულ ჟურნალში „გალანტურ მერკურში" აკადემიკოსებმა და საშუალო ნიჭის მწერლებმა ტომა კორნელმა, ბერნარ ლე ბოვიე დე ფონტენელმა და ამ ჟურნალის დამაარსებელმა და რედაქტორმა დონო დე ვიზემ დაბეჭდეს წერილი. ისინი მიწასთან ასწორებდნენ ლა ბრუიერის შემოქმედებასაც და სიტყვასაც. ამ შემთხვევაში იმ ფაქტმაც იჩინა თავი, რომ მაშინ ფრანგი მწერლები ორ ბანაკად იყვნენ დაყოფილნი და „ძველნი და ახალნი" ეწოდებოდათ. ძველნი ანტიკურ კულტურას ემხრობოდნენ და მათ რიგებში იმყოფებოდა ლა ბრუიერი; „ახლებთან" კი ფონტენელი თანამშრომლობდა და მათთან ერთად ესხმოდა თავს ანტიკურ ხელოვნებას, ლიტერატურას და მათ ტრადიციებს.

„გალანტურ მერკურში" დასტამბული წერილი მთელ საფრანგეთს აუწყებდა, რომ ლა ბრუიერს არ შესწევდა უნარი, რაიმე დაეწერა და რაიმე ეთქვა. თითქოს ამისთვის მას არც ნიჭი ყოფნიდა და არც გონება. წერილის საპასუხოდ ლა ბრუიერი წინასიტყვაობაში წერდა: „თეობალდებმა" დამიკარგეს სურვილი, მათ მოვაწონო ჩემი წიგნი, რაიც ხალხს მოსწონს. და მე მთელს ჩემს ჯანსა და სიცოცხლეს შევალევ იმ მიზანს, რომ ჩემს თხზულებათა გამო „თეობალდებისა" და ხალხის გემოვნება ერთმანეთს არ ემთხვეოდეს.

ლა ბრუიერი „თეობალდებისგან" არ მოითხოვდა მოწონების შეძახილებსა და ოვაციებს. ის ხომ ამბობდა: „ფილოსოფოსი სი-

ცოცხლეს ალევს ადამიანებზე დაკვირვებას, თავს არ ზოგავს, რა-
თა შეიცნოს მათი მანკიერება და სისუსტე... ფილოსოფოსი არაფ-
რად დაგიდევთ ამგვარ ხოტბას. მას არც უშრომია ამისთვის და
არც ღამეები უთევია. მისი მისწრაფება გაცილებით დიდია და
მიზანი ამაღლებული. რა ბედენაა ქება-დიდება, ანდა მადლობა?
იგი ილტვის, მოიპოვოს გაცილებით მეტი და იშვიათი წარმატება,—
გამოასწოროს ადამიანები."

ჟან დე ლა ბრუიერს 1696 წლის 11 მაისს ტვინში სისხლი
ჩაექცა და გარდაიცვალა ვერსალის სასახლეში.

ლა ბრუიერის შემოქმედების, მისი ერთადერთი წიგნის მნიშვნე-
ლობა XVII ს. საზღვრებს გასცდა და მისი ანარეკლი მომდევნო
საუკუნეების მწერლობაშიც გამოჩნდა.

რუსუდან დოდაშვილი

Admonere voluimus, non mordere; prodesse, non laedere; consulere moribus hominum, non officere.

Erasme[1]

წინასიტყვა

მე ვალს ვუბრუნებ ხალხს: იგია წყარო ჩემი შემოქმედებისა და ვით მას ეკადრებოდა, ისეთი რუდუნებით გადმოვეცი სინამდვილე, დავწერე წიგნი და ხალხსავე ვთავაზობ. მოცლილობის ჟამს იქნებ დააკვირდეს პორტრეტს, რაიც ნატურიდან შევქმენი და თუ შეიცნობს ჩემს მიერ აღწერილ რომელიმე ნაკლს, გამოასწოროს. ამ ერთადერთ მიზანს უნდა ემსახურებოდეს მწერალი და სხვა წარმატებაზე არ უნდა ოცნებობდეს. რამეთუ ადამიანებს მაინცდამაინც არ ეზიზღებათ მანკიერება, მოდი ნუ დავიზარებთ და საყვედურებს ნუ მოვაკლებთ; ეგების უარესნი ყოფილიყვნენ ისინი, ჭკუის დამრიგებლები და მამხილებლები რომ არ ჰყოლოდათ. დიახაც ამის გამო წარმოითქმება ქადაგებანი და იწერება წიგნები. ორატორი და მწერალი ტაშს გულგრილად ვერ შეხვდებიან, მაგრამ სირცხვილით უნდა იწვოდნენ, თუკი თავიანთი ქადაგებისა ან თხზულების საზღაოდ მარტოოდენ ხოტბა-დიდებას მიიღებენ. ჭეშმარიტი და უდავო დაფასება მხოლოდ ის გახლავთ, თუ თხზუ-

[1] ჩვენ ვესწრაფოდით გაგვეფრთხილებინა და არა შეგვერცხვინა, სარგებლობა მოგვეტანა და არა დაგვეგესლა, გაგვეუმჯობესებინა ადამიანთა ზნე-ჩვეულებანი და არა თავსლაფი დაგვესხა. ერაზმი (ლათ.)

ლების წაკითხვისა ან ქადაგების მოსმენის შედეგად ადამიანები გარდაიქმნებიან, შეიცვლიან ზნე-ჩვეულებებს. მსჯელობა და წერა მხოლოდ და მხოლოდ კაცთა განვითარებისთვის არსებობს; ნურვის აღეძვრის სინდისის ქენჯნა, თუკი ნაშრომი მისი სიამოვნებასაც განაცდევინებს. თავი და თავია, ადამიანს გონება გაუნათოს და ჭეშმარიტება შთააგონოს. მაგრამ ვითომცდა ნაირფეროვნებისთვის, დაძაბულობის შესამსუბუქებლად, გონების დასასვენებლადა და შემდგომი თხრობის მოსასმენად ყურადღების გასამზადებლად წიგნში თუ ვაგლახ შეიპარა ისეთი აზრი ან მსჯელობა, რასაც არც მგზნებარება გააჩნია, არც დახვეწილობა, არც ელვარება და თან ვერც ვერაფერს განაცდევინებს, ვერც გულს აუთრთოლებს, ვერც ჭკუას ასწავლის უბირ კაცს, ვისი უგულებელყოფა არ ხამს შემოქმედს, მკითხველს შეუძლია ამგვარ ადგილებს მკაცრი განაჩენი გამოუტანოს, ხოლო მწერალმა უნდა ამოშალოს; ასეთი გახლავთ წესი. არსებობს ჩემთვის დიდად მნიშვნელოვანი მეორე წესიც, რის მიხედვითაც მკითხველს ვავალდებულებ ყურადღება გაამახვილოს სათაურზე და წინამდებარე წიგნის წაკითხვისას მუდამ ახსოვდეს, რომ მე აღვწერ ჩვენი საუკუნის ხასიათებს ანუ ზნე-ჩვეულებებს. თუმცა ძირითადად ავსახავ საფრანგეთის სამეფო კარისა და ჩემი ერის ადამიანთა ხასიათსა და ჩვევებს, მაინც დაუშვებლად მიმაჩნია ერთი სამეფო კარით შემოვიფარგლო, ერთი ქვეყნის საზღვრებში ჩავიკეტო, ვინაიდან შედეგად ამისა, ჩემი ნაწარმოები მეტისმეტად შეიზღუდება, ნაკლებ სარგებლობასაც მოიტანს და ჩემს შთანაფიქრსაც ვერ განახორციელებს, რაკი მე მსურდა აღმეწერა ადამიანი საერთოდ. ამასთან ერთად, წიგნის ცალკეული თავების განლაგებისა და მათში მოცემულ მსჯელობათა უხილავი თანმიმდევრობის შინაგანი ლოგიკაც დაირღვევა. ამ ესოდენ აუცილებელი გაფრთხილების შემდეგ, რომლის მიზანი ყველასთვის გასაგები უნდა გახდეს, მე დარწმუნებული ვარ, რომ უფლება მენიჭება, არად ჩავაგდო ვინმეს ჩივილი თუ აღშფოთება, ყოველგვარი უკუღმართი განმარტება, ყალბი მიგნება თუ განქიქება და გავილაშქრო უსულგულო ოინბაზებისა და ბოროტად განწყობილ მკითხველთა წინააღმდეგ. უნდა იცოდე, როგორ წაიკითხო წიგნი; შერე ან გაჩუმდე, ანდა შეძლო მოჰყვე ის, რაც წაიკითხე: არც მეტი, არც ნაკლები, ის, რაც წაიკითხე. იქნებ ეს კიდეც მოახერხო,

მაგრამ საკმარისი მაინც არ იყოს, ვინაიდან მთავარია წიგნის წაკითხვა მთელი სულითა და გულით გსურდეს. თავისი შრომის ერთადერთ ანაზღაურებად კეთილსინდისიერსა და პატიოსან მწერალს უფლება აქვს ეს პირობები წაუყენოს ზოგიერთ მკითხველს. წინააღმდეგ შემთხვევაში მან აღარ უნდა განაგრძოს წერა, თუკი, რა თქმა უნდა, საკუთარ კეთილდღეობას არ ამჯობინებს იმას, რომ იყოს სასარგებლო მრავალთათვის და ემსახურებოდეს ჭეშმარიტებას. გამოგიტყდებით, 1690 წლიდან მოყოლებული, სანამ მეხუთე გამოცემა დაისტამბებოდა, ვმერყეობდი: ერთი სული მქონდა ჩემი წიგნისთვის ახალი ხასიათები დამემატებინა და ამგვარად უფრო დასრულებული სახე და ჩამოყალიბებული ფორმა მიმეცა, თან კი მიპყრობდა შიში, ვაითუ ვინმემ წამომძახოს: „აღარ უნდა მოეღოს ბოლო „ხასიათებს“ და ეს მწერალი ნეტავ სხვას აღარაფერს გვაღირსებს?“ ზოგი გონებადამჯდარი კაცი მეუბნებოდა, თქვენი წიგნის თემა მნიშვნელოვანია, მეტად საჭირო, დაუშრეტელი და საამური; იცოცხლეთ დიდხანს და სანამ პირში სული გიდგათ, ნუ შეწყვეტთ მის დამუშავებას. განა რას გააკეთებთ მაგაზე უკეთესს? წელიწადი ისე არ გავა, რომ ადამიანთა სიგიჟემ ერთი ტომის მასალა არ დაგიმზადოთო. სხვები კი სრულიად გონივრულად მაფრთხილებდნენ, გეშინოდეთო ბრბოს ჭირვეულობისა და ზალხის თავქარიანობისა. თუმცა აქამდე მე სრული საფუძველი შქონდა ხალხის კმაყოფილი ვყოფილიყავი. სულ იმას ჩამჩიჩინებდნენ, აგერ ოცდაათი წელია ხალხი წიგნს გასართობად კითხულობს და თავშესაქცევად ახალი თავები და ახალი სათაური სჭირდებაო. სწორედ ამგვარი გონებრივი ჩამორჩენილობის შედეგად ამ ხნის განმავლობაში მთელი ქვეყანა და დუქნები წალეკილიაო უაზრო, მოსაბეზრებელი, ყალბი, ყოველგვარ სტილსა და სიცხადეს მოკლებული, კეთილი ზნე-ჩვეულებებისა და წესიერების საწინააღმდეგოდ უნიჭოდ და ჰაიჰარად შეთითხნილი წიგნებით, რომელთაც, მხოლოდ როგორც სიახლეს, ჰაიჰარადვე კითხულობენო, იმასაც მეუბნებიან, თუ ერთი გონივრული წიგნის მოცულობის მომატების მეტი არაფერი შეგიძლია, უკეთესი რა იქნება, კალამს შეეშვი და მოისვენეო. მაშინ მე მრავალი ერთმანეთის საპირისპირო რჩევა ყურად ვიღე, შევარჩიე ისეთი რამ, რაც ყველას ერთნაირად დააკმაყოფილებდა: სრულიად უყოყმანოდ დავუმატე ახა-

ლი შენიშვნები იმ ადგილებს, რომელთა მეოხებითაც ჩემი ნაშრომი პირველ გამოცემასთან შედარებით ერთიორად უკვე გაზრდილი იყო; რათა საზოგადოებისთვის თავიდან ამეცილებინა ძველი ვარიანტის გადაკითხვა ახლის მოსაძებნად, საჭირო ადგილების პოვნის გასაადვილებლად განსაკუთრებული ნიშნები შემოვიღე. ამასთან, არც ის ჩავთვალე უსარგებლოდ, რომ პირველი დამატებებისთვის შემომეღო უბრალო ნიშნები, რაც მკითხველს ჩემი ნაშრომის მოცულობის გაზრდაზე მიუთითებს და საჭირო მასალის შერჩევას გაუადვილებს. რაკი შესაძლებლად ვთვლი, რომ მას შიში შეეპარება, ვაითუ წიგნის ზრდა დაუსრულებელი გახდეს, ზემოაღნიშნულ განმარტებებს გულწრფელ დაპირებასაც დავურთავ, მსგავსს აღარაფერს გავბედავ-მეთქი. თუ ვინმე ბრალს დამდებს, სიტყვა გატეხეო, რამეთუ მომდევნო სამ გამოცემაში ბლომად შევიტანე ახალი შენიშვნები, იგი ყოველ შემთხვევაში, იმას მაინც დაინახავს, რომ ნიშნების გაუქმებით ძველი და ახალი ერთმანეთში აირია და მე იმას კი არ ვცდილობდი მისთვის ძალად წამეკითხებინა ახალი ჩანართები, არამედ ვზრუნავდი შთამომავლობისთვის დამეტოვებინა ზნე-ჩვეულებების ამსახველი უფრო სრული, უფრო დახვეწილი და დამუშავებული ნაშრომი. ბოლოს და ბოლოს სულაც არ ვაპირებდი მაქსიმების დაწერას, ისინი მორალის კანონებს წარმოადგენენ და უნდა ვაღიარო, რომ მე არც იმდენი ძალაუფლება გამაჩნია, არც იმდენი ნიჭი, რომ ავიჩემო, გინდა თუ არა, კანონმდებელი ვბრძანდები-მეთქი. ისიც ვიცი, მაქსიმების წესების მიმართ ვცოდავდი, რაკი მაქსიმები, წინასწარმეტყველთა გამოთქმების დარად, უნდა იყოს მოკლე და სხარტი. ასეთი გახლავთ ზოგი ჩემი გამონათქვამი, ზოგიერთი კი უფრო ვრცელია. სხვადასხვა საკითხზე სხვადასხვანაირად ვფიქრობ და სხვადასხვანაირად გადმოვცემ: სენტენციებით, მსჯელობებით, მეტაფორებითა თუ სხვა სახეებით, შეფარდებებით, უბრალო შედარებებით, მთელი ამბის მოყოლით, ერთი დეტალის გადმოცემით, აღწერით, სურათის მოხატვით. აქედან გამომდინარეობს ჩემ მოსაზრებათა სიგრძე თუ სიმოკლე. დაბოლოს, მაქსიმების დამწერს სურს ყველა უჯერებდეს, მე კი, პირიქით, თანახმა ვარ მისაყვედურონ, რომ ჩემი დაკვირვებები ხანდახან მცდარი იყო, ოღონდ სხვები ნუღარ დაუშვებენ ასეთ შეცდომებს.

თავი პირველი

ადამიანის გონების ნამოქმედარი

1

ჯესლაფერი ითქვა, ჩვენ ძალიან გვიან გავჩნდით; შვიდი ათას წელზე მეტია ადამიანები არსებობენ და აზროვნებენ. მათ ზნეჩვეულებებზე გამოთქმულ გონივრულ, უმშვენიერეს სიტყვათა მოსავალი აღებულია. ჩვენ სხვა არა დაგვრჩენია რა, ავკრიფოთ ძველთა ან ახალ ბრძენთა მიერ დატოვებულ თავთავთა მარცვლები.

2

ესწრაფე გონივრულად იფიქრო და ილაპარაკო. ნუ შეეცდები შენს გემოვნებასა და გრძნობებს სხვა დაუმორჩილო: ეს მეტად თავსამტვრევი საქმეა.

3

წიგნის დაწერა ისეთივე ხელობაა, როგორიც მესაათეობა. მწერლობაში მარტო გონებით ფონს ვერ გახვალ. ყოველგვარი ღირსებით შემკული ერთი მოსამართლე თავის საქმეში საკმაოდ ჩახედუ-

ლი და გამჭრიახი კაცი ჩანდა. ზნეობის საკითხზე კი ისეთი შრომა გამოაქვეყნა, სისულელეში ბადალს ვერ მოუძებნიდით.

4

სრულქმნილი ნაწარმოებით უფრო ძნელია სახელის მოხვეჭა, ვიდრე სახელმოხვეჭილი კაცისთვის განდიდება ისეთი ნაწარმოებისა, რაც არც ფლავია და არც ჩლავი.

5

მდარე ღირსების სატირული ან მამხილებელი ნაწარმოები შესანიშნავ ქმნილებად ითვლება, თუ ხელნაწერის სახით ხელიდან ხელში გადადის ფარულად იმ პირობით, რომ ასევე ფარულად დაუბრუნდეს პატრონს. მხოლოდ დასტამბვაა სასინჯი ქვა.

6

ზნეობაზე დაწერილი ზოგიერთი ნაწარმოებიდან მკითხველისადმი მიმართვა, წინასიტყვაობა, სარჩევი და საქებარ-სადიდებელი წერილები რომ ამოვიღოთ, იმდენი ფურცელიც კი აღარ დარჩება, წიგნად ჩათვალო.

7

არსებობს ისეთი დარგები, რომელთა მდარე ღირსება და უფერულობა მიუტევებელია. ესაა პოეზია, მუსიკა, მხატვრობა, ორატორული ხელოვნება. ოხ, რა წამებაა უსმინო, როცა ორატორი მოსაწყენ სიტყვას გატყლარჭულად წარმოთქვამს, ანდა უნიჭო პოეტი თავის უბადრუკ ლექსებს პათოსით კითხულობს.

8

ზოგი პოეტი პიესას რომ წერს, ისეთი მაღალფარდოვანი და დახვლანჯული ლექსებით აკოწიწებს, გეგონება, ამაღლებული და

კეთილშობილური გრძნობებით აღსავსე პოეზიაარ. ხალხი მას ხარბად, თვალდაჭყეტილი, პირდაფჩენილი უსმენს და თავის თავს არწმუნებს, გადასარევიაო. თან, რაც უფრო ნაკლებად გასაგებია, მით უფრო აღტაცებულია. მოწონების შეძახილებითა და ტაშისცემით გაყრუებულს სულის მოსათქმელადაც არ სცალია. ოდესღაც, როცა ჭაბუკი ვიყავი, მეგონა, ეს ლექსები ნათელი და გასაგები იყო მსახიობებისთვის, პარტერისთვის, ამფითეატრისთვის, განსაკუთრებით ავტორებისთვის. ვერაფერს რომ ვერ ვიგებდი და მაინც დიდი გატაცებით ვისმენდი, ამაში თვით ჩემს თავს ვდებდი ბრალს. მერე აზრი შემეცვალა.

9

ჯერ არვის უნახავს რამდენიმე მწერლის მიერ ერთობლივად შექმნილი შედეგრი. ჰომეროსმა შეთხზა „ილიადა“, ვერგილიუსმა „ენეიდა““, ტიტუს-ლივიუსმა „დეკადები“, რომაელმა ორატორმა — სიტყვები.

10

ხელოვნებაში არსებობს სრულყოფის საზღვარი, ვით მადლიანი განზავებისა და მომწიფების ზღვარი ბუნებაში. ვინც ამგვარ ხელოვნებას გრძნობს და აფასებს, შესანიშნავი გემოვნებითაა დაჯილდოებული, ვინც ვერ გრძნობს და მოსწონს ამაზე მაღალი ან დაბალი ხელოვნება, მანკიერი გემოვნების პატრონია. მაშასადამე, არსებობს კარგი და ცუდი გემოვნება და ადამიანები არ ცდებიან, როცა ამაზე დაობენ.

11

ადამიანებს მიკერძოების ნიჭი მეტი აქვთ, ვიდრე გემოვნება, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, იშვიათად ნახავთ კაცს, დაჯილდოებულს არა მარტო ბრძნული გონებით, არამედ კარგი გემოვნებითაც და სამართლიანი განსჯის უნარითაც.

12

გმირთა ცხოვრებამ გაამდიდრა ისტორია, ხოლო ისტორიამ შეამკო გმირთა მამაცობა. ამიტომ მიძნელდება გავარკვიო, ვინ ვისგან არის დავალებული: მემატიანე იმათგან, ვინც ესოდენ მადლიანი მასალით უზრუნველყო იგი, თუ მემატიანეს უნდა უმადლოდნენ დიდი პიროვნებანი?

13

ეპითეტების გროვა არ არის ხოტბა. ხოტბა ფაქტებია, ისიც რიგიანად შერჩეული.

14

მწერალი ნიჭიერია, თუ მას შესწევს უნარი ზუსტი სიტყვები მოძებნოს და ლაზათიანად ხატოს. მოსე[1], ჰომეროსი, პლატონი, ვერგილიუსი, ჰორაციუსი მარტოოდენ თავიანთი გამოთქმებითა და სახეებით დგანან სხვა მწერლებზე მაღლა. თუ გსურს ბუნებრივად, ძარღვიანად და დახვეწილად წერო, ჭეშმარიტება უნდა გადმოსცე.

15

ლიტერატურულმა სტილმაც ისეთივე ცვლილებანი განიცადა, რაც ხუროთმოძღვრებამ. სასახლეებისა და ტაძრების ასაგებად უვიცობის შედეგად შემოტანილი გოთური სტილი შეცვალა დორიული, იონიური და კორინთული არქიტექტურის აღორძინებულმა ორდერებმა. რასაც მარტოოდენ ძველი რომისა და საბერძნეთის ნანგრევებში ვხედავდით, თანამედროვე ხელოვნებად იქცა და ჩვენს პორტიკებზე და პერისტილებზე აელვარდა. ასევე ვერ მიაღწევ წერის სრულყოფას, თუკი ეს შესაძლებელია, და ვერ აჯობებ ძველ მწერლებს, თუ არ მიბაძავ მათ.

რამდენმა საუკუნემ განვლო, სანამ ადამიანები ძველ მეცნიერთა

---

[1] თუმცა მწერლად არ ითვლება. (ᲐᲥ და ამის შემდეგ შენიშვნები ყველგან ლა ბრუიერისაა. — რ. დ.)

და ხელოვანთა გემოვნებას ეზიარებოდნენ და დაუბრუნდებოდნენ ბუნებრიობასა და სისადავეს.

ჩვენ ვსაზრდოობთ საუკეთესო მწერლების შემოქმედებით, თუნდ ძველნი იყვნენ ისინი, თუნდ ახალნი. შეძლებისდაგვარად ვწურავთ, ვქაჩავთ მათგან წვენს და ამ გამონაჟურით ვავსებთ ჩვენს შრომებს. დაბოლოს, როცა მწერლები ვხდებით და გვგონია, თითქოსდა სხვის დაუხმარებლად დავდივართ, თავს ვესხმით მათ, შეურაცხვყოფთ იმ ჩვილი ბალღების მსგავსად, რომლებიც ძიძებს სცემენ, თუმცა მათი საღი რძით გათქვირებულან და ძალაც მოუკრებიათ.

ერთი თანამედროვე მწერალი სულ იმას გვიმტკიცებს, ძველი მწერლები ჩვენზე დაბლა დგანანო და მოჰყავს ორი საბუთი: მსჯელობა და მაგალითი. მსჯელობისას საკუთარ გემოვნებას იშველიებს და მაგალითიც თავისი ნაშრომებიდან მოჰყავს.

იგი აღიარებს, თუმცა ძველებს უთანაბრო და გაუშალაშინებელი ენა ჰქონდათ, მათ თხზულებებში შესანიშნავ ადგილებს მაინც ვხვდებითო. მოჰყავს ციტატები და ისინი იმდენად მშვენიერია, რომ ამისთვის ღირს მათი კრიტიკის წაკითხვაც. ზოგიერთი ცნობილი მწერალი აქებს ანტიკურ მწერლებს და აქიაქებს ახლებს. იქნებ იმიტომ, რომ ძველ მწერალთა მიბაძვით დაწერილი თავისი თხზულებები დაიცვას. მათ აზრს ამიტომ არავინ აქცევს ყურადღებას.

16

უნდა ეცადო ნაშრომი წააკითხო იმას, ვინც საკმაოდ განსწავლულია და ნაწარმოების შეფასების უნარი შესწევს.

მარტოოდენ პედანტს არ სურს შეუსწორონ წიგნი და რჩევა მისცენ. მწერალმა ერთნაირი მოკრძალებით უნდა მიიღოს ქებაც და კრიტიკაც.

17

აზრის გადმოსაცემად შერჩეულ სხვადასხვა გამოთქმას შორის მხოლოდ ერთია კარგი. თუმცა საუბრისა და წერის დროს ყოველთვის ვერ ვპოულობთ,—იგი არსებობს; სხვა გამოთქმები კი სუსტია

და ვერ აკმაყოფილებს გონიერ კაცს, ვისაც სურს თავისი აზრი სხვას გააგებინოს.

კარგი და დაკვირვებული მწერლისთვის ცხადია, რომ გამოთქმა, რასაც დიდხანს და თავგამოდებით ეძებდა და რაიც ძლივს იპოვა, ყველაზე უბრალო სიტყვაა, ყველაზე ბუნებრივი და თავიდანვე ძალდაუტანებლად უნდა გახსენებოდა.

ვინც განწყობილებით წერს, ნაწარმოების მრავალჯერ გადაკეთება უხდება. ვინაიდან განწყობილება მერყეევია და სხვადასხვა გარემოებათა გამო იცვლება, მწერალს მალე უცივდება გული იმ გამოთქმათა და სიტყვათა მიმართ, მანამდე რომ ყველაზე მეტად მოსწონდა.

18

ნათელი გონება, რაც კარგ წიგნებს გვაწერინებს, შიმსაც აღგვიძრავს, ვაითუ არც ისე კარგია, ვინმემ წაიკითხოსო.

მწერალი თუ დიდად გონიერი არ არის, ფიქრობს, ღვთაებრივად ვწერო; საღად მოაზროვნე და ჭკვიანი მწერალი ფიქრობს, გონივრულად ვწერო.

19

„მირჩიეს, — თქვა არისტმა, — ჩემი ნაწარმოებები ზოილისთვის წამეკითხა. ასეც მოვიქეცი. მათ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინეს, რომ დაბნეულმა ზოილმა განქიქების ნაცვლად ჰა და ჰა, შემაქო კიდეც!.. თუმცა ქება აღარსად გაუმეორებია, ვაპატიებ, რადგან მწერალს მეტს ვერაფერს მოსთხოვ, მეცოდება კიდეც. მან მოისმინა მშვენიერი თხზულებანი, რაიც თვითონ არ დაუწერია“.

ზოგს ისეთი ადგილი უკავია ცხოვრებაში, რომ მისთვის უცხოა მწერლური პატივმოყვარეობა, სულ სხვა ენებებსა და სურვილებსაა გადაყოლილი და არაფრად აგდებს ვინმეს ნააზრევსა და შთანაფიქრს.

იშვიათად შეხვდებით ისეთ გონიერ, გულთბილსა და სვებედნიერ ადამიანს, ვისაც შეუძლია ნამდვილად დატკბეს უებრო მხატვრული ნაწარმოებით.

20

გაკრიტიკება ისეთ სიამოვნებას გვანიჭებს, რომ ჭეშმარიტად მშვენიერი ნაწარმოები ვეღარ გვხიბლავს.

21

ბევრია ისეთი ადამიანი, ვისაც წაუკითხავენ თუ არა ხელნაწერს, უმალვე გრძნობს მის ღირსებას, მაგრამ საქებურს ვერაფერს ამბობს, გაიტრუნება, რადგან არ იცის, როგორ მიიღებს საზოგადოება დასტამბვის შემდეგ, ანდა როგორ შეაფასებენ სახელმოხვეჭილი პიროვნებანი. საკუთარი აზრის გამოთქმა ვერ გაუბედავს, ელოდება, რას იტყვის ხალხი, რომ თვითონაც ბრბოს შეუერთდეს. შემდეგ კი განაცხადებს, ნაწარმოები პირველად მე მოვიწონე და ხალხიც ჩემს აზრს იზიარებსო.

ამგვარი ადამიანები ხელიდან უშვებენ შემთხვევას დაგვარწმუნონ, რაოდენ გამჭრიახნი და განათლებულნი არიან, რა გინსჯის უნარი აქვთ მომადლებული, რომ მათთვის კარგი კარგია, საუკეთესო — საუკეთესო. ხელში უვარდებათ პირველი ნაწარმოები ავტორისა, რომელსაც ჯერ არავინ იცნობს და ვერ მიხვდები, რა მოელის. აბა, რა საჭიროა ელოლიავო ვიღაც ახალბედას და ხოტბა შეასხა?! მფარველიც არ ჰყავს, რომ ასიამოვნო. თქვენ არავინ გთხოვთ, ზელოტებო, შესძახოთ: „აი, გონების შედევრი!.. ასეთ მწვერვალებამდე კაცობრიობას ჯერ არ მიუღწევია!.. აი, თურმე სადამდე შეიძლება ამაღლდეს სიტყვა! ამიერიდან ეს ნაწარმოები იქცევა გემოვნების საზომად!“ ასეთი აღტაცება გადაჭარბებულია, მეტად არასასიამოვნო და ისეთი სუნი უდის, გეგონება, ამის მთქმელს პენსიის ან სააბატოს მიღება უნდაო. ზიანი ბლომად მოაქვს თვით იმისთვის, ვინც საქებია და ვისი ქებაც სურთ სხვებს. განა არ ჯობდა თავის დროზე უბრალოდ გეთქვათ, რა კარგი წიგნიაო. ახლა კი ამბობთ ამას, აცხადებთ მთელ საფრანგეთთან, თქვენს თანამემამულეებთან და უცხოელებთან ერთად, როდესაც იგი გამოიცა მთელს ევროპაში, ითარგმნა მრავალ ენაზე. მაგრამ უკვე გვიანია.

22

ზოგიერთი წაიკითხავს რაიმე წიგნს და ისეთ ადგილებს მოიყვანს იქიდან, რომელთა აზრი ვერ გაუგია, თან თავისებურად გარდაუქმნია და შეურყვნია. ამგვარ ადგილებს, სახეშეცვლილსა და შებღალულს, რაიც სხვა არაფერია, თუ არა თვით მისივე აზრები და გამოთქმები, სამსჯავროზე გამოიტანს, აცხადებს, უმსგავსოაო და ყველა კვერს უკრავს. მაგრამ ის ნაწყვეტიც კი, ასეთი ჯურის კრიტიკოსს ციტატად რომ მოჰყავს, ან რომ ჰგონია, მომყავსო, მაინც არ კარგავს თავის ღირსებას.

23

„რას იტყვით ერმოდორის წიგნზე?“ „უვარგისია, — უპასუხებს ანტიმი, — დიახ, უვარგისია! ისეთი ცუდია, — განაგრძობს იგი, — წიგნადაც არ ჩაითვლება და მისი ხსნებაც კი სათაკილოდ მიმაჩნია“. „წაიკითხეთ?“ „არა“, — მიუგებს ანტიმი. ნეტავ რატომ არ ღასძინა ისიც, რომ ფულვიმა და მელანიმაც ხელაღებით განაქიქეს წიგნი, თუმცა თვალიც არ მოუკრავთ მისთვის, ხოლო თვითონ ფულვისა და მელანის მეგობარია?

24

არსენი თავისი მაღალფარდოვნების მწვერვალიდან დასცქერის ხალხს. იმდენად დაბლა დგანან და შორს არიან ისინი, რომ მათი სიპატარავე თავზარსა სცემს. რაკი ხოტბას ასხამენ, გუნდრუკს უკმევენ და ცამდე აჰყავთ ადამიანებს, რომელთაც პირი შეუკრავთ ერთმანეთს ქება-დიდება არ მოაკლონ, მცირეოდენი ღირსებებით შემკულ არსენს ჰგონია, თითქოსდა დაჯილდოებულია ყველა ამქვეყნიური სიკეთით, რაიც არ გააჩნია. საკუთარ აზრთა სიდიადით მოხიბლული და დარეტიანებული ძლივძლივობით პოულობს დროს გადმოაფრქვიოს წინასწარმეტყველური ქადაგებანი. ისე ზეამაღლებულა და განდგომია ჩვეულებრივ ადამიანთა მსჯელობას, რომ თავდაჭერილი და ერთფეროვანი არსებობა უბრალო მოკვდავთათვის დაუთმია, ხოლო თავისი ხუშტურიანი ხასიათის გამო პასუ-

ხისმგებლობას გრძნობს მარტოოდენ თაყვანისმცემელ მეგობართა წინაშე, რამეთუ მათ და მხოლოდ მათ მომადლებიათ ნიჭი საღი განსჯისა, აზროვნებისა; კალამიც მარტო მათ უჭრით და მარტო მათ იციან, რა წერონ, როგორ წერონ. არ არსებობს გონების სხვა ნამოქმედარი, თუნდაც საზოგადოების მიერ ერთსულოვნად მოწონებული, რაიც მას არამცთუ შეექოს, წაკითხვის ღირსად ჩაეთვალოს. არსენს ვერც ეს პორტრეტი გამოასწორებს, სულ ერთია არ წაიკითხავს.

25

თეოკრინმა ბევრი რამ იცის საკმაოდ უსარგებლო. აზრებიც მეტად უცნაური აქვს. უფრო მეთოდურია, ვიდრე ღრმა. ფონსაც მეხსიერებით გადის. მსჯელობს განყენებულად, ქედმაღალია და დასცინის ყველას, ვინც ჯეროვნად ვერ აფასებს მის შემოქმედებას. ბედნიერება მქონდა მისთვის ჩემი ნაშრომი წამეკითხა. ზომისმინა. კითხვა დავასრულე თუ არა, წამსვე თავის ნაწერებზე დაიწყო ლაპარაკი. ჰო, მაგრამ, თქვენს წიგნზე რა თქვა? — შემეკითხებით თქვენ. აკი მოგახსენეთ, თავის ნაწერებზე დაიწყო ლაპარაკი.

26

რაც უნდ უზადო იყოს ნაწარმოები, მისგან კრიტიკა აღარაფერს დატოვებს, თუკი მწერალი დაუჯერებს კრიტიკოსებს და ყურად იღებს მათ აზრს, რამეთუ თითოეული მათგანი მოითხოვს, ამოიღოს ის ადგილი, რაც ყველაზე ნაკლებ მოეწონა.

27

ცნობილია, რომ თუ ათი კაცი მოითხოვს ავტორმა წიგნიდან ამოშალოს რაიმე გამოთქმა ან აზრი, მაშინვე გაჩნდება ასევე ათი კაცი, ვინც მის დატოვებას ბრძანებს: „რატომ უნდა ამოვიღოთ ეგ აზრი? იგი ახალია, საუცხოო და შესანიშნავადაც გამოთქმული“. პირველნი კი, პირიქით, ამტკიცებენ, ჩვენ ამ აზრს ან გვერდს ავუვლიდით, ან სხვანაირად გამოვთქვამდითო. „თქვენს ნაშრომში, — ამბობენ ერთნი, — არის კარგად მიგნებული სიტყვა, რაც ხატოვ-

ნად, ზედმიწევნით ზუსტად გადმოსცემს აზრს“. „ეგ სიტყვა, — ამბობენ მეორენი, — მეტისმეტად გაბედულადაა ნათქვამი და სრულიად შეუსაბამოა იმ აზრისთვის, რაიც, ალბათ, გსურდათ გადმოგეცათ“. სწორედ ერთსა და იმავე ადგილზე, ერთსა და იმავე სიტყვაზე დაობენ ეს მამაცხონებულები; ყველანი კი მცოდნე პიროვნებანი არიან, ან ითვლებიან მცოდნეებად. სხვა რა გზა დარჩენია ავტორს? გამბედაობა მოიკრიბოს და დაეთანხმოს მათ, ვინც აქებს მის ნაწარმოებს.

28

გონიერი მწერალი ვალდებული როდია ყურადღება მიაქციოს აბდაუბდა, ბინძურსა და უხეირო კრიტიკას, ნაწარმოებიდან მოყვანილი ზოგიერთი ადგილის სულელურ განმარტებას. მან არამც და არამც არ უნდა ამოიღოს ეს ადგილები და უნდა სწამდეს, რაც უნდ რუდუნებით იყოს დაწერილი წიგნი, მწერალი მაინც ვერ ასცდება ენაჭარტალათა დაცინვას, განსაკუთრებით კი განქიქებას იმისა, რაც საუკეთესოა მის ნაწარმოებში.

29

მგზნებარებითა და სითამამით სავსე ზოგიერთ ადამიანს თუ დავუჯერებთ, გრძნობათა გამოსახატავად სიტყვები ზედმეტია. მათთვის მარტოოდენ მინიშნებაა საკმარისი, უსიტყვო ურთიერთგაგება. რაც უნდ სხარტად და მოქნილად წერდე, და ასეთივე სტილის მწერლადაც ითვლებოდე, მაინც ბუნდოვნად და გაჭიანურებულად ჩაგითვლიან ნაწარმოებს. მათ უნდა მისცე საშუალება შეავსონ შენი წიგნი; მხოლოდ მათთვის უნდა წერო. პირველი სიტყვით შეგიცვლიან მთელ ხანას, ხოლო ერთი ხანით მთელ თავს. წაუკითხეთ მათ რომელიმე ადგილი თქვენი ნაწარმოებიდან: სრულიად საკმარისია. დანარჩენი ნათელია, ცხადზე უცხადესი! გამოცანების კრებული თავშესაქცევი წიგნი იქნებოდა მათთვის! ძალიან წუხან, რომ ესოდენ ამაღელვებელი, დასახიჩრებული სტილი იშვიათია და ცოტა მწერალი ეტანება. თუ რაიმე შეადარე მდინარეს, რომლის დინება თუმცა სწრაფია, მაგრამ თანაბარი და ერთფეროვანი, ანდა ცეცხლს, ქარს რომ გაუტაცია, ტყეში შეჭრილა

და ხანძრად მოსდებია მუხებსა და ფიჭვებს, ასეთ შედარებებში ისინი მჭევრმეტყველების ნატამალსაც ვერ იპოვიან. განაცვიფრეთ მოგიზგიზე კოცონით, დააბრმავეთ ელვის სიკაშკაშით და მაშინ იტყვიან, რა მშვენიერი და გონივრული ნაწერიაო.

30

რაოდენ დიდია განსხვავება ნატიფი გემოვნებით დაწერილსა და სრულქმნილ ან სანიმუშო ნაწარმოებთა შორის! არ ვიცი, თუ არსებობს სადმე უნაკლო თხზულება. იშვიათი ნიჭით დაჯილდოებულ მწერალსაც კი, ალბათ, ისე არ უჭირს შექმნას დიადი და წარმტაცი ნაწარმოები, როგორც მასში არ დაუშვას ყოველგვარი ხასიათის შეცდომები. „სიდის“ დაბადებას ხალხი ერთსულოვანი აღტაცებით შეხვდა. იგი ძლიერი აღმოჩნდა ხელისუფლებაზე და პოლიტიკაზე, რომლებიც ამაოდ დაშვრნენ მის გასანადგურებლად. ამ ქმნილების დასაცავად გაერთიანდნენ ისინიც კი, ვინც ერთმანეთისგან განსხვავდებოდა აზრითა და შეხედულებებით, — დიდგვაროვანნი და მდაბიონი. ყველამ ზეპირად იცოდა პიესა და წარმოდგენის დროს მსახიობებს კარნახობდა: ერთი სიტყვით, „სიდი“ ერთ-ერთი უმშვენიერესი თხზულებაა და მაინც კრიტიკულ წერილებში არც ერთი ნაწარმოები ისე საფუძვლიანად არასოდეს გაურჩევიათ, როგორც განიხილავდნენ „სიდს“.

31

როს წიგნის კითხვა აღამაღლებს თქვენს სულს და შთაგაგონებთ კეთილშობილსა და ვაჟკაცურ გრძნობებს, ნუღარ მოჰყვებით ჭკუის ჭყლეტას და რაღაც-რაღაც კანონებს ნუ დაუწყებთ ძებნას მის შესაფასებლად: წიგნი მშვენიერია და ოსტატის ხელითაა შექმნილი.

32

კაპისი სიტყვაკაზმულობის მსაჯულად თავის თავს თვლის და ჰგონია, წერს ისე, ვით ბუჰური და რაბიუტენი. იგი მთელ საზოგადოებას ამხედრებია და მხოლოდშთენილი ამტკიცებს, დამისი კარგი მწერალი არ არისო. დამისი კი ხალხს აჰყოლია და ალალმართლად აცხადებს, მოსაწყენი მწერალიაო კაპისი.

33

საგაზეთო ქრონიკების ავტორის მოვალეობაა ხალხს აუწყოს: გამოვიდა ესა და ეს წიგნი, გამოსცა კრამუაზიმ, დაბეჭდილია მშვენიერ ქაღალდზე, ასეთი და ასეთი შრიფტით, ღირს ამდენი და ამდენიო. ისიც კი უნდა იცოდეს, რა აწერია იმ დუქნის აბრას, სადაც წიგნი იყიდება. მას კი ერთი სიგიჟე დამართნია: წიგნის გაკრიტიკება მოუნდომებია.

ქრონიკის ოსტატის უმაღლესი საქმიანობა პოლიტიკაზე ფუჭილაყბობა გახლავთ.

გამოჩხრეკს ახალ ამბებს, განერთხობა ზედ და ტკბილად იძინებს. ახალი ამბები კი ღამით ობდება და გამოიღვიძებს თუ არა, უნდა გადააგდოს.

34

ფილოსოფოსი სიცოცხლეს ალევს ადამიანებზე დაკვირვებას, თავს არ იზოგავს, რათა შეიცნოს მათი მანკიერება და სისუსტე, აზრებს დახვეწილად გადმოსცემს არა პატივმოყვარეობის გამო, არამედ სურს ისე მოჰფინოს შუქი მის მიერ აღმოჩენილ ჭეშმარიტებას, რომ სხვებზე სათანადო შთაბეჭდილება მოახდინოს. ზოგ მკითხველს კი სწამს, თითქოსდა დიდ პატივს დებს ფილოსოფოსს, როცა ყოყოჩურად აცხადებს, მისი წიგნი წავიკითხე და არცთუ უჭკუოდ არისო დაწერილი. ფილოსოფოსი არაფრად დაგიდევთ აქადაგვარ ხოტბას. მას არც უშრომია ამისთვის და არც ღამეები უთევია. მისი მისწრაფება გაცილებით დიდია და მიზანი ამაღლებული. რა ბედენაა ქება-დიდება, ანდა მადლობა?! იგი ილტვის, მოიპოვოს გაცილებით მეტი და იშვიათი წარმატება,— გამოასწოროს ადამიანები.

35

სულელები კითხულობენ წიგნს და ვერაფერს იგებენ. არცთუ დიდად ჭკვიანს ჰგონია ყველაფერი შესანიშნავად ესმის. მაღალი გონების კაცისთვის კი ზოგჯერ ყველაფერი როდია გასაგები. ბუნდოვან აზრებს ბუნდოვნად მიიჩნევს, ნათელს კი ნათლად.

ჰკუისმჭყლეტელნი ისწრაფიან ბუნდოვნად ჩათვალონ ის, რაც ნათელია და გაუგებრად — რაც გასაგებია.

36

ამაოდ ცდილობს მწერალი თავისი ნაწარმოებით აღტაცება გამოიწვიოს. სულელები ხანდახან აღტაცებაში მოდიან, მაგრამ ვაი, რომ სულელები არიან! გონიერ ადამიანებში გაღვივებულია ყოველგვარი ჰეშმარიტებისა და შეგრძნებობის თესლი; მათთვის ახალი არაფერია, აღტაცება არა სჩვევიათ, ისინი იწონებენ.

37

ვერ წარმომიდგენია, თუ შეიძლება წერილები დაიწეროს უფრო გონებამახვილურად, უფრო ნატიფად, უფრო წარმტაცად და მოქნილად, ვიდრე წერდნენ ბალზაკი და ვუატიური. მათ არ ახასიათებთ მგრძნობიარობა, რაც შემდეგ გაბატონდა და რაც ქალებს უნდა უმადლოდეს თავის აღმოცენებას. ამ ჟანრში მდედრობით სქესს ვერ გავუტოლდებით. კალმის ერთი მოსმით თხზავენ ისეთ სიტყვებსა და გამოთქმებს, რასაც ჩვენ დიდი ოფლის ღვრისა და თავისტეხის შედეგად თუ ვპოულობთ. რაც უნდ გაცვეთილი იყოს სიტყვები, ქალები ისე ალღოიანად შეარჩევენ ხოლმე, ისე იღბლიანად განალაგებენ, რომ სიახლის მომხიბვლელობით მოსავენ და კიდევაც გეგონებათ, სწორედ იმისთვის შეთხზულან, რომ ზუსტად ამ ადგილას მოთავსებულიყვნენო. მხოლოდ და მხოლოდ ქალებს ძალუძთ ერთ სიტყვაში გადმოსცენ გრძნობის სიღრმე და დახვეწილად გამოხატონ ნატიფი აზრი. სიტყვები მათი ბუნებრივად და ლაღად მოედინება, უბადლო ოსტატობითაა აკინძული და აზრით შედეღაბებული. აი, ენა რომ ყოველთვის გამართული ჰქონდეთ, გავბედავდი და ვიტყოდი, ჩვენს მწერლობაში ზოგიერთი მათგანის წერილების დარს ვერაფერს ვიპოვიდით-მეთქი.

38

ტერენციუსს ხინჯს ვერ მოვუძებნიდით, ცოტა გულცივი რომ არ ყოფილიყო. მაგიერ რა სიწმინდეა! რა სიზუსტე! რა სიფაქიზე!

რა ხასიათები! მოლიერი უზადო იქნებოდა, მდაბიოთა უხეში გამოთქმები რომ არ ეხმარა და ენის სიწმინდისთვის მეტი ეზრუნა! რა მგზნებარებაა! რა უშუალობა! რა დაუშრეტელი ენაკვიმატობა! რარიგ გადმოსცემდა ზნე-ჩვეულებებს! რა სახეებს ქმნიდა! რა ღვართქაფად იღვრებოდა სისულელის გამასხრება! რა მწერალი იქნებოდა, ეს ორი კომედიოგრაფი ერთად რომ გაერთიანებულიყო!

39

წავიკითხე მალერბი და ტეოფილი. ორთავე კარგად იცნობდა სინამდვილეს, იმ განსხვავებით, რომ პირველი ხატოვანი და თანაბარი სტილით აღწერს ყოველივეს, რაც უმშვენიერესია, უკეთილშობილესი, ყველაზე უშუალო და მარტივი. იგი ხატავს ცხოვრებას და თან მემატიანეა მისი. მეორე კი არაფერს დაგიდევს, რაც მოხვდება, იმას წერს, არცთუ სიზუსტეზე იკლავს თავს. ლაღად და ჰაიჰარად უსვამს კალამს. ერთი რამის აღწერას ხან სულამდე ჩაჰყვება, ერთ წვრილმანსაც არ გამოტოვებს, — მაშინ იგი ანატომია. ზოგჯერ კი რაღაცას თხზავს, აზვიადებს, სინამდვილის საზღვრებს სცილდება, — მაშინ იგი რომანისტად წარმოგვიდგება.

40

რონსარს და ბალზაკს, თითოეულს თავისებურად, ავიც ახასიათებდათ და კარგიც, რამაც ჯეროვნად შეუწყო ხელი იმას, რომ მათ შემდეგ კალმის უდიდესი ოსტატები მოგვევლინენ პროზაშიაც და პოეზიაშიც.

41

მაროს ისეთი სტილი და წერის მანერა აქვს, რომ გეგონებათ, უშუალოდ რონსარის შემდეგ დაიწყოო წერა. ჩვენგან სხვა არაფრით განსხვავდება, თუ არა ზოგიერთი სიტყვით.

42

რონსარმა და მისი დროის მწერლებმა ფრანგულ სიტყვიერებას ზიანი მეტი მოუტანეს, ვიდრე სიკეთე. შეაფერხეს მისი წინსვლა. კინაღამ სამუდამოდ არ აუბნიეს თავგზა. პირდაპირ საოცარია, რომ

შაროს ესოდენ ჰაეროვანმა და ძალდაუტანებლად დაწერილმა თხზულებებმა ვერ შეძლეს მგზნებარებითა და შთაგონებით აღვსილი რონსარი უფრო დიდი პოეტი გაეხადათ, ვიდრე იყვნენ რონსარი და მარო. ხოლო ბელოს, ჟოდელსა და დიუბარტასს ფეხდაფეხ მოჰყვნენ რაკანი და მალერბი და თითქმის შელახული ჩვენი ენა წელში გაიმართა.

43

მარომ და რაბლემ მიუტევებელი შეცდომა დაუშვეს, თავიანთი შემოქმედება უხამსობით აღავსეს: ორთავე ისეთი თვითმყოფადი ნიჭით იყო დაჯილდოებული, რომ შეეძლოთ უიმისოდაც იოლად გასულიყვნენ თვით იმათ თვალშიაც კი, ვინც ამჯობინებს, მწერალმა გააცინოს, ვიდრე აღტაცებაში მოიყვანოს. განსაკუთრებით ძნელად გასაგები რაბლე გახლავთ; მისი წიგნი გამოცანაა, ვინც რა უნდა თქვას, აუხსნელი გამოცანაა; იგი ქიმერაა, მზეთუნახავი, რომელსაც ფეხები და ბოლო გველისა ან უფრო ლირწი ცხოველისა აქვს. მისი წიგნი ამაღლებული, ნატიფი მორალისა და ბინძური მანკიერების შემზარავი ნარევია. სადაც რაბლე უვარგისია, ყოველგვარ საზღვარს სცილდება: ეს რაღაც საშინელი სიბილწეა, უგუნურთა გასართობად განკუთვნილი. სადაც რაბლე მშვენიერია, უზადოა და შეუდარებელი, ნუგბარზე ნუგბარი კერძია.

44

ორმა მწერალმა თავიანთ შრომებში გაკიცხა მონტენი; არც მე მგონია იგი მაინცდამაინც უზადო იყოს, მაგრამ, ჩანს, ამ მწერლებს მონტენი სულ არაფრად მიაჩნდათ. ერთი მათგანი აზროვნებით ვერ დაიკვეხნიდა და რას გაუგებდა მწერალს, რომელიც ბევრს აზროვნებს. მეორეს აზროვნება კი ისე ნატიფია, რომ ვერ ეგუება ესოდენ ბუნებრივ აზროვნებას.

45

თავდაჭერილი, სერიოზული, გულმოდგინედ დამუშავებული წერის მანერა მწერალს დიდხანს უნარჩუნებს სახელს: ახლაც იკითხება ამიო და კოეფეტო. აბა ვინ კითხულობს მათ თანამედროვეთ? ბალზაკი თავისი გამოთქმებითა და სიტყვების შერჩევით

ჩვენთან უფრო ახლოა, ვიდრე ვუატიური, მაგრამ ეს უკანასკნელი თავისი სიტყვიერი მარაგით, სულიერი განწყობილებითა და არაბუნებრიობით თუ თანამედროვედ არ ჩაითვლება, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი მწერლებისთვის უფრო იოლი იყო უგულებელ-ეყოთ იგი, ვიდრე მიებაძათ მისთვის. ის მცირერიცხოვანი ჯგუფიც, ვუატიურის მიმდევრებად რომ ითვლება, ვერ გაუტოლდება მას.

46

ვერ ვიტყვით „გ. მ." არაფრად ვარგაო, უფრო უარესია. თუმცა მისი მსგავსი, იცოცხლე, სხვაც ბევრია. კაცი ყოველთვის გამდიდრდება სულელური წიგნის გამოცემით, სანამ არ გამოლეულა მისი სულელი მყიდველი. ხალხის გემოვნება თუ იცი, რა დიდი ცოდვაა, ზოგჯერ ჩმახი რამ მიაჩეჩო ხელში.

47

ყველასთვის ნათელია, რომ ოპერა დიდი სპექტაკლის მონახაზია, მხოლოდ მისი იდეაა.

ვერ გამიგია, რატომ ხდება, რომ ოპერა, რომელშიაც ესოდენ წარმტაცია მუსიკა და მეფური ბრწყინვალებითაა დადგმული, მაინც მგვრის მოწყენილობას. ზოგიერთი სცენა გინდა მთლად შეცვალო. ზოგჯერ კი ერთი სული გაქვს, მორჩეს და დამთავრდეს. ეს იმის ბრალია, რომ სათანადოდ არც თეატრალური ეფექტებია გამოყენებული, მოქმედებაც დუნეა და არც არაფერი გიტაცებს.

ჯერჯერობით ოპერა პოემად ვერ იქცა, იგი ლექსის ცალკეული ნაწყვეტია მხოლოდ. მას შემდეგ, რაც ამფიონისა და მისი დამქაშების წყალობით თეატრალური მანქანები მოსპეს, ოპერამ დაკარგა თავისი სახე. დღეს ეს კონცერტია ან კიდევ სიმღერა საკრავების თანხლებით. ვინც ამტკიცებს, თეატრალური მანქანები ბავშვების თავშესაქცევია ან მარიონეტების თეატრისთვისაა მარტოოდენ საჭიროო, ხალხს ატყუებს და მდარე გემოვნებას უნერგავს: მანქანები თეატრალურ პირობითობას ეშხს მატებენ, ამშვენიერებენ, მაყურებელს უქმნიან ტკბილ ილუზიას, ურომლისოდაც თეატრი, ამ მხრივ ჯერ კიდევ ჯადოსნური სანახაობა, ხიბლს ჰკარგავს. „ბერენისებსა" და „პენელოპეს" სულაც არ სჭირდებათ არც

გაფრენა, არც ეტლები, არც გარდაქმნები; ეს აუცილებელია მხოლოდ ოპერისთვის, რომლის დანიშნულებაცაა ერთნაირად მოაჯადოოს გონება, თვალი და ყური.

48

ამ ფუსფუსა ხალხმა შექმნა აქ თეატრი, მანქანები, ბალეტი, ლექსები, მუსიკა, მთელი სპექტაკლი, თვით დარბაზიც კი, სადაც წარმოდგენა იდგმება, სახურავი, კედლები, საძირკველი, — მათი ნამოქმედარია. აბა ვის ეპარება ეჭვი, რომ წყალზე გამართული ნადირობა, ჯადოსნური სუფრა[1], სასწაული ლაბირინთში,[2] მათივე გამოგონება არ არის? ეს მაფიქრებინა მათმა ფაცი-ფუცმა, და მათ სახეზე მოფენილმა კმაყოფილმა იერმა, როცა დამსწრე საზოგადოება აღტაცებას გამოთქვამდა ამ სანახაობის გამო. თუ ვცდები და მათ ხელი არ ურევიათ ესოდენ საუცხოო, წარმტაც და ხანგრძლივ ზეიმში, თუ ამის პროექტი მხოლოდ ერთ კაცს შეუდგენია და ხარჯებიც თავად გაუღია, მაშინ ორი რამ მანცვიფრებს: ყოველივე ამის შემქმნელის მშვიდი გულგრილობა და შფოთიანი აურზაური იმისა, ვისაც არაფერი გაუკეთებია.

49

საქმის მცოდნეთ ან მათ, ვინც თავს ასეთად მიიჩნევს, საბოლოო და გადამწყვეტი განაჩენი გამოაქვთ თეატრალურ წარმოდგენებზე და თან პოზიციებს იმაგრებენ, იყოფიან საწინააღმდეგო პარტიებად. თითოეული პარტია, გამსჭვალულია არა ხალხის ან სამართლიანობის ინტერესებით, არამედ რაღაც სხვა მოსაზრებით, ხოტბას ასხამს ერთ რომელიმე პოეტურ ან მუსიკალურ ნაწარმოებს და სხვა დანარჩენს სტვენით ხვდება. თავიანთ შეხედულებებს ისეთი მგზნებარებით იცავენ, რომ ერთნაირად აყენებენ ზიანს, როგორც მოწინააღმდეგეთა ბანაკს, ისე საკუთარ დაჯგუფებას. ათასგვარი დაბრკოლების შექმნით ფარ-ხმალს აყრევინებენ პოეტებსა და მუსიკოსებს, აფერხებენ მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარებას და მათ ნაყოფს დამწიფებას არ აცლიან, რადგან აღარ

[1] შანტილის ტყეში სადილი ნადირობის ჟამს.

[2] განსაკუთრებული გემოვნებით გაწყობილი საუზმე შანტილის ლაბირინთში.

არსებობს თავისუფალი შეჯიბრი ჭეშმარიტი ნიჭით დაჯილდოებულ ოსტატთა შორის, როს თითოეული მათგანი მოწოდებისა და შესაძ-ლებლობის შესაბამისად შექმნიდა უმშვენიერეს ნაწარმოებს.

50

მაყურებელი თეატრში თავისუფლად რად იცინის, როცა ტირი-ლის რცხვენია?.. განა ადამიანს არ შესწევს უნარი საცოდაობაზე გული აუჩუყდეს და მარტო ის ძალუძს, სასაცილოზე სიცილით გა-იჭაჭოს?.. იქნებ თავს იმიტომ ვიკავებთ, ვაითუ სახე დაგვემანჭოსო? მაგრამ უსაშველოდ ხარხარი უფრო ამახინჯებს სახეს, ვიდრე მწუ-ხარება; ამიტომაა სიცილის დროს, პირს რომ მივიბრუნებთ ხოლ-მე დიდებულთა და პატივსაცემ პიროვნებათა წინაშე. განა სა-მარცხვინოა ვინმემ შეგვნიშნოს, რარიგ გულჩვილნი ვართ, რარიგ სუსტნი, განსაკუთრებით მაშინ, როცა გრძნობა გვერევა მოგონი-ლი ამბის გამო, აქაოდა არავინ იფიქროს ისე ყეყეჩი ვართ, ნამდვი-ლი გვეგონაო. მოდით, ნურაფერს ვიტყვით დიდად სერიოზულსა და ღრმად მოაზროვნე პიროვნებებზე, რომელთაც სისუსტედ მიაჩ-ნიათ ხარხარიცა და ცრემლის ღვრაც, და თავიანთ თავს უკრძალა-ვენ ერთსაც და მეორესაც; აბა რას უნდა მოველოდეთ ტრაგიკული სცენიდან? გაგვაცინოს? განა ტრაგიკული სახეები ისევე არ წარ-მოსახავენ სინამდვილეს, როგორც კომიკური? განა შესაძლოა ჩას-წვდე ერთი ან მეორე ჟანრის რაობას, თუ არ აღელდი?.. განა ისე იოლია ჩვენი დაკმაყოფილება, რომ არც კი მოვითხოვოთ, თეატრი სიმართლეს ბაძავდეს? უცნაურობად არავის ეჩვენება, როცა რომე-ლიმე კომიკური სცენის დროს მთელი ამფითეატრი უეცრად ახორ-ხოცდება, ყველას ერთად აუტყდება ხარხარი, ესე იგი, კომედია თავშესაქცევია და კარგადაც სრულდება. სწორედ ამაზევე მეტყვე-ლებს დიდის გაჭირვებით შეკავებული ცრემლი და ნაძალადევი ღიმილი, რითაც ცდილობენ დამალონ მოწოლილი განცდები. ეს გახლავთ ნათელი საბუთი იმისა, რომ დიდი ტრაგედიის ბუნებრი-ვი შედეგია ცრემლთა ღვრა და მაყურებლები ყოველგვარი დარ-ცხვენის გარეშე, ერთმანეთისგან დაუფარავად უნდა იწმენდნენ ცრემლს. ამასთან ერთად, მაყურებელი როგორც კი თავისუფლად მიეცემა მღელვარე განცდებს, მყისვე იგრძნობს, რომ ხშირად

ცრემლთა ფრქვევა კი არ ემუქრება, არამედ საშიშროება — მოწყენილობით სული არ განუტევოს.

51

ტრაგედია დასაწყისიდანვე გულს გიკუმშავს. სულის მოთქმასა და გონზე მოსვლას არ გაცდის და თუკი ოდნავ შეგასვენებს, მხოლოდ იმიტომ, რომ ხელახლა ჩაგჩეხოს ახალ უფსკრულებში, კვლავ შეგაშფოთოს და აგაწრიალოს. სიბრალულის გზით შემზარავისკენ მიჰყავხარ, ანდა პირიქით, სიბრალულისკენ — შემზარავი გზით. ცრემლთა ღვრით, ქვითინით, ყოყმანით, იმედით, შიშით, გაოცებით, შეძრწუნებით უახლოვდები კატასტროფას. როგორც ვხედავთ, ტრაგედია არ გახლავთ ერთმანეთში გადახლართული ლამაზი გრძნობები, სიყვარულის ნეტარი აღიარება, სატრფიალო ურთიერთობა, საამური პორტრეტები, დაშაქრული ან თავშესაქცევი, სასაცილო სიტყვა-პასუხი, რაც იმით მთავრდება, რომ შეთქმულებს არაფრის გაგონება არ სურთ და უხერხულობის თავიდან ასაცილებლად იღვრება სისხლი ვიღაც უბედურ დღეზე გაჩენილისა, სიცოცხლის ფასად რომ უჯდება ეს ყველაფერი.

52

საკმარისი არ გახლავთ, თუ კომიკურ პერსონაჟთა ჩვევები თავისი უხამსობით ზიზღს არ იწვევს. ამასთან ერთად, ზნეობრივად ამაღლებული და ჭკუის სასწავლებელიც უნდა იყოს. სასაცილო შეიძლება მოგვევლინოს ისე დამდაბლებული და უხეში სახით, ისე უაზრო და არაფრის მთქმელი, რომ პოეტს არ ეგების მასზე ყურადღება შეაჩეროს, ხოლო მაყურებელს — გაერთოს იმით. ფარსების მთხზველს შეუძლია რამდენიმე სცენაში გამოიყვანოს ვიღაც გლეხუჯა ან ლოთბაზარა, მაგრამ ჭეშმარიტ კომედიაში მათთვის ადგილი არ მოიძებნება. განა დასაშვებია ისინი წარმოადგენდნენ კომედიის ძირითად არსს და მამოძრავებელ ძალას? მეტყვიან, ასეთი ხასიათები სინამდვილეში გვხვდებაო. მაგ აზრს რომ გავყვეთ, მთელმა ამფითეატრმა უნდა უმზიროს ლაქიას, რომელიც სულ უსტვენს, ხალათში გახვეულ ავადმყოფს, ან ლოთს, რომელიც

ხვრინავს ან არწყევს? განა სინამდვლეში არ გვხვდებიან ასეთები? კოკობზიკას სჩვევია გვიან ადგეს, დღის ერთი ნაწილი სარკის წინ იტრიალოს; მორთვა-მოკაზმვას გადაგებულმა სუნამო დაიპკუროს, ხალები დაიხატოს, ბარათები მიიღოს და პასუხი გასცეს. ავდგეთ და მსახიობი ამ როლში გამოვიყვანოთ; რაც მეტ დროს დავუთმობთ ერთსა თუ ორ მოქმედებას, მით უფრო ბუნებრივი იქნება და დედანსაც არ მოსცილდება, მაგრამ ამავე დროს მოსაწყენი და უფერული პიესა შეგვრჩება ხელში.

53

რომანსა და კომედიას იმდენივე სიკეთის მოტანა შეეძლოთ, რამდენ ზიანსაც გვაყენებენ: მათში იმდენ ამაღლებულ მაგალითს ვხვდებით ერთგულებისა, სათნოებისა, სინაზისა და უანგარობისა, ისეთ მშვენიერსა და კეთილშობილ ხასიათებს, რომ ყმაწვილი ქალი თვალს ირგვლივ ამ მწვერვალებიდან როს მოავლებს და დაინახავს მარტოოდენ უღირს ადამიანებს, რომლებიც განუზომლად დაბლა დგანან იმათზე, ვისაც ახლა შეჰფრფინვიდა წიგნის ფურცლებზე, რა თქმა უნდა, მათ მიმართ ვერ იქნება კეთილგანწყობილი

54

კორნელი უბადლოა იქ, სადაც მშვენიერია; იგი თვითმყოფადია და შეუდარებელი, მაგრამ ყოველთვის როდი უჭრის კალამი. მისი პირველი კომედიები მშრალი და გაჭიანურებული იყო და ვერავინ იფიქრებდა, თუ მათი ავტორი ასეთ მწვერვალებამდე აღზევდებოდა ისევე, როგორც მისი უკანასკნელი პიესების კითხვისას განცვიფრებაში მოდიხარ, რომ მათი შემქმნელი ასე ძირს დაეცა. თვით საუკეთესო პიესებშიც კი მოჩანს ის ნაკლი, რისი პატიებაც შეუძლებელია, — დეკლამატორის გატყლარჭული სტილი, რაიც მოქმედებას ანელებს და ამუხრუჭებს. ლექსებში და გამოთქმებში ისეთ დაუდევრობას იჩენს, რაც დიდოსტატს არ ეგების. ყველაზე მეტად გვატყვევებს კორნელის ბრწყინვალე გონება, რისი წყალობითაც შექმნა რამდენიმე უმშვენიერესი ლექსი, რომელთა მსგავსი მანამდე არავის წაუკითხავს; ამავე გონების ნაყოფია მისი ტრაგე-

დიების აგებულებაც, იმდენად თამამი, რომ ხანდახან ანტიკური ტრაგედიების კანონებიც კი დარღვეულია. აღსანიშნავია მისი პიესების დასასრულიც, სადაც ასევე არ ემორჩილება ბერძნების გემოვნებას და მათ დიად უბრალოებას. პირიქით, მას უყვარდა სცენაზე მოვლენების დახვავება, კვანძს კი ყოველთვის დიდი წარმატებით ხსნიდა. აღტაცებას განსაკუთრებით იწვევს ის, რომ უაღრესად მრავალფეროვანი იყო თავის მრავალრიცხოვან პიესებში; არც ერთი პიესა მეორეს არ ჰგავდა. რასინის ტრაგედიებში, დიახაც, მეტი ურთიერთმსგავსება იგრძნობა და ერთი და იგივე იდეის განმეორებაც; მაგრამ რასინი უფრო თავშეკავებულია, ყველგან ერთნაირად გამართული, ეს იქნება ჩანაფიქრი თუ ყოველთვის ნათელი და ჩამოყალიბებული, კეთილი აზრებით გამსჭვალული პიესების განვითარება, თუ მისი ესოდენ დახვეწილი ვერსიფიკაცია, მდიდარი ნატიფი, მრავალრიცხოვანი და ჰარმონიული რითმებით. იგი განუხრელად მიჰყვებოდა ანტიკური პოეტების მიერ გაკვალულ გზას, რუდუნებით ეძებდა აზრთა სიცხადესა და მოქმედების უბრალოებას. მაგრამ რასინს ისევე შეეძლო ყოფილიყო დიდებული და განსაცვიფრებელი, როგორც კორნელს არ აკლდა სითბო და აღტყინება. განა შეიძლება მეტი სინაზე, რაიც მიმოფანტულია „სიდის“, „პოლიევქტისა“ და „ჰორაციუსის“ ყოველ სტრიქონში. რა დიდებულნი, რა ამაღლებული სულის პატრონნი არიან მითრიდატე, პორუსი, ბურუსი! ჯერ კიდევ გარდასულ დროთა პოეტები ეტრფოდნენ ამგვარ ვნებებს, რომელთა სცენაზე განსახიერება უყვარდათ ტრაგიკოსებს, ვნებებს, რასაც ძრწოლასა და სიბრალულს უწოდებენ და რაც ესოდენ ახლობელი იყო ამ ორი პოეტისათვის. ამის საბუთია ორესტე რასინის „ანდრომაქედან“ და მისივე ფედრა, კორნელის ოიდიპოსი და ჰორაციუსი. და თუ ნებას მომცემდით ისინი ერთმანეთისთვის შემედარებინა, გამომერჩია ის განსაკუთრებული შტრიხები, რაც მათ შემოქმედებას ახასიათებდა და ხშირად იელვებდა ხოლმე მათ თხზულებებში, ასე ვიტყოდი: კორნელი გვაიძულებს დავემორჩილოთ მისი გმირების ხასიათებსა და მისწრაფებებს; რასინი ჩვენს ხასიათსა და მისწრაფებებს ემორჩილება. პირველი ადამიანებს ხატავს იმგვარს, როგორებიც უნდა იყვნენ, მეორე კი იმგვარს — როგორებიც არიან. პირველის გმირებს აღტაცებაში მოვყავართ და გვსურს მათ მივბაძოთ, მეორეს გმირებში

კი ვერაფერს იპოვი ისეთს, რაც სხვებისთვის ან საკუთარი თავისთვის არ შეგიმჩნევია. ერთი აღგვამაღლებს, გვანცვიფრებს, გვასწავლის, გვიმონებს; მეორე მოგვწონს, გვაღელვებს, გვათრთოლებს, სულში გვიძვრება. ის, რაც მშვენიერზე მშვენიერია, კეთილშობილზე კეთილშობილი და ძლიერზე უძლიერესი გონებაში, აღწერილია პირველის მიერ, ხოლო მეორე გადმოგვცემს იმას, რაც ტკბილზე უტკბილესია, ფაქიზზე უფაქიზესი ადამიანთა გრძნობებში. ერთს იტაცებდა შეგონებანი, წესების ქადაგება და რჩევა-დარიგება, მეორეს სულიერი მიდრეკილებანი და ვნებები. კორნელის პიესები გონებას იპყრობს, რასინისა კი გვაძრწუნებს და გულს გვიჩუყებს. კორნელი მომთხოვნელია, რასინი — დამყოლი. ასე ვიტყოდი: ერთი ბაძავს სოფოკლეს, მეორე ევრიპიდეს მიმდევარია.

55

თუ კაცი გაჭიანურებულად ლაპარაკობს, ღობე-ყორეს ედება და ხელებს უმოწყალოდ იქნევს, ისე გაჰკივის, რომ ხმა ეხლიჩება, ლამის ფილტვები გაუსკდეს, ხალხი მას მჭევრმეტყველს უწოდებს. პედანტებს ჰგონიათ, ასეთი ნიჭი მხოლოდ ორატორებს აქვთ მომადლებული და მჭევრმეტყველება ვერ გაურჩევიათ სიტყვების რახარუხისგან, სახეების დახვავებისა და დამრგვალებული ხანებისგან.

ლოგიკა, როგორც ჩანს, ჭეშმარიტების დამტკიცების უნარია, ხოლო მჭევრმეტყველება შინაგანი ძალაა, რითაც ვეუფლებით მსმენელის გულსა და გონებას, ვარწმუნებთ მას და შთავაგონებთ, რაც მოგვეპრიანება.

მჭევრმეტყველება მჟღავნდება საუბარში და მწერლობის ყველა ჟანრში. იშვიათად ვპოვებთ იქ, სადაც ვეძებთ, და ზოგჯერ სწორედ იქ იმალება, სადაც არ ვეძებთ.

მჭევრმეტყველება ისევე შეეფარდება ამაღლებულ სტილს, ვითარცა მთელი ნაწილს. რა არის ამაღლებული სტილი?.. ჩანს მისი განსაზღვრა ჯერ არავის მოუხერხებია. მხატვრული სახეა? იქნებ საერთოდ სახეებიდან არის წარმოშობილი, ან თუნდაც ზოგიერთი სახიდან? ამაღლებული სტილი მწერლობის ყველა ჟანრში გამოდგება თუ მარტოოდენ საგმირო თემას მიე-

სადაგება? ნუთუ დასაშვებია, რომ ეკლოგები უშუალო მშვენიერების გარდა, კიდევ სხვა რამითაც ბრწყინავდეს, ხოლო გულღია წერილებს, ვითარც საუბარს, სიფაქიზის გარდა, სხვა რამ ამშვენებდეს? ან იქნებ უშუალობა და სიფაქიზეა ამაღლებული სტილი თხზულებებისა, რასაც აგრერიგად ამკობენ ისინი? განა რა არის ამაღლებული სტილი? სად ვეძიოთ იგი?

სინონიმები სხვადასხვა სიტყვები და გამოთქმებია, ერთსა და იმავე ცნებას რომ გამოხატავენ. ანტითეზა დაპირისპირებაა ორი ჭეშმარიტების, ერთმანეთს რომ გამოკვეთენ. მეტაფორა ან შედარება ერთ ჭეშმარიტებას გადასცემს მეორე ჭეშმარიტებისაგან ნასესხებ ჩამოძერწილსა და დამაჯერებელ სახეს. ჰიპერბოლა გადაჭარბებულად წარმოგვიდგენს ჭეშმარიტებას, რათა უკეთ შევიცნოთ იგი. ამაღლებული სტილი ასახავს ჭეშმარიტებას, თუ თემა განსაკუთრებით კეთილშობილურია: იგი მას ასახავს მთლიანად, მიზეზებითა და შედეგებით, ყველაზე შესაფერისი გამომსახველია ანუ ხატია ჭეშმარიტებისა. შუალანა მოაზროვნენი ვერ პოულობენ ერთადერთ ზუსტ გამოთქმას და სინონიმებს იშველიებენ. ჭაბუკებს იზიდავთ ანტითეზათა ელვარება. გონებადამჯდარი ადამიანები, სახეების ზუსტი აღწერა რომ უყვართ, რა თქმა უნდა, შედარებებითა და მეტაფორებით მეტყველებენ. ფრთაშესხმული წარმოდგენებით აღტაცებული, მგზნებარე და ცხოველი აზროვნებით დაჯილდოებული შემოქმედნი არაფრად აგდებენ კანონებს, სიზუსტეს და ჰიპერბოლების ტყვეობაში ექცევიან. ამაღლებული სტილი კი საუფლოა უნიჭიერეს ადამიანთა შორის ყველაზე ამაღლებული და კეთილშობილი ტალანტებისა.

56

მწერალმა რომ ცხადად და გასაგებად წეროს, მკითხველის ადგილზე უნდა წარმოიდგინოს თავისი თავი; საკუთარ ნაწარმოებს ისე უნდა შეხედოს, თითქოს არც დაენახოს, სულ არ იცნობდეს, პირველად კითხულობდეს და ვალდებული იყოს აზრი გამოთქვას მასზე. მერე განიმსჭვალოს რწმენით, მისი თხზულება განა იმიტომ ვერ გაიგო მკითხველმა, რომ კაცს საერთოდ მხოლოდ თავის თავისა ესმის, არამედ იმიტომ, რომ მისი წიგნის გაგება მართლაც შეუძლებელი ყოფილა.

57

მწერალი იმიტომ წერს, რომ ყველასთვის გასაგები იყოს; მაგრამ უნდა წეროს ისეთი რამ, რაც გაგების ღირსია. რაღა თქმა უნდა, გამოთქმები ზუსტი უნდა იყოს, სიტყვები შესაბამისი, მაგრამ ისინი უნდა გადმოსცემდნენ კეთილშობილ, ცოცხალ, ნათელ აზრებს, გამსჭვალულს კეთილგონიერებით. რა ბედენაა, ან ვის რად უნდა, ცხადად და მკაფიოდ გამოხატო სისხლდაცლილი, უსარგებლო და მოძველებული აზრები. აბა რას არგებს მკითხველს უაზრო, გულუბრყვილო, მოსაწყენი და ათასჯერ გადაღეჭილი მოსაზრებებით გატენილი წიგნები, რომელთაც ადვილად და ძალდაუტანებლად იგებს? რად უნდა ესმოდეს ავტორის აზრები და მის ნაშრომზე თვლემდეს?

თუკი მწერალი იღვწის ღრმა აზრები ჩააქსოვოს თავის ნაწერებში, თუ ყოველ სიტყვას აჩუქურთმებს და აელვარებს, ხანდახან ზედმეტიც კი მოსდის, ეს ნიშანია იმისა, რომ მკითხველზე კარგი წარმოდგენა აქვს.

58

კითხულობ სხვადასხვა პარტიისა და დაჯგუფების მწერალთა წიგნებს და უკმაყოფილების გრძნობა გიპყრობს, რადგან ხედავ, სიმართლეს ღალატობენ. ფაქტები გაყალბებულია, დასაბუთება ღრმად არ არის გააზრებული და არც დაზუსტებული; ყველაზე მეტად კი მოთმინებას გაკარგვინებს ის, რომ უნდა იკითხო უთვალავი უხეში და უწმაწური გამოთქმები, რითაც ერთმანეთს მიმართავენ დარბაისელი ვაჟბატონები, ამა თუ იმ დოქტრინის პრინციპებისა და სადავო საკითხების დასაცავად, ერთმანეთს რომ პირადად შეურაცხყოფენ. ამგვარი ნაშრომები იმით გამოირჩევიან, რომ ერთხანს სრულიად დაუმსახურებლად გაითქვამენ სახელს და ისევე დაუმსახურებლად მივიწყებას ეძლევიან, როს ვნებათა ქარცეცხლი იფერფლება და მათში განხილული საკითხები შარშანდელ წელს ჰბარდება.

59

ერთნი სახელისა და დიდების ღირსნი არიან იმის გამო, რომ კარგად წერენ, მეორენი კი იმის გამო, რომ სულ არ წერენ.

60

აგერ ოცი წელია, რაც სწორად დავიწყეთ წერა და კონსტრუქციების მონანი გავხდით. ენა ახალი სიტყვებით გამდიდრდა, ლათინიზმების უღელი მოიშორა და სტილიც წმინდა ფრანგული ფრაზებით დაიხვეწა: ხელახლა აღმოვაჩინეთ კეთილხმოვნების კანონები, რაც პირველად მალერბმა და ბალზაკმა მოიძიეს და მათმა მომდევნო მწერლებმა ქარს გაატანეს. ახლა ისე თავგამოდებით ცდილობენ ჩამოაყალიბონ მეტყველება, რომ მასში დახვეწილი გონებაც გამოსჭვივის უნებლიეთ.

61

ვიცნობ ხელოვნების ოსტატებსა და მეცნიერთ, რომელთა გონება ისევე ყოვლისმომცველია, ვით ხელოვნება და მეცნიერება, თავად რომ ემსახურებიან. ზეგარდმო ნიჭითა და ალღოთი აღჭურვილნი ხელოვნებასა და მეცნიერებას გადაჭარბებითაც კი უბრუნებენ იმას, რაც მათგან მიუღიათ. ოდესღაც შეგირდნი, დღეს კეთილშობილებას მატებენ ხელოვნებას, არღვევენ მის კანონებს, თუკი ისინი დიდებულისა და ამაღლებულისკენ ვერ მიუძღვიან; მიეშურებიან მარტოდმარტონი, უთანამგზავრებოდ იკაფავენ გზას და, მიიწევენ სულ ზევით, იჭრებიან შორეულ სამყაროში, მარად საკუთარ თავში დარწმუნებულნი, რამეთუ ხედავენ რა სარგებლობა მოაქვს კანონებიდან გადახვევას. კეთილგონიერი, თვინიერი და თავდაჭერილი ადამიანები ასეთ სიმაღლეებს ვერ აღწევენ და არათუ აღტაცებით შესცქერიან, არაფერი ესმით მათი, მიბაძვაზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია. არხეინად განისვენებენ თავიანთი შესაძლებლობის სფეროში, საზღვრების დარღვევა აინუნშიც არ მოსდით, საზღვრებისა, რაიც მათი უნარისა და გონების მიჯნას წარმოადგენს და რისი გადალახვაც არ სურთ, ვინაიდან იმის იქით ეერაფერს ხედავენ. მარტოოდენ შეუძლიათ, იყვნენ რჩეულნი მეორეხარისხოვანთა შორის და შუალანათა წრეში ბრწყინავდნენ.

62

გავბედავ და ვიტყვი, არსებობენ მეორეხარისხოვანი გონებით აღჭურვილი ადამიანები, თითქოსდა შექმნილნი იმისთვის, რომ წარ-

მოადგენდნენ კრებულს, ნუსხებს, საწყობებს სხვა მწერლებისა. ისინი პლაგიატორები, მთარგმნელები, კომპილატორები არიან: თავად ფიქრი არ შეუძლიათ, ფიქრობენ იმას, რაც მწერლებს უფიქრიათ და რაკი აზრთა შერჩევაც შემოქმედებაა, არჩევანიც უვარგისი და უგერგილო აქვთ. ამის შედეგად იხსომებენ ბევრს და არა საუკეთესოს. საკუთარი არაფერი გააჩნიათ, ისიც კი არ იციან, რაც უსწავლიათ: სწავლობენ მხოლოდ იმას, რაც არავის სურს იცოდეს. ითვისებენ ყოველივე უსარგებლოს, გამოფიტულს, უფერულსა და უსიამოვნოს, რაც არავის აინტერესებს, მიგდებულია და გაუქმებული მონეტის მსგავსად ფასდაკარგულია. გაგაკვირვებთ მათი ნაკითხობა და თავს მოგაბეზრებთ მათთან საუბარი ანდა მათი წიგნების კითხვა. დიდებულებისა და მდაბიოთა წინაშე მეცნიერებად საღდებიან, ხოლო სწავლულები მათ პედანტებად თვლიან.

63

კრიტიკა ზოგჯერ მეცნიერება კი არა, ხელობაა, რაიც გამძლეობას უფრო მოითხოვს, ვიდრე გონიერებას, უფრო სიბეჯითეს, ვიდრე ნიჭს, უფრო ჩვევას, ვიდრე ტალანტს. თუ მას ეუფლება გამჭრიახი კი არა, ნაკითხი ადამიანი და ნაწარმოებებს თავისი გემოვნების მიხედვით არჩევს, ასეთი კრიტიკა რყვნის მკითხველსაცა და ავტორსაც.

64

გადამწერლად დაბადებულ მწერალს, თავმდაბლობის წყალობით სხვის ნაკვალევს რომ მიჰყვება, ვურჩევ, სანიმუშოდ იმგვარი თხზულებანი შეარჩიოს, სადაც მოჩანს გონიერება, შთაგონება და განსწავლულობაც კი. რა ვუყოთ, თუ დედანს ვერ გაუტოლდება, სამაგიეროდ მიუახლოვდება და იმას მაინც მიაღწევს, რომ მისი წიგნი წაიკითხონ. და პირიქით, წყალქვეშა მეჩეჩებივით უნდა მოერიდოს იმ მწერლების მიბაძვას, ვინც განწყობილების მიხედვით, გულის კარნახით წერს, ვინც, ასე ვთქვათ, მთელი სულითა და ხორცით იღვწის გამოთქმებისა და სახეების საპოვნელად, რათა შემდეგ ქაღალდზე გადაიტანოს: ამ ყაიდის მწერალთა მიბაძვა საზიფათოა, რადგან შეუძლია ყოვლად უბადრუკი, გამოშიგნული და

ყბადასაღები ნაწარმოები დაგაწერინოს. მართლაცდა გამეცინებოდა იმ კაცზე, ვინც მოინდომებდა ჩემი ხმისთვის წაებაძა და პირისახითაც დამმსგავსებოდა.

65

ქრისტიანად და ფრანგად დაბადებულ კაცს სატირის სფეროში არაფერი ესაქმება; დიდად მნიშვნელოვანი თემები მისთვის აკრძალულია. ხანდახან კიდეც წაეპოტინება, მაგრამ უმალ უმნიშვნელო საკითხებს უბრუნდება და მათ თავისი ნიჭიერებისა და მშვენიერი სტილის წყალობით ამაღლებული ნაწარმოების საფუძვლად გადააქცევს.

66

უნდა ერიდო სტილის უმიზნო და ბავშვურ შელამაზებას, თუ არ გსურს დაემსგავსო დორილასა და ჰანდბურგს. ის კი არა, არაფერი დაშავდება, თუ გაბედავ და ზოგიერთ ნაწარმოებში იხმარ თავისუფალ გამოთქმებს, სიტყვებს გადატანითი მნიშვნელობით და გამოძერწავ ცოცხალ სახეებს. ოღონდ, ნუ დაივიწყებთ, შეიბრალოთ მწერლები, რომელთაც ამგვარი გამოთქმები და სახეები ვერავითარ სიამოვნებას ვერ ანიჭებს ვერც საკუთარსა და ვერც სხვის ნაწარმოებში.

67

ის, ვინც წერს მარტოოდენ თავისი ეპოქის გემოვნებისდა მიხედვით, უფრო საკუთარ თავზე ზრუნავს, ვიდრე თავის ნაწარმოებზე. მარად უნდა ისწრაფოდე სრულყოფისკენ და თუ თანამედროვენი სამართლიანნი ვერ იქნებიან ჩვენს მიმართ, შთამომავალნი სათანადოდ დაგვაფასებენ.

68

სასაცილოს ნუ ვეძიებთ იქ, სადაც არ არის: ეს გემოვნებას შეგვიბღალავს, შებილწავს როგორც ჩვენს, ისე სხვათა მსჯელობას. მაგრამ თუ სადმე მართლაც შევნიშნეთ სასაცილო, თვალს ნუ ავარიდებთ და ისე ფაქიზად გამოვამზეურეთ, რომ საამოც იყოს და ჭკუის სასწავლებელიც.

„ჰორაციუსსა და დეპრეოს თქვენზე ადრე უთქვამთ ეს“. ყაბულ-

სა ვარ, მაგრამ მე მაინც ჩემსას ვიტყვი. განა არ შეიძლება მათ შემდეგ მეც მომივიდეს თავში მართალი აზრი, ხოლო ჩემ შემდეგ ასეთი ფიქრი სხვასაც დაებადოს?

თავი მეოთხე

ადამიანის პირადი ღირსების შესახებ

1

თვით იშვიათი ნიჭითა და მაღალი ღირსებებით დაჯილდოებულ პიროვნებასაც კი განა ძალუძს დაეჭვდეს თავის არარაობაში, თუმცა შეცნობილი აქვს, რომ მოკვდება და ქვეყნად არავინ შენიშნავს მის გაქრობას, ხოლო მის ადგილს მყისვე სხვები დაიკავებენ?

2

ბევრს გვარის გარდა სხვა ღირსება არ გააჩნია. ახლოდან შეხედავ და არარაობაა, შორიდან კი საპატიო კაცად მოგეჩვენება.

3

დარწმუნებული ვარ, სხვადასხვა თანამდებობის პირნი, შესაბამისად თავიანთი უნარისა და მიდრეკილებისა, კარგად უძღვებიან საქმეს; მაგრამ გავბედავ და მოგახსენებთ, არსებობს მრავალი ადამიანი, ცნობილი თუ უცნობი, რომლებიც ასევე კარგად გაუძღვებოდნენ ამ საქმეს, თუკი თანამდებობას მისცემდნენ. ეს აზრი იმიტომ დამებადა, რომ თავად მინახავს, რაიმე ადგილზე შემთხვევით მოხვედრილ კაცს წარჩინებით გამოუჩენია თავი, თუმცა მანამდე დიდს არაფერს მოელოდნენ მისგან.

რამდენი შესანიშნავი ადამიანი, მაღალნიჭიერი და უებრო ისე მომკვდარა, რომ მასზე არაფერი თქმულა! რამდენი ამჟამადაც

ცოცხალია, მაგრამ მათზეც არაფერს ამბობენ და არც არასოდეს იტყვიან!

4

რარიგ უჭირს კაცს, რომელიც არც ერთ კორპორაციას და დაჯგუფებას არ მიეკუთვნება, ეულად გამდგარა და სარეკომენდაციოდ საკუთარი ღირსების გარდა არაფერი გააჩნია; რარიგ უჭირს ბნელეთიდან მზის სინათლეზე ამოტივტივდეს და ბედის ნებიერ ყეყეჩს გაუტოლდეს!

5

თითქმის არავინ იწუხებს თავს, სხვის ღირსებებზე იფიქროს. ადამიანები ნიადაგ საკუთარ თავზე ზრუნავენ და არა სცალიათ ვინმეს სულში შეიჭრნენ და შეაფასონ იგი. ამიტომაა მრავალი ღირსებით შემკულ კაცს და მეტისმეტად მოკრძალებულს, დიდხანს არავინ სცნობს.

6

ზოგს ნიჭი და ტალანტი არ ეძლევა, ზოგსაც მათი გამოვლინების შესაძლებლობა. ამიტომ ადამიანი მარტო იმით კი არ უნდა შეაფასოთ, რა გააკეთა, არამედ იმითაც, რისი გაკეთება შეეძლო.

7

უფრო ხშირად შეხვდები ჭკვიან კაცს, ვიდრე ისეთს, თავისი ჭკუის გამოყენება რომ შეუძლია ან უნარი შესწევს სხვისი ჭკუა შეაფასოს და სათანადოდ გამოიყენოს.

8

ხელსაწყოები გაცილებით მეტია, ვიდრე ხელოსნები, ხოლო ცუდი ხელოსანი ჭარბობს კარგს. რას იტყოდით კაცზე, რომელიც შალაშინით დააპირებდა ხერხვას, ხერხით კი გაშალაშინებას?

9

მეტად უმადური ხელობა აურჩევია იმას, ვისაც მოუწადინებია დიდი სახელის მოხვეჭა. როცა ცალი ფეხით სამარეში ჩადგება, მისი ნაშრომი მხოლოდ მაშინ დაიწყებს აღმოცენებას.

10

რა მოვუხერხოთ ეჟეზიპს, ადგილს რომ ითხოვს? საფინანსო დარგში მოვაწყოთ თუ სამხედრო სამსახურში? ეგ სულ ერთია, მთავარია შემოსავალი რა ექნება, რამეთუ მას ისევე ეხერხება ფულის თვლა და ანგარიში, როგორც იარაღის ტარება. მისი მეგობრები გვარწმუნებენ, ყველაფერი ემარჯვებაო, რაც იმას ნიშნავს, არც ერთი ემარჯვება და არც მეორე. უბრალოდ რომ ვთქვათ, არაფრის მაქნისია. ასევეა ადამიანთა უმრავლესობა, სიყმაწვილეში საკუთარ თავს რომ ელოლიავება; სიზარმაცითა და გართობებით გარყვნილთ ჰგონიათ, ხანდაზმულობისას თუ ხელი მოეცარათ და გაუჭირდათ, რესპუბლიკა ვალდებულია უმალ ადგილი მოუძებნოს და დახმარება გაუწიოს. იშვიათად ითვალისწინებენ ჭკუისსასწავლებელ ჭეშმარიტებას: კაცი ყრმობიდანვე უნდა ცდილობდეს სწავლითა თუ შრომით ისეთ მდგომარეობას მიაღწიოს, რომ თვით რესპუბლიკას დასჭირდეს მისი უნარიცა და განათლებაც; გახდეს სახელმწიფო ორგანიზმის განუყოფელი ნაწილი. მაშინ სახელმწიფო ისევ საკუთარი გამორჩენისთვის არაფერს დაზოგავს მისი კეთილდღეობისა და გამდიდრებისთვის. თითოეული ჩვენთაგანი უნდა ვიღვწოდეთ, თანამდებობის ღირსი ვიყოთ. დანარჩენი ჩვენ არ გვეკითხება, სხვების საქმეა.

11

ჯობს გაფასებდნენ სხვათა შემწეობით კი არა, საკუთარი ღირსებების გამო, ანდა სულაც არ გაფასებდნენ. აი, ცხოვრებაში მეტად გამოსადეგი და ფასდაუდებელი ჭეშმარიტება მოკრძალებულთათვის, სათნოთათვის, გონიერთათვის. იგი მათ საკუთარი ბედ-იღბლისა და სიმშვიდის ბატონ-პატრონად აქცევს. ოღონდ ეს ჭეშმარიტება დამღუპველია ამა სოფლის ძლიერთათვის, რამეთუ ძალუძს შე-

ამცირეს მათი მაამებლების ანუ მონების რიცხვი; შეურყიოს ძალაუფლება, შეუბღალოს ავტორიტეტი და თავმოსაწონებლად სხვა არა დაუტოვოს რა, გარდა ნუგბარ-ნუგბარი კერძებისა და ზიმზიმა ეტლებისა. მათ მოაკლდებათ ნეტარება განცდისა, როცა თხოვნით მიმართავენ, ეხვეწებიან, ემუდარებიან, ისინი კი აცდევინებენ ან უარით ისტუმრებენ, ჰპირდებიან და დანაპირებს არ უსრულებენ. მათ ხელი შეეშლებათ ჩვეულებისამებრ მფარველობა გაუწიონ ვიღაც შტერს, დააწინაურონ, ამოატივტივონ; ხოლო მიწასთან გაასწორონ კაცი, თუკი შეიცნეს, რომ ის ღირსეული ადამიანია. ეს ჭეშმარიტება სამეფო კარიდან განდევნის თაღლითობას, ცბიერებას, სიმდაბლეს, ფარისევლობას, ოინბაზობას. სამეფო კარს, სადაც დღეს დაუცხრომელი ვნებები ბობოქრობენ და ინტრიგების ფარული ხლართები იბმება, კომიკურ ან ტრაგიკულ თეატრად გადააქცევს და მაყურებლები მარტოოდენ ბრძენნი იქნებიან. ყველა წოდების ადამიანს ღირსებას დაუბრუნებს და პირზე სიმშვიდეს მოჰფენს; თავისუფლებას მიანიჭებს და თანდაყოლილ ნიჭთან ერთად გაუღრმავებს შრომისა და საქმიანობის ჩვევებს; აღუძრავს სურვილს სახელის მოხვეჭისა, სათნოებისა. ბილწ, მოფუსფუსე, უქნარა კარისკაცებს, სახელმწიფოსთვის ზიანის მეტი რომ არაფერი მოაქვთ, გადააქცევს ან ბრძენ მეურვეებად, ან ოჯახის შესანიშნავ მამებად, ან კიდევ უანგარო მოსამართლეებად, სანიმუშო მეომრებად, ორატორებად, ფილოსოფოსებად და სხვა უხერხულობას არაფერს შექმნის გარდა იმისა, რომ მათი მემკვიდრეები ნაკლებ სიმდიდრეს მიიღებენ და მეტ კარგ მაგალითს.

12

ხასიათის დიდი სიმტკიცითა და ჭკუა-გონების სიღრმით უნდა გამოირჩეოდეს კაცი საფრანგეთში, რომ იოლად გავიდეს სამსახურისა და თანამდებობის გარეშე; ოჯახში გამოიკეტოს და არაფერი გააკეთოს. თითქმის არავის გააჩნია ნიჭი, ეს როლი ღირსეულად შეასრულოს, და არც სულიერი სიმდიდრე, თავისუფალი დრო მოანდომოს ისეთ რამეს, რასაც მდაბიონი „საქმეს“ არ უწოდებენ. უკეთესი სახელწოდების ღირსია საქმიანობა ბრძენისა, რომლის ფიქრებს, საუბარს, კითხვას და მყუდროებას შრომა უნდა ერქვას.

13

მაღალი თანამდებობის პირი, თუ ის ღირსეული პიროვნებაა, პატივმოყვარეობით არავის აწუხებს სამსახურში. სიამაყე რა მოსატანია, პირიქით, დამცირებულადაც კი თვლის თავს, რადგან გრძნობს, შეეძლო გაძღოლოდა უფრო მაღალ თანამდებობას და ღირსიც არის ამისა. ის არც ქედმაღალია და არც კადნიერი, თავის თავით უკმაყოფილოა და ეს აწუხებს მხოლოდ.

14

ღირსეულ პიროვნებას უჭირს მეფის კარზე ნიადაგ ტრიალი და ამის მიზეზი სულაც არ გახლავთ ის, რაც შეიძლება გეგონოთ. ღირსეული პიროვნება მეტისმეტად მოკრძალებულია და ვერც წარმოუდგენია, თუ მეფეს იოტისოდენად მაინც სიამოვნებს წამდაუწუმ ფეხებში ებლანდებოდეს, სულ მის ცხვირწინ ცმუკავდეს და დაუსრულებელ ყურადღებას იპყრობდეს. პირიქით, დარწმუნებულია, რომ თავს აბეზრებს და მხოლოდ მაშინ ეახლება, როცა საკალდებულო და აუცილებელია. ხოლო კაცს, ვისაც თავი დიდი ვინმე ჰგონია და ვისაც მდაბიონი მეტიჩარას უწოდებენ, უყვარს ხშირი სტუმრობა და იმდენად ლაღად თითლიბაზობს, რამდენადაც არ ძალუძს წარმოიდგინოს, რომ მისი შემხედვარე დიდებულნი სულ არ ფიქრობენ იმას, რასაც თვით ფიქრობს საკუთარ თავზე.

15

პატიოსანი კაცი კეთილსინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას და საკუთარ თავს აჯილდოებს იმით, რომ კმაყოფილებას განიცდის და ჩირადაც არ მიაჩნია სხვების ქება-დიდება, მადლობა და პატივისცემა, რაც არცთუ იშვიათად აკლია.

16

თუ გავბედავ და ერთმანეთს შევადარებ ორ, სრულიად სხვადასხვა მდგომარეობის ადამიანს, ვიტყვი, რომ მამაცი მეომარი ისევე ასრულებს თავის მოვალეობას, როგორც ოსტატი ხურავს

სახლს. არც ერთი მათგანი არ ეძიებს საფრთხეს და არც გაურბის. მათთვის სიკვდილი ხელობასთან დაკავშირებული, თითქმის აუცილებელი უსიამოვნებაა. როგორც მეომარი არ დაიწყებს ტრაბახს, აქაოდა სანგარში ჩავძვერი, შეტევაზე გადავედი ანდა სიმაგრე ავიღეო, ასევე მხურავი არ დაიქადნის, მაღალ შენობაზე ან სამრეკლოზე ავცოცდიო. ორთავე იღვწის, რაც შეიძლება უკეთ შეასრულოს თავისი მოვალეობა, ხოლო ყოყლოჩინა სულ იმას ფიქრობს, ჩემს საქმიანობაზე სხვები რას იტყვიანო.

17

ღირსეულ კაცს მოკრძალება ისევე ესაჭიროება, ვით მხატვრის ტილოზე ფიგურებს ფონი. იგი მას მატებს ძალასა და გამომსახველობას.

18

გარეგნული უბრალოება შუალანა ხალხის სამოსია, მათ ზომაზე გამოჭრილი და შეკერილი. მაგრამ იგი სამკაულია მათთვის, ვისაც აღუსრულებია საქმენი სასიქადულო. მე მათ ვადარებ მშვენიერ ქალს, რომელიც მით უფრო მომხიბვლელია, რაც ნაკლებად ზრუნავს თავის სილამაზეზე.

საკუთარი თავით კმაყოფილ ზოგიერთ კაცს, თუ ცოტა ისეთი რამ შეუქმნია, რაც სხვებს მოსწონებია, რაკი ყური მოუკრავს, დიდ ადამიანებს თავმდაბლობა ამშვენებსო, ჰყოფნის გაბედულება და თავმდაბლობას იჩემებს, აქაოდა შემხედეთ, რა უბრალო და უშუალო ვარო. იგი ემსგავსება ქონდრისკაცს, კარებში შესვლისას რომ იხრება, თავი არ მივარტყაო.

19

თქვენი ვაჟი ენაბლუა, ტრიბუნაზე ნუ გამოიყვანთ. თქვენი ასული სიამტკბილობისთვის დაბადებულა, ამორძალებში ნუ ჩარიცხავთ. თქვენი ნაყმევი ქსანტუსი სუსტია და მორცხვი: ნუ დააყოვნებთ და ლეგიონიდან გამოიყვანეთ, ჯარიდან იხსენით. „მე მსურს წინ წაიწიოს“, — მეუბნებით. კი ბატონო, აავსეთ ყოველ-

გვარი სიკეთით, აჩუქეთ მიწები, მამულები, მიაღებინეთ ტიტულები; ფეხი აუწყვეთ დროს, ჩვენს ეპოქას, სადაც სიმდიდრე მეტ პატივს მოუტანს, ვიდრე ყოველგვარი სათნოება. „ეგ რომ ძალიან ძვირი დამიჯდება“ — დასძენთ თქვენ. ხუმრობთ, კრასუს? ეს ხომ თქვენთვის ტიბრიდან ამოღებული წვეთია! ნუთუ მოწყალება არ უნდა გაიღოთ ქსანტუსისათვის, ვინც ასე უზომოდ გიყვართ და ვინც უთუოდ თავსლაფს დაისხამს თუ ამ შეუფერებელი სამსახურიდან არ გამოიყვანეთ.

20

მეგობრებში მარტოოდენ იმ ღირსებებს უნდა ვეძებდეთ, რაიც ჩვენ მათთან გვაკავშირებს და არა იმას, ცხოვრებაში ბედმა გაუღიმა თუ არა. და თუ დარწმუნებული ვართ, გაჭირვებაში უყოყმანოდ მხარში ამოვუდგებით, თამამად შეგვიძლია ვმეგობრობდეთ და გვერდიდან არ ვცილდებოდეთ მაშინაც კი, როცა კეთილდღეობას მიაღწევენ.

21

თუკი ყოველგვარ იშვიათობას აღტაცებაში მოვყავართ, მაშ, რატომ ვართ აგრე გულგრილნი სათნოებისადმი?

22

აბა რა სჯობს, თუ ადამიანი მაღალი წარმოშობისაა, მაგრამ არც ისაა ურიგო, როცა მის წარმოშობას აღარავინ კითხულობს.

23

დროდადრო დედამიწაზე იბადებიან რჩეული და შესანიშნავი ადამიანები, სათნოებით რომ ბრწყინავენ და მაღალი ზნეობით კაშკაშებენ, მსგავსად იმ საოცარი ვარსკვლავებისა, რომელთა გამოჩენა და გაქრობა ჩვენთვის იდუმალებითაა მოცული; ამგვარ ადამიანებს არც წინაპრები ჰყავთ და არც შთამომავლობა: თავად შეადგენენ თავიანთ საგვარეულოს.

24

ამაღლებული გონება მიგვითითებს, რა მოვალეობა გვაკისრია და როგორ ვემსახუროთ მას. თუ საფრთხე გველის, უკან არ დავიხიოთ. იგი შთაგვაგონებს სიმამაცეს, ან თვით გვევლინება მის შემცვლელად.

25

როს ადამიანი ეუფლება თავის ხელოვნებას და იღვწის მისი სრულყოფისათვის, უკვე სცილდება ამ ხელოვნების საზღვრებს და ეტოლება ყველა კეთილშობილსა და ამაღლებული გონების დიდოსტატებს. „ვ“ მხატვარია, „კ“ მუსიკოსი, „პირამის“ ავტორი პოეტია: მაგრამ მინიარი — მინიარია, ლული — ლულია, და კორნელი — კორნელია.

26

თავისუფალ კაცს, თუ უცოლოა იგი და თან გონიერი, შეუძლია მიაღწიოს იმაზე მაღალ მდგომარეობას, რაც წარმოშობით მიეკუთვნა. მაღალ საზოგადოებაშიც შეაღწევს და ტოლსაც არ დაუდებს თვით ყველაზე სახელოვან პიროვნებებს. ცოლიანისთვის კი ეს არ გახლავთ იოლი საქმე. დაოჯახება თითქოსდა საკუთარ ჩარჩოებში ამწყვდევს ადამიანს.

27

უნდა ვაღიაროთ, რომ პირადი ღირსებების გარდა, ადამიანს პეწსა და ბრწყინვალებას მატებს მაღალი თანამდებობა და ტიტულები. ვისაც არ ძალუძს იყოს ერაზმი, უნდა ეცადოს ეპისკოპოსი გახდეს. სახელის მოსახვეჭად ზოგი იღვწის მიიღოს პერობა, ორდენის ოქროს ძეწკვი, ძოწეული, ოცნებობენ ტიარაზე. მაგრამ რა თავში იხლის ტროფიმი კარდინალობას?

28

თქვენ ამბობთ, ფილემონის ტანსაცმელზე ოქრო ბზინავსო; ვაჭრებსაც ხომ უბრწყინავთ ოქრო? ფილემონი სამოსს საუკეთესო

ქსოვილებისგან იკერავსო. განა დუქნებში თოფობით არაა გამოფენილი საუკეთესო ქსოვილები? და თუ ნაქარგითა და ორნამენტებითაა დამშვენებული, ვაშა, ხელოსანსა და მის ნახელავს! როცა ფილემონს ჰკითხავენ, რომელი საათიაო, ამოიღებს საათს, მაგრამ რა საათს! ოქრომჭედლობის შედევრს! დაშნის ყუა ონიქსისა აქვს. თითზე ისეთი უზადო და უზარმაზარი ბრილიანტი უკეთია, მისი ელვარება დაგაბრმავებს. არ აკლია არც ერთი ზიზილ-პიპილო, რაც ჩამოკონწიალებული აქვთ თავმოსაწონებლად და არა საჭიროებისათვის. აღკაზმულია ყოველგვარი სამკაულით, ვით ჭაბუკი, მდიდარ ბებრუხანაზე დაქორწინებული. ბოლოს და ბოლოს ცნობისმოყვარეობა გამიღვიძეთ, მართლაც ღირს ვნახო ასეთი ძვირფასი ნივთები. გამომიგზავნეთ მისი ტანსაცმელი და სამკაულები, თვით ფილემონი კი თქვენთვის დამითმია.

ცდები, ფილემონ, თუკი გგონია შენი ბრწყინვალე ეტლით, უსაქმურთა ჯოგით, კუდში რომ დაგდევს, ექვსი პირუტყვით, შენს ეტლს რომ მიათრევს, უფრო მეტ პატივისცემას იმსახურებ. მოგაცილებენ მაგ ნათხოვარ ზიზილ-პიპილებს, სულში ჩაგიძვრებიან და ხელში შერჩებათ ის, რაცა ხარ, კოხტაპრუწა ყეყეჩი.

რას იზამ, ზოგჯერ უნდა შეუნდო კაცს, ვისაც მრავალრიცხოვანი ამალა შესციცინებს, მდიდრულად აცვია და ზიმზიმა ეტლი შეუძენია. მას ჰგონია ვერავინ გაუტოლდება წარმოშობითა და გონიერებით: ეს იმათ თვალებში ამოიკითხა, ვინც გარს ახვევია.

29

სამეფო კარზე და ქალაქის ქუჩებშიც ხშირად შეხვდებით კაცს, რომელსაც აბრეშუმის ან ჰოლანდიური მაუდის მანტია მოუსხამს, ფართო ქამარი მუცლის ზემოთ შემოურტყამს, ტარსიკონის ფეხსამოსი ჩაუცვამს, ასეთივე ჩაჩიც დაუსკუპებია, გულმოდგინედ დაკეცილი ჟაბო გაუკეთებია, ქოჩორი პეწიანად გადაუვარცხნია და თან ლოყებიც უღაჟღაჟებს. მას ზოგი რამ ახსოვს მეტაფიზიკის საწყისებიდან; აგიხსნის, თუ რა არის ციალი შარავანდედისა და როგორ ჭვრეტენ წმიდანები ღმერთს. ასეთ კაცს მეცნიერებათა დოქტორს ეძახიან. მეორე კაცი, მოკრძალებული, კაბინეტში ჩამწყვდეული და მიმალული, აზროვნებს, ეძიებს, მასალებს აგრო-

ვებს და ერთმანეთს ადარებს, კითხულობს ან წერს თავისი დღე და მოსწრება, და მას პედანტად ნათლავენ.

30

ჩვენში ჯარისკაცი მამაცია, მოსამართლე — სწავლული და მეტი არაფერი. რომაელებში მოსამართლე მამაცი იყო, ჯარისკაცი — სწავლული. რომაელი ჯარისკაციც იყო და მოსამართლეც.

31

მე მგონი გმირს მხოლოდ მეომართა წოდება წარმოშობს. დიდი ადამიანები კი ყველა წოდების შვილნი არიან, მართლმსაჯულების, სამხედროების, სწავლულების, კარისკაცების. მაგრამ არც ერთი და არც მეორე ნამუსიანი კაცის ფრჩხილადაც არა ღირან.

32

ომის დროს გმირსა და დიად პიროვნებას შორის განსხვავება ძნელი შესამჩნევია. ერთიც და მეორეც მეომრის ყოველგვარი ღირსებით უნდა იყოს აღჭურვილი. და მაინც, ვფიქრობ, პირველი უთუოდ ჭაბუკია, მოქნილი, მამაცი, შეუდრეკელი, უშიშარი, ხოლო მეორე — საღი გონების პატრონი, შორსმჭვრეტელი, ნიჭიერებითა და გამოცდილებით აღსავსე. იქნებ ალექსანდრე მხოლოდ გმირი იყო, კეისარი კი დიადი პიროვნება.

33

ემილი თავიდანვე დაიბადა ისეთი, რასაც თვით უშესანიშნავესმა პიროვნებამ მკაცრი წესრიგის, ღრმა აზროვნებისა და ხანგრძლივი ვარჯიშის შედეგად უნდა მიაღწიოს. ყრმობიდანვე არაფერი სჭირდებოდა, გარდა იმისა, რომ მიჰყოლოდა თანდაყოლილ ნიჭსა და გენიას, ყური დაეგდო საკუთარი გონების კარნახისთვის. უკვე მანამდე მოქმედებდა და საქმიანობდა, სანამ ცოდნას შეიძენდა. უფრო სწორად — მან უკვე იცოდა ის, რაც არაოდეს უს-

წავლია. მეტსაც გეტყვით: ბალღობისას, თამაშ-თამაშით მრავალ გამარჯვებას მიაღწია. უზომო ბედნიერებით გაცისკროვნებულს და დიდი გამოცდილებით მდიდარ მის ცხოვრებას სახელის მოსახვეჭად ისიც ეყოფოდა, რაც ჭაბუკობის ჟამს მოიმოქმედა. შემდგომშიაც, თუკი შემთხვევა მიეცემოდა, მარად იმარჯვებდა და რომც არ გამოსჩენოდა შემთხვევა, საკუთარი ღირსება ან ბედის ვარსკვლავი თავად უქმნიდა საქმეთ საგმიროდ. აღტაცებას იწვევდა არა მარტო ის, რაც მოიმოქმედა, არამედ ისიც, რაც შეეძლო მოემოქმედა. მტერს არაფერს უთმობდა, არავითარი დაბრკოლების წინაშე ქედს არ იხრიდა, არ უშინდებოდა მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგესაც კი. ხოტბას ასხამდნენ მის სხივმოსილ გონებას, რაიც ჭვრეტდა იმას, რასაც სხვები ვერც კი ამჩნევდნენ. ადიდებდნენ ვით მხედართმთავარს, რომლის მხედართმთავრობა ლაშქრისთვის გამარჯვების საწინდარი იყო უკვე და თავად უტოლდებოდა მრავალ ლაშქარს. დიადი იყო, როცა ბედი სწყალობდა, აფუფუნებდა, ხოლო უდიადესი, როცა ბედი უმუხთლებდა. უკანდახევის სიმწარე უფრო მეტად აკეთილშობილებდა, ვიდრე გამარჯვების ზეიმი. ყველა მოგებულ ბრძოლას და ქალაქების აღებას მხოლოდ მის უნარს აწერდნენ. სახელმოხვეჭილ გმირს ამშვენებდა თავმდაბლობა და რიდი. ისეთივე უშუალობით და მომხიბვლელობით იტყოდა: „გამოვიქეცი“, როგორც ამბობდა: „დავამარცხეთ“. იყო ერთგული სამეფოსი, ოჯახის და გვარის უფროსისა, სპეტაკი ღვთისა და კაცთა წინაშე. თაყვანს სცემდა ჭეშმარიტ ღირსებებსა და სიქველეს, თითქოს თავად არ გააჩნდა. კაცი მართალი, სულგრძელი და მოკლებული ჩვეულებრივ ადამიანურ მიდრეკილებებს.

34

ღმერთთა შვილები, როგორც იტყვიან, ბუნების კანონებს არ ემორჩილებიან და ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენენ. მათ არაფერი გაეგებათ არც დროისა და არც წლების. პირადი დამსახურება მათ ასაკს წინ უსწრებს. გათვითცნობიერებულნი იბადებიან და უკვე ჩამოყალიბებული ადამიანები არიან იმ ხანში, როცა უბრალო მოკვდავნი ჯერ კიდევ არ გასცილებიან ბავშვობას.

გონებაშეზღუდულნი, ბეცნი, საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტილნი ვერ

ხვდებიან, რომ შეიძლება ერთ ადამიანში მრავალმხრივი ნიჭი იყოს თავმოყრილი. თუ ვინმე საამური ქცევით გამოირჩევა, მას თავქარიანობას აბრალებენ, თუ ვინმე კოხტა გარეგნობისაა, მოქნილია, მოძრავი, ცქვიტი, ეპვობენ, თუ ღრმა აზროვნების და განსჯის უნარი აქვს, გააჩნია სულიერი სამყარო, სიბრძნე. სოკრატეს ბიოგრაფიიდან მათ ისიც კი ამოიღეს, რომ სოკრატე შესანიშნავად ცეკვავდა.

35

რაც უნდ კარგი და კეთილი იყოს ადამიანი და ზრუნავდეს თავისიანებზე, მაინც მოეძებნება ისეთი რამ, რაც სიკვდილის შემდეგ ანუგეშებს ყველას.

36

გონიერი, ალალმართალი და გულუბრყვილო კაცი ადვილად გაებმება მახეში. მას ვერც წარმოუდგენია, თუ ვინმე მახეს დაუგებს, გაამასხრებს. რაკი ყველას ენდობა და არც ფრთხილია, ბრიყვი თითლიბაზები ამით სარგებლობენ, მაგრამ ვაი მათ, ვინც მეორეჯერ მოინდომებს მის გაპამპულებას. იგი მხოლოდ ერთხელ ტყუვდება. თუ სამართლიანი კაცი ვარ, შევეცდები არავინ შეურაცხვყო. მაგრამ ოდნავ მაინც თუ ვზრუნავ საკუთარ თავზე, არ შეურაცხვყოფ ჭკვიან კაცს.

37

სრულიად უბრალო, უმნიშვნელო და შეუმჩნეველ მოქმედებაში გამოჩნდება ჩვენი ხასიათი. სულელი სულ სხვაგვარად შემოდის, გადის, ჯდება, დგება, დუმს, მოძრაობს, ვიდრე ჭკვიანი.

38

გავიცანი მოპსი, როცა მესტუმრა, თუმც არ მიცნობდა. იგი სთხოვს უცნობ ხალხს, სტუმრად წაიყვანონ მასთან, ვინც მას არ იცნობს. წერილებს სწერს ქალებს, რომელთათვისაც თვალი მოუკრავს მხოლოდ. დარბაისელთა საუბარში ერევა, მათ კი მისი ვინაობა არც იციან. არც არავის აცლის, რომ შეეკითხონ, ვინა ხარო, და

არც იმას აგდებს ჩირად, თუ ვინმეს სიტყვა გააწყვეტინა. იწყებს ლაქლაქს, ლაპარაკობს ბევრს და ბრიყვულად. შედის სასტუმრო დარბაზში და სადაც მოხვდება, იქ ჯდება, არ ფიქრობს არც სხვებზე, არც თავის თავზე. აყენებენ მინისტრისთვის განკუთვნილ საავარძლიდან, ჯდება დიუკის, პერის საავარძლებში. ყველა დასცინის, მხოლოდ თვითონ არის სერიოზული და არც ეღიმება. გააგდეთ ძაღლი მეფის ტახტიდან, ეპისკოპოსის კათედრაზე აძვრება. არხეინად ათვალიერებს ყველას, არც უხერხულად გრძნობს თავს და არცა რცხვენია. სულელისა არ იყოს, გაწითლების უნარი აქვს დაკარგული.

39

ცელსი შუალანათა რანგს მიეკუთვნება, მაგრამ ძლიერნი ამა სოფლისანი ეგუებიან მას. მეცნიერი არ გახლავთ, მაგრამ მეცნიერებთან დიდი სალამ-ქალამი აქვს გამართული. ღირსებებით მაინც და მაინც ვერ დაიტრაბახებს, მაგრამ დიდი ღირსებებით დაჯილდოებულ პიროვნებებს იცნობს. ჭკუა არ უჭრის, მაგრამ ენა შუამავალივით ეშველება ხალხთან ურთიერთობაში და თან ფეხმარდიცაა. მარტოოდენ იმისთვის დაბადებულა, რომ აქეთ-იქით ირბინოს, ხან ერთთან, ხან მეორესთან, დავალებები შეასრულოს, ვინმეს სამსახური გაუწიოს, ვიღაცასთან მოლაპარაკება აწარმოოს, იმაზე უფრო შორს შეტოპოს, რაც დაავალეს და ბოლოს განიდევნოს. მას შეუძლია შეარიგოს ადამიანები, რომლებიც პირველი შეხვედრისთანავე წაიჩხუბნენ. ერთ საქმეს მოაგვარებს და ათასს ჩაფუშავს. ყოველ გამარჯვებას საკუთარ თავს მიაწერს, დამარცხებას კი სხვებს გადააბრალებს. იცის ქალაქის ყველა ჭორი, სად რა ხდება. არაფერს აკეთებს, ლაპარაკობს ან იძიებს, რას აკეთებენ სხვები. ახალ-ახალი ამბების მოყვარულია, ყველა ოჯახის საიდუმლო იცის. ეგ რაა, უფრო მეტიც: მისთვის სახელმწიფოებრივი საიდუმლოებანიც კი ცნობილია. გეტყვით, მავანი და მავანი რატომ გადაასახლეს, ან რატომ დააბრუნეს. იცის, რატომ იჩხუბეს ძმებმა და რატომ მოხდა განხეთქილება მინისტრებს შორის. განა მან არ უწინასწარმეტყველა ორ ძმას, რა უსიამოვნო შედეგი მოჰყვებოდა მათ უთანხმოებას? განა ადრევე არ ამბობდა, მინისტრების მეგობრობა დიდხანს არ გასტანსო? განა მისი თანდასწრებით არ

წარმოითქვა ზოგიერთი სიტყვა? განა თავად არ იყო მოლაპარაკების მონაწილე? მერედა დაუჯერეს? მოუსმინეს? ამას ვისზე ამბობთ? ვის მიუღია ცელსზე დიდი მონაწილეობა სამეფო კარის ინტრიგებში? ასე რომ არ ყოფილიყო, აბა დაესიზმრა, ან მოეჩვენა? მაშ, რაღა რჯიდა, რომ თქვენ დაერწმუნებინეთ? მაშინ აგრე მრავალმნიშვნელოვანი და იდუმალებით მოსილი გამომეტყველება ექნებოდა განა? გამომეტყველება, რაიც განსაკუთრებული მისიით აღჭურვილ პიროვნებას შეეფერება.

40

მენიპი სხვისი ფრთებითა და ბუმბულით მორთულ-მოკაზმული ჩიტია. თვითონ არ ლაპარაკობს, არც გრძნობს, მხოლოდ სხვის გრძნობებსა და ნათქვამს იმეორებს. ისე ბუნებრივად ითვისებს სხვის აზრებს, თვითონვე ტყუვდება და სჯერა, საკუთარ განწყობილებას და ფიქრებს გამოვხატავო, რაიც მხოლოდ ექოა იმ კაცისა, ვისაც ახლახან დაშორდა. თავდაჭერილობა თხუთმეტ წუთს ჰყოფნის, მერე იფერფლება, იბნევა, ჰკარგავს იმ მბჟუტავ ელვარებასაც, რასაც მბჟუტავი მეხსიერება ჰკვეებავდა და გაცვეთილი შაურიანივით უფასურდება. ვერ გაუგია, რარიგ დაბლა დგას ყოველგვარი გმირობისაგან და ამაღლებული გრძნობებისგან. მას არ ძალუძს წარმოიდგინოს, რაოდენ გონიერი შეიძლება იყოს ადამიანი. მიამიტურად დარწმუნებულია, რომ სხვებსაც იმდენივე ჭკუა აქვთ, რამდენიც თვითონ გააჩნია. ამიტომაც ისე უჭირავს თავი და ისე იქცევა, ვითომდაც ამ მხრივ სანატრელი არაფერი ჰქონდეს და არც არავისი უნდა შურდეს. ხშირად ესაუბრება თავის თავს და არც მალავს ამას. გამვლელები მოიხედავენ და ფიქრობენ, ამ კაცს, ალბათ, თავსატეხი რაღაც გასჩენია ან რაღაცის ამოხსნას ცდილობს და პასუხი ვერ უპოვიაო. მიესალმებით და საფიქრებელს გაუჩენთ, არ იცის სალმითვე გიპასუხოთ თუ არა, და სანამ გონს მოვიდოდეს, თქვენ უკვე შორსა ხართ. პატივმოყვარეობამ ხალხში გამოიყვანა, გადააქცია იმად, რაც არ არის. შეხედავთ თუ არა, წამსვე მიხვდებით, რომ საკუთარი თავის გარდა, არაფერი აქვს საზრუნავი. დარწმუნებულია, რომ ტანსაცმელი გემოვნებითა აქვს შერჩეული, კოხტად ადგას და ძალზეც უხდება; ყველას თვალი რჩება მასზე და ქუ-

ჩაში გამვლელები იმიტომ გადაუსწრებენ, რომ დატკბნენ მისი ხილვით.

41

თუმცა კაცს სასახლეები აქვს, საზაფხულოცა და საზამთროც, თვითონ ლუვრის ქანდარაზე ათევს ღამეს და ეს თავმდაბლობით როდი მოსდის. აგერ ის კაცი, ტანწერწეტა რომ დარჩეს, ღვინოზე უარს ამბობს და დღეში ერთხელ ჭამს, თუმცა ჭამა-სმის მოყვარულია. მესამე კი, ღატაკი მეგობრის მუდარით თავმობეზრებული, დახმარებას გამოიღებს ხოლმე. ამბობენ, გულკეთილობისა რა მოგახსენოთ და ამით სიმშვიდესა და მოსვენებას პოულობსო. ადამიანთა ქცევის ღირსებას გამომწვევი მიზეზი განსაზღვრავს მხოლოდ. სრულყოფილია ის, ვინც უანგაროა.

42

ყალბი სიდიადე პირქუში და უკარებაა. რაკი გრძნობს სისუსტეს თვისას, იმალება. თუ სხვა გზა არა აქვს და უთუოდ უნდა გამოჩნდეს, მოგვევლინება ჰა და ჰა, მხოლოდ იმდენად, რომ პატივისცემა შთაგვაგონოს და არ გამოააშკარაოს ის, რაც სინამდვილეშია, პირდაპირ ვიტყვი, არარაობა. ჭეშმარიტი სიდიადე თავისუფალია, თბილი, უბრალო, შინაურული და გასაგები. შეგიძლია შეეხო, დაათვალიერო, ახლოდან ცქერით არაფერს აგებს. რაც უფრო გაიცნობ, მით უფრო აღტაცებული ხარ. თავს ხრის მათ წინაშე, ვინც მასზე დაბლა დგას. და არც ის უჭირს კვლავ აღიმართოს და გასწორდეს წელში. ზოგჯერ ბალღივით უზრუნველია, საკუთარი თავი არაფრად მიაჩნია, ივიწყებს თავის უპირატესობას, და მარად შესწევს უნარი აღზევდეს ისევ და გაცისკროვნდეს. იცინის, თამაშობს, ხუმრობს და ეს თავშექცევა ყოველთვის ღირსეულია. მის გვერდით ყველა ლაღად გრძნობს თავს, მაგრამ ვერ ბედავს გაკადნიერდეს. კეთილშობილი და მიამიტი ხასიათი აქვს, ვისაც ხვდება ყველას ნდობისა და მოწიწების გრძნობას შთააგონებს. სწორედ იმიტომაა, რომ მეფენი სიდიადით ბრწყინავენ, რამეთუ არ გვაგრძნობინებენ, რაოდენ პატარები ვართ ჩვენ.

43

ბრძენი პატივმოყვარეობისგან ისევ პატივმოყვარეობით იკურნება. იგი ისეთი მწვერვალებისკენ ისწრაფვის, ვერა და ვერ შეიზღუდება ეგრეთ წოდებული ამქვეყნიური მადლით: სიმდიდრით, მაღალი თანამდებობით, დიდკაცთა მფარველობით. ისე უმნიშვნელო, ფუჭი და არადმისაჩნევია მისთვის ეგ სიკეთე, რომ გულთან არც კი მიიტანს, არამც თუ იზრუნოს და სანატრელად გაიხადოს. უფრო მეტი: თავს ძალასაც კი ატანს, რომ მეტისმეტი არ მოუვიდეს და სულ არაფრად არ ჩააგდოს იგი. ერთადერთი, რაც აცდუნებს, ეს არის მისწრაფება სახელისაკენ, რაიც აღმოცენებულია უსპეტაკესსა და უფაქიზეს სათნოებაზე. მაგრამ ბრძენის სურვილს არაფრად აგდებენ და სახელის გარეშეც იოლად გადის.

44

კეთილი ის არის, ვინც ხალხის სიკეთეზე ზრუნავს. თუ იგი ამ სიკეთისთვის ეწამა, ძალიან გულკეთილი კაცია. თუ ეწამა იმათთვის, ვისაც სიკეთე მოუტანა, იმდენად კეთილია, რომ ამაზე მეტი სიკეთე მხოლოდ უდიდესი ტანჯვის შედეგად თუ შეიძლება წარმოიდგინო. ხოლო თუ სული განუტევა, მისი სიკეთე სრულყოფის მწვერვალამდე ამაღლდა, გმირობად იქცა.

თავი მესამე

ძალების შესახებ

1

მამაკაცების აზრი, რომელიმე ქალის ღირსებებზე იშვიათად ემთხვევა დედაკაცების აზრს. მათ სხვადასხვაგვარი ინტერესები აქვთ. ამა თუ იმ ქალის სიკეკლუცე, კოპწიაობა და კუდის ქნევა, ასე

რომ ხიბლავს კაცს და ვნებათა ღელვას აღუძრავს, მეორე ქალს გულს ურევს და ზიზღით აღავსებს.

2

ზოგი ქალი თვალებს ისე ატრიალებს, ყელს ისე მოიღერებს და ისე ადგამს ნაბიჯებს, რომ დიდებულ შთაბეჭდილებას ტოვებს. მაგრამ მოჩვენებითია მისი სიდიადე და ბრწყინვალება, შთაბეჭდილება ყალბი, რადგან მის სულიერ სამყაროში არავის ჩაუხედავს. ზოგიერთის დიდებულება კი უბრალოა და ბუნებრივი, რაკი ემყარება არა სიარულს ან გარეგნულ თავდაჭერას, არამედ სულის ამაღლებულ თვისებებსა და კეთილშობილ წარმოშობას. მშვიდი და წარმტაცი მომხიბვლელობა, კდემა და ეშხი, რასაც თავდაბლობით ვერ მალავს, მაინც გამოსხლტება ხოლმე და შესამჩნევი ხდება მათთვის, ვისაც თვალი უჭრის.

3

შემხვედრია ქალი, ვინც ოცნებობდა ჯერ გოგონად ქცეულიყო, რა თქმა უნდა, ლამაზ გოგონად, ცამეტი წლიდან ოცდაორ წლამდე, მერე კი მამაკაცად გარდაქმნილიყო.

4

ზოგ ყმაწვილქალს ვერ გაუგია, რაოდენ მიმზიდველია ბუნებრივი სილამაზე და რარიგ საჭიროა ამ მიმზიდველობის შენარჩუნება. ცით მომადლებულ ამ ძღვენს, ესოდენ იშვიათსა და სათუთს, იგი ამახინჯებს მანჭვა-გრეხით, უშნო წამბაძველობით. ხმა და სიარული ნასესხები აქვს. ისაკუთრებს უცხო ჩვევებს, თავდაჭერას; წარამარა სარკეში იყურება და ამოწმებს, საფუძვლიანად შეიცვალა თუ არა და დიდის გაჭირვებით აღწევს მხოლოდ ერთს: ნაკლებად მოსაწონი ხდება.

5

ქალებს, ალბათ, არ ეწყინებათ, თუ ვიტყვით, რომ მეტისმე-

ტად გადაგებულნი არიან მორთვა-მოკაზმვასა და ფერუმარილის წასმას. ამ ჩვევას ნუ შევადარებთ სამეჯლისო ჩაცმულობასა და ნიღბებს, ვინაიდან ნიღბოსანი სულაც არ ცდილობს თავისი თავი ვინმეს ნიღბად მოაჩვენოს, პირიქით, იმალება, არავინ მიცნოსო. ქალი კი სულ იმის ცდაშია, სხვას თვალში ნაცარი შეაყაროს, შეაცდინოს, სხვისგან მოპარული იერი თავისად გაასაღოს, სიმართლეს უღალატოს: ეს ერთგვარი ტყუილია. ქალს რომ დააკვირდები, სათვალავში ნუ ჩათვლი ნურც ფეხსამოსს და ნურც ვარცხნილობას ისევე, როგორც თევზს ზომავენ თავისა და ბოლოს ჩაუთვლელად.

6

თუ ქალებს სურთ მშვენიერნი იყვნენ მხოლოდ თავისთვის და თვით მოსწონდეთ თავიანთი თავი, რაღა თქმა უნდა, ნება აქვთ საკუთარი გემოვნების მიხედვით მოიპრანჭნენ და მოიკაზმნენ, როგორც მოეპრიანებათ: მაგრამ თუ უნდათ მამაკაცებს მოეწონონ და ფერუმარილით სწორედ იმათთვის ითხუპნებიან, ვუცხადებ მამაკაცების სახელით, რომელთა უმრავლესობას უკვე მოვეთათბირე, თეთრი უმარილიცა და წითელი ფერიც აუშნოებს მათ და გულმიუსვლელს ხდის. მხოლოდ წითელი ფერიც კი აბერებთ და სცვლით. მამაკაცებს ისევე ეზიზღებათ ქალის შეთხუპნილი სახე, როგორც ჩადგმული კბილები და ცვილის ყბები. ჩვენ ვგმობთ და ვკიცხავთ ყოველგვარ ხელოვნურობას, რითაც ქალები თავს იმახინჯებენ. ამისთვის ღმერთი კი არ დაგვსჯის, პირიქით, გვაკურთხებს, რამეთუ ეს ერთადერთი და უებარი მალამო გახლავთ ქალთა განსაკურნებლად.

ქალებს ბუნებრივად რომ დაჰყოლოდათ ისეთი პირისახე, როგორიც ხელოვნური შეთითხნის შედეგად აქვთ, უცბად რომ შემუსროდათ ქორფა კანი, ისე რომ აღაჟღაჟებულიყვნენ ან ტყვიისფრად გაფითრებულიყვნენ, როგორც თავად იხატებიან და ინიღბებიან, ვეღარაფერი ანუგეშებდათ.

7

პრანჭია ქალი ერთხელ და სამუდამოდ დარწმუნებულია, რომ ლამაზია და მამაკაცებს მოსწონთ. მისთვის დრო და წლები არის

მხოლოდ ის, რაც სხვა ქალებს პირს უნაოჭებს და ამახინჯებს. ავიწყდება, ასაკი მის სახეზედაც რომაა აღბეჭდილი. მოკაზმულობა, რაიც ოდესღაც მის სიყმაწვილეს ლაზათს აძლევდა, ახლა აუშნოებს და გამოკვეთს ხანდაზმულობის უბადრუკობას. ტყლარჭვაგრეხა და კეკლუცობა არ სცილდება დავრდომილსა და სნეულს: კვდება ჭრელა-ჭრელა ბაფთებით მორთულ-მოკაზმული.

8

ლიზმა გაიგონა, ერთ პრანჭია ქალზე ამბობდნენ, თავის ასაკს ანგარიშს არ უწევს, გოგონასავით იქცევა, ორმოცი წლის ქალს რომ არ ეკადრება, ისე იცვამს და იხურავსო. ლიზსაც შეუსრულდა ორმოცი წელი, მაგრამ მისთვის წელიწადში თორმეტ თვეზე ნაკლები გახლავთ და ჟამთა სვლა სულაც არ აბერებს. დიახ, აგრე სწამს ლიზს და როცა სარკეში იყურება, ფერუმარილს იცხებს პირზე და ხალებს იხატავს, ფიქრობს, განსაზღვრული ასაკის ქალს არ უხდება სულ ცდილობდეს ახალგაზრდულად გამოიყურებოდესო და კლარისი თავისი ხალებითა და ფერუმარილით მართლაც სასაცილო გახლავთო.

9

ქალი ირთვება თუ სატრფოს ელოდება, მაგრამ თუ მოულოდნელად ეწვია, ავიწყდება, როგორ აცვია და როგორ გამოიყურება. ხოლო თუ ესტუმრება კაცი, ვის მიმართაც გულგრილადაა განწყობილი, უმალ აგონდება, სათანადოდ გამოწყობილი რომ არ არის. კაბას. ისწორებს ანდა ერთი წუთით გადის, რათა სტუმარს მოპრანჭული მოევლინოს.

10

ქვეყნად მშვენიერ სახეზე წარმტაცი არაფერია და არც საყვარელი არსების ხმაზე საამური სხვა რამ მუსიკა არსებობს.

11

ქალის მომხიბვლელობის მიმართ ყველას თავისი აზრი აქვს.

ხოლო სილამაზე თავისთავად არსებობს და არ ექვემდებარება არც ვინმეს გემოვნებას და არც ვინმეს მოსაზრებას.

12

უზადო მშვენიერებითა და უბადლო ღირსებებით შემკული ქალი ისე გიზიდავს, რომ მისგან სხვას არაფერს მოითხოვ, ოღონდ უმზირო და ესაუბრო.

13

ქვეყნად ისე არაფერი გატყვევებს, როგორც ურთიერთობა მამაკაცის კეთილშობილური თვისებებით დაჯილდოებულ ლამაზ ქალთან: მასში გაერთიანებულია ორივე სქესის მაღალი ღირსებანი.

14

ყმაწვილ ქალს უნებლიეთ წამოსცდება ხოლმე თითქოსდა უმნიშვნელო სიტყვები, რაც მეტად დამაჯერებელია და გულში თაფლივით ეღვრება იმას, ვისაც მიმართავს ქალი. კაცებს კი არაფერი წამოსცდებათ და არც უშუალო ალერსი ემარჯვებათ. შაქარიც ადნებათ პირზე, თავსაც ევლებიან ქალს, ეარშიყებიან, ეთითლიბაზებიან, მაგრამ ნაკლებ დამაჯერებელნი ბრძანდებიან.

15

ქალის ჭირვეულობა მის მშვენიერებას ეტოლება და შხამის საწინააღმდეგო საშუალებაც არის, რამეთუ ანელებს თავის მოქმედებას. აგრე რომ არ ყოფილიყო, კაცს ვერაფერი განკურნავდა.

16

ქალი რამდენადაც მეტად ზრუნავს მამაკაცზე, იმდენად მეტად უყვარს იგი. კაცს კი სწორედ ამ მზრუნველობის გამო ნაკლებად უყვარს ქალი.

17

როცა ქალს აღარ უყვარს მამაკაცი, იგი ივიწყებს ყველაფერს, თავაზიანობასაც კი, რომელსაც მის მიმართ იჩენდა.

18

ქალს როცა მხოლოდ ერთი საყვარელი ჰყავს, დარწმუნებულია, კეკლუცანა არ არის. ვისაც რამდენიმე საყვარელი ჰყავს, ფიქრობს, რომ მხოლოდ კეკლუცანაა.

ქალი, ვისაც თავდავიწყებით უყვარს მხოლოდ ერთი მამაკაცი, აღარავის ეარშიყება. მას ყველა გიჟადა თვლის და არჩევანს უწუნებს.

19

ძველი საყვარელი იმდენად აღარაფერს წარმოადგენს ქალისთვის, რომ ადვილად ცვლის ახალ ქმარზე. ახალი ქმარი კი სწრაფად ჰკარგავს სიახლეს და მაშინვე ადგილს უთმობს ახალ საყვარელს.

ძველ საყვარელს ახალი მეტოქე ეზიზღება ან ეშინია მისი, იმისდა მიხედვით, თუ რა ხასიათი აქვს მისი გულის მბრძანებელ ქალბატონს.

ძველი საყვარელი ქმრისგან მარტოოდენ სახელწოდებით განსხვავდება. ეგეც ხეირია. ასე რომ არ იყოს, ათასჯერ გააგდებდნენ.

20

ქალის პრანჭიობა გამართლებულია, თუ იგი ვნებიანია. პრანჭია მამაკაცი, პირიქით, უარესია, ვიდრე ვნებებს აყოლილი კაცი. პრანჭია კაცსა და ავხორც დედაკაცზე ითქმის: ფერი ფერს და მადლი ღმერთსო.

21

დაფარული სასიყვარულო ურთიერთობა არ არსებობს. მრავალი ქალის სახელი მჭიდროდ არის დაკავშირებული, როგორც ქმრის, ისე საყვარლის სახელთან.

22

ვნებებს აყოლილ ქალს სურს, უყვარდეთ. კეკლუცანასთვის კი საკმარისია მოსწონდეს ვინმეს და ლამაზად ითვლებოდეს. პირველს მტკიცე ურთიერთობის დამყარება სწადია, მეორეს — მიმზიდველად ეჩვენებოდეს სატრფოს. ერთი საყვარელს იცვლის, მეორე რამდენიმესთან ერთდროულად იქცევს თავს. ერთს ვნება და ნეტარება იპყრობს, მეორეს — პატივმოყვარეობა და თავქარიანობა. ვნებიანობა ხორციელი სისუსტეა, ანდა იქნებ, სხეულის მანკიერება. კეკლუცანობა სულიერი დაცემაა. ვნებიანი ქალი შიშს ჰბადებს, კეკლუცანა — სიძულვილს. ჩემს მტერს, თუ ეს ორი ხასიათი ერთმანეთს შეერწყა.

23

სუსტი ნებისყოფის ქალი იმას ეწოდება, ვისაც სიძვა ედება ბრალად და ამას თავის თავს უსაყვედურებს. მასში გრძნობა გონებას ჭარბობს. განკურნებას ცდილობს და ვერ იკურნება, ანდა იკურნება, მაგრამ ძალიან გვიან.

24

ქალი მოღალატედ ითვლება, როცა აღარ უყვარს საყვარელი. მსუბუქ ყოფაქცევას კი მივაწერთ იმას, ვისაც ვერ გაუგია ვინ უყვარს, ანდა უყვარს თუ არა. გულგრილი ისეთი ქალია, ვისაც არავინ უყვარს.

25

ცბიერება, თუ გავბედავ ვთქვა, ადამიანის მთელი არსების ტყუილია. ცბიერი ქალი ამბობს და აკეთებს ერთს და ფიქრობს სხვას. ხანდახან არც ფიცს იშურებს და არც დაპირებას; რა ენაღვლება, არაფერი უჯდება, მით უმეტეს, რომ იოლად არღვევს ერთსაც და მეორესაც.

ქალი თუ ერთგული არ არის და ეს მისი საყვარლისთვის ცნობილია, მოღალატეა და მეტი არაფერი. მაგრამ თუ კაცი მას ერთგულად თვლის, იგი ვერაგია.

ქალის ვერაგობას ის სიკეთე მოაქვს, რომ კაცს ეჭვიანობისგან ჰკურნავს.

26

ზოგიერთ ქალს მთელს სიცოცხლეში ნიადაგ ორი სასიყვარულო ურთიერთობა აქვს გაბმული. მათი გაწყვეტა ან შენარჩუნება ერთნაირად უმძიმს. ერთ-ერთ ასეთ კავშირს საქორწინო ბეჭედი აკლია, მეორეს კი სიყვარული.

27

ეს ქალი ისე მშვენიერია, ახალგაზრდა, ამაყი და უკარება, რომ არვის ეპარება ეჭვი, მისი რჩეული, ერთ მშვენიერ დღეს, რომელიმე გმირი უნდა გახდეს. ნურას უკაცრავად, არჩევანი უკვე გაკეთებული აქვს; უყვარს ერთი არამზადა, საზიზღარი და თანაც უტვინო.

28

გვხვდებიან უკვე დამჭკნარი ქალები, რომელნიც თავიანთი ვნებიანობისა თუ გარყვნილების შედეგად, ადვილად უკავშირდებიან ხელმოკლე ყმაწვილ კაცებს. არ ვიცი, რომელი უფრო შესაბრალისია, ხანდაზმული დედაკაცი, რომელსაც კურო სჭირდება, თუ კურო, რომელსაც ბებრუცუნა მონატრებია.

29

ერთი ცუნცრუკა კაცი, ვისაც სამეფო კარზე არაფრად აგდებენ, დიდის ამბით არის მიღებული ქალაქში ერთ დედაკაცთან, რომელსაც სამეფო კართან არვინ გააკარებს. აქ ეს კაცი ამარცხებს მართლმსაჯულების მსახურთ, თუმც იგი ნაცრისფერ ფრაკშია გამოწყობილი და ყელსახვევითაც კოპწიაობს; ასევე მიწასთან ასწორებს ბურჟუასაც, ხმალი რომ აქვს ჩამოკონწიალებული. ამ ოჯახის სრული ბატონ-პატრონი ხდება ეს ჩვენი კაცი. უყვართ იგი, მოწიწებით უსმენენ, თვალში რომ ჩაუვარდეთ, ხელსაც არ მოისვამენ. აბა, ვინ გაეტოლება პიროვნებას, ვინც მეფეს ესაუბ-

რება და მინისტრებს ხვდება და თან ოქრომკედით ნაქარგი ბაფთით აქვს მკერდი დამშვენებული, ხოლო ქუდზე თეთრი ბუმბული უფრიალებს.

30

ქალაქელი კაცი პროვინციელი ქალისთვის იგივეა, რაც ქალაქელი ქალისთვის — კარისკაცი.

31

თუ კაცი პატივმოყვარეა, კადნიერი, ენად გაკრეფილი, უშნო ხუმარა, აღტაცებულია საკუთარ თავით და სხვებს ზიზღით უცქერის, თავმომაბეზრებელია, გაფუყული, გაქნილი, სინდისგარეცხილი და ყალთაბანდი, თავში არაფერი უყრია და უხამსია, ლამაზი ცხვირპირიცა და კოხტა ტანიც აქვს, არაფერი აკლია იმისთვის, რომ ქალებს უყვარდეთ.

32

ნეტავ რა ხდება, გახმაურების შიშითა თუ გულავარდნილობის შედეგად ხომ არ შეჰყვარებია ამ ქალს ლაქია, აგერ იმას — ბერი, ხოლო დორინს — თავისი აქიმი?

33

დიახ, ლელი, როსიუსი სცენაზე თავისუფლად გრძნობს თავს. მეტსაც გეტყვით, ჩამოქნილი წვივები აქვს. კარგად თამაშობს, დიდი როლების შესრულებაც არ უძნელდება. მაგრამ რა, უზადოდ რომ კითხულობდეს, მხოლოდ ის უშლის ხელს, რომ გეგონება პირში კარტოფილი უდევსო. ვითომდა რაო, მაგის მეტი არავინ არის თავისი საქმის ოსტატი? რა იყო, მის ხელობაზე უფრო კეთილშობილი და ღირსეული სხვა არაფერი არსებობს ამ ქვეყნად? გარდა ამისა როსიუსი თქვენი ვერ გახდება, სხვას ეკუთვნის. მერეც ვერ გათავისუფლდება, კლოდი ელოდება. კლოდს ერთი სული აქვს, როსიუსს როდის მოყირჭდება მესალინა. ბარტილს მიხედეთ, ლელი. განა სადმე იპოვით, თვით გისტრიონებს შორისაც კი, თუ არას ვიტყვით მხედრებზე, ვისაც თქვენ აგრერიგად არ სწყალობთ, ისეთ ყმაწვილკაცს, რომელსაც ასე ემარჯვება ცეკვა და მალაყებზე

გადასვლა? მართლა, ხომ არ ინებებთ მოწყალე თვალით გადახედოთ ხტუნია კობუსს, რომელიც ერთს რომ აიშვერს ფეხებს, ჰაერში უმალ შეტრიალდება და ძირს ეშვება? თუ მოგეხსენებათ, რომ ის უკვე აღარ არის ახალგაზრდა? თქვენ მეუბნებით, ბარტილს ბევრი ეტანებაო და უფრო ხშირად უარს ეუბნება ქალებს, ვიდრე ეთანხმებაო. რას იტყვით დრაკონზე, ფლეიტაზე რომ უკრავს? მისი ხელობის კაცებში ვერვის ნახავთ ისეთს, ვისაც შეუძლია მასავით ნარნარად გაბეროს ლოყები, როცა ჰობოის ან ფლაჟოლეტს ჩაბერავს ხოლმე. მერედა, რამდენ საკრავს აჟღერებს. თანაც დიდი ოხუნჯია, ბავშვებსა და უბირ დედაკაცებსაც კი აცინებს. ერთი მიუჯდება სუფრას და ჭამა-სმაში ვინ გაუტოლდება? ყველას გამოათრობს და ბოლოს თუ გამოიბრუჟება თვითონ. ოხრავთ, ლელი? ნუთუ დრაკონს ვიღაც უყვარს, საუბედუროდ ვიღაცამ დაგასწროთ? ვაითუ მის გულს ცეზონი დაეუფლა! მერედა, როგორ დასდევდა კუდში საყვარლების მთელი ხროვა, რომაელ ჭაბუკთა ნაღები მაგის გულისთვის დაითხოვა. ცეზონი შეუყვარდა? ცეზონი ხომ პატრიციების ოჯახიშვილია, ქორფაა, ლამაზი და დარბაისელი. მეცოდებით, ლელი, თუკი გადაგდებიათ რომაელ მანდილოსანთა ახალი სენი: მაინცდამაინც ისეთი კაცი უნდა შეიყვარონ, თავისი ხელობის წყალობით, სულ ხალხის თვალწინ რომ ტრიალებს. სხვა რა დაგრჩენიათ, თუ წაგართვეს ის, ვინც ყველას სჯობდა? ჰო, კიდევ ერთი დარჩა, ბრონტი-ჯალათი; ყველას პირზე აკერია მისი ძალა და სიმამაცე. ყმაწვილი კაცია, მხარბეჭიანი და ჯმუხი, თანაც შავი კანი აქვს, ზანგია.

34

მაღალი წრის ბანოვანისთვის მებაღე მებაღეა, კალატოზი — კალატოზი. უფრო განმარტოებით მცხოვრებ ქალისთვის კალატოზი მამაკაცია, მებაღეც მამაკაცია. ვისაც ეშინია, ცდუნებას ვერ ასცდება.

35

ზოგი ქალი უხვად ასაჩუქრებს მონასტრებსა და საყვარლებსაც. ვნებასაყოლილნი და ღვთისმოსავნი ეკლესიაშიც კი შოულობენ პირად სალოცავ ადგილსა და ლოჟებს, რათა იქ სატრფიალო ბარა-

თები იკითხონ და ვერვინ შენიშნოს, ღმერთს რომ არ შეჰღაღადებენ.

36

რით განსხვავდება სხვებისგან ქალი, ვისაც სულიერი მამა ხელმძღვანელობს? უფრო მორჩილია თავის ქმრისა, უფრო სათნოა მსახურების მიმართ, უფრო მზრუნველია ოჯახისადმი, უფრო გამრჯეა, უფრო მოყვარული და გულწრფელი მეგობრებთან? აღარ ჰყვება თავის ხუშტურებსა და აღარ ზრუნავს საკუთარ კეთილდღეობაზე? არის თუ არა შვილებისადმი, — ხელგაშლილიო, ვერ ვიტყვი, რადგან შვილები ისედაც მდიდრები არიან, — არა, არის თუ არა ეს ქალი, ესოდენ დიდი ავლა-დიდების პატრონი და ფუფუნებაში ჩაფლული, შვილებისადმი სამართლიანი, ანდა თუ იმეტებს შვილებისთვის იმას, რაც მათ უთუოდ სჭირდებათ? საკუთარ თავს ნაკლებად ელოლიავება და სხვებზე ფიქრობს? განდგომია თუ არა ამაოებათა ამაოებას? არა, მეტყვით თქვენ, ამისდაგვარი არაფერი დამართნიაო მას. მე კი ამიჩემებია და გეკითხებით, მაშ, რით განსხვავდება სხვებისგან ქალი, ვისაც სულიერი მამა ხელმძღვანელობს? ჰო, მესმის, ეს გახლავთ ქალი, ვისაც სულიერი მამა ჰყავს.

37

თუ აღმსარებელი და სულიერი მამა ვერ შეთანხმდებიან, როგორ მოიქცეს ქალი, ვინ იქნება ის, მესამე, ვისაც ქალი მსაჯულად აირჩევს?

38

ქალისთვის მთავარი ის კი არ გახლავთ, რომ სულიერი მამა ჰყავდეს, არამედ ის, რომ წესიერად ცხოვრობდეს და შეეძლოს უამისოდაც იოლად გავიდეს.

39

ქალს რომ შეეძლოს აღსარების დროს სხვა ცოდვებთან ერთად ისიც აღიაროს, რომ ელტვის თვით სულიერ მამას და დიდხანს

იმყოფება მასთან, ვაითუ ცოდვების გამოსასყიდად მასთან განშორება უბრძანონ.

40

ნეტავ მქონდეს უფლება ოდესღაც ქალებისგან გულდაკოდილ წმიდა მამებს შევღაღადო: მოსცილდით მანდილოსნებს, ნუღარ მიუძღვებით ჭეშმარიტების გზაზე, დე, მათი სულის გადარჩენაზე სხვებმა იზრუნონ.

41

მეტისმეტია ქმრის საწინააღმდეგოდ აღმართო ორი იარაღი: კეკლუცობა და ღვთისმოსაობა. ერთ-ერთი უნდა აირჩოს ქალმა.

42

დიდი ხანია ვერ ვბედავდი მეთქვა და ვიტანჯებოდი. და აი, ბოლოს და ბოლოს ვეღარ შევიკავე თავი და ვიმედოვნებ, ჩემი გულახდილობა გამოადგება ისეთ ქალებს, ვისაც კეთილ გზაზე დასაყენებლად აღმსარებელი არ ჰყოფნით და სულიერ მამასაც სათანადო სიფრთხილით ვერ ირჩევენ. მე კი გონზე ვერ მოვსულვარ, ისე მაკვირვებს და მანცვიფრებს ზოგიერთი მღვდელი, რომელთაც არ დავასახელებ. თვალდაჭყეტილი შევყურებ მაო. ისინი ლაპარაკობენ, მე ვუსმენ. მერე აქეთ-იქით მივიკითხ-მოვიკითხავ, ცნობებს შევაგროვებ, ერთად ავკინძავ და საგონებელში ვვარდები, თუ როგორ ძალუძთ ადამიანებს, რომელთაც საღი გონების ერთი ნამცეციც არ გააჩნიათ, არაფერი ესმით ცხოვრებისა, ღვთისმეტყველებისა, ადამიანის გულისა და ჩვევებისა, დარწმუნებულნი იყვნენ, ვითომც ღმერთმა ჩვენს დროში მოახდინა სასწაული და ეს უბადრუკი, უჭკუო და უბირი კაცები მოგვივლინა ჩვენ, ვით წინასწარმეტყველნი თვისი, ვით მწყემსნი ჩვენი სულისა, რაიც ესოდენ ფაქიზია და ამაღლებული. და თუ მათ მართლაც სჯერათ, რომ ქვეყანას მოევლინნენ, რათა აღასრულონ ვალი, იმდენად დიდებული და იმდენად მძიმე, რომ მარტოოდენ რჩეულთ შეუძლიათ მისი ტვირთის ზიდვა და თუ ეჭვი არ ეპარებათ, რომ ეს წმინდა საქმე გა-

მოვლინებაა მათი ნიჭისა, მოწოდებაა მათი, მაშინ მთლად დავიბენი და ვერაფერი გავიგე.

განა არ მესმის, რაოდენ საამურია, იყო მცველი ოჯახის საიდუმლოსი, მომრიგებელი უთანხმოების, მომმარაგებელი და მშოვნელი, მსახურთა განმანაწილებელი; შენს წინაშე ფართოდ იღებოდეს ამა სოფლის ძლიერთა კარი, მდიდრულ სუფრაზე ნაყრდებოდე, ქალაქად ზიმზიმა ეტლით დასეირნობდე, სოფლად თვალწარმტაც მამულში ისვენებდე და გამოჩენილი გვამნი შენს ცხოვრებასა და ჯანმრთელობაზე ზრუნავდნენ. ამქვეყნიურ ყველა სიკეთეს პოულობდე სხვებისთვის და შენთვისაც, განა არ კმარა იმისთვის, რომ გამოეცხოთ ყოვლად უცნაური და გაუგებარი საბაბი სულის საცხონებლად ზრუნვისა და ქვეყანას მოსდებოდა სულიერ მამათა აურაცხელი ფარა.

43

ღვთისმოსაობა[1] ისე მოევლინება ხოლმე ზოგიერთს, განსაკუთრებით ქალებს, როგორც ვნება, ან ხანდაზმულობის სისუსტე, ანდა ვით მოდა, რასაც უნდა აჰყვე. ოდესღაც მანდილოსნებს არ ჰქონდათ მოცლა. ერთ დღეს ბანქოს თამაშობდნენ, მეორე დღეს თეატრში მიდიოდნენ, მერე კონცერტს ესწრებოდნენ, ახლა მასკარადიო, წარმტაცი ქადაგებაო. ორშაბათს ისმენთან კარგავდნენ ფულს, სამშაბათს — დროს სკლიმენთან; ოთხშაბათს — პატიოსან სახელს სელიმენთან. გუშინ უკვე იცოდნენ, რა გასართობი მოელოდათ ხვალ და ზეგ. ნეტარებით ივსებოდნენ, რამეთუ დღევანდელი სიამოვნება არ მოაკლდებოდათ მომავალშიაც. მხოლოდ ერთს ნატრობდნენ, მთელი ეს სიამტკბილობა ერთ დღეს განეცადათ. ამის მეტი სადარდებელი არაფერი ჰქონდათ, ეს იყო მათი ერთადერთი საზრუნავი. თუ ოპერაში ისხდნენ, ნანობდნენ, რატომ კომედიას არ ვუყურებთო. ჟამნი იცვლებიან, იცვლებიან ჩვეულებებიც: მეტისმეტად ამპარტავანნი გახდნენ და შინ გამოიკეტნენ. თვალდახრილნი დადიან, თითქოს თვალები იმისთვის არ ჰქონდეთ, რომ რაიმე დაინახონ. თავშესაქცევს აღარაფერს ეტანებიან და, ჰოი საკვირველებავ, ცოტას ლაპარაკობენ. თუმცა რა, ძველებურად საკუ-

[1] ცრუ ღვთისმოსაობა.

თარ თავზე ისევე კარგი წარმოდგენის ბრძანდებიან, როგორც სხვებზე ცუდი წარმოდგენისა. ერთმანეთს ისე ეჯიბრებიან ყოფაქცევისა და სისპეტაკის სრულყოფისაკენ სწრაფვაში, თითქოსდა ესეც შესაშური იყოს. ამ ახალი ყაიდის ცხოვრებაშიაც ისევე ისწრაფიან პირველობისკენ, ვითარც ისწრაფოდნენ ადრინდელ ცხოვრებაში, რაც არცთუ დიდი ხნის წინათ მიატოვეს ანგარების ან მოყირჭების შედეგად. უწინ მხიარულად იწყმენდნენ სულს ავზორცობით, ღორმუცელობითა და უსაქმურობით, ახლა მოწყენილნი სცოდავენ ზვაობითა და შურიანობით.

44

ჰერმას, ძუნწი რომ შევირთო ცოლად, არ გამაღატაკებს. ბანქოს მოთამაშეზე თუ დავქორწინდი, იქნებ გამამდიდროს კიდეც. სწავლული ქალი გონებას განმინათლებს, თავდაჭერილი ანჩხლი არ იქნება. ანჩხლი მოთმინებას გამომიწრთობს, კეკლუცანა მოიწადინებს თავი მომაწონოს, ვნებებს აყოლილი იქნებ მოეშვას ვნებათა ღელვას და შემიყვაროს კიდეც. ღვთისმოშიში[1]... მითხარი, ჰერმას, აბა, რას უნდა მოველოდე იმ ქალისგან, რომელიც ცდილობს ღმერთიც კი მოატყუოს და თავის თავს კი ატყუებს?

45

ქალის ხელმძღვანელობა ძნელი არ არის, თუ კაცი თავს შეიწუხებს. ხშირად ერთი მამაკაცი რამდენიმე დედაკაცს წვრთნის. უვითარებს ჭკუა-გონებას, შთაუნერგავს და უმტკიცებს ღვთის რწმენას. ეგ რა არის, მათი გრძნობების მართვასაც კი ახერხებს. ქალები არც არაფერს იწონებენ, არც არაფერს იწუნებენ, არც აქებენ, არც აძაგებენ ისე, თუ ამ კაცის თვალებში არ ამოიკითხეს, რა აზრისაა იგი. კაცი განაგებს მათ სიხარულს, მათ მწუხარებას, მათ სურვილს, ეჭვიანობას, სიძულვილს და სიყვარულს. აშორებს საყვარლებს, აჩხუბებს ან არიგებს ქმართან, და შუალედებით თავად სარგებლობს. ზრუნავს მათ საქმეებზე, სასამართლო პროცესს მეთ-

[1] ცრუ ღვთისმოშიში

ვალყურეობს, ეთათბირება მოსამართლეებს. უგზავნის მათ თავის ექიმს, ვაჭარს, მუშებს. მასვე აქვს დაკისრებული სახლის შეძენა, ავეჯით გაწყობა, ეტლის გამოძახება. მათთან ერთად ჯდება მათ ეტლში, მათვე ახლავთ ქუჩებში და სასეირნო ადგილებში, მათთან ერთად ზის მერხზე და უსმენს ქადაგებას, თეატრის ლოჟაშიც მათთან არის, ვიზიტებზეც მათთან ერთად დაბრძანდება, მიჰყვება სამკურნალო წყლებზე, ზღვაზე, სამოგზაუროდ. მათ სააგარაკო მამულში საუკეთესო ბინა მისთვისაა განკუთვნილი. ხანში შედის, მაგრამ ძალაუფლება არ ეკარგება, ამისთვის მარტოოდენ ცოტა ჭკუა და უამრავი დრო კმარა. ყველა მას ეკითხება: ბავშვები, მემკვიდრენი, რძალი, ძმისწული, მსახურები. დაიწყო იმით, რომ პატივისცემა შთაუნერგა ყველას, ბოლოს კი — შიში. ძველისძველი, ეგზომ საჭირო მეგობარი ისე განუტევებს სულს, რომ არავინ დაიტირებს. ხოლო ათი ქალი, ვინც მტარვალის უღელქვეშ გმინავდა, მისი სიკვდილის შემდეგ მემკვიდრეობად თავისუფლებას მიიღებს.

46

რამდენიმე მსუბუქი ყოფაქცევის ქალმა მოინდომა ყველასათვის ეჩვენებინა, ვითომდა დიდად პატიოსანი და მორცხვები გახლავართო. დიდხანს ეწვალნენ, მაგრამ ვერავინ მოატყუეს. მხოლოდ იმას მიაღწიეს, რომ ხალხს ათქმევინეს, ერთი შეხედვით ამორძალები გეგონებიანო.

47

√ თუ ქალს არავინ ჰკიცხავს იმის გამო, რომ მეგობრობს მანდილოსნებთან, რომელნიც მას სრულებით არ ჰგვანან, თუ ავყიობის მოყვარულნი ფიქრობენ, რომ მათი ურთიერთობა ხასიათების მსგავსების შედეგი არ არის, ეს იმის მაუწყებელია, რომ ქალის პატიოსანი სახელი მყარია და შეურყეველი.

48

კომიკური მსახიობი თავის როლს გადაჭარბებული კომიკურობით ასრულებს სცენაზე. პოეტი ფრთას ასხამს თავის შთაგონებას,

ვრცელ აღწერებში; მხატვარი, რომელიც ნატურიდან წერს, უფრო გამოკვეთს და გამომსახველს ხდის ვნებებს, კონტრასტებს, პოზებს; ასლის გადამღები თუ პროპორციებს არ ინიშნავს, ფიგურებსა და სურათის კომპოზიციის სხვა ნაწილებს ადიდებს, მეტ განზომილებას აძლევს, ვიდრე დედანშია ეს მოცემული. სწორედ ·ასე გახლავთ, ზედმეტი თავდაჭერილობაც კეთილგონიერების გადაჭარბებული მიბაძვაა.

ყალბი მოკრძალება ხანდახან პატივმოყვარეობის გამოვლინებაა. ყალბი მამაცობა თავქარიანობაა; ყალბი სიდიადე — დაკნინება; ყალბი სათნოება — თვალთმაქცობა; ყალბი სიდინჯე — თითლიბაზობა.

ზედმეტად უკარება ქალს გამოზომილი აქვს სიტყვაცა და საქმეც. კეთილგონიერ ქალს დარბაისლურად უჭირავს თავი. პირველი ემორჩილება ახირებასა და ცრურწმენას, მეორე — გონებასა და გულს. პირველი ცივია და ამპარტავანი; მეორე სწორედ ისე იქცევა, როგორც მდგომარეობა მოითხოვს. პირველის გარეგნულ შეუდრეკელობაში მრავალი სისუსტეა მიჩქმალული. მეორეს გარეგნულ თავისუფლებასა და უშუალობაში მდიდარი სულიერი სამყაროა ჩაქსოვილი. ზედმეტი თავშეკავებულება ზღუდავს გონებას. არათუ მალავს ასაკსა და სიმახინჯეს, პირიქით, უნებლიეთ გაფიქრებინებს მათზე. კეთილგონიერება კი გარეგნულ ნაკლს ფარავს, გონებას აკეთილშობილებს, სიყმაწვილეს მიმზიდველობას მატებს და მშვენიერებას უფრო მეტად მაცდუნებელს ხდის.

49

ნეტავ რად ადანაშაულებენ მამაკაცებს, თუ ქალები განათლებულნი არ არიან? განა არსებობს კანონი, ბრძანება, დებულება, რაც მათ უკრძალავთ თვალები გაახილონ და წაიკითხონ, წაკითხული დაიხსომონ და გადმოსცენ ან საუბარში, ანდა თავიანთ ნაშრომში? განა საკუთარი ნება-სურვილით არ ჩაეფლნენ უვიცობის ჭაობში? იქნება ამის მიზეზი მათი სუსტი აგებულებაა, იქნებ — სიზარმაცე, ან არადა, საკუთარ სილამაზეზე გადაგება. შეიძლება ხანგრძლივ მეცადინეობას თავქარიანობაც უშლიდეს ხელს. იქნებ მხოლოდ ხელსაქმის ნიჭი აქვთ, ანდა საოჯახო საქმიანობის წვრილმანებში

არიან ჩაფლულნი. ეგების ბუნებით დაჰყვათ ზიზღი ყოველიეე რთულისა და სერიოზულისადმი, ანდა ისეთი ცოდნის შეძენა სურთ, რაიც გონების საკვებად არ გამოდგება, ან ისეთი მიდრეკილება აქვთ, რაც გონების გახსნას მაინცდამაინც არ უწყობს ხელს. რა მიზეზიც უნდა იყოს, ქალების უვიცობას მას უნდა უმადლოდნენ მამაკაცები და ბედნიერად უნდა გრძნობდნენ თავს, რაკი დედაკაცები, რომლებიც ყოველმხრივ ჯაბნიან მათ, ამ მხრივ მაინც დაბლა დგანან.

სწავლულ ქალს ისე უყურებენ, როგორც ძვირფას დაშნას, ოსტატურად ნაჩუქურთმევს, საუცხოოდ გაპრიალებულსა და სათუთად მოხატულს. ოთახის სამკაულია იგი და სტუმრების საჩვენებლადაა გამოფენილი. სხვა დანიშნულება არ გააჩნია, რადგან არც ომისთვისაა გამოსადეგი და არც ნადირობისთვის ისევე, როგორც ცირკის ცხენი, თუნდაც შესანიშნავად გახედნილი.

თუ განსწავლულობა და გონიერება ერთ პიროვნებაშია შერწყმული, სქესს აღარ ვკითხულობ, აღტაცებული ვარ. თქვენ თუ მეტყვით, გონიერი ქალი სულაც არ ფიქრობს სწავლული იყოსო, ანდა სწავლული ქალი გონიერი არ გახლავსო, მაშინ დაგვიწყებიათ, რაც ახლახან წაიკითხეთ; ქალები მეცნიერებას ვერ ეთვისებიან ზოგიერთი ნაკლოვანების გამო. თავად განსაჯეთ, რამდენადაც მცირე ექნებათ ეს ნაკლოვანება, იმდენად მეტად გონიერნი იქნებიან. ასე და ამგვარად, გონიერი ქალი ვეღარ გადაიქცევა სწავლულად, ანდა სწავლული ქალი იმიტომ გამხდარა სწავლული, რომ დაუძლევია თავისი მრავალი ნაკლოვანება. მაშასადამე იგი განსაკუთრებით გონიერია.

50

თქვენი ახლობელი ორი ქალი წაიჩხუბა და მათი ჩხუბის მიზეზი სულაც რომ არ გეხებოდეთ თქვენ, მაინც ვეღარ შეინარჩუნებთ ორთავეს მეგობრობას. ან არჩევანი უნდა მოახდინოთ მათ შორის, ანდა ორივე დაკარგოთ.

51

ზოგიერთ ქალს მეგობრებზე მეტად ფული უყვარს, ხოლო ფულზე მეტად საყვარლები.

52

საოცარია, ისეთ ქალებსაც შეეხვდებით, ვისაც მამაკაცის სიყვარულზე მეტად და მგზნებარედ იტაცებთ სხვა რამ, მე მინდა ვთქვა, პატივმოყვარეობა და ბანქოს თამაში. ასეთ ქალთან მამაკაცი უბიწო ხდება, რამეთუ ქალს თავისი სქესისა და სამოსის გარდა, არა გააჩნია რა.

53

ქალებს უკიდურესობა ახასიათებთ: ან მამაკაცებზე გაცილებით უკეთესები არიან, ანდა გაცილებით უარესნი.

54

ქალთა უმრავლესობას პრინციპები არ გააჩნია; გულის კარნახს ემორჩილებიან და მათი საქციელი იმ მამაკაცზეა დამოკიდებული, ვინც უყვართ.

55

ქალს უფრო ძლიერი სიყვარული შეუძლია, ვიდრე მამაკაცთა უმრავლესობას. მაგრამ მამაკაცი მეგობრობაში უფრო გამტანია.

კაცები არიან მიზეზი იმისა, რომ ქალებს ერთმანეთი არ უყვართ.

56

სხვისი გამოჯავრება სახიფათოა. ლიზი თითქმის ბებრუცუნაა და ცდილობს მაჩვენოს, რაოდენ სასაცილოა ერთი ყმაწვილი ქალი. იმის გამოსაჯავრებლად ისე იმანჭება და იბრიცება, ისეთი შესახედავია, რომ შიშსა მგვრის. ეგრე გულის გასახეთქს რომ ვხედავ, ყმაწვილი ქალი მშვენიერი მეჩვენება.

57

ბურჟუები ისწრაფიან მრავალ შტერ ქალსა და კაცს დიდი გონიერება მიაწერონ. კარისკაცები კი ცდილობენ, გონიერები შტერე-

ბად გამოიყვანონ. ლამაზი და ჭკვიანი ქალი თუ გადარჩა და ბრიყვად არ მონათლეს, მხოლოდ იმიტომ, რომ დედაკაცია.

58

მამაკაცი სხვის საიდუმლოებას უკეთ იცავს, ვიდრე საკუთარს. ქალი კი, პირიქით, თავის საიდუმლოებას უკეთ ფარავს, ვიდრე სხვისას.

59

ახალგაზრდა ქალის გულს რაც უნდ ძლიერი სიყვარული დაეუფლოს, ანგარება და პატივმოყვარეობა სიყვარულს უფრო მეტად უძლიერებს.

60

დგება ჟამი, როცა თვით დიდად მდიდარმა ასულმაც კი ვინმეზე უნდა შეაჩეროს არჩევანი. პირველ საქმროებს თუ ხელიდან გაუშვებს, არ ასცდება ხანგრძლივი სინანული. ჩანს, სიმდიდრე სილამაზესთან ერთად კარგავს მიმზიდველობას. ხოლო სანამ ახალგაზრდაა, ქალს ყოველივე მფარველობს, თვით მამაკაცთა აზრიც: მიაწერენ ყოველგვარ სიკეთეს, რის შემდეგაც იგი უფრო სასურველი ხდება.

61

რამდენია ისეთი გოგონა, ვისთვისაც დიდ სილამაზეს დიდი სიმდიდრის მოხვეჭის იმედის გარდა, სხვა არაფერი მიუცია.

62

მშვენიერ ქალიშვილებზე, რომელნიც თაყვანისმცემლებს უდიერად ეპყრობოდნენ, შურს იძიებენ მაიმახი, ან ბებერი, ანდა ულირსი ქმრები.

63

ქალი მხოლოდ იმ კაცის ღირსებასა და სილამაზეს ცნობს, ვინც თვალში მოსდის. თუ ვინმე არ მოსწონს, მისას არც ღირსებას ამჩნევს და არც სილამაზეს.

64

მამაკაცი თუ წუხს, ხომ არ შევიცვალე, ხომ არ დავბერდიო, თვალებში ჩახედოს ყმაწვილ ქალს, ვისაც ეარშიყება და დააკვირდეს რა კილოთი ელაპარაკება იგი. მყისვე შეიტყობს იმას, რისიც ეშინია: მკაცრი გაკვეთილია!

65

ქალი თუ ერთ ვინმეს არ აშორებს ანდა ვერ უსწორებს თვალს, ყველასთვის გასაგები ხდება, რასაც ნიშნავს ეს.

66

ქალი იოლად ლაპარაკობს გრძნობებზე, რასაც არ განიცდის, მამაკაცი უფრო იოლად ლაპარაკობს გრძნობებზე, რასაც განიცდის.

67

ხანდახან ქალი ცდილობს მამაკაცს დაუმალოს მის მიმართ აღძრული ვნება, ხოლო მამაკაცი მას სიყვარულს ეფიცება და არაფერს განიცდის.

68

ზოგჯერ მამაკაცი ქალის მიმართ გულგრილად არის განწყობილი და მაინც სიყვარულს ეფიცება. საკითხავია, განა არ სჯობდა ყურადღება მიეპყრო იმ ქალისათვის, ვისაც იგი უყვარს, ვიდრე იმისთვის, ვისაც არ უყვარს.

69

მამაკაცს არ გაუძნელდება ცრუ ფიცით დაიპყროს ქალის გული, თუ სხვა ქალი წრფელად არ უყვარს.

70

ქალს როცა აღარ უყვარს, კაცი აყალმაყალს ატეხს და უმალ დამშვიდდება. ქალი თუ მიატოვეს, ნაკლებად ჩხუბობს და დიდხანს ვერ პოულობს სიმშვიდეს.

71

სიზარმაცისგან ქალის განკურნება შეუძლია პატივმოყვარეობასა და სიყვარულს.

ხოლო თუ სიცოცხლით სავსე ქალი სიზარმაცემ შეიპყრო, სიყვარულის მომასწავებელია.

72

სრულიად უდავოა, როცა ქალი გატაცებით სწერს წერილს კაცს, ნამდვილად გატაცებულია, მაგრამ ვერავინ გაიგებს, ნამდვილად უყვარს თუ არა. მგზნებარე და წრფელი სიყვარული გულჩათხრობილი და უტყვია. სიყვარულით დატყვევებული ქალი ისწრაფის გაიგოს, კაცს თუ უყვარს იგი და სულაც არ ცდილობს საკუთარი გრძნობები გაუმჟღავნოს.

73

გლისერს ქალები არ უყვარს. არ სიამოვნებს არც მათი საუბარი და არც სტუმრობა. ვიზიტით მოსულებს აუწყებენ, რომ იგი ავადაა. ხშირად ასევე ისტუმრებს მეგობრებს, რომელნიც არცთუ ბევრი ჰყავს და რომელთა მიმართ მეტად მკაცრია, უკარება და ქედმაღალი. როცა შეხვდება, გაფანტულად უსმენს, ერთმარცვლიანი სიტყვებით იძლევა პასუხს და ეტყობა ცდილობს, მალე მოიშოროს თავიდან. ცხოვრობს განმარტოებით და გულჩათხრობილად.

მისი კარი მუდამ სასტიკად არის დაცული, მისი საწოლი ოთახი უფრო შეუღწეველია, ვიდრე მონტორონისა და ემერის საბრძანებლები. მარტოოდენ კორინი გახლავთ მისი სასურველი სტუმარი. რა დროც უნდა იყოს, კარი მისთვის ფართოდ იღება. გლისერი ეხვევა, ჰკოცნის მას, თითქმის უყვარს კიდეც კორინი. მასთან ერთად კაბინეტში იკეტება და რაღაცას ჩასჩურჩულებს ყურში. ისმენს მის ჩივილს. თვითონაც ჩივის კორინის გარდა ყველა ქალზე. ყველაფერს ეუბნება, მაგრამ არაფერს აგებინებს. თვით არ ენდობა, კორინი კი ყველაფერს უმჟღავნებს. მეტად ვიწრო წრეში ტრიალებს გლისერი. მათთან ერთად თუ წავა მეჯლისზე, თეატრში, მათთან ერთად სეირნობს ბაღში, ვენსენის გზაზე, სადაც მეგობრები ნუგბარ ხილს შეექცევიან. ხანდახან ტახტრევანზე დაბრძანებული მარტოდ-მარტო მიემართება თავის მშვენიერ ხილის ბაღში, სენ-ჟერმენის გარეუბანში რომ აქვს გაშენებული. ანდა ესტუმრება უამრავ, გულისამათრთოლებელ საიდუმლოების მოზიარე კანიდის, რომელიც ყმაწვილქალებს უწინასწარმეტყველებს მეორედ გათხოვებას და თან იმასაც აუწყებს, როდის და რა პირობებში გათხოვდებიან. გლისერი სულ უბრალოდ, სადად ივარცხნის თმას, ასევე სადად იმოსება, კორსეტს ახლოსაც არ იკარებს და უქუსლო მაშიებს ატარებს. აგრე შილიფად ჩაცმულიც სანდომიანია, ოღონდ სიქორფით ვერ დაიკვეხნის. ერთია, მკერდზე ხშირად უბნევია ძვირფასი ქინძისთავი და მას გულმოდგინედ უმალავს ქმარს, ვისაც თავს ევლება, ეფერება, ელამუნება და ყოველ დღე ახალ-ახალ საალერსო სახელს უგონებს. სათაყვანებელ მეუღლეს სარეცელს უყოფს და ცალკე საწოლზე არ თანხმდება. დილით თავის ტუალეტსა და წერილების წერას უნდება. ერთი გააზატებული ყმა ეახლება და საიდუმლოდ ეჩურჩულება მას. იგი გლისერის ფავორიტი გახლავთ, პარმენონი. ბატონს ჭირივით სძულს. მსახურები შურით სკდებიან. ქალბატონი კი მისი მფარველი ანგელოზია. რაც მართალია, მართალია, აბა, პარმენონზე უკეთესად ვინ გადასცემს, ვისაც საჭიროა, ქალბატონის ნება-სურვილს და ვინ მოიტანს პასუხს? როცა დუმილია საჭირო, ვინ მუნჯდება მასზე უკეთესად? საიდუმლო კარის გაღება ვის შეუძლია მასზე უხმაუროდ? ვინ მიუძღვება პარმენონზე მარჯვედ სამარქაფო კიბით იმ ვიღაცას? მასზე ოსტატურად ვინ გაიყვანს იმ ვიღაცას იმავე კარით, საიდანაც შემოიყვანს?

74

ვერ გამიგია, თუკი ქმარი თავს არ იკავებს და ცუდ განწყობილებასა და უგუნებობას თავისუფლად ამჟღავნებს და არათუ არ ფარავს თავის არც ერთ ნაკლს, არამედ ამით ტრაბახობს კიდეც, თანაც ძუნწია, უხეში, მოჩაჩული, გაუთლელი, გულგრილი და პირქუში, როგორღა შეიძლება იმედოვნებდეს, რომ ახალგაზრდა ცოლს დაიცავს თაყვანისმცემლის შემოტევისგან, როცა ეს უკანასკნელი კოხტად ჩაცმულია, ხელგაშლილი, თავაზიანი, მზრუნველობით თავს ევლება ქალს და თან საჩუქრებით, ტკბილი ალერსითა და ლაციცით აღავსებს.

75

ყოველი ქმარი მეტოქეს თავად იმზადებს და ვით საჩუქარს, ისე მიუძღვნის მეუღლეს. აქებს, ადიდებს ცოლის წინაშე, რა ჩაკიწკიწებული კბილები აქვსო, რა ლამაზი ცხვირ-პირიო. სახლის კარს ფართოდ უღებს და მის სამსახურს სიხარულით ეგებება. მერე, როცა აღსრულდება ის, რასაც თვითონვე უწყობდა ხელს, ამ მეგობრის გამოგზავნილ ნანადირევსა და ტრუფელებს გემრიელად შეექცევა. ვახშამს გამართავს და სტუმრებს ეუბნება: „აბა, ერთი ეს მიირთვით. ლეანდრის გამოგზავნილი გახლავთ, არაფერი დამჯდომია, მადლობა ვუთხარი მხოლოდ“.

76

ერთი ქალი ისე აბუჩად იგდებს ქმარს, ისე ჩქმალავს მის არსებობას, რომ საზოგადოებაში კაცს არც ახსენებენ. ცოცხალიაო კიდევ, აღარ არის ცოცხალიო? არავინ უწყის. ოჯახში მარტოოდენ ნიმუშია მოკრძალებული დუმილისა და ყურმოჭრილი მონობისა. ცოლი თუ მოუკვდება, დედაკაცივით თალხებში ვერ გაეხვევა და საქვრივო ქონებასაც ვერ დაეპატრონება, შვილსაც ვერ გააჩენს, თორემ სხვაფრივ იგი ცოლია, ხოლო ცოლი ქმარი გახლავთ. თვეობით ერთ ჭერქვეშ ცხოვრობენ და არავითარი საფრთხე არ მოელით, ერთმანეთს შეხვდნენ, თუმცა მეზობლები კი არიან. ბატონი უსწორებს ანგარიშს ყასაბსა და მზარეულს, სუფრა კი ქალბატონთან იშლება. საერთო თითქმის არაფერი აქვთ, არც სარეცელი, არც

სუფრა; გვარსაც კი სხვადასხვას ატარებენ. ცხოვრობენ რომაულსა თუ ბერძნულ ყაიდაზე: ყველა თავისთვის. როცა გაივლის დრო და ჟამი, ყურს მიაჩვევ ქალაქურ ჟარგონს და გაიგებ ბოლოს და ბოლოს, რომ ბ-ნი ბ... ოცი წელია ქმარი ბრძანდება ქ-ნი ლ...-სი.

77

ეს ქალი ისეთი წესიერი ყოფაქცევისაა, რომ ქმარს თუ სულს ვერ ამოხდის, სამაგიეროდ ლამის მიამკვდარუნოს, ისე ეამპარტავნება თავისი კეთილშობილი წარმოშობითა და მაღალ საზოგადოებასთან ურთიერთობით, მდიდარი მზითევით, მომხიბვლელი გარეგნობით, ღირსეული თვისებებითა და იმით, რასაც ზოგი სათნოებას უწოდებს.

78

იშვიათია ისეთი სრულყოფილებით აღსავსე დედაკაცი, რომელიც დღეში ერთხელ მაინც არ აძლევდეს ქმარს საბაბს სინანულისთვის, ცოლი რად შევირთეო, ანდა, ყოველ შემთხვევაში, ბედნიერად არ რაცხდეს კაცს, ვისაც ცოლი არ ჰყოლია.

79

გულჩახვეული, მდუმარე მწუხარება მოდიდან გავიდა. ქალი ტირის, მოთქვამს, ერთსა და იმავეს იმეორებს. ქმრის გარდაცვალებით ისეა თავზარდაცემული, რომ ერთი წვრილმანიც კი არ ავიწყდება.

80

რა იქნებოდა გამოეგონათ საშუალება იმისა, რომ ცოლს ქმარი შეეყვარებინა.

81

ცივი ქალი იმიტომ ჰქვია, რომ ჯერ არ შეხვედრია კაცი, ვისაც შეიყვარებდა.

ოდესღაც სმირნაში ცხოვრობდა ერთი მეტად ტურფა ასული, ემირი ერქვა სახელად. ქალაქში სილამაზით ისე არ იყო განთქმუ-

ლი, როგორც სიმკაცრითა და განსაკუთრებით მამაკაცებისადმი გულგრილი დამოკიდებულებით. თავად იტყოდა, მათთან შეხვედრა ჩემთვის სახიფათო არ გახლავთო. როგორც ჩემი დაქალებისა და ძმების მიმართ, ისე ვარ მათდამი განწყობილიო. ოდნავადაც ვერ იჯერებდა მონაყოლს იმ სიგიჟეზე, რასაც ყოველ დროს სიყვარული იწვევდა ადამიანებში. ვერც ის გაეგო, რასაც საკუთარი თვალით ხედავდა. მეგობრული გრძნობის გარდა, არაფერი განეცადა. და ამ გრძნობას უმადლოდა ერთ მშვენიერ გოგონას. ისე ტკბილი და ნაზი იყო მათი ურთიერთობა, რომ ემირი სხვას არას ნატრობდა, ოღონდ იგი სამარადისოდ გაგრძელებულიყო. ვერ წარმოედგინა, თუ სხვა რამ გრძნობას შეეძლო ოდესმე გაენელებინა მისი ლტოლვა მეგობრის ერთგულებისა და ნდობისადმი, რითაც ესოდენ კმაყოფილებას განიცდიდა. მარად პირზე ეკერა მეგობრის სახელი, ეფროზინე. და მთელ სმირნას ემირისა და ეფროზინეს მეტი სალაპარაკო არარა ჰქონდა. მათი მეგობრობა ანდაზად იქცა. ემირს ორი ახალგაზრდა ძმა ჰყავდა, ისეთი პირმშვენიერი, რომ ქალაქში ყველა ქალს ჭკუა ეკარგებოდა მათზე. ემირს ნამდვილი დაძმური სიყვარულით უყვარდა ძმები. იუპიტერის ერთ ქურუმს, ემირის მამის ხშირ სტუმარს, ასულის ტრფობა აღეძრა გულში. გაკადნიერდა, ემირს გაუმჟღავნა გრძნობა თვისი. დაიტეხა ასულის რისხვა. მოვიდა შემდეგ ბერიკაცი, წარმოშობით და სიმდიდრით გალაღებულმა გაბედულება გამოიჩინა და ქურუმის ეწია ბედი. ქალი ხარობდა, თუმცა აქამდე თავის ორსა ძმას, ქურუმსა და ბერიკაცს შეხვედროდა მარტოოდენ, ხარობდა გულში სიცივეს რომ დაესადგურებინა. მერე გამოჩნდა, რომ ცამ ინება, უფრო მძლავრი მიეჩინა მისთვის გამოცდა არა ერთი და არა ორი, მაგრამ ამაოდ. უმალ დაყარა ყველამ ფარ-ხმალი და უკარება ასულს მშვენიერს განუმტკიცდა სახელი ქალის, სიყვარული ვისაც ვერ სჯობნის. სამი ჭაბუკიც დაატყვევა მისმა მშვენებამ. ემირს კი ოდნავ არ აწუხებდა მათი განცდები. ხელმა მიჯნურმა მკერდი გაიპო ასულის ფერხთან. მეორეს რაკი არ ათხოვა ყური ემირმა, კრიტის ბრძოლაში შეეგება სიკვდილს უშიშრად. ხოლო მესამემ მწუხარებით ძილგამქრალმა, დალია სული. არ მოვლენოდა ასულს ჭაბუკი, ვინც იძიებდა შურს ყველას ნაცვლად. ემირის მიმართ უიმედო სიყვარულით შეპყრობილ ბერ კაცს, რაკი ეფიქრა, მოხუცი ვარ და ასულ-

საც, ვისაც მსურდა მოვწონებოდი, სულ სხვაგვარი ხასიათი ჰქონია თურმე, გადაეწყვიტა, ხანდახან მაინც ეხილა იგი, მისდა ნუგეშად ესეც კმაროდა. ერთ დღეს მშვენიერს ტურფა ქალიშვილს წარუდგინა თავისი ძე, ყმაწვილი კაცი პირმწყაზარი, ტანწერწეტა, კეთილშობილი. ასულმა მზერა დაკვირვებით მიაპყრო ჭაბუკს, ვისაც მამის წინ მოკრძალება ისე ბორკავდა, რომ დუმდა დიდხანს, ხოლო ქალი უჭკუობად უთვლიდა დუმილს, თუმცა წუხდა, რატომ არ ჰქონდა ვაჟს მეტი ჭკუა. მერე კვლავ შეხვდა, მარტონი იყვნენ და ჭაბუკი ალაპარაკდა. გონიერება არ აკლდა, მაგრამ ქალს არ შესციცინებდა, არც აქებდა მის სილამაზეს, ყურადღებას არც კი აქცევდა. ემირს დიდად გაუკვირდა, აღშფოთდა კიდეც, რაკი ყმაწვილი ასე კოხტა, ასე ჭკვიანი, თავაზიანად არ ექცეოდა. მეგობარს თვისას უამბო ყველა და მეგობარმა მოინდომა ვაჟკაცის ნახვა. ჭაბუკი მხოლოდ ეფროზინეს ხედავდა ირგვლივ და უთხრა კიდეც, მშვენიერი ბრძანდებითო, ლამაზი მეტად. აგრე გულგრილი ემირი ჩვენი ეჭვიანობამ შეიპყრო უცებ. მიხვდა, კტეზიფონს სწამდა, რასაც ამბობდა კიდეც. და რომ იგი თავაზიანი არ იყო მხოლოდ, იყო მიჯნურიც. და ამის შემდეგ მეგობართან შებორკილად იყო ემირი. ინება მერე კვლავ ენახა ისინი ერთად, რათა ყოველი განეჭვრიტა ცხადად და ნათლად. და ეს შეხვედრა უმჟღავნებდა უფრო მეტს, ვიდრე შიშობდა ემირ; აღარ ეჭვობდა, დარწმუნებით იცოდა უკვე. ეფროზინეს ჩამოსცილდა, ვეღარ გაეგო, რა ღირსება ხიბლავდა მისი. არც საუბარი იზიდავდა ნაზ მეგობართან. აღარ უყვარდა. ასეთმა შეცვლამ აგრძნობინა, სიყვარულმა დაიკავა მეგობრის ადგილი გულში. კტეზიფონი, ეფროზინე ყოველდღიურად ერთურთს ხვდებიან, ეტრფიან ერთურთს, ჯვარის დაწერას აპირებენ და იწერენ ჯვარს. და ეს ამბავი მოედება მთელ ქალაქს უმალ. და ყველა ამბობს, ბოლოს და ბოლოს, ორ ადამიანს ბედად ერგო სიხარული იშვიათი და შესაშური; ორი მიჯნური ქორწინებამ შეაკავშირა. ემირს მოესმა ეს ამბავი, მწუხარებამ გული აუვსო. იგრძნო, ძალუმი მიჯნურობა დაუფლებოდა. რომ ნეტარება განიცადოს, კტეზიფონი იხილოს მხოლოდ, ეფროზინეს ეახლება. ჭაბუკი ქმარი ისევ არის საყვარელი თავის მეუღლის. ახალი ცოლი მიჯნურია უნეტარესი. ემირს მიიჩნევს ძვირფასი ცოლის მხოლოდ მეგობრად. უბედური ყმაწვილი ქალი ვეღარც იძინებს და ვერც ჭამს

რამეს. ძალა ეცლება, ჭკუას ჰკარგავს, კტეზიფონი ჰგონია ძმა და ვით სატრფოს, ისე მიმართავს. გონს მოდის მყისვე, ამის გამო იწვის სირცხვილით. უფრო მეტი შეცდომა მოსდის, მაგრამ აღარ წითლდება უკვე, ვეღარაფერს გრძნობს. მამაკაცების იპყრობს შიში, მაგრამ უკვე გვიანღა არის, გაგიჟდა ემირ. ხანდახან გონი უბრუნდება, ოხრავს და გმინავს, აღარ არგებს ჭკუა და აზრი. ხოლო სმირნელი ახალგაზრდობა, ვისაც ახსოვს ზვაობა მისი და გულცივობა, ფიქრობს, ღმერთებმა მეტისმეტად დასაჯესო ტურფა ასული.

თავი მეოთხე

გულის შესახებ

1

მეგობრობას წმინდასა და სპეტაკს ისეთი ხიბლი აქვს, რაიც შუალანად დაბადებულთ ვერ გაუგიათ.

2

√ მეგობრობა შეიძლება არსებობდეს სხვადასხვა სქესის ადამიანებს შორის და პაწაწინა უწმინდური ზრახვანიც კი არ ახლდეს. და მაინც ქალი კაცში ყოველთვის ხედავს კაცს, და, პირიქით, მამაკაცი ქალში ხედავს ქალს. ამგვარი ურთიერთობა არც მეგობრობად და არც ვნებად არ ჩაითვლება: სულ სხვა სფეროს განეკუთვნება.

3

სიყვარული უეცრად, ანგარიშმიუცემლად, ვნებისა თუ რაღაც სისუსტის შედეგად იბადება. ერთი ლამაზი ნაკვთი თვალს მოგვწყვეტს, უმალ დაგვაბამს და გადაწყვეტს ჩვენს ბედს. მეგობრობა კი, პირიქით, დროთა განმავლობაში, ხშირი შეხვედრებისა, დაახლოების შემდეგ თანდათანობით ყალიბდება. რაც უნდა ჭკუით

ექცეოდე მეგობარს, თბილად, ნაზად, გულისხმიერად და მზრუნველობით ევლებოდე თავს, მრავალი წლის განმავლობაში ვერ მიაღწევ იმას, რასაც ერთ წუთში მიაღწევს პირი ყირმიზი და ხელები ნასათუთები.

4

ჟამთა სვლა მეგობრობას ადუღაბებს, სიყვარულს კი აკნინებს.

5

სიყვარული ვიდრე ცოცხლობს, საკუთარ თავში პოულობს ძალას, ხანდახან კი მისი წყარო ხდება სიმკაცრე, ახირება, ეჭვიანობა და დაშორება, რაიც თითქოსდა უნდა ანელებდეს ამ ნეტარ გრძნობას. მეგობრობას კი მოვლა სჭირდება და იღუპება თავაზიანობის, გულთბილობისა და ნდობის გარეშე.

6

უფრო ხშირია თავგანწირული სიყვარული, ვიდრე უებრო მეგობრობა.

7

სიყვარული და მეგობრობა ერთმანეთს გამორიცხავს.

8

ვისაც დიდი სიყვარული განუცდია, მეგობრობას არაფრად აგდებს. ხოლო ვისაც ყოველივე მეგობრისთვის უნაცვალებია, სიყვარული არ განუცდია.

9

სიყვარულს ისევ სიყვარული წარმოშობს მუდამ. ძლიერი მეგობრობიდან მეტად სუსტი სიყვარული აღმოცენდება.

10

მგზნებარე მეგობრობას არაფერი ისე არ ჰგავს, [illegible] სიყვარულის საკეთილდღეოდ ვინმესთან დამყარებული [illegible]ერთობა.

11

ჭეშმარიტად მხოლოდ პირველად გვიყვარს. მომდევნო სიყვარული ნაკლებ უშუალოა.

12

ერთბაშად აღმოცენებული სიყვარული ყველაზე ძნელი გასაკურნია.

13

სიყვარული, რომელიც თანდათანობით, ნელ-ნელა ვითარდება, იმდენად ემსგავსება მეგობრობას, რომ მგზნებარე ვნებად ვერ გადაიქცევა.

14

ვისაც ისე უყვარს, რომ სურს ათასჯერ მეტად უყვარდეს, მაინც ნაკლებად უყვარს, ვიდრე მას, ვისაც უყვარს უფრო მეტად, ვიდრე სურს.

15

თუ ვიტყვი, რომ უმძაფრესი გრძნობებით შეპყრობილ გულს სატრფო უფრო მეტად უყვარს, ვიდრე თავისი თავი, ვის უფრო მეტად ვასიამოვნებ, იმას, ვისაც უყვარს, თუ იმას, ვინც უყვართ?

16

კაცებს ხშირად სურთ ვინმე შეიყვარონ და ვერ ახერხებენ. სწყურიათ დამარცხება და გამარჯვებას აღწევენ და იძულებულნი ხდებიან თავისუფლად ინავარდონ.

17

თავდაპირველად მგზნებარედ უყვართ ერთმანეთი, თანდათან თვითონვე უწყობენ ხელს, რომ გრძნობა ჯერ განელდეს და მერე გაქრეს. ვინ უფროა დამნაშავე განშორებაში, კაცი თუ ქალი? ძნელია ამის თქმა. ქალები კაცებს აბრალებენ, ერთგულნი არ არიანო, კაცები კი ქალებზე ამბობენ, თავქარიანები გახლავანო.

18

სიყვარულში რაც უნდა მომთხოვნი იყო, მაინც მეტის პატიება შეგიძლია, ვიდრე მეგობრობაში.

19

შეყვარებული ადამიანისთვის იმაზე ნეტარი შურისძიება არაფერია, რომ თავისი საქციელით უმადური სატრფო უსაზღვროდ უმადურად გადააქციოს.

20

რა მწუხარებას ანიჭებს ღარიბ კაცს სიყვარული, როცა არ ძალუძს საჩუქრებით აავსოს ქალი და ისე გააბედნიეროს, რომ აღარაფერი ენატრებოდეს.

21

ქალმა, ვისაც ოდესღაც მგზნებარედ ეტრფოდი სრულიად უიმედოდ, შემდგომ რაც უნდ მნიშვნელოვანი სამსახური გაგიწიოს, მაინც არ იქნები მისი მადლიერი.

22

ღრმა მადლიერების გრძნობა გვინახევრებს მეგობრულ განწყობილებას იმის მიმართ, ვინც სიკეთე გაგვიწია.

23

ბედნიერებისთვის ისიც კმარა, იმყოფებოდე საყვარელ არსებასთან, ოცნებობდე, ესაუბრებოდე მას, კრინტსაც არ ძრავდე, ფიქრობდე მასზე, ფიქრობდე რაღაც-რაღაცაზე; ოღონდ იყო მის გვერდით და სხვა არაფერი გინდა.

24

სიძულვილი უფრო ახლოა მეგობრულ გრძნობასთან, ვიდრე ზიზღი.

ზიზღი უფრო შეიძლება გადაიზარდოს სიყვარულში, ვიდრე მეგობრობაში.

25

მეგობარს გაანდობ საიდუმლოს, საყვარელთან წამოგცდება.

26

შესაძლოა ვინმემ გული გადაგიშალოს, მაგრამ მის გულს ვერ დაეპატრონო: გულის მეუფეს არც ნდობა ესაჭიროება, არც საიდუმლოს გაზიარება. ისედაც ყოველივე გადაშლილია მისთვის.

27

მეგობრებს ვამჩნევთ ისეთ ნაკლს, რასაც მათთვის მოაქვს ზიანი. საყვარელს ვამჩნევთ ისეთ ნაკლს, რასაც ჩვენთვის მოაქვს ზიანი.

28

სიყვარულში პირველი წაბორძიკება და მეგობრის პირველი დანაშაული კარგი გაკვეთილია ჩვენთვის.

29

უსამართლო, ახირებულ და უსაფუძვლო ბრალის დადებას თუ

ეჭვიანობას ეძახიან, მაშ რატომღა უნდა ერქვას ეჭვიანობა სამართლიან, ბუნებრივ გრძნობას, დამყარებულს საღ მოსაზრებაზე და უტყუარ ფაქტებზე. მას სხვა სახელი უნდა გამოეძებნოს.

30

ეჭვიანობა ხშირად ადამიანის ხასიათიდან გამომდინარეობს და ყოველთვის როდია მგზნებარე ვნების მაუწყებელი. მაგრამ წარმოუდგენელია ძლიერი სიყვარული აუღელვებელი და არხეინი.

ადამიანები, რომელნიც არ არიან დარწმუნებულნი სიყვარულში, მხოლოდ თვითონ იტანჯებიან. ეჭვიანები თვითონაც იტანჯებიან და სხვასაც ტანჯავენ.

31

ქალებზე, რომლებიც არ გვინდობენ და ეჭვიანობის მიზეზს არ გვაცილებენ, არც ვიეჭვიანებდით, ჩვენი გრძნობები მათ ხასიათსა და მოქმედებაზე რომ იყოს დამოკიდებული და არა ჩვენს გულზე.

32

გულის გაცივებასა და განხეთქილებას მეგობრობაში თავისი მიზეზი აქვს. სიყვარულში ასე არ გახლავთ: ერთმანეთი აღარ უყვართ, რადგან უწინ ძლიერ უყვარდათ.

33

ძალა არ შეგვწევს სიყვარული სამარადჟამოდ შევინარჩუნოთ, ანდა არავინ შევიყვაროთ.

34

სიყვარულს მოწყენილობა ჰკლავს, დავიწყება ასამარებს.

35

სიყვარულის აღმოცენებისას და ჩაფერფლვისას შეყვარებული წყვილი შებორკილად გრძნობს თავს, მარტო დარჩება თუ არა.

36

სიყვარულის დასასრული აშკარა საბუთია იმისა, რომ ადამიანი შეზღუდულია და გულსაც თავისი საზღვრები აქვს.

სიყვარული სისუსტეა; უფრო მეტი სისუსტეა სიყვარულისგან განკურნება.

სიყვარული და მწუხარება ერთი და იგივე მიზეზით ქრება: გულში შრება წყარო ცრემლისა და სიყვარულისა.

ზოგიერთი დანაკარგის გამო გულში სამუდამოდ უნდა ისადგურებდეს მწუხარება. უზომო ტკივილი თუ გაგვიყუჩდა, სულაც არ ნიშნავს, თითქოს დიდი ნებისყოფა და ძლიერი გონება გვქონდეს. ცრემლსაც ვაფრქვევთ, ჩვენი დარდი, ჩვენი ვარამიც წრფელია, მაგრამ ისე სუსტები ვართ, ისე თავქარიანები, რომ თანდათან ვპოულობთ ნუგეშს.

37

უშნო ქალს თუ ვინმე შეიყვარებს, უთუოდ თავდავიწყებით და მგზნებარედ. რადგან ეს გრძნობა მიანიშნებს კაცის უცნაურ ახირებაზე, ანდა ქალის იდუმალებით მოცულ, უსაზღვრო ხიბლზე, რაიც სილამაზეზე უფრო ძლიერია.

38

ჩვეულებას აყოლილნი ხვდებიან ერთმანეთს და სიყვარულს ეფიცებიან, ხოლო მათი ყოველი მოძრაობა მეტყველებს, რომ დიდი ხანია აღარ უყვართ ერთმანეთი.

39

თუ ცდილობ დაივიწყო ვინმე, ესე იგი, სულ იმაზე ფიქრობ. სიყვარულს სინდისის ქენჯნასთან ის აქვს საერთო, რომ უფრო მეტად მტკიცდება, რამდენადაც ბევრს ფიქრობ მასზე, ბევრჯერ იხსენებ და ცდილობ გულიდან ამოიგდო. გრძნობა გაგინელდება, თუკი შეძლებ სულაც არ იფიქრო მასზე.

40

ცდილობ, ყოველგვარი ბედნიერება მიანიჭო მიჯნურს, თუ ეს ვერ შესძელი — ყოველგვარი უბედურება.

41

მისტიროდე და მწუხარებდე იმაზე, ვინც გიყვარს, გაცილებით ადვილია, ვიდრე ცხოვრობდე იმასთან, ვინც გძულს.

42

რაც უნდ უანგაროდ გიყვარდეს ადამიანი, ხანდახან თავს ძალა უნდა დაატანო და სულგრძელად მიიღო მისგან საჩუქარი.

საჩუქრის ღირსი არის ის, ვინც ისევე ამაღელვებელი სიხარულით იღებს ძღვენს, ვითარცა მისი სატრფო გასცემს.

43

გაცემა კეთილი მოქმედებაა: იგი არც ძალდატანებითია და არც. გაჭირვებულის ხვეწნა-მუდარის შეწყნარება.

44

ადამიანი თუ დაეხმარა იმას, ვინც უყვარდა, მერე, რაც უნდა მოხდეს, არ უნდა გაახსენოს თავისი სიკეთე.

45

რომაელებს უთქვამთ, სიძულვილი უფრო იაფი გვიჯდება, ვიდრე სიყვარულიო. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მეგობრობა უფრო მეტს მოითხოვს ჩვენგან, ვიდრე მტრობა. მართალია, სულაც არა ვართ ვალდებული ვეხმარებოდეთ მტერს, მაგრამ შურისძიება განა ნაკლები გვიჯდება? თუ საამო და ბუნებრივია ბოროტება მიუზღო იმას, ვინც გძულს, განა ნაკლებ საამური და ბუნებრივია სიკე-

თე მიუზღო იმას, ვინც გიყვარს? ნუთუ უფრო მძიმე და დამთრგუნველი არ იქნება, თუ არც ერთს გააკეთებ და არც მეორეს?

46

საამურია შემოხედვა იმისა, ვისაც ახლახან დაეხმარე.

47

არ ვიცი, უმადურის ანუ უღირსის დახმარება თუ ითვლება სიკეთედ და თუ იმსახურებს ქებას.

48

გულუხვობა ბევრის გაცემას როდი ნიშნავს, არამედ დროულად გაცემას.

49

თუ მართალია, რომ სხვისი შებრალება და თანაგრძნობა ისევ ჩვენივე თავის სიყვარულის გამომხატველია, რადგან ჩვენს თავს გაჭირვებულის ადგილას წარმოვიდგენთ, მაშინ ჩვენი მდგომარეობა რატომ არის ესოდენ მცირეოდენი ნუგეში გაჭირვებულთათვის?

ჯობს უმადურობის მსხვერპლი გახდე, ვიდრე გაჭირვებულს არ დაეხმარო.

50

გამოცდილება გვიჩვენებს, სირბილე და ლმობიერება საკუთარი თავისადმი და სისასტიკე სხვისადმი, ერთი და იგივე მანკიერებაა.

51

კაცი, გულმოდგინე შრომაში, შეუდრეკელი გაჭირვებაში და მომთხოვნი თავისადმი, ადამიანებისადმი, ლმობიერია მხოლოდ თავისი ძლიერი გონების კარნახით.

52

რაც უნდ მოსაბეზრებელი იყოს ხელმოკლე კაცზე ზრუნვა, მაინც გული გვწყდება, როცა მას ბედი გაუღიმებს და ჩვენი მოვალა-პატრონობა აღარ სჭირდება. სწორედ ასევე, მეგობრის წარმატება ცოტა გვწყინს კიდეც, რადგან იგი უნდა ამაღლდეს ჩვენზე, ანდა გაგვიტოლდეს. ამგვარად საკუთარ თავს ვერ შევთანხმებივართ: გვინდა გვერდში გვყავდნენ ჩვენზე დამოკიდებული ადამიანები და არაფერი გვეხარჯებოდეს მათზე; გვინდა ჩვენმა მეგობრებმა ცხოვრებაში წინ წაიწიონ, მაგრამ როცა აღზევდებიან, დიდ სიხარულს აღარ განვიცდით.

53

კაცს შინ ვეპატიჟებით, ვთხოვთ გაინაწილოს ჩვენი სუფრა, ქონება, ვთავაზობთ ჩვენს სამსახურს: არაფერს ფასი არა აქვს, მხოლოდ სიტყვის შესრულებას.

54

კაცს თავისთვის მეტი რა უნდა, თუ ერთი ერთგული მეგობარი ჰყავს; ესეც ბევრია, თუკი შეხვდი. მაგრამ, რაც უნდ ბევრი მეგობარი გყავდეს, მაინც არ მოგჭარბდება, თუკი სხვების დახმარება გწადია.

55

თუ ყველაფერი მოიმოქმედე, რათა ზოგიერთი კაცის გული მოგეგო და ვერაფერს მიაღწიე, დაგრჩენია კიდევ ერთი საშუალება — აღარაფერი გააკეთო.

56

მტრებს ისე ეპყრობოდე, თითქოს ოდესმე შენი მეგობრები გახდებიან, ხოლო მეგობრებს, ისე თითქოს შენი მტრები გახდებიან, — არ გამომდინარეობს არც სიძულვილის, არც კეთილგანწყობილების არსიდან; ეს ზნეობრივი პრინციპი კი არ არის, არამედ ადამიანთა სიფრთხილე და შორსმჭვრეტელობაა.

57

ისეთი ვინმე არ უნდა მოიკიდო მტრად, რომელსაც თუ ახლოს გაიცნობ, მეგობრებს შორის ჩარიცხავ. ისეთი სანდო და კეთილსინდისიერი მეგობრები უნდა შეირჩიო, რომ თუნდაც ჩამოშორდე, არ ისარგებლონ შენი ნდობით და მტრობით საშიშროება არ შეგიქმნან.

58

საამურია ისეთ მეგობრებთან ურთიერთობა, რომლებიც შერჩეული გყავს შენი გემოვნების მიხედვით და პატივს სცემ. ხოლო თუ მეგობრობა დამყარებულია ანგარებაზე, ასეთი სიახლოვე მეტად ძნელი ასატანია. ეს იგივეა, რომ ძალით შეეკედლო ვინმეს.

59

კეთილგანწყობილება უნდა ეძიო იმასთან, ვისაც გსურს დაეხმარო და არა იმასთან, ვისგანაც მოელი დახმარებას.

60

კაცი ისე არ იღვწის მეტისმეტად მნიშვნელოვანი მიზნების განხორციელებისთვის, როგორც უბრალო სურვილებისა და რაღაც ახირების შესასრულებლად. იგი თავისუფლად გრძნობს თავს, როცა ამ პატარა სურვილებსა და ახირებას იკმაყოფილებს; როცა თავისი ცხოვრების მოსაწყობად ჩალიჩობს, ისეთი განცდა აქვს, თითქოსდა მონობის უღელი დაედგას. სრულიად ბუნებრივია, დიდი რამ გსურდეს და მასზე ნაკლებად ზრუნავდე; გჯეროდეს, რომ ამის ღირსი ხარ და მისთვის ბრძოლა არ გიხდებოდეს.

61

ვისაც შესწევს უნარი თავისი სურვილების შესრულებას უცადოს, სასოწარკვეთილებას არ ეძლევა, თუ იმედი უცრუვდება. ის, ვინც მოუთმენლად ისწრაფის მიზნის განხორციელებისკენ, იმდენ

ძალას ალევს, რომ თუნდაც აუხდეს ნატვრა, ქანცგაწყვეტილი რჩება.

62

ზოგიერთი ისე მგზნებარედ და დაჟინებით იღვწის მიზნის მისაღწევად, რომ იმის შიშით, ვაითუ სურვილი ვერ შევისრულოო, ყველაფერს აკეთებს, რათა მართლაც ვერ შეისრულოს.

63

ყველაზე სანუკვარ ოცნებას განხორციელება არ უწერია, და თუ ოდესმე ახდა, მაინც ისეთ დროს და ისეთ პირობებში შესრულდება, რომ დიდ კმაყოფილებას აღარ გვანიჭებს.

64

მანამდე უნდა ვიცინოთ, სანამ ბედნიერად ვიგრძნობდეთ თავს, თორემ შეიძლება ისე აღმოგვხდეს სული, რომ ერთხელაც არ გავიცინოთ.

65

სიცოცხლე ხანმოკლეა, თუკი მას სიცოცხლეს მაშინ ვუწოდებთ, როცა საამურია. ერთად რომ შევაკოწიწოთ ტკბილად გატარებული ყველა საათი, მრავალი წლიდან სიცოცხლის რამდენიმე თვე თუ შეგვრჩება ხელში.

66

რა ძნელია ვისმეს კმაყოფილი იყო!

67

სიხარულს ვერ შეიკავებ, როცა გაიგებ, ბოროტი კაცი სულთმობრძავიაო. საცაა სიძულვილი შენი ნაყოფს გამოიღებს და ამ საზიზღარი ადამიანისგან მიიღებ იმას, რისი იმედიც შეიძლება გქონოდა, — მისი გარდაცვალების ამბავს. ბოლოს კვდება ეს

კაცი, მაგრამ რა, ისეთ ვითარებაში განუტევებს სულს, რომ შენთვის აღარ არის სახარბიელო: კვდება ან ძალიან ადრე, ან ძალიან გვიან.

68

ამაყი კაცისთვის ძნელია აპატიოს ადამიანს, რომელიც მას დანაშაულზე წაუსწრებს და სამართლიანად უსაყვედურებს. გოროზი გული მხოლოდ მაშინ მოულბება, როდესაც მეორესაც ფეხი წაუცდება და თვითონ ძველებურად წელში გასწორდება.

69

ჩვენ უფრო და უფრო სათუთი გრძნობებით ვიმსჭვალებით იმის მიმართ, ვისაც სიკეთით ვავსებთ. ჭირის დღესავით კი გვძულს ის, ვისთვისაც მძიმე შეურაცხყოფა მიგვიყენებია.

70

ისევე ძნელია შეურაცხყოფა უმალ გადაყლაპო, როგორც ძნელია მრავალი წლის განმავლობაში გახსოვდეს იგი.

71

ჩვენი სისუსტის გამო გვძულს მტერი და შურისძიებაზე ვოცნებობთ. ჩვენი სიზარმაცის გამო ვმშვიდდებით და შურისძიებაზე აღარ ვოცნებობთ.

72

სიზარმაცისა და სუსტი ნებისყოფის შედეგად ვემორჩილებით ვინმეს.

ნუ გეგონება, თითქოსდა შესაძლებელი იყოს, ხელის ერთი დაკვრით, ყოველგვარი წინასწარი მომზადების გარეშე, ვინმეს შენი აზრი მოახვიო რაიმე სერიოზული საქმის მიმართ, რაც დიდად მნიშვნელოვანია მისთვისაც და მისი ახლობლებისთვისაც. იგი მაშინვე გრძნობს, რომ გსურს დაიმორჩილო და შენი გავლენის ქვეშ

მოაქციო. სირცხვილისა თუ ჭირვეულობის შედეგად შენი ბატონობის უღელს უმალ მოიცილებს. წვრილმანებიდან უნდა დაიწყო და აღარ გაგიძნელდება მნიშვნელოვან საქმეებში შენს ჭკუაზე აპროწიალო. დასაწყისში იქნებ გაგიჭირდეს სოფელში გაგზავნო, ანდა ქალაქში დააბრუნო, მერე იმასაც მიაღწევ, შენი კარნახით დააწერინო ანდერძი, რომლითაც მის შვილს მემკვიდრეობა ჩამოერთმევა.

რათა ვინმე დიდხანს გყავდეს მორჩილებაში, მოქნილი უნდა იყო და შენი ძალაუფლება არ აგრძნობინო.

ერთნი დაგემონებიან მხოლოდ განსაზღვრულ მიჯნამდე; ამის იქით კი ურჩნი ხდებიან და მიუკარებელნი. მათი გულისა და გონებისკენ გზა ჩაკეტილია. ვერც ქედმაღლობით, ვერც გაიძვერობით, ვერც ძალით, ვერც ცბიერებით ვეღარ გახვალ ფონს. ერთნი აგრე იქცევიან საღი მოფიქრებისა და მოსაზრების შედეგად, მეორენი — თვითნებობისა და სიჯიუტის გამო.

ზოგიერთი ახლოსაც კი არ იკარებს გონივრულ მოსაზრებასა და კეთილ რჩევას, საკუთარი ნებით ირჩევს მცდარ გზას იმის შიშით, რომ ვინმეს ნებას არ აჰყვეს.

ზოგი კი თანახმაა მეგობრების აზრი მეტად უმნიშვნელო და წვრილმან საკითხებში გაიზიაროს, და დაიტოვოს უფლება, დიდმნიშვნელოვანსა და სერიოზულ საქმეებში თვით უხელმძღვანელოს მეგობრებს.

დრანსი ცდილობს ყველას მოაჩვენოს, თითქოსდა თავის ჭკუაზე დაჰყავდეს ბატონი, მაგრამ არავის სჯერა მისი, თვით ბატონსაც კი. მეტად შეუფერებელ დროსა და ადგილას განუწყვეტლივ ელაპარაკებოდე დიდებულს, ვისაც ემსახურები, ყურში ჩასჩურჩულებდე, ანდა რაღაცას ეუბნებოდე საიდუმლოდ, მის წინაშე კვდებოდე სიცილით, სიტყვას აწყვეტინებდე, საუბარში ერეოდე, ზიზღით უყურებდე იმათ, ვინც დიდებულს ესტუმრა პატივისცემის გამოსახატავად, მოუთმენლად ელოდე სტუმრის წასვლას, თავხედური გამომეტყველებით ცხვირწინ ეტუზებოდე, ბუხართან აყუდებული იდგე მის წინაშე, ტანსაცმელზე ექაჩებოდე, ერთი ნაბიჯით არ სცილდებოდე, შინაურულად და თავგასულად იქცეოდე, მეგობრად მოგქონდეს თავი, — ყოველივე ეს მიანიშნებს სულელზე და არა ფავორიტზე.

გონიერი კაცი არც სხვას ემორჩილება და არც სხვას იმორჩილებს. მას სურს ყველა მორჩილებდეს გონებას.

სულაც არ მეწყინებოდა, თუ ჩემს თავს მივანდობდი გონიერ ადამიანს და დავემორჩილებოდი მას ყველაფერში აწ და მარადის. დარწმუნებული ვიქნებოდი, რომ სწორად მოვიქეცი. ფიქრით თავს არ შევიწუხებდი, სიმშვიდით დავტკბებოდი, ვით შეეფერება კაცს, ვისაც გონება უწევს ხელმძღვანელობას.

73

ყოველი ვნება მატყუარაა, რამდენადაც შეუძლია თვალთმაქცობს და საკუთარ თავსაც კი ემალება. არ არსებობს მანკიერება, რომელიც სათნოებით არ ინიღბებოდეს და მისი დახმარებით არ სარგებლობდეს.

74

ვკითხულობთ სულის საცხონებელ წიგნს და გული გვიჩუყდება. ვკითხულობთ სატრფიალო წიგნს და მღელვარება გვიპყრობს. გავბედავ და ვიტყვი, მხოლოდ გულს ძალუძს შეიცნოს და შეარიგოს ურთიერთსაწინააღმდეგო, შეუთავსებელი გრძნობები.

75

ხალხს დანაშაულის ისე არ რცხვენია, როგორც თავისი სისუსტისა და პატივმოყვარეობისა. აშკარად არიან უსამართლონი, მოძალადენი, გამცემნი, მაბეზღარნი და ამავე დროს, სრულიად უანგაროდ მალავენ სიყვარულსა და პატივმოყვარულ მისწრაფებებს.

76

არასოდეს უთქვამს ვისმეს, პატივმოყვარე ვიყავიო. კაცი პატივმოყვარე ან სულ არ არის, ან ყოველთვის არის. მაგრამ დგება დრო, როცა ყველა გულახდილად ვამბობთ, სიყვარულით გვიცემდაო გული.

77

კაცნი იწყებენ სიყვარულით, ამთავრებენ პატივმოყვარეობით. მშვიდდებიან, როცა სამუდამოდ განისვენებენ.

78

ვნება ადვილად სჯობნის გონებას. მისი დიდი გამარჯვებაა ანგარების დამარცხება.

79

გულით უფრო ადვილად და სიამოვნებით უახლოვდებიან ადამიანები ერთმანეთს, ვიდრე გონებით.

80

ზოგიერთ დიად გრძნობას, კეთილშობილსა და სულგრძელ საქციელს უფრო მეტად ვუმადლით ჩვენს თანდაყოლილ სიკეთეს, ვიდრე გონების ძალას.

81

ქვეყნად არ არსებობს უფრო მშვენიერი სიჭარბე, ვიდრე სიჭარბე მადლიერებისა.

82

მართლაც გონების ნატამალიც კი არ უნდა გაგაჩნდეს, რომ სიყვარულმა, ცბიერებამ, გაჭირვებამ ჭკუა არ გასწავლოს.

83

ქვეყნის ერთ კუთხეს აღტაცებით შესცქერი, მეორე კი გულს გითბობს და იქ დასახლების სურვილს აღგიძრავს.

მე მგონი, ადამიანის გონება, გრძნობები, ხასიათი, გემოვნება და მიდრეკილება მის ადგილსამყოფელზეა დამოკიდებული.

84

მხოლოდ ის, ვინც სიკეთეს თესავს, იქნებოდა შურის ღირსი. ამაზე უკეთესი ხვედრიც რომ არ არსებობდეს, — უფრო უხვად თესავდე სიკეთეს. რა ნეტარი იქნებოდა შურისძიება კაცზე, ვინც ამგვარ შურს გაგიღვიძებს.

85

ზოგი თავს ნებას არ აძლევს შეიყვაროს ვინმე და ლექსები წეროს; თითქოსდა ეს იყოს სამარცხვინო სისუსტე გულისა და გონებისა.

სანუკვარი და ფაქიზი გრძნობები ზოგჯერ გვეკრძალება და მეტად ბუნებრივია, რომ გულში მაინც ვნატრობდეთ, ნებადართული იყოსო. რა გაუტოლდებოდა ამ გრძნობათა მომხიბვლელობას თუ არა შეგნება იმისა, რომ მათ სათნოებას ვწირავთ მსხვერპლად.

თავი მეხუთე

მაღალი საზოგადოებისა და საუბრის შესახებ

1

გინდა სუსტი ხასიათი გქონია და გინდა სულ არ გქონია ხასიათი.

2

მხოლოდ ყეყეჩები გვაბეზრებენ თავს, ჭკვიანი კაცი უმალ მიხვდება, სასურველია იგი თუ ზედმეტი. სანამ ზედმეტად იგრძნობდეს თავს, მანამდე ტოვებს საზოგადოებას.

3

ფეხებში გვებლანდებიან უშნო ხუმარები და მწერებივით ფუთ-

ფუთებენ ყველგან. ნამდვილად ენამოსწრებული ადამიანი იშვიათი მოვლენაა და მასაც უჭირს დიდხანს შეინარჩუნოს ეს სახელი. კაცი, ვინც საზოგადოებას აცინებს, პატივისცემას ვერ იმსახურებს.

4

ბევრი გვყავს გონებაშეზღუდული ადამიანი, უფრო მეტი — ავყია და დამცინავი, გაცილებით ნაკლები — ნამდვილად ენამოსწრებული კაცი. მომხიბვლელად რომ იხუმრო და წვრილმანებზე თავშესაქცევად ისაუბრო, დახვეწილი გემოვნება, უშუალობა და ამასთან ერთად მდიდარი წარმოსახვის უნარიც უნდა გქონდეს. ამგვარი ენაკვიმატობა შემოქმედებაა, არაფრისგან რაღაცის შექმნა.

5

სერიოზულად ყური რომ დაუგდო აზრმოკლებულ, უსულგულო, ბავშვურად გულუბრყვილო ჩვეულებრივ მასლაათს, აღარც ლაპარაკი მოგინდება და აღარც მოსმენა. იქნებ მარადიული დუმილის ფიციც კი დადო, რაც საზოგადოებისთვის ლაქლაქზე უარესია მაშ, როგორც მოუცილებელ ჭირს, შევეგუოთ ყოველგვარი ჭკუის ადამიანებს, ნება დავრთოთ, მოგვიყვნენ მცდარ ამბებს, გაგვაცნონ ბუნდოვანი მოსაზრებები მეფეთა განზრახვებზე, მაღალფარდოვნად აგვისახონ სასიყვარულო ურთიერთობა. დე, განმეორდეს ეს ყოველივე აწ და მარადის: აროსნი ანდაზებს აფრქვევდეს, მელენდი თავის თავზე წუწუნებდეს, თავის ნერვიულობაზე, შაკიკზე და უძილობაზე.

6

ზოგიერთ კაცს გაიცნობ და გამოელაპარაკები თუ არა, უმალ მოგაბეზრებს თავს იმ საოცარი, გავბედავ და ვიტყვი, უხამსი გამოთქმებითა და სიტყვებით, რომელთაც, როგორც მოეპრიანება, ისე უკავშირებს ერთმანეთს და მნიშვნელობასაც ისეთს აძლევს, რასაც არაფერი აქვს საერთო ძირითად აზრთან და რასაც მხოლოდ მისი ბაგენი აფრქვევენ. მსჯელობს და არც გონების კანონებს

ემორჩილება და არც ჩვევებს, ემონება მარტოოდენ ახირებულ აზროვნებას თვისას, მეტადრე სურვილს მოსწრებული სიტყვა წარმოთქვას, გაიბრწყინოს საზოგადოებაში. თანდათან ჰქმნის საკუთარ ყარგონს, რაც საბოლოოდ მხოლოდ და მხოლოდ მისი საკუთარი კილოკავი ხდება. თანაც ზედ ურთავს დამახინჯებულ გამოთქმასა და ხელების ქნევას. ჰოდა, დიდად კმაყოფილი გახლავთ თავისი თავითა და გონებამახვილობით. ვერ ვიტყვით, სულაც არ ძალუძს კვიმატი სიტყვა წამოისროლოსო, მაგრამ იმდენად უბადრუკია მისი გონებამახვილობა, რომ მსმენელს სიბრალულს აღუძრავს და თავსაც აბეზრებს.

7

რა ბრძანეთ? ვერ გავიგე. იქნებ კეთილინებოთ და გაიმეოროთ? ახლა სულ ვერაფერი გავიგე. როგორც იყო, მიკხვდი: თქვენ გსურთ თქვათ, აციუს, ცივაო? მერედა, რატომ პირდაპირ არ მითხარით, ცივაო. გნებავთ შემატყობინოთ, რომ წვიმს ან თოვს. თქვით: წვიმს, თოვს. თქვენ ფიქრობთ, რომ მე კარგად გამოვიყურები და გსურთ გამახაროთ. ბრძანეთ: რა კარგად გამოიყურებით. თქვენ კი პასუხად მეუბნებით: ეგ ხომ სულ უბრალოდ და ნათლად იქნება ნათქვამი, ასე ყველა იტყოდაო. მაგას რა მნიშვნელობა აქვს, აციუს, განა დიდი უბედურებაა, ნათქვამი გასაგები იყოს და მეტყველებდე ისე, როგორც ყველა? აციუს, თქვენ ყველას, მაღალფარდოვანი გამოთქმების ტრფიალთ, ერთი რამ გაკლიათ და ვერ ამჩნევთ, ამიტომ ძალიან გაგიკვირდებათ, როცა გეტყვით, რომ გაკლიათ ჭკუა: ეს კიდევ არაფერი. ერთი რამ გადაჭარბებითა გაქვთ, — რწმენა, რომ ყველაზე ჭკვიანი ბრძანდებით. სწორედ ეგ გახლავთ წყარო თქვენი გაფუყული აბდაუბდისა, გატყლარჭული ფრაზებისა და მყვირალა სიტყვებისა, რაც არაფერს გამოხატავს. როგორც კი ვინმეს სასტუმრო დარბაზში შეხვალთ და ლაპარაკს დააპირებთ, ტანსაცმელზე მოგეჩაჩავთ და ყურში გეტყვით, ნუ შეეცდებით გაიბრწყინოთ თქვენი ჭკუა-გონებით, იყავით ის, რაც ხართ-მეთქი. ნუ გეშინიათ, სადად და უბრალოდ ილაპარაკეთ იმათსავით, ვინც თქვენ უჭკუოდ მიგაჩნიათ, იქნებ მაშინ დაიჯერონ, რომ ჭკუა არ გაკლიათ.

8

აბა ვის შეიძლება ჰქონდეს იმედი, რომ მაღალ საზოგადოებაში არ შეხვდება უტვინო, ქარაფშუტა, თავხედსა და კადნიერ კაცებს, რომლებიც დაუყოვნებლივ იწყებენ მასლაათს და სხვებს აიძულებენ მოუსმინონ? მათი ხმა შემოსასვლელ ტალანში შემოგესმებათ, მაგრამ უკან ნუ დაიხევთ, ნუ შეგეშინდებათ, სიტყვა არ გავაწყვეტინოო. ნურას უკაცრავად, ისინი საუბარს განაგრძობენ, აინუნშიც არ მოსდით, ვინ შემოდის, ვინ გადის. ასევე არაფრად მიაჩნიათ, ვინ იმყოფება დარბაზში, რა თანამდებობა უჭირავს, რა პირადი ღირსებებით გამოირჩევა. თუ ვიღაცას უკვე დაწყებული ჰქონდა ამბის მოყოლა, ხმას ჩააწყვეტინებენ და თვითონ მოჰყვებიან თავიანთ ყაიდაზე, რაც მათი აზრით, უბადლოა. ამბავი გაუგიათ ზამეტოსგან, რუჩელაისგან ანდა კონჩინისგან[1], რომელთაც არ იცნობენ, რომლებთანაც თავის დღეში არ უსაუბრიათ და რომ ესაუბრათ მონსენიორებს უწოდებდნენ. ხანდახან უმაღლესი მდგომარეობის პიროვნებასთან მივლენ, მის ყურთან დაიხრებიან, რათა გააბედნიერონ და ამცნონ ამბავი, რაც ჯერ არავინ იცის და არ სურთ ვინმემ გაიგოს. ზოგიერთის გვარს არ დაასახელებენ, ვაითუ გახმაურდეს და თავლაფი დაესხასო. სთხოვთ, ამაოდ ეხვეწებით, ვერ გაგიმჟღავნებენ, სინდისი ნებას არ აძლევთ, ფიცი აქვთ დადებული, ვერავის გასცემენ. ეს საიდუმლო გახლავთ, უდიდესი საიდუმლო, რისი გახსნაც მათთვის შეუძლებელია, რამეთუ ის, რაც თქვენ გნებავთ გაიგოთ, მათთვისაც უცნობია.

9

არიასს ყველაფერი წაუკითხავს, ყველაფერი უნახავს, როგორც ირწმუნება. ყოველმხრივ განათლებულია, — ასეთად ასაღებს თავს. ურჩევნია მოიტყუოს, ვიდრე გაჩუმდეს ანდა გამოამჟღავნოს, რომ რაღაც არ იცის. ერთხელ, სუფრაზე, სიტყვა ჩამოვარდა ჩრდილოეთის ერთი სამეფო კარის დიდებულზე. არიასმა არც აცია და არც აცხელა, საუბარში ჩაება და სიტყვა გააწყვეტინა იმათ, ვინც აპირებდა ეთქვა ის, რაც იცოდა. თურმე ნუ იტყვით, იმ შორეულ

[1] არ დაუმატებენ „ბატონს".

კუთხეზე დიდად გათვითცნობიერებული ყოფილა, გეგონებოდათ, იქ დაბადებულაო. ჰყვებოდა სამეფო კარის წეს-ჩვეულებებზე, იქაური ქალების ყოფა-ცხოვრებაზე, თავგადასავლებზე; მეტად თავშესაქცევნი არიანო და ისე იცინოდა, ლამის გასკდა. ვიღაცამ გაბედა და სიტყვა შეუბრუნა, უდავო საბუთებით დაუმტკიცა, მართალს არ ბრძანებთო. არიასი ოდნავადაც არ შემკრთალა, შეუდრეკლად დაესხა თავს მოწინააღმდეგეს. მე არაფერს გიმტკიცებთო, განაცხადა, მხოლოდ გადმოგცემთ იმას, რაც ნამდვილად მაქვს გაგებულიო. ეს ყოველივე იმ სამეფო კარზე წარგზავნილმა საფრანგეთის ელჩმა სეტონმა მიამბოო. რამდენიმე დღეა პარიზში დაბრუნდა და რაკი ძალიან ახლოს ვიცნობ, შევხვდი, ყველაფერი დაწვრილებით გამოვკითხე და მასაც არაფერი დაუმალავსო. არიასმა, ის იყო, უფრო მეტი დაჯერებით განაგრძო თხრობა, რომ ერთმა სტუმარმა უცბად პირში მიახალა: თქვენ მოგმართავთ თვით სეტონი, რომელიც ახლახან გეახლათ პარიზში.

10

საუბარში რაღაც საშუალო უნდა აირჩიო სიზარმაცის, ლაპარაკს რომ გიშლის, გონებაგაფანტულობის, რაც საუბრის თემას გაშორებს და გაიძულებს უდგილო შეკითხვები დასვა ანდა სულელურად უპასუხო და იმგვარ ყურადღებას შორის, როცა ერთი სიტყვაც კი არ გსურს გამოგეპაროს, სულში ჩაჰყვები, ჩაიძიებ, ჩააცივდები და მაინცადამაინც შენ აიხირებ, რაღაც ვერ გავიგეო, თუმცა ყველასთვის ზედმიწევნით გასაგებია; მეტად ღრმა და გონებამახვილურიაო, ამტკიცებ, მხოლოდ იმისთვის, რომ შემთხვევით ისარგებლო და საკუთარი გონებამახვილობა გამოამჟღავნო.

11

საკუთარი თავით იყო აღტაცებული, უდავოდ გწამდეს, რომ დიდად ჭკვიანი ხარ, ისეთი უბედურებაა, რაც მთლად უჭკუო კაცს, ან ცოტაოდენი ჭკუის პატრონს ემართება. ვაი მას, ვინც ასეთ ადამიანს გადააწყდება. რამდენი გაპრიალებული ფრაზა უნდა მოისმინოს! რამდენი მოდაში შემოსული სიტყვა, უცბად რომ ჩნდება ენაში, ერთხანს ბოგინობს და უცბადვე ქრება. ეს კაცი ახალ ამ-

ბებს ჰყვება არა მისთვის, რომ მსმენელს ზედმიწევნით გააგებინოს, არამედ იმისთვის, რომ ლაპარაკით თავი მოიწონოს, ლამაზად ილაპარაკოს და ხატოვნად გადმოსცეს ამბავი, რაც მის ბაგეზე რომანად იქცევა. მოქმედი პირნი მისებურად ფიქრობენ და მეტყველებენ. ლაპარაკობენ გაჭიანურებულად, მის საყვარელ სიტყვებსა და გამოთქმებს აფრქვევენ. მერე იწყებს წიაღსვლებს, რაიც ცალკეული ეპიზოდები გეგონებათ. ეს ყოველივე ერთმანეთში ირევა და აღარც მსმენელს, აღარც მთხრობელს აღარ ახსოვს ძირითადი ამბავი. ნეტავ რა დაემართებოდა ან ერთს, ან მეორეს, საბედნიეროდ ვიღაცას რომ არ შემოესწრო და არ დაევიწყებინა ნაამბობი?

12

თეოდექტი შემოსასვლელ ტალანშია და მე უკვე მესმის მისი ხმა. რამდენადაც უახლოვდება სასტუმრო დარბაზს, იმდენად უფრო იმაღლებს ხმას. აგერ, შემობრძანდა. ხარხარებს, ყვირის, ხორხოცებს. ყველა ყურს თითით იცობს. პირდაპირ ჭექა-ქუხილია. თავზარდამცემია, რასაც ამბობს და როგორც ამბობს. იგი ყუჩდება და მხოლოდ იმიტომ აღარ ხორხოცებს, რომ რაღაც უაზრო და ტუტუცური წაიბლუკუნოს. იმდენად არად მიაჩნია დრო, ადამიანები, ზრდილობა, რომ ანგარიშმიუცემლად შეურაცხყოფს ყველას. არც კი დამჯდარა და უკვე მოასწრო დამსწრე საზოგადოება თავისდა უნებლიეთ გაეთათხა. სუფრას გაშლიან და პირველი დაბრძანდება საუკეთესო ადგილას, ორ ქალბატონს შორის, ჭამს, სვამს, რაღაცას ჰყვება, ხუმრობს, ყველას სიტყვას აწყვეტინებს. არავის არაფრად აგდებს, არც მასპინძელს, არც სტუმრებს. ყველას თავაზიანობით ბოროტად სარგებლობს. ბოლოს და ბოლოს ვინ მასპინძლობს? ის თუ ევტიდემი? მთელი სუფრის ყურადღებას იპყრობს. არვინ უწყის, რა უფრო საშიშია, მის მიმართ ყურადღება გამოიჩინოს, თუ არ გამოიჩინოს. ღვინო და ხორცი მის გუნებგანწყობილებას ვერ ათვინიერებს. ბანქოს თამაშში იგებს და წაგებულს ისეთნაირად ექილიკება, რომ შეურაცხყოფს. სიცილის მოყვარულნი მის მხარეზე არიან. ყოველგვარ თავხედობას აპატიებენ. ბოლოს მოთმინება აღარ მყოფნის, მივდივარ, რადგან აღარ შემიძლია ამაზე მეტი მოვუთმინო თეოდექტს და იმათ, ვინც თეოდექტს უთმენს.

ტროილი საჭირო კაცია მდიდრებისთვის. მათ აღარც ჭარბი ქონების უღელი აწევთ, აღარც ფულის დაგროვებასა და ხელშეკრულების დადებაზე ზრუნვა აწუხებთ, აღარც ზანდუკების დაკეტვა სჭირდებათ, არც გასაღების ტარება და აღარც სახლის გაქურდვის ეშინიათ. ტროილი ოჯახის უფროსს ჯერ დროსტარების გემოს გააგებინებს, მერე სატრფიალო საქმეებში დაეხმარება და სულ მალე მისი ჭკუის მასწავლებელი გახდება ყველაფერში. და აი, ის ოჯახის ორაკული ბრძანდება; მის გადაწყვეტილებებს უცდიან, ამას რას ვამბობ, უცდიან კი არა, წინასწარ ხვდებიან. იგი წარმოთქვამს: „ეს ყმა უნდა დაისაჯოს“ და ყმას გაწკეპლავენ. „ის ყმა უნდა გათავისუფლდეს“ და ყმა თავისუფალია. ოჯახში შემოკედლებულმა კაცმა ტროილი ვერ გააცინა, ვაითუ ტროილს არ მოეწონოსო, კაცს გარეთ აგდებენ. ოჯახის უფროსი ბედნიერია, თუ ტროილი დაუტოვებს ცოლ-შვილს. ტროილი სუფრას უზის და აცხადებს, კერძი გემრიელიაო, პატრონიცა და სტუმრებიც, აქამდე გულგრილად რომ შეექცეოდნენ საჭმელს, კვერს უკრავენ, გემრიელიაო და მისი ჭამით ვერ ძღებიან. პირიქით, თუ იტყვის, უგემურიაო, ვინც აქამდე გემრიელად მიირთმევდა, ვეღარ ბედავს პირში ჩადებული ლუკმა გადაყლაპოს და ძირს აფურთხებს. ყველას მზერა მისკენ არის მიმართული, რას იტყვის, როგორ მოიქცევა. მასზე ადრე ვერავინ გაბედავს სუფრაზე მოტანილი საჭმელ-სასმელის მოწონებას ან დაწუნებას. სხვაგან ნურსად დაუწყებთ ტროილს ძებნას. იგი იმყოფება ამ მდიდარი კაცის ოჯახში და მისი სრულუფლებიანი გამგებელია. აქ ჭამს, სძინავს, ინელებს საჭმელს, ეჩხუბება ლაქიას, იღებს ხელოსნებს, თავიდან იცილებს მევალეებს. ერთ-ერთ დარბაზში დაბრძანებული მეფობს ამ ოჯახში, აქ ეახლებიან მოკრძალებითა და მოწიწებით გაქნილი კაცები, რომლებიც ტროილის შუამავლობით ბატონთან საქმეებს ჩარხავენ. ვაი იმის ბრალი, ვისი სიფათიც არ მოეწონება, შუბლს შეიჭმუხნის, პირს მიიბრუნებს; ის ბედშავი თუ მიუახლოვდა, ტროილი არ წამოდგება. თუ ახლოს ჩამოუჯდება, ტროილი განზე დგება. დაელაპარაკება, პასუხს არ გასცემს, თუ საუბარს განაგრძობს, ტროილი მეორე ოთახში გადის, უკან გაჰყვება, ტროილი კიბეზე ჩაირბენს, სახურავ-

ზე აძვრება, ფანჯარაშიაც კი გადახტება, ოღონდ ხელში ნუ ჩაუვარ-დება ისეთ ვინმეს, ვისი ცხვირ-პირი თუ ხმა არ მოეწონა. ერთიც და მეორეც საამური აქვს ტროილს და მან ისინი იღბლიანად გა-მოიყენა, რათა საჭირო კაცზე კარგი შთაბეჭდილება მოეხდინა და მისი კეთილგანწყობილება დაემსახურებინა. დროთა განმავლობაში ყოველივე მისი ღირსება ქვემოთ ეშვება, ხოლო თვითონ ზევით იწევს და აღარ სჭირდება გაიმაგროს ზურგი, ვინმეს თავი მოაწო-ნოს თავისი ნიჭითა და ჭკუით. ისიც დიდი ამბავია, თუ ღრმა ფიქ-რებში ჩაფლული ხანდახან კამათში ჩაებმება. დღეში ერთხელ თუ იკადრებს კრიტიკისთვის მოიცალოს. იმაზეც მადლობა თქვით, თუ თქვენგან ქება მიიღო და მოითმინა თქვენი ქათინაურები.

14

დაქირავებულ ეტლში იქნება თუ რაღაც ზეიმზე, ან თეატრში გადაეყრებით უცნობ კაცს; ხელს ნუ შეუშლით, ილაპარაკოს. ერთ წუთში გაიცნობთ მის ასავალ-დასავალს. მოუსმინეთ მხოლოდ, სხვა არაფერი მოგეთხოვებათ. გაიგებთ რა ჰქვია, სად ცხოვრობს, სადაურია, მდიდარია თუ არა, რა თანამდებობა უჭირავს ან მას, ან მამამისს, დედის წარმოშობას, ნათესაობას, მაღალ წრეებთან ურთიერთობას, მის საგვარეულო გერბს. ადვილად მიხვდებით, იგი აზნაურია, საკუთარ ციხე-დარბაზში ცხოვრობს, ჰყავს ლა-ქიები, აქვს მშვენიერი ავეჯი და მდიდრული ეკიპაჟი.

15

ზოგი ჯერ ლაპარაკობს და მერე ფიქრობს. ზოგიერთი გულ-მოდგინედ ფიქრობს, რა თქვას და მსმენელს აწამებს, რაკი საუ-ბარში ჩანს, რომ ტვინს იჭყლეტს. ხელოვნურია მისი ფრაზები და გამოთქმები, დაძაბულია მისი მოძრაობა და მიხრა-მოხრა... პურის-ტია[1] და ვერ გაუბედავს თავისუფლად იხმაროს სულ უბრალო სიტყვა, თუნდაც ამ სიტყვით უდიდესი შთაბეჭდილება მოახდი-ნოს. არ წამოსცდება არც ერთი მოსწრებული სიტყვა, ცოცხალი, უშუალო გამოთქმა. ლაპარაკობს გამართულად და მოსაწყენად.

---

[1] ადამიანები, რომლებიც თავს დებენ სიწმინდეზე.

16

თანამოსაუბრის ნიჭი ის კი არ არის, რომ თვითონ ლაპარაკობდეს, არამედ ის, რომ მასთან საუბარი სხვებს სიამოვნებდეს. თქვენთან მასლაათის შემდეგ თუ კაცი თავისი თავისა და თავისი ენამახვილობის კმაყოფილი დარჩა, მაშასადამე, თქვენითაც დიდად კმაყოფილია. ადამიანებს სურთ აღტაცებაში კი არ მოგიყვანონ, არამედ თავი მოგაწონონ, კი არ ისწრაფიან გაიგონ ახალი რამ, ან თავი შეიქციონ, არამედ კარგი შთაბეჭდილება მოახდინონ და ქება დაიმსახურონ. ამიტომ კარგი მოსაუბრის ყველაზე სანუკვარი სიამოვნებაა, სხვას ასიამოვნოს.

17

წარმოსახვის სიჭარბე ვნებს საუბარსაც და ნაწერსაც. იგი უმეტესწილად მარტოოდენ ცარიელსა და გულუბრყვილო იდეებს წარმოქმნის და სულაც არ უწყობს ხელს გემოვნების დახვეწასა და ადამიანთა გაკეთილშობილებას. ჩვენი შეხედულებების წყარო უნდა იყოს საღი გონება და ნათელი აზროვნება, სასინჯი ქვა — ჩვენი მსჯელობა.

18

რა უბედურებაა, როცა კაცს ჭკუა არ ჰყოფნის, კარგად ილაპარაკოს და არც მოსაზრება, გაჩუმდეს. ამის შედეგად გვევლინებიან თავხედნი.

19

მორიდებით თქვა და დამაჯერებლად დაასაბუთო, რომ რაღაც კარგია, ან ცუდია, საღ აზროვნებასა და ზუსტად გამოთქმის უნარს მოითხოვს და იოლი საქმე არ გახლავთ. უფრო იოლია უგულებელყო სხვათა მოსაზრება და გადაწყვეტით განაცხადო, ეს შემზარავია, ან შესანიშნავია.

20

ისე არაფერი ეწინააღმდეგება ღვთისა და კაცთა კანონებს, როგორც სურვილი, ყოველი წარმოთქმული სიტყვა, თვით მეტად

უმნიშვნელოც კი, მაღალფარდოვნად და საზეიმო ფიცით იყოს განმტკიცებული. პატიოსან კაცს ჰოც დაეჯერება და არაც. თვით მისი ხასიათია ამის თავდები. დამაჯერებელს ხდის მის ნათქვამს და მოუპოვებს ყველას ნდობას.

21

ვინც სულ იმას გაიძახის და ფიცავს, წესიერი და ნამუსიანი კაცი ვარო, არავის არაფერს ვუშავებ, დე, ღმერთმა მე დამატეხოს ის ბოროტება, რასაც სხვას ვუსურვებო, იმის უნარიც კი არ შესწევს, წესიერი კაცის როლი შეასრულოს.

რაც უნდ მოკრძალებული იყოს პატიოსანი ადამიანი, მაინც ვერ შეუშლის ხელს მოყვასთ, მასზე თქვან ის, რასაც უპატიოსნო კაცი თავის თავზე ამბობს.

22

კლეონს არც სათნო და არც სამართლიანი ლაპარაკი არ შეუძლია. ამასთან, დასძენს, რა ვქნა, ასეთი დავიბადე, რასაც ვფიქრობ, იმას ვამბობო.

23

ერთი კაცი საამურად ლაპარაკობს, მეორე — თავისუფლად, მესამე გამართულად, მეოთხე — დროულად. დროული რომ ეთქმის, იმის წინააღმდეგ სცოდავს ის, ვინც აღუწერს ცოტა ხნის წინათ მირთმეულ საუცხოო კერძებს იმას, ვისაც ლუკმაპურიც კი სანატრელი გახდომია; ვინც თავისი შესანიშნავი ჯანმრთელობით ტრაბახობს უპყარის წინაშე; ვინც სიტყვას ჩამოაგდებს თავის სიმდიდრეზე, სახლის მოწყობილობაზე იმასთან, ვისაც არც რენტა აბადია და არც თავშესაფარი. ერთი სიტყვით, ვინც თავის კეთილდღეობაზე ლაპარაკობს უბედურთა წინაშე. ამგვარი საუბარი მეტად ძნელი მოსასმენია და თავზარდამცემია მათთვის, ვინც შედარებას ახდენს თავისსა და თქვენს ყოფას შორის.

24

„თქვენ ხომ მდიდარი ბრძანდებით, ანდა უკვე უნდა გქონდეთ საკმაო შეძლება, — ამბობს ევტიფრონი, — ათი ოთასი ლივრი

რენტა, შემოსავალი მამულებიდან, რა საუცხოოა, რა სასიამოვნო, სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ ბედნიერად გრძნობდე თავს". ამას ამბობს კაცი, ვისაც ორმოცდაათი ათასი ლივრი აქვს რენტა და დარწმუნებულია, რომ ეს მხოლოდ ნახევარია იმისა, რისი ღირსიცაა. ევტიფრონი აზუსტებს, რამდენ გადასახადს იხდით, რამდენს ხარჯავთ, რამდენი გრჩებათ. თქვენ რომ მეტი ᲛᲘᲛᲓᲘᲓᲠᲘᲡ ღირსად მიაჩნდეთ, ისეთის მაინც, თავისთვის რომ მოუწადინებია, უთუოდ თქვენც გისურვებდათ ამდენსავე ავლა-დიდებას. მარტო ის როდი ანგარიშობს აგრე უხეიროდ და მარტო ის კი არ ახდენს კადნიერ შედარებას, ქვეყანა სავსეა ევტიფრონებით.

25

ერთი კაცი, ვისაც ჩვეულებად აქვს ყველა შეაქოს, ცამდე აიყვანოს და მიეფარისევლოს, ულოცავს თეოდემს მის მიერ წარმოთქმული სიტყვის გამო, თუმცა თვითონ არ მოუსმენია და არც ვინმეს მისცემია შესაძლებლობა, მისთვის ეს მოეხსენებინა. თეოდემს ხოტბას ასხამს მჭევრმეტყველების, ჟესტ-მიმიკის და განსაკუთრებით კი გასაოცარი მეხსიერების გამო. აღსანიშნავია, რომ თეოდემმა პასუხად კრინტიც ვერ დაძრა.

26

შეხვდებით მოუსვენარ, ფუსფუსა კაცს, სულ სადღაც რომ მიეჩქარება, თუმცა არაფრის მაქნისია და არავითარი საქმე არა აქვს. ორიოდე სიტყვას გადმოგიგდებთ და ლამობს თავიდან მოგიცილოთ. ფრაზა არ დაგიმთავრებიათ, უკვე გარბის, თვალს ეფარება. იგი არანაკლებ თავხედია, ვიდრე ის, ვინც მხოლოდ იმიტომ შეგაჩერებს, რომ თავი მოგაბეზროს. პირველი იქნებ ნაკლებ შემაწუხებელიცაა.

27

ზოგიერთისთვის ხმის ამოღება და შეურაცხყოფის მიყენება ერთი და იგივეა. ის გამკილავია და ენამწარე. მისი საუბარი ნაღველისა და ბალღამის ნარევია. დაცინვა, გაიცხვა, ლანძღვა მის ბაგე-

თაგან ნერწყვით მოედინება. ერჩივნა მუნჯი და გონებაჩლუნგი დაბადებულიყო. ენაკვიმატობა და ჭკუა უფრო მეტად აყენებს მას ვნებას, ვიდრე სხვას — სისულელე. ავი სიტყვა საკმარისი არ გახლავთ, თავსლაფი უნდა დაასხას კაცს. რაც კი ენაზე მოადგება მიახლის პირში, თუ ზურგს უკან მიაყოლებს. ხარივით შუბლში და ფერდებში ეტაკება მოსაუბრეს. განა შეიძლება ხარს მოსთხოვო, რქები არ ჰქონდეს? ასევე არ მაქვს იმედი, ამ აღწერილობას რომ გაეცნობა, შეეცვლება აგრერიგად თავნება, უხეში და დაუნდობელი ბუნება. ყველას ისა სჯობს, როგორც კი მოჰკრავ თვალს, უკან მოუხედავად მოკურცხლო.

28

ზოგს ისეთი ხასიათი და გუნება აქვს, გირჩევნია მასთან საქმე არასოდეს იქონიო. რაც შეიძლება ნაკლებ უნდა დაიჩივლო მასზე და თავს ნება არ მისცე მასთან საუბარში მართალი გამოხვიდე.

29

ორი კაცი ერთმანეთს სასტიკად წაეჩხუბა. ერთი მართალია, მეორე არ არის მართალი. დამსწრეთა უმრავლესობა, არ ვიცი იმისთვის, რომ არ სურს მათი გასამართლება იკისროს, ან მშვიდობისმოყვარულნი ბრძანდებიან, რაც მე ყოველთვის უადგილოდ მიმაჩნია, დიახ, დამსწრეთა უმრავლესობა ორთავეს სდებს ბრალს. მეტად ჭკუის სასწავლებელი გაკვეთილია და გეძლევათ ფრიად მნიშვნელოვანი და საფუძვლიანი საბაბი, რათა აღმოსავლეთისკენ მოუსვათ, თორემ ადვილი შესაძლებელია გაგიტოლონ ყეყეჩს, რომელიც დასავლეთში იმყოფება.

30

არ მიყვარს კაცი, რომელსაც პირველი მივესალმები და ამიტომ დამცირებულად ჩამთვლის, ხოლო საკუთარ თავზე შექმნილი მაღალი წარმოდგენა უფრო მეტად განუმტკიცდება. მონტენი იტყოდა, მინდა ვმეგობრობდე იმასთან, ვისთანაც მომეპრიანება, მოვეფერო და თავს შემოვევლო, ვინც თვალში მომივა და ამის

გამო არც სინდისის ქენჯნა ვიგრძნო და არც უსიამოვნო შედეგების შემეშინდეს. არ ძალმიძს სურვილები შევიბოჭო, არ ავყვე გულის თქმას, როცა იგი ვინმეს სიხარულით ხვდება. ჩემს სწორსა და მოყვარეს (არა მტერს) პირველი ვეგებები, ვეკითხები ჯანის სიმრთელესა და გუნებაგანწყობილებაზე, ჩემს სამსახურს ვთავაზობ, ვაჭრობას არ ვიწყებ, მე თუ ის-მეთქი; სულაც არ ვფიქრობ, ისე, როგორც იტყვიან ხოლმე: აგერ ის კაცი არ მომწონს და რაკი ვიცნობ მის საქციელსა და ჩვევებს, ხელგაშლილად და გულღიად არ ვხვდებიო. აბა რას ჰგავს, მოვკრავ თუ არა თვალს, მაშინვე გავიხსენო, რომ საჭიროა გაფუყული და ზვიადი გამომეტყველება მივიღო, რათა იგი არ მიხვდეს, რა აზრისა ვარ მასზე. ამისათვის არ უნდა დავივიწყო, რაოდენ მაღალი ზნეობითა ვარ დაჯილდოებული, რა ადგილი მიკავია ცხოვრებაში და მისი უღირსი სახელი ჩემსას შევადარო. ეს ჩემთვის დიდი ჯაფაა და სულ არ მეხერხება ნიადაგ ჩახმახივით ვიყო შემართული. ერთხელ იქნებ კიდეც რაღაც ვიღონო, მაგრამ მეორეჯერ აუცილებლად დავიბნევი და ყველაფერს გამოვამჟღავნებ. არ ძალმიძს ვითვალთმაქცო და ვითითლიბაზო ვისთანაც უნდა იყოს.

31

სათნო, ჭკვიანი და წესიერი კაციც შეიძლება აუტანელი იყოს. თქვენი მიხრა-მოხრისა და თავაზიანობის მიხედვით, რასაც ზოგიერთი არაფრად აგდებს და წვრილმანად მიიჩნევს, ხალხი გაძლევთ კარგ ან ცუდ შეფასებას. ოდნავი გულთბილი ყურადღება უმალ გაფანტავს მათ ცუდ შეხედულებას. სულ მცირეოდენი რამ კმარა, რომ ჩაგთვალონ ამპარტავნად, უზრდელად, თავხედად და კადნიერად. ამაზე მცირეოდენი კმარა იმისათვის, რომ ამის საწინააღმდეგო თვისებები მოგაწერონ.

32

ზრდილობა ყოველთვის როდი მეტყველებს გულკეთილობაზე, სამართლიანობაზე, თავმდაბლობაზე. მაგრამ, ასე თუ ისე, მაინც ემსგავსება ამ თვისებებს და კაცს საშუალებას უქმნის ისეთი გამოჩნდეს გარეგნულად, როგორიც შინაგანად უნდა იყოს.

შეიძლება განსაზღვრო, რა არის ზრდილობა, მაგრამ ვერ დაადგინო, როგორ უნდა მეღავნდებოდეს. იგი დამოკიდებულია ადათ-ჩვევებზე, დროზე, ქვეყანაზე, ადამიანებზე. სხვადასხვანაირია საზოგადოებრივი მდგომარეობისა და სქესის მიხედვითაც. გონებით ვერ შეიცნობ. შეითვისება მიბაძვით და მერე იხვეწება. ერთნი დიდად აფასებენ ზრდილობას, მეორენი — მაღალ ნიჭიერებას ან შეუდრეკელ სინდის-ნამუსს. ერთი კია, თავაზიანი ყოფაქცევა ყოველგვარ ადამიანურ ღირსებას ამშვენებს და საამურს ხდის. მარტოოდენ გამორჩეული და არაჩვეულებრივი თვისებებით დაჯილდოებული კაცი თუ გაიტანს თავს ზრდილობის გარეშე.

მე მგონია, თავაზიანობა არის მისწრაფება იმისკენ, რომ ჩვენი ნათქვამითა და ქცევით სხვები კმაყოფილნი დარჩნენ ჩვენითაც და თავიანთი თავითაც.

33

უზრდელობაა, იმათ წინაშე, ვინც ახლახან თქვენს საამებლად იმღერა ან რომელიმე საკრავზე დაუკრა, უსაზღვრო ხოტბა-დიდება შეასხათ ასეთივე ნიჭით დაჯილდოებულ სხვა მუსიკოსებს. აგრეთვე უზრდელობაა, იმათ წინაშე, ვინც საკუთარი ლექსები წაგიკითხათ, სხვა პოეტი შეაქოთ.

34

თუ სუფრას შლით ვინმეს საპატივცემულოდ, ცდილობთ ყოველნაირად გაართოთ, ანდა უმართავთ ზეიმს, მიართმევთ საჩუქრებს, რასაკვირველია, უნდა ეცადოთ ყოველივე ბრწყინვალედ მოაწყოთ, მაგრამ ამაზე მნიშვნელოვანია, მოაწყოთ მისი გემოვნების შესაბამისად.

35

დიდი უზრდელობაა ყოველგვარ ქებას თუ განვერიდებით. მადლიერნი უნდა ვიყოთ, როცა ხოტბას გვასხამს ღირსეული ადამიანი, გულწრფელად რომ აქებს იმას, რაც მართლაც ქების ღირსია.

36

გონიერი და ამაყი კაცი თუ გაღარიბდა, არ კარგავს არც სიამაყესა და არც შეუდრეკლობას. თუ ცოტა გამდიდრდა, მაშინ შე-

იძლება ხასიათი შეურბილდეს, გახდეს უფრო გულთბილი და თავმდაბალი.

37

თუ ვერ ეგუები უამრავ ცუდ ხასიათს, რითაც სავსეა ქვეყანა, ეს იმის მაუწყებელია, რომ არცთუ კარგი ხასიათი გაქვს. მიმოქცევაში ყოველთვის საჭიროა ოქროს ფულიცა და ხურდაც.

38

მუდმივი ურთიერთობა გქონდეს ადამიანებთან, რომლებიც წაჩხუბებული არიან ერთმანეთთან, უსმენდე ერთი ან მეორე მხარის საჩივარს, არაფრით განსხვავდება იმისგან, რომ ნიადაგ იჯდე სასამართლო დარბაზში და დილიდან საღამომდე უსმენდე ბრალდებასა და დაცვას.

39

ცნობილია ისეთი შემთხვევები, როცა ადამიანებს თავიანთი დღე და მოსწრება ერთად გაუტარებიათ, ქონება განუყოფელი ჰქონიათ, ერთ ჭერქვეშ უცხოვრიათ და არასოდეს განშორებიან ერთმანეთს და როცა ოთხმოცდაათ წელს გადაუბიჯებიათ, უგრძვნიათ, რომ ერთად ყოფნა აუტანელი გამხდარა და ერთმანეთის დანახვა აღარ შეუძლიათ. რაღაც ორიოდე დღე დარჩენიათ სასიცოცხლოდ, მაგრამ ერთმანეთი ისე ამოსვლიათ ყელში, რომ ვეღარ წარმოუდგენიათ ეს ორიოდე დღე ერთად გაატარონ. ჩქარობენ განცალკევდნენ, სანამ სიკვდილი მოუსწრებდეთ. ურთიერთ კეთილგანწყობილებისათვის ძალა მხოლოდ ამ დღემდე შესწევდათ. მეტისმეტად დიდხანს იყვნენ ერთად ყველასდა სამაგალითოდ. სულ ცოტა ხნის წინათ რომ მომკვდარიყვნენ, განუშორებელი იქნებოდნენ და მათი ხსოვნა დარჩებოდა, ვით ნიმუში თავდადებული ერთგულებისა.

40

ხშირად ოჯახში წარმოიშვება უნდობლობა, ეჭვიანობა, სიძულვილი. გარეგნულად კი ისი მოჩანს, თითქოს სუფევდეს თანხმობა,

კეთილგანწყობილება, სითბო და ჩვენ ამით ვტყუვდებით, გვგონია, მშვიდობაა გაბატონებული იქ, სადაც ამის მსგავსი არაფერია. ცოტაა ოჯახი, რომელიც მოგებული რჩება თუ ახლოს გაიცნობ. სტუმრად მიხვალთ, ოჯახური ჩხუბი წყდება და თქვენს წასვლას ელოდებიან, რათა აყალმაყალი ხელახლა წამოიწყონ.

41

საზოგადოებაში გონება პირველი ყრის ფარ-ხმალს. დიდი ჭკუა-გონების კაცი ხშირად მონა-მორჩილი ხდება შტერისა და ბრიყვის. ჭკვიანნი შეისწავლიან ბრიყვის ყოველგვარ სისუსტეს, გუნება-განწყობილებასა და ახირებას. ყველაფერში ეთანხმებიან. ცდილობენ არ გააღიზიანონ, უთმობენ და ელოლიავებიან. თუ ოდნავ კარგ გუნებაზეა, ხოტბას ასხამენ. მადლობელნი არიან თუ ყოველთვის არ არის აუტანელი. მისი ეშინიათ, უვლიან, ემორჩილებიან, ხანადახან კიდეც უყვართ.

42

მხოლოდ იმათ, ვისაც ოდესმე ჰყოლია ან ახლა ჰყავს ხანდაზმული ნათესავები, რომელთა მემკვიდრეობას მოელის, შეუძლიათ თქვან, რა ძვირად უჯდებათ ეს მემკვიდრეობა.

43

კლეანტი უაღრესად პატიოსანი კაცია. ცოლად შეირთო ფრიად შესანიშნავი და ჭკვიანი ქალი. თითოეული მათგანი საზოგადოების სამკაულად და სიამაყედ ჩაითვლება. იშვიათად შეხვდებით ესოდენ თავაზიანსა და სათნო ადამიანებს. ხვალ სცილდებიან ერთმანეთს და მათი განშორების აქტი უკვე შედგენილი აქვს ნოტარიუსს. როგორც ჩანს, არსებობს ისეთი დადებითი თვისებები, რომელნიც ერთმანეთს ვერ ეგუებიან; ასევე შეუთავსებელია ზოგიერთი სათნოება.

44

იმედი შეიძლება იქონიო მზითვის, საქვრივო წილის და საქორწინო ხელშეკრულების ყველა პირობის შესრულების, მაგრამ

საეჭვოა, რომ მიიღებ ცოლის მშობლების მიერ თქვენთვის გამოყოფილ თანხას, რადგან იგი დამოკიდებულია რძალ-დედამთილის ფრიად არა მყარ კავშირზე, რაც ხშირად დაქორწინების პირველივე წელს მთლად ირღვევა.

45

სიმამრს არ უყვარს სიძე, მამამთილს უყვარს რძალი. სიდედრს უყვარს სიძე, დედამთილს არ უყვარს რძალი. ყოველივე გაწონასწორებულია.

46

დედინაცვალს ქვეყნად ყველაზე მეტად სძულს გერები. რამდენადაც გიჟდება ქმარზე, იმდენად მეტად არის დედინაცვალი.

დედინაცვლები აუკაცრიელებენ ქალაქებსა და სოფლებს და სიღარიბეზე მეტად ამრავლებენ მათხოვრებს, მაწანწალებს, მსახურებსა და მონებს.

47

„გ“ და „ჰ“ სოფელში ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობენ. მათი მამულები გვერდით-გვერდაა. სოფელი მიყრუებულ ადგილას მდებარეობს; ქალაქსა და ყოველგვარ საზოგადოებას დაშორებულნი, ადამიანებთან ურთიერთობას მონატრებულნი, სიმარტოვით თავმობეზრებულნი თითქოსდა უნდა დამეგობრებულიყვნენ. ძნელი გადმოსაცემია, რა უმნიშვნელო მიზეზის გამო დაუმძრახდნენ და მოსისხლე მტრებად გადაიქცნენ. მათი ურთიერთ სიძულვილი იმდენად ძლიერია, რომ შთამომავლობას გადაეცემა. ჯერ არაოდეს ნათესავები, თვით ძმებიც კი ასეთ უბრალო რამეზე არ წაჩხუბებულან.

დავუშვათ, მთელს დადამიწის ზურგზე ცხოვრობს მხოლოდ ორი კაცი, დედამიწა მათ ეკუთვნის და ორად აქვთ გაყოფილი. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მალე იშოვნიან რაღაც მიზეზს ჩხუბისათვის, თუ ეს მიზეზი საზღვრების განაწილება არ იქნება.

48

უფრო ადვილია და სასარგებლო შეითვისო სხვისი ჩვევები, ვიდრე მიაღწიო იმას, რომ სხვამ შეითვისოს შენი ჩვევები.

49

ვუახლოვდები პატარა ქალაქს, უკვე ბორცვზე ვდგავარ. ქალაქი ფერდობზე მდებარეობს. მის გალავანს მდინარე ჩამოუდის და მშვენიერ ველზე მიედინება. ხშირი ტყე ჩრდილოეთის ცივი ქარებისგან იცავს. ახლა ქალაქი ისეა გაჩახჩახებული, რომ ვითვლი მის კოშკებსა და სამრეკლოებს და ისე მეჩვენება, თითქოს ფერდობზე იყოს დახატული. წამოვიძახე: „რა ნეტარებაა ცხოვრობდე ამ მშვენიერ ცის ქვეშ და ამ თვალწარმტაც კუთხეში!“ ბორცვიდან ძირს ვეშვები, შევდივარ ქალაქში. ორი ღამეც კი არ გამითევია და უკვე ვემსგავსები იქაურ მცხოვრებლებს. იქიდან წასვლას ვნატრობ.

50

ამქვეყნად ჯერ არვის უნახავს და, როგორც ჩანს, ვერც ოდესმე იხილავს ისეთ პატარა ქალაქს, რომელიც პარტიებად არ იყოს დაყოფილი; სადაც ოჯახები შეხმატკბილებულად ცხოვრობდნენ და ბიძაშვილები ერთმანეთს ნდობით ეპყრობოდნენ; ქორწინება სამოქალაქო ომს არ იწვევდეს, ზიარება, კმევა, პურის კურთხევა, საეკლესიო და სამგლოვიარო პროცესია ადგილუფროსობისათვის კინკლაობას არ წარმოშობდეს; მითქმა-მოთქმა, ჭორიკანობა და ავყიობა აკრძალული იყოს; პარლამენტის პრეზიდენტი და ბალი, მსაჯულნი და ასესორნი არ კამათობდნენ; წინამძღვარი და კანონიკუსები ერთმანეთს პატივისცემით ეპყრობოდნენ; კანონიკუსები ქედმაღლურად არ უცქერდნენ კაპელანებს, ხოლო კაპელანებს არ ეზიზღებოდეთ მგალობლები.

51

პროვინციელები და სულელები ყოველთვის მზად არიან გაბრაზდნენ და ჰგონიათ ყველა მათ დასცინის და ზიზღით ეპყრობა.

რაც უნდ გულთბილად და უწყინრად ხუმრობდეთ, კარგად აღზრდილ და გონიერ ადამიანებს გარდა, სხვასთან მაინც არ ღირს გახუმრება.

52

დიდებულებთან პირველობისთვის ბრძოლა უაზროა, ისინი თავიანთი მაღალი მდგომარეობით იცავენ თავს. ასევე უაზროა პატარა კაცებთან ბრძოლა — ისინი მუდამ მზად არიან თავდასაცავად.

53

მაღალი ღირსებებით დაჯილდოებული ადამიანები ერთმანეთს უმალ იგრძნობენ ხოლმე, გამოარჩევენ, შეიცნობენ.

თუ გსურთ პატივისცემას იმსახურებდეთ, პატივისცემის ღირს ადამიანებთან უნდა გქონდეთ ურთიერთობა.

54

ვინც თავისი მდგომარეობით ისე მაღლა დგას, რომ ვერავინ გაუბედავს დაცინვაზე დაცინვით უპასუხოს, მან არასოდეს მწარედ არვის უნდა გაჰკრას კბილი.

55

ჩვენ ყველას გვაქვს პატარ-პატარა ნაკლი და არა ვჯავრობთ, თუ ამის გამო დაგვძრახავენ ან დაგვცინებენ. სწორედ ამგვარი ნაკლი უნდა შევურჩიოთ სხვას დასაცინად.

56

ჭკვიანთა დაცინვის სრული უფლება აქვთ მინიჭებული სულელებს, რომლებიც საზოგადოებაში იმასვე წარმოადგენენ, რასაც მასხარები სამეფო კარზე.

მე მინდა ვთქვა, არაფერს წარმოადგენენ.

57

ვისაც დაცინვა უყვარს, გონების სისუსტეს ამჟღავნებს.

58

თქვენ გგონიათ, ეს კაცი გააპამპულეთ. იმან კი, ვითომ ვერც კი შენიშნა. ვინ უფროა გაპამპულებული, თქვენ თუ ის?

59

თუ კარგად დააკვირდებით, უმალ მიხვდებით, ადამიანები, რომლებიც არავის აქებენ, არავინ მოსწონთ და ყველას ლანძღავენ, არიან ისინი, ვინც არავის მოსწონს.

60

ქედმაღალი და გაფუყული კაცი საზოგადოებაში აღწევს სწორედ საწინააღმდეგოს იმისა, რისკენაც ისწრაფვის. თუკი, რა თქმა უნდა, ისწრაფვის პატივისცემისკენ.

61

ორ მეგობარს იმიტომ სიამოვნებს ერთად ყოფნა, რომ ადამიანთა ზნეობაზე ერთნაირი შეხედულების არიან და სხვადასხვა აზრი აქვთ სამეცნიერო საკითხებზე.

ერთმანეთთან კამათი ხელს უწყობს შეხედულებანი გაიმტკიცონ, დაიცვან საკუთარი დებულებანი, ანდა გაიცნონ ახალი მოსაზრებანი.

მეგობრობა ჭეშმარიტი ვერ იქნება, თუ მეგობრებს ძალა არ შესწევთ, ერთმანეთს მცირეოდენი შეცოდებანი შეუნდონ.

62

რამდენ მშვენიერ და უსარგებლო რჩევით ვანუგეშებთ დიდ განსაცდელში ჩავარდნილ ადამიანს. მაგრამ გარეშე ამბები, რასაც არასასიამოვნო გარემოებანი ეწოდება, ხანდახან ჩვენს გონებასა და სულიერ სამყაროზე მეტად ძლიერია. „ჭამეთ, იძინეთ, დარდით ნუ

იკლავთ თავს, უწინდებურად იცხოვრეთ“, ცარიელი და ამაო შეგონებაა. — „განა გონივრულია ასეთი მწუხარება?“ რომ ეუბნებითო. ეს ხომ იმასვე ნიშნავს, რომ უთხრათ: „რა სიგიჟეა, ასე უბედური რომ ხართ?“

63

რჩევა, რაც აგრერიგად საჭიროა საქმეში, საზოგადოებაში მავნეა მრჩეველისთვის და უსარგებლოა იმისთვის, ვისაც რჩევას აძლევენ. ნაკლზე მიუთითებთ კაცს; მას კი არ სურს აღიარებოს თავისი ნაკლი, ანდა ღირსებად მიაჩნია. თქვენ აკრიტიკებთ წიგნის ზოგიერთ ადგილს, ავტორს კი ძალიან მოსწონს, ფიქრობს, ამის მსგავსი არაფერი დამიწერიაო. კრიტიკა უფრო მეტად განუმტკიცებს ამ აზრს.

თქვენი რჩევის შედეგად მეგობრები არც უფრო უკეთესნი და არც უფრო გონიერნი გახდებიან, მხოლოდ კარგავთ მათ ნდობას.

64

ცოტა ხნის წინათ ჩვენს საზოგადოებაში არსებობდა ორივე სქესის წარმომადგენლებისგან შემდგარი წრე. ისინი იკრიბებოდნენ, რათა ესაუბრათ და ერთმანეთისთვის აზრი გაეზიარებინათ. გასაგებად მეტყველების ხელოვნება მათ მდაბიოთ დაუთმეს. ერთი რაღაც გაუგებარს იტყოდა, მეორე უფრო ბუნდოვნად გასცემდა პასუხს. რამდენადაც გამოუცნობი ხდებოდა საუბარი, იმდენად ხანგრძლივ ტაშს იმსახურებდა. ყოველივე იმის შედეგად, რასაც ისინი უწოდებდნენ დახვეწილობას, ფაქიზ განცდებს, გამოთქმის სინატიფეს, ბოლოს და ბოლოს სულ მთლად გადაეჩვივნენ არა თუ ერთმანეთის გაგებას, თავის თავისაც აღარაფერი ესმოდათ. ამგვარი მასლაათისთვის არ იყო საჭირო არც საღი გონება, არც მოსაზრებათა სიღრმე, არც მეხსიერება, არც არავითარი ნიჭი. კმაროდა გონებამახვილობა, ისიც უბადრუკი და ტვინნაჭყლეტი გონებამახვილობა, სადაც დიდ როლს ასრულებდა წარმოსახვის უნარი.

65

ვიცი, თეობალდ, დაბერდით. მაგრამ ხომ არ ინებებთ დავიჯერო, რომ დაეშვით, აღარ ხართ პოეტი და კვიმატი ენა დაგიჩლუნგ-

დათ. ახლა თითქოსდა ისევე უვარგისი მსაჯული ხართ შემოქმედების ყოველი ჟანრის, როგორც უბადრუკი მწერალი ბრძანდებით. საუბარში აღარ შეგრჩათ უშუალობა და სიფაქიზე? თქვენი გარეგნობა, ესოდენ ლაღი და უზრუნველი, მანუგეშებს და სრულიად საწინააღმდეგო აზრს შთამაგონებს. თქვენ დღეს სწორედ ისა ხართ, რაც ოდესღაც იყავით, იქნებ უკეთესიც. თუკი თქვენს ასაკში ბრძანდებით ეგრე მგზნებარე და დაუცხრომელი, რა იქნებოდით სიჭაბუკეში, როს ქალები განებივრებდნენ და გეტრფოდნენ თავდავიწყებით. თქვენს სახელს ფიცულობდნენ, გატაცებით გისმენდნენ და თქვენს ნათქვამზე ამბობდნენ: „რა შესანიშნავია... ამიხსენით, რა თქვა?“

66

პატივმოყვარეობისა და განწყობილების შედეგად ადამიანები ხშირად მგზნებარედ ლაპარაკობენ და იშვიათად იჩენენ ყურადღებას სხვისი ნათქვამისადმი. გატაცებით იძლევიან პასუხს, თუმც არავინ უსმენს. მიჰყვებიან თავიანთ აზრებს და არად აგდებენ თანამოსაუბრის დასაბუთებას. არა თუ არ ცდილობენ მასთან ერთად დაადგინონ ჭეშმარიტება, არამედ არც გაეგებათ, რას ეძიებენ. ვინმეს რომ მოესმინა ამგვარი მუსაიფი და ჩაეწერა, წააწყდებოდა მრავალ საღ მოსაზრებას, რასაც ერთმანეთთან არავითარი კავშირი არა აქვს.

67

ერთხანს ჩვენში დიდად იყო მიღებული უაზრო და უშინაარსო მასლაათი, რაიც შეეხებოდა ქარაფშუტულ საკითხებს, დაკავშირებულს გულის ამბებთან, რასაც ვნება და ნაზი გრძნობები ეწოდება. ეს გატაცება ზოგიერთი რომანის წაკითხვის შედეგად შემოიჭრა ღირსეულ მოქალაქეთა და კარისკაცთა შორის. მათ მოკლე ხანში მოიშორეს იგი, მაგრამ ახლა ბურჟუებს მოედო და იქ დამკვიდრდა თავისი ორაზროვნებითა და მოსწრებული სიტყვებით.

68

ქალაქში მცხოვრებ ზოგიერთ მანდილოსანს იმდენად დახვეწილი გემოვნება აქვს, რომ არ იცის, ანდა ვერ ბედავს წარმოთქვას

ქუჩების, საზოგადოებრივი ადგილების სახელწოდებანი, რამეთუ საკმაოდ კეთილშობილად არ მიაჩნია და მათი გამოთქმა ერცხვინება. „ლუვრსა“ და „სამეფო მოედანს“ წარმოთქვამენ, მაგრამ სხვებს მიკიბულ-მოკიბულად და მინიშნებით ასახელებენ. თუ მაინც წამოსცდათ, სიტყვას დამახინჯებით გამოთქვამენ, აქაოდა ეს უფრო რიგიანიაო. პრანჭვა-გრეხით სჯობნიან სამეფო კარის ქალბატონებს, რომელნიც თამამად ამბობენ „ლა ალს“, ან „შატლეს“, ანდა რაღაც მსგავსს, თუ საუბარში დასჭირდათ დაასახელონ „ლა ალი“ ან „შატლე“.

69

კაცი თუ ისე მოიკატუნებს თავს, ვითომც არ ახსოვს, ანდა დამახინჯებით გამოთქვამს ისეთი ვინმეს სახელს, რომელსაც პატივისცემის ღირსად არა თვლის, ეს იმის ნიშანია, რომ საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა აქვს.

70

ზოგიერთს სჩვევია, თუ კარგ გუნებაზეა, გულღია საუბარში წამოისროლოს უკბილო ხუმრობა, რაც არავის მოსწონს, მაგრამ კარგიაო ამბობენ იმიტომ, რომ უაღრესად ცუდია. ეს უხამსი ხუმრობა მდაბიოთ ახასიათებს და ახალგაზრდა კარისკაცებსაც გადაედო. ერთი კია, მეტისმეტად სულელური და უხეშია და არ მოგვეწონის საშიშროება, უფრო შორს გავრცელდეს და დამკვიდრდეს იმ დიად სამყაროში, რაიც კარგი გემოვნებისა და თავაზიანობის ცენტრს წარმოადგენს. და მაინც უნდა შევაზიზღოთ იმათ, ვისაც უკვე შეუთვისებია. მიუხედავად იმისა, რომ ეს მხოლოდ თავის შესაქცევად გაუხდიათ, მათ გონებასა და საუბარში უკეთესისთვის ადგილი აღარ რჩება.

71

არ ვიცი რა ჯობს, უკბილოდ იხუმრო, თუ ისე წარმოთქვა ყველასთვის ნაცნობი მოსწრებული სიტყვა, თითქოსდა შენი მოგონილი იყოს.

72

„ლუკანუსს მშვენივრად უთქვამს: კლავდიანუსს მოსწრებულად შეუნიშნავს; სენეკასთან ვხვდებით ასეთ ადგილებს:“ და ამას მოჰყვება გრძელ-გრძელი ციტატა ლათინურ ენაზე, რასაც ჩვეულებრივ წარმოთქვამენ იმათ წინაშე, ვინც ლათინური არ იცის და ისე მოაქვს თავი, ვითომდაც რამე გაეგებოდეს. ლათინური ციტატების მოყვარულთ რომ ჰყოფნოდათ ჭკუა და საღი აზროვნება ან ძველთა ხსენების გარეშე გავიდოდნენ იოლად, ანდა უფრო მეტი ყურადღებით წაიკითხავდნენ, შეარჩევდნენ უკეთეს ციტატებს და როცა საჭირო იქნებოდა, მაშინ წარმოთქვამდნენ.

73

ჰერმაგორამ არ იცის, ვინ არის უნგრეთის მეფე. უკვირს რატომ არ ახსენებენ ბოჰემიის მეფეს. ნურაფერს ეტყვით ფლანდრიისა და ჰოლანდიის ლაშქრობებზე, ყოველ შემთხვევაში ნუ მოსთხოვთ, რაიმე გიპასუხოთ. თარიღებს ერთმანეთში ურევს, არ იცის, როდის დაიწყო ომი, როდის დამთავრდა. ბრძოლები, ალყა, ყველაფერი ამ წუთას გაიგო თქვენგან. სამაგიეროდ ზედმიწევნით იცის ბუმბერაზთა ღმერთებთან შერკინების ამბავი, დაწვრილებით მოგიყვებათ, როგორ მიმდინარეობდა, არაფერი გამორჩება. ორი იმპერიის, ბაბილონისა და ასურეთის შემზარავ ქაოსშიაც კი გარკვეულია. წყალივით იცის ეგვიპტისა და მისი დინასტიის ისტორია. არასოდეს უნახავს და არც ნახავს ვერსალს, მაგრამ, შეიძლება ითქვას, უნახავს ბაბილონის გოდოლი. ჩამოგითვლით მის ყოველ საფეხურს. იცის, რამდენმა ხუროთმოძღვარმა ააგო და რა ერქვათ მათ. რა ვქნა, გაგიმჟღავნოთ, რომ ანრი IV ანრი III-ის შვილი ჰგონია? ასეა თუ ისე, არაფერი გაუგონია საფრანგეთის, ავსტრიის, ბავარიის სამეფო კარებზე. „ეგ რა წვრილმანიაო“, გეტყვით და თანაც ზეპირად ჩაგიბულბულებთ მიდიელ, ან ბაბილონელ მეფეთა ნუსხას. აპრონალის, ჰერიგებალის, ნესნემორდაქის, მადოკემპადის სახელები მისთვის ისევე ახლობელია, როგორც ჩვენთვის ვალუათა და ბურბონთა სახელები. იკითხავს, იმპერატორს ცოლი თუ ჰყოლიაო, მაგრამ ვერავინ დაასწრებს თქმას, ნინუსს ორი ცოლი რომ ჰყავდა. ეტყვიან, მეფე ჯანმრთელად ბრძანდებაო, იგი გაიხსენებს,

ტეტმოსს, ეგვიპტის მეფეს, სნეული იყო და სუსტი აგებულება თავისი წინაპრის, ალიფარმუტოსისგან დაჰყვაო. რა გინდა, რომ არ იცის? რა გამოეპარება სათაყვანო სიძველეში? მოგახსენებთ, რომ სემირამიდას, ანდა როგორც ზოგნი გამოთქვამენ, სერიმარიდას, ისეთივე ხმა ჰქონდა, როგორც მის ძეს, ნინიასს და მათ ლაპარაკს ვერავინ არჩევდა. ჰერმაგორას ვერ გაურკვევია, დედას ჰქონდა შვილივით ბოხი ხმა, თუ შვილს ჰქონდა დედასავით წვრილი ხმა. მისგან გაიგებთ, რომ ნემროდი ცაცია ყოფილა, ხოლო სეზოსტრიოსი — ორხელა. არ გეგონოთ, თითქოს არტაქსერქსისთვის იმიტომ შეურქმევიათ გრძელხელა, რომ მკლავები მუხლებამდე ჰქონდა ჩამოყრილი, ო არა, ერთი მკლავი ჰქონდა მეორეზე გრძელი. ამასთან ჰერმაგორა დასძენს, სერიოზული მკვლევარები ამტკიცებენ, მარჯვენა ჰქონდა გრძელიო, თვით ჰერმაგორას კი უტყუარი საბუთები გააჩნია იმისა, რომ მარცხენა ხელი ჰქონდა გრძელი.

74

ასკანი მოქანდაკეა, ჰეგიონი — ფოლადისმსხმელი, ესეინი — მაუდისმთელავი, ხოლო კიდიასი ენამოსწრებული და ლექსების მჩხიბავი: ეს მისი პროფესია გახლავთ. მას აქვს აბრა, სახელოსნო, დაკვეთები. ჰყავს შეგირდები, რომლებიც მისი ზედამხედველობის ქვეშ მუშაობენ. კიდიასი ვერ ჩაგაბარებთ დაპირებისამებრ ერთ თვეზე ადრე სტანსებს, თუ სიტყვა არ გატეხა დოსითესთან, რომელსაც დაკვეთილი ჰქონდა ელეგია. ახლა იდილია უნდა დაუწეროს კრანტორს, ის კი აჩქარებს და დიდ თანხასაც ჰპირდება. პროზა, ლექსები, რა გნებავთ? ერთნაირად ემარჯვება ერთიცა და მეორეც. სთხოვეთ სამძიმრის ბარათი დაგიწეროთ, ან უარი მოპატიჟებაზე, ამასაც ხელს გაჰკრავს. მის დუქანში უკვე გამზადებულ წერილებსაც ჰყიდიან. არჩევანი თქვენზეა. ერთი მეგობარი ჰყავს, რომელსაც ამქვეყნად სხვა საქმე არა აქვს, გარდა იმისა, რომ კიდიასი საზოგადოებაში გაიყვანოს და სხვადასხვა ოჯახებში წარადგინოს, ვითარც იშვიათი ნიჭის პატრონი და შეუდარებელი ოქროპირი. როგორც სტუმრების გასართობად მიწვეული მომღერალი მღერის, ქნარზე დამკვრელი აყღერებს სიმებს, კიდიასიც წარსდგება ყველას წინაშე, ჩაახველებს, მაჯებს გადაიწევს, ხელს გაიშვერს,

გაფარჩხავს თითებს და დინჯად გადმოაფრქვევს უაღრესად დახვეწილ აზრებს და ბრძნულ დაკვირვებებს. განსხვავებით იმათგან, რომლებიც ძირითადში ერთმანეთს ეთანხმებიან და კარგად მოეხსენებათ, რომ გონება, ვითარცა ჭეშმარიტება, არის ერთადერთი, ერთმანეთს პირიდან სიტყვას გლეჯენ, რათა გრძნობებზედაც ერთნაირი აზრი ჩამოაყალიბონ, კიდიასი პირს იმიტომ აღებს, რომ მათ შეეკამათოს: „მე მგონია“, ამოშაქრავს თავაზიანად, „რომ თქვენ სრულიად საწინააღმდეგოს ბრძანებთ“, ანდა „თქვენს მოსაზრებას ვერ დავეთანხმები“, ან კიდევ „ოდესღაც მეც თქვენსავით ვჯიუტობდი, თუმცა ვცდებოდი, მაგრამ...“ მერე დასძენს: „სამი რამ უნდა მივიღოთ მხედველობაში...“ და უმატებს მეოთხეს. ეს გაფუყული ენატარტარა როგორც კი სადმე გამოჩნდება, მაშინვე ქალების გულთა მონადირებას ცდილობს თავისი კვიმატი ენით, ფილოსოფიური განსწავლულობითა და განსაცვიფრებელი მსოფლმხედველობით. ლაპარაკობს თუ წერს, ნურავის ეგონება, რომ მას მხედველობაში არა აქვს სიმართლე ან სიყალბე, გონიერება ან სიბრიყვე, რამეთუ მისი ერთადერთი მიზანია სხვებსავით არ ფიქრობდეს, სხვას არ ჰგავდეს. ამიტომაც, როცა საზოგადოებაში, თავისთავად, ანდა მისი შემწეობით, დაიწყება საუბარი რაიმე საკითხზე, იგი ელოდება, ყველამ თავისი მოსაზრება გამოთქვას და მერე დოგმატურად ბრძანებს რაღაც სრულიად წარმოუდგენელს, რაიც მისი აზრით საბოლოოა და დამტკიცებას აღარ მოითხოვს. კიდიასი ეტოლება ლუკიანესა და სენეკას, მაღლა დგება პლატონზე, ვერგილიუსსა და თეოკრიტეზე. მისი მაამებელი კი ყოველ დილას ტყავიდან ძვრება, რომ ეს აზრი განუმტკიცოს. გემოვნებითა და მისწრაფებებით ჰომეროსის მოწინააღმდეგეებთან დაკავშირებული კიდიასი მშვიდად მოელის, ადამიანებს თვალი აეხილოთ და თანამედროვე პოეტები ჰომეროსზე მაღლა დააყენონ. როცა მისი მიზანი ფრთას შეისხამს, თანამედროვე პოეტებში თვითონ დაიჭერს პირველ ადგილს, მეორე ადგილი კი თავად იცის ვისთვისაც აქვს განკუთვნილი. ერთი სიტყვით, კიდიასი ნარევი გახლავთ პედანტისა და პრანჭიასი. ქვეყანას მიტომ მოვლენია, რომ აღტაცებაში მოიყვანოს ქალაქისა და სოფლის მცხოვრებნი, თუმცა ერთადერთი, რაც კიდიასში არის დიდი, გახლავთ საკუთარ თავზე წარმოდგენა.

75

დოგმატური ტონი სრული უვიცობის მაუწყებელია. ზოგმა თვითონ არაფერი იცის, რაღაცას ყურს მოჰკრავს, სხვას მოუყვება და ჰგონია დიდად ათვითცნობიერებს. ვინც ბევრი რამ იცის, ვერც წარმოიდგენს, რომ მისი ნათქვამი სხვებისთვის უცნობია და ამიტომ მოკრძალებით ლაპარაკობს.

76

მნიშვნელოვან საკითხებზე საუბარი უბრალოებას მოითხოვს და მაღალფარდოვნება უადგილოა. უმნიშვნელო საკითხებს კი მხოლოდ კეთილშობილური ტონი და გამოთქმები აძლევს აზრს.

77

ვფიქრობ, აზრი სიტყვიერად უფრო ნატიფად გამოითქმის, ვიდრე წერილობით.

78

მხოლოდ კარგი წარმოშობის ან კარგად აღზრდილ ადამიანს შეუძლია საიდუმლოს შენახვა.

79

გულახდილობა თუ სრული არ არის, საშიშია. იშვიათია ისეთი შემთხვევა, როცა შეუძლებელი ხდება ყველაფერი თქვა, ან ყველაფერი დამალო. კაცს საიდუმლოს მთლად თუ ვერ გაანდობ, მაგრამ რაღაც უკვე გაუმხილე, ეს იმას ნიშნავს, რომ ძალიან ბევრი გაგიმჟღავნებია.

80

ზოგი დაგპირდება, საიდუმლოს არვის ვეტყვიო, მაგრამ თავისდა უნებლიეთ გამოამჟღავნებს; ტუჩებს არ ანძრევს და ყველას კი ესმის. საიდუმლო იკითხება მის შუბლზე, თვალებში, გამოსჭვივის მკერდიდან, რაც უცბად გამჭვირვალე ხდება. ზოგი ზუსტად

იმას როდი ამბობს, რაც საიდუმლოდ გაანდეს, მაგრამ მის მეტყველებაში, მიხრა-მოხრაში ყოველივე თავისთავად მჟღავნდება. ზოგიერთი კი თქვენს საიდუმლოს არაფრად აგდებს და არ ედარდება, რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს მის გამოაშკარავებას: „ეს საიდუმლოა. მავანმა მითხრა და ამიკრძალა კრინტი დავძრა“, ამბობს და მაშინვე ყველაფერს გადმოალაგებს.

საიდუმლოს გამჟღავნებაში დამნაშავეა ის, ვინც საიდუმლო ვერ შეინახა.

81

ნიკანდრი ელიზს უამბობდა, რა ტკბილად და თანხმობით ცხოვრობდა ცოლთან დაქორწინების დღიდან მის სიკვდილამდე. არაერთხელ და ორჯერ მოიჩივლა, ნეტავ შვილები მაინც გაეჩინაო. ჩამოთვლის რამდენი სახლის მფლობელია ქალაქში, მაშინვე დასძენს, მამული რომ აქვს სოფელში და ანგარიშობს რამდენ შემოსავალს აძლევს. აცნობს სახლის გეგმას, ადგილ-მდებარეობას; რამდენად მოხერხებულად არის განლაგებული მისი ბინა, რა ძვირფასი და ახალი ავეჯით აქვს გაწყობილი. არწმუნებს, ძალიან მიყვარსო კარგი ჭამა-სმა, ზიმზიმა ეტლებიო. წუწუნებს, ჩემს ცოლს ხალხში გარევა და ბანქოს თამაში არ უყვარდაო. მერე ერთ მეგობარს გაიხსენებს, სულ მიჩიჩინებს, ეგრე მდიდარი ხართ, რატომ არ ყიდულობთ თანამდებობას, არ იძენთ მიწას, რაც თქვენს მამულს გააფართოებსო. აქვე დაუმატებს, უფრო შეძლებული ვგონივარ, ვიდრე სინამდვილეში გახლავართო. არც მაღლა მდგომ პირთა ნაცნობობასა და ურთიერთობას ივიწყებს. „ბატონი სურინტენდანტი, ჩემი ბიძაშვილი რომ არის“, „კანცლერის მეუღლე, ჩემი ნათესავი რომ გახლავთ“, სულ ეს აკერია პირზე. მოუყვება რაღაც ამბავს, საიდანაც ჩანს, რომ უკმაყოფილოა თავისი ნათესავების, თვით იმათიც კი, მემკვიდრეებად რომ ითვლებიან. „ხომ მართალი ვარ, რა გამიკეთეს ისეთი, რომ მათ სიკეთეზე ვიზრუნო?“ ეკითხება ელიზს და სთხოვს ურჩიოს რამე. მერე ჩაურთავს, ჯანი აღარ მომყვება, ცუდად ვგრძნობო თავს. ახსენებს საგვარეულო აკლდამას, სადაც დასაფლავდება. ფეხქვეშ ეგება, თავს ევლება, ემსახურება იმ ქალის მახლობლებს, ვისაც ეარშიყება. მაგრამ ელიზს არ ჰყოფნის გამბედაობა, მასზე გათხოვების წყალობით

გამდიდრდეს. ნიკანდრი ამ მასლაათში რომ არის გართული, შემოდის ერთი აზნაური, ვისი უბრალო გამოჩენაც კი კმარა, რათა პატივცემულმა მოქალაქემ იარაღი დაყაროს. დაბნეული და ბოღმამორეული მიდის აქედან და ახლა სხვა ოჯახში აცხადებს, მეორეჯერ დაქორწინება მსურსო.

82

ბრძენი ხანდახან ერიდება საზოგადოებას, რადგან ეშინია მოწყენილობა არ დაეუფლოს.

თავი მეექვსე

სიმდიდრის სიკეთის შესახებ

1

მდიდარ კაცს შეუძლია მიირთვას ნუგბარ-ნუგბარი საჭმელი, მოახატვინოს კედლები და ჭერი, ფლობდეს ერთ სასახლეს სოფელში, მეორეს ქალაქში, ჰქონდეს ზიმზიმა ეკიპაჟი, დაუნათესავდეს დიუკს, თავისი ძე გახადოს დიდი ბატონი. ეს ყოველივე მისთვის ადვილი მისაღწევია. მაგრამ საამური ცხოვრება, ალბათ, სხვებისთვის არის განკუთვნილი.

2

კეთილშობილი წარმოშობა და დიდი სიმდიდრე მრავალი დამსახურების მაუწყებელია. მათი მეოხებით დამსახურება უფრო შესამჩნევი ხდება.

3

პატივმოყვარე შტერის პატივმოყვარული მისწრაფებანი გამართლებულია, რაკი, მოიხვეჭა თუ არა დიდი ქონება, მასში ყვე-

ლამ შენიშნა ისეთი ღირსებები, რაც არასდროს ჰქონია და ისეთი დიდი ღირსებები, რაც სწორედ მის წარმოდგენას შეესაბამება.

4

როგორც კი კაცი კარგავს სამეფო კარის მფარველობასა და ქონებას, მაშინვე თვალშისაცემი ხდება მისი სასაცილო თვისებები, რასაც აქამდე ვერვინ ამჩნევდა.

5

საკუთარი თვალით რომ არ ხედავდე, განა ოდესმე წარმოიდგენდი იმ უცნაურ უთანასწორობას, რასაც მეტი ან ნაკლები ფულის მონეტა წარმოშობს ადამიანთა შორის?

ეს მეტი ან ნაკლები განსაზღვრავს, რას მიიღებს კაცი: ხმალს, მანტიას თუ ანაფორას. ამის გარდა სხვა მოწოდება არც არსებობს.

6

ორი ვაჭარი მეზობლად ცხოვრობდა და ერთნაირი საქონლით ვაჭრობდა. შემდგომ მათ სხვადასხვა ბედი ეწიათ. ერთსაც და მეორესაც თითო ასული ჰყავდა. გოგონები ერთად იზრდებოდნენ და ისე მეგობრობდნენ, როგორც შეიძლება ერთი ასაკისა და ერთი მდგომარეობის ადამიანები მეგობრობდნენ. ერთ-ერთი მათგანი, უდიდეს გაჭირვებას თავი რომ დააღწიოს, ეძებს ადგილს და მოახლედ დგება დიდ ქალბატონთან, სამეფო კარის პირველ სეფექალთან, ყრმობის მეგობართან.

7

ფინანსისტი თუ გაკოტრდა, კარისკაცნი მასზე ამბობენ, ბურჟუაა, არარაობა, გაგრიაო. თუ კარგად წაუვიდა საქმე, მისი ასულის ხელს თხოულობენ.

8

ზოგს სიყმაწვილეში ერთი ხელობა შეუსწავლია, რათა ცხოვრებაში სულ სხვა ხელობისთვის მოეკიდა ხელი.

9

ამ კაცს ფეთხუმი პირისახე აქვს, ჯუჯაა და უტვინო. მიჩურჩულებენ, ორმოცდაათი ათასი ლივრის რენტა აქვსო. მერე რა, ეგ მაგის საქმეა, ჩემთვის ამით არც უკეთესი გახდება ოდესმე, არც უარესი. იძულებული რომ გავმხდარიყავი სხვა თვალით შემეხედა მისთვის, დიდი სულელი ვიქნებოდი.

10

რომ მოინდომოთ ძალიან მდიდარი და ძალიან შტერი საქვეყნოდ აიგდოთ მასხრად, კოვზი ნაცარში ჩაგივარდებათ: დამცინავნი მის მხარეზე არიან.

11

„ნ“-ის კართან დგას შვეიცარივით უხეში და პირქუში მეკარე. აქვს ვეებერთელა მოსაცდელი დარბაზები, სადაც მის ცდაში სული ხდებათ საქმეზე მოსულ ადამიანებს. ბოლოს, ეღირსება გამობრძანება ამ გაფხორილსა და ცხვირაწეულ ბატონს. ყველას ზერელედ მოუსმენს და მათ გაცილებაზე თავსაც არ შეიწუხებს. ყოველივე ამის შედეგად, ეს უმეცარი და უღირსი კაცი ადამიანებს შთააგონებს რაღაც ისეთს, რაც პატივისცემის გრძნობას ემსგავსება.

12

თქვენს კართანა ვარ, კლიტიფონ. ისე ვიჩქაროდი თქვენს ნახვას, რომ საწოლიდან წამოვხტი და გარეთ გამოვვარდი. ღმერთის მადლით, არც კლიენტი ვარ თქვენი და არც გაჭირვებული მთხოვნელი! თქვენი მონები მეუბნებიან, ჯერ არ გამობრძანებულაო და მხოლოდ ერთი საათის შემდეგ შეძლებს თქვენს მოსმენასო. დანიშნულ დროზე ადრე ვბრუნდები და მაუწყებენ, წაბრძანდაო. რას აკეთებთ, კლიტიფონ, თქვენი სახლის ყველაზე მიყრუებულ ოთახში? რა საქმე გაგიჩენიათ ისეთი, რომ ჩემს მოსასმენად ვეღარ იცლით? ანგარიშებს ადგენთ, საბუთებს ამოწმებთ, ქაღალდებზე ხელს აწერთ, შენიშვნებს იწერთ. მე კი მხოლოდ ერთი რამ მინდა გკითხოთ და თქვენგან მხოლოდ ერთ პასუხს მოველი, ჰოს ან არას.

გნებავთ გავლენიან პიროვნებად ითვლებოდეთ? დაეხმარეთ, ვისაც თქვენი დახმარება სჭირდება და უფრო მეტ გავლენიანობას მოიხვეჭთ, ვიდრე მაშინ, თუ არ დაეხმარებით, ჰოი, წარჩინებულო და საქმეებში ჩაფლულო ადამიანო, თუკი ოდესმე დაგჭირდებით, მობრძანდით ჩემს კაბინეტში, სადაც მე მარტოდმარტო ვარ. ფილოსოფოსის კარი ყველასთვის ღიაა. ჩემთან შეხვედრას მეორე დღისთვის არ გადაგიდებთ. დაგიხვდებით პლატონის იმ შრომების კითხვით გართული, სადაც განმარტებულია სულის იდეალური ბუნება და მისი განსხვავება ხორცისაგან. თუ არადა, მიხილავთ, კალამმომარჯვებული რომ ვითვლი სატურნსა და იუპიტერს შორის არსებულ მანძილს. სასოებით ვეჭვრეტ ღვთის ქმნილებებს, ვისწრაფი შევიცნო ჭეშმარიტება, მეტი შუქი მოვფინო გონებას ჩემსას და თვით შევიქმნა უკეთესი. მობრძანდით, ყველა კარი ღიაა თქვენთვის. ჩემი შემოსასვლელი ტალანი იმისთვის როდი გახლავთ მოწყობილი, რომ მოთმინება დაგელიოთ ჩემს მოლოდინში. ნუ დაყოვნდებით, გამოსწიეთ პირდაპირ ჩემკენ, გაფრთხილება არ დაგჭირდებათ. თქვენ მომიძღვნით უფრო ძვირფასს, ვიდრე არის ოქრო და ვერცხლი, თუ მომცემთ შემთხვევას დახმარების ხელი გამოგიწოდოთ. მითხარით, რა გსურთ, რას ითხოვთ ჩემგან? იქნებ მივატოვო ჩემი წიგნები, საქმიანობა, ნაშრომი ჩემი, ეს სტრიქონი, რის წერასაც ახლახან შევუდექი? ბედნიერად ჩავთვლი თავს, საქმეს თავი მივანებო და თქვენს სიკეთეზე ვიზრუნო. ფულისა დ საქმის კაცი არის დათვი, რომლის მოთვინიერება შეუძლებელია. მისი ნახვა ბუნაგში მეტად ძნელია. რაო, ეს რა ვთქვი, ძნელიაო! მიუღწეველია, რამეთუ პირველ ხანებში მას იშვიათად შეხვდები, შემდეგ კი ვერასოდეს შეხვდები. მწიგნობარი კაცი კი ისევე ადვილი სანახავია, როგორც ბოძი მოედნის კუთხეში. მისი ნახვა ყველას შეუძლია ყოველ საათს, ყოველგვარ მდგომარეობაში: სუფრაზე, ლოგინში, ტიტველის, ჩაცმულის, ჯანმრთელისა თუ ავადმყოფის. იგი ვერ გახდება და არც უნდა გახდეს მნიშვნელოვანი პიროვნება.

13

მოდი ნუ შეგვშურდება ზოგიერთი კაცის სიმდიდრე. იმ ფასად დაუჯდა, რომ ჩვენ ვერც მივწვდებით. ამას შესწირა მოსვენება,

ჯანის სიმრთელე, სინდისი და პატიოსნება. მეტისმეტად ძვირია და მოგებასაც ვერ ვნახავთ.

14

პ. ტ. ბ.-ები რიგრიგობით ყოველგვარ გრძნობას განგვაცდევინებენ. ჯერ ვიგრძნობთ ზიზღს მათი ბნელი წარმოშობის გამო, მერე შური აღგვეძრება, მერე სიძულვილი, მერე შიში. ხან დავაფასებთ, ხან პატივსა ვცემთ. თუ ცოცხლები დავრჩით, თანაგრძნობაც გაგვიჩნდება.

15

სოზიმ ლაქიობით დაიწყო თავისი კარიერა, მერე გადასახადების ამკრეფი გახდა, და მეიჯარეობასაც მიაღწია. შემდეგ მექრთამეობით, ყალბი საბუთების შედგენით, თანამდებობის ბოროტად გამოყენებითა და მრავალი ოჯახის დაქცევით რამდენიმე საფეხურით ზემოთ აიწია სამსახურში. მაღალი თანამდებობა შეისყიდა და კეთილშობილი პიროვნება გახდა. ისღა დარჩენოდა კეთილსინდისიერიც გამხდარიყო. ეს სასწაულიც მოხდა, მნათეს ადგილი იშოვა.

16

არფური მარტოდ-მარტო, ფეხით მიდიოდა წმიდა...-ის ტაძარში. კარებთან ატუზული ისმენდა კარმელის, ან ღვთისმეტყველების დოქტორის ქადაგებას. ხეირიანად ვერც კი ხედავდა მათ და მის სმენამდე მრავალი სიტყვა ვერც აღწევდა. სათნოება მისი არავის გაეგონა და მისი ღვთისმოსაობა ისევე არავისთვის იყო ცნობილი, როგორც თვით მისი პიროვნება. მაგრამ არფურის ქმარი მოიჯარე გახდა. ექვსმა წელმა განვლო და ზღაპრულად გამდიდრდა. არფური ეკლესიაში ეტლით მობრძანდება. მისი კაბის მძიმე შლეიფი მსახურს მოაქვს. მქადაგებელი სიტყვას წყვეტს, სანამ იგი ადგილს დაიკავებდეს. მოძღვრის ცხვირწინ ზის, ესმის ყოველი მისი სიტყვა და ხედავს მის ყოველ მოძრაობას. მღვდლებმა ლამის ერთმანეთი დაჭამონ, არა მე ვაზიარებ და ცოდვებს შევუნდობ, არა მეო. გამარჯვება წილად ხვდა მრეველის მოძღვარს.

17

კრეზუსს მოასვენებენ. ხაზინის ძარცვითა და მექრთამეობით მოპოვებული ქონება ფუფუნებასა და ღორმუცელობას შეალია და დასაფლავებისთვის არაფერი დაიტოვა. ვალებში ჩაფლული, გაკოტრებული გარდაიცვალა. მისთვის არვის მოუვლია; არც გამაგრილებელი სასმელი ჰქონდა, არც ჯანის გასამაგრებელი წამლები. არ ჰყავდა ექიმი, არც ღვთისმეტყველების დოქტორი, ვინც დაარწმუნებდა, რომ ცხონდებოდა უკუნითი უკუნისამდე.

18

შამპანმა ისე ლაზათიანად ისადილა, რომ მუცელი გაებერა. ავნეისა თუ სილერის ღვინომ საამოდ გააბრუა. ამის შემდეგ ხელი მოაწერა ქაღალდს, რაც მთელ პროვინციას ულუკმაპუროდ დატოვებს, თუ ვინმემ ხელი არ შეუშალა. შევუნდოთ შამპანს. აბა ვის შეუძლია საჭმლის მონელების დროს წარმოიდგინოს, რომ სადღაც ადამიანები შიმშილით იხოცებიან?

19

სილვენმა აზნაურობა და ახალი გვარი ფულით შეიძინა. სენიორი გახლავთ იმ სამრევლოსი, სადაც მისი წინაპრები სულად გადასახადს იხდიდნენ. იყო დრო, რომ კლეობულის სასახლეში პაჟადაც კი არ დაიყენებდნენ, ახლა კი მისი სიძე ბრძანდება.

20

დორუსი ტახტრევანზე ზის და აპიენის გზას მიჰყვება. წინ მიუძღვებიან გათავისუფლებული და ახლანდელი მონები, რომლებიც ხალხს აქეთ-იქით ყრიან და გზას აძლევენ ბატონს. ლიქტორებიღა აკლია. ამალის თანხლებით შებრძანდება რომში, თითქოსდა ამ ზარ-ზეიმით ყველას გადაავიწყებს თავისი მამის, სანგას დაბალ წარმოშობასა და სიღარიბეს.

21

პერიანდრზე მარჯვედ ვერავინ მოიხმარდა ქონებას. მაღალ მდგომარეობასაც მიაღწია, პატივისცემაც დაიმსახურა და გავლენიანი პიროვნება გახდა. მეგობრობას კი არა, უკვე მფარველობას სთხოვენ. უწინ თავის თავზე იტყოდა: ჩემნაირი კაციო, ახლა ამბობს, ჩემი მდგომარეობის კაციო; ასეც მოაქვს თავი და ამასვე უდასტურებს ყველა, ვისაც ფულს ასესხებს ან იწვევს თავის უხვ სუფრაზე. ახლა რა სასახლე აქვს, შიგნიდან და გარედან დორიული სტილით ნაგები. კარებიო, ვიტყვით, თორემ ნამდვილი პორტიკია. კერძო პირის სახლია, თუ ტაძარია? უკვირს ხალხს. თავის უბანში პირველი ბატონკაცია პერიანდრი. ყველას მისი შურს და მის დაცემაზე ოცნებობს. პერიანდრის მეუღლეს ისეთი ფარღული ჰკიდია კისერზე, რომ მეზობელი ქალბატონები გადაიმტერა. პერიანდრი მყარად დგას ფეხზე; ჯერ არაფერი ემუქრება მის ყოვლისშემძლეობას, რაიც თავად, ნაღდი ფულით შეიძინა და არავისი დასაყვედრებელი არ გახლავთ. ნეტავ მისმა ესოდენ ხანდაზმულმა და დაჩაჩანაკებულმა მამამ რატომ ოცი წლის წინათ არ განუტევა სული, სანამ ქვეყანას პერიანდრი მოევლინებოდა. რა იღონოს, როგორ დააგზავნოს სამგლოვიარო მოსაწვევი ბარათები, ესოდენ ამაზრზენი და გულის გასახეთქი, რაიც კაცის წოდებას ამჟღავნებს და ქვრივსა და მემკვიდრეებს ხშირად თავლაფს ასხამს? ადგეს და გააუქმოს ეს ბარათები აგრე შურიანი, ცბიერი და ნათელმხედველი ქალაქის თვალწინ? მერედა, რა პასუხი გასცეს ათასობით ადამიანს, მგზნებარედ რომ სურთ შესაბამისი ადგილი დაიჭირონ სამგლოვიარო პროცესიაში! რა ქნას პერიანდრმა, როგორ მონათლოს მამა „მის კეთილშობილებად“, ანდა „მის ღირსებად“, როცა იგი მთელი თავისი დღე და მოსწრება იყო „ბატონი მავანი“.

22

ამქვეყნად რამდენია ისეთი კაცი, რომელიც ჰგავს უკვე მობერებულ, მაგრამ ბაღში გადარგულ მძლავრ ხეს, რასაც ყველა აღტაცებით შესცქერის და არავინ იცის სად ამოვიდა და როგორ გაიზარდა.

23

ზოგიერთი განსვენებული სააქაოს რომ დაბრუნებოდა და თავისი დიდებული გვარის, ტიტულების, მამულების, ციხე-დარბაზებისა და ძველებური სასახლეების მფლობელად ენახა კაცი, ვისი მამაც იქნებ მისი მოიჯარე იყო, რა აზრი შეექმნებოდა ჩვენს საუკუნეზე?

ღვთით ბოძებული სიმდიდრე, ფული, მაღალი მდგომარეობა და სხვა ამქვეყნიური სიკეთე ისეა ჩვენში განაწილებული, რომ აშკარად ჩანს, ყოველივე ამას ღმერთი ამაოებად თვლის.

24

თუ შეხვალთ სამზარეულოში, სადაც ხელოვნებად და ოსტატობად იქცევა საიდუმლო იმისა, რაც თქვენს პირისგემოს აამებს და გაიძულებთ ჭამოთ უფრო მეტი, ვიდრე საჭიროა; თუ ყურადღებით დააკვირდებით, როგორ იჭრება ხორცი, რასაც სუფრაზე მოგართმევენ; თუ დაინახავთ რანაირ ხელებში გაივლის იგი, რა სახეს იღებს, სანამ გადაიქცეოდეს ნატიფ კერძად, ისე ფაქიზად და ნუგბარად, რომ თვალს გტაცებთ და ჩაგაფიქრებთ, რომელი ავიღოო, ბოლოს კი გაიძულებთ ყველას გემო გაუსინჯოთ; თვალი რომ მოგეკრათ ყველა კერძისთვის არა სადღესასწაულო სუფრაზე, არამედ სხვაგან, რა სიბინძურეს დაინახავდით! რარიგ შეგზიზღდებოდათ! კულისებში რომ მოხვდეთ, დაათვალიეროთ ბლოკები, ბორბლები, თოკები იმ მანქანებისა, რისი მეოხებითაც ეწყობა გაფრენა სცენაზე, რომ გაიგოთ რამდენი კაცი იღებს მონაწილეობას ყოველივე ამის მოძრაობაში მოსაყვანად, რამდენი ძალა მკლავისა და დაძაბვა ნერვებისა ეწირება დეკორაციების განლაგებასა და შეცვლას, იტყვით, ნუთუ ამაზეა დამყარებულიო ესოდენ მშვენიერი და ბუნებრივი უშუალობით გამსჭვალული წარმოდგენა, რაიც თითქოსდა თავისთავად მიედინება ესოდენ ლაღად და წარმტაცად? და მაშინ უთუოდ შესძახებთ, რა ოფლის ღვრა, რა სიტლანქე ყოფილაო! სწორედ ასევე ნუ შეეცდებით გამოიკვლიოთ, როგორ გამდიდრებულა მოიჯარე.

25

ეს ნორჩი, გაფურჩქნილი, ჯან-ღონით სავსე ჭაბუკი საბატოს და სხვა ათი ბენეფიციუმის სენიორი გახლავთ. ას ოცი ათასი ლივრი აქვს შემოსავალი, რასაც მხოლოდ ოქროთი უხდიან. იქვე მახლობლად, ას ოცი ღატაკის ოჯახი სიცივით კვდება ზამთარში; სიშიშვლე ვერ დაუფარავს ტანსაცმლით და ლუკმა-პურის მონატრულია. შემზარავია და სამარცხვინო მათი სიღარიბე. რა უსამართლობაა, თუმცა, ალბათ, მაუწყებელია მათი არაამქვეყნიური მომავლისა.

26

ქრიზიპი, ახლახან გამომძვრალი კაცი და თავის საგვარეულოში პირველი აზნაური, ოცდაათი წლის წინათ ორი ათასი ლივრის რენტას ნატრობდა. ეს იყო მისი ოცნების მწვერვალი და პატივმოყვარული სურვილების მიჯნა. თვითონვე ამბობდა ამას და არვის დავიწყებია. ახლა, ვერ გეტყვით რა მოხდა, მაგრამ ცხოვრების ჩარხი ისე შეუტრიალდა, რომ თავის ერთ-ერთ ასულს მზითევში აძლევს ისეთ ქონებას, რისი პროცენტებიც სწორედ იმ თანხას შეადგენს, რაც ოდესღაც მთელი თავისი სიცოცხლისთვის ჰქონდა საოცნებოდ გამხდარი. ზანდუკებში ამდენივე თანხა აქვს გადანახული თითოეული შვილისთვის, რომელნიც მან უნდა უზრუნველჰყოს. შვილი კი ბევრი ჰყავს. მიიღეთ მხედველობაში, რომ ეს ავლა-დიდება მისი მემკვიდრეობის მხოლოდ ბე გახლავთ. ქრიზიპის სიკვდილის შემდეგ სხვა სიმდიდრეც მოიძებნება. მართალია ხანდაზმულია, მაგრამ ჯერ კიდევ ჯანზეა და სიცოცხლის დარჩენილ დღეებს უფრო მეტი ქონების დაგროვებას ალევს.

27

მიუშვით ერგასტი და გადასახადს დააწესებს მათზე, ვინც წყალს სვამს, ანდა იმათზე, ვინც მიწაზე ადგამს ფეხს. მას შეუძლია ლერწამი, წნორი და ჭინჭარიც კი ოქროდ აქციოს. ყველას რჩევას ყურად იღებს და ცდილობს ცხოვრებაში გამოიყენოს. დარწმუნებულია, მეფე სხვებს აძლევს იმ მოწყალებას, რაც თვით ერგება და მფარველობას უწილადებს სხვებს, თუმცა ესეც მას ეკუთვნის დიმ-

სახურებისდა მიხედვით. დაუოკებელი წყურვილით არის შეპ-ყრობილი: იძენდეს და ფლობდეს. სიამოვნებით ივაჭრებდა ხელოვ-ნებითა და მეცნიერებით, თვით ჰარმონიასაც კი იჯარით აიღებდა. მისთვის რომ დაეჯერებინა ხალხს, სიამოვნებით უნდა დაევიწყები-ნა ორფევსის ჰანგები და დაკმაყოფილებულიყო ერგასტის შემოქ-მედებით, ოღონდ იგი მდიდარი, მეძებრების ხროვისა და საჯინი-ბოს მფლობელი ეხილა.

28

საქმეს ნუ დაიჭერთ კრიტონთან, მას საკუთარი გამორჩენის გარდა არაფერი აწუხებს. ვაი იმას, ვისაც თვალი წაუვა მისი თანა-მდებობის, მამულისა და საკუთრებისკენ: მის მახეში გაებმება. ზღაპრულ ფასს დააღებს. ნურვინ მოელის დანდობასა და დამყო-ლობას კაცისგან, ვინც სულ თავისკენ ითლის და არად აგდებს, სხვებმა გინდა თავი კედელს ახალონ. ყველას პირში ჩალაგამოვ-ლებულს დატოვებს.

29

ხალხი ამბობს, ბრონტენი ისე მორწმუნეა, რომ მთელი კვირა წმიდანების ხატებთან ჩაიკეტება ხოლმე და გარეთ არ გამოდი-ხო: წმიდანებს თავიანთი სალოცავი აქვთ, ბრონტენს კი თავისი.

30

ხალხს უყვარს ტრაგედიის ყურება. ცხოვრების სცენაზე იღუპე-ბა მისთვის მეტად საძულველი მრავალი შემზარავი პერსონაჟი, რომელთაც სხვადასხვა მოქმედებაში დიდი ბოროტება ჩაიდინეს.

31

პ.-ს, ტ.-სა და ს.-ს ცხოვრებას თუ ორ თანაბარ მონაკვეთად გავყოფთ, პირველი, საქმიანი და მღელვარე მონაკვეთი ხალხის ძარცვას ეძღვნება. ხოლო მეორე მონაკვეთი, რაიც სიკვდილთან აახლოებს მათ, ეძღვნება ერთმანეთის ნიღბის ჩამოხსნასა და გა-კოტრებისთვის ბრძოლას.

32

ამ კაცმა, რომლის შემწეობითაც ბევრი გამდიდრდა, მათ შორის თქვენც, საკუთარი ქონება ვერ შეინარჩუნა და ისე გარდაიცვალა, რომ ცოლ-შვილს არაფერი დაუტოვა. თქვენ მშვენივრად მოგეხსენებათ, რა მძიმე გაჭირვებას განიცდიან ისინი. მაგრამ არც ფიქრობთ მდგომარეობა შეუმსუბუქოთ. მართლაც, სად მიგიწვდებათ ხელი, თქვენ ხომ მუდამ სუფრა გაქვთ გაშლილი და სახლსაც იშენებთ. სამაგიეროდ ისე მადლიერი ხართ თქვენი კეთილისმყოფელისა, რომ მისი პორტრეტი კედელზე გიკიდიათ. თუმცა კაბინეტიდან შემოსასვლელ ტალანში გადაიტანეთ, მაგრამ რა უჭირს, ხომ შეგეძლოთ საკუჭნაოში გადაგენახათ.

33

ადამიანი ხან გულცივი იბადება, ხან ცხოვრების პირობებისა და მდგომარეობის შედეგად ხდება ასეთი. ორივე შემთხვევაში ჩირად არ უღირს მოყვასის გაჭირვება, უფრო მეტიც, საკუთარი ოჯახის უბედურების მიმართაც გულგრილია. ჭეშმარიტი ფინანსისტი ცრემლს არ დაღვრის არც თავისი მეგობრების, არც ცოლისა და არც შვილების გარდაცვალების გამო.

34

აბა, მოკურცხლეთ, თავს უშველეთ. საკმაოდ შორს ვერ გაქცეულხართ. როგორ არაო, მეუბნებით, უკვე ტროპიკულ ზონაში ვიმყოფებიო. არა, გადაიარეთ პოლუსი, მეორე ნახევარსფერო, თუ შეგიძლიათ ათრიათდით იარსკვლავებზე. უკვე იქ გახლავართო; ძალიან კარგი. ახლა საფრთხე აღარ მოგელით. დედამიწაზე მხვდებიან ხარბი და გაუმაძღარი, ულმობელი ადამიანები, რომელთაც სურთ ვისაც წააწყდებიან ანდა ვისაც გზაზე გადაეყრებიან, იმათ ხარჯზე იცხოვრონ. არას დაგიდევენ, სხვას რა დაეჯდება, ოღონდ თვითონ გაისქელონ ჯიბე და ყოველგვარ სააქაო ნეტარებას ეწიონ.

35

„ქონების დაგროვება“ ისეთი მიმზიდველი გამოთქმაა და ისეთ საამურ რამეს გულისხმობს, რომ ყველას პირზე აკერია. ეღერს

ყველა ენაზე, მოსწონთ უცხოელებსაცა და ბარბაროსებსაც. გაბატონებულია სამეფო კარზედაც და ქალაქშიაც. ამსხვრევს ყველა კლიტეს, ძვრება მონასტრის კედლებში, როგორც ერთი სქესის, ისე მეორე სქესის საკნებში. არ არსებობს არც ერთი წმიდათაწმიდა სავანე, სადაც მას არ შეუღწევია, არც უდაბური ადგილი, არც განდეგილთა საყუდელი, სადაც ცნობილი არ იყოს.

36

რაკი ნიადაგ ახალ-ახალ საქმეებს ჩარხავს და ზანდუკები ფულით ევსება, ჰგონია, ვითომც ჭკუის კოლოფი ბრძანდება და მაღალი თანამდებობის გაძღოლის უნარიც შესწევს.

37

ჭკუა განსაკუთრებით უნდა გქონდეს მოწყობილი, ქონება რომ მოიხვეჭო, ისიც დიდი ქონება. გონება არც ძლიერია საჭირო და არც მახვილი, არც დიდი და არც ამაღლებული, არც ღრმა და არც დახვეწილი; სახელდობრ როგორი უნდა იყოს, არ ვიცი და ველოდები, იქნებ ვინმემ კეთილ ინებოს და გამაგებინოს.

ჭკუა იმდენად საჭირო არ გახლავთ, როგორც ჩვევა და გამოცდილება. ადამიანი ამას გვიან ხვდება და საქმეს იწყებს შეცდომებით, რის გამოსასწორებლად მეტწილად დრო არ ჰყოფნის. იქნებ ამის შედეგად არის, რომ დიდი სიმდიდრის პატრონი ესოდენ იშვიათად გვხვდება.

არცთუ დიდი ჭკუის კაცი წინ წაწევას მოინდომებს. ყველაფერს უყურადღებოდ ტოვებს. დილიდან საღამომდე სულ იმაზე ფიქრობს, წინ როგორ გავძვრეო. სიზმარშიაც ეს ეჩვენება. ძალიან ადრე, ყრმობიდანვე დაადგა გამდიდრების გზას. თუ რაიმე დაბრკოლებას წააწყდება, სრულიად უბრალოდ გადალახავს, გადაუხვევს მარჯვნივ, ან მარცხნივ იმისდა მიხედვით, საიდან მოჩანს შუქი და გასაძვრომი. და თუ კვლავ აღიმართება კედელი მის წინაშე, დაუბრუნდება ბილიკს, რასაც აქამდე მიჰყვებოდა. გაითვალისწინებს, რანაირი სიძნელე უშლის ხელს; ხან პირდაპირ ეკვეთება, ხან მხარს აუქცევს, ხან ხრიკებს მოიშველიებს. ეს უკვე დამოკიდებულია იმა-

ზე, თუ რა აძლევს ბიძგს: გამორჩენა, ჩვეულება თუ შექმნილი ვითარება. განა დიდი უნარი და მოსაზრება სჭირდება მოგზაურს, რათა ჯერ შარაგზას გაჰყვეს და თუ იგი ძალიან სავსეა და გადახერგილი, გადაუხვიოს, მინდორ-მინდორ იაროს; მერე ისევ დაუბრუნდეს შარას, განაგრძოს გზა და დანიშნულ ადგილს ჩააღწიოს? ვითომდაც რაო, დიდი ჭკუაა საჭირო მიზნის მისაღწევად? ნუთუ მდიდარი და ღრმად პატივცემული სულელი აგრე რიგად იშვიათია?

რამდენ ყეყეჩს, გავბედავ და ვიტყვი, თვით ტვინგამოცლილებსაც კი მაღალი თანამდებობა უკავიათ. სიცოცხლის ბოლო წუთამდე ფუფუნებაში არიან ყელამდე ჩაფლული და არავინ ფიქრობს, თითქოსდა ამას მათ შრომით ან რაიმე ხრიკებით მიაღწიეს. ვიღაცამ, ან შემთხვევამ მიიყვანა ისინი მდინარის სათავესთან და უთხრა: გინდათ წყალი? დაეწაფეთ! და ისინიც დაეწაფნენ.

38

ახალგაზრდა ხშირად ღარიბია. ან არაფერი შეუძენია ჯერ, ან მემკვიდრეობა არ მიუღია. მდიდრდება და ბერდება ერთდროულად, რაკი იშვიათია ადამიანს ყველა სიკეთე ერთად ეწიოს. თუნდაც ასეც მოხდეს და გაბედნიერდეს, შესაშური მაინც არაფერი აქვს, რამეთუ სიკვდილი იმდენ რამეს აკარგვინებს, რომ ყველა შემთხვევაში ღირსია შეცოდებისა.

39

ადამიანს ოცდაათი წლის ასაკში ახსენდება, რომ ქონების დაგროვება ესაჭიროება. ორმოცდაათი წლისასაც არაფერი აქვს შეძენილი. სიბერეში იწყებს მშენებლობას და კვდება, როცა მღებავებსა და მეშუშეებს ჯერაც არ დაუმთავრებიათ სამუშაო.

40

რად გვინდა დიდი სიმდიდრე, თუ არ ვისარგებლებთ იმ ადამიანთა პატივმოყვარეობის, მისწრაფებების, გამჭრიახობის, შრომისა და ხარჯების ნაყოფით, რომელნიც ქვეყანას ჩვენზე ადრე მოევ-

ლინნენ და თუკი ჩვენ თვითონაც არ ვიმუშავებთ, არ დავთესთ, არ ავაშენებთ, არაფერს დავაგროვებთ შთამომავლობისთვის?

41

ყოველ დილას თვალს ვახელთ და საკუთარ თავს გამოვფენთ, რათა მოვატყუოთ მოყვასი ჩვენი; მთელი დღე ვატყუებთ და საღამოს ვხუჭავთ თვალს.

42

ვაჭარი აქებს და ადიდებს თავის საქონელს, რათა გაასაღოს ყველაზე მდარე და უვარგისი. აპრიალებს, ალამაზებს, რათა ხინჯი დაფაროს და ლაზათიანი გამოაჩინოს. ტყავიდან ძვრება, ოღონდ რამენაირად ღირებულზე ძვირად გაყიდოს. ყალბსა და იდუმალებით მოცულს დამღას ადებს, მყიდველი რომ დაარწმუნოს, თავის ფასში ვიყიდეო. უკანონო საზომით ვაჭრობს და ცდილობს, კუთვნილზე ნაკლები მიუზომოს ხალხს. თვითონ კი დუქანში სააფთიაქო სასწორი უდგას და მყიდველის მიერ გადახდილ ოქროს ზუსტად წონის.

43

რომელ წოდებასაც უნდა ეკუთვნოდეს, ღარიბი კაცი მეტწილად სინდის-ნამუსიანობისკენ ისწრაფის, მდიდარი — ყალთაბანდობისკენ. დიდი ქონების დასაგროვებლად მარტო ცოდნითა და გამჭრიახობით ფონს ვერ გახვალ.

რაც უნდა იყოს, ხელოსნობა თუ ვაჭრობა, სიმდიდრის მოსახვეჭად კაცმა ხალხს ისე უნდა მოაჩვენოს თავი, თითქოსდა დიდად პატიოსანი ვინმეა.

44

ავლა-დიდების დასაგროვებლად ყველა საშუალებათა შორის ყველაზე ხელსაყრელი და ყველაზე უმოკლესი გზა გახლავთ ის, რომ ხალხს შთააგონო, ვითომდაც მისთვის დიდად სახარბიელო იყოს, იზრუნოს თქვენს კეთილდღეობაზე.

45

ზოგჯერ გაჭირვების შედეგად, ზოგჯერ სიხარბისა თუ პატივ-მოყვარე ზრახვების დასაკმაყოფილებელად, ადამიანები თავიანთ მანკიერ მიდრეკილებებს ფრთას ასხამენ, საეჭვო საქმიანობაში ებ-მებიან და დიდხანს თავის თავსაც კი უმალავენ, რომ მოლიპულ გზაზე მიექანებიან და დიდი ფათერაკი მოელით. მოგვიანებით ტო-ვებენ ამ გზას აღვსილნი ღვთის რწმენითა და სასოებით, რაიც მარ-ტოოდენ მაშინ ეუფლება მთელს მათ არსებას, როს მოსავალი უდანაკარგოდ მოუმკიათ და ქონება მყარ საძირკველზე დაუმ-კვიდრებიათ.

46

გული შეგეკუმშება, ზოგიერთი კაცის სიღარიბეს რომ შეხედავ. საჭმელიც კი არ ეშოვება; ზამთარი აშინებს, ცხოვრება თავზარსა სცემს. სხვები კი ადრეულ ხილს მიირთმევენ და ნუგბარ-ნუგბა-რით ყელის ჩასაკოკლოზინებლად მიწასა და წელიწადის დროებს აიძულებენ უდროო დროს მისცენ ნაყოფი. უბირი ბურჟუები, აქაოდა მდიდრები ვბრძანდებითო, ისე კადნიერდებიან, რომ ერთ ჭამაზე ასი ოჯახის სამყოფ ხორაგსა ნთქავენ. დაე, ვისაც ნებავს გაილაშქროს ცხოვრების ამ უკუღმართობის წინააღმდეგ, მე კი მსურს, თუ შევძელი, არც ღატაკი ვიყო, არც მდიდარი. საშუალო მდგომარეობა საკმარისია ჩემთვის.

47

ცნობილია, ღარიბებს დარდი აწვებათ, რადგან ყველაფერი აკ-ლიათ და გულის შემატკივარიც არვინა ჰყავთ. ისიც ცნობილია, მდიდრებს ბოღმა აწვებათ, მცირეოდენი რამ თუ შემოაკლდათ, ან-და თუ ვინმემ ურჩობა გაუბედა.

48

მდიდარი არის ის, ვინც იღებს მეტს, ვიდრე ხარჯავს. ღარიბი არის ის, ვისი ხარჯებიც შემოსავალს აღემატება.

შეიძლება ორი მილიონი რენტა ჰქონდეს კაცს და ყოველ წუთს ხუთასი ათასი ლივრი აკლდეს.

ყველაზე მყარი და ხანგრძლივია საშუალო შეძლებულობა. დიდი სიმდიდრის დასასრულის მოწმენი ხშირად ვხდებით. სიმდიდრე ახლოს დგას სიღარიბესთან.

თუ მართალია, რომ კაცი მდიდარია, როცა აღარაფერი ესაჭიროება, მაშინ ძალზე მდიდარი ყოფილა ბრძენი.

თუ მართალია, რომ კაცი ღარიბია იმით, რაც ენატრება, მაშინ პატივმოყვარე და ძუნწი უკიდურეს სიღატაკეში ყოფილან ჩაფლულნი.

49

ვნებები თრგუნავენ ადამიანს; ყველაზე მეტად პატივმოყვარეობა ტანჯავს, თუმცა ერთხანს ისეთ იერს აძლევს, თითქოსდა მის არსებაში ყოველგვარ სიქველეს დაებუდებინოს. ტრიფონი ყველა მანკიერებითაა შეპყრობილი; მე კი ნამუსიანი, პატიოსანი, ხელგაშლილი, მოკრძალებული და თითქმის ღვთისმოსავი მეგონა. ახლაც ასეთი აზრის ვიქნებოდი, რომ არ გამდიდრებულიყო.

50

გამდიდრებისა და განდიდების სურვილი მარად სდევს ადამიანს; ნაღველი ჩაექცა, სიკვდილის ფერი ადევს, ფეხზე ველარ დგება. სიცოცხლის დღეები დათვლილი აქვს და მაინც ამბობს: „ჩემი ქონება, მდგომარეობა ჩემი“.

51

ადამიანის განდიდების მხოლოდ ორი მიზეზი არსებობს: თავისი გაქნილობა, ან სხვისი სისულელე.

52

სახის ნაკვთები ჩვენს ხასიათსა და ჩვეულებებზე მეტყველებენ, იერი — ჩვენს ბედ-იღბლიანობაზე. სახეზე გვაწერია, რამდენი ათასი ლივრი გვაქვს რენტა.

53

ქრიზანტი მდიდარია და კადნიერი; არა სურს ვინმემ ეექენისთან ერთად დაინახოს. ეექენი ღირსეული ადამიანია, მაგრამ ღარიბია.

54

როცა ვხედავ, ზოგიერთ კაცს, უწინ სალამს რომ ვერ დავასწრებდი, ახლა თავისი და ჩემი მდგომარეობა ერთმანეთისთვის შეუდარებია და ელოდება პირველი მე მივესალმო, გულში ვამბობ: ძალიან კარგი, დიდად მოხარული ვარ, მით უკეთესი მი!თვის. როგორც ჩანს ამ კაცს უწინდელზე კარგი ბინა აქვს, უკეთესადაც მოწყობილა და საჭმელ-სასმელიც უკეთესი უშოვნია. ალბათ, რამდენიმე თვის წინათ რაღაც სარფიან საქმეს მოჰკიდა ხელი და უკვე კარგი მოგებაც ხვდა წილად. ღმერთმა ინებოს, რომ მალე შევეზიზღო!

55

აზრი, წიგნები, მათი ავტორები მდიდრებისა და რაიმე ავლადიდების მფლობელთაგან რომ იყვნენ დამოკიდებული, რა დევნა დაიწყებოდა! არავის დაინდობდნენ. ერთი შეხედეთ, რა ქედმაღლურად მიმართავენ მეცნიერებს! რარიგ ზემოდან დასცქერიან ამ „უბადრუკ“ კაცებს, რომელთაც თავიანთმა დამსახურებამ არ მოუტანა არც მაღალი თანამდებობა, არც სიმდიდრე და მაინც გონივრულად აზროვნებენ და წერენ! უნდა ვაღიაროთ, აწმყო მდიდრებს ეკუთვნის, მყოფადი — პატიოსანსა და ნიჭიერ ადამიანებს. ჰომეროსი იყო და იქნება მარად. სახელმწიფო შემოსავლის მინისტრები ან მოიჯარეები აღარ არსებობენ. იყვნენ კი? ვინ იცნობს მათ სამშობლოს, სახელს, ანდა ვინ იცის, ნამდვილად თუ არსებობდნენ ისინი საბერძნეთში? რა დაემართათ იმ პატივცემულ გვამებს, რომელნიც ზიზღით უყურებდნენ ჰომეროსს; საჯარო მოედანზე შეხვედრას ერიდებოდნენ, სალამზე სალმით არ პასუხობდნენ, ანდა სალმის მაგიერ სახელით მიმართავდნენ, ღირსად არ თვლიდნენ სუფრაზე მიეპატიჟათ, რადგან იგი მათთვის იყო ერთი უქონელი კაცი, მჩხაპნელი წიგნებისა. რა მოელით ვიღაც ფოკონეებს? განა მათი

სახელი საუკუნიდან საუკუნემდე გადაეცემა შთამომავლობას ისე-ვე, როგორც სახელი დეკარტესი, რომელიც საფრანგეთში დაიბადა და შვედეთში გარდაიცვალა?

56

ქედმაღლობა არის მიზეზი იმისა, რომ ჩვენ ესოდენ ამაყად აღვზევდებით ქვემდგომთა ზედა, და ესოდენ წუნკალად ვიკლაკნე-ბით ზემდგომთა ფერხთით. ამ მანკიერების დამახასიათებელი ის გახლავთ, რომ პირად დამსახურებაზე ან სიქველეზე კი არ არის დამყარებული, არამედ ნაყოფია სიმდიდრის, მაღალი მდგომარეო-ბის, გავლენიანობის, ყალბი სწავლულობისა და ჩვენ ერთნაირად შთაგვაგონებს როგორც ზიზღს იმათ მიმართ, ვისაც ყველა ეს სი-კეთე ჩვენზე ნაკლები აქვს, ისე უღრმეს მოწიწებას იმათდამი, ვი-საც ჩვენზე გაცილებით მეტი აქვს.

57

არსებობენ ბილწი სულის ადამიანები, ლაფისა და სიბინძურის-გან შეკოწიწებულნი, რომელთაც ისევე იტაცებთ სარფა და ანგა-რება, როგორც მაღალი სულის ადამიანებს — დიდება და სათნოე-ბა. მათი ერთადერთი ნეტარებაა — მოიხვეჭონ და არაფერი და-კარგონ. მნიშვნელოვანი და სახარბიელოა მხოლოდ ფულის ათი პროცენტით გასესხება. მოვალეებზე ფიქრი უტრიალებთ ნიადაგ თავში და შიშით ძრწიან, არ დაეცეს ოქროს ღირებულება და არ გაუფასურდეს ფული. ხელშეკრულებებში, თამასუქებში და საბუ-თებში არიან მუდმივ ჩაფლულნი. ისინი არ გახლავან არც მშობ-ლები, არც მეგობრები, არც მოქალაქენი. არც ქრისტიანები, იქნებ არც ადამიანები: მათ აქვთ ფული.

58

ჯერ გამოვრიცხოთ კეთილშობილი და მამაცი სულის ადამია-ნები, თუკი ასეთები მოიძებნებიან დედამიწის ზურგზე, ადამიანე-ბი, რომელნიც მუდამ მზად არიან მოყვასის დასახმარებლად და სიკეთის დასათესად; რომელთაც ვერავითარი გაჭირვება, ქონებ-

რივი უთანასწორობა, ხრიკები ვერ განაშორებს იმათ, ვინც ერთხელ და სამუდამოდ მეგობრად იგულეს. ამ გაფრთხილების შემდეგ გაბედულად ვთქვათ ერთი რამ მეტად სავალალო და სამწუხარო: ქვეყნად არ მოიძებნება ისეთი კაცი, რომელიც თქვენი მახლობელია, თქვენდამი კეთილად არის განწყობილი, უყვარხართ, სიამოვნებს თქვენთან ყოფნა, ათასგვარ სამსახურს გთავაზობთ და ხანდახან გეხმარებათ კიდეც და რომელიც მზად არ იყოს, თავისი გამორჩენისა და ანგარების გამო, თქვენთან მეგობრული კავშირი გაწყვიტოს და მტრად მოგეკიდოთ.

59

სანამ ორონტს წლები, კაპიტალი და შემოსავალი ემატება, ერთ ოჯახში იბადება, იზრდება, სწავლობს, მშვენდება და მეთექვსმეტეში გადადგება გოგონა. ორმოცდაათი წლის ორონტს ეხვეწებიან შეირთოს ეს ტურფა და გონიერი ყმაწვილი ქალი. კაცი დაბალი წარმოშობისაც არის, უჭკუოც, ყოველგვარ ღირსებასაც მოკლებული, მაგრამ ყველა მეტოქეს მაინც ამჯობინეს.

60

ქორწინება, რაიც ყოველგვარი სიკეთის წყარო უნდა იყოს ადამიანისთვის, ხშირად მძიმე უღლად აწვება კაცს, რადგან იგი ღარიბია. ცოლი და ბავშვები უნებლიეთ თაღლითობისა და მატყუარობისკენ უბიძგებენ და აიძულებენ უკანონო შემოსავალი ეძიოს. გზაჯვარედინზე დგას: აქეთ ცბიერებაა, იქით სიღატაკე. მძიმე ვითარებაა!

გამართულ ფრანგულ ენაზე „ქვრივის ცოლად შერთვა“ ნიშნავს „გამდიდრებას“, თუმცა ყოველთვის არ ემთხვევა თავის მნიშვნელობას.

61

ვისაც ძმებთან გაყრის შემდეგ იმდენი მემკვიდრეობა რჩება, რომ შეუძლია გახდეს ადვოკატი და უზრუნველად იცხოვროს, ისწრაფის მოსამართლის თანამდებობა მიიღოს, მოსამართლეს მრჩეველობა ნებავს, მრჩეველს პარლამენტის პრეზიდენტობა. ასევე

ემართებათ ყველა წოდების ადამიანებს; ისწრაფიან მაღალი მდგომარეობისკენ, ბედსა ცდიან, ანიავებენ თუ რამ გააჩნიათ და შემდეგ უკიდურეს გაჭირვებაში ღაფავენ სულს. მათ ისევე არ შესწევთ ძალა გამდიდრების სურვილი დაითრგუნონ, როგორც არა აქვთ შნო, შეინარჩუნონ სიმდიდრე.

62

მადიანად ისადილე, კლეარკ, ივახშმე ძღომაზე, ჭლომად შეყარე შეშა ბუხარში, იყიდე მანტო, მოირთე საწოლი ოთახი: შენ სულ არ გიყვარს შენი მემკვიდრე, არცა სცნობ მას. თითქოსდა არცა გყავს შვილი.

63

ახალგაზრდა სიბერისთვის ზოგავს ფულს. მოხუცი დასაფლავებისთვის ინახავს. უძღები მემკვიდრე მდიდრულად ასაფლავებს მას და დანარჩენს ფლანგავს.

64

ძუნწი სიკვდილის შემდეგ იმდენს ფლანგავს, რამდენსაც მთელი ათი წლის განმავლობაში ვერ დახარჯავდა, როცა ცოცხალი იყო. მისი მემკვდირე ათ თვეში იმდენს ანიავებს, რამდენსაც ძუნწი მთელ სიცოცხლეში ვერ მოიხმარდა.

65

კაცი რასაც ფლანგავს, მემკვიდრეს ართმევს. რასაც კრიჟანგულად აგროვებს, თავის თავს ართმევს. ვინც ზომიერად იქცევა, სამართლიანია როგორც საკუთარი თავის, ისე სხვების მიმართ.

66

შვილები უფრო ეყვარებოდათ მამებს და შვილებს — მამები, მემკვიდრეობა რომ არ არსებობდეს.

67

ისეთი მძიმე პირობები აქვს ხალხს შექმნილი, რომ სიცოცხლე ეზარება! უნდა ოფლი ღვაროს, ძილი გაიკრთოს, ვიღაცის წინაშე ქედი მოიხაროს, თავი დაიმდაბლოს, რათა ან მცირეოდენი ქონება დაიგროვოს, ანდა უახლოეს ადამიანთა სიკვდილის წყალობით გამდიდრდეს. ვინც საკუთარ თავს ნებას არ აძლევს იოცნებოს მამის გარდაცვალებაზე, პატიოსანი კაცია.

68

ვინც მემკვიდრეობას მოელის, თავისი გუნებ-განწყობილებით უთუოდ მაამებელია. ჩვენს სიცოცხლეში ისე არვინ გვეფარისევლება, ისე არ გვემორჩილება, ყველაფერზე არ გვიკრავს კვერს, თავს არ გვევლება, არ გვემსახურება, არ ზრუნავს ჩვენზე, არ შემოგვციცინებს თვალში, როგორც ის, ვინც ჩვენს სიკვდილს ნატრობს, რაკი რაღაცის მოგების იმედი აქვს.

69

სხვადასხვა თანამდებობის, ტიტულის, ქონების პატრონნი ერთმანეთის მემკვიდრეებად თვლიან თავს და მთელი სიცოცხლე, ანგარებით აღვსილნი, გულში ატარებენ იდუმალსა და შეუცნობელ ნატვრას—სული განუტევოს მოწინააღმდეგემ. რომელ წოდებასაც უნდა ეკუთვნოდეს, ყველაზე ბედნიერი ის არის, ვისაც ყველაზე მეტი აქვს სიცოცხლესთან ერთად დასაკარგი და მემკვიდრეებისთვის დასატოვებელი.

70

ამბობენ, აზარტულ თამაშში ყველა სწორუფლებიანიაო. ადამიანთა საზოგადოებრივი მდგომარეობა ერთმანეთისგან იმდენად განსხვავდება და მათ შორის ისეთი ღრმა და თვალუწვდენელი უფსკრულია, რომ ამგვარ უკიდურესობათა დაახლოება ისევე შეუთავსებელია, როგორც ერთმანეთთან შეუხამებელი ფერები თვა-

ლისთვის და არაკეთილხმოვანი მუსიკა, ბგერების ამაზრზენი ხრჭიალი, სიტყვების რახარუხი სმენისთვის. ერთი სიტყვით, ეს ყოველგვარი წესრიგის დარღვევა გახლავთ. თუ ვინმე ჩემს აზრს არ გაიზიარებს და მეტყვის, დასავლეთში ყველა აგრე იქცევაო, მე მივუგებ, ქვეყნის მეორე მხარეში სწორედ ამის გამო გვიწოდებენ ბარბაროსებს და აღმოსავლეთიდან ჩამოსულნი თავიანთ უბის წიგნაკებში ამასვე აღნუსხავენ-მეთქი. ეჭვი არ მეპარება, ეს წრეგადასული გაშინაურება მათში იმაზე ნაკლებ ზიზღს როდი აღძრავს, რასაც ჩვენში იწვევს მათი ზომბაია და სხვა დამამცირებელი სალამ-ქალამი.

71

დიდად მნიშვნელოვანი საქმისთვის მოწვეული შტატების ან პარლამენტის სხდომა არ წარმოადგენს ისე სერიოზულსა და საზეიმო სანახაობას, როგორც მაგიდასთან შემომსხდარი მოთამაშენი, როცა ისინი დიდ თანხაზე თამაშობენ. პირქუშია და სასტიკი მათი გამოხედვა. თამაშის დასასრულამდე შეურიგებელი მტრები არაფრად აგდებენ არც მეგობრობას, არც მდგომარეობას, არც წარმოშობას, არც თანამდებობას. მარტოოდენ შემთხვევა, ბრმა და ულმობელი ღვთაება, თვითნებურად დგას ამ წრის სათავეში და მის ბედ-იღბალს წყვეტს. მისდამი პატივისცემას მოთამაშენი გამოხატავენ ღრმა დუმილითა და ისეთი დაძაბული ყურადღებით, რისი უნარიც სხვაგან არსად შესწევთ: ყოველგვარი ვნება ადგილს უთმობს ერთადერთ გატაცებას. ამ დროს კარისკაცი აღარც ქლესაა, არც პირმოთნე, არც თითლიბაზი და, წარმოიდგინეთ, აღარც ფარისეველურად ღვთისმოშიში.

72

ისინი, რომელთაც ბედმა გაუღიმა თამაშში, იმდენად შეიცვლებიან ხოლმე, რომ ვეღარ იცნობთ და უწინდელი განწყობილების ნატამალსაც ვეღარ შეატყობთ. თავის ტოლებს ცხვირს უბზუებენ და დიდებულებს ეტმასნებიან. სიმართლე უნდა ითქვას, ყომარისა და ლანდსკნეხტის მოთამაშის ბედი ცვალებადია და ეს ჩვენი აღზევებული ვაჟბატონები ხშირად ძველ მდგომარეობას უბრუნდებიან.

73

არ მიკვირს, რომ არსებობს სამორინეები, როგორც მახეები, ადამიანთა სიხარბის დასამწყვდევად დაგებული, როგორც უფსკრულები, სადაც იყრება და უკვალოდ ქრება კერძო პირთა ფული, როგორც შემზარავი მეჩეჩები, რაზედაც აწყდებიან და იღუპებიან მოთამაშენი; არ მიკვირს, რომ სამორინეებიდან ქვეყნის ყოველ კუთხეში იგზავნებიან მსტოვრები, რათა დაუყოვნებლივ შეიტყონ ნაპირზე მომდგარი ხომალდიდან ვინ გადმოვიდა, რა ახალი ჯილდო და ფული ჩამოიტანა, ვინ მოიგო სასამართლო პროცესი და დიდი თანხა ჩაიჩხრიალა ჯიბეში, ვინ მიიღო ძვირფასი საჩუქარი, ვის ხვდა წილად დიდი მოგება, წარჩინებული ოჯახის რომელ ვაჟიშვილს ერგო მდიდარი მემკვიდრეობა, რომელმა წინდაუხედავმა ნოქარმა გაბედა და ბანქოში სალაროს ფულით სცადა ბედი. რაღა თქმა უნდა, მატყუარობა ბინძური ხელობა გახლავთ, მაგრამ უხსოვარი დროიდან არსებობს და ყველასთვის ცნობილია. ამ ხელობას მარადჟამს მისდევდნენ ისეთი ადამიანები, რომელთაც მე თაღლითებს ვუწოდებ. მათ კარზე აბრა რომ იყოს მიკრული, ეწერებოდა: „აქ პატიოსნად ატყუებენ“. აბა, რა საჭიროა უსპეტაკეს ადამიანებად გამოაცხადონ თავი? ვინ არ უწყის, რომ ამგვარ სახლში შესვლა წაგებას ნიშნავს? მხოლოდ ერთი რამ ვერ გამიგია, თაღლითები ასე საჰაიჰაროდ სად პოულობენ იმდენ ყეყეჩს, რამდენიც მათი არსებობისთვის არის საჭირო?

74

თამაში ათასობით ადამიანს აკოტრებს და ისინი გულგრილად ამტკიცებენ, თამაშის გარეშე სიცოცხლე არ შეგვიძლიაო. რა გამართლებაა? აღვირახსნილ და სამარცხვინო ვნებებს აყოლილ კაცსაც ხომ ასევე შეეძლო თავის გამართლება? განა ვინმე იტყვის, რომ ვერ იცოცხლებს, თუ არ იქურდა, თუ არ მოკლა, თუ რაიმე ბოროტება არ ჩაიდინა? განა შეიძლება ნებადართული იყოს ეს შემზარავი, დაუოკებელი, საზღვარდაუდებელი თამაში, რასაც არც დასაწყისი უჩანს, და არც დასასრული: თამაში, რისი ერთადერთი მიზანია მოწინააღმდეგის სრული გაღატაკება და რაც მოგების სურვილით შეპყრობილ ადამიანს ჭკუას აკარგვინებს, წაგებულს

სასოწარკვეთილებაში აგდებს, უღვივებს სიხარბეს, უბიძგებს ქალალდის ერთი ჩასვლის ან ზარის ერთი გაგორებისთვის გასწიროს, როგორც თავისი, ისე ცოლ-შვილის ქონება და თან თქვას, უამისოდ სიცოცხლე არ შემიძლიაო? განა არ სჯობს ხანდახან თავს დიდი ძალა დავატანოთ? განა ამაზე უარესი უბედურება არ გვატყდება თავს, როცა ვაგებთ ყველაფერს, რაც კი გვაბადია, იძულებული ვხდებით იოლად გავიდეთ ტანსაცმლისა და საჭმლის გარეშე და ასეთსავე დღეში ჩავაგდოთ ოჯახი?

თაღლითობას არავის ვაპატიებ, თაღლითს კი ვაპატიებ დიდ მოგებაზე ითამაშოს. პატიოსან კაცს ვუკრძალავ ამას. დიდი წაგებისთვის თავი გადასდო — ბალღური გაუფრთხილებლობაა.

75

მწუხარება, რასაც გაქრობა არ უწერია, არის ქონების დაკარგვით გამოწვეული უბედურება. დრო, რაც ყველა სხვა დარდს აყუჩებს, ამას ამწვავებს. მთელი სიცოცხლე, ყოველ წუთას ვგრძნობთ, როგორ გვაკლია ის, რაც დავკარგეთ.

76

ურთიერთობა ისეთ კაცთან, ვინც ქონებას არ ხარჯავს თავისი ასულების გასათხოვებლად, არც ვალების გასასტუმრებლად და არც ხელშეკრულებების დასადებად, მეტად სასიამოვნოა, თუკი იგი არც მამაა თქვენი და არც ქმარი.

77

ჰოი, ზენობია, ვერც ამბოხება, რაიც თქვენს სამეფოს აფორიაქებს, ვერც ომი მძლავრ ქვეყანასთან, რასაც მეფის, თქვენი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ თქვენ უძღვებით ვაქკაცურად, ვერც ვერაფერი ვერ შეამცირებს თქვენს მიდრეკილებას ბრწყინვალებისადმი. თქვენი სამეფოს ყველა კუთხეს ამჯობინეთ ევფრატის ნაპირები და იქ აღმართეთ დიდებული სასახლე. ჰაერი საღია და გრილი, მდებარეობა თვალწარმტაცი. ამ ადგილს დასავლეთით წმიდა ტევრი ჩრდილავს. სირიის ღმერთნი, ხანდახან დედამიწაზე

რომ ეშვებიან, უკეთეს სავანეს ვერც შეირჩევდნენ. გარეუბნებში ფუთფუთებს უამრავი ადამიანი, რომელნიც თლიან ქვას, ჭრიან ხეებს, მიდიან, ბრუნდებიან, მოაგორებენ, მოათრევენ ლიბანის ხე-ტყეს. მოაქვთ ბრინჯაო და პორფირი. ჰაერი ივსება ამწეებისა და მანქანების ჭრიალ-ჟღრიალით. ამ ხმაურზე არაბეთისკენ მიმავალთ იმედი ეძლევათ, რომ თავიანთ კერასთან დაბრუნებულებს უკვე დასრულებული დაუხვდებათ სასახლე, ისე წარმტაცი და მოელვარე, როგორიც ინებეთ საბრძანებლად თქვენსა და თქვენს ძეთა — უფლისწულთათვის. ნურაფერს დაზოგავთ, დიდო დედოფალო, ნურც ოქროს და ნურც შრომას სახელოვანი ოსტატებისა. დაე, თქვენი დროის ფიდიასებმა და ზევქსისებმა შეალიონ მთელი ნიჭი და უნარი თქვენი სასახლის ჭერისა და კედლების გამშვენიერებას. ირგვლივ გააშენეთ თვალუწვდენელი და კეკლუცი წალკოტები, რაიც ყველას ეგონოს ადამიანის ხელით კი არა, ჯადოქრის თილისმით ნაგები. ამოწურეთ თქვენი ხაზინა და შთაგონება ამ ხელთუქმნელი ნაოსტატარის სრულყოფისათვის. და როცა ყოველივე დასრულდება, ზენობია, ვინმე მწყემსი, რომელსაც პალმირის მახლობლად, ქვიშრობში უცხოვრია და გამდიდრებულა იმით, რომ თქვენს მდინარეებზე ხალხი გადაჰყავდა და სათანადო გასამრჯელოსაც იღებდა, დიახ, მწყემსი ერთ მშვენიერ დღეს ნაღდ ანგარიშზე შეისყიდის ამ მეფეთა სასახლეს, რათა იგი უფრო დაამშვენოს და უფრო მეტად გახადოს ღირსი მფლობელისა და მისი ავლა-დიდებისა.

78

თქვენ მოგხიბლათ ამ სასახლემ, ავეჯმა, ბაღებმა და შადრევნებმა. პირველად რომ შეავლეთ თვალი, აღმოგხდათ, ეს რა მშვენიერი ნაგებობაა და მისი მფლობელი რა უსაზღვროდ ბედნიერი უნდა იყოსო. ნურას უკაცრავად, მას არ განუცდია ის ნეტარება და აღტაცება, რაც თქვენ იგრძენით. ერთი დღეც კი არ გაუტარებია უზრუნველად, ერთი ღამე არ უძინია ტკბილად და მშვიდად. ყელამდე იყო ვალებში ჩაფლული მხოლოდ იმისთვის, რომ სასახლე ისე გაემშვენიერებინა, როგორიც თქვენ მოგეწონათ. მევალეებმა გააძევეს აქედან. წასვლისას შემობრუნდა და უკანასკნელად შეხედა სახლს. მღელვარებამ მოკლა იგი.

79

ზოგიერთ ოჯახს რომ უყურებ, არ შეიძლება არ გაგახსენდეს ის, რასაც ეწოდება ახირებული შემთხვევა ან ბედის ჭირვეულობა. ასი წლის წინათ ოჯახზე კაცს არაფერი სმენოდა. სულაც არ არსებობდა იგი. უცბად ცა გაიხსნა მისთვის და მოწყალება გადმოაფრქვია: სიმდიდრე, პატივი, ტიტულები წვიმასავით წამოვიდა. ამქვეყნიური ყველა სიკეთით ყელამდე აივსო. ევმოლპი იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, ვისაც წინაპრები არა ჰყოლია; სამაგიეროდ მამა ჰყავდა აგრე რიგად აღზევებული, რომ ევმოლპი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში მხოლოდ იმას ნატრობდა, მამას დასწეოდა და დაეწია კიდეც. რა იყო ამ ორი ადამიანის განდიდების მიზეზი? გამორჩეული ჭკუა-გონება, უზადო ნიჭი თუ შემთხვევათა საბედისწერო დამთხვევა? ახლა კი ბედი აღარ უღიმით მათ, სხვას დასტრიალებს თავს, ხოლო ევმოლპის შთამომავლობას ისევე ეპყრობა, როგორც ოდესღაც ეპყრობოდა მის წინაპრებს.

80

მოსამართლეთა და სამხედრო პირთა გაღატაკებისა და დაცემის პირდაპირი მიზეზი გახლავთ ის, რომ მათ ხარჯებს განსაზღვრავს არა მათი შემოსავალი, არამედ მათი საზოგადოებრივი მდგომარეობა.

81

თქვენდა გასამდიდრებლად თუ არაფრის წინაშე არ დაგიხევიათ, დიდი ჯაფა დაგდგომიათ; თუ ოდნავ მაინც დაგიხევიათ უკან, დიდი სინანულით აღვსილხართ.

82

ჟიტონს გაბადრული სახე უღაჟღაჟებს, ლოყები ჩამოჰკიდებია-თვითდარწმუნებული, მიშტერებული მზერა აქვს, ფართო მხარ-ბეჭი, გამობერილი ღიპი. ნაბიჯებს მტკიცედ და ლაღად ადგამს-

დაჯერებით ლაპარაკობს, თანამოსაუბრეს აიძულებს გაიმეოროს ნათქვამი და არც კი უსმენს. ვეებერთელა ცხვირსახოცს გაშლის და ხმაურით იხოცავს ცხვირს. შორს აფურთხებს და ხმამაღლა აცემინებს. ღრმა ძილით სძინავს დღეც, ღამეც. საზოგადოებაში ხვრინვას ამოუშვებს. სუფრასთან იქნება, თუ სეირნობის დროს, ყველაზე მეტ ადგილს იკავებს. როცა მდგომარეობით თავის ტოლებთან სეირნობს, შუაში დგება. შეჩერდება, სხვებიც ჩერდებიან. განაგრძობს სიარულს, სხვებიც მიდიან. ყველა მას უწყობს ფეხს. მოსაუბრეს სიტყვას აწყვეტინებს და შენიშვნებს აძლევს. ჟიტონს არავინ აწყვეტინებს ლაპარაკს, უსმენენ იმდენ ხანს, რამდენიც ნებავს იმასლაათოს. ყველა მის აზრს ეთანხმება და უჯერებს, რასაც ყვება. თუ დაჯდა, ხედავთ, როგორ ეფლობა სავარძელში. ფეხს ფეხზე გადაიდებს, წარბს შეიჭმუხნის, ქუდს თვალებზე ჩამოიფხატავს, რათა არვის შეხედოს. როს ინებებს, თამამად და ამაყად მოიშვლეპს ქუდს. მხიარულია, დამცინავი და თავშეუკავებელი, კადნიერი და ბრაზიანი, გარყვნილი და გაიძვერა. თავის საქმეებზე არავის არაფერს ეუბნება. ჰგონია, ნიჭიერია და ჭკუით სავსე: მდიდარია.

ფედონს თვალები მორღვეული აქვს, ლოყებჩაცვენილი, აწითლებული პირისახე. ნეკნები ეთვლება. სძინავს ცოტა და ფხიზლად. გამომეტყველება დაბნეული აქვს, თითქოს სიზმარშიაო. ამიტომ სულელსა ჰგავს, თუმც ჭკვიანია. ავიწყდება თქვას ის, რაც იცის ანდა მოჰყვეს შემთხვევა, რასაც თავად დასწრებია. ზოგჯერ მოჰყვება კიდეც, მაგრამ აბნეულად. ჰგონია, მსმენელს ვაწუხებო და ჰყვება მოკლედ, მოსაბეზრებლად. არ შესწევს უნარი თავისი ნათქვამი ვინმეს მოასმენინოს, ვინმე გააცინოს. ტაშს უკრავს, იღიმება იმაზე, რასაც სხვები ამბობენ და ყოველთვის მათ აზრს იზიარებს. თავქუდმოგლეჯილი გარბის, რათა ვიღაცის წვრილმანი დავალება შეასრულოს. პირმოთნეა, თავაზიანი, ქლესა. თავის საქმეებს სხვას არ ანდობს. ხანდახან მატყუარაა. ცრუმორწმუნეა, მოკრძალებული, ყველას სამსახურად გამზადებული. ფეხაკრეფით დადის, ფრთხილად, თითქოს ეშინია, მიწა არ გადავთელოო. თვალდახრილი დაიარება და ვერ ბედავს გამვლელს მზერა შეავლოს. არაოდეს დგება მოსაუბრეთა წრეში, მოსაუბრეს ზურგს უკან აეტუზება, ჩუმ-ჩუმად ისმენს საუბარს და გაიძურწება, თუ ვინმეს მზერას წააწყდება.

სივრცე არ უკავია, არ უჭირავს ადგილი, მხრებჩამოყრილი მოდის, თვალებზე ქუდჩამოფხატული, არავინ დამინახოსო და მოსასხამშია აწურული. რაც უნდ ზედახორა იყოს ქუჩაში, გადასასვლელში, რაც უნდ ირეოდეს ხალხი, შეუძლია ისე გაძვრეს, რომ არვის დაეჯახოს და არავინ შენიშნოს. თუ სკამს შესთავაზებენ, კიდეზე ჩამოჯდება. საზოგადოებაში ჩურჩულით მეტყველებს და ლუღლუღით წარმოთქვამს ბგერებს. მაგრამ სახელმწიფო საქმეებზე თამამად გამოთქვამს აზრებს, ჰკიცხავს ჩვენს საუკუნეს; მაინცადამაინც არც მინისტრებს სწყალობს და არც კაბინეტს. ისე კი, პირს არ გააღებს მანამდე, სანამ რაიმეს არ შეეკითხებიან. როცა ახველებს და ცხვირს იხოცავს, პირს ქუდით იფარავს. ლამის ზედ დაიფურთხოს. სანამ მარტო არ დარჩება, არ დააცემინებს. თუ ხალხშია და ვერ მოითმინა, პირს მიიბრუნებს. არავინ ფიქრობს მიესალმოს მას, ან თავაზიანად მოიკითხოს: ღარიბია.

თავი მეშვიდე

დედაქალაქის შესახებ

1

პარიზში, ყოველ საღამოს, თითქოს პაემანი დაუნიშნავთო, ყველა დედოფლის ხეივნისკენ ან ტუილრისკენ მიემართება, რათა ერთმანეთი შეათვალიერონ და გაკიცხონ.

არავინ უყვართ, ყველას დასცინიან კიდეც, მაგრამ უერთმანეთოდ ვერ ძლებენ.

სეირნობენ ხეივნებში, სადაც თავსაც იწონებენ და სხვებსაც ზვერავენ. ცნობისმოყვარეობის გრძნობით გამსჭვალულთ არაფერი ეპარებათ თვალთახედვიდან. ეს იქნება ეტლები, ცხენები, ლივრეებიანი ლაქიები თუ გერბები. ერთი სული აქვთ ერთმანეთს კბილი გაჰკრან. ერთს მოწიწებით აყოლებენ მზერას, მეორეს ზიზღითა და ქედმაღლურად უცქერენ, იმისდა მიხედვით, ზიმზიმა ეკიპაჟში ზის იგი, თუ დაძენძილ ეტლში.

2

ყველასთვის ცნობილია გრძელი მიწაყრილი, რაც ესაზღვრება და ზღუდავს სენის კალაპოტს იმ მხრიდან, სადაც სენა მარნს იერთებს და პარიზში შედის. ზაფხულის ცხელ დღეებში მიწაყრილის ძირში მამაკაცები ბანაობენ. ზემოდან გარკვევით მოჩანს, როგორ ხტებიან წყალში და როგორ ამოდიან. დიდად თავშესაქცევი სანახაობა გახლავთ. სანამ ბანაობის სეზონი დადგებოდეს, ქალები არ სეირნობენ იქ; როცა სეზონი გადის, არც მაშინ სეირნობენ.

3

ამ ხალხმრავალ ადგილას ქალები თავს იყრიან, რათა გამოჰფინონ სილამაზე, ნაირნაირი სამკაული და სამოსელი. აგრე ჯგროდ იმიტომ კი არ სეირნობენ, რომ ერთმანეთს გაესაუბრონ, არა, მათი მიზანია ერთგვარ თეატრალურ სცენაზე თავდაჯერებით გამოიყურებოდნენ, ხალხის წინაშე ლაღად გრძნობდნენ თავს და ავყია ადამიანების მოსაგერიებლად ნიადაგს იმზადებდნენ. ამის გამო ისინი საუბრობენ და ერთმანეთს კი არაფერს ეუბნებიან, უფრო გამვლელების გასაგონად ლაპარაკობენ; მასლაათობენ იმათთვის, ვის გამოც ხმას უწევენ, ხელებს აქნევენ, ხუმრობენ, სალამზე გულგრილად აქნევენ თავს, მიდიან, უკანვე ბრუნდებიან.

4

ქალაქი დაყოფილია სხვადასხვა, პატარ-პატარა სახელმწიფოების მსგავს წრეებად. აქვთ თავიანთი კანონები, წეს-ჩვეულებები, ჟარგონი და სახუმარო მოსწრებული სიტყვები. სანამ ამგვარი წრე მყარია და ძლიერი, მისი წევრები მჭიდროდ არიან შეკავშირებულნი, ყველაფერი მოსწონთ, რასაც თვით ამბობენ და აკეთებენ. გარეშეთა არც სიტყვას აგდებენ რამედ და არც საქმეს. უფრო მეტიც, ეზიზღებათ ადამიანები, რომლებიც მათ საიდუმლოებას არ არიან ნაზიარევნი. მათ წრეში შემთხვევით მოხვედრილი უჭკვიანესი კაციც კი უცხოა მათთვის. იგი ისე გრძნობს აქ თავს, თითქოს სადღაც შორეულ ქვეყანაში მოხვდა და უცნობია აქაური გზები,

ენა, ზნე-ჩვეულებანიცა და ადათ-წესებიც. ხედავს ადამიანებს, რომლებიც საუბრობენ, ხორხოცებენ, ერთმანეთს ეჩურჩულებიან, სიცილით კვდებიან და მერე პირქუშად სდუმან. უცხო კაცი იბნევა, ვერ მოუხერხებია საუბარში ერთი სიტყვა მაინც ჩაურთოს, მით უმეტეს, რომ საუბარიც გაუგებარია მისთვის. წრეს არასოდეს აკლია ერთი უშნო ხუმარა, ვინც ყველას თავზე აზის და ამ საზოგადოების გმირად ითვლება. მას თავი ვალდებულად მიაჩნია ყველა გაართოს და პირს გააღებს თუ არა, თუნდაც არაფერი თქვას, ხალხი სიცილით იჭაჭება. ხანდახან თუ გამოჩნდა ქალი, ვისთვისაც უცნობია მათი თავშექცევა, მხიარულ ბრბოს ვერ გაუგია. რატომ არ ეცინება ქალს მისთვის სრულიად გაუგებარ ხუმრობაზე, რატომ არის აგრე გულგრილად განწყობილი იმ სისულელეებისადმი, რაიც მათში ენაკვიმატობად ითვლება, რამეთუ თავად გამოუგონებიათ. მეგობრებს ამ ქალის არც ხმა მოსწონთ, არც დუმილი, არც ტანი, არც პირისახე, არც ჩაცმა, არც ის, თუ როგორ შემოვიდა და არც ის, თუ როგორ გავიდა. ამგვარი შეამხანაგება ბევრი-ბევრი ორ წელს გაგრძელდეს. პირველსავე წელს განხეთქილების თესლი უკვე ჩაგდებულია, მომდევნო წელს კი დიდ მოსავალს იძლევა. ლამაზმანთა მეტოქეობამ, აზარტული თამაშის დროს ატეხილმა კინკლაობამ, სუფრაზე ჭარბად დაყრილმა ხორაგმა, სუფრამ, რაც თავდაპირველად ასეთი სიუხვით არ გამოირჩეოდა და მერე ხორცეულის პირამიდებად გადაიქცა, ხელგაშლილმა ღრეობებმა ძირი გამოუთხარა რესპუბლიკას და სასიკვდილო ლახვარი ჩასცა. სულ მოკლე ხანში ამ ერს ისევე ახსენებენ, როგორც შარშანდელ ბუზებს.

5

ქალაქში მოსამართლეთა ორი ფენა არსებობს: მაღალი და დაბალი. პირველნი მეორეზე ანთხევენ იმ ზიზღსა და დამცირებას, რასაც თავად სამეფო კარისგან განიცდიან. იოლი როდი გახლავთ დაადგინო სად სრულდება მაღალი ფენის საზღვრები და სად იწყება დაბალი ფენა. მაგალითად, ერთი საკმაოდ მრავალრიცხოვანი კორპორაცია ამტკიცებს, დაბალ ფენას არ მივეკუთვნებითო, რაზედაც მაღალი ფენა დიდ პროტესტს აცხადებს. კორპორაცია ფარხმალს არ ყრის, პირიქით, ცდილობს. ისე ასწიოს ცხვირი და ისე

ფანტოს ფული, რომ გაუტოლდეს სახელმწიფო მრჩეველებს; თითქმის ასეც არის. კორპორაცია იმ აზრისაა, რომ მათი კეთილშობილი ხელობა, დამოუკიდებელი მდგომარეობა, მჭევრმეტყველების ნიჭი და პირადი ღირსებები ნაკლებად არ ფასობს, ვიდრე მეიჯარეებისა და ბანკირების მიერ თავიანთი შვილებისათვის ფულით სავსე ტომრებით შეძენილი თანამდებობანი.

6

ხუმრობთ? ხომ არ აპირებთ ეტლში ოცნებას მისცეთ თავი? ანდა დასვენება ხომ არ გინებებიათ? აბა, ჩქარა, აიღეთ წიგნი ან ქაღალდები, შიგ ჩაყავით ცხვირი, თავი ოდნავ დაუკარით ხალხს, რომელიც ეტლებით ჩაგივლით. მათ ეგონებათ, დიდად დასაქმებული ბრძანდებაო და იტყვიან, რა გამრჯე კაცია, დაუღალავი, ქუჩაშიც, გზაშიც კითხულობს და მუშაობსო. უბრალო ადვოკატსაც რომ ჰკითხოთ, განგიმარტავთ, რომ ხალხს უნდა ეჩვენოთ ნიადაგ საქმით დატვირთული, წარბშეჭმუხნილი, ღრმად მოაზროვნე. დროულად უნდა კარგავდეთ ჭამა-სმის სურვილს. შინ მისული მყისვე უნდა გაუჩინარდეთ, გაქრეთ კაბინეტის სიბნელეში, ვით მოჩვენება იკარგება თავისი სამფლობელოს წყვდიადში. ხალხს უნდა დაემალოთ, ერიდოთ თეატრს, იგი უნდა დაუთმოთ იმათ, ვისაც იქ გამოჩენით არავითარი საშიშროება არ მოელის, ვინც ამისთვის მართლაც ძლივს პოულობს დროს; დაუთმეთ გომონებს, დიუამელებს.

7

მდიდარი, დროსტარების მოყვარული ზოგიერთი ახალგაზრდა მაგისტრატი უმეგობრდება იმათ, ვისაც სამეფო კარზე პატარა ბატონებს უწოდებენ. ბაძავს მათ. ქედმაღლურად უცქერის მართლმსაჯულების მსახურთა სერიოზულობას და დარწმუნებულია სიჭაბუკე და სიმდიდრე მას ნებას რთავს იყოს უჭკუო და ზომიერების გრძნობა არ გააჩნდეს. კარისკაცებისგან ითვისებს ყოველივე უარყოფითს: პატივმოყვარეობას, განებივრებას, თავშეუკავებლობას, გარყვნილებას, თითქოსდა ეს მანკიერება მაღალი წრის ადამიანებისთვის სავალდებულო იყოს. ასე და ამგვარად იძენს ისეთ

ჩვევებს, რაც სრულებით არ შეეფერება მის მდგომარეობას და ბოლოს საკუთარი ნება-სურვილით ყოვლად უმსგავსი დედნის პირწავარდნილი ასლი ხდება.

8

სასამართლოს მსახური ქალაქში და სამეფო კარზე სხვადასხვა პიროვნება გახლავთ. გასცილდება თუ არა სასახლეს, კვლავ უბრუნდება შინ დატოვებულ ჩვევებს, თავდაჭერასა და გარეგნობას. აღარც ისე მოკრძალებულია და აღარც ისე თავაზიანი, როგორც სამეფო კარზე იყო.

9

კრისპენების მთელმა საგვარეულომ ერთად შეაგროვა ექვსი ცხენი, რათა წალიკად შეებათ ეტლში; ასევე თავი მოუყარა ლივრეებიან ლაქიათა ხროვას და ყველა ერთად გაემგზავრა დედოფლის ხეივანში, ან ვენსენის გზაზე სახეირნოდ. აქ მათ დიდი გამარჯვება ხვდათ წილად, რადგან ბრწყინვალე ეტლითა და ცხენებით გაუტოლდნენ ახალდაქორწინებულთ, გაღატაკებამდე მისულ ჟასონსა და ტრასონს, რომელიც ცოლის შერთვას აპირებს და უკვე იყიდა თანამდებობა.

10

მითხრეს, ყველა სანიონს ერთი და იგივე სახელი ჰქვია და ერთი და იგივე გერბი აქვსო. მაგრამ სანიონთა სამი შტო არსებობს: უფროსი, უმცროსი, უმცროსთა უმცროსი. პირველის გერბი სრულია, მეორესი — დანაწევრებული, — მესამესი — ირგვლივ დაკბილული. მათი გერბის ფონი ბურბონთა გერბის ფონის ფერია, ლითონიც ერთნაირია. იგივე ორი და ერთი... მართალია, შროშანები არ გახლავთ, მაგრამ ნირს მაინც არ იცვლიან. რა ვიცით, იქნებ გულის სიღრმეში კიდევ ფიქრობენ, რომ მათი გერბი დირსებით ბურბონთა გერბს არ ჩამოუვარდება. ასეა თუ ისე, გერბები სხვა სენიორებსაც აქვთ და დიდად არიან კმაყოფილნი. სად არ დაინახავთ სანიონთა გერბს; მინებსა და ვიტრაჟებზე, ციხე-დარბაზის ჭიშკარზე, სამარცხვინო ბოძზე, რაზედაც სანიონებმა ცოტა ხნის წინათ ჩამოახრჩვეს კაცი, ვინც მხოლოდ სამშობლოდან გაძევებას

იმსახურებდა. საითაც გაიხედავთ ყველგან გერბია: ავეჯზე, საკეტებზე. ეტლები ხომ გერბებითაა მოჩითული. ლივრეებიანი ლაქიები ღირსეული მსახურნი არიან სანიონთა გერბის. რა სიამოვნებით ვეტყოდი მათ: ნაადრევია თქვენი სიგიჟე. დაიცადეთ ერთი საუკუნე მაინც შეუსრულდეს თქვენს საგვარეულოს. ისინი, ვინც თქვენს პაპას იცნობდა და ელაპარაკებოდა, ბებრები არიან და დიდხანს ვერ იცოცხლებენ. მაშინ მათსავით ვეღარავინ იტყვის, აი აქ ალაგებდა სანიონთა პაპა საქონელს და ძალიან ძვირადაც ყიდდაო.

სანიონებსა და კრისპენებს ისიცა ნებავთ, მათზე ამბობდნენ, მფლანგველები არიანო, თუმცა ხელმოჭერილნი ბრძანდებიან. გაჭიანურებულად და გულისგამაწყალებლად ყვებიან, როგორი ზეიმი თუ ლხინი მოაწყვეს. ხმამაღლა წუწუნებენ, თამაშში დიდძალი თანხა წავაგეთო, თუმცა წაგება არც დასიზმრებიათ. განსაზღვრული ყაიდის ქალებზე თავისებური ჟარგონითა და იდუმალებით ლაპარაკობენ. მეტად პიკანტური რამ აქვთ ერთმანეთისთვის მოსაყოლი. ამას წინათ საოცარი აღმოჩენა მოახდინეს. ერთმანეთის წინაშე თავზეხელაღებულ არშიყებად მოაქვთ თავი. ერთხელ ერთი მათგანი სოფელში ყოფნისას გვიან დაწვა. ძილისთვის სული ძვრებოდა, მაგრამ დილაადრიან წამოხტა ლოგინიდან, ჩაიცვა გეტრები, ტილოს კოსტიუმი, გადაიკიდა სავაზნე, თმა ბაბთით შეიკრა, თოფი ხელში აიღო. ესეც თქვენი მონადირე! ნეტავ სროლა მაინც იცოდეს რიგიანად. ღამით დაბრუნდა დასველებული, ქანცგაწყვეტილი. ერთი არაფერი მოუკლავს. მეორე დღეს ისევ გასწია სანადიროდ და მთელი დღე ვერ იქნა და ვერ მოახვედრა ტყვია შაშვებსა და კაკბებს.

მეორე კი რამდენიმე უჯიშო ძაღლს მოუყრის თავს ოღონდ თქვას, ჩემი ხროვაო. იცის, სად იკრიბებიან მონადირეები. გამოცხადდება იქ, ელოდება როდის აუშვებენ მწევრებს. შეძვრება ტევრში, ფეხებში ებლანდება კურძვლებს. დასცემს ნაღარას. მენალიპივით კი არ ეკითხება თავის თავს: „ეს მე მომწონს?“ დარწმუნებულია, მოსწონს. აღარც კანონები ახსოვს, არც კოდექსის მუხლები: ნამდვილი იპოლიტია! მენანდრს დღეს გაუძნელდება იცნოს კაცი, რომლის საქმე აქვს მინდობილი; ვერ მოიგონებს რა უთხრა მან გუშინ. უნდა ნახოთ, ნადირობის მეორე დღეს, სასამართლოს დარბაზში, სადაც მეტად მნიშვნელოვანი საქმე ირ-

ჩევა, როგორ ჩადგება თავის თანამოძმეებს შორის და როგორ ჰყვება, მხოლოდ მისი შემწეობით რომ ვერ დააღწია თავი ირემმა ძაღლებს; ყელი ჩაეხრინწა, იმდენი იყვირა, რათა მონადირეები და მეძებრები სწორ კვალზე დაეყენებინა. ჰოდა, თავისი თვალით დაინახა, ექვსი ძაღლი რომ დაეწია ირემს. დრო აღარ ითმენს. სხდომა იწყება. იგი მაინც ამთავრებს ამბავს, როგორ მოკლეს ირემი, როგორ გადაუყარეს ნაწლავები ძაღლებს. ფაცხა-ფუცხით გარბის, უჯდება მაგიდას და სხვებთან ერთად საქმის გარჩევას იწყებს.

11

რარიგ ცდებიან ის ვაჟბატონები, რომელთაც ვაჭრობით გამდიდრებულ მამებისგან მემკვიდრეობა მიუღიათ და ბატონიშვილებს კი ბაძავენ ჩაცმულობით, ცხენებითა და ეტლებით. წრეგადასული მფლანგველობითა და უგუნური ფუფუნებით ცდილობენ მთელი ქალაქი გააკვირვონ და, პირიქით, ყველას დასაცინი და ყბადასაღები ხდებიან. კოტრდებიან, რათა მასხარად აიგდოს ყველამ!

ზოგიერთს კი ისიც არა აქვს სანუგეშოდ, რომ მისი ამგვარი სიგიჟის ამბავი გასცდენოდა იმ უბნის საზღვრებს, სადაც თავად ცხოვრობს. პატივმოყვარეობის სარბიელად საკუთარი უბანი აქვს მარტოოდენ. სენ-ლუის კუნძულზე ბაიბურშიც კი არავინაა, ანდრეს მარეში რომ აქვს სახელი განთქმული და იქ მამისეულ მემკვიდრეობას რომ ანიავებს. აბა, მთელ ქალაქსა და მის გარეუბნებში თუ ეცნობებოდათ ანდრე, ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა, ამ უამრავ ხალხში, რომელთა შორის არცთუ ყველა გამოირჩევა დიდი კეთილგონიერებით, ერთი ისეთი ვინმე არ გამოძებნილიყო, ვინც მასზე იტყოდა, უბადლო ვაჟკაციაო და მოჰყვებოდა, თუ როგორ აქეიფებს იგი ქსანტსა და არისტონს და რა ზარ-ზეიმს უმართავს ელამირს. ვაგლახ, აგრე უსახელოდ ღარიბდება ანდრე. ღატაკდება რაღაც ერთი თუ ორი კაცის გამო, რომლებიც ამავე დროს პატივსაც კი არ სცემენ მას. დღეს ეტლით დასეირნობს, მაგრამ ნახევარ წელიწადში ისე შემოაცვდება ყველაფერი, რომ ფეხითაც ველარ ივლის.

12

ნარცისი დილით იმიტომ დგება, რომ საღამოს დაწვეს. განსაზღვრულ საათებში ქალივით ირთვება და იკაზმება. ყოველ დღე გაუცდენლად ისმენს მესას ფეიანტებთან ან მინიმებთან. ზრდილი კაცია და ...-ის უბანში მის იმედზე არიან, როცა ლომბერს ან რევერსის თამაშობენ; იგი უნდა იყოს მესამე ან მეხუთე პარტნიორი. ყოველ საღამოს არიციასთან სავარძელში ზის და აგებს ხუთ ოქროს პისტოლს. „ჰოლანდიურ გაზეთსა“ და „გალანტურ მერკურს“ წაუკითხავად არ დატოვებს. წაკითხული აქვს ბერჟერაკი, დემარე, ლეკლაში, ბარბენის პატარ-პატარა წიგნები და ლექსების რამდენიმე კრებული. საბლონის პარკში თუ დედოფლის ხეივანში ახლავს ქალბატონებს. მისთვის ვიზიტები წმიდათაწმიდა მოვალეობაა. ხვალ გააკეთებს იმას, რასაც აკეთებს დღეს და რასაც აკეთებდა გუშინ. ასე განვლის სიცოცხლეს და განუტევებს სულს.

13

თქვენ ამბობთ, ეს კაცი სადღაც მინახავსო. არ ვიცი სად, მაგრამ მაგისი სახე ძალიან მეცნობაო. სხვებისთვისაც ასევე ნაცნობია მისი სახე. შეეცდები დავეხმარო თქვენს მეხსიერებას. იქნებ ბულვარზე მოჰკარით თვალი, როცა ეტლში გადმოსაწევ სკამზე იჯდა, ან იქნებ ტუილრის მთავარ ხეივანში, ანდა თეატრის ქანდარაზე? ქადაგებაზე ხომ არ შეხვედრიხართ, ან მეჯლისზე, ან რამბუიეში? მოედანზე ცნობილ ბოროტმოქმედს თუ სიკვდილით სჯიან, ან მაშხალებს უშვებენ, იგი ოტელ დე ვილის ფანჯრიდან იყურება. ქალაქი ვინმე წარჩინებულ პიროვნებას თუ ზეიმით ეგებება, ტრიბუნაზე დგას უთუოდ. დოღი თუა გამართული, ამფითეატრში მისთვის მზადაა ადგილი. მეფეს ელჩების მიღება თუ აქვს, იგი გზაში ხვდება ელჩებს, ესწრება აუდიენციას და წასვლისასაც ხალხში დგას და უმზერს. საფრანგეთისა და შვეიცარიის ლიგათა ურთიერთკავშირის ფიცის დადებისას მისი დასწრება ისევე სავალდებულოა, როგორც კანცლერისა და თვით ლიგების წარმომადგენლების მობრძანება. ალმანახებში მოთავსებულ გრავიურებში ხალხის, მაყურებელთა შორის მის სახეს ვხედავთ. წმიდა იუბერის დღე-

სასწაულზე სამეფო ნადირობაა, ისიც ცხენზეა ამხედრებული. ხმა დაირხა, ჯარის დათვალიერებაა, ის უილშია ან აშერში. უყვარს ლაშქარი, ჯარისკაცები, ომი. უთუოდ ახლოდან უნდა ნახოს. ბერნარდის ციხე-სიმაგრეშიც კი ჩასულა. შანლე ჯარის გადაადგილებას ხელმძღვანელობს, ჟაკიე — მომარაგებას, დიუმეცი — არტილერიას, ეს კი უყურებს. ამ საქმეს შეალია თავისი დღე და მოსწრება. ხელობით არის მაყურებელი. არაფერი გაუკეთებია, რაც კაცს უნდა გაეკეთებინა, არაფერი იცის, რაც უნდა იცოდეს; სამაგიეროდ უნახავს, როგორც თავად ამბობს, ყველაფერი, რისი ნახვაც შეეძლო და სიკვდილსაც გულდამშვიდებული შეეგებება. რა დანაკარგი იქნება მთელი ქალაქისთვის? მისი გარდაცვალების შემდეგ ვინღა გვეტყვის: დედოფლის ხეივანი დაკეტილია, სეირნობა აღარ შეიძლებაო; ვენსენის სანაგვე ამოაშრეს, მიწა დააყარეს, სიბინძურეს ვეღარავინ ჩაასხამსო. ვიღა შეგვატყობინებს სად იმართება კონცერტი, სადღესასწაულო წირვა, საბაზრო ჯადოქრობა? ვინ გაგვაგებინებს, გუშინ ბომავიელი მოკვდაო, როშუა გაციებულა და ერთ კვირას ვერ იმღერებსო? ვის ეხსომება ზედმიწევნით ზუსტად მეიჯარეების გერბები და ლივრეები? ვინღა იტყვის, სკაპენს გერბზე შროშანები აქვს გამოსახულიო, ანდა ვინ იქნება ამ საკითხებში მასავით გათვითცნობიერებული? აბა, მასზე უფრო ამპარტავნულად და სერიოზულად ვინ წარმოთქვამს ვიღაც მდაბიო მოქალაქის მეუღლის სახელს? მასზე უკეთ ვის ეცოდინება ზეპირად ვოდევილის კუპლეტები? ვინღა უშოვის ქალებს „ნაზ სულთა ანალებს“ და „მიჯნურთა ფურცელს“? ვიღა იმღერებს ოპერის დუეტებს სუფრაზე, ანდა სასტუმრო დარბაზში ვინ ჩაარაკრაკებს არიას „ხელი როლანდიდან“? დაბოლოს, განაღა ვიპოვით მის ბადალს, ვინც აგრე რიგად დააკმაყოფილებს დედაქალაქში თუ სხვა კუთხეში მცხოვრებ უამრავი სულელის, უნიჭოს, უსაქმურისა და უგერგილოს გემოვნებას?

14

ტერამენი მდიდარი და ღირსეული პიროვნება იყო. მემკვიდრეობა მიიღო. ძალიან მდიდარი და მეტად ღირსეული პიროვნება გახლავთ. ჰოდა, დედაკაცები ჯგროდ დასდევენ, რათა მათი თაყვანისმცემელი გახდეს, ქალიშვილები კი მასზე გათხოვებას ლა-

მობენ. ხან ერთ ოჯახშია, ხან მეორეში. დედებს იმედს აძლევს, თქვენს ასულს შევირთავო. დაჯდება თუ არა, დედები ოთახიდან გარბიან, რათა ქალიშვილებს თავისუფლად შეეძლოთ კეკლუცობა, ხოლო ტერამენს — სიყვარულის გამოცხადება. აქ მართლმსაჯულების მსახურს უწევს მეტოქეობას, იქ მხედარსა თუ აზნაურს ამარცხებს. თვით უმშვენიერეს, სიცოცხლით სავსე, მხიარულსა და გონებამახვილ ჭაბუკსაც კი არ ელტვიან აგრე მგზნებარედ და არ ეგებებიან ასეთი სიხარულით, როგორც ტერამენს. ერთმანეთს ხელიდან გლეჯენ; სხვა სტუმარს რომ გაუღიმონ, ამისთვისაც კი ვერ იცლიან. რამდენი მიჯნური დამარცხდება მის გამო! რამდენი ღირსეული ქორწინება ჩაიშლება! ანდა რა ქნას, მისდამი ესოდენ ნაზად განწყობილ ამდენ ასულს ეს ერთი კაცი ხომ ვერ შეირთავს? იგი მარტო ქმრებს როდი უხეთქავს გულს, არამედ იმათაც, ვინც აპირებს ქმრობას და ქორწინებით იმ დანაკარგის შევსებას, რაც თანამდებობის შესყიდვით განიცადა. ეს ბედნიერ ვარსკვლავზე გაჩენილი, ფულიანი კაცები კანონით ცივილიზებული ქალაქებიდან უნდა განიდევნონ, ანდა მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს მიესაჯოთ საგიჟეში ჩასმა ან სამარცხვინო ბოძზე გაკვრა, თუ ამნაირ მამაკაცებს ისე არ მოეპყრობიან, როგორც ადამიანებს, რომელთაც პირადი ღირსებების გარდა, სხვა არა გააჩნიათ რა.

15

თუმცა პარიზი სამეფო კარს მაიმუნივით ჰბაძავს, სათანადო შედეგს მაინც ყოველთვის ვერ აღწევს. ვერ იქნა და ვერ გადაიღო კარისკაცთათვის, განსაკუთრებით კი სეფექალთათვის დამახასიათებელი ესოდენ ბუნებრივი და თბილი მოპყრობა ღირსეული ადამიანის მიმართ, თუნდაც მას საკუთარი ღირსების გარდა, არა გააჩნდეს რა. ბანოვანნი არ კითხულობენ ვინ არის მისი ცოლი, ან წინაპარი. სამეფო კარზე იმყოფება და ეს სრულიად საკმარისია მათთვის. ამჟღავნებენ მისდამი კეთილგანწყობილებასა და პატივისცემას. არ კითხულობენ ტახტრევანით მოასვენეს თუ ფეხით მოვიდა; აქვს თუ არა თანამდებობა, მამული, ეტლი. ისე არიან განებივრებულნი, ისე მდიდარნი და დიდგვაროვანნი, რომ სიამოვნებით ისვენებენ ფილოსოფოსთა ან კეთილშინდისიერ ადამიანთა

საუბარში. ქალაქელ ქალს, როგორც კი შემოესმება, რომ მის კართან ეტლი გაჩერდა, მაშინვე გული აუფანცქალდება და აღტაცებით ეგებება ყველას, ვინც იჯდება ეტლში, თუნდაც სრულიად უცნობს. ფანჯრიდან თვალს თუ მოჰკრავს მდიდრულ ეტლს, მრავალ ლივრეიან ლაქიას, სადაველებზე მოვარაყებულ ბალთებს, თავბრუ ჭსხმის და ერთი სული აქვს, როდის შემობრძანდება მის ოთახში მხედარი თუ მაგისტრატი. მოდი და, ნუ შეეგებები თვალების ჟუჟუნითა და მომხიბლავი ღიმილით! სხვას ხომ ვეღარაფერს ხედავს? ეს კაცი მბრძანებელია მისი, რადგან ეტლი ორმაგ საკიდრებზეა დაყრდნობილი და ბორბლებიც რბილად მისრიალებენ. სწორედ ამის გამო გახლავთ ქალბატონი მის მიმართ გამსჭვალული ღრმა პატივისცემისა და სიყვარულის გრძნობით.

16

ზოგიერთი ქალაქელი ქალბატონის პატივმოყვარეობა, რაიც მას უბიძგებს სამეფო კარის ბანოვანთა უბადრუკი მიმბაძველი გახდეს, უარესია, ვიდრე უბირ დედაკაცთა სიტლანქე და პროვინციელ ქალთა მოუქნელობა. ქალაქელი ქალბატონები მეტისმეტად გაფუყული პრანჭიები ბრძანდებიან.

17

რა ოინბაზური გამოგონებაა — ძვირფასი საქორწინო საჩუქარი, რაც სულ არაფერი დაგიჯდა, მიართვა ადამიანს, რომელმაც სამაგიერო ნაღდ ანგარიშზე უნდა მოგიზღას!

18

რა სასარგებლო და საქები ჩვეულებაა, საქორწინო სამზადისს ცოლის მზითევის ერთი მესამედი შეალიო. ცხოვრება დაიწყო იმით, რომ რაც რამ დაგრჩენია სრულიად გამოუსადეგარი, აუარება ნიგითებისა და ზიზილ-პიპილების შესყიდვაზე დახარჯო. ხოლო უძრავი ქონება დააგირაო, რათა გაისტუმრო გოტიეს ვალი, რომლისგანაც ავეჯი და სამოსელი შეიძინე.

რა მშვენიერი, რა გონივრული ჩვეულება გვაქვს; პატიოსნებასა და უმანკოებას უსირცხვილობას ვამჯობინებთ. თავის სარეცელზე, თითქოს სცენაზეაო, ისე გამოვფენთ პატარძალს და ისიც ვალდებულია რამდენიმე დღის განმავლობაში მასხარას როლი შეასრულოს და გაართოს ორივე სქესის წარმომადგენელნი. ეს უკანასკნელნიც, უცნობნი თუ ნაცნობნი, ქალაქის ყოველი კუთხიდან კისრისტეხით მორბიან და ამ სანახაობით თავს იქცევენ. რომ წაგვეკითხა, ამგვარი ადათი სამეგრელოში არსებობსო, ჩვენ ხომ სრულიად წარმოუდგენელ ახირებად და უაზრობად ჩავთვლიდით?

19

რა დამქანცველი ჩვეულებაა! რა აუტანელი მონობა! ერთი ქალი მეორეს ეძებდეს, თუნდაც გულში ნატრობდეს, ნეტავ არ შემახვედრაო. შეხვდეს მხოლოდ იმისთვის, რომ წვრილმანებზე ემასლაათოს. უამბოს ის, რაც ორთავესთვის ცნობილია და არც ერთს არაფრად ენაღვლება, მოსაუბრისთვის ამბავი ცნობილია თუ არა. ერთი ქალი მეორეს უნდა ესტუმროს, რათა მყისვე დაემშვიდობოს. შინიდან ნაშუადღევს გავიდეს და საღამოს შემობრუნდეს დიდად კმაყოფილი, რაკი ხუთიოდე საათის განმავლობაში მოინახულა სამი შვეიცარი, ერთი თითქმის უცნობი ქალბატონი და კიდევ ერთი ქალი, რომელიც მაინცდამაინც თვალში არ მოსდის. ვისაც დროის ყადრი ესმის, ესმის, თუ რაოდენ აუნაზღაურებელია ეს დანაკარგი, ამგვარი მფლანგველობის გამო უთუოდ ცხარე ცრემლს დაღვრიდა.

20

ქალაქის ბინადართ თან დაჰყოლიათ უგუნური გულგრილობა სოფლის ცხოვრებისა და მეურნეობის მიმართ. ერთმანეთისგან ვერ გაურჩევიათ კანაფი და სელი, ხორბალი და ჭვავი და ეს ყოველივე ვერ განუსხვავებიათ ბზისაგან. სხვა არა ენაღვლებათ რა, ოღონდ მაძღარნი და ჩაცმულ-დახურულნი იყვნენ. ანეულზე, ნერგებზე, ვაზის ლერწებზე თუ აქვიტის საკვებზე ნურაფერს ეტყვით მოქალაქეებს, მაინც ვერაფერს გაიგებენ. ეს მათთვის ფრანგული სიტყვები არ გახლავთ. გირჩევნიათ ზოგს ემუსაიფოთ არშინის,

ტარიფების, ლივრის ერთი სუთი გაძვირების შესახებ, ზოგს კი აპელაციაზე, სამოქალაქო სარჩელზე, ანაზღაურებაზე, საქმის უმაღლეს ინსტანციაში გადაცემაზე ესაუბროთ. ისინი საზოგადოებას არცთუ ყველაზე კარგი და მნიშვნელოვანი მხრიდან იცნობენ. ბუნების, მისი ჩასახვის, გაფურჩქვნისა კი არაფერი გაეგებათ, არც ის, თუ რა გულუხვია ბუნება ჩვენთვის, რას გვიძღვნის იგი. მათი უვიცობა მეტწილად ნებაყოფლობითია და თავიანთი ხელობისა და ნიჭის თაყვანისცემაზეა დამყარებული. თვით ყველაზე უბადრუკი, ბნელსა და კვამლით შეჭვარტლულ კანტორაში გამოკეტილი ვექილიც კი, ვიღაც ყალთაბანდის თაღლითური საქმე რომ თავსატეხად გაუხდია, ცხვირს უბზუებს მიწის მხვნელს, რომელიც სუფთა ჰაერს სუნთქავს, მიწას ამუშავებს, სთესს და უხვ მოსავალს იღებს. ვექილმა თუ სადმე ყური მოჰკრა ამბავს დედამიწის პირველ მცხოვრებლებზე, პატრიარქებზე, მათ სოფლურ არსებობაზე და მეურნეობაზე, დიდად გაიკვირვებს, როგორ შეიძლებოდაო ცხოვრება ისეთ დროს, როცა არ იყო არც თანამდებობა, არც შუამავლობა, არც სასამართლოს თავმჯდომარეობა და არც პროკურატურა. მისთვის სრულიად გაუგებარია, ოდესმე თუ ხალხი იოლად გადიოდა კანცელარიის, სხდომის დარბაზისა და სასაუზმეების გარეშე.

21

რომში იმპერატორებისთვისაც კი მიუღწეველი იყო აგრე იოლად, მოხერხებულად და საიმედოდ დაეცვათ თავი ქარის, წვიმის, მტვრისა და მზისგან, როგორც ეს შესაძლებელია პარიზელი ბურჟუებისთვის, ქალაქში ეტლებით რომ დასეირნობენ. ხედავთ, რარიგ განსხვავდებიან თავიანთი წინაპრებისგან, რომლებიც ჯორებზე ისხდნენ! წინაპრებმა ხომ ჯერ არ იცოდნენ, როგორ მოეკლოთ აუცილებელი რამ, რათა ზედმეტი ჰქონოდათ, ანდა ფუფუნებისთვის როგორ შეეწირათ ის, რაც მათთვის სასარგებლო იყო. გასანათებლად თაფლის სანთელს არ ხმარობდნენ და არც მბეჟუტავ ბუხართან კანკალებდნენ სიცივით. სანთლები მხოლოდ საკურთხეველზე და ლუვრში ენთო. უბადრუკი სადილის შემდეგ კარეტებში როდი სხდებოდნენ; დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ღმერთს კაცისთვის ფეხი სწორედ სასიარულოდ მიუცია და ისინიც დადიოდ-

ნენ. მშრალ ამინდში ფეხსაცმელი სუფთა ჰქონდათ, წვიმის დროს კი ლაფში ამოგანგლული, ვინაიდან ქუჩებსა და გზაჯვარედინებზე ისევე თამამად გადადიოდნენ, როგორც მონადირე მიაბოტებს გადახნულ მიწაზე, ანდა ჯარისკაცი — სანგარში. იმ დროს ჯერ არავის მოსვლოდა აზრად, ტახტრევანში ორი კაცი შეეხა. თვით მართლმსაჯულების მსახურნიც კი საკანონმდებლო პალატაში თუ სასამართლოში ისევე უდრტვინველად მიდიოდნენ ფეხით, როგორც ოდესღაც ავგუსტუსი მიდიოდა კაპიტოლიუმში. მაგიდებსა და ბუფეტებზე კალის ჭურჭელი ბზინავდა, ხოლო კერიასთან თუჯსა და სპილენძს არავინ იწუნებდა. ოქრო-ვერცხლი ზანდუკებში ჰქონდათ ჩაკეტილი. ქალებს ქალები ემსახურებოდნენ; სამზარეულოშიც ქალები ტრიალებდნენ. ჩვენს მამებს კარგად მოეხსენებოდათ კეთილშობილი სახელები იმ აღმზრდელებისა, რომელთაც მეფე და დიდი მთავრები ანდობდნენ თავიანთ შვილებს, მაგრამ თავად მსახურებს კი არ აბარებდნენ შვილებს, არამედ თვით ზრდიდნენ მზრუნველობითა და რუდუნებით. თავისი თავის იმედი ჰქონდათ მხოლოდ: გასავალი შემოსავალს ეფარდებოდა. ლივრეებიანი ლაქიები, ეკიპაჟები, ავეჯი, სუფრა, ქალაქისა თუ სოფლის სახლი მათს ქონებასა და მდგომარეობაზე იყო დამოკიდებული. ერთმანეთისგან გარეგნულადაც განსხვავდებოდნენ და შედეგად ამისა ადვოკატის ცოლს მაგისტრატის მეუღლეში არავინ აურევდა და არც უბირი კაცი ან უბრალო მსახური ეგონებოდა ვინმეს აზნაური. ქონების გაფლანგვას, ან გამსხვილებას კი არ ცდილობდნენ, არამედ მის შენარჩუნებას და მემკვიდრეებს უკლებლივ გადასცემდნენ. როს ეგზომ ზომიერსა და მოწესრიგებულ ცხოვრებას განვლიდნენ, სულსაც აგრევე მშვიდად განუტევებდნენ. არავინ ამბობდა, ჩვენი საუკუნე მკაცრია, დიდი გაჭირვება გვაწევს, ფული არ გვყოფნისო; ფული ჩვენზე ნაკლები, მაგრამ საკმარისი ჰქონდათ. უფრო ხელმომჭირნეობისა და სისადავის წყალობით იყვნენ მდიდრები, ვიდრე შემოსავლითა და მამულებით. სწამდათ ერთი ჭეშმარიტება: ის, რაც დიდებულებს ბრწყინვალებად, ფუფუნებად და ხელგაშლილობად ჩაეთვლებათ, უბრალო ადამიანს მფლანგველის, გადარეულისა და სულელის სახელს დაუმკვიდრებს.

თავი მერვე

სამეფო კარის შესახებ

1

როცა კაცს უსაყვედურებ, სამეფო კარს არ იცნობო, დიდ პატივს სდებ; ამ სიტყვით აღიარებ, რომ მასში თავმოყრილია ყოველგვარი სიკეთე და სათნოება.

2

ის, ვინც სამეფო კარს იცნობს, დაუფლებულია მიხრა-მოხრის, გამოხედვის, სახის მოძრაობის ოსტატობას, მისას ვერც ვერაფერს გაიგებ და ვერც ვერაფერს იგრძნობ; უნარი შესწევს დაფაროს ბოროტი ზრახვები, განწყობილება, ვნებათა ღელვა, მისწრაფება, გულისთქმა; გაუღიმოს მტერს, თქვას ერთი და გააკეთოს მეორე. ნატიფად შენიღბული გახლავთ მისი მანკიერება, რასაც უბრალოდ ორპირობა ეწოდება და ზოგჯერ ისევე არაფერს მატებს კარისკაცის კეთილდღეობას, როგორც გულახდილობა, სიწრფელე და სათნოება.

3

აბა ვის ძალუძს დაასახელოს ათასგვარად მოელვარე ფერი, რაც იმისდა მიხედვით იცვლება, თუ რომელი მხრიდანაა გაშუქებული. ასევე ვის ძალუძს განსაზღვროს და გვითხრას, რა არის სამეფო კარი?

4

ცოტა ხნითაც რომ მიატოვო სამეფო კარი, იგივეა სამუდამოდ გამოემშვიდობო. კარისკაცი დილით რომ იყო კარზე, საღამოსაც მოდის, რათა მეორე დღეს არ დაავიწყდეს იქაურობა ან თვითონ არ მიივიწყონ.

5

სამეფო კარზე ყველა პატარაა: რაც უნდ პატივმოყვარე იყო, მაინც პატარა ხარ. ეს უბედურება ყველას ხვედრია, თვით დიდებულებიც პატარები არიან.

6

პროვინცია არის ადგილი, რისი თვალსაწიერიდან სამეფო კარი, ვით თვალწარმტაცი სანახაობა მოჩანს. თუ მიუახლოვდი, ისევე კარგავს პეწს, როგორც ფერწერა, ახლო დანახული.

7

ძნელია მიეჩვიო ცხოვრებას, რაიც მისაღებ დარბაზებში, სასახლის პალატებში და კიბეებზე მიედინება.

8

სამეფო კარი საშუალებას არ გაძლევს, აქ კმაყოფილი იყო და თანაც გიშლის ხელს, სხვაგან იყო კმაყოფილი.

9

პატიოსანმა კაცმა სამეფო კარი უნდა მოსინჯოს: აქ მის თვალწინ იშლება სრულიად უცნობი სამყარო, სადაც მანკიერებასთან ერთად გაბატონებულია თავაზიანობაც. მისთვის სასარგებლოა, აკვირდებოდეს კეთილსაც და ბოროტსაც.

10

სამეფო კარი მარმარილოსგან ნაგებ შენობას ჰგავს; მე მინდა ვთქვა, რომ იგი შედგება არცთუ რბილი, მაგრამ საკმაოდ გაპრიალებული ადამიანებისგან.

11

ზოგჯერ სამეფო კარისკენ მიილტვიან იმისთვის, რომ თავის პროვინციაში დაბრუნებულებს პატივისცემით შეხვდეს თავადაზნაურობა ან მრევლი.

12

მქარგავები და მეშაქარლამეები უსაქმოდ დარჩებოდნენ და საქონელი გაუსაღებელი დარჩებოდათ, ჩვენ თავშეუკავებელნი და გაუმაძღარნი რომ არ ვიყოთ. სამეფო კარი დაცარიელდებოდა და მეფენი თითქმის მარტონი დარჩებოდნენ, ჩვენ პატივმოყვარეობისა და ანგარების სენისგან რომ განვკურნებულიყავით. ადამიანებს სურთ, ერთგან მონები იყვნენ, რათა სხვაგან ბატონებად იგრძნონ თავი. სამეფო კარის ბობოლებს თითქოსდა ბითუმად ურიგებენ კადნიერებას, ქედმაღლობას და მბრძანებლობას, რათა ყოველივე ეს ცალობით ჩამოარიგონ პროვინციებში. მეფეთა ეს ნამდვილი მაიმუნები სხვას იმგვარად ექცევიან, როგორც მათ სხვები ეპყრობიან.

13

ზოგიერთ კარისკაცს ისე არაფერი ამახინჯებს, როგორც მეფის წინაშე ტრიალი. ვეღარც კი ვცნობ მათ სახეებს: ნაკვთები ებრიცებათ, უხამსნი ხდებიან. ქედმაღლები და ამაყნი ყველაზე მეტად უშნოვდებიან, რადგან ბევრი რამ ეცვლებათ. პატიოსანსა და მოკრძალებულ ადამიანს უკეთესად უჭირავს თავი, რამეთუ შესაცვლელი არაფერი აქვს.

14

სამეფო კარზე მიღებული მანჭვა-გრეხა გადამდებია. ისევე ვრცელდება „ვ“-ში, როგორც ნორმანდიული კილო რუანსა და ფალეზში. ასეთივე მანერებით გამოირჩევიან ფურიერები (ოფიცერი, რომელიც საჭმლითა და ბინით უზრუნველყოფს ჯარს), მეღვინეთ-უხუცესები, პირფარეშები. ამნაირად თავის გამოჩენას დიდი ჭკუა არ სჭირდება; მაღალი გონებისა და ღირსების კაცს კი არაფრად

ულირს ამ ხელოვნებას სრულიად ანგარიშმიუცემლად, სრულყოფილად დაეუფლოს და ისევე დაივიწყოს.

15

„ნ“ დიდი ალიაქოთითა და ზარზეიმით მობრძანდება. ყველას აქეთ-იქით მიყრი-მოყრის, გზას იკაფავს, კარებს ეჯაჯგურება, ლამის შეანგრიოს, ამაყად გამოაცხადებს თავის გვარს. კარი იღება, აუდიენციაზე მოსულნი შვებით ამოისუნთქავენ, და „ნ“ შედის დარბაზში, მარტო კი არა, ყველასთან ერთად.

16

ხანდახან სამეფო კარს მოევლინებიან ხოლმე თავხედი და თავზეხელაღებული თავგადასავალთა მაძიებლები, ყველასთან გაშინაურებულნი რომ არიან და არვის წინაშე იხტიბარს არ იტეხენ. საკუთარ თავს თავადვე აძლევენ დახასიათებას და ამტკიცებენ, თითქოსდა ამა თუ იმ საქმეში ბადალი არ ჰყავდეთ. მათი ლიტონი განცხადება ყველასთვის სარწმუნო ხდება. ისინი ხალხის გულუბრყვილობითა და ყოველივე სიახლისადმი სიყვარულით სარგებლობენ. გაარღვევენ ბრბოს და წამოუსკუპდებიან თვით მეფეს. მეფე მათ ესაუბრება კარისკაცების თანდასწრებით, რომელნიც თავს ბედნიერად ჩათვლიდნენ, თუკი მეფე ერთ შეხედვას მაინც აღირსებდათ. დიდებულები იოლად ეგუებიან ამ უტიფრებს, რამეთუ საშიშრად არ თვლიან მათ. ისინიც გამდიდრდებიან თუ არა, უსახელოდ იკარგებიან, ხოლო ახლახან მოტყუებული მაღალი წრე უკვე მზადაა, ახლა სხვა თაღლითმა მოატყუოს.

17

თქვენ ხედავთ ადამიანებს, თავის ოდნავი დაკვრით რომ გესალმებიან, მხრების ქნევით მიმოდიან და მკერდს დედაკაცივით ამობურცავენ ხოლმე. რაღაცას შეგეკითხებიან, ზედაც არ შემოგხედავენ. როხროხით ლაპარაკობენ, რაიც მაუწყებელია იმისა, რომ საკუთარ თავს დამსწრეებზე მაღლა აყენებენ. გაჩერდებიან და ყველა გარს ეხვევა. პირველი სიტყვა მათ ეკუთვნით, საუბარი მათ მიჰ-

ყავთ და ყოვლად სასაცილოდ მანამდე იბრიქებიან და ყოყლოჩინობენ, სანამ ვინმე დიდებული არ მობრძანდება. მაშინ კი გაისუსებიან და უბრუნდებიან თავიანთ ბუნებრივ მდგომარეობას, რაც ნაკლებ ამაზრზენია.

18

სამეფო კარი ვერ შეძლებდა ერთი ჯურის კარისკაცების გარეშე იოლად გასულიყო. ესენი ფარისევლები, ქლესები და შემპარავნი გახლავან. ქალთა კაბების კუდს გამოკერებულნი სულ იმას ცდილობენ გაამხიარულონ ქალბატონები, ისარგებლონ მათი სისუსტით და სასიყვარულო საქმეებში ხელი შეუწყონ. ყურში ჩასჩურჩულებენ რაღაც უხამსობას, ესაუბრებიან მათ ქმრებზე და საყვარლებზე, ადვილად გამოიცნობენ, რა დარდი აწევთ, რა სენი აწუხებთ, როდის უნდა მოიმშობიაროს. მათთვის ახალ მოდებს იგონებენ, ასწავლიან, უფრო მეტი ფუფუნებით როგორ იცხოვრონ და როგორ ფანტონ ფული. მშვენიერ სქესს აჩვევენ, რაც შეიძლება მეტი თანხა შეალიოს ტანსაცმელს, ავეჯს, ეკიპაჟს. თავისთვისაც იგონებენ უძვირფასეს სამოსს და ბინავდებიან ძველ სასახლეებში მხოლოდ მას შემდეგ, რაც მათ განაახლებენ და დაამშვენებენ. აზიზნი ბრძანდებიან ჭამა-სმაში. განუცდიათ ყოველგვარი სიტკბოება და ყოველ მათგანზე შეუძლიათ საკუთარი აზრი გამოთქვან. თავიანთ განდიდებას მარტოოდენ თავს უმადლიან და მდგომარეობას ისეთივე მოხერხებულობით ინარჩუნებენ, როგორც ოდესღაც შეიქმნეს. ქედმაღალნი და კადნიერნი ახლოს არ იკარებენ თავიანთ მსგავსებს, არც კი ესალმებიან. ლაპარაკობენ იქ, სადაც ყველანი სდუმან. რა დროც უნდა იყოს, შეუძლიათ მოხვდნენ ისეთ ადგილას, სადაც დიდებულნი ვერ ბედავენ შესვლას. ცნობილ მოღვაწეთ, რომელთაც ხანგრძლივი სამსახურის გზა გაუვლიათ და არა ერთი ძველი ჭრილობა უსერავთ სხეულს, აქვთ მაღალი თანამდებობა და დიდი დამსახურება, ვერ შენიშნავთ მათსავით თვითდარწმუნებულ გამოხედვასა და თავისუფალ მანერებს. ზემოაღნიშნული პირნი დიდ ბატონიშვილთა გულის მესაიდუმლენი გახლავან, მათი თავშექცევისა და ზარ-ზეიმების ავანჩავანნი. ლუვრში და სხვა ციხე-დარბაზებში თავს ისე გრძნობენ, როგორც საკუთარ სახლში და იქიდან ფეხს არ იცვლიან. თითქოსდა ათასად

მრავლდებიან, რათა ერთსა და იმავე დროს ათას ადგილას ამოჰყონ თავი. სამეფო კარზე მოვლენილი ახალბედები, უპირველეს ყოვლისა, მათ სახეებს დალანდავენ ხოლმე. ყველას ეხვევიან და ყველა მათ ეხვევა. იცინიან, ხარხარებენ, ენაკვიმატობენ, თავშესაქცევ ამბებს ჰყვებიან. ბრძანდებიან მეტად საამურნი, დამყოლნი, მდიდრები, მარად მზად არიან ასესხონ ვინმეს ფული და სხვა არც არაფერი მოეთხოვებათ.

19

ხომ იფიქრებთ კიმონსა და კლიტანდრზე, რომ სახელმწიფოს საზრუნავი და პასუხისმგებლობა მხოლოდ მათ აწევთ ზურგზე. ერთს, სულ ცოტა, მთელი სახმელეთო საქმე ევალება, მეორეს — საზღვაო. თუკი ვინმე მოახერხებდა მათ დახატვას, განყენებულად გადმოსცემდა ფუსფუსს, მღელვარებას, ცნობისმოყვარეობას და სურათზე მოძრაობის გამოხატვასაც შეძლებდა. არავის და არასოდეს უნახავთ ისინი დამსხდარნი, მოსვენებულნი, ფეხზე ერთ ადგილას გაჩერებულნი ან მშვიდად მიმავალნი. ის კი უნახავთ, როგორ გარბიან, თავისთვის ლაპარაკობენ და გარბიან, შეგეკითხებიან, პასუხს არ მოუცდიან და გარბიან. არსად მიდიან, არსაიდან მოდიან: მირბიან, მორბიან. ნუ დააყოვნებთ ამ უსწრაფეს რბოლაში, თორემ მანქანა მოეშლებათ. ნურაფერს შეეკითხებით, და თუ შეეკითხებით, აცალეთ სული მოითქვან და გაიხსენონ, რომ არავითარი საქმე არა აქვთ, შეუძლიათ დარჩნენ თქვენთან, დარჩნენ დიდხანს, გამოგყვნენ იქ, სადაც თქვენ მოისურვებთ მათ წაყვანას. ისინი არ ბრძანდებიან „იუპიტერის სატელიტები“, მინდა ვთქვა, არ არიან მეფის არც დაახლოებული პირნი და არც მხლებლები. მარტოოდენ მისი გამოჩენის მაუწყებელნი არიან; მის შესახვედრად ისეთი კისრისტეხით იჭრებიან კარისკაცთა ბრბოში, რომ ვაი მას, ვინც გზაზე გადაეყრება. მათი ხელობაა, ყველა ხედავდეს და უმზერდეს მათ. ლოგინში ისე არ ჩაწვებიან, თუ ამგვარ მნიშვნელოვანსა და ნაყოფიერ სამსახურს არ გაუწევენ რესპუბლიკას. ამასთან დაწვრილებით იციან სამეფო კარის სწორედ ის ახალი ამბები, რაც არვის აინტერესებს და შესწავლილი აქვთ ის, რაც სულ არ არის საჭირო. ის კია, საკმაოდ ალღოიანები, ფხიზლები, მოხერხებულნი და მოქ-

ნილნი არიან ისეთ საქმეებში, რაც მათთვის ხელსაყრელია. ასე რომ ვთქვათ, ორთავე ბედ-იღბლის ეტლში არიან შებმულნი და მიაქროლებენ; შიგ ჩაჯდომა კი არასოდეს ეღირსებათ.

20

კარისკაცს მაინცდამაინც მოსაწონი გვარი თუ არა აქვს, უნდა დაფაროს და ღირსეული გვარი შეირჩიოს. მაგრამ თუ მისი გამეღავნება სამარცხვინო არ არის, უნდა ეცადოს ყველას დაუმტკიცოს, რომ მისი გვარი სხვებზე უფრო სახელოვანია და მისი საგვარეულო ყველაზე ძველი. ტოლს არ უნდა უდებდეს არც ლოტარინგიელ ბატონიშვილებს, არც როგანებს, არც ფუებს, შატიონებს. მონმორანსებს და თუკი შეძლებს ტახტის მემკვიდრეებსაც ამოუდგეს გვერდში. მარტოოდენ დიუკებზე, კარდინალებსა და მინისტრებზე უნდა ლაპარაკობდეს. საჭიროა თუ არა, ყველა საუბარში ჩააკვეხოს თავისი წინაპრები მამისა თუ დედის მხრიდან და მათთან დაკავშირებით ახსენოს ორიფლამი და ჯვაროსნული ომები. თავის დარბაზებს უნდა ამკობდეს გენეალოგიური ხეებით, თექვსმეტნაკვთურიანი საგერბო ფარებით, წინაპართა და მათ მძახალთა პორტრეტებით. ტრაბახობდეს ძველი ციხე-დარბაზით, მისი კოშკებით, ქონგურებით, სათოფურებიანი ბანებით. ვისაც კი გადაეყრება, მიახალოს: „ჩემი საგვარეულო, ჩემი შტო, ჩემი სახელი, ჩემი გერბი“. მავანზე თქვას, კარგი ოჯახიშვილობით ვერ დაიკვეხნისო, მავან ქალზე — აზნაური არ გახლავთო. ვინმე თუ ეტყვის, გიაცინტს ლატარიის პირველი მოგება ერგოო, მყისვე იკითხავს, თავადიშვილი თუაო. ამ ახირების გამო ერთი მასხარად აიგდებს, მეორე სასაცილო ამბებს მოჰყვება მასზე; ის კი არაფრად ჩააგდებს, დე, გაიცინონო და ჯიუტად განაცხადებს ისევ და ისევ, ჩემი გვარი სამეფო გვარის შემდეგ პირველიაო. იმდენჯერ იტყვის, იმდენს უჩიჩინებს ყველას, რომ ბოლოს დაუჯერებენ.

21

დიდი გულუბრყვილობაა იმედი გქონდეს, თითქოსდა სამეფო კარზე რაიმე წარმატებას მიაღწევ, თუ აზნაურიშვილი არა ხარ.

22

კარისკაცს სძინავს თუ ღვიძავს, სულ გამორჩენაზე ფიქრი უტრიალებს თავში. ამას შეჰფოფინებს დილას და საღამოს, დღე და ღამე. ლაპარაკობს თუ სდუმს, საქმობს თუ უსაქმოდაა, სხვა არაფერი ახსოვს. ანგარების კარნახით ესალმება ერთს, არ ამჩნევს მეორეს, აქებს ერთს, მიწასთან ასწორებს მეორეს. ანგარების მიხედვით არის გამოზომილი ზრუნვაც, თავაზიანობაც, პატივისცემაც, გულგრილობაცა და ზიზღიც. ზოგიერთი ხანდახან გულის ხმას აჰყვება ხოლმე და ადგება ზომიერებისა და სიბრძნის გზას, მაგრამ პატივმოყვარულ გრძნობათა პირველივე მოძალება უღვიძებს მისწრაფებებს, რაც დამახასიათებელია ძუნწთათვის, სიამტკბილობაზე დახარბებულთათვისა და განდიდების მოყვარულთათვის. რარიგ შესძლებ იყო უმოძრაოდ, როცა ყოველივე ტრიალებს, მოძრაობს. მოდი და, ნუ გაიქცევი იქით, საითაც ყველა გარბის? მით უმეტეს, რომ ყველა დარწმუნებულია, თითქოსდა თავადვეა პასუხისმგებელი საკუთარი განდიდებისა და გამდიდრების. ვინც აგრე არ იქცევა, სამეფო კარი უმაქნისად მიიჩნევს და მოკვეთილად აცხადებს. რა სჯობს, მანამდე მოსცილდე სამეფო კარს, სანამ რაიმეს მოიმკი, თუ დარჩე და ჯილდოებსა და წყალობას ელოდო ამაოდ? საკითხი იმდენად საჩოთირო და საჭოჭმანოა, რომ უამრავი კარისკაცი ამ „ჰო“ და „არას“ მოლოდინში ბერდება და ასევე ეჭვებით შეპყრობილი განუტევებს სულს.

23

სამეფო კარზე განა ვინმე ისე უღირსი და საზიზღარია, როგორც კაცი, რომელსაც არ შეუძლია იოტისოდენად მაინც შეუწყოს ხელი ჩვენს ამაღლებას: მიკვირს და მაოცებს, ან კი როგორ ბედავს იგი კარზე გამოჩენას?

24

ვინც ხედავს, როგორ ჩამოიტოვა უკან თავისი ასაკისა და ერთ დროს თავისი მდგომარეობის კაცი, ვისთან ერთადაც პირველად წარუდგა სამეფო კარს, დარწმუნებულია, თითქოს მართლაც საკუთარი დამსახურების შედეგად წავიდა წინ და უფლება ენიჭება

ჩამორჩენილზე მეტი პატივით სარგებლობდეს; აღარ ახსოვს, სანამ ამგვარ წყალობას ეღირსებოდა, რას ფიქრობდა საკუთარ თავზე და იმათზე, ვინც მასზე წინ იყო.

25

თქვენმა მეგობარმა თუ მაღალ მდგომარეობას მიაღწია და მაინც გცნობთ, დიდი წყალობაა.

26

თუ კაცს ბედმა გაუღიმა და ცდილობს სანამ დროა მოხვეჭოს ყველაფერი, ისარგებლოს მონაბერი ქარით და სწრაფად გაცუროს, თვალთახედვიდან არ ეპარება არც ერთი თავისუფალი ადგილი ან საბატო, რათა თავისთვის ითხოვოს და მიიღოს კიდეც; თუ თავზე აცვივა პენსიები, პატენტები, მემკვიდრეობის უფლებები, თქვენ აღშფოთებით ამბობთ, ხარბია და პატივმოყვარეო. ყველაფერს ეპოტინება და ცდილობს თვითონ და თავისი ნაცნობ-ნათესავები ყველაფერს დაეპატრონონო. იმასაც დასძენთ, იმდენი წყალობა მიიღო, იმდენი ჯილდო, იმდენი ავლა-დიდება დაიგროვა, რაც უამრავ ადამიანს გაამდიდრებდაო. აბა, რა უნდა ექნა? თუ ვიმსჯელებთ არა თქვენი ნათქვამის მიხედვით, არამედ იმისდა მიხედვით, თქვენ თვითონ როგორ მოიქცეოდით მსგავს ვითარებაში, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ იგი სწორედ ისე იქცევა, როგორც საჭიროა.

კაცს შემთხვევა თუ მიეცა და დიდი სიმდიდრე დაიგროვა, ვლანძღავთ, რადგან ჩვენ ბევრი არაფერი გვაბადია და არა გვგონია, თუ ოდესმე მასავით გავმდიდრდებით და ასეთსავე საყვედურებს დავიმსახურებთ. აბა, ერთი გვქონდეს იმედი, რომ ოდესმე მის ადგილს დავიჭერთ, უმალ ვიგრძნობთ, არც თუ ისე დამნაშავეა იგი და მკაცრადაც აღარ დავდებთ ბრალს, რათა საკუთარ თავს წინასწარ არ გამოვუტანოთ განაჩენი.

27

არ ღირს საამეფო კარს გადაჭარბებით მივაწეროთ ისეთი ნაკლი, რაც სრულიად არ გააჩნია. ერთადერთი დანაშაული, რაც მას

ადამიანის ჭეშმარიტი დამსახურების მიმართ მიუძღვის, მარტოოდენ ისაა, რომ ხანდახან სათანადოდ არ აფასებს. შენიშნავს კიდეც, ყურადღებასაც მიაქცევს, ვერ ვიტყვით, არაფრად ჩააგდოო, არა, ივიწყებს მხოლოდ. სწორედ ამიტომაა, რომ ან სულ არაფრით, ან მეტად მცირედით უნაზღაურებს დამსახურებას იმას, ვისაც ყველას წინაშე უღრმესი პატივისცემა მოუხვეჭია.

28

როცა სამეფო კარზე წარმატების მისაღწევად აგურს აგურზე ადებ, არ შეიძლება რამდენიმე აგური უვარგისი არ შეგხვდეს. ერთ-ერთი მეგობარი დაგპირდა, სიტყვას შეგაწევო, მაგრამ კრინტიც არ დაძრა; მეორემ უგერგილოდ რაღაც ჩაიბურტყუნა; მესამემ უნებლიეთ ისეთი რამ წამოროშა, რაც ეწინააღმდეგებოდა შენს სურვილს და თავის განზრახვას. მავანს კეთილი ნება არ დაჰყოლია, მავანს — მოხერხებულობა და სიფრთხილე. ყველა მათგანს კი არც იმდენად ეხატება გულზე, შენ ბედნიერი გიხილოს, რომ მთელი თავისი ძალა და უფლება ამ საქმეს შეალიოს. არც ერთს არ დავიწყებია, რაც დასჯდომია თავისი წინ წაწევა და არც ის, თუ როგორ ეხმარებოდნენ სხვები, გაეკაფა გზა კეთილდღეობისაკენ. მათ შეეძლოთ ვალი პირნათლად მოეხადათ და, მსგავს შემთხვევაში, თვითონაც გაეწიათ სხვისთვის სამსახური, თუკი საკუთარი განდიდების შემდეგ პირველი და ერთადერთი მისწრაფება არ იქნებოდა ისევ და ისევ ზრუნვა თავიანთ თავზე.

29

კარისკაცები მთელს გონებას, მოხერხებულობასა და ცბიერებას იმას კი არ ახმარენ, რომ გამოძებნონ საშუალება, რათა სამსახური გაუწიონ მეგობრებს, რომლებიც დახმარებას სთხოვენ მათ, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ეძიებენ სარწმუნო წყაროებს, დამადასტურებელ საბუთს იმისა, რომ ყოვლად შეუძლებელი ყოფილა მათი თხოვნის დაკმაყოფილება. თავიანთ თავს კი არწმუნებენ, მეგობრობის ან მადლიერების ვალი პირნათლად მოვიხადეთო.

სამეფო კარზე არავინ კისრულობს, გადადგას პირველი ნაბიჯი.

მარტო დაპირებას იძლევა, მხარს დაგიჭერთო, რამეთუ დარწმუნებულია, სხვებიც მას ჰგვანან და იმედოვნებს, ამ საქმეს არავინ წამოიწყებს და ჩემი მხარდაჭერაც ზედმეტი იქნებაო. ამგვარად ზოგავენ თავიანთ გავლენიანობასა და მდგომარეობას და ტკბილად, თავაზიანი უარით ისტუმრებენ იმათ, ვისაც მათი დახმარება ესაჭიროება.

30

რამდენი კაცი გახრჩობთ ალერსით, როცა დაგიმარტოხელებთ, გარწმუნებთ, მიყვარხართ და თქვენს ღირსებებს დიდად ვაფასებო. მაგრამ, თუ ხალხში გადაეყრებით, დილის მიღებაზე ან წირვაზე შეხვდებით, თვალს აგარიდებთ, თითქოსდა ვერ გცნობთ. მეტად მცირეა რიცხვი იმ კარისკაცთა, რომლებიც იმდენად მაღლა დგანან და იმდენად არიან საკუთარ თავში დარწმუნებულნი, რომ ბედავენ და საქვეყნოდ ამქღავნებენ პატივისცემას იმ კაცის მიმართ, ვისაც საკუთარი მაღალი ღირსებების გარდა, სხვა არაფერი გააჩნია, არც თანამდებობა და არც ჩინი.

31

ამ კაცს ნიადაგ ხალხი ახვევია გარს, სულ კუდში დასდევენ, — მაღალი თანამდებობის პირია; აგერ იმ კაცს ყველა თვალში შესციცინებს — დიადნი ამა სოფლისანი სწყალობენ; ამას კი ყველა ეფერება და ელაქუცება, თვით დიდებულნიც, — მდიდარია; აი ამას ყველა ცნობისმოყვარეობით შესცქერის, თითით საჩვენებელი ვინმეა, — მეცნიერი და მჭევრმეტყველი; ვხედავ ერთ კაცს, ვინც სალამს ვერვის ასწრებს, — ბოროტია. ნეტავ შემახვედრა ერთი ისეთი კაცი, რომელიც იქნება მხოლოდ კეთილი, კეთილი და სხვა არაფერი და ყველა ეცდება მასთან დაახლოებას.

32

ამ კაცს მაღალი თანამდებობა უბოძეს და მისი უსაზღვრო ქება-დიდებაც დაიწყო. ხოტბის ნაკადულები ავსებს სადარბაზოებსა და კაპელებს, კიბეებსა და დარბაზებს, დერეფნებსა და მეფის

აპარტამენტებს. მისი გუნდრუკის კმევით ყელამდე ივსება ყველა, ფეხს ვეღარ იკიდებს და საერთო დინებას მიჰყვება. ამ პიროვნებაზე ორი აზრი აღარ არსებობს. შური, ქიშპობა ფარისევლობას ეხმატკბილება. ნიაღვარი მიაქანებს ყველას და აიძულებს თქვას ის, რასაც ფიქრობს და არ ფიქრობს, შეაქოს ის, ვისაც არ იცნობს. გონიერი კაცი, ვისაც არც დამსახურება აკლია და არც ღირსება, გადაიქცევა გენიალურ პიროვნებად, გმირად, თითქმის ღვთაებად. ისე წარმტაცია მასზე შექმნილი წარმოდგენა, ისე სანუკვარი და უზადო, რომ თვითონ მახინჯი ჩანს თავისი პორტრეტების პირისპირ. შეუძლებელია ამაღლდეს იმ მწვერვალებამდე, სადაც აიტაცა სიმდაბლემა და ფარისევლობამ. აზრი, რაც დამკვიდრდა მასზე, სირცხვილით აწითლებს. მაგრამ, აგერ, შეერყა მდგომარეობა და მყისვე, ყველა სრულიად იოლად იცვლის შეხედულებას. დაეცა ძირს. ზამბარები, რომელთაც აგრე მაღლა ასწიეს იგი ტაშისცემითა და ხოტბა-დიდებით, ისევ დაიჭიმა, რათა ეს კაცი საყოველთაო ზიზღის ჯურღმულებში ჩააყურყუმელაოს; მე მინდა გითხრათ, რომ ისე მწარედ არავინ ჰკიცხავს, ისე ბინძურად არავინ შეურაცხყოფს, ისე აგდებით არავინ ლაპარაკობს მასზე, როგორც ადამიანები, რომლებიც ცოტა ხნის წინათ აგრე თავგამოდებითა და გახელებით უკმევდნენ გუნდრუკს.

33

ჩემის აზრით ისეთი მაღალი თანამდებობის დაკავება, რისი გაძღოლაც მაღალგონიერებას მოითხოვს, უფრო ადვილია, ვიდრე მისი შენარჩუნება.

34

კაცი მაღალ მდგომარეობას იმავე ნაკლის შედეგად ჰკარგავს, რამაც ადრე ხელი შეუწყო მის ამაღლებას.

35

სამეფო კარზე ორნაირად შეიძლება ჩამოიცილოთ ადამიანი: ან თავად გაბრაზდეთ მასზე, ანდა ისე მოიქცეთ, რომ თვითონ გაბრაზდეს თქვენზე და შეგიზიზღოთ.

36

სამეფო კარზე ადამიანს ორი მიზეზით აქებენ: პირველი გახლავთ, — გავაგებინოთ მასზე კარგს რომ ვამბობთ; მეორე — იმანაც კარგი თქვას ჩვენზე.

37

ისევე საშიშია სამეფო კარზე ვინმეს რაიმე დაპირება მისცე, როგორც ძნელია, არაფერს დაპირდე.

38

ზოგიერთი თუ კაცს არ ცნობს სახეზე, ან არ იცის მისი გვარი, ფიქრობს, რომ უფლებამოსილია დასცინოს, — ან შეიზიზღოს. იკითხავს, ვინ არისო. იგი არც რუსოა, არც ფაბრი, არც ლა კუტიური? ჰოდა, საიდან უნდა იცნობდეს?

39

ამ კაცზე იმდენი ცუდი რამ უთქვამთ ჩემთვის, მე კი იმდენად ვერაფერს ვამჩნევ ცუდს, რომ უკვე ვეჭვობ, ისეთი ღირსებებით ხომ არაა დაჯილდოებული, რაც სხვების ღირსებებს ჩრდილს აყენებს და ამიტომაც არაფრად ეპიტნავებათ.

40

წესიერი კაცი ბრძანდებით, არაფრად მიგაჩნიათ, ფავორიტებს მოსწონხართ თუ არა. ერთგულად ემსახურებით მხოლოდ თქვენს ბატონსა და თქვენს მოვალეობას: წასულია თქვენი საქმე.

41

თავხედობა ადამიანის განწყობილების შედეგი კი არ არის, არამედ მისი შინაგანი თვისებაა. მანკია იგი, თანდაყოლილი მანკი.

ვინც ამგვარი არ დაბადებულა, მოკრძალებულია და ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობაში ადვილად არ ვარდება, ამაოა უჩიჩინო: „იყავით თავხედი და წარმატებას მიაღწევთ!“ უბადრუკი მიბაძვით ვერაფერს გააწყობს და უეჭველად კისერს მოიტეხს. სამეფო კარზე წარმატებას რომ მიაღწიო, ბუნებრივად უნდა იყო თავხედი და ნამუსგარეცხილი.

42

კაცი ხლაფორთობს, ეძიებს, აქეთ-იქით ძვრება, ღელავს, იხვეწება, უარს იღებს; ისევ ითხოვს. აღწევს მიზანს და ამბობს, არაფერი მითხოვიაო. სულაც არ ველოდი, სხვა რამეზე ვფიქრობდი და ბედმა სწორედ მაშინ გამიღიმაო. გაცვეთილი ხერხია, გულუბრყვილო ტყუილი, რითაც არავინ ტყუვდება.

43

დიდი თანამდებობისთვის იღვწის კაცი, რა ქსელი არა აქვს გაბმული, რა ზომა არა აქვს მიღებული. სურვილი უთუოდ უნდა შეისრულოს. ერთი სიტყვას შეაწევს, მეორე პირველს აუწყობს ხმას. პატრუქი მიტანილია, ყუმბარა მზადაა ასაფეთქებლად და მაშინ ტოვებს სამეფო კარს. აბა ვინ გაბედავს ეჭვი მიიტანოს, ვითომცდა არტემონი ცდილობდა ასეთი ხელსაყრელი თანამდებობა დაეკავებინა? იგი ხომ ძლივძლივობით წამოიყვანეს თავისი მამულიდან და გუბერნიიდან და აიძულეს ამ ადგილზე დამჯდარიყო! რა ტლანქი თითლიბაზობაა, გაცვეთილი ეშმაკობა, რისთვისაც კარისკაცებს იმდენჯერ მიუმართავთ, რომ მე თუ მოვისურვებდი ხალხი გამეცურებინა და დამემალა ჩემი პატივმოყვარეობით გამსჭვალული მისწრაფებანი, მეფის პირისპირ უნდა დავრჩენილიყავი, რათა მიმეღო მოწყალება, რისკენაც თავგადაკლული მივილტვოდი.

44

ადამიანები ცდილობენ დამალონ თავიანთი პატივმოყვარული ზრახვანი და ხელსაყრელი თანამდებობის დაკავების სურვილი,

რადგან თუ ვერაფერს მიაღწიეს, დარწმუნებულნი არიან, სირცხვილსა ჭამენ; ხოლო თუ ნატვრა აუსრულდათ, უფრო სახეიროა, ხალხმა იფიქროს, ვითომცდა პირადი დამსახურებისა და არა გაიძვერობისა და გაძრომ-გამოძრომის შედეგად მიეკუთვნათ თანამდებობა. ამგვარად საშუალება მიეცათ საკუთარი ღირსებითა და თავმდაბლობით მოიწონონ თავი.

რა უფრო სამარცხვინოა, უარი მიიღო თანამდებობაზე, რისი ღირსიცა ხარ, თუ მიიღო თანამდებობა, რისი ღირსიც არა ხარ?

რაც უნდ ძნელი იყოს სამეფო კარზე მიაღწიო წარჩინებას, უფრო მეტად ძნელია წარჩინების ღირსი გახდე.

უფრო ადვილია შენს თავზე ათქმევინო, რატომ მიიღო ეს თანამდებობაო, ვიდრე მიაღწიო იმას, რომ იკითხონ, რატომ არ მიიღო ეს თანამდებობაო?

უწინ საკონსულოებში ეძებდნენ ადგილს, ახლა ჩინოვნიკობისთვის იღვწიან, ან საფრანგეთის აკადემიაში მოხვედრას ლამობენ. ვითომც რა მოხდებოდა, თავდაპირველად შრომის ჭაპანი გაეწიათ და მომზადებულიყვნენ ისე, რომ მომავალში უფრო დიდი საქმის გაძღოლა შეძლებოდათ. მერე, კი, საკუთარ ძალებში დარწმუნებულებს, ფარული ხრიკების, გაიძვერობის გარეშე, აშკარად და თამამად მოეთხოვათ ადგილი, რათა სამსახური გაეწიათ სამშობლოსთვის, მეფისთვისა და სახელმწიფოსთვის.

45

ჯერ არ მინახავს კარისკაცი, რომელსაც მდიდარი პროვინციის მმართველობა, მაღალი თანამდებობა, დიდი პენსია მიეღოს მეფისგან და პატივმოყვარეობით შეპყრობილსა თუ საკუთარი უანგაროობის დასამტკიცებლად არ ეთქვას, მოწყალება იმდენად როდი მახარებს, რამდენადაც ის, თუ რანაირად მებოძაო ეს მოწყალება. აქ სარწმუნო და უტყუარია მხოლოდ ის, რომ ამ სიტყვებს წარმოთქვამს თვითონ.

46

ცუდად აღზრდილ ადამიანებს არ შესწევთ უნარი, თავაზიანად გასცენ; ყველაზე დასაფასებელი და ყველაზე ძნელია გაცემა: განა რა დაჯდება რომ ძღვენს ღიმილიც დაემატოს?

47

უნდა ითქვას, რომ ერთი არაფერს გიბოძებს, მაგრამ არ შეურაცხგყოფს, ხოლო მეორე გიბოძებს და შეურაცხგყოფს. მავანზე ამბობენ, ისე პირქუშად, კადნიერად ხვდება მთხოვნელს, იმდენს ახვეწნინებს, ისე მძიმე უღელს ადებსო, რომ მეტ მოწყალებას გამოიღებდა, თუ ერთხელ და სამუდამოდ ყველას შთააგონებდა, არაფერი მიეღოთ მისგან.

48

სამეფო კარზე შეიმჩნევიან ისეთი ხარბი კაცები, რომლებიც ყველაფერს ებღაუჭებიან, ოღონდ სარფა მიიღონ: გუბერნატორობა, მაღალი თანამდებობა, ბენეფიციუმი, ყოველივე უპრიანია მათთვის. თბილად არიან მოყუჩებულნი და საკუთარი მდგომარეობა საშუალებას უქმნით ნებისმიერ საქმეს მოჰკიდონ ხელი. ნამდვილი ამფიბიები გახლავან. მათი შემოსავლის წყარო ეკლესია და ხმალია, მაგრამ არც მოსამართლის მანტიას დაიწუნებენ. თქვენ იკითხავთ, ეგ ადამიანები სამეფო კარზე რას საქმიანობენო? საჩუქრებს იღებენ და შურით სკდებიან, თუ სხვასაც ხვდება საჩუქრები.

49

სამეფო კარზე მრავალი ადამიანი ისე მიათრევს ცხოვრებას, რომ კოცნის, ეხვევა და ულოცავს იმას, ვისაც მოწყალება ხვდა წილად, თვითონ კი ისე ჩადის სამარეში, რომ ერთხელაც არაფერი მიუღია.

50

მენოფილს ჩვევები ერთი წოდების შესაფერისი აქვს, ტანისამოსი კი მეორე წოდებისა. მთელი წელიწადი ნიღაბს ატარებს, თუმცა პირზე არაფერი აფარია, სადაც უნდა იყოს, სამეფო კარზე, ქალაქში თუ პროვინციაში, ახალ-ახალი გვარით და ახლებურად შენიღბული ცხადდება. ყველა ცნობს და ყველამ იცის როგორი პირისახეც აქვს.

51

მაღალი მდგომარეობის მისაღწევად არსებობს პირდაპირი, გათელილი გზა. არის მოსავლელი გზაც, მიხვეულ-მოხვეული ბილიკი, რაიც უფრო მოკლეა.

52

უბედურ კაცს უკან მისდევენ და დაკვირვებით ათვალიერებენ. გზის პირას მწკრივდებიან, ფანჯრებიდან ყელყელაობენ, რათა შეხედონ, როგორ გამოიყურება და როგორ უჭირავს თავი დასასჯელად გამზადებულ კაცს, რომელმაც იცის, რომ სიკვდილი უახლოვდება. ამაოებათა ამაოება, ბოროტი, არაადამიანური ცნობისმოყვარეობა! კაცთ ჭკუა რომ ჰყოფნიდეთ, საჯარო მოედანს არვინ გაეკარებოდა და ამგვარ სანახაობაზე დასწრება სამარცხვინოდ ჩაითვლებოდა. თუ აგრე რიგად გაწუხებთ ცნობისმოყვარეობა, რა იქნება უფრო კეთილშობილ საგანზე მიმართოთ: ბედნიერ ადამიანს დააკვირდით იმ დღეს, როცა ახალ თანამდებობაზე დაინიშნა და მილოცვებს იღებს. მის თვალებში ამოიკითხეთ, რა მაღალი წარმოდგენისაა საკუთარ თავზე და რა დიდი კმაყოფილია თავისი პერსონის, თუმც ყოველივე ამას ნავარჯიშევი თავდაჭერითა და მოჩვენებითი მოკრძალებით ფარავს. დაინახავთ, მიზნების შესრულების შედეგად როგორ იღვრება ნეტარება მის გულში და ეფინება პირსახეზე. სხვა არა უნდა რა, იყოს დღეგრძელი და ჯანმრთელი. მაგრამ თავს ვეღარ იკავებს და სიხარულის შუქი უსხლტება გარეთ. ბედნიერების ტვირთი მძიმედ აწვება. ცივია და თავშეკავებული იმათ მიმართ, ვინც უკვე აღარ გახლავთ მისი ტოლი და სწორი. სალამზედაც აღარ პასუხობს, არც ხედავს მათ. მაგიერ, დიდებულებს ხედავს სულ ახლოს და მათი ხვევნა-კოცნა საბოლოოდ ხრწნის მას. წონასწორობა ეკარგება, ყეყეჩდება და გონება ერთხანს უჩლუნგდება. თქვენ გსურთ ბედს ეწიოთ, მოწყალებით აღივსოთ; იცით, რამდენ რამეს უნდა მოერიდოთ!

53

კაცი, რომელსაც მაღალი თანამდებობა მიუღია, ჭკუასა და გონებას ვეღარ იმორჩილებს, და ვეღარ ახერხებს ურთიერთობის დამ-

ყარებას, რამეთუ მისთვის ყოველივე ექვემდებარება მის თანამდებობასა და მდგომარეობას. აქედან გამომდინარეობს მეხსიერების სიჩლუნგეც, სიამაყეც, ამპარტავნობაც, სისასტიკეცა და უმადურობაც.

54

თეონასი ოცდაათი წელია აბატია და აბატობა მობეზრდა. თეონასსავით მგზნებარედა და მოუთმენლად არვის მონატრებია ძოწით შემოსვა, მკერდზე ოქროს ჯვრის ჩამოკიდება. რაკი ერთ დიდ ზეიმს მეორე ზეიმი ისე მოჰყვებოდა, რომ თეონასის ცხოვრებაში არაფერი იცვლებოდა, უკმაყოფილების გრძნობა დაეუფლა თანამედროვე ყოფის, მმართველობის მიმართ და ქვეყანას დიდ განსაცდელს უწინასწარმეტყველებდა. გულში გადაწყვიტა, სამეფო კარზე წინ წაწევის მსურველთათვის პირადი ღირსებები მავნებელი ყოფილაო. ის იყო პრელატობის იმედიც კი გადაიწყვიტა, როცა ვიღაცამ მოირბინა და აუწყა, ეპისკოპოსად დაგნიშნესო. მოულოდნელმა ცნობამ ისე აღავსო სიხარულით და ისე შთაუნერგა რწმენა საკუთარი თავისადმი, რომ მყისვე წარმოთქვა, აი, ნახავთ, თუ ადგილზე დიდხანს დავრჩები, მთავარეპისკოპოსობას მივიღებო.

55

გაიძვერები საჭირონი არიან სამეფო კარისთვის და აგრეთვე კეთილი სურვილებით გამსჭვალული დიდებულებისა და მინისტრებისთვის, ერთი კია, მათთან ურთიერთობა დიდ სიფრთხილესა და ცოდნას მოითხოვს; დგება ისეთი დრო და იქმნება ისეთი ვითარება, როცა მათ ვერავინ შეცვლის. პატიოსნება, სიკეთე, სინდისი ყოველთვის საპატიო, მაგრამ ხშირად უსარგებლო თვისებები გახლავთ. განა იშვიათია ისეთი შემთხვევა, როცა არ იცი, როგორ მოიცილო წესიერი ადამიანი?

56

ერთი ძველი მწერალი, რომლის სიტყვებს გავბედავ და შეუცვლელად დავტოვებ, რამეთუ მეშინია თავისუფალი გადმოცემით არ

შევბღალო მისი აზრი, ამბობდა: „ქვეყანასა ზედა კაცნი, ერთნი, შეპყრობილნი ზვაობითა, განუდგნენ იმათ, ვისაც თვლიდნენ ჯოლ-დო-მოლღოთა, გარნა ოდეს ტოლნი იყვნენ იგინი მათი და ამჟამად კი ეცხადებოდნენ ვითარცა გლახაკნი და მონანი, და კაცნი ესე შეუ-ტკბნენ მამონის მსახურთ, ძლიერთ ამა სოფლისათა, სახელითა და საგანძურით აურაცხელით. რამეთუ ჰბაძვიდნენ მათ, უძღებნი ძენი მათთან ერთად როკვიდნენ და ხუნტრუცობდნენ შესაკრებულში, მათთან ერთად ეძლეოდნენ სიძვა-მრუშობას და იწყმედნენ სულს, სინდის-ნამუს გარეცხილნი, უსირცხვილონი. არად აგდებდნენ, თუ-კი იყვნენ მოძულებულ ყოველთაგან, ოღონდ ხლებოდნენ მფარ-ველთ თუისას და მოიმკიდნენ ნეტარებას და ძლიერებას ქვეყანასა ზედა“.

57

მეფის სიჭაბუკე წყაროა მრავალი დიდი სიმდიდრისა.

58

ტიმანტი ისევ ძველი ტიმანტია. არ დაუკარგავს ღირსებები, რომელთა მეოხებით თავდაპირველად გაითქვა სახელი და მრავალი წყალობაც მიიღო. კარისკაცებს თითქოს დაავიწყდათ მისი დამსახუ-რება, უკვე მობეზრდათ მისდამი პატივისცემის გამომჟღავნება; ესალმებიან ცივად, აღარც უღიმიან და არც ხელგაშლილად ეგე-ბებიან, არც გულში იკრავენ. არც გაჰყავთ განზე, რათა საიდუმ-ლოდ რაღაც წვრილმანი გაანდონ, აღარაფერი აქვთ მისთვის სათქ-მელი. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს პენსია დაუნიშნეს და ახალი საპატიო თანამდებობა უბოძეს. აღსდგა კარისკაცთა მეხსიერებაში ყოველი ღირსება მისი, გაცოცხლდა და გაიფურჩქნა. ახლა ყველა ძველებურად ეპყრობა, უკეთესადაც.

59

ო, რამდენი მეგობარი და ნათესავი უჩნდება ამ ერთ ღამეში ახალ მინისტრს! ერთნი იხსენებენ, უწინ ერთმანეთთან ძალიან ახ-

ლოს ვიყავითო, ერთად ვსწავლობდითო, ვმეზობლობდითო. მეორენი გენეალოგიურ კვლევა-ძიებას გადაჰყოლიან, საერთო ნათესავების ძებნაში პაპის პაპამდე მისულან, როგორც მამის, ისე დედის მხრიდან. ყველა თავს იწონებს მასთან სიახლოვით და ის დღე რა დღეა, თუ ათასჯერ არ წარმოთქვამს, ჩემი მოყვარეაო. რა სიამოვნებით დასტამბავდნენ ამ სიტყვებს: „ეს ჩემი მეგობარია, მეტად მიხარის მისი წინ წაწევა“, „მისი განდიდება მეც მეხება, ის ხომ ჩემი ნათესავია!“ ჰოი კაცნო, ამა სოფლის ამაოებათა თაყვანისმცემელნო, გამოფიტულო კარისკაცებო, განა ამასვე ღაღადებდა ბაგენი თქვენი ორი კვირის წინათ? ნუთუ ამ ცოტა ხანში შეიმოსა იგი ყოველგვარი სათნოებით და გადაიქცა ღირსად იმ არჩევანისა, რაიც მეფემ მოახდინა? ნუთუ ამ შემთხვევას ელოდებოდით, რათა უკეთესად გაგეცნოთ იგი?

60

როს დიდებულნი ან ჩემი მდგომარეობის ადამიანები ხანდახან აგდებით და კადნიერად მეპყრობიან, თავს იმით ვინუგეშებ, რომ გულში ვამბობ, ეს ხალხი მე კი არ მიგდებს აბუჩად, არამედ ჩემს თანამდებობას. არ ტყუიან, მართლაც დაბალი ჩინი მაქვს. მინისტრი რომ ვიყო, რაღა თქმა უნდა, თაყვანს მცემდნენ-მეთქი.

რაო, მაღალ თანამდებობაზე ხომ არ მნიშნავენ? ხომ არაფერი გაუგია? გული ხომ არ უგრძნობს? დახე, სალამი დამასწრო.

61

ის, ვისაც დღენიადაგ პირზე ეკერა: „გუშინ ტიბურში ვისადილე, ამ საღამოს იქ ვვახშმობ“, ვინც ათჯერ და ათასჯერ იმეორებდა სახელს „პლანკუსს“ და ყოველგვარ საუბარში, საჭირო იყო თუ არა, წამდაუწუმ სჩრიდა: „პლანკუსი მთხოვდა... მე ვეუბნებოდი პლანკუსს...“ ამ კაცმა აი ამ წუთას გაიგო, მისმა გმირმა მოულოდნელად განუტევა სული. არც აცია და არც აცხელა, ხალხს მოედნებსა და პორტიკებს ქვეშ თავი მოუყარა და განსვენებულის წინააღმდეგ საბრალდებულო სიტყვით გამოვიდა. გაკიცხა მისი საქციელი, მიწასთან გაასწორა მისი კონსულობა, გააცამტვერა საყოველთაოდ აღიარებული აზრი შესახებ იმისა, რომ იგი ზედმიწევნით იცნობდა მმართველობის ყოველ წვრილმანს, იყო მკაცრი

და შრომისმოყვარე; ერთი ტკბილი მოგონებაც არ დაუტოვა. დაბოლოს არ შეარჩინა პატივი, აღიარებული ყოფილიყო მტრად იმპერიის მტრებისა.

62

ჩემის აზრით, დიდებული სანახაობაა, როცა თეატრში თუ რაიმე საკრებულოში ყოველმხრივ ღირსეულ პიროვნებას უარს ეუბნებიან ადგილზე, რასაც სთვაზობენ კაცს, ვისი თვალიც ვერაფერს ხედავს, ყური ვერაფერს ისმენს და ვის გონებასაც არ შესწევს უნარი შეიცნოს და განსაჯოს. ხოლო ამ პატივს იმსახურებს მარტოოდენ ლივრეით, რასაც აღარც კი ატარებს.

63

თეოდოტის ჩაცმულობა მკაცრი გემოვნებით გამოირჩევა, პირისახით კი სცენაზე გამოსულ კომედიანტს მიაგავს: ხმა, სიარული, მიხრა-მოხრა, ყოფაქცევა მის გამომეტყველებას ესადაგება. გაიძვერაა, გაქნილი, შემპარავი, იდუმალებით მოცული. მოგიახლოვდებათ და ჩაგჩურჩულებთ: „რა მშვენიერი ამინდია, ხედავთ ყინული დნება". მისი მანერები დიდი დახვეწილობით თუ არა, დიდი გატყლარჭულობით მაინც გამოირჩევა, რაიც ესოდენ დაამშვენებდა პრანჭია გოგონას. აბა წარმოიდგინეთ, რა გულმოდგინებით აგებს ბალღი ფსონის ქაღალდებით ხუხულებს, ანდა რა გატაცებით დასდევს პეპლებს, თეოდოტი სწორედ ასევე ასრულებს წვრილმან საქმეებს, რასაც დიდი რუდუნებით დასტრიალებს თავს, თითქოსდა სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხსა წყვეტდეს. ფუსფუსებს, ფაცხაფუცხით გარბი-გამორბის, საწადელს ისრულებს. და აი, როგორც იყო, შვებით ამოისუნთქა, დაუდგა ჟამი დასვენებისა. რაო, განა ტყუის, მართლაც დიდი ჯაფა დაადგა.

ზოგიერთი გაბრუებულია, მოჯადოებულია მოწყალების მიღების სურვილით. დღე მასზე ფიქრობს, ღამე სიზმარში ხედავს, მინისტრის სასახლის კიბეებზე არბის და ჩამორბის; მოსაცდელი დარბაზიდან გამოდის, უკან ბრუნდება. არაფერი აქვს მინისტრისთვის სათქმელი და მაინც ელაპარაკება. ელაპარაკება მეორეჯე-

რაც. ხედავთ რა კმაყოფილია, მინისტრს ესაუბრება. აბა, ერთი შეანჯღრიეთ, ძაშინ გადმოსცვივდება კადნიერება, თავხედობა, თვითკმაყოფილება. უთხარით რამე, პასუხსაც არ გაღირსებთ, ვერც გიცნობთ. თვალი აცაბაცად მიურბის, გამოყეყეჩებულა. მშობლებს მართებთ იზრუნონ მასზე, შინ გამოკეტონ, თორემ საშიშია, მისი სიგიჟე შესაძლოა მღელვარე გახდეს და საზოგადოებას საფრთხე შეექმნას.

თეოდოტი უფრო თვინიერია: ისიც გაგიჟებით ისწრაფის მაღალი მდგომარეობისკენ, მაგრამ მისი გატაცება აგრე რიგად არ გეცემათ თვალში. იდუმალებითაა მოცული მისი კერპი, ფარულად ელაციცება და შეჰღაღადებს. თეოდოტი მარად ფხიზლადაა, მის თვალს არასოდეს გამოეპარება, თუ რა სურვილი აღეძრა პიროვნებას, ვისაც ახლახან გადაეფარა კალთა მოწყალებისა. მზადაა მისდა სამსახურად; ინტრიგის ქსელს აბამს მის საამებლად, უჩუმრად ფეხქვეშ უფენს ღირსებას თვისას, მეგობრობას, ვალდებულებას, მადლიერებას. კასინის ადგილი რომ გათავისუფლდეს და ფავორიტის შვეიცარმა ან შიკრიკმა მოინდომოს მისი დაკავება, თეოდოტი მხარს დაუჭერს და ღირსადაც ჩათვლის. ის კი არა, აღიარებს, თითქოს მათ შესწევთ უნარი დააკვირდნენ, გამოთვალონ, იმსჯელონ ცრუ მზესა და პარალაქსზე. ჩემთვის რომ გეკითხათ, თეოდოტი თვითონ წერს თუ პლაგიატორიაო, ორიგინალური მწერალია თუ გადამწერიო, მოგცემდით მის წიგნებს და გეტყოდით, წაიკითხეთ და თავადვე განსაჯეთ-მეთქი. მაგრამ თუ იკითხავთ, ღვთისმოშიშია თუ კარისკაცი, ჩემს მიერ აღწერილი პორტრეტის მიხედვით გაგიძნელდებათ მიხვდეთ, ვინ არის იგი. უფრო გაბედულად შემიძლია გამოვთქვა მოსაზრება მის ვარსკვლავზე: დიახ, თეოდოტ, მე დავაკვირდი ვარსკვლავს, რომელზედაც თქვენ დაიბადეთ. მიიღებთ მაღალ თანამდებობას და ძალიან მალეც მიიღებთ. ნულარ ჩალიჩობთ, ნულარაფერს ბეჭდავთ, ხალხი გთხოვთ, შეიცოდეთ.

64

ნულარ მოელით სისპეტაკეს, გულახდილობას, სამართლიანობას, მხარდაჭერას, სამსახურს, კეთილგანწყობილებას, სულგრძელობას, სიმტკიცეს ადამიანისგან, რომელმაც ცოტა ხნის წინათ ფე-

ხი შედგა სამეფო კარზე და საკუთარი კეთილდღეობისთვის ფარულად იღვწის. იცნობთ კი სახით, ან გისაუბრიათ მასთან? ყველაფერს თავის სახელს აღარ არქმევს. მისთვის აღარ არსებობენ გაიძვერები, ოინბაზები, ყეყეჩები და თავხედები. ეშინია არ წამოსცდეს, რასაც მავანზე ფიქრობს, ვაითუ ამ უკანასკნელმა ყური მოჰკრას. მორჩა, ხელს შეუშლის მის წინსვლას. ყველაზე ცუდი აზრისაა, მაგრამ კრინტს არ ძრავს. თუმცა სიკეთე მხოლოდ თავისთვის სურს, ცდილობს ყველა დაარწმუნოს, თითქოსდა ყველას სიკეთეზე ოცნებობს, რათა ყველამ სიკეთე მოინდომოს მისთვის, ყოველ შემთხვევაში, ბოროტი მაინც არ მოინდომოს. რაკი უკმაყოფილოა იმის გამო, რომ თავად გულწრფელი ვერ იქნება, ვეღარც სხვის გულწრფელობას ეგუება. სიმართლე ყურს ჭრის. უკარებაა და გულგრილი, როცა სამეფო კარსა და კარისკაცებზე იწყება საუბარი, მოსმენაც არ სურს, ვაითუ სხვების მიერ გამოთქმულ აზრთა მოზიარედ ჩამთვალონ და პასუხისგება დამაკისრონო. საზოგადოების ტირანი და საკუთარი პატივმოყვარეობისთვის წამებული, თავშეკავებულია მოქმედებასა და საუბარში. ცივი და გამოფიტულია მისი უკბილო ხუმრობა, ნაძალადევია სიცილი, ფარისევლურია ალერსი, სიტყვა — მოკლე და ნაწყვეტ-ნაწყვეტი, დაბნეულობა — მოჩვენებითი. უხვად ილვრება, რას ვამბობ, უხვად კი არა, ნიაღვარივით მოჩქეფს მისი ხოტბა-დიდება, მიმართული მაღალი თანამდებობის პირის ან ფავორიტის ნათქვამისა თუ საქმიანობისადმი. სხვების მიმართ კი ჭლექიანის კანივით მშრალია მისი სიტყვები. ქათინაურების სხვადასხვა ფორმულები აქვს შემუშავებული; ერთი შემოსვლის, მეორე გასვლის, იმისდა მიხედვით ვის ესტუმრება, ან ვინ ესტუმრება. ყველა, ვინც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იმას, თუ როგორ მიმართავენ და რანაირად ესაუბრებიან, დიდი კმაყოფილებით ტოვებს მის სახლს. იცის ვინ შეირჩიოს მფარველად და ვის გაუწიოს მფარველობა. შუამავალია, გულთა მესაიდუმლე, მაჭანკალი, მაგრამ ნებავს იყოს მბრძანებელი. ვით ახალბედას შეეფერება, სამეფო კარის ყოველ წვრილმანადათ-წესებს უმალ ითვისებს: დადგება იქ, სადაც ადვილად შეამჩნევენ. გადაგეხვევათ, გაინაწილებს თქვენს სიხარულს, კითხვას, კითხვაზე დაგაყრით, ხომ ჯანმრთელად ბრძანდებით, ხომ კარგად მიდისო თქვენი საქმეები, სანამ პასუხად რამეს ეტყოდეთ, ვეღარ

მიჰყვება საუბრის ძაფს, სიტყვას გაწყვეტინებთ, სხვა საკითხზე იწყებს მასლაათს. ან არადა, ვიღაც გამოჩნდება და სულ სხვა საგანზე ალაპარაკდება მასთან. ამას მიულოცავს, იმას სამძიმარს ეტყვის, ამ თვალით იცინის, იმ თვალით ტირის; ხანდახან მინისტრის ან ფავორიტის მიბაძვით, საზოგადოებაში წვრილმანებზე მუსაიფობს, ქარიაო, ყინავსო. ხან კი, როცა საუბარი რაღაც მნიშვნელოვანს ეხება და მისთვისაც ცნობილია, მრავალმნიშვნელოვანი გამომეტ-ყველებით დუმს და თუ მისთვის სრულებით არ არის ცნობილი, მაშინ უფრო მეტად მრავლისმეტყველია მისი დუმილი.

65

თურმე ერთ ქვეყანაში სიხარული აშკარა, მაგრამ მოჩვენებითი ყოფილა, ხოლო მწუხარება ფარული, მაგრამ ნამდვილი. აბა ვინ დაიჯერებს, რომ სანახაობების, რასაც ხალხი ზღვად აწყდება მოლიერის და არლეკინის თეატრში ატეხილი გამაყრუებელი ტაშისცემის, წვეულებების, ნადირობის, ბალეტის, კარუსელების მიღმა იფარება იმდენი წუხილი, საზრუნავი და ანგარება, იმდენი შეშფოთება და იმედი, ესოდენ მგზნებარე ვნებები და ესოდენ მნიშვნელოვანი საქმეები?

66

ცხოვრება სამეფო კარზე მეტად სერიოზული და დაძაბული თამაშია; უნდა იცოდე როგორ განალაგო ფიგურები, გაანაწილო ძალები, მოიფიქრო სვლები და მისდიო წინასწარ მოფიქრებულ გეგმას. მოწინააღმდეგეს შთანაფიქრი ჩაუფუშო, ხანდახან რისკზედაც წახვიდე და გუმანითაც იმოქმედო. ჰოდა, ამდენს იტეხ თავს, ამდენ მახეს აგებ და ბოლოს ქიშს გამოგიცხადებენ, ხანდახან შამათსაც. პაიკი თუ გონივრულად გამოიყენე, ლაზიერი ხდება და თამაშის ბედიც ხშირად ამით წყდება. იგებს ან უფრო მოხერხებული ან უფრო ბედნიერი.

67

საათის გორგოლაჭები, ზამბარები და მათი მოძრაობა დამალულია. მოჩანს მხოლოდ ისრები, რომლებიც უხილავად იწყებენ და

ასრულებენ წრეს. სწორედ ასეთია კარისკაცის ცხოვრება; წავა შორს და აღმოჩნდება იქ, საიდანაც დაიწყო სვლა.

68

ცხოვრების ორი მესამედი უკვე განვლე. რაღა საჭიროა დარჩენილ დღეებზე წუხილი და თავში ცემა? უბრწყინვალესი მდგომარეობაც კი არ ღირს იმ მღელვარებად, რითაც ვიტანჯები, არც იმ სულმდაბლობად, რასაც ჩემს თავს ვამჩნევ, არც დამცირებადა და შეურაცხყოფად, რასაც განვიცდი. ოცდაათ წელიწადში დაინგრევიან ის მძლავრი გოლიათები, რომელთაც ქვემოდან ძლივს ვუსწორებ თვალს. გავქრებით ჩვენც; მე, ესოდენ პატარა და უმწეო, და ისინიც, ვისაც თრთოლვით შევციცინებდი და ვისი მოწყალებითაც მოველოდი განდიდებას. ყველაზე დიდი ამქვეყნიური სიკეთე, თუკი სიკეთე საერთოდ არსებობს, არის მოსვენება, განმარტოება და ადგილსამყოფელი, სადაც შენა ხარ შენი თავის ბატონ-პატრონი.

ასე ფიქრობდა „ნ“, როდესაც საქმე ცუდად წაუვიდა, და მაშინვე გადაავიწყდა, როგორც კი ფეხი მოიმაგრა.

69

აზნაური თავის პროვინციაში თუ ცხოვრობს, თავისუფალია, მაგრამ მფარველობას მოკლებული; თუ სამეფო კარზეა, მფარველობა არ აკლია, მაგრამ მონაა: ერთი მეორეთია ანაზღაურებული.

70

ქსანტიპი თავის მიყრუებულ პროვინციაში ცხოვრობდა, დაცხავებულ ჭერქვეშ, ერთხელ, როცა უბადრუკ საწოლში ეძინა, დაესიზმრა, მეფეს ესაუბრებოდა და გული სიხარულით ევსებოდა. გამოიღვიძა და სევდამ შეიპყრო. მოჰყვა სიზმარი და შესძახა, რა სისულელე არ მოუვა კაცს თავში, როცა სძინავს! გამოხდა ხანი. ქსანტიპი სამეფო კარზე მოხვდა. იხილა მეფე, ესაუბრა. ცხადმა სიზმარს გადააჭარბა: ფავორიტი გახდა.

71

ვინ არის გულმოდგინე კარისკაცზე მეტად დამონებული, თუ არა უფრო მეტად გულმოდგინე კარისკაცი?

72

დილით, მეფის ადგომისას თითქმის უცნობი ხალხი ბუზებივით ირევა და ცდილობს დაენახვოს მეფეს, ვისაც არ ძალუძს ყველას მოავლოს თვალი. თუ იგი დღეს ხედავს მხოლოდ იმათ, ვინც გუშინ დაინახა და ვისაც ხვალ დაინახავს, რამდენია მაშინ უბედური!

73

იმათ შორის, რომელნიც დიდებულებს გარს ეხვევიან და ელოლიავებიან, მცირეა რიცხვი იმ ადამიანთა, ვინც გულწრფელად აფასებს მათ; დიდებულებთან დაახლოებას ბევრი პატივმოყვარული და ანგარებიანი ზრახვების განსახორციელებლად ცდილობს. უფრო მეტი აყოლილია ყოვლად სასაცილო თავმომწონეობასა და თავის გამოჩენის ბრიყვულ სურვილს.

74

არსებობს ისეთი ოჯახები, რომლებიც საზოგადოებრივი ან ზრდილობის წესებისდა თანახმად, მუდმივ შუღლში უნდა იყვნენ ერთმანეთთან. და აი ისინი შერიგდნენ: იქ, სადაც ეკლესიას კოვზი ნაცარში ჩაუვარდა, ანგარებამ გაიმარჯვა და საკმაოდ იოლადაც.

75

ამბობენ, არისო ერთი ქვეყანა, სადაც ბერიკაცები სათნოებით, თავაზიანობითა და ნატიფი ყოფაქცევით გამოირჩევიან, ხოლო ყმაწვილები სასტიკნი, ბოროტები, უზრდელები, გარყვნილები არიან და ქალების მიმართ გულცივები ხდებიან იმ ასაკში, როცა სხვაგან ის-ის არის ეღვიძებათ სიყვარულის გრძნობა. ეს ჭაბუკნი

რჩეობენ ღრეობებს, ღორმუცელობასა და უმსგავს გატაცებებს. თაკ-შეკავებულად და სიფხიზლის მოყვარულად ის ითვლება, ვინც მხოლოდ ღვინოს ეტანება, რამეთუ იმდენი უყლაპიათ ღვინო, რომ მოყირჭებიათ. სმისადმი მიდრეკილება რომ არ გაუქრეთ, არაყსა და მაგარ სასმელებს მიირთმევენ. მათ ლოთობას ისღა აკლია, სპირტის სმა დაიწყონ. იქაური ქალები სილამაზის სწრაფ დაჭკნობას იმით უწყობენ ხელს, რომ ათასგვარი საცხით ითხუპნებიან და ჰგონიათ, უფრო წარმტაცნი გავხდებითო. ჩვევა აქვთ ასეთი, იღებავენ ტუჩებს, ლოყებს, წარბებს და მხრებს. გულმკერდს, კისერს, მკლავებსა და ყურებს კი ისე ამზეურებენ, თითქოსდა ეშინიათ, დაფარული არ დარჩეთ ანდა საკმაოდ ვერ გამოაჩინონ ისეთი ადგილები, რაც ყველაზე მეტად იმსახურებს მოწონებას. ამ ქვეყნის ბინადართ სახე ნათელი კი არა, დანისლული აქვთ. ზედ ჩამოშლიათ ფაფარივით აქოჩრილი სხვისი თმა, საკუთარს რომ ამჯობინებენ და ლამის ნახევარ სხეულს რომ უფარავთ. მისი წყალობით პირისახე ისე აქვთ შეცვლილი, რომ ძნელად საცნობნი არიან. აღსანიშნავია, ამ ხალხს ჰყავს თავიანთი ღმერთიცა და მეფეც. იქაური ძლიერნი ამა სოფლისანი ყოველ ცისმარე დღეს, განსაზღვრულ დროს, იკრიბებიან ერთ ტაძარში, რასაც საყდარს უწოდებენ. ტაძრის სიღრმეში აღმართულია მათი ღმერთისადმი მიძღვნილი საკურთხეველი, სადაც ქურუმი აღასრულებს ეგრეთ წოდებულ წმიდა, კურთხეულ, საშინელსა და საიდუმლო წესებს. საკურთხევლის ქვემოთ, ქურუმისკენ ზურგშექცეული დიდებულნი ფართო წრეს ჰკრავენ და შესცქერიან მეფეს, რომელსაც ამაღლებულ ადგილას მოუდრეკია მუხლი და როგორც ჩანს დაუპყრია ყველას გული და გონება. ამ ადათში ერთგვარი სუბორდინაცია კი არ იგულისხმება, ო, არა, ხალხი ეთაყვანება მეფეს, ხოლო მეფე — ღმერთს. ამ ქვეყანას იქაურები...-ს უწოდებენ. იგი დაახლოებით ორმოცდარვა გრადუსზეა ჩრდილოეთის პოლუსიდან და ათას ორასი ლიეთია დაშორებული ზღვიდან, რომელიც ეკვრის ირიკეზებისა და ჰურონების ქვეყნებს.

76

თუ გავიხსენებთ, მეფის ხილვა რაოდენ ბედნიერებას ანიჭებს კარისკაცებს, რომელთა სიცოცხლის ერთადერთი მიზანია რამე-

ნაირად შეხედონ მეფეს და მეფემაც თვალი შეავლოს მათ, ადვილად მივხვდებით, ღმერთის ჭვრეტა რატომ წარმოადგენს წმიდანებისთვის უზენაეს ჯილდოსა და უსაზღვრო ნეტარებას

77

დიდი სენიორები ულრმესი მოწიწების გრძნობით არიან გამსჭვალულნი ხელმწიფის მიმართ; ეს არის მათი მოვალეობა და ამასვე მოითხოვენ თავიანთი ქვეშევრდომებისგან. პატარა სენიორები ამ ვალდებულებას აბუჩად იგდებენ, ლაღად ცხოვრობენ და სულაც არ ფიქრობენ, თუ ვინმეს მისაბაძი მაგალითნი უნდა იყვნენ.

78

ჩვენი დროის ახალგაზრდობას რა აკლია? მათ აქვთ შესაძლებლობაცა და ცოდნაც. მათი ცოდნა მათ შესაძლებლობას რომ ეტოლებოდეს, უფრო მტკიცე გადაწყვეტილებებს მაინც ვერ მიიღებდნენ.

79

ჰოი, სუსტო კაცნო! ერთმა დიდებულმა თქვენს მეგობარ ტიშაჟენზე თქვა, სულელიაო. დიდებული შეცდა. მე არა გთხოვთ შედავებოდით, ჭკვიანი კაციაო, გეთქვათ, მხოლოდ გაგებედათ და გაგეფიქრათ, რომ იგი სულელი არ არის.

იგივე დიდებული იფიკრატეზე გეუბნებათ, მშიშარაააო. თქვენ კი საკუთარი თვალით იხილეთ, რა ვაჟკაცობაც ჩაიდინა. დამშვიდდით, სულაც არა გთხოვთ მოუყვეთ ეს ამბავი, ისიც კმარა, თუ დიდებულის სიტყვების შემდეგ მაინც არ დაივიწყებთ, იფიკრატეს მამაცური საქციელის მოწმე რომ იყავით.

80

მეფეებთან საუბრის გაბმის უნარი თუ შესწევს, კარისკაცისთვის ეს არის, ალბათ, ზღვარი მთელი მისი მოქნილობისა და სიფრთხილისა. ვაი მას, თუ დაუფიქრებლად წამოსცდა რამე და მის-

წვდა ჯერ მეფის სმენას, მერე მეხსიერებაშიც ჩარჩა, ხანდახან კი გულშიაც ჩაემარხა. აღარაფერი ეშველება, სიტყვას უკან ვეღარ წაიღებს. რაც უნდ ეცადოს, რაც უნდ თავი გამოიდოს, რათა აზრი სხვანაირად განმარტოს ან შთაბეჭდილება შეასუსტოს, უფრო ღრმასა და წარუშლელ კვალს დატოვებს. ჩვენი ნათქვამი მხოლოდ ჩვენ თუ გვაყენებს ზიანს, რაც არცთუ ხშირად ხდება, იმდენად სავალალო არ არის, რამეთუ ჭკუის სასწავლებლად გამოგვადგება და საკუთარი თავქარიანობის მსხვერპლად ჩავთვლით თავს. მაგრამ ამით თუ სხვა დავაზარალეთ, რა სამწუხაროა! რა სინანულით აღვივსებით! ჰოდა, რომ ავიცილოთ ასეთი დამღუპველი საფრთხე, უნდა გვახსოვდეს ერთი მეტად სასარგებლო კანონი; როდესაც მეფეს ველაპარაკებით სხვების ადამიანობის, საქმიანობის, ჩვევების ან საქციელის შესახებ, აზრი ისევე დაფიქრებით, ფრთხილად და გამოზომილად გამოვთქვათ, როგორც საკუთარ თავზე ვიტყოდით.

81

ენაკვიმატი კაცი ცუდი ადამიანია. მე თვით ვიტყოდი ამას, უკვე ნათქვამი რომ არ იყოს. მხოლოდ გავბედავ და ვიტყვი იმას, რაც სხვას არ უთქვამს: ის, ვინც ვერ შეელევა მოსწრებულ სიტყვას და ამისათვის გაწირავს მოყვასის სახელსაცა და ბედნიერებასაც, სამარცხვინო დასჯის ღირსია.

82

არსებობს განსაზღვრული რიცხვი მზა-მზარეული ფრაზებისა, რომელთაც თითქოს საწყობიდან იღებენ, რათა ერთმანეთს მიულოცონ რაღაც სასიამოვნო რამ. მიუხედავად იმისა, რომ მათ სრულიად გულგრილად წარმოთქვამენ და ისმენენ ყოველგვარი მადლიერების გრძნობის გარეშე, მაინც არ არის ნებადართული ამ ფრაზების გამოტოვება, ვინაიდან წარმოადგენენ იმის გამოხატულებას, რაც ქვეყნად ყველაზე ძვირფასია: გამოხატულებას მეგობრობისა. და რაკი სინამდვილეში ადამიანებს ერთმანეთის იმედი არა აქვთ, თითქოსდა შეთანხმებულან მოჩვენებითი კეთილგანწყობილების გამოთქმით დაკმაყოფილდნენ.

83

მეტი არ არის საჭირო, ხუთი ან ექვსი სამეცნიერო ტერმინი თუ სმენია, კაცი მუსიკის, მხატვრობის, ხუროთმოძღვრებისა და გასტრონომიის მცოდნედ ასაღებს თავს. ჰგონია, თითქოსდა სხვებზე მეტ სიამოვნებას იღებს, როცა ისმენს, ხედავს და ჭამს. ამრიგად სხვებს საკუთარი პერსონისადმი პატივისცემას უნერგავს და თავსაც იტყუებს.

84

სამეფო კარზე არცთუ ცოტაა ისეთი ადამიანი, რომელთაც მაღალი წრის ჩვევების კარგი ცოდნა, თავაზიანობა ან სიმდიდრე გონიერებადა და დამსახურებად ეთვლებათ. იციან, როგორ შემოვიდნენ, გავიდნენ, სიტყვის უთქმელად გახდნენ მონაწილე საუბრისა, ქება-დაიმსახურონ სიჩუმით და დიდად მნიშვნელოვანი პიროვნებები გამოჩნდნენ ხანგრძლივი დუმილის ანდა ხამუშ-ხამუშ წამოსროლილი ერთმარცვლოვანი ბგერების წყალობით. გარეგნობით, ხმის ჟღერადობით, ჟესტ-მიმიკითა და ღიმილით გადიან ფონს. გავბედავ და ვიტყვი, სიღრმე ორი გოჯიც კი არ გააჩნიათ, გადაქექავთ და წააწყდებით მათ ჭეშმარიტ არსს.

85

ზოგიერთ კაცს მეხივით, მოულოდნელად დაეცემა ხოლმე წყალობა. თავდაპირველად გაკვირვებულია, დაბნეული. ბოლოს გონს მოდის და ფიქრობს, ამ ბედნიერი ვარსკვლავის ღირსი ვყოფილვარო. ვინაიდან სიშტერე და წარმატება სრულიად შეუთავსებელია და აგრეთვე შეუძლებელია ერთსა და იმავე დროს იყო იღბლიანიცა და ყეყეჩიც, იჯერებს, გონება არ მაკლიაო და ბედავს, ამას რას ვამბობ, ბედავს კი არა, დარწმუნებით მსჯელობს ყველასთან და ყველაფერზე. სულაც არაფრად აგდებს, თუ ვინ უსმენს. განა საჭიროა დავძინო, რომ თავისი უგუნური ლაქლაქით მსმენელთ თავზარსა სცემს და ზიზღს აღუძრავს. მაგრამ სიმართლე კი უნდა ითქვას, ეს კაცი სამუდამოდ ასხამს თაკლაფს იმათ, ვინც ცოტა ან ბევრად ხელი შეუწყო მის წინ წაწევას.

86

არ ვიცი რა ვუწოდო იმნაირ ხალხს, რომელთა ცბიერებას მხოლოდ სულელებთან აქვს გასავალი? ის კი ვიცი, რომ გონიერ კაცებს ამგვარი ადამიანები ვერ განურჩევიათ ერმათგან, ვისაც ეს უკნასკნელნი ატყუებენ.

ცბიერებაში წინ გადადგმული ნაბიჯია, თუ სხვას შენს თავზე აფიქრებინებ, რომ არცთუ ძალიან ცბიერი ხარ.

ცბიერება არც დიდად საქებარი და არც საძრახისი თვისებაა; მერყეობს მანკიერებასა და სათნოებას შორის. არ არსებობს ისეთი შემთხვევა, როცა მისი შეცვლა ან არ შეიძლება, ან არ უნდა შეიცვალოს კეთილგონიერებით.

ცბიერება მეტად ახლოს დგას ოინბაზობასთან, მათ შორის ზღვარი მეტად მერყეევია. მხოლოდ ტყუილია მათი გამთიშველი. ცბიერებას თუ ტყუილს დავუმატებთ, მივიღებთ ოინბაზობას.

ცბიერი ადამიანი თუ გისმენთ და ცოტას ამბობს, ილაპარაკეთ მასზე ნაკლები. თუ ბევრს ილაპარაკებთ, თქვით ცოტა.

87

თქვენი სამართლიანი და მნიშვნელოვანი საქმის გადაწყვეტა ორი კაცის თანხმობაზეა დამოკიდებული. ერთი გეუბნებათ, დაგეხმარებით, თუ მავანი წინააღმდეგი არ იქნებაო. მავანი არ არის წინააღმდეგი, მხოლოდ ნებავს დარწმუნებით იცოდეს, რა აქვს განზრახული მეორეს. ამასობაში საქმე ადგილიდან არ იძვრის. გადის თვეები, წლები, არაფერი შეცვლილა. თავგზა ამებნა, — ამბობთ თქვენ, — დავიბენი. უნდა მოხერხდეს, ისინი ერთმანეთს შეხვდნენ და მოითათბირონ. მე კი გეტყვით, ჩემთვის ყოველივე ნათელია და გასაგები, მათ უკვე მოითათბირეს.

88

მე მგონი, ის, ვინც სხვისთვის იღვწის, საკუთარ თავშია დარწმუნებული, ვით შეჰფერის კაცს, რომელიც სამართლიანობისთვის იბრძვის. ხოლო თუ თავისი თავისთვის ითხოვს და ზრუნავს, იგი

დარცხვენილია და შეშფოთებული ვით შეჰფერის კაცს, რომელიც მოწყალებას ითხოვს.

89

სამეფო კარზე იმდენი მახე იგება ვინმეს გასაპამპულებლად, რომ ჭკვიან კაცს სიფრთხილე მართებს; წინააღმდეგ შემთხვევაში ნულარ გაუკვირდება, თუ შტერები გაასულელებენ.

90

ცხოვრებაში ისიც ხდება, რომ მიამიტობასა და გულწრფელობას დახვეწილ ეშმაკობად გამოიყენებს კაცი.

91

როცა მოწყალე თვალით გიყურებენ, ყოველგვარი ხრიკი დასაშვებია, არაოდეს ცდებით და ყველა გზას მიზანთან მიპყავხართ. მაგრამ ბედმა თუ გიმუხთლათ, ყველაფერი გეშლებათ, ყოველი ბილიკი გზიდან გაცდენთ.

92

კაცს, რომელიც გარკვეულ დროს მხოლოდ ხრიკებით იძვრენდა თავს, უკვე აღარ ძალუძს უიმისოდ გავიდეს იოლად. სხვა ყოველივე მოსაბეზრებელია მისთვის.

93

ხრიკებსაც თავისებური ჭკუა სჭირდება. მაგრამ კაცს თუ მეტი ჭკუა აქვს, ინტრიგებსა და გაიძვერობაზე მაღლა დგას. დიდ ქონებასა და სახელს სულ სხვა გზებით იხვეჭს.

94

ო, არისტიდ, მაღალგონიერებითა ხართ დაჯილდოებული, ფართო ცოდნა გაქვთ, სპეტაკი პატიოსნება და უებრო ნიჭიერება. ნუ გეშინიათ, არც სამეფო კარი და არც ძლიერნი ამა სოფლისანი არ შეგრისხავენ სანამ საჭირო იქნებით მათთვის.

95

ფავორიტი საკუთარ ღირსებას ნიადაგ უნდა ელოლიავებოდეს. თორემ, თუ ჩვეულებრივზე ნაკლებ ხანს მაყურყუტებს მოსაცდელ დარბაზში, თუ შუბლგახსნილი შემხვდება და ნაკლებად შეიჭმუხნის წარბს, გულისყურით მომისმენს და შორამდეც გამაცილებს, ვიფიქრებ, მისი მზე, ალბათ, მალე ჩაესვენება-მეთქი და არც შევცდები.

ადამიანს მეტად მცირე აქვს შინაგანი კეთილშობილება, რამეთუ მარტოოდენ მარცხისა და დაქვეითების შემდეგ ხდება უფრო კაცური კაცი, უფრო დამყოლი, კეთილი და პატიოსანი.

96

სამეფო კარზე ვხვდებით კაცებს, რომელთა საუბრიდან და საქციელიდან ამკარად ჩანს, რომ სულ არ ფიქრობენ არც თავიანთ წინაპრებზე და არც შთამომავლობაზე. მათთვის არსებობს მხოლოდ აწმყო, რასაც კი არ უფრთხილდებიან, ფლანგავენ.

97

სტრატონი ორ ვარსკვლავზეა დაბადებული: ბედნიერზე და უბედურზე. მისი ცხოვრება რომანია, რაც სინამდვილეს არა ჰგავს. თავგადასავლები არ ჰქონია, ხედავდა სიზმრებს კარგსაც და ცუდსაც. აბა რას ვამბობ? მან ისეთი ცხოვრება განვლო, რომ არავის დაესიზმრებოდა. ჯერ არავის მიუღია ბედისაგან იმდენი, რამდენიც მიიღო სტრატონმა. ყოველგვარი უკიდურესობა დასტეხია თავს, არც ხელმოკლეობა ასცდენია. გაბრწყინებულა, უტანჯია, უბრალოდაც უცხოვრია, განუცდია ავიც და კარგიც. იმსახურებდა პატივისცემას ისეთი ღირსებებით, რაზედაც თვითონვე სერიოზულად ამბობდა: „ჭკვიანი ვარ, მამაცი ვარ!“ და ყველა უწყობდა ხმას: „ჭკვიანია, მამაცია!“ მაღლა იდგა თუ დაბლა, ჭეშმარიტი კარისკაცის განსახიერება იყო და შეეძლო თავის თავზე ეთქვა იმაზე მეტიც და იმაზე ნაკლებიც, რასაც სინამდვილეში წარმოადგენდა. მშვენიერი, თავაზიანი, უბადლო, შესანიშნავი, შეუდრეკელი,

ამბობდნენ მისდა საქებრად. მერე კი მის დასაწიხლად სრულიად ჴაწინააღმდეგო დახასიათება გამოიძებნა: ხასიათი დაუდგრომელი, საეჭვო, გაურკვეველი; გამოცანა, რისი გამოცნობაც შეუძლებელია.

98

მეფის წყალობა ადამიანს იმათზე მაღლა აყენებს, ვისაც მდგომარეობით უტოლდება. ხოლო რისხვა მათზე დაბლა სცემს.

ერთ მშვენიერ დღეს კაცი თუ შეძლებს მტკიცედ თქვას უარი ხახელის განდიდებაზე, ან მაღალ მდგომარეობაზე, ანდა დიდ სიმდიდრეზე, იგი უცბად გათავისუფლდება მრავალი გასაჭირისგან, ზრუნვისგან და ხანდახან ბოროტმოქმედებისგანაც კი.

99

ქვეყანა ასი წლის შემდეგაც არ შეიცვლის სახეს. დარჩება იგივე თეატრი, იგივე დეკორაცია, შეიცვლება მსახიობები. ის, ვისაც დღეს იღბლიანობის წყალობით სიხარულით ევსება გული, და ისიც, ვისაც უიღბლობის შედეგად მწუხარება და სევდა დაუფლებია, სცენას დატოვებენ. თეატრში უკვე მოდიან ახალი ადამიანები, რომელთაც მოუხდებათ იმავე პიესაში ითამაშონ იგივე როლები და ისევე გაქრნენ. და ისინიც, ვინც ჯერ არსად ჩანან, ერთ დღეს აღარ იქნებიან, ახალი მსახიობები დაიჭერენ მათ ადგილს. აბა რა იმედი უნდა გვქონდეს კომედიის პერსონაჟებისა?

100

ვისაც უნახავს სამეფო კარი, უნახავს ამქვეყნად ყველაზე წარმტაცი, ყველაზე ნატიფი და ყველაზე შემკული რამ. ვისაც უნახავს სამეფო კარი და ზიზღით აღვსილა მის მიმართ, მას მთელი ქვეყანა ეზიზღება.

101

ქალაქი პროვინციაში ცხოვრებას აზიზღებს ადამიანს. სამეფო კარი ქალაქს ხდის ნიღაბს და სამეფო კარისკენ მისწრაფებისგან კურნავს.

კეთილგონიერ ადამიანს სამეფო კარი უღვიძებს სურვილს, იცხოვროს განმარტოებით.

თავი მეცხრე

დიდებულთა შესახებ

1

ხალხი ბრმად ეთაყვანება დიდებულებს და ისე ერთსულოვნად გამოთქვამს აღტაცებას მათი მიხრა-მოხრის, გამომეტყველების, ხმისა და მანერების მიმართ, რომ დიდებულნი ცოტა მეტ სიკეთეს თუ გამოიჩენდნენ, ხალხი მათ გააღმერთებდა.

2

ჰოი, თეაჟენ, მანკიერება დედის მუცლიდან თუ დაგყოლიათ, მეცოდებით. თუ ისე სუსტი ყოფილხართ, რომ აჰყოლიხართ იმათ, ვისაც სჭირდება სწორედ ასეთი იყოთ, მათ, რომელთაც ერთმანეთს შეჰფიცეს, რომ თქვენ გაეხრწენით და უფლებაც მოიპოვეს იტრაბახონ, მიზანს მივაღწიეთო, მაშინ, გამოგიტყდებით და მეზიზღებით. მაგრამ, თუ ბრძანდებით გონიერი, თავშეკავებული, მოკრძალებული, თავაზიანი, სულგრძელი, შრომისმოყვარე, მადლიერების გრძნობით აღჭურვილი, ამავე დროს, ყოვლისშემძლეცა და დიდგვაროვანიც, აბა რად გიღირთ თავად იძლეოდეთ მისაბაძ მაგალითს და სხვას არ ბაძავდეთ, თავად არიგებდეთ სხვებს ჭკუას და სხვისი ჭკუის დარიგება არ გჭირდებოდეთ. ამ ნაძირალებს შეუთანხმდით, რომ ზრდილობის გამო მათსავით გაჰყვებით გახრწნილების, მანკიერებისა და თავაშვებულობის გზას იმ პირობით, თუ ისინიც თქვენდა პატივსაცემად ეზიარებიან ყოველგვარ სათნოებას, რაიც ესოდენ ძვირფასია თქვენთვის. დიახ, ეს დაცინვაა, მაგრამ მეტად სასარგებლო დაცინვა და დაგეხმარებათ შეინარჩუნოთ სინდის-ნამუსი და მათ გეგმები ჩაუფუშოთ. აიძულებთ, დარჩნენ ისეთი, როგორიც არიან და თქვენ დაგტოვონ ისეთი, როგორიც ბრძანდებით.

3

დიდებულებს, სხვებთან შედარებით, ერთი უდიდესი უპირატესობა აქვთ. არ გეგონოთ თითქოს ვგულისხმობდე ნაირ-ნაირ საჭმელ-სასმელს, ძვირფას ავეჯს, ძაღლებს, ცხენებს, მაიმუნებს, ჯუჯებს, მასხარებსა და ფარისევლებს; ყოველივე ეს მათთვის დამითმია. მხოლოდ მშურს, რომ ენიჭებათ ბედნიერება, სამსახურში ჰყავდეთ ადამიანები, რომლებიც მათ გულითაც და გონებითაც ეტოლებიან; ხანდახან სჭარბობენ კიდეც.

4

დიდებულებს თავი მოაქვთ, რაკი ძალუძთ გაკაფონ ტყე, გააშენონ ხეივნები, მამულებს მაღალი გალავნები შემოავლონ, ჭერი მოავარაყონ, გაიყვანონ შადრევნები, მოაწყონ ყვავილნარები. მაგრამ მათი სურვილები არცთუ ისე ყოვლისმომცველი გახლავთ, რომ ილტვოდნენ ვინმეს გულში სიამე მოჰფინონ, სულში სიხარული ჩაუღვენთონ, ხოლო უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნილს დახმარების ხელი გაუწოდონ.

5

ერთმანეთს თუ შევადარებთ სხვადასხვა მდგომარეობის ადამიანებს, მათ გასაჭირსა და კეთილდღეობას, დაგვებადება კითხვა, ხომ არ შეიმჩნევა კეთილის და ბოროტის აღრევა, ან ერთგვარი გაწონასწორება, რაიც წარმოშობს ადამიანთა გათანაბრებას, ანდა ისეთ ვითარებას მაინც, როდესაც მათ შესაშური აღარაფერი რჩებათ. მდიდარსა და ყოვლისშემძლე კაცს, ვისაც არაფერი აკლია, შეუძლია წამოჭრას ეს საკითხი, მაგრამ მისი გადაწყვეტა მარტოოდენ ღარიბს ძალუძს.

ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ ყოველ მდგომარეობას თავისებური მიმზიდველობა აქვს, რასაც მთლად მოკლებულია სიღატაკე. ამგვარად, დიდებულთ სიამოვნებას ჰგვრის გადაჭარბე-

ბული ფუფუნება, უბრალო ადამიანებს — ზომიერება. დიდებს უყვართ ბატონობა, მბრძანებლობა, პატარებს სიამოვნებთ და საპატიოდაც მიაჩნიათ ემსახურონ და დაემორჩილონ დიდებს. დიდებს ყველა გარს ეხვევა, პატივს სცემს, მტლად ედება: პატარები მათ ეხვევიან გარს, შესციცინებენ, თაყვანსა სცემენ. ერთნიც და მეორენიც კმაყოფილნი არიან.

6

დიდებულებს არაფერი უღირთ კაცს მხოლოდ სიტყვა მისცენ. საკუთარი მდგომარეობა შესაძლებლობას უქმნით მეტად იოლად გატეხონ სიტყვა. მართლაცდა უაღრესად მორიდებულნი ბრძანდებიან, თორემ უფრო ხელგაშლილად დაარიგებდნენ დაპირებებს.

7

— ეს კაცი დაბერდა და აღარაფრის თავი არა აქვს, — ამბობს დიდებული, — მთელი თავისი დღე და მოსწრება კუდში დამდევს. რა ვუყო?

რაკი უბედური კაცი ნამდვილად ღირსი იყო ამ თანამდებობისა, უკანასკნელი იმედიც გამოაცალეს და ადგილი ერთ ყმაწვილს უბოძეს.

8

— ვერ გამიგია, — ამბობთ გულგრილადა და ზიზღნარევად, — ფილანტი არც ღირსებას არის მოკლებული, არც ჭკუას და არც თავაზიანობას. საქმეს კეთილსინდისიერად ასრულებს. ერთგულად და თავგამოდებით ემსახურება პატრონს. მერედა რა, არც არავინ აფასებს სათანადოდ, არც არვის მოსწონს და არც არაფრად აგდებენ. ამიხსენით, გეთაყვა, ვის მიუძღვის ბრალი, ფილანტს თუ დიდებულს, ვისაც იგი მორჩილებს?

9

ჯობს დიდებულის სამსახური მიატოვო, ვიდრე მასზე მოიჩივლო.

10

ვის შეუძლია გამოიცნოს, რატომ ხვდება დიდი მოგება ერთს, ან დიდებულთა მფარველობა მეორეს?

11

ძლიერნი ამა სოფლისანი იმდენად ბედნიერნი არიან, რომ მთელი სიცოცხლის განმავლობაში ერთხელაც არ განიცდიან მწუხარებას არც საუკეთესო მსახურთა და არც იმ ადამიანთა დაკარგვის გამო, რომელთაც თავიანთი საქმიანობით დიდი სახელი გაუთქვამთ და დიდებულთათვის უზომო სიამოვნება და სარგებელიც მიუნიჭებიათ. კაცნი, რომელნიც თავიანთი მოღვაწეობის სფეროში ერთადერთნი და შეუცვლელნი იყვნენ, განუტევებენ თუ არა სულს, პირმოთნენი თავგამოდებით იწყებენ ჩხრეკას, რა ნაკლი გააჩნდათ მათ და აცხადებენ, განსვენებულთა შემცვლელნი უებრო და უზადონი ბრძანდებიანო. ისევე ნიჭიერი და განათლებულნი, როგორც წინამორბედნი გახლდნენ, მაგრამ მათგან განსხვავებით მცირეოდენ ხინჯსაც ვერ უპოვითო. ამგვარი სიტყვებით ამშვიდებენ მეფეს, რომელმაც დაკარგა დიადი და შესანიშნავი პიროვნებანი და ისინი შუალანებით შეცვალა.

12

მაღალი წოდების ადამიანები არაფრად აგდებენ ჭკუიან კაცებს, რომელთაც ჭკუის მეტი არაფერი აბადიათ; ჭკუიან კაცებს ეზიზღებათ მაღალი წოდების ადამიანები, რომელთაც წოდების მეტი არაფერი გააჩნიათ. წესიერ ხალხს ეცოდება ერთნიც და მეორენიც, რაკი მათ აქვთ წოდება ან ჭკუა და სხვა არავითარი ღირსებით არ გამოირჩევიან. როდესაც დიდებულთა სუფრასთან ან მის ოჯახურ წრეში ვხედავ ამ ფლიდ, გაქნილ, ქლესა, საშიშსა და მავნებელ გაიძვერებს, და, ამასთან ერთად, წარმოვიდგენ, როგორ უჭირს ღირსეულ ადამიანს შეხვდეს დიდებულს, სულაც არ მინდა დავიჯერო, თითქოსდა ავკაცებს ანგარების გამო ითმენენ, ხოლო წესიერ ხალხს უსარგებლოდ თვლიან. მარტოოდენ საფუძველი

მეძლევა დავრწმუნდე, რომ მაღალი მდგომარეობა სულაც არ გულისხმობს ადამიანის შეცნობის უნარს და არც სათნოებისა და სათნოთა სიყვარულია მისთვის სავალდებულო.

13

ლუსილს ურჩევნია მთელი სიცოცხლე შეალიოს მის მიმართ ქედმაღლურად განწყობილ დიდებულების კუდში დევნას, ვიდრე მუგობრულად გაატაროს დრო იმათთან, ვინც მდგომარეობით მისი სწორნი არიან.

ცნობილი წესი, შენზე მაღლებთან ყოფნა გერჩივნოსო, ერთ შენიშვნას მოითხოვს: ეს წესი ცხოვრებაში რომ გაატარო, მეტად თავისებური ნიჭი უნდა გქონდეს.

14

რა განუკურნებელი სენი შეჰყრია თეოფილს? აგვერ ოცდაათი წელია, რაც ავადაა და ვერ გამოკეთდა. მას სურდა, სურს და მოისურვებს ჭკუა ასწავლოს დიდებულებს. მხოლოდ სიკვდილი, სიცოცხლესთან ერთად წაართმევს დაუცხრომელ სურვილს ბატონობისა და ვინმეს დამორჩილებისა. რა არის ეს? — მოყვასზე ზრუნვა? ჩვეულება? თუ უსაზღვრო წარმოდგენა საკუთარ თავზე? არ არსებობს ისეთი სახახლე, სადაც არ შეძვრება. ხომ არ გგონიათ მოსაცდელი დარბაზის შუა გაჩერდება? ნურას უკაცრავად, ფარდის იქით გავა, ან კაბინეტში შეიჭრება. სხედან და ელოდებიან, ერთი სული აქვთ მასლაათი დაამთავროს თეოფილმა და თვითონაც ეღირსოთ აუდიენცია. თეოფილი კი ლაპარაკობს, ლაპარაკობს დაბეჯითებით, ტკეპნით, დაუსრულებლად. დიდებულთა ოჯახების საიდუმლოებანი მისთვის უცნობი არ გახლავთ. იცის, რა ულხინთ, რა უჭირთ. წინასწარ ხვდება მათ სურვილებს, მათდა სამსახურად გამზადებული. ზეიმია? ისიც იქ არის, მოდი და ნუ დაპატიჟებ. ათასი კაცის სულზე ისევე აგებს პასუხს ღვთის წინაშე, როგორც საკუთარ სულზე და მაინც ვერ შეუვსია თავისუფალი დრო და პატივმოყვარული მიზნებისთვისაც ვერ მიუღწევია. მიილტვის ზემოთ, შეჰფოფინებს უფრო დიდმნიშვნელოვან

საქმეებს, რაც სრულებით არ ეკითხება და მაინც თავგამოდებით ასრულებს. გაფაციცებით ისმენს ყველაფერს, ყველგან ძვრება, ეძიებს საკვებს თავისი გონებისთვის, რაიც ნიადაგ მზადაა გაიძ-ვერობისთვის, შუამავლობისთვისა და ხრიკების გასაბმელად. აი, ვიღაც მაღალი თანამდებობის პირი ხმელეთზე გადმოვიდა. თეო-ფილი მყისვე დაერჭო იქ, ტკიპასავით მიეკრა და არ სცილდება. სანამ თავად გონს მოვიდოდეს, უკვე ყველა ერთხმად აცხადებს, თეოფილმა ეს დიდი ბატონი თავის გავლენის ქვეშ მოიქციაო.

15

ჩვენზე მაღლა მდგომი პიროვნების უყურადღებობა და უზრდე-ლობა მისდამი სიძულვილს აღგვიძრავს; მისი თავის ერთი დაკვრა და გაღიმება კმარა, რომ შევურიგდეთ.

16

მეტოქეთა ზეაწევა ამპარტავანთ ხანდახან ათვინიერებს და ამ-დაბლებს. ამგვარი მარცხი ისე მოქმედებს მათზე, რომ მეტოქეს ესალმებიან კიდეც. მაგრამ ჟამთა სვლა, რაიც ყველაფერს გვავიწ-ყებს, აღუდგენს ბუნებრივ თვისებას — ამპარტავნობას.

17

დიდებულებს იმდენად ეზიზღებათ უბირი ხალხი, რომ სრუ-ლიად გულგრილნი არიან მათი პირმოთნეობისა და ხოტბისადმი. ამის შედეგად პატივმოყვარე გრძნობები უნელდებათ. დიდებულ-ნი და კარისკაცნი მეფეს უსასრულოდ და უსაზღვროდ აქებენ და ადიდებენ. მეფე უფრო მეტად პატივმოყვარე გახდებოდა, სათანა-დო პატივისცემა რომ ჰქონოდა იმათი, ვინც ხოტბას ასხამს.

18

დიდებულებს მხოლოდ საკუთარი თავი ჰგონიათ სრულყოფი-ლებით აღსავსე. ვერც წარმოუდგენიათ, სხვებს თუ შეიძლება ახა-

სიათებდეთ პირდაპირობა, საზრიანობა, სინატიფე. ამ იშვიათ თვისებებს ისე მიიწერენ, თითქოსდა მემკვიდრეობით დაჰყოლოდეთ. უხეშად ცდებიან, ამ ყალბი შეხედულებებით რომ იკვებებიან. მაღალი აზრები, გენიალური შთანაფიქრი, დახვეწილი გამონათქვამი, კალმის უბადლო ნაოსტატარი, სიმამაცე და კეთილშობილი ქმედებანი ყოველთვის როდი მოგვვლენია მათი წიაღიდან. გეთანხმებით, თვალუწვდენელი მამულები აქვთ, წინაპრებიც უთვალავი ჰყავთ; ამას არც არავინ ედავება მათ.

19

მართლა ხართ ჭკვიანი, დაფიქრებული, მოსაზრებული და ნატიფი? დავუჯერო პირმოთნეებსა და თითლიბაზებს, თქვენს ღირსებებზე ხმამაღლა რომ გაჰყვირიან? ეჭვს აღმიძრავენ, ვერ დავუჯერებ. ვერ დამიბნელებს თვალს თქვენი ღრმააზროვანი გამომეტყველება და ამპარტავნობა, რაიც თქვენ გაყენებთ ზემოთ ყოველივე იმისა, რაც შექმნილა, რაც თქმულა და დაწერილა. რა გაიძულებთ იყოთ ეგრე გულგრილი ხოტბისადმი და რა გიშლით ერთი სიტყვა წამოგცდეთ ვინმეს საქებრად? ყოველივე ამის შედეგად მე სრულიად უბრალოდ დავასკვნი, დიდი მფარველი გყავთ, დიდად გავლენიანი ბრძანდებით და აურაცხელ ავლა-დიდებასაც ფლობთ. აბა როგორ დავადგინო, ვინა ხართ; ტელეფონ? როგორც ცეცხლს, ისე ვერავინ გეკარებათ ახლოს. ხომ აჯობებს ჩავიხედოთ თქვენს სულში, დაგიახლოვდეთ, სხვებს შეგადაროთ, რათა საფუძვლიანი და ზუსტი აზრი შეგვექმნას თქვენზე. თქვენთან გაშინაურებულ, თქვენი ნდობით აღჭურვილ პირს, ვისაც რჩევას ეკითხებით და ვის გამოც ჩამოშორდით სოკრატესა და არისტიდეს, ვისთანაც იცინით ხოლმე და ვინც თქვენზე ხმამაღლა ხარხარებს, ერთი სიტყვით, დავს, მე კარგად ვიცნობ, მაგრამ განა ეს კმარა, რომ თქვენც კარგად გაგიცნოთ?

20

ზოგს რომ ესმოდეს, ვინ არის მისდამი დაქვემდებარებული პირი, ანდა ვინ არის თვითონ, შერცხვებოდა პირველი ადგილი რომ უჭირავს.

21

სანაქებო ორატორები თუ ცოტანი არიან, განა ბევრია ისეთი კაცი, ვისაც უნარი შესწევს მოუსმინოს მათ? არც კარგი მწერალი გვყავს ბევრი, მაგრამ სად ნახავთ ხალხს, კითხვა რომ იცის? ასევე იშვიათად მოიძებნება პიროვნება, რომელსაც შეუძლია მეფეს რჩევა მისცეს და სახელმწიფოს მართვაში დაეხმაროს. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მაინც თუ გამოჩნდება დიდი ნიჭითა და გონიერებით დაჯილდოებული კაცი და თავისი ჭკუისა და შეხედულებების მიხედვით იწყებს საქმის გაძღოლას, განა ვინმე იმდენად შეიყვარებს და პატივს სცემს, რამდენადაც იგი იმსახურებს? სამშობლოსთვის ესოდენი ზრუნვისა და სამსახურისთვის განა ვინმე აქებს? ისიც საკმარისია, თუ ხელს არ უშლიან. ფეხი თუ წაუცდა, ჰკიცხავენ, თუ წარმატებას მიაღწია, შურით სკდებიან. შევრისხოთ ხალხი, თუ მისი გამართლება სასაცილოდ ჩაითვლება. დიდებულები და ძლიერნი ამა სოფლისანი მოუცილებელ ჭირად თვლიან ხალხის უკმაყოფილებასა და შურს და ამის გამო თანდათან სულაც არაფრად აგდებენ, მის აზრს არც ერთ საქმეში არ ითვალისწინებენ; ხალხის ამგვარი უგულებელყოფა პოლიტიკის სფეროში კიდეც დაკანონდა.

დაბალი მდგომარეობის ადამიანებს ერთმანეთი სძულთ, რადგან მეტწილად ხელს უშლიან ერთმანეთს. დიდებულები ეზიზღებათ იმ ბოროტებისთვის, რასაც ისინი მათ წინააღმდეგ სჩადიან და იმ სიკეთისთვისაც, რასაც არ სჩადიან. დიდებულებს ბრალს სდებენ თავიანთი დამცირებული მდგომარეობის, სიღარიბისა და უიღბლობის გამო; რა მოგახსენოთ მართალნი არიან თუ არა, აგრე კი გახლავან დარწმუნებულნი.

22

განა არ კმარა, რომ ჩვენ იგივე სარწმუნოება გვაქვს და იგივე ღმერთი გვყავს, რაც ხალხს? აბა რა გვრჯის, ჩვენც გვერქვას პიერი, ჟანი, ჟაკი, როგორც ვიღაც ვაჭრუკანასა და მიწის მხვნელს? ვეცადოთ, არაფერი გვქონდეს საერთო ბრბოსთან. პირიქით, ხაზი გავუსვათ იმ განსხვავებას, რაც ჩვენ შორის არსებობს. ჰყავდეთ

მათ თავიანთი თორმეტი წინასწარმეტყველი, და მათი მოწაფეები, პირველი მარტვილნი (რაც ხალხია, წმიდანიც ისაა); ჯანდაბას, ინეტაროს უბირმა კაცმა და ყოველ წელს თავისი სახელწოდების დღე ზეიმით აღნიშნოს. ხოლო ჩვენ, დიდებულებმა, შევირჩიოთ წარმართთა სახელები, მოვინათლოთ ჰანიბალებად, კეისრებად, პომპეუსებად, — დიადი ადამიანები იყვნენ, ან ლუკრეციებად, — სახელგანთქმული რომაელი ქალბატონი გახლდათ; ანდა რენოებად, როქეებად, ოლივიებად, ტანკრედებად, — უებრო რაინდებად გვევლინებოდნენ და არცერთი რომანის გმირს მათზე მეტად ჯერ არ გაუბრწყინია; ჰექტორებად, აქილევსებად, — ჰერკულესებად, — ნახევრად ღმერთები ბრძანდებოდნენ; თუნდაც გვიწოდონ ფებუსი და დიანა. თუკი მოვინდომებთ, ვინ დაგვიშლის სახელად შევირჩიოთ იუპიტერი, მერკური, ვენერა და ადონისი?

23

დიდებულთ არ ნებავთ რაიმე ისწავლონ; იმას აღარ ვჩივი, ცოდნა გამოიყენონ მეფისა და სახელმწიფო მმართველობის სასარგებლოდ, საკუთარ საქმეებს მაინც მიხედონ. მათ ხომ არაფერი გაეგებათ და არ ძალუძთ გაუძღვნენ ოჯახს, თავიანთ მეურნეობას და უვიცობით თავსაც კი იწონებენ. არად აგდებენ, მოურავები თუ კადნიერად ექცევიან და ქონებას უნიავებენ. ყოყლოჩინობენ, აქაოდა ჭამა-სმის მოყვარულნი და შემფასებელნი და თაისის ან ფრინეს ხშირი სტუმრები ვართო და ნადირობაზე და ძაღლებზე საუბარი შეგვიძლიაო. ამასთან, ზუსტად იციან პარიზიდან ბეზანსონამდე თუ ფილისბურგამდე რამდენი საფოსტო გადასასვლელია. ამ დროს უბრალო მოქალაქენი ეცნობიან სამეფოს საშინაო და საგარეო საქმეებს, სწავლობენ მმართველობის სისტემას, უკვირდებიან სახელმწიფოს ძლიერსა თუ სუსტ მხარეებს, ხდებიან დახვეწილი პოლიტიკოსები და აღეძვრით სურვილი მიიღონ დიდი თანამდებობა. იღებენ კიდეც. აღწევენ მაღალ მდგომარეობას. ხდებიან ყოვლისშემძლენი და მეფეს მხარში უდგებიან ქვეყნის კეთილდღეობისათვის ზრუნვაში. და თუ ოდესღაც დიდებულნი მათ ზიზღით უყურებდნენ, ახლა ქედს იდრეკენ და ბედნიერად გრძნობენ თავს, თუ მათი სიძეები გახდებიან.

24

თუ ერთმანეთს შევადარებ ორ, სრულიად საწინააღმდეგო წოდების ადამიანებს, მინდა ვთქვა, დიდებულებსა და უბრალო ხალხს, ეს უკანასკნელი, მგონი, კმაყოფილნი არიან იმით, რომ აქვთ ის, რაც აუცილებელია, ხოლო პირველნი ვერ ჰპოვებენ სიმშვიდეს და ღარიბნი არიან, თუმცა ყველაფერი თავპირსაყრელად აქვთ. უბირ კაცს არავისთვის ცუდი არ სურს, დიდებულს არავისთვის კარგი არ სურს და დიდი ბოროტების ჩადენაც შეუძლია. ერთის ცხოვრება და საქმიანობა მარტოოდენ რაიმე სასარგებლოს ეწირება, მეორესი კი მხოლოდ ზიანის მომტანია. ერთი გულუბრყვილოდ ტლანქი და ალალმართალია; მეორე თავაზიანობის საფარქვეშ ცბიერებასა და გახრწნილებას მალავს. ხალხი ჭკუით არის ღარიბი, დიდებულნი — სულით. იმათ შინაგანი სამყარო აქვთ მშვენიერი და გარეგნობა დაუხვეწავი; ამათ მარტოოდენ გარეგნობა, ზედაპირი აქვთ დახვეწილი და სხვა არაფერი. არჩევანზე თუ მიდგა საქმე, ოდნავადაც არ ვიყოყმანებ, ვამჯობინებ ვიყო ხალხი.

25

რაც უნდ გაქნილი იყოს კარისკაცი, რაც უნდ დაოსტატებული — გამოჩნდეს ის, რაც არ არის და არ გამოჩნდეს ის, რაც არის, მაინც ვერ ახერხებს დაფაროს ცბიერება, მიჩქმალოს მიდრეკილება, დასცინოს მოყვასს და მასხარად აიგდოს ის, რაც სრულებით არ იძლევა ამის საბაბს. დიდებულის ეს იშვიათი ნიჭი თვალის ერთი შევლებით მჟღავნდება და უბადლოა, როცა ბრიყვის გასაპამპულებლად არის მომარჯვებული და ასულელებს იმას, ვინც ისედაც სულელია. მაგრამ ამავე ნიჭის წყალობით კარისკაცები ჭკარგავენ შესაძლებლობას დაიახლოონ ჭკვიანი კაცი, რომელიც მათ გადაუშლიდა თავის საამურსა და წარმტაც შინაგან სამყაროს და დიდ სიამოვნებასაც განაცდევინებდა. პირიქით ხდება, კარისკაცის სახიფათო ხასიათი ჭკვიან კაცს მეტად ფრთხილსა და თავშეკავებულს ხდის. ისე სერიოზული და გულჩახვეულია მათთან, რომ თვით ყველაზე ენაკვიმატი და დამცინავი ოინბაზიც კი, რაც უნდ ბოროტი ზრახვებით იყოს გამსჭვალული, ვერ ახერხებს კბილი გაჰკრას.

26

ამქვეყნიური ყველა სიკეთე, სიუხვე, მშვიდი ცხოვრება მეფეს ისე ალაღებს, რომ ეცინება ჯუჯაზე, მაიმუნზე, ყეყეჩზე და შტერულ ამბებზე: ნაკლებ ბედნიერი ადამიანები მხოლოდ იმაზე იცინიან, რაც ჭეშმარიტად სასაცილოა.

27

დიდებულს შამპანური უყვარს, ეზიზღება ბრის ღვინო. იგი უფრო ძვირფასი ღვინით თვრება, ვიდრე მდაბიო. სრულიად საპირისპირო მდგომარეობის ადამიანთა დროსტარება მხოლოდ ამით განსხვავდება ერთმანეთისგან; დიდი სენიორის ღრეობა—უბირი კაცის ღრეობისგან.

28

ერთი შეხედვით გეგონებათ, მეფეებს ზოგჯერ სიამოვნებთო სხვების შეწუხება. არა, აგრე არ გახლავთ. მეფენიც ადამიანები არიან. საკუთარ თავზე ზრუნავენ. ცდილობენ ფრთა შეასხან თავიანთ მისწრაფებებს, დაიკმაყოფილონ ვნებები და ლაღად იგრძნონ თავი. ეს ხომ სრულიად ბუნებრივია.

29

როგორც ჩანს, მაღალი თანამდებობისა და გავლენიან პირთა უპირველესი კანონია, მათთან თხოვნით მოსულ კაცს, ვისი ბედიც სწორედ მათზეა დამოკიდებული, შეუქმნან ისეთი დაბრკოლებები, რისი უბრალო წარმოდგენაც კი თავზარსა სცემს მთხოვნელს.

30

დიდი ბატონი თუ სხვებზე ერთგვარად ბედნიერია, ეს ბედნიერება, ჩემის აზრით, სხვა არა უნდა იყოს რა, თუ არა ის, რომ ძალაუფლებაცა და შემთხვევაც ეძლევა მოყვასი გაახაროს. როგორც კი წარმოიშვება ამგვარი შემთხვევა, რაღა თქმა უნდა, უკან არ უნდა დაიხიოს, განსაკუთრებით მაშინ, როცა მაღალი ზნეობის კაცზე მიდგება ჯერი. ფხიზლად ადევნებდეს თვალს, რათა მისი

საქმე მხედველობიდან არ გამოეპაროს. რაკი შეუძლებელია ასეთი კაცი მართალი არ იყოს, დიდებული თხოვნას არ უნდა დაელოდოს, თავადვე იზრუნოს და შეხვდეს მხოლოდ იმისთვის, რომ მადლობა მიიღოს მისგან. ხოლო საქმე თუ უმნიშვნელო იყო, არც გაიხსენოს და მადლობაც ზედმეტად ჩათვალოს. დიდი ბატონი მაღალი ზნეობის კაცს თუ უარით გაისტუმრებს, ვფიქრობ, ორივე ერთნაირად არის სიბრალულის ღირსი.

31

ზოგიერთები დაბადებით უკარებანი არიან. მერედა ვინ, სწორედ ისინი, ვისზედაც იმათი ბედ-იღბალია დამოკიდებული, ვისი მბრძანებლებიც თავადვე არიან. ამგვარი კაცები სულ ფეხზე დგანან, ვერცხლისწყალივით დაუდგრომელნი ფუსფუსებენ, ხელებს აქეთ-იქით აქნევენ, ყვირიან, დაბორიალებენ ბაზრობაზე ხალხის გასართობად გამოფენილ მუყაოს თოჯინებივით, რომლებიც მაშხალებს ისვრიან, ბოლს აყენებენ და ისეთ გამაყრუებელ ჭექა-ქუხილს ტეხენ, რომ სანამ არ ჩაიფერფლებიან ვერ მიუდგები ახლოს. უკარებელნიც ასევე ეშვებიან ძირს, ხდებიან მისაწვდომნი, მაგრამ უსარგებლონი.

32

შვეიცრები, პირფარეშები, ლივრეიანი ლაქიები თავიანთ მდგომარეობაზე გონებით მაღლა თუ არ დგანან, საკუთარ თავზე წარმოდგენას იქმნიან არა თავიანთი წოდების, არამედ იმათი დიდებისა და სიმდიდრის მიხედვით, ვისაც ემსახურებიან. განურჩევლად ყველას, ვინც მათ ბატონთა კარებს შეაღებს და კიბეზე ავა, თავიანთ თავზე და ბატონებზე დაბლა აყენებენ. რა მართალი ნათქვამია, გმართებს მოთმენა ბატონისა და მისი ყმათა.

33

შეიცნო ადამიანის ღირსება და სათანადოდ დააჯილდოო, არის ორი დიდად მნიშვნელოვანი და გადაუდებელი საქმე, რის განხორციელების უნარიც წარჩინებულთა უმრავლესობას არ შესწევს.

34

წარჩინებულ მოხელეს უნდა უყვარდეს მეფე, თავისი ცოლ-შვილი და მათ შემდეგ დიდად გონიერი ადამიანები, რომელთაც უნდა იახლოებდეს და ცდილობდეს ყოველთვის გვერდით ჰყავ-დეს. ამგვარი კაცები იმდენ სამსახურსა და დახმარებას უწევენ, ხშირად მისდა შეუმჩნევლადაც კი, რომ წარჩინებული მოხელე დიდი პენსიებითა და უხვად გაცემული ჯილდოებით კი არა, მე-გობრობითა და ალერსითაც ვერ შეძლებს მათი ამაგის ანაზღაურე-ბას. რამდენი ჭორი გაუფანტავთ! რამდენი ამბავი გადაუქცევიათ ზღაპრულ მონაჩმახად! მათ ხომ შეუძლიათ მარცხი კეთილი ზრახ-ვებით გაამართლონ, ხოლო წარმატების შემთხვევაში დაამტკიცონ, თუ რაოდენ ზუსტი იყო შთანაფიქრი და რაოდენ სრულყოფილი მისი განხორციელება; ხმა აღიმაღლონ სიბოროტისა და შურიანო-ბის წინააღმდეგ და ღირსეული საქმენი უფრო მეტად ღირ-სეული მისწრაფებების შედეგად გამოაცხადონ; ფათერაკიან საქ-ციელს გასამართლებელი საბაბი გამოუძებნონ; უმნიშვნელო ცოდვებს ხელი დააფარონ, სიქველე მთელი ბრწყინვალებით გა-მოამზეურონ; სადაც კი მოხვდებათ, ათჯერ და ათასჯერ მხარი და-უჭირონ სასარგებლო წვრილმანებსა და გარემოებებს და ვინმე თუ გაბედავს და ამის თაობაზე ეჭვს ან საწინააღმდეგო მოსაზრებას გამოთქვამს, დაცინვაც არ დააკლონ. მე ვიცი, წარჩინებულთ წესად აქვთ, ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო, მაგრამ მე ისიც ვიცი, რომ არაერთხელ მომხდარა, როცა ვისაც რა უნდა ის უთქვამს და ხელიც შეუშლია მათი საქმისთვის.

35

შენა ხარ დიდი, შენა ხარ ყოვლისშემძლე და ეს საკმარისი არ გახლავს; ჰქმენ ის, რომ პატივს გცემდე და მწუხარებას მივე-ცე, თუ შენი კეთილგანწყობილება მომაკლდება ან მის დამსახუ-რებას ვერ შევძლებ.

36

ერთ დიდებულზე თუ წარჩინებულ მოხელეზე მეუბნებით, კე-თილმოსურნეა, გულმოწყალე და უყვარს, თუ ვინმეს ასიამოვ-

ნებსო. ამის დასტურად წვრილ-წვრილად ჩამომითვლით, რაც გაკეთა, გაიგო თუ არა, ეს საქმე თქვენ რომ გეჯებოდათ. გასაგებია, ხელგაშლილი გეგებებიან და დახმარებას გიწევენ, მაშასადამე, გავლენიანი პირი ბრძანდებით, გიცნობთ მინისტრი, დაახლოებული ხართ მაღალ წრეებთან. განა თქვენ არ ინებეთ სწორედ ეს გეგრძნობინებინათ ჩემთვის?

ვიღაც გეუბნებათ: „მავანზე ნაწყენი ვარ, რაც დაწინაურდა ცხვირი აიბზუა, ზიზღით მიყურებს და აღარც მცნობსო“. თქვენ მიუგეთ: „მე კი საყვედური არ მეთქმის, პირიქით, უაღრესად კმაყოფილი ვარ მისი, ჩემის აზრით, საკმაოდ თავაზიანი გახლავთ“. ახლაც მიგიხვდით, გსურთ, ყველამ შეიტყოს, მაღალი თანამდებობის პირი ყურადღებიანია თქვენს მიმართ და კიდეც გარჩევთ მის მოსაცდელ დარბაზში თავმოყრილ ათას პატიოსან კაცს შორის, რომელთაც თვალს არიდებს, რადგან ეშინია არ გადაეყაროს ისეთ უსიამოვნებას, როგორიცაა ვინმესთვის სალმის მიცემა ან გაღიმება.

როცა ვამბობთ, მავანი წარჩინებული პირით ან მავანი დიდებულით კმაყოფილნი ვართო, უნდა ვიცოდეთ, ჩვენი ნათქვამი მეტად საჩოთირო წარმოშობისაა და სრულიად აშკარად მიანიშნებს, თვითონვე რომ ვართ ჩვენი თავის კმაყოფილნი, რაკი ვაცხადებთ, წარჩინებულმა მოხელემ ჩვენზე დიდი სიკეთე დათესაო, რაც, შესაძლებელია, არც დასიზმრებია მას.

დიდებულებს უფრო ხშირად იმისთვის აქებენ, რომ გამოამჟღავნონ მათთან სიახლოვე და უფრო იშვიათად — მათდამი პატივისცემა და მადლიერება. ზოგჯერ არ იცნობენ იმას, ვისაც აქებენ. ხანდახან პატივმოყვარეობა ან თავქარიანობა წყენაზე ძლიერია და აქებენ იმას, ვისი უკმაყოფილოც არიან.

37

საეჭვო საქმეში გარევა სახიფათოა; უფრო მეტად დამღუპველია, თუ თანამონაწილედ დიდებული გყავთ. ის თავს დაიძვრენს, ხოლო თქვენ დაგეკისრებათ ორმაგი პასუხისმგებლობა, თქვენსა და მის მაგივრად.

38

ხელმწიფეს მთელი თავისი ხაზინა არ ეყოფოდა სულმდაბალ პირმოთნეთა დასაჯილდოებლად, თუკი მათ ნათქვამს ჭეშმარიტებად ჩათვლიდა. არც ძალაუფლება ეყოფოდა მათ დასასჯელად, თუ მისი შურისძიება მათგან მიყენებულ ზარალს გაუტოლდებოდა.

39

თავადაზნაურობა სიცოცხლეს არ იშურებს სამშობლოს საკეთილდღეოდ და ხელმწიფის სადიდებლად. მართლმსაჯულების მსახურნი მეფეს ქვეშევრდომზე ზრუნვას ნაწილობრივ უმსუბუქებენ. ერთნიც და მეორენიც აღასრულებენ მაღალზნეობრივსა და ღირსეულ მოვალეობას. ადამიანთა საქმიანობისათვის უფრო კეთილშობილი სარბიელი არ არსებობს. ვერ გამიგია, სასამართლოს მოხელეებს და სამხედრო პირთ აგრე რიგად რატომ სძულთ ერთმანეთი.

40

თუ დავუშვებთ, რომ ამქვეყნიური ნეტარებისთვის, სიმდიდრისა და დროსტარებისთვის გაჩენილი დიდებული უფრო მეტს სწირავს, როცა საკუთარ სიცოცხლეს საფრთხეში იგდებს, ვიდრე უბირი კაცი, ვისი დღენიც სიღატაკეში მიედინება, ისიც უნდა ვაღიაროთ, დიდებული მეტ ჯილდოსაც იღებს, — სახელსა და დიდებას. ჯარისკაცი სახელის მოხვეჭაზე არ ფიქრობს, მოკვდება სხვებთან ერთად და არავინ ახსენებს. მართალია, სიცოცხლეშიაც არავინ იცნობდა, მაგრამ ხომ ცოცხლობდა. სწორედ ამის შედეგად უბირსა და ტლუს სიმამაცე აკლია. პირიქით, მაღალი წარმოშობის ადამიანი ბრბოსგან გამოირჩევა და იძულებულია თავისი ავ-კარგი ყველას თვალწინ გამოჰფინოს, დაიმსახუროს ხალხის გაკიცხვა ან ქება. ამიტომაც, თუ სიქველე დაბადებით არ დაჰყოლია, თავს ძალას ატანს, ოღონდ ბუნება შეიცვალოს. და ეს გულითა და გონებით ნაკარნახევი მისწრაფება, პაპის პაპათაგან რომ გადაეცემა მამებსა და შვილებს, გახლავთ სიმამაცე, ესოდენ დამახასიათე-

ბელი კეთილშობილ ადამიანთათვის; სიმამაცეო ვამბობთ, იქნებ თვით კეთლიშობილებაც.

აბა ჩამაგდეთ ლაშქარში როგორც უბრალო ჯარისკაცი, მე ტერსიტი ვიქნები; ჩამაყენეთ ლაშქრის სათავეში და გამიშვით შევებრძოლო მთელს ევროპას, — აქილევსი ვიქნები.

41

ტახტის მემკვიდრეები ყოველგვარი განსწავლულობისა და კანონების ცოდნის გარეშე დაუფლებულნი არიან შედარების ხელოვნებას. დაიბადნენ და აღიზარდნენ გარემოში, სადაც ყოველივე საუცხოოსა და ამაღლებულს მოუყრია თავი. და მათ ადარებენ იმას, რასაც კითხულობენ, ხედავენ და ისმენენ. ვაი მას, ვინც არ ეტოლება ლულის, რასინსა და ლე ბრენს.

42

ნორჩ ტახტის მემკვიდრეებს ასწავლო მხოლოდ ის, თუ როგორ ეჭიროთ ღირსეულად თავი, ზედმეტი სიფრთხილეა, რამეთუ სამეფო კარი თავს ვალდებულად რაცხს და ზრდილობის უმაღლეს გამოვლინებად თვლის გამოხატოს უღრმესი პატივისცემის გრძნობა მათდამი. ამასთან ერთად, უფლისწულნი შესანიშნავად გახლავან გათვითცნობიერებულნი, თუ რა უფლებებს ანიჭებთ საკუთარი წარმოშობა; სამაგიეროდ არცთუ კარგად ერკვევიან კარისკაცთა ღირსებებში. ერთნაირად ეპყრობიან ყველას და ვერ განარჩევენ ვერც მათ მდგომარეობასა და ვერც წარჩინებას. სიამაყე თანდაყოლილი აქვთ და საჭიროების შემთხვევაში თავისთავად მჟღავნდება; ის კია, უნდა ვასწავლოთ, როგორ მოთოკონ იგი. შთავაგონოთ სიკეთე და პატიოსნება, გავუღვივოთ ადამიანთა შეცნობის უნარი.

43

აღზევებული ადამიანის მხრივ წმინდა წყლის თვალთმაქცობაა, თუ მაშინვე არ დაიკავებს მისთვის განკუთვნილ ადგილს,

რასაც ყველა უთმობს. არაფერი უჯდება იყოს მოკრძალებული, გაერიოს ბრბოში, რომელიც მისი გამოჩენისას აქეთ-იქით იხევს; თავყრილობაზე სადღაც მიიკუჭოს, რათა ყველამ თვალი მოჰკრას და კისრისტეხით მოირბინოს, აქაოდა სად დაბრძანებულხართო და სათანადო ადგილი მიუჩინოს. მოკრძალება მძიმე ტვირთია უბრალო მოხელისთვის. გაერევა ბრბოში და იქნება გაჭყლიტონ კიდეც. აირჩევს მოუხერხებელ ადგილს და იქვე დატოვებენ.

44

არისტარქე მაცნესა და მებუკესთან ერთად გამოდის მოედანზე. გაისმის ბუკის ხმა, უამრავი ხალხი იყრის თავს. მაცნე აცხადებს: „ისმინეთ, ხალხნო და ჯამაათნო, ყურადღებით ისმინეთ! სიჩუმე, სიჩუმე. თქვენს წინაშეა არისტარქე, ის ხვალ კეთილ საქმეს ჩაიდენს!“ მე გეტყვით უფრო უბრალოდ, ხატოვნების გარეშე: ვიღაც კარგად იქცევა! ხომ არ სურს უკეთესად მოიქცეს? მე ნუმეცოდინება, სიკეთეს რომ ჩადის, ნუ მეცოდინება თვით მისგან.

45

საუკეთესო საქციელიც კი ფერს ჰკარგავს და კნინდება, თუ სათანადო ღირსება არ ახლავს, შესაძლოა ეჭვი შეგეპაროთ მისი განზრახვის სიწმინდეში. ვინაც მფარველობს ან ხოტბას ასხამს სათნოებას სათნოების დასაცავად, ვინაც ასწორებს ან ჰკიცხავს მანკიერებას მანკიერების აღსაგველად, იქცევა უბრალოდ, ბუნებრივად, უსიტყვოდ, ყოველგვარი გატყლარჭვის, თავმოწონებისა და თითლიბაზობის გარეშე. არ ღაღადებს გაფუყულად და ჭკუისდამრიგებლურად და უფრო ნაკლებ ენამწარედა და დამცინავად. წარმოდგენას კი არ უმართავს ხალხს, არამედ აძლევს კეთილ მაგალითს და თავის ვალს იხდის. საკუთარი მოქმედებით საკვებს როდი იძლევა ბანოვანთა ეღურტულისათვის, კაბინეტური მასლაათისთვის, ცხელ-ცხელი ამბების მოყვარულთათვის. არცთუ ვიღაც კოხტაპრუწას აწვდის მასალებს საამური ლაქლაქისთვის. ამის შედეგად, რაც მართალია, მართალია, კეთილი საქმე ყველასთვის ვეღარ იქნება ცნობილი, მაგრამ ხომ დათესა სიკეთე, მეტი რაღა უნდა?

46

დიდებულებს გულზე არ უნდა ეხატებოდეთ პირველყოფილი დრონი, რაიც მათთვის მაინცდამაინც სახარბიელო არ გახლავთ; მათთვის სამწუხაროა, ყველას წინაპრები რომ იყვნენ იგივე ძმა და იგივე და. ადამიანები ერთ ოჯახს წარმოადგენენ: ზოგი ახლო ნათესავია, ზოგი შორეული.

47

თეონისი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ჩაცმულობას და ქალივით მორთულ-მოპრანჭული გამოდის გარეთ. თავისი სახლის ზღურბლს გადააბიჯებს თუ არა, სათანადოდ მომართავს თვალთა მზერასაცა და სახის იერსაც. რათა იარაღასხმული მოევლინოს საზოგადოებას, არაფერი გამოეპაროს და უცნობი გამვლელებიც კი დაატყვევოს თავისი სიკოხტავითა და მომხიბვლელი ღიმილით. დარბაზებში მიბრუნდება მარჯვნივ, სადაც ბევრი ხალხია, მარცხნივ, სადაც არავინ არის; ესალმება იმას, ვინც იქ ბრძანდება და იმათაც, ვინც არ ბრძანდება. ვისაც მოიხელთებს გადაეხვევა, ჩაიხუტებს, გულში ჩაიკრავს, მერე იკითხავს, ვინ არისო. მავანს მისი დახმარება სჭირდება. იოლი საქმეა. თეონისთან მოდის, სთხოვს. თეონისი ყურადღებით უსმენს. აღტაცებულია, თუ რაღაცაში გამოადგება. ეხვეწება, იქნებ კიდევ რამე გჭირდება, მზადა ვარ შენდა სამსახურადო. ამ კაცს სხვა არაფერი უნდა, ეს ერთი საქმე აქვს მხოლოდ და უმეორებს თხოვნას. თეონისი უცხადებს, არ შემიძლია, მაგ საქმეში ვერაფერს გავაწყობო. ეხვეწება, ჩემს ადგილზე წარმოიდგინეთ თავი და თავად განსაჯეთო. მერე ისე ალერსიანად აცილებს, ისე დათაფლული ენით ემშვიდობება, რომ მთხოვნელი მიდის დარცხვენილი და თითქმის კმაყოფილი, რაკი უარი მიიღო.

48

თუ კაცს მაღალი თანამდებობა უჭირავს და დარწმუნებულია მისი ვითომცდა ალერსიანი სალამ-ქალამი და ხანგრძლივი, მაგრამ გულგრილი ხვევნა-კოცნა ატყვევებს ხალხს, ეს იმის მაუწყებელი

გახლავთ, რომ იგი ძალიან ცუდი აზრისაა ადამიანებზე და თან ძალიან კარგად იცნობს მათ.

49

პამფილი დარბაზებში და სამეფო კარზე მხოლოდ იმათ ესაუბრება, ვინც ითმენს მის მაღალფარდოვნებასა და ქადაგებას. აძლევს მათ აუდიენციას, იღებს და აცილებს, ყველასთან თავაზიანია, ქედმაღალი, ამპარტავანი, ყალბი სიდიადე ამდაბლებს მას, ანაღვლიანებს მის მეგობრებს და იმათ, ვისაც არ ეზიზღება იგი.

პამფილისნაირი კაცი საკუთარი თავისადმი რწმენით არის აღვსილი, ტკბება თავისი თავით, ნიადაგ ფიქრობს თავის სიდიადეზე, გავლენიან ნაცნობობაზე, თანამდებობაზე, წოდებაზე. ასე რომ ვთქვათ, აგროვებს ყველა ამას ერთად და შიგ ეხვევა, რათა მეტი დაფასება მოიხვეჭოს. ამბობს: „ჩემი ორდენი, ჩემი ლურჯი ლენტი". გამოჰფენს ორდენს, ან თავმომწონედ მალავს. ერთი სიტყვით, ასეთ პამფილს ნებავს იყოს დიდებული, ჰგონია, რომ არის დიდებული და არ არის, მიემსგავსება დიდებულს. ხანდახან თუ გაუღიმებს უკანასკნელზე უკანასკნელ ანუ ჭკუიან კაცს, ისე ზუსტად შეარჩევს დროს, რომ დანაშაულზე ვერავინ წაასწრებს. სირცხვილი ხომ დაწვავდა, მისდა საუბედუროდ, ვინმეს რომ ეჭვი შეეტანა, თითქოსდა ცოტაოდნავ მაინც კადრულობსო ისეთ ვიღაცას, რომელსაც არაფერი აბადია, არც ქონება, არც გავლენა, არ არის მინისტრის მეგობარი, არც მისი მოყვარე, არც მასთან შეკედლებული. პამფილი სასტიკი და ულმობელია იმათ მიმართ, ვისაც ჯერ არაფერი მოუხვეჭია. ერთ დღეს შეგნიშნავთ გალერეაში და თვალს აგარიდებთ. ხოლო მეორე დღეს, თუ ისეთ ადგილას შეგხვდათ, სადაც ხალხი ნაკლებად ირევა და თუნდაც ხალხი ბევრი იყოს, მაგრამ თქვენ დიდებულის გვერდით იმყოფებით, მხნეობას იკრებს, გიახლოვდებათ და გეუბნებათ: „გუშინ ისეთი სახე მიიღეთ, თითქოს ვერ შემამჩნიეთ". ხან უეცრად მიგატოვებთ და გამოუდგება ვიღაც სენიორს ან მინისტრის პირველ თანაშემწეს. ხან, თუკი გნახავთ, ამავე სენიორის ან მინისტრის პირველ თანაშემწეს ესაუბრებით, სიტყვას გაწყვეტინებთ და გაგიტაცებთ. სხვა დროს თქვენ მიუახლოვდებით, არც შეჩერდება, გაიძულებთ

უკან გაჰყვეთ და ისე ხმამაღლა გელაპარაკებათ, რომ გამვლელნი შემოგყურებენ, თითქოს სცენაზე იმყოფებოდეთ. და მართლაც, პამფილები ნიადაგ ისე გრძნობენ თავს, ვითომც თეატრალურ წარმოდგენაში მონაწილეობდნენ. მათი საკვები სიყალბეა და ყველაზე მეტად ბუნებრიობა სძაგთ. ნამდვილი კომედიის პერსონაჟები არიან, ფლორიდორები, მონდორები.

პამფილებზე სალაპარაკოს აბა რა გამოლევს: დამდაბლებულნი და დაშინებულნი არიან მეფეთა და მინისტრთა წინაშე, კადნიერნი და საკუთარ თავში დარწმუნებულნი იმათ წინაშე, ვისაც სათნოების გარდა, სხვა არაფერი გააჩნია; დამუნჯებულნი და შებორკილნი სწავლულთა წინაშე; ყბედნი, თამამნი და შეუხრელნი უვიცთა წინაშე; მოსამართლეს ომზე ელაპარაკებიან, ფინანსისტს პოლიტიკაზე, ქალებს — ისტორიაზე; ექიმთან პოეტები არიან, პოეტთან — მათემატიკოსები. თავს არ იცხელებენ არავითარი ცხოვრებისეული ნორმებით, მით უმეტეს, პრინციპებით. როგორც მოხვდებათ, ისე მიჰყვებიან ცხოვრების დინებას, ქარი მათ სასარგებლოდ უბერავს და მიექანებიან წინ, სულ წინ, სიმდიდრისკენ. საკუთარი აზრები არ მოეპოვებათ და სესხულობენ, როცა საჭიროება მოითხოვს. სესხულობენ არა ჭკვიანი ან სათნო ადამიანებისგან, არამედ იმათგან, რომლებიც მოდაში არიან შემოსულნი.

50

დიდებულთა და წარჩინებულ მოხელეთა მიმართ უნაყოფო შურიანობითა და უძლური სიძულვილითა ვართ გამსჭვალულნი. ძალა არ შეგვწევს მათ ბრწყინვალებასა და აღზევებაზე ვიძიოთ შური და ამის შეგნება უფრო მეტად გვიმძაფრებს ჩვენი უბედურებითა და სხვისი ბედნიერებით გამოწვეულ მწუხარებას. რა ვქნათ, როგორ განვიკურნოთ ამ აგრე რიგად დაძველებული და გადამდები სენისგან? ვიკმაროთ ცოტა და თუკი შესაძლებელია, უფრო ცოტაც; შევეგუოთ წაგებას. ასეთ შემთხვევაში უკეთესი წამალი არ მოიპოვება და მე თანახმა ვარ მივიღო იგი, რაკი აღარ დამჭირდება ვეხვეწო და ვემუდარო შვეიცარს ან გული მოვულბო მდივანს; აღარც კარებთან მიმაჭეჭყებენ იმ ურიცხვ მთხოვნელთან და კარისკაცთან ერთად, რომლებიც დღეში რამდენჯერმე პი-

რამდე ავსებენ მინისტრის სახლს; აღარც ვიყურყუტებ მის მოსაცდელ დარბაზში, აღარც კანკალითა და ლუღლუღით ვთხოვ დახმარებას სამართლიან საქმეში; აღარ მჭირდება ავიტანო მისი ქედმაღლობა, მისი მწარე დაცინვა და მოკლე პასუხები. მორჩა, არ მძულს იგი, არ მშურს მისი. არაფერს მთხოვს, არაფერს ვთხოვ, თანაბარი მდგომარეობა შეგვექმნა. მაგრამ, ვეჭვობ, მთლად ასე არ უნდა იყოს; ის მშვიდად არ არის, მე კი მშვიდად ვარ.

51

დიდებულებს თუ ხშირად ეძლევათ საშუალება სიკეთე მოგვიტანონ, იშვიათად აღეძვრებათ ეს სურვილი; და თუ აღეძვრებათ სურვილი ზიანი მოგვაყენონ, იშვიათად ეძლევათ ამის საშუალება. ასე და ამგვარად, ადამიანები შეიძლება შეცდნენ, თუ კერპად გაიხდიან მათ მხოლოდ იმედისა და შიშის შედეგად. ზოგიერთი ხან ისე განვლის ხანგრძლივ სიცოცხლეს, რომ ერთი ბეწო სიკეთე არ უნახავს და არც დავალებული ყოფილა მათგან სიღარიბითა თუ სიმდიდრით. გვმართებს პატივსა ვცემდეთ, რადგანაც ისინი დიდები არიან, ჩვენ კი პატარები ვართ და რადგანაც სხვებს, ჩვენზე პატარებს, მართებთ ჩვენ გვცემდნენ პატივს.

52

სამეფო კარზეც, ქალაქშიც ვხედავთ ერთსა და იგივე ვნებებს, მანკიერებას, სიმხდალეს, უგუნურობას; ერთნაირ უსიამოვნებას ოჯახში და ნათესავებს შორის, მეშურნეობას, სიძულვილს. ყველგან რძლები და დედამთილები, ცოლები და ქმრები, განქორწინებები, კინკლაობა, დროებითი შერიგება. ყველგან შუღლი, მრისხანება, მიკერძოება, დაბეზღება და, როგორც იტყვიან, ავყიობა. ვისაც უჭრის თვალი, არ გაუჭირდება დაინახოს, პატარა ქალაქი, სენ-დენის ქუჩა იგივეა, რაც „ვ“ ან „ფ“. მხოლოდ აქ უფრო მეტი სიამაყითა და ქედმაღლობით სძულთ და, შესაძლებელია, უფრო მეტი ღირსებით. მტრობენ უფრო მოქნილად და მეტი ცბიერებით; მრისხანება მეტად მშვევრმეტყველია და ერთმანეთს უფრო ზრდილობიანად და ნატიფად ლანძღავენ. არ შეურაცხყოფენ ენის

სიწმინდეს, შეურაცხყოფენ მხოლოდ ადამიანს და მის სახელს. მანკიერება გარედან შელამაზებულია, შიგნით კი იგივეა, რაც ყველაზე უგვანო პირობებში წარმოიშვება: რა სიმდაბლე, რა უხამსობა, რა გაიძვერობა გინდათ, რომ არ გვხვდებოდეს იქ. და ეს კაცები, აგრე რიგად ამაღლებულნი თავიანთი წარმოშობით, ან ვინმეს წყალობით, ანდა საკუთარი დამსახურებით, ბრძენნი და ნიჭიერნი, და ეს ქალები, ესოდენ ტურფად აღზრდილნი და გონიერნი ზიზღს ვერ ფარავენ ხალხის მიმართ, თუმცა თავადვე არიან ხალხი.

იტყვი, ხალხიო, ამბობ, ერთზე მეტიო. ფართო ცნებაა და გაოცდები, თუ ნახავ, რაოდენ უსაზღვროა მისი მნიშვნელობა და მისი სივრცე. ხალხს თუ განვიხილავთ დიდებულთა თვალსაზრისით, მივიღებთ „ბრბოს“ და „მდაბიოთ“; ხოლო ბრძენი, ნიჭიერი და სათნო ადამიანები ხალხის ცნებაში გულისხმობენ დიდებსაც და პატარებსაც.

53

დიდებულები მხოლოდ გრძნობებს არიან აყოლილი. ამ უსაქმურ ადამიანთა სულს თავდაპირველად ყოველივე აღაფრთოვანებს. მოხდება რაღაც; ჯერ მითქმა-მოთქმას დასასრული არა აქვს, მალე კანტიკუნტად ახსენებენ, მერე აღარაფერს ამბობენ და აღარც იტყვიან ოდესმე. ღვაწლი, მოქმედება, ნაწარმოები, შემთხვევა, ყველაფერი მივიწყებას ეძლევა. ნუ მოითხოვთ მათგან აზრის შეურყევლობას, გამჭრიახობას, საზრიანობას, მადლიერებასა და ჯილდოს.

54

ზოგიერთი კაცის მიმართ ერთმანეთის საპირისპირო აზრი იქმნება. მოკვდება და ხალხში მისი დაცინვა გაისმის. ხოლო ტაძრის თაღებქვეშ მისი ქება და ხოტბა გუგუნებს. ამგვარი ადამიანები ხანდახან არ იმსახურებენ არც პასკვილებსა და არც სამგლოვიარო სიტყვებს, ხანდახან კი ღირსნი არიან ერთისაც და მეორისაც.

ჯობს არაფერი თქვა ამა ქვეყნის ძლიერთა შესახებ. კარგს იტყვი და პირმოთნეობად ჩაგეთვლება, ცუდს იტყვი და ხიფათს უნდა მოელოდე, სანამ ცოცხლები არიან, მოკვდებიან და უსინდისობაა განსვენებულის გაკიცხვა.

თავი მეათე

მონარქის ანუ სახელმწიფოს შესახებ

1

კაცი წინასწარ შეგონებული თუ არ არის სამშობლოს საწინააღმდეგოდ ან სასარგებლოდ, როდესაც მმართველობის სხვადასხვა სისტემას ერთმანეთს შეადარებს, ვერ გადაწყვეტს, რომელი რომელს სჯობს. ყოველ მათგანს აქვს თავისი ავიცა და კარგიც. ყველაზე გონივრულია საუკეთესოდ ჩათვალო იმ ქვეყნის მმართველობა, სადაც დაბადებულხარ და შეეგუო მას.

2

ქვეყნის მართვისთვის ტირანს არც დიდი ხელოვნება სჭირდება, არც სიბრძნე. პოლიტიკა, რომელიც მარტოოდენ სისხლის ღვრით იზღუდება, მეტისმეტად ბეცია და მოუქნელი. ქადაგებს მოკლა ის, ვისი სიცოცხლეც ბორკავს შენს პატივმოყვარეობას. ბუნებით სასტიკი ადამიანისთვის ეს ძნელი არ არის. ესაა ყველაზე შემზარავი და უხეში საშუალება, რათა ძალაუფლება ჩაიგდო ხელში და განიმტკიცო.

3

მრავალი სახელმწიფოს ძველისძველი და ნაცადი პოლიტიკაა, ხალხი ზეიმებით, სანახაობებით, ფუფუნებით, მცონარობით, სიამ-

ტკბილობით მოადუნოს; გაუღვიძოს პატივმოყვარეობა და უპრინციპობა, ხელი შეუწყოს მის უაზრო ყოფასა და დაკნინებას. რას არ აღწევს ძალმომრეობა ამგვარი შემწყნარებლობით!

4

დესპოტის ქვეშევრდომებს სამშობლო არა აქვთ. სამშობლოს სიყვარულს მათ უცვლის ანგარება, პატივმოყვარეობა, მეფისადმი დამონება.

5

სახელმწიფოში თუ აპირებენ ძველი წესები ახლით შეცვალონ, მხედველობაში აქვთ, უპირველეს ყოვლისა, დროის მოთხოვნები: იქმნება ვითარება, როცა იგრძნობა, დაუშვებელია ხალხის უკიდურესად გაღიზიანება. სხვა დროს, ნათელი ხდება, შეუძლებელია მისი მეტისმეტად დანდობა. დღეს უფლებამოსილი ხართ ამ ქალაქს წაართვათ დამოუკიდებლობა, უფლებები, პრივილეგიები; ხვალ კი, ნურას უკაცრავად, მათი დროშების ფერის შეცვლასაც ნუ მოიწადინებთ.

6

როცა ხალხს მღელვარება მოიცავს, არვის ძალუძს მიხვდეს, როგორ დამყარდება სიმშვიდე; როცა ხალხი დაწყნარებულია, ვერ წარმოიდგენ, როგორ შეიძლება დაირღვეს სიმშვიდე.

7

სახელმწიფო ზოგიერთ ბოროტებას ეგუება, რადგან იგი დაბრკოლებას უქმნის და წინ ეღობება უფრო მეტ ბოროტებას. არსებობს სხვა ბოროტებაც, რაც კანონმდებლობის მეშვეობით ქცეულა ბოროტებად და რისი წარმომშობი მიზეზი უწესრიგობა და უვარგისი ადათ-წესებია. მაგრამ მისი არსებობა და შედეგები ისე დამღუპველი არ არის, როგორც ზოგიერთი სამართლიანი კანონი ან გონივრული ჩვევები. ვხვდებით იმგვარ ბოროტებასაც, რომლის გამოსწორება შეიძლება რაიმე სიახლით ან რეფორმით, რაც

აგრეთვე ბოროტებაა და მეტად საშიში ბოროტებაც. ზოგი ბოროტება ისეა დაფარული, როგორც სიბინძურე კლოაკაში; მე მინდა ვთქვა, დასამარებულია სირცხვილის, საიდუმლოებისა და სიბნელის საფარქვეშ. თუ ამოთხრი და გაქექავ, შხამი და ბალღამი გადმოინთხევა და აყროლდება. თვით ბრძენთა ბრძენნიც კი ყოყმანობენ, ჯობს თუ არა ვიცნობდეთ მას. ზოგიერთ სახელმწიფოში იწყნარებენ საკმაოდ დიდსა და სერიოზულ ბოროტებას, რამეთუ გზას უღობავს ათას წვრილ-წვრილ ბოროტებასა და სიავეს, რომელთა მოცილება და გამოსწორება, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუძლებელი იქნებოდა. ზოგი ბოროტება ცალკეული ადამიანის მოუცილებელი ჭირი და მთელი ხალხის სიკეთეა, მიუხედავად იმისა, რომ ხალხი სხვა არა არის რა, თუ არა ცალკეულ ადამიანთა ერთობლიობა. არის ისეთი პიროვნული ბოროტებაც, რაიც ყოველი ოჯახის სიკეთესა და აყვავებას უწყობს ხელს. არის ისეთიც, რომელიც ასევდიანებს, აღატაკებს და თავლაფს ასხამს ოჯახებს, მაგრამ ხელს უწყობს სახელმწიფოსა და მმართველობის კეთილდღეობასა და ძლიერებას. სხვა ბოროტება ერთ მთავრობას უთხრის ძირს და მის ნანგრევებზე მეორეს აღმართავს. დაბოლოს, ბოროტებამ დიდ იმპერიებს შეურყია საძირკველი, აღგავა პირისაგან მიწისა, რათა შეეცვალა და განეახლებინა სამყარო.

8

რა ბედენაა სახელმწიფოსთვის ერგასტი თუ მდიდარია, კარგად გაწვრთნილი მეძებრები ჰყავს, ჩაცმა-დახურვისა და ეკიპაჟების მოდას აკანონებს და ფუფუნებაშია ჩაფლული? ანდა, საქმე თუ ეხება მთელი ხალხის ინტერესებსა და საჭიროებას, რა ჩასათვლელია ერთი ადამიანის სურვილი? მძიმე ჭაპანს ეწევა ხალხი, მაგრამ ტვირთს უმსუბუქებს შეგნება იმისა, რომ მეფეს უდგას მხარში და მის ქონებას ამრავლებს მხოლოდ; იგი სრულებითაც არ თვლის თავს ვალდებულად, ერგასტი გაამდიდროს და გააფუფუნოს.

9

ომს უძველესი ისტორია აქვს. არსებობდა ყოველ საუკუნეში, მარადჟამს ავსებდა ქვეყანას ქვრივებითა და ობლებით, საგვარეულოს შთამომავლობას უსპობდა. ერთსა და იმავე ბრძოლაში ღუპავდა ძმებს. ჭაბუკო სოკურ! დავტირი შენს სიქველეს, სისპეტა-

კეს, სათნოებას, შენს უკვე მომწიფებულ, განვრიახსა და ანალეგებულ გონებას. ღრმად ვარ დამწუხრებული შენი უფროო სიკვდილის გამო, რისი წყალობითაც შეუკავშირდი შენს შეუდრეკელ ძმას და განშორდი სამეფო კარს, სადაც ძლივს მოაღწარი გამოჩენა. რა უსასოო და რა ჩვეულებრივი მწუხარებაა! უხსოვარ დროიდან ადამიანებს ფიცი დაუდვიათ ერთი გოჯი მიწისთვის ერთმანეთი გაეძარცვათ, დაეწვათ, მოეკლათ, დაეუატრათ და რომ ეს უფრო ოსტატურად და ზუსტად განეხორციელებინათ. გამოიგონეს შესანიშნავი წესები, რასაც სამხედრო ხელოვნება ეწოდება. ამ წესების დაცვას მათ დაუკავშირეს ადამიანის სახელი და დიდება. საუკუნიდან საუკუნემდე სულ უფრო მეტად ხდება ფრთას ხელოვნება ურთიერთჟლეტისა. პირველ ადამიანთა უსამართლობა არის ერთადერთი წყარო, საიდანაც აღმოცენდა ომი და წარმოიშვნენ უფროსები, რომელნიც, მათი აზრით, იმისთვის იყვნენ საჭირო, რომ თითოეულის უფლებები განესაზღვრათ და სადავო საკითხები გადაეწყვიტათ. კაცი რომ კმაყოფილდებოდეს იმით, რაცა აქვს და მეზობლების ქონებისკენ თვალი არ გაურბოდეს, საუკუნო მშვიდობა და თავისუფლება დამყარდებოდა.

10

ხალხი, რომელიც მშვიდად მოყუჩდა თავის კერასთან, ოჯახისა და დიდი ქალაქის წიაღში, სადაც არაფერი ემუქრება არც მის ქონებასა და არც მის სიცოცხლეს, ცეცხლსა და სისხლს ნატრულობს. ებმება ომში, ანგრევს, წვავს, ჟლეტს. წუხს და მოუთმენლობა იპყრობს, როდის გამოილაშქრებს ჯარი. წუხს, როცა ლაშქარი გამოდის და შეტაკება არ იწყება. ასევე წუხს, თუ შეტაკება მოხდა. მაგრამ საკმაოდ სისხლისმღვრელი არ იყო და ბრძოლის ველზე ათი ათას კაცზე მეტი არ გაწყდა. ის კი არა, იმდენად უყვარს სიახლე, ცვლილებანი და უჩვეულო ამბები, რომ აღარც კი ახსოვს ისეთი სანუკვარი რამ, როგორიცაა მისთვის დასვენება და უშიშროება. გამოჩნდება იმგვარი ვინმეც, რომელიც დათანხმდება, კიდევ ერთხელ იხილოს, როგორ მოადგება მტერი დიჟონის ან კორბის კარიბჭეს, როგორ გაიბმება ჯაჭვები და აღიმართება ბარიკადები, ოღონდ მიენიჭოს სიამოვნება, ეს ამბავი პირველმა შეატყობინოს სხვებს ან პირველმა შეიტყოს.

დემოფილი, ჩემს მარჯვნივ რომ ზის, ხმამაღლა მოთქვამს: „ყველაფერი დაიღუპა, სახელმწიფო დაიღუპა, ასეა თუ ისე, დაღუპვის პირზეა. როგორ გაუმკლავდეს ამ მძლავრსა და საყოველთაო შეთქმულებას? როგორ შეებას მარტოდ-მარტო ესოდენ ძლიერ მტრებს. აჯობოსო, ვერ ვიტყვი, მაგრამ როგორ აიცდინოს მათი დარტყმა? მსგავსი უბედურება არც ერთ მონარქიას არ დატყდომია თავს. ვერც ერთი გმირი, თვით აქილევსიც ვერაფერს გააწყობდა. უხეში შეცდომა დაუშვეს, — დასძენს იგი, — ვიცი, რასაც ვამბობ, მე თვითონ ჯარისკაცი ვარ, მინახავს ომი, ისტორიიდანაც ბევრი რამ შემისწავლია“. მერე აღტაცებით მოიხსენიებს ოლივიე ლე დემსა და ჟაკ კერს: „აი კაცები, — ამბობს იგი, — აი ვინ იყვნენ მინისტრები!“ ჰყვება ახალ ამბებს, ისეთ სამწუხაროსა და შემზარავს, რისი წარმოდგენაც კი შეუძლებელია. ჩვენი ერთი რაზმეული მოიმწყვდიეს და ერთიანად გაჟლიტესო, ციხესიმაგრეში ჩაკეტილი ჯარი მტერს ჩაბარდა და ხმლებით აჩეხესო. თუ ეტყვით, ეგ ჭორია და არ დადასტურდაო, არ მოგისმენთ და ისევ განაგრძობს, მავანი გენერალი მოკლესო. სინამდვილეში გენერალი მსუბუქად დაჭრილა და ამას მოახსენებთ კიდეც დემოფილს. ის მაინც მწუხარებას გამოთქვამს გენერლის სიკვდილის გამო, ებრალება მისი ქვრივი, ობლები, სახელმწიფო, თავისი თავი, კეთილი მეგობარი და ძლიერი მფარველი დავკარგეო. ამბობს, გერმანიის ცხენოსანი არმია დაუმარცხებელიაო და ფერი ეკარგება იმპერატორის კირასირთა გახსენებაზეც კი, „ამ სიმაგრესთან თუ შემოგვიტიეს, აცხადებს ის, ალყა უნდა მოვხსნათ, ან თავდაცვაზე გადავიდეთ და ბრძოლაში აღარ ჩავებათ. თუკი ჩავებმებით, უეჭველად დავმარცხდებით. დავმარცხდებით და მტერი ზედ საზღვართან მოვა“. რამეთუ დემოფილი დარწმუნებული ბრძანდება, რომ მტერი ფრინავს, აგერ ისიც უკვე სამეფოს შუაგულში იმყოფება. უკვე ესმის როგორ დაჰკრეს ნაღარა და ატყდა განგაში. აწუხებს თავისი ავლა-დიდებისა და მამულების ბედი. სად გადაგზავნოს ფული, სად გადაიტანოს ავეჯი, რა უყოს ჯალაბს? ან თავად სად გაიქცეს, შვეიცარიაში თუ ვენეციაში?

მაგრამ ჩემს მარცხნივ მჯდომი ბაზილიდი უცბად წამოშლის

სამას ათასიან ლაშქარს. არა, თანახმა არ გახლავთ ერთი ბრიგადა მაინც დააკლოს. მთელი სია აქვს ესკადრონებისა და ბატალიონებისა, გენერლებისა და ოფიცრებისა, არც არტილერია დავიწყებია და არც ბარგი-ბარხანა. ეს ძალები მთლიანად მის განკარგულებაშია. ამდენს გერმანიაში გზავნის, ამდენს ფლანდრიაში; ერთ რაზმს ალპებისთვის ინახავს, უფრო პატარა რაზმს — პირენეებისთვის, დანარჩენს კი ზღვის გაღმა ისტუმრებს. მისთვის ცნობილია ყველა ნაწილის სვლაგეზი, იცის რას გააკეთებენ და რას არ გააკეთებენ. გეგონებათ, მეფის მესაიდუმლეა და მინისტრის რწმუნებულიო. მტერმა ახლახან თუ ბრძოლა წააგო და რაღაც ცხრა თუ ათი ათასი ჯარისკაცი დაკარგა, ბაზილიდი ოცდაათი ათასს ითვლის, არც მეტს არც ნაკლებს, ვინაიდან მისი ციფრები ყოველთვის ზუსტია და უდავო, ვითარცა ეკადრება კარგად გათვითცნობიერებულ პიროვნებას. დილას თუ გაიგებს, ერთი საცოდავი ციხე დავკარგეთო, ადრევე დაპატიჟებულ სტუმრებს კაცს უგზავნის და ბოდიშს უხდის, დღეს სადილზე ვეღარ მოგიწვევთო. ის კი არა, თვითონაც აღარ ჭამს სადილს და თუ ივახშმებს, ისიც უმადოდ. ჩვენები ალყას თუ შემოარტყამენ სათანადოდ გამაგრებულ ციხე-სიმაგრეს, რომელსაც უხვად აქვს მომარაგებული სურსათ-სანოვაგეცა და სამხედრო აღჭურვილობაც და რომელსაც იცავს საიმედო გარნიზონი და მამაცი მხედართმთავარი, ბაზილიდი ამბობს, ქალაქში ბევრი ცუდად დაცული კუთხეა, აკლიათ ტყვია-წამალი, კომენდანტი გამოუცდელი კაცია, შეტევას ვერ გაუძლებენ და ერთ კვირაში ჩაგვბარდებიანო. რამდენიმე ხნის შემდეგ აქოშინებული მოვარდება და სულს მოითქვამს თუ არა, შეჰყვირებს: „ახალი ამბავი მოგიტანეთ, ძალიან სასიხარულო, მტერი განადგურებულია, მიწასთან არის გასწორებული. გენერალ-ოფიცრებიანად ყველა გაწყვიტეს, ყველა თუ არა, დიდი ნაწილი მაინც. მტრების საქმე წასულია! ხედავთ, რა სისხლის ღვრა ყოფილა. უნდა ითქვას, ბედმა გაგვიღიმა“. ჩამოჯდა, ამოიხვნეშა, რაკი დაასრულა ცხელ-ცხელი ამბების მოყოლა. ერთი წვრილმანი გამორჩა, სინამდვილეში არავითარი შეტაკება არ ყოფილა. ბაზილიდი არ ცხრება და გვარწმუნებს, ერთი მეფე კოალიციიდან გავიდა, მოკავშირეებს ჩამოსცილდა, მეორე მეფეც აპირებს მის მაგალითს მიბაძოსო. მდაბიო ხალხისა არ იყოს, ბაზილიდიც მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ

მესამე მეფე მიიცვალა. ის კი არა, ადგილმდებარეობასაც კი გვისახელებს, სადაც დაუსაფლავებიათ და როცა ეს ჭორი თვით ბაზარში და გარეუბნებშიაც აღარ სჯერათ, უფრო მტკიცედ დებს სანაძლეოს, ცნობები უტყუარიაო. სარწმუნო წყაროებიდან მოეხსენება, ტ. კ. ლ. იმპერატორს ჯობნის, სულთანი კბილებამდეა შეიარაღებული და ზავი სულაც არ ნებავს, მისი ვეზირი საცაა ვენის კარიბჭეს მოადგებაო. ხელს ხელზე შემოჰკრავს, აკანკალდება, რაკი ეჭვი არ ეპარება, რომ ამ ამბავს წყალი არ გაუვა სამთა შეკავშირება მისი წარმოდგენით მიაგავს ცერბერს, ხოლო მტრები — ურჩხულებს, რომლებიც უნდა გასრისო. დაფნის გვირგვინების, დიდების პალმების, გამარჯვებისა და ტროფეების გარდა აღარაფერი ახსოვს. შინაურ საუბარში წარმოთქვამს: „ჩვენი სახელოვანი გმირები", „ჩვენი დიდებული მბრძანებელი", „ჩვენი დაუმარცხებელი მონარქი". რაც უნდა ეცადოთ, უბრალოდ ვერ ათქმევინებთ: „ჩვენს მეფეს ბევრი მტერი ჰყავს. მტერი ძლიერია, მჭიდროდ შეკავშირებული და გაბოროტებული. მეფეს უწინაც დაუმარცხებია და იმედი მაქვს კვლავ შეძლებს მათ დამარცხებას". ეს სტილი მეტისმეტად ცხადია და პირდაპირი დემოფილისთვის, ხოლო ბაზილიდისთვის არც საკმაოდ მაღალფარდოვანია და არც საკმაოდ გაბერილი. მას სულ სხვა გამოთქმები აქვს შეთხზული. ამზადებს წარწერებს თაღებისა და ობელისკებისთვის, რომლებიც დაამშვენებენ დედაქალაქს ჩვენი ჯარების შემოსვლის დღეს. როგორც კი ყურს მოჰკრავს, ორი ბანაკი საბრძოლო მზადყოფნაშია, ან რომელიღაც ციხე-სიმაგრე ალყაშიაო, ბრძანებს, საზეიმო ტანსაცმელი ამოიღონ, გაამზეონ და გაუმზადონ საკათედრო ტაძარში გამარჯვებისთვის მიძღვნილ პარაკლისზე დასასწრებად.

12

ელჩები, მონარქისა და სახელმწიფოს სრულუფლებიანი წარმომადგენლები როცა ქალაქში თავს იყრიან რომელიღაც საკითხის განსახილველად და ამას უფრო მეტი დრო ეთმობა, ვიდრე წოდებისა და რანგის მიხედვით დამსწრეთა დანაწილებასა და სხვა ცერემონიალს, თუნდაც ნუ ჩავთვლით მოსამზადებელ ფორმალობას, ეს იმის მაუწყებელია, რომ საქმე ეხება ფრიად მნიშვნელოვან, უჩვეულო და საჭოჭმანო საკითხის გადაწყვეტას.

მინისტრი ან ელჩი ჰგავს ქამელეონს, პროტეუსს; გაქნილი აზარტული მოთამაშის მსგავსად არ ამჟღავნებს არც განწყობილებას, არც ხასიათს, რათა არ გასცეს თავისი განზრახვები, ანდა გრძნობებსა თუ რაღაც სისუსტეს აყოლილმა არ გაანდოს ვინმეს საიდუმლო. ხანდახან, თავისი მიზნებისა და სურვილების შესაბამისად ინიღბება და ისეთად ეჩვენება სხვებს, როგორიც უნდა ჩანდეს მათ თვალში. ამგვარად, სულ ერთია რისი დაფარვა სურს, დიდი ძალისა თუ დიდი სისუსტისა. მოწინააღმდეგის პირისპირ მუდამ მტკიცეა და შეუდრეკელი და იმედის ნატამალსაც კი არ უტოვებს, ამ კაცს ბევრ რამეს დავტყუებო. ზოგჯერ დამყოლიცაა, რადგან იცის, თუკი მას რაიმეს სთხოვენ, თვითონაც მიეცემა თხოვნის უფლება. სხვა დროს გულჩახვეულია და იდუმალებით მოცული; ცდილობს სინამდვილე არ გაამხილოს, თუმცა ამბობს დაუფარავად, რამეთუ მისთვის საჭიროა სინამდვილე ითქვას და არ დაიჯერონ. წრფელიც არის, როცა მალავს იმას, რაც არავინ უნდა იცოდეს და მაინც ახერხებს სხვები დარწმუნდნენ, ვითომ იციან ის, რაც უნდა იცოდნენ და ეგონოთ, ყველაფერი დავაყაჭინეთო. მხიარული და მჭევრმეტყველია, თუ განზრახული აქვს სხვებს ამოადგმევინოს ენა, ანდა ხელი შეუშალოს თქვან ის, რაც მას არ სურს იცოდეს ან არ უნდა იცოდეს. მისი ასეთი გუნებ-განწყობილების მიზანი ისიც გახლავთ, რომ საუბარში ჩაურთოს ერთმანეთის საწინააღმდეგო და ერთმანეთის გამაქარწყლებელი სრულიად უმნიშვნელო წვრილმანები, რაიც მსმენელს შეაშფოთებს ან ნდობით აღავსებს; ენამზიანია მაშინაც, როცა საიდუმლო უნებლიეთ წამოსცდება და ცდილობს წამსვე მიაფუჩეჩოს სხვა საიდუმლოს გამჟღავნებით. ცივია და დადუმებული, თუკი სურს სხვა ჩაითრიოს საუბარში, თვითონ უსმინოს დიდხანს, მერე თვით ილაპარაკოს და სხვამ უსმინოს, ილაპარაკოს შთაგონებითა და დამაჯერებლად, შთაუნერგოს იმედი და შიში, რაიც იქნება გადამწყვეტი დარტყმა და რაც წინააღმდეგობას შეარყევს.

ხან სურს თვითონ თქვას პირველი სიტყვა, დაუფარავად გადაშალოს სამოქმედო გეგმა, რათა გამოააშკარაოს საწინააღმდეგო მოსაზრებანი. მტრული განწყობილება, გაიძვერობა და ხრიკები, რითაც აღიჭურვებიან ხოლმე უცხოელი მინისტრები მის მიერ ნამოყენებული წინადადების განხილვის დროს. ამისთვის წინას-

წარ უნდა მიიღოს სათანადო ზომები და პასუხიც მოამზადოს. ხან კი ყველაზე ბოლოს გამოდის სიტყვით, რადგან არ უნდა ტყუილ-უბრალოდ ილაპარაკოს. ისწრაფის იყოს ზუსტი, ზედმიწევნით კარგად იცოდეს, რის იმედი შეიძლება ჰქონდეს თვითონ და მის მოკავშირეებს, გაითვალისწინოს, რის თხოვნა შეუძლია და რას მიიღებს. ეხერხება ილაპარაკოს ნათლად და კატეგორიულად. უფრო მეტად ეხერხება ილაპარაკოს მიკიბულ-მოკიბულადა და ბუნდოვნად და გამოიყენოს ორაზროვანი სიტყვები და გამოთქმები, რასაც აძლევს ნებისმიერ მნიშვნელობას იმისდა მიხედვით, თუ რა ვითარებაა შექმნილი და რა ესაჭიროება მას. ითხოვს ცოტას, როცა ბევრის გაცემა არ სურს. მოითხოვს ბევრს, რომ მიიღოს ცოტა და უეჭველად. თავდაპირველად მოითხოვს წვრილმანს იმის იმედით, რომ შემდგომ ეს არაფრად ჩაეთვლება და უფლება ექნება მოითხოვოს უფრო მნიშვნელოვანი რამ. პირიქით, თავსაც კი არიდებს, პირველად ძირითადი და არსებითი საკითხი წამოაყენოს, თუკი იგი ხელს უშლის წინა პლანზე დააყენოს მრავალი პუნქტი, რაც მეორეხარისხოვანი კი არის, მაგრამ ერთად თავმოყრილი თავისი მნიშვნელობით აღემატება პირველს. უამრავს ითხოვს, რათა უარი მიიღოს და თავადაც მიეცეს უფლება ან სათანადო საბაბი, უარი თქვას იმაზე, რასაც, დარწმუნებულია, მოითხოვენ მისგან და ამ მოწყალების გაცემა კი არ ნებავს. აქაოდა, ეს რა უსაზღვროდ დიდი თხოვნაა, უარს თუ გეუბნებით ამის საფუძველიცა მაქვსო და განაწყენებულია, თვით მისი მოთხოვნაც რომ უგულებელჰყვეს. იღვწის, ერთი ზარის რეკვა ატეხოს და ვეებერთელად წარმოადგინოს ის მცირედი, რასაც თვითონ თმობს და, ამავე დროს, დააკნინოს, საქვეყნოდ გაკილოს ის მცირედი, რასაც სხვები უთმობენ. იძლევა ყალბს, მაგრამ უჩვეულოდ მიმზიდველ წინადადებას, რასაც მოწინააღმდეგეთა ბანაკი უნდობლობით ხვდება და უარს ამბობს იმაზე, რასაც არც არვინ მიაშვებდა. ეს კი შემთხვევით სარგებლობს და უსაშველო მოთხოვნილებებს აყენებს, რათა დაამტკიცოს, თუ რაოდენ ცდებიან, უარს რომ ეუბნებიან. იძლევა მეტს, ვიდრე სთხოვენ, ოღონდ მიიღოს მეტი, ვიდრე იძლევა. სულ უმნიშვნელო საქმეზე თუ მიდგა ჯერი, მოწინააღმდეგეთ აიძულებს ეხვეწნენ, ემუდარნენ, დაუმტკიცონ, დაუსაბუთონ, რათა ყოველგვარი იმედი გაუქრეთ, გაფიქრებაც კი ვერ გაბედონ, თითქოსდა

შესაძლებელია მეტ დათმობაზე წასულიყო. და თუ მაინც რაღაც დათმო, ერთი პირობით, გაინაწილოს ის მოგება და უპირატესობა, რასაც მოწინააღმდეგე მიაღწევს. როცა პირდაპირ ან არაპირდაპირ ექომაგება მოკავშირეს, მაშასადამე ეს მისთვისაც არის სახარბიელო და ხელს უწყობს მისი მიზნების ხორცშესხმას. ქადაგებს მხოლოდ მშვიდობაზე, თანხმობაზე, საყოველთაო უშიშროებასა და კეთილდღეობაზე, სინამდვილეში კი ზრუნავს მხოლოდ საკუთარ ინტერესებზე, ესე იგი თავისი მბრძანებლისა და სახელმწიფოს სიკეთეზე. ხან მოწინააღმდეგეებს აზავებს, ხან შუღლს აგდებს მათ შორის, ვინც ერთმანეთთან დაზავებულნი იყვნენ. აქ ყოვლისშემძლეთ და ძალაუფლების მქონეთ შიშს აღუძრავს, იქ სუსტებს ამხნევებს; ჯერ რამდენიმე სუსტს გააერთიანებს ერთი მძლავრის წინააღმდეგ, რათა წონასწორობა დაამყაროს, მერე თავად შეურთდება პირველთ, რათა სასწორი მათკენ გადაიხაროს და აიძულებთ ძვირად შეისყიდონ მისი მფარველობა და მოკავშირეობა. იცის, როგორ მიეფარისევლოს იმათ, ვისთანაც მოლაპარაკებას აწარმოებს; მარჯვედ და მოქნილად, ცბიერებითა და შემპარავად გადაუკრავს სიტყვას, თუ რა განსაკუთრებული უპირატესობა მიენიჭებათ, რა ჯილდოსი და პატივის იმედი შეიძლება იქონიონ, თუ ერთგვარ დათმობაზე წავლენ, რის შედეგადაც სულ არ შეიბღალება მათი მისია და არც მათ მბრძანებელთა ნებასურვილს დააკლდება რამე. ცდილობს თვითონაც არ ეგონოთ ამ მხრივ შეუღწეველი და თავს ისე აჩვენებს, თითქოს არცთუ უგრძნობელი იყოს პირადი კეთილდღეობის მიმართ. ამ გზით იღებს ისეთ წინადადებას, რაიც ააშკარავებს მოწინააღმდეგის ყველა იდუმალ ზრახვებს, მნიშვნელოვან გეგმებსა და მათ სისრულეში მოსაყვანად გამიზნულ მძლავრ საშუალებებს; ყოველივე ამას თავის სასარგებლოდ გამოიყენებს. ზოგჯერ მისი ინტერესები თუ შელახულია რამდენიმე პუნქტით, რისი მეოხებითაც შეთანხმება განხორციელდა, ხმამაღლა ყვირის. თუ პირიქით მოხდა და მოწინააღმდეგის უფლება შეიზღუდა, უფრო ხმამაღლა ყვირის და წაგებულთ აიძულებს გაიმართლონ და დაიცვან თავი.

მის საქმიანობას სამეფო კარი ხელმძღვანელობს. ყოველი მისი ნაბიჯი წინასწარ მოზომილია, თვით ყველაზე უმნიშვნელო წინადადებაც კი ზემოდან ნაბრძანებია და მაინც, გადამწყვეტ წუთს,

სადავო საკითხი წამოიჭრება თუ არა, იქცევა ისე, თითქოსდა მშვიდობის სურვილით შთაგონებულმა მყისვე გაიაზრა შესაბამისი წინადადება. კიდევაც ბედავს და ასამბლეას ჰპირდება, სამეფო კარს უთუოდ დავითანხმებ და წინადადება გავაო. გაავრცელებს ჭორს, ვითომცდა მისი მისია მეტად შეზღუდული იყოს, თუმცა აღჭურვილია საგანგებო უფლებებით, რისი გამჟღავნებაც მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში შეუძლია, როცა დაფარვა სახიფათო იქნება მისთვის. ხრიკები მეტად მნიშვნელოვანი მიზნების მისაღწევად სჭირდება და მარად მზადაა მას შესწიროს წვრილმანი სურვილები და ყალბი ავტორიტეტი. თავდაჭერილია, მამაცი და მომთმენი, არ იღლება თვითონ, სხვებს კი ქანცავს და სასოწარკვეთილებაში აგდებს. ფრთხილია და არ უშინდება საქმის გაჭიანურებას, ვადის გაგრძელებას, საყვედურებს, ეჭვებს, უნდობლობას, სიძნელეებსა და დაბრკოლებებს, რამეთუ დარწმუნებულია, მარტოოდენ დროსა და გარემოებათა დამთხვევას შესწევს უნარი მოვლენათა მსვლელობა შეატრიალოს და ადამიანთა გონებას სასურველი მიმართულება მისცეს. ხან თავს იკატუნებს, თითქოსდა ფარული მოსაზრებანი უკარნახებდეს შეწყვიტოს მოლაპარაკება, როცა სინამდვილეში მგზნებარედ სურს გაგრძელდეს იგი. და პირიქით, თუ მიღებული აქვს ზუსტი მითითება, არ შედრკეს და დაუყოვნებლივ გაწყვიტოს მოლაპარაკება, თავს ვალდებულად რაცხს, საბოლოო მიზნის მისაღწევად მოითხოვოს, რომ გაგრძელდეს და სასწრაფოდ დასრულდეს მოლაპარაკება.

თუ რაღაც დიდად მნიშვნელოვანი მდგომარეობა შეიქმნა, ის ან ჯიუტად ადგას თავის აზრს ან მყისვე დათმობას არჩევს, იმისდა მიხედვით, ხელსაყრელია ეს მისთვის, თუ საზარალო. ხანდახან წინდახედულება მატებს უნარს წინასწარ განჭვრიტოს თუ რა არის მოსალოდნელი და მოვლენათა მსვლელობას ანელებს ან აჩქარებს, რაც დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სჭირდება სახელმწიფოს, რომელსაც თვითონ ემსახურება. ყოველივეს ამ მიზნებისკენ წარმართავს. ითვალისწინებს ყველაფერს: დროს, ადგილს, შემთხვევებს, საკუთარ ძალასა და სისუსტეს, იმ ერების თავისებურებას, ვისთანაც მოლაპარაკებას აწარმოებს და იმ პიროვნებათა ხასიათსა და განწყობილებებს, რომლებთანაც აქვს ურთიერთობა. მთელი

მისი მიზნები, ზნეობრივი კანონები, პოლიტიკური ცბიერება ისა-ხავს ერთ ამოცანას, თავად არ მოტყუვდეს და მოატყუოს სხვა.

13

ფრანგებს ისეთი ხასიათი აქვთ, რომ მათი ხელმწიფე სერიო-ზული უნდა იყოს.

14

მეფის ერთ-ერთი უბედურება ისაა, რომ ბევრი საიდუმლო აქვს გულში ჩამარხული და ეშინია ვინმეს გაუმხილოს. ბედნიერე-ბაა, თუ შეხვდება საიმედო კაცს, ვინც ამ ტვირთს თავის ზურგზე გადაიტანს.

15

მეფე ერთ რამეს არის მოკლებული, — უბრალო ცხოვრების სიტკბოებას. ამ დიდ დანაკლისს აუნაზღაურებს მხოლოდ უანგარო და ერთგული მეგობრობა.

16

მეფე, რომელიც ღირსია ან არ არის ღირსი მეფობისა, სიამოვ-ნებას პოულობს იმაში, რომ ტოვებს სცენას, თეატრალურ მო-სასხამსა და კოტურნებს და სანდო კაცთან ჩვეულებრივი ადამია-ნის როლს ასრულებს.

17

მეფეს ისე არაფერი მატებს ღირსებას, როგორც ფავორიტის მოკრძალებული ხასიათი.

18

ფავორიტი ნიადაგ მარტოა: არც ახლობლები ჰყავს და არც მე-გობრები. თუნდაც გარს ეხვეოდნენ ნათესავები და პირმოთნეები, არაფრად აგდებს მათ. ყველასგან განდგომილია, თითქოს უცხოა ყველასთვის.

19

ეჭვი არ მეპარება, ფავორიტს თუ აქვს ცოტაოდენი შინაგანი ძალა და ამაღლებული სული, ხშირად უხერხულად გრძნობს თავს და შემკრთალია იმ სულმდაბლობის, დაკნინების, პირფერობის, გადაჭარბებული ყურადღებისა და თვალთმაქცობის გამო, რასაც მისდამი იჩენენ ადამიანები, რომლებიც კუდში დასდევენ, ხელში უდნებიან და უბადრუკი ლაქიებივით ემსახურებიან. და როცა ამგვარ კაცებთან პირისპირ რჩება ამ ყურმოჭრილი მონობისთვის მათზე დაცინვითა და მასხრად აგდებით იძიებს შურს.

20

წარჩინებულო მოხელენო, მინისტრებო, ფავორიტებო, ნება მომეცით მოგახსენოთ, ნუ იქონიებთ იმედს, თითქოს თქვენი შთამომავლობა თავს შეიწუხებს და უმწიკვლოდ მოუვლის თქვენს ხსოვნას და განადიდებს თქვენს სახელს. ტიტული დავიწყებას ეძლევა, მფარველობა ქრება, თანამდებობა უქმდება, ქონება იფანტება, ნიჭი გადაგვარების გზას ადგება. თქვენ გყავთ შვილები, მართლაც ღირსნი თქვენი შვილობისა, რომელთაც შესწევთ უნარი არ შელახონ ის, რასაც თქვენ მიაღწიეთ, მაგრამ ვინ აგებს პასუხს, რომ თქვენი შვილიშვილებიც ასეთნი იქნებიან? თუ არ დამიჯერებთ, ამ ერთხელ მაინც იკადრეთ და შეხედეთ თქვენგან მოძულებულ ადამიანებს, ვისაც არაოდეს უყურებთ; რაც უნდა დიდებული ბრძანდებოდეთ, მათი წინაპრების შთამომავალი ხართ თქვენც. იყავით სათნო და ადამიანური. თუ მკითხავთ, რას შეგვმატებსო ეს, გიპასუხებთ, ადამიანურობასა და სათნოებას. ამის შედეგად სრული ბატონ-პატრონნი გახდებით მომავლისა, აღარ იქნებით დამოკიდებული შთამომავლობაზე და განიმსჭვალებით რწმენით, რომ თქვენი სახელი არ აღიგვება პირისაგან მიწისა, სანამ მონარქია იარსებებს. განვლიან ჟამნი, თქვენი ციხე-კოშკებისა ანდა მხოლოდ ნასახლართა სანახავად მოვა ხალხი, რადგან მათ ხსოვნაში წარუშლელად დარჩება თქვენი სიქველე და სახელოვანი ქმედებანი. ყურადღებით დააკვირდებიან თქვენს პორტრეტებსა და მედლებს, რაზედაც თქვენი სახე იქნება ამოტვიფრული და იტყ-

ვიან: „კაცი, რომლის გამოსახულებასაც ჩვენ ახლა ვხედავთ, თავის მბრძანებელს გულახდილად და გაბედულად ელაპარაკებოდა და იმისი კი არ ეშინოდა, ვაითუ ჩემით უკმაყოფილო დარჩესო, არამედ იმისა, რომ ზიანი არ მივაყენოო. ამ კაცის წყალობით მეფე უფრო სულგრძელი და მოწყალე ხდებოდა და უფლება ეძლეოდა თავის ქალაქებზე ეთქვა, ჩემი კეთილი ქალაქიო, ხოლო თავის ქვეშევრდომებზე, — ჩემი ხალხიო“. ეს კი მეორე კაცის სურათია. თქვენ ხედავთ, რაოდენ მძლავრ ნებისყოფას გამოხატავს მისი სახე. მკაცრია, ამაღლებული და დიდებული. მისი სახელი წლიდან წლამდე იზრდება. უდიდესი პოლიტიკური მოღვაწენიც კი ვერ გაუტოლდებიან მას. დიადი მიზანი ჰქონდა დასახული, განემტკიცებინა მეფის ძალაუფლება და ხალხის მშვიდი არსებობა, რასაც დიდებულთა დამდაბლებით მიაღწევდა. არც ამბოხებას, არც შეთქმულებას, არც ღალატს, არც სიკვდილის მუქარას, არც მძიმე ავადმყოფობას, არაფერს შეეძლო ჩაეხშო მასში ამ მიზნისაკენ სწრაფვა. გარდა ამისა, დრო გამოძებნა, დაეწყო საქმე, რაიც შემდგომ განაგრძო და დაასრულა ყველაზე შესანიშნავმა და უდიდესმა მეფემ, საქმე, მიზნად რომ ისახავდა მწვალებელთა განადგურებას.

21

ყველაზე უფრო მოხერხებულად და ცბიერად დაგებული მახე, რაც ოდესმე დაუგიათ მოურავებს დიდებულთათვის და მინისტრებს მეფისათვის, ყოველთვის იყო და იქნება შეძენისა და გამდიერების სურვილის გაღვივება. შესანიშნავი რჩევა-დარიგებაა! მეტად სასარგებლო მოწოდებაა, ოქროს მადანია პირდაპირ, ნამდვილი პერუა იმათთვის მაინც, ვინც ამგვარ აზრებს თავიანთ მბრძანებლებს შთააგონებს.

22

ხალხისთვის დიდი ბედნიერებაა, როცა მეფე ნდობას უცხადებს და მინისტრებად ნიშნავს იმათ, ვისაც თვით ხალხი დანიშნავდა, თუკი ამის უფლება ექნებოდა.

კარგი მმართველის ძირითადი დამახასიათებელი თვისებაა, ზედ-
მიწევნით კარგად იცნობდეს ყოველგვარ წვრილმანს და გულის-
ხმიერებას იჩენდეს სახელმწიფოს უმცირესი მოთხოვნილებების
მიმართაც კი, რაიც, სინამდვილეში, ამ ბოლო დროს, სრულიად
უგულებელყოფილია მეფეებისა და მინისტრების მიერ და რასაც
უნდა ავლენდეს ხელმწიფე, ვისაც ამის არა გაეგება რა და თუ
გაეგება, მეტად დასაფასებელია. და მართლაც, ხალხის სიკეთისა
და სიმშვიდისთვის აბა რა სახეიროა, მეფე სახელმწიფოს საზღვრებს
თუ აფართოებს და მტრების მიწა-წყალს თავისი სამეფოს პრო-
ვინციებად აქცევს. ხალხს რა რჩება, მეფე ბრძოლებში თუ იმარჯ-
ვებს და მტერს ხელში იგდებს ბრძოლის ველზედაც და ციხე-სი-
მაგრეებშიც; ანდა სხვა ერები ერთმანეთს დახმარებისთვის თუ
მიმართავენ, შეკავშირდებიან და ყოველი ცდა წყალში ეყრებათ,
რადგან მეფე სულ წინ მიიწევს, ამარცხებს ყველას, სასოწარკვე-
თილებაში აგდებს, უქარწყლებს ყოველგვარ იმედს, რაკი ჯანღო-
ნით სავსეა და შესაძლებლობა აქვს დატკბეს იმით, რომ შვილი-
შვილები მხარში უდგანან, განადიდებენ მის სახელს, მიუძღვიან
ლაშქარს, იპყრობენ მიუდგომელ ციხე-სიმაგრეებს და ახალ-
ახალ ქვეყნებს. ამავე დროს ხელმძღვანელობენ ძველსა და ბრძო-
ლებში ნაწრთობ მხედართმთავრებს, არა წოდებისა და წარმოშო-
ბის, არამედ ნიჭისა და განსწავლულობის უფლებით. მიჰყვებიან
თავიანთი სახელოვანი და დიდებული პაპის ნაკვალევს, ბაძავენ
მის სიკეთეს, სულგრძელობას, სამართლიანობას, სიფხიზლეს, შეუდ-
რეკელობას. აბა რა ჯანდაბად გამოგვადგება მე და ხალხს მეფე თუ
ბედნიერია. დიდების შარავანდედი თუ მოსავს მას და მის ახლობ-
ლებს, თუ ჩემი სამშობლო ძლიერია და მისი შიშით ქვეყანას აზანზა-
რებს, თუკი მე სევდა-ვარამი უნდა მიღრღნიდეს გულს, ვიყო დევნი-
ლი და ღარიბ-ღატაკი. მერედა რა, თუ მტერი მომაცილეს, რატომ უნ-
და მეშინოდეს ქალაქის ქუჩებსა და მოედნებზე გამოსვლა,
მკვლელმა ხანჯალი არ გამიყაროს-მეთქი, ანდა რატომ უნდა ვძრწო-
დე ქალაქის გზაჯვარედინზე, არ გამძარცვონ ან არ მომკლან-
მეთქი და აქ უფრო მეტად რატომ უნდა მისკდებოდეს შიშით გუ-
ლი, ვიდრე უღრან ტყეში შუაღამისას. რა ოხრად მინდა ჩემი

ქვეყნის ძლიერება, თუ სიმშვიდე, წესრიგი, სისუფთავე ქალაქში ყოფნას სანეტაროს არ გახდიდა, და იქ გამეფებული სიუხვე და სიმდიდრე საზოგადოებრივ ურთიერთობას არ გააფაქიზებდა; თუ უმწეოსა და მიუსაფარს უნდა მეცხოვრა ჩემს ფერმაში დიდი თავადის მეზობლად და მისი მტრული გამოხდომებისგან კანონი ვერ დამიფარავდა; თუ არ მომეცემოდა საშუალება ამეყვანა მასწავლებლები, საუკეთესო მასწავლებლები, რათა ჩემს შვილებს მიეღოთ აღზრდა, გათვითცნობიერებულიყვნენ მეცნიერებასა და ხელოვნებაში, რომლის წყალობითაც, ერთ მშვენიერ დღეს, ღირსეული მდგომარეობისათვის მიეღწიათ; თუკი იმ დროს, როცა აგრე რიგად აყვავდა ვაჭრობა, ველარ მოვახერხებდი ფაქიზი ქსოვილით შევმოსილიყავი და იაფად ნაყიდი, კარგი ხარისხის ხორცი მეჭამა; და თუ, ბოლოს და ბოლოს, მეფის მზრუნველობით, მეც ისევე არ ვიქნებოდი კმაყოფილი ჩემი ბედის, როგორც თვით არის კმაყოფილი თავისი იღბლიანობით, რასაც საკუთარ ღირსებებს უმადლის.

24

რვა თუ ათი ათასი კაცი მეფისთვის იგივეა, რაც მონეტა, რითაც ციხე-სიმაგრესა თუ გამარჯვებას ყიდულობს. თუ ცდილობს ნაკლები დაუჯდეს და ზრუნავს ადამიანებზე, ემსგავსება იმას, ვინც ვაჭრობს და უკეთესად იცის ფულის ყადრი.

25

ყველაფერი აყვავებულია იმ ქვეყანაში, სადაც სახელმწიფოსა და მეფის ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა.

26

მეფეს „ხალხის მამას“ თუ უწოდებ, კი არ აქებ, არამედ უბრალოდ საკუთარი სახელით მიმართავ, ზუსტად განსაზღვრავ მის დანიშნულებას.

27

მეფის ვალდებულება ქვეშევრდომთა მიმართ და ქვეშევრდომთა ვალდებულება მეფის მიმართ ურთიერთკავშირშია, უფრო სწორად,

ერთმანეთზეა დამოკიდებული. რომელი უფრო მძიმეა და მტანჯველი ძნელი გადასაწყვეტია, რადგან ერთს მოეთხოვება უსიტყვო პატივისცემა, დახმარება, სამსახური, მორჩილება, დაქვემდებარება, ხოლო მეორეს — სიკეთე, სამართლიანობა, მზრუნველობა, დაცვა, მფარველობა; ვერ გაერკვევი, ვის მეტი გასაჭირი ადგას. თუ ვიტყვით, მეფე ქვეშევრდომთა სიცოცხლის მსაჯულიაო, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ადამიანი ბოროტმოქმედების შედეგად ექვემდებარება კანონსა და სამართალს, რასაც მეფე განასახიერებს. მაგრამ თუ დავძენთ, რომ იგი სრულუფლებიანი ბატონ-პატრონია თავის ქვეშევრდომთა ყოველგვარი საკუთრების და შეუძლია დაუფიქრებლად, განურჩევლად და გაუკითხავად ისარგებლოს ამ უფლებით, ეს უკვე იქნება ფარისევლობა და ფარული აზრი ფავორიტისა, რომელიც სიკვდილის სარეცელზედაც კი ვერ გაბედავს ამის თქმას.

28

მშვენიერ ამინდში, მზის ჩასვლისას, ალბათ, გინახავთ გორაკზე გამლილი ფარა, რომელიც მშვიდად ძოვს ურცსა და ქონდარს, ანდა ჭალაში წიწკნის ქორფა და ნაზ ბალახს, გლეხის ცელს რომ გადარჩენია; იქვე დგას მზრუნველი და გამრჯე მწყემსი, ვინც მათ თვალს არ აცილებს და ერთი საძოვრიდან მეორეზე გადაჰყავს. თუ გაიფანტნენ, ერთად აგროვებს. ხარბი მგელი თუ გამოჩნდა, ნაგაზს მიუსევს და ძაღლიც კუდით ქვას ასროლინებს მგელს. მწყემსი კვებავს და იცავს ცხვრებს. ჯერ არ ურიყრაქია და უკვე ველზეა. მზის ჩასვლამდე არც ბრუნდება შინ. რა ამაგია! რა სიფხიზლე! რა გულმოდგინება! რას იტყვით, ვისა აქვს უფრო საამური და ლაღი ცხოვრება, მწყემსსა თუ ცხვრებს? ფარაა შექმნილი მწყემსისთვის, თუ მწყემსი ფარისთვის? აი უბრალო სურათი ხალხისა და მეფისა, რომელიც ხალხს მწყემსავს, თუ იგი ნამდვილი მეფეა.

სიმდიდრესა და ფუფუნებაში ჩაფლული მონარქი არის ოქროთი და ძვირფასი თვლებით მორთულ-მოკაზმული მწყემსი, ვისაც ხელთ უპყრია ოქროს კომბალი; მის ნაგაზს უკეთია ოქროს საყელო, რაზედაც გამობმულია ოქროს ჯაჭვი ან ფარჩის ზონარი.

მერედა რა ხეირი აქვს ფარას ამდენი ოქროსგან? მგლებისგან ხომ არ დაიცავს?

29

რა ბედნიერებაა, როცა ისეთ ადგილზე ზიხარ, რომ ყოველ წუთს შემთხვევა გეძლევა შენ ერთმა ათას კაცს სიკეთე მოუტანო! რა უბედურებაა ისეთი თანამდებობა, რაიც გავალებს შენ ერთმა ათას კაცს ზიანი მოუტანო!

30

აქ, ჩვენს მიწაზე, ადამიანებისთვის ყველაზე ბუნებრივი, ყველაზე სანუკვარი და უდიდესი სიხარული თუ არის განცდა იმისა, რომ ვიღაცას უყვარს და მეფეებიც თუ ადამიანები არიან, განა შეიძლება მათ თავიანთი ხალხის გული ძალიან ეძვიროთ?

31

კარგი მმართველობისთვის არ გამოიძებნება ყოველთვის ხელშემწყობი ზოგადი წესები და შეუცდომელი ღონისძიებები; გასათვალისწინებელია დრო და გარემოებანი, რაც მმართველის გამჭრიახობასა და კეთილგონიერებაზეა დამოკიდებული. ამიტომაც სახელმწიფოს უზადოდ გაძღოლა გონების შედეგრად ჩაითვლება. მაგრამ ეს შეუძლებელი და მიუღწეველი იქნებოდა, რომ ხალხი, მიჩვეული მორჩილებასა და ხელქვეითობას, სანახევროდ არ ასრულებდეს ამ საქმეს.

32

უდიდესი ხელმწიფის მმართველობის ქვეშ უმაღლესი თანამდებობის პირთ აკისრიათ მეტად იოლი მოვალეობა, რასაც ყოველგვარი გაჭირვების გარეშე ასრულებენ. ერთი წყაროდან მოედინება ყოველივე. მეფის გენია და პრესტიჟი მათ უკაფავს გზას, აცილებს დაბრკოლებებს და რომ არ მოელიან, ისეთ კეთილდღეობას უქმნის ქვეყანას. მათი დამსახურება კი მარტოოდენ მორჩილებაა.

33

თუ ძალიან ძნელია გაუძღვე მხოლოდ ერთ ოჯახს, საკმაოდ ძნელია საკუთარ თავზე აგო პასუხი, მაშ, რა მძიმეა, რა გამთანგავი, სწიო ჭაპანი მთელი სამეფოსი! ამ მძიმე ჯაფის სანაცვლოდ ხელმწიფისთვის ნუთუ ჯილდოა განუსაზღვრელი ძალაუფლების წყალობით მიღებული სიამოვნება და კარისკაცთა ყურმოჭრილი მონობა? წარმოვიდგენ იმ გაუკვალავ, ნარ-ეკლიანსა და სახიფათო გზებს, რასაც მეფე ხანდახან იძულებით მიჰყვება, რათა ხალხს მშვიდობა დაუმკვიდროს. ვიგონებ, რაოდენ უკიდურესს, მაგრამ აუცილებელ ზომებს მიმართავს იგი ამაღლებული მიზნების ხორცშესასხმელად; ვიცი, თვით ღმერთის წინაშე უნდა აგოს პასუხი თავისი ხალხის კეთილდღეობის გამო. მის ხელშია ყველას ავ-კარგი და თუ რამ გამორჩა მხედველობიდან, არ ეპატიება. და ჩემს თავს ვეკითხები: „მინდა მეფობა? კაცი პირად ცხოვრებაში ოდნავ თუ მაინც ბედნიერია, განა სამეფო ტახტი უნდა ენატრებოდეს? ხომ მძიმეა გვირგვინი იმათთვისაც კი, ვისაც მემკვიდრეობით მიუღია, ეგ წოდება, ვინც მეფედ დაბადებულა?

34

რამდენი რამ უნდა ჰქონდეს მაღალი ციდან მომადლებული კარგ მეფეს! უნდა იყოს გვირგვინოსანთა შთამომავალი, უნდა ჰქონდეს მბრძანებლური და დიდებული იერი, რაც კარისკაცებს პატივისცემას უნერგავს და მაღალ წარმოდგენას უქმნის ხალხს, რომელიც მუდამ ისწრაფის შეხედოს მეფეს; განწყობილება თანაბარი უნდა ჰქონდეს ნიადაგ, არ უყვარდეს ენამწარე დაცინვა, ან ჰყოფნიდეს ჭკუა, არ გამოამჟღავნოს მისდამი მიდრეკილება; არაოდეს წამოსცდეს არც მუქარა და არც საყვედური; არ მრისხანებდეს და ყველა მორჩილებაში ჰყავდეს. უნდა იყოს გონებამახვილი და გამჭრიახი, რადგან ისე წრფელი, ისე გულგახსნილი უნდა ჩანდეს, რომ სხვას ეგონოს, მის გულში ვიხედებიო და ეს მოუპოვებს მეგობრებს, მსახურებსა და მოკავშირეებს. უნდა შეეძლოს იყოს თავშეკავებული, გულჩახვეული, სიტყვაძუნწი, როცა საქმე მის განზრახვებსა და გეგმებს ეხება; ხალხში სერიოზულობა და თავდაჭერილობა მართებს. უცხო ქვეყნების ელჩებთან თუ სახელ-

მწიფო საბჭოში მისი პასუხები უნდა იყოს მოკლე, ზუსტი და გონივრული. მოწყალებას გასცემდეს უხვად და თავაზიანად; იცოდეს, როგორ შეარჩიოს ადამიანები დასაჯილდოებლად. გონიერების, ნიჭისა და ხასიათის მიხედვით თანამდებობების განაწილება შეეძლოს, ასევე შერჩევა გენერლებისა და მინისტრების; იცოდეს მტკიცე, საფუძვლიანი, უყოყმანო გადაწყვეტილებების მიღება, რათა ყველას სწამდეს, რომ მისი ყოველი წამოწყება უებრო და საუკეთესო. ახასიათებდეს მისაბაძი პირდაპირობა და სამართლიანობა იმდენად, რომ პირადი ინტერესების საწინააღმდეგოდაც კი უჭერდეს მხარს ხალხს, მოკავშირეებსა და თვით მტერს. მუდამ ახსოვდეს ქვეშევრდომთა სახე, სახელი, გაჭირვება და თხოვნა. უნდა ჰქონდეს მიღებული მრავალმხრივი ცოდნა, რაც საშუალებას მისცემს ჩაწვდეს საგარეო ურთიერთობის და ვაჭრობის საკითხებს, სახელმწიფო კანონების სიბრძნეს, პოლიტიკურ სიტუაციებს; ზრუნავდეს საზღვრების გადიდებაზე ახალი პროვინციების დაპყრობითა და მათი დაცვისათვის მიუდგომელი ციხე-სიმაგრეების აგებით. ამასთან ერთად, თავისი ცოდნა გამოიყენოს სამეფოს შინაგანი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, და თან ყოველგვარი წვრილმანი გაითვალისწინოს. განდევნოს სახელმწიფოსთვის მავნებელი, ყალბი, საეჭვო კულტმსახურება, თუკი ქვეყნად გავრცელდა იგი. გააუქმოს სასტიკი და უწმინდური ჩვეულები, თუკი ისინი გაბატონებულნი არიან მის სამფლობელოში. შეცვალოს კანონები და ადათ-წესები, თუ მათ ბოროტად იყენებენ. ქალაქების უშიშროებისა და მყუდროების უზრუნველსაყოფად დააწესოს ფხიზელი მეთვალყურეობა. ააგოს შესანიშნავი შენობები, რაც ქალაქს მეტ ელვარებასა და დიდებულებას შემატებს. მკაცრად დასჯოს ბინძური მანკიერება; პირადი მაგალითით ხელი შეუწყოს ღვთისმოსაობისა და სათნოების გაფურჩქვნას. დაიცვას ეკლესია, მისი უფლებები, ზრახვები; მფარველობა გაუწიოს სამღვდელოებას. გაუფრთხილდეს ხალხს, როგორც ღვიძლ შვილებს. ზრუნავდეს, შეუმსუბუქოს ტვირთი, შეუმციროს გადასახადები იმდენად, რომ მათი აკრეფის შედეგად არ ღატაკდებოდეს მოსახლეობა. იყოს ნიჭიერი მხედართმთავარი, ფხიზელი, ბეჯითი, შრომისმოყვარე. ჰყავდეს აურაცხელი ლაშქარი, პირადად მიუძღვებოდეს მას; იყოს შეუდრეკელი საფრთხის წინაშე, საკუთარ სიცოცხლეს მხოლოდ სამშობლოს გა-

დასარჩენად უფრთხილდებოდეს. სახელმწიფოს დიდებასა და კეთილდღეობას პირად ბედნიერებაზე მაღლა აყენებდეს. სარგებლობდეს განუსაზღვრელი უფლებებით. არსად გააჭაჭანოს გაიძვერობა, ინტრიგები, შეთქმულებები. შეამციროს უსაზღვრო მანძილი დიდსა და პატარას შორის, დააახლოოს ერთმანთთან. ყველა თანაბრად შეაჩვიოს მორჩილებას. დიდი განსწავლულობა ნებას აძლევდეს საკუთარი თვალით შეხედოს ყოველივეს, დამოუკიდებლად და შეუფერხებლად იმოქმედოს. მხედართმთავრები, თუნდაც მისგან შორს იმყოფებოდნენ, იყვნენ მხოლოდ მისი მხედართმთავრები და მინისტრები — მხოლოდ მისი მინისტრები, ვით ბრძენს შეჰფერის, იცოდეს როდის დაიწყო ომი, როგორ გაიმარჯვოს, მოხერხებულად ისარგებლოს გამარჯვებით, დადოს ზავი, დაარღვიოს მშვიდობა და ხანდახან, სხვადასხვა მოსაზრებების შედეგად, მტერი აიძულოს, ზავი გამოაცხადოს. საზღვარი დაუდოს თავის მგზნებარე პატივმოყვარულ მიზნებს და დაპყრობის სურვილს. ფარული თუ აშკარა მტრებით გარშემორტყმულმა მოიცალოს თამაშისათვის, ზეიმებისთვის, სანახაობებისთვის. ხელი შეუწყოს ხელოვნებისა და მეცნიერების აყვავებას; შთაიფიქროს და კიდევაც ააგოს სრა-სასახლეები. ჰქონდეს სული ძლიერი და ამაღლებული, რათა სიყვარული და მოწიწება შთააგონოს შინაურებს, ხოლო უცხოელებს — შიში. შეეძლოს სამეფო კარი და მთელი სახელმწიფო გადააქციოს ერთ მჭიდროდ შეკავშირებულ ოჯახად, რომელსაც ეყოლება ერთი მეთაური და ასე შეხმატკბილებული, მტკიცე ჯაჭვად შეკრული ქვეყანა თავზარს დასცემს მთელ სამყაროს.

ჩემის აზრით, ეს შეუდარებელი თვისებები ქვეყნის მბრძანებლის დამახასიათებელი ნიშანი უნდა იყოს. მართალი კია, რომ ყველა ერთად იშვითადაა თავმოყრილი ერთ პიროვნებაში; ამისათვის ბევრი რამ უნდა იყოს გაერთიანებული: გონება, გული, გარეგნობა, ხასიათი. და, მე მგონი, მონარქი, ვის პიროვნებაშიაც ერთმანეთს ერწყმის ეს თვისებები, ღირსია ეწოდებოდეს დიდი ხელმწიფე.

თავი მეთერთმეტე

ადამიანის შესახებ

1

მოდი, ნუ აღვშფოთდებით იმის გამო, რომ ადამიანი უგულოა, უმადური, უსამართლო, ქედმაღალი, უყვარს თავისი თავი და არ უყვარს მოყვასი; ამგვარი დაიბადა იგი, ეს არის მისი ბუნება. ამაზე გაჯავრება იგივეა, რომ ბრაზი მოგივიდეს, ქვა ძირს რად ვარდება, ან ცეცხლის ალი ზემოთ რატომ ადისო.

2

ერთი მხრივ, ადამიანები ცვალებადი ხასიათის როდი არიან, თუ საქმე არ ეხება წვრილმანებს: იცვლიან ტანსაცმელს, მეტყველებას, გარეგან იერს, ზრდილობის წესებს, ხანდახან გემოვნებასაც, მაგრამ ინარჩუნებენ ცუდ ზნეს: მტკიცე და ურყევი არიან ბოროტებაში და გულგრილნი სიკეთის მიმართ.

3

პლატონის სახელმწიფოს მსგავსად სტოიციზმი ჭკუის ჭყლეტაა, განუხორციელებელი ოცნება. სტოიკოსნი გვარწმუნებენ, თითქოსდა შესაძლებელი იყოს არაფრად ჩააგდო საკუთარი სიღარიბე, შეურაცხყოფა, უმადურობა, ქონების, მშობლებისა და მეგობრების დაკარგვა. გულგრილად შეხედო სიკვდილს, როგორც რაღაც წვრილმანს, რაც არც გაცინებს და არც გატირებს. არ განიცადო არც სიამოვნება, არც ტკივილი; იგრძნო როგორ გაგგმირავს მახვილი, ანდა მოგეკიდება ცეცხლი და ერთი კვნესაც არ აღმოგხდეს, ერთი ცრემლიც არ ჩამოგივარდეს. მათ შექმნეს სათნოებისა და სიმტკიცის რაღაც აჩრდილი და ინებეს მისთვის ბრძენი დაერქმიათ. თავი არ შეიწუხეს ადამიანში შემჩნეული ნაკლი და სისუსტე გამოეაშკარავებინათ და ოდნავ მაინც გამოესწორებინათ. იმის ნაცვ-

ლად, რომ დაეხატათ ადამიანის მანკიერების ამსახველი და მის გამოსასწორებლად გამიზნული შემზარავი ან სასაცილო სურათი, შეუქმნეს სრულყოფილებისა და გმირობის მიუღწეველი იდეალი და შეუძლებელისკენ სწრაფვა დაუსახეს მიზნად. ამგვარად, ბრძენი, რომელიც მხოლოდ მათ წარმოსახვაში არსებობს, ბუნებრივია. მაღლა დგას ყოველგვარ მოვლენაზე თუ განსაცდელზე. ნიკრისის ქარი შეუტევს მწარედ, თუ მუცელი დაუწყებს გვრემას, ერთსაც არ დაიკვენესებს; მიწა პირს იზამს, თუ ცა ჩამოიქცევა, ვერ წალეკავს მას და სამყაროს ნანგრევებზე იდგება მყარად. ხოლო ადამიანი, რომელიც სინამდვილეში არსებობს, თავს კარგავს, ყვირის, სასოწარკვეთილებას ეძლევა, თვალიდან ნაპერწკლებს ყრის, ქოშინებს თუ ფინია დაეკარგა, ან ფაიფურის ზიზილ-პიპილო გაუტყდა.

4

აზრთა და გრძნობათა ცვალებადობა, ხასიათისა და საქციელის უთანაბრობა ადამიანის ბუნების სისუსტეა, მაგრამ სისუსტე სხვადასხვაგვარი არსებობს. ისინი თითქოს ერთმანეთთან დაკავშირებული არიან, მაგრამ ადამიანს თუ ერთი ნაკლი აქვს, ყოველთვის როდი ნიშნავს, რომ უთუოდ ყოველმხრივ მანკიერია.

5

ძნელია თქვა, ყოყმანი უბედურებაა თუ საზიზღრობა, ისევე როგორც ვერ გაერკვევი, რა სჯობს, ცუდი გადაწყვეტილება მიიღო, თუ სულ არ მიიღო გადაწყვეტილება.

6

ცვალებადი ხასიათის კაცი წარმოადგენს არა ერთს, არამედ რამდენიმე ადამიანს ერთად. რამდენი ახალი გემოვნება, ახალი ქცევა უჩნდება, იმდენი ადამიანი იბადება მასში. ყოველ წუთს აღარ არის ის, რაც უწინ იყო და აღარ იქნება ის, რაც ახლა არის. მუდმივ იცვლის სახეს. ნუ იკითხავთ, რა ჭკუის კაციაო, იკითხეთ, რა ჭკუაზეაო. ნურც იმას იკითხავთ, რა ხასიათი აქვსო, იკითხეთ

რა ხასიათზეაო. ხომ არ ცდებით? თქვენ რომ გამოელაპარაკეთ, ეგ ევტიკრატუსია? რა ცივად შეგხვდათ დღეს! გუშინ სულში ისე გიძვრენდათ, ისე გეფერებოდათ, რომ მისმა მეგობრებმა ეჭვიანობა დაიწყეს. კარგად გიცნობთ? უთხარით თქვენი სახელი.

7

მენალკი[1] კიბეზე ჩამოდის, გარეთ უნდა გავიდეს, მაგრამ კარებს მაშინვე ხურავს, უკან ბრუნდება. შენიშნავს, თავზე ღამის ჩაჩი აქვს ჩამოფხატული. კარგად აკვირდება და ამჩნევს, მხოლოდ ცალი ყბა გაუპარსავს, ხმალი მარჯვნივ ჩამოუკიდია, წინდები ქუსლებამდე ჩასჩაჩვია, პერანგიც შარვალში არ ჩაუტანებია. გადადის შოედანზე, უცბად რაღაც მძლავრად ხვდება მუცელში თუ ცხვირ-პირში. ვერ გაუგია, რა უნდა იყოს. ბოლოს თვალს ახელს, გონს მოდის და ხედავს, იმყოფება ურმის ხელნის პირისპირ ან დურგლის მხარზე გადებული ფიცრის უკან. ერთხელ ისიც დაემართა, რომ ბრმას დაეჯახა, ფეხებში გაებლანდა და ორთავე აქეთ-იქით გადაყირავდა. რამდენჯერ მოსვლია, მეფეს შეჩეხებია და ძლივს მოუხერხებია კედელს აკვროდა და გზა მიეცა. რაღაცას ეძებს, ჩხუბობს, ყვირის, ცხარობს, ხან ერთ მსახურს ეძახის, ხან მეორეს; ყველაფერს უკარგავენ, არაფერს თავის ადგილას არ დებენ! ხელთათმანებს მოითხოვს, ხელზე კი უკეთია, ემართება სწორედ ის, რაც შეემთხვა ერთ ქალს, რომელიც ეძებდა ნიღაბს, როცა ნიღაბი პირზე ჰქონდა აფარებული. მენალკი მეფის აპარტამენტებში შედის. გაივლის ჭალის ქვეშ, მისი პარიკი ჭაღს გამოედო და ზედ ჩამოეკიდა. კარისკაცებმა დაინახეს და სიცილი აუტყდათ. მენალკიც მათ ბაძავს, მათზე ხმამაღლა იცინის. თვალებს აცეცებს, ეძებს ამდენ ხალხში პარიკი ვის დაეკარგა და ვის გამოუჩნდა ყურები. ქალაქის ქუჩებში მისეირნობს, გაივლის მცირე მანძილს და ეჩვენება, გზა ამებნაო. აღელვებული ეკითხება გამვლელებს, რომლებიც უსახელებენ სწორედ იმ ქუჩას, სადაც თვითონ ცხოვრობს. ბოლოს შე-

---

[1] ეს იმდენად დამოუკიდებელი ხასიათი არ არის, რამდენადაც დაბნეულობის სხვადასხვა ფაქტების კრებულია. თუ თავშესაქცევად მოგეჩვენებათ, მაშინ მათი ასეთი სიმრავლე გადაჭარბებულად არ ჩაითვლება, თან არჩევანიც დიდია.

დის თავის სახლში, საიდანაც მყისვე გამორბის, რაკი ჰგონია, სხვა-
გან მოვხვდიო. მართლმსაჯულების სასახლიდან გამოდის. სადარ-
ბაზო კართან ეტლი ხვდება. თავისი ჰგონია. ჯდება. მეეტლე დაძ-
რავს ეტლს, დარწმუნებულია, თავისი ბატონი მიჰყავს შინ. მენალკი
ეტლიდან გადმოხტა. გაიარა ეზო, ავიდა კიბეზე, შევიდა ტალანში,
საწოლ ოთახში, კაბინეტში. ყველაფერი ნაცნობია, ახალს ვერაფერს
ამჩნევს. ჯდება, ისვენებს. თავის სახლშია. ბრუნდება პატრონი.
მენალკი დგება, ეგებება. ზრდილობიანად ესალმება, სთხოვს დაბ-
რძანდეს და ცდილობს გაართოს. ლაპარაკობს, ჩაფიქრდება, ისევ
ლაპარაკობს. სახლის პატრონმა აღარ იცის რა ქნას, გაკვირვებუ-
ლია. მენალკი არა ნაკლებაა გაკვირვებული, მაგრამ არ იმჩნევს.
დარწმუნებულია, ესტუმრა მომაბეზრებელი და უსაქმო კაცი, რო-
მელიც ბოლოს და ბოლოს, ალბათ, წავა. ამის იმედით მოთმინებას
არ ჰკარგავს. დაღამდა და როგორც იყო გაიგო, რაც დაემართა.
ერთხელ, ესტუმრა ერთ ქალბატონს. უცბად წარმოიდგინა, თითქოს
ქალი ეწვია მას. ჩაჯდა სავარძელში და აღარ აპირებს წასვლას.
ფიქრობს, ამ ქალს ხანგრძლივი სტუმრობა ჰყვარებიაო. ყოველ
წუთს ელის, ახლა წამოდგება და აქედან მოშორდებაო. რაკი ვი-
ზიტს დასასრული არ უჩანს, უკვე ჩამობნელდა და მენალკსაც მო-
შივდა, ქალს სთხოვს, ივახშმოს მასთან. ქალი იცინის, ისე ხარხა-
რებს, რომ მენალკი გონს მოდის. დილას ჯვარი დაიწერა მენალკმა;
საღამოს გადაავიწყდა. საქორწინო ღამე შინ არ გაუთევია. რამდე-
ნიმე წლის შემდეგ დაკარგა ცოლი. მის ხელში დალია სული ქალ-
მა. დაესწრო კიდეც მის გასვენებას. ხოლო მეორე დღეს, როდე-
საც მოახსენეს, საუზმე მზად გახლავთო, იგი კითხულობს, მეუღ-
ლე თუა ჩაცმული, თუ გააფრთხილეთო. იგივე მენალკი ეკლესია-
ში შედის. კედელთან ატუზული უსინათლო მათხოვარი ჰგონია
სვეტი, მისი ფინჯანი — აიაზმის ჯამი. ჩაყო ხელი, შუბლთან მიი-
ტანა და უეცრად, ეს რა ესმის, სვეტი ლაპარაკობს, სვეტი ლოცუ-
ლობს. მენალკი მიიწევს წინ, თითქოს საკურთხეველს უახლოვდე-
ბა. მძიმედ ეშვება მუხლებზე. ნაგებობა გადმოიწია, ძირს დაეხეთ-
ქა და შეჰყვირა კიდეც. მენალკი განცვიფრებულია, თურმე ნუ
იტყვით, მუხლი მოუყრია ერთი ჩიკორა კაცის ფეხებზე, აწვება
ზურგზე, მკლავები იღლიის ქვეშ გაუყრია, ხელები მის ცხვირ-
პირზე გადაუჭდია. დარცხვენილი წამოხტა და სხვაგან ჩაიმუხლა.

სალოცავად განემზადა, ლოცვანი ამოიღო. ლოცვანი კი არა, სალამური მაშია წამოუღია, რადგან ჟამნი ჰგონებია და შინიდან გამოსვლისას ჯიბეში ჩაუდვია. ის იყო, ეკლესიის ზღურბლს გადააბიჯა, რომ ლივრეიანი ლაქია დაედევნა, წამოეწია და სიცილით ჰკითხა, მისი უწმინდესობის მაშია ხომ არ გამოგყვათო. მენალკმა თავისი მაშია უჩვენა და უთხრა, ამის მეტი არაფერი მაქვსო. მაინც დაიწყო ჯიბეების ქექვა და ეპისკოპოსი...-ის მაშია ამოაძრო. ეპისკოპოსთან ცოტა ხნის წინათ ყოფილიყო. ეპისკოპოსი შეუძლოდ ბრძანდებოდა და ბუხარს ეფიცხებოდა. გამომშვიდობებისას მენალკი იატაკზე დაგდებული ხელთათმანის ასაღებად დაიხარა და ხელთათმანის ნაცვლად მაშია გამოიყოლა. ასე და ამგვარად, მენალკი ეპისკოპოსის მაშიის გარეშე დაბრუნდა შინ. ერთხელ, ქისაში რაც კი ფული ჰქონდა, წააგო. თამაშის გაგრძელება სურდა. კაბინეტში ავიდა, კარადა გახსნა, ზარდახშა გამოიღო, რამდენიც ესაჭიროებოდა იმდენი ფული აიღო და დარწმუნებულმა თავის ადგილზე დავდეო, კარადა დახურა. უცბად იქიდან ყეფა შემოესმა. ამ სასწაულით ფრიად გაოცებულმა ისევ გააღო კარადა, საიდანაც გადმოხტა ფინია, რომელიც ზარდახშის ნაცვლად შიგ შეეგდო. სიცილი წასკდა. ტრიქტრაქს თამაშობდა. წყალი მოითხოვა. მოართვეს. თამაშში მისი ჯერი იყო. ცალ ხელში ჩახვი ექვირა, მეორეში — ჭიქა. რადგან ძალიან სწყუროდა, ბირთვი გადაყლაპა და კინაღამ ჩახვიც ზედ მიაყოლა. ჭიქა ტრიქტრაქის დაფაზე დააგდო და პარტნიორი გაწუწა. მახლობელი კაცის ოთახში საწოლზე დააფურთხა და ქუდი იატაკზე დააგდო, ეგონა, იატაკზე დავაფურთხე და ქუდი საწოლზე დავაგდეო. მდინარეზე ნავით სეირნობდა. იკითხა, რომელი საათიაო. მიაწოდეს საათი. გამოართვა და უმალ გადაავიწყდა დროც და საათიც. საათი წყალში გადაისროლა, ეს რაღა არის, ხელს მიშლისო. გრძელ უსტარსა წერს. რამდენჯერაც ქაღალდს დააყარა ქვიშა, იმდენჯერვე სამელნეშიც ჩაყარა. ეგ კიდევ არაფერი. მეორე წერილიც დაწერა. ორივე დალუქა და მისამართები შეეშალა. დიუკმა და პერმა ერთი მათგანი მიიღო, გახსნა და წაიკითხა: „მეტრ ოლივიე, მიიღებთ თუ არა ამ წერილს, დაუყოვნებლივ გამომიგზავნეთ თივა...“ მისმა ფერმერმაც მიიღო წერილი, გახსნა და სხვას სთხოვა, წამიკითხეო. ეწერა: „მონსენიორ, ბრმა მორჩილებითა და უღრმესი მოწიწებით მივიღე

ბრძანება, რაიც თქვენს უდიდებულესობას უნებებია...“ მენალკმა ღამით კიდევ ერთი წერილი დაწერა. დალუქა თუ არა, ჩააქრო სანთელი და მის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, რატომ ვერაფერს ვხედავო. ძლივძლივობით გაერკვა, რაც მოხდა. ლუვრის კიბეზე ჩამოდის. ვიღაც ადის კიბეზე. მენალკი შესძახებს: „სწორედ თქვენ გეძებდით!“ ხელს ჩასჭიდებს, ძირს ჩაიყვანს, გაატარებს რამდენიმე ეზოს, მიათრევს დარბაზებში, გამოჰყავს იქიდან, უკან შეჰყავს. ბოლოს შეხედა კაცს, ვისაც თხუთმეტი წუთი წინ და უკან დააჩანჩალებდა. უკვირს, ამასთან რა მინდაო. არ იცის რა. უთხრას. გაუშვა ხელი და ზურგი შეაქცია. ზოგჯერ რაღაცას გკითხავთ და სანამ ხმის ამოღებას მოასწრებდეთ, უკვე შორსაა თქვენგან. ანდა სადღაც გარბის და თან გეკითხებათ, მამათქვენი როგორ ბრძანდებაო. თქვენ ეუბნებით, ძალიან ცუდადააო, ის კი მოგაძახებთ, სასიამოვნოა ამის გაგებაო. გზაზე გადაგეყრებათ, აღტაცებულია თქვენი ხილვით. შინიდან იმიტომ გამოვიდა, რომ დიდი საქმე აქვს თქვენთან. დახედა თქვენს ხელს; რა მშვენიერი ლალი გაქვთ, გეუბნებათ, წმინდა წყლისაა, არა? მიგატოვებთ და განაგრძობს გზას. ხომ ხედავთ, რა დიდი საქმე ჰქონია. სოფელშია. ვიღაცას ეუბნება, რა ბედნიერი ხართ, რომ შეგიძლიათ შემოდგომა სამეფო კართან ერთად ფონტენბლოში კი არა, თქვენს მამულში გაატაროთო. ახლა სხვებთან გააბამს მასლაათს აქეთურზე თუ იქითურზე, მერე ისევ იმ კაცს მიუბრუნდება და ეტყვის, რას ისიამოვნებდით ფონტენბლოში, კარგადაც ინადირებდითო. ამბის მოყოლას დაიწყებს და აღარ დაასრულებს, თავისთვის ხითხითებს, რაღაც აზრი გაუელვებს თავში, შეჰყვირებს. თავის თავსვე აძლევს პასუხს. ღიღინებს, უსტვენს, სკამზე გაიშოტება, აკვნესდება, ამთქნარებს, ჰგონია, მარტოდმარტოა. ვიღაცასთან სუფრას უზისთეფში თანდათან ევსება პურით, ჩანგლებითა და დანებით. მეზობლებს კი აღარც ერთი აქვთ და აღარც მეორე. განა დააცადათ პური გადაეღოთ ან დანა-ჩანგალი მოეხმარათ? რაკი ძალიან მოსახერხებელია, ამ ბოლო დროს სუფრაზე ჩამჩებს ხმარობენ. მენალკი იღებს ჩამჩას, ჩაუშვებს საწვნეში, გაავსებს, მიიტანს პირთან და ძალიან უკვირს, თუ რატომ გადაესხა ტანსაცმელზე სუპი, რაც იმ წუთას შეხვრიპა. სადილობისას ავიწყდება ღვინის დალევა; თუ გაახსენდა და შეხედა, ბევრი დამისხესო, ნახევარზე მეტს

მარჯვნივ მჯდომ კაცს შეასხამს სახეში, დანარჩენს არხეინად შესვამს და ვერ გაუგია, რატომ ხარხარებს ყველა, ნუთუ იმის გამო, რომ ზედმეტი ღვინო იატაკზე გადააქცია? ერთ დღეს შეუძლოდ იგრძნო თავი და ლოგინში ჩაწვა. მის სანახავად მოსული მამაკაცები და ქალები საწოლის გარშემო სხედან და საუბრით ართობენ. მათი თანდასწრებით საბანს, იხდის და ზეწარზე აფურთხებს. წმიდა ბრუნოს ორდენის ბერებმა თავიანთი მონასტერი და შიგ გამოფენილი შესანიშნავ მხატვართა ტილოები დაათვალიერებინეს. ერთმა ბერმა, რომელიც ახსნა-განმარტებას იძლეოდა, წმიდა ბრუნოსა და კანონიკზე ჩამოაგდო სიტყვა. მოუყვა, რაც გადახდა თავს კანონიკს და ამის ამსახველი სურათიც უჩვენა. მენალკი ამ დროს ფიქრებმა შორს გაიტაცა, შორს ამ მონასტრიდან და ბერის მონაყოლი ამბებიდან. ბოლოს, გონს მოეგო და იკითხა, საუკუნო წამება კანონიკს თუ წმიდა ბრუნოს მიესაჯაო. მოხდა ისე, რომ ერთ ახალგაზრდა ქვრივს შეხვდა. გაახსენა განსვეტული მეუღლე და ჰკითხა, რით გარდაიცვალაო. ამ საუბარმა ქალს დარდი განუახლა. გული ამოუჯდა. აქვითინებულმა დაწვრილებით მოუყვა ქმრის ავადმყოფობა. რა კარგად იყო, როგორ მისცა სიცხე და როგორ დალია სული. „ქალბატონო, შეეკითხა მენალკი, რომელიც, ჩანდა, ყურადღებით უსმენდა, ეგ ერთი გყავდათ მხოლოდ?“ დილიდანვე თავზე დაადგა მზარეულებს, აბა, ჩქარაო. ხილის მოტანას არ მოუცადა, ყველას დაემშვიდობა და გარეთ გავიდა. იმ დღეს ქალაქის ყველა კუთხეში ნახეს იგი, გარდა იმ ადილისა, სადაც გადაუდებელი პაემანი ჰქონდა დანიშნული. იმ საქმის გამო, რის გულისთვისაც ხეირიანად არ ისადილა, ქუჩაში ფეხით გამოვიდა, ვაითუ ეტლმა დაიგვიანოსო. გესმით, როგორ ყვირის, ცოფებს ყრის, ბრაზობს ერთ მსახურზე. გაკვირვებულია, სად დაიკარგაო. სად არის? რას აკეთებს? რა დაემართა? აღარ დამენახოს, თუ ამ წუთას აქ არ გაჩნდა, გავაგდებო. მსახური მოვიდა. ბატონი მრისხანედ შეეკითხა, საიდან მოდიხარო. მსახურმა მიუგო, იქიდან გეახლებით, სადაც თქვენ გამგზავნეთო, და რაც გააკეთა დაწვრილებით მოახსენა. ზოგჯერ გეჩვენებათ ისეთი, როგორიც არ არის, — ყეყეჩი, რადგან არ გისმენთ და კრინტსაც არ ძრავს. გეჩვენებათ გიჟი, ვინაიდან არათუ ხმამაღლა ესაუბრება თავის თავს, არამედ უცნაურადაც იმანჭება და თავს აქეთ-იქით

უაზროდ აქნევს. გეგონებათ ქედმაღალი და უზრდელი, რამეთუ თქვენ ესალმებით და ის ზედაც არ გიყურებთ, ან გიყურებთ და არ გესალმებათ. იტყვით, დაუფიქრებელიაო, რაკი გაკოტრებაზე ლაპარაკობს იმ ოჯახის წევრებთან, რომელსაც ეს სამარცხვინო დაღი აჩნია. ანდა სიკვდილით დასჯაზე, ეშაფოტზე იმ კაცთან, რომლის მამას თავი მოჰკვეთეს; ლაპარაკობს დაბალ წარმოშობაზე დაბალი წარმოშობის ადამიანთან, რომელიც მდიდარია და თავს აზნაურად ასაღებს. გარდა ამისა, გადაუწყვეტია თვითონ გაზარდოს უკანონო შვილი, შენიღბული მსახურის სახელით. თუმცა არ აპირებს ეს ამბავი ცოლ-შვილს გააგებინოს, დღეში ათჯერ მაინც წამოსცდება, შვილოო. მოუსურვებია თავისი კანონიერი ძე ფინანსისტის ასულზე დააქორწინოს, მაგრამ ერთ შემთხვევასაც არ გაუშვებს, თავისი საგვარეულოს მაღალი წარმოშობა რომ არ ახსენოს და არ თქვას, მენალკებს უთანაბრო ქორწინება არ სჩვევიათო. დაბოლოს, საზოგადოებაში დაუკვირვებელი და უყურადღებოა საუბრის თემის მიმართ. ერთდროულად ფიქრობს და ლაპარაკობს, მაგრამ მეტწილად ამბობს ერთს, ფიქრობს სხვას, ამიტომაც მისი ნათქვამი არ არის თანმიმდევრული და გააზრებული. ჰოს მაგივრად ამბობს არას, არას მაგივრად — ჰოს. ზუსტსა და შესაბამის პასუხს გაძლევთ, თვალიც ღია აქვს, მაგრამ ვერაფერს ხედავს, არ გიყურებთ არც თქვენ, არც სხვას; არც არვის და არც არაფერს აპყრობს მზერას. თუ შესანიშნავ გუნება-განწყობილებაზეა და თან უაღრესად ყურადღებიანი თქვენდამი, შესაძლებელია გამოგლიჯოთ ორიოდ სიტყვა: დიახ, მართლაც, ჭეშმარიტებაა, კარგი! არ ხუმრობთ? აბა-აბა! მგონი ასეა! რა თქმა უნდა, ო, ღმერთო ჩემო! და კიდევ რაღაც ერთმარცვლიანი შეძახილები, ისიც უადგილო ადგილას ჩართული. ერთს ელაპარაკება და სხვა ჰგონია. თავის ლაქიას დარბაისლური კილოთი მიმართავს, ბატონოო. მეგობარს, — „ეჰეი, ბიჭო!“ ტახტის მემკვიდრეს — „თქვენო უწმინდესობავ“, მღვდელს — „თქვენო უდიდებულესობავ“. წირვა-ლოცვაზეა. მოძღვარმა ცხვირი დააცემინა. ეუბნება, ღმერთი იყოსო თქვენი შემწე. მაგისტრატთან იმყოფებოდა. ეს დარბაისელი, პატივსაცემი, ხანშიშესული, მაღალი მდგომარეობის კაცი რაღაც ამბით იყო დაინტერესებული და ჩაეკითხა, ხომ ასე მოხდაო. „დიახ, მადმუაზელ“, მიუგო მენალკმა. ერთხელ სოფლიდან ბრუნ-

დებოდა. მისმა ლივრეიანმა ლაქიებმა ბატონის გაძარცვა გადაწყვიტეს და საწადელსაც მიაღწიეს. ეტლის სატერფულებიდან გადმოხტნენ, დანის მაგიერ ჩირაღდანი მიუტანეს ყელთან და უთხრეს, ფული ან სულიო. მიიღეს ფული. შინ დაბრუნებულმა მეგობრებს უამბო, რაც შეემთხვა. მეგობრებმა გამოკითხვა დაუწყეს და მენალკმა განუცხადა, ჩემი მსახურები ყველაფერს გეტყვიან, იქვე იყვნენო.

8

უზრდელობა განსაკუთრებული მანკიერება როდია. შედეგია მრავალი მანკიერების: ბრიყვული თავმოყვარეობის, საკუთარ ვალდებულებათა უცოდინარობის, სიშტერის, გონებადაფანტულობის, სხვათა არაფრად ჩაგდების, მეშურნეობის. მხოლოდ, უფრო ნათლად მჟღავნდება და უფრო საზიზღრად მოჩანს. ამიტომაც ყველაზე თვალსაჩინო და აშკარა მანკიერებად ითვლება, თუმცა ყოველთვის არაა შეურაცხმყოფელი და გამომწვევ მიზეზზეა დამოკიდებული.

9

ბრაზიან, მაჩხუბარა, ჯაჯღანა, მოღუშულ, წვრილმანსა და ახირებულ კაცზე რომ იტყვიან, ასეთი ხასიათი აქვსო, არ გეგონოთ, თითქოს ბოდიშს ხდიდნენ. პირიქით, უნებლიეთ აღიარებენ, რომ მისი ესოდენ დიდი ნაკლი გამოუსწორებელია.

ხალხი უგულებელყოფს იმას, რასაც ხასიათი ეწოდება. უნდა ესმოდეთ, რომ საკმარისი არ არის კეთილი იყო, უნდა გამოიჩინო სიკეთე, თუ გსურს ვინმე დაიახლოვო, დაიმეგობრო, ანუგეშო, ესე იგი, თუ გსურს იყო ადამიანი.

ცბიერი ადამიანებისგან არავინ მოითხოვს სირბილესა და ზოქნილობას, ეს მათ არასოდეს აკლიათ და თავიანთი ხრიკებისთვისა და მიამიტების მახეში გასაბმელად ესაჭიროებათ. კეთილი ადამიანებისგან კი სასურველია იყვნენ ყოველთვის დამთმობნი, გულისხმიერნი, უწყინარნი, რათა ხანდახან მაინც არ გამართლდეს ჭეშმარიტება, რაიც გვაუწყებს, ბოროტნი ზიანს გვაყენებენ, კეთილნი — ტანჯვასო.

10

მეტწილად ადამიანები ჯერ ბრაზდებიან, მერე შეურაცხყოფენ ვისმეს. ხანდახან, პირიქით, ჯერ შეურაცხყოფენ, მერე ბრაზდებიან. ეს იმდენად გასაოცარია, რომ შეურაცხყოფილი აღშფოთებას ვეღარ ახერხებს.

11

ადამიანები იშვიათად ეძებენ შემთხვევას, ასიამოვნონ მოყვასს. თითქოსდა იმიტომ იკავებენ რაიმე თანამდებობას, რომ საშუალება მიეცეთ ვინმეს დახმარება გაუწიონ და ამ შესაძლებლობით არ ისარგებლონ. უპირველესი აზრი, რაც მათ დაებადებათ, არის უარი. თანხმობას მხოლოდ დიდი თავისტეხის შემდეგ იძლევიან.

12

ჯერ ზუსტად აწონ-დაწონეთ, რას შეიძლება მოელოდეთ ადამიანებისგან საერთოდ და თითოეულისგან ცალ-ცალკე, მერე კი ჩაებით საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

13

ხელმოკლეობა თუ დანაშაულებათა დედაა, ჭკუამოკლეობა — მამაა.

14

ნამდვილად უნამუსო კაცს არ შეიძლება საკმაო ჭკუა ჰქონდეს. პირდაპირი და მახვილი გონება ადამიანს საბოლოოდ აყენებს წესიერების, პატიოსნების, სიკეთის გზაზე. ბოროტებასა და სიყალბეს ვინც ბრმად ემორჩილება, მოკლებულია საღ აზრსა და გამჭრიახობას. ამაოდ ცდილობენ მათ გამოსწორებას სატირის მეშვეობით, რაიც სხვათა მანკიერებას ამათრახებს; მანკიერნი საკუთარ თავს ისევე არ სცნობენ, როგორც ყრუთ არ ესმით, როცა ლანძღავენ მათ. პატიოსან კაცთა საკეთილდღეოდ და საზოგადოების

ინტერესების დასაცავად ისა სჯობია, ვიგინდარა მთლად არ იყოს ჭკუას მოკლებული.

15

არსებობს ისეთი მანკი, რასაც ჩვენ არვის ვუმადლით, რაც დაბადებით დაგვყოლია და საკუთარი ჩვეულებებით გაგვიღრმავებია. ისეთიც არსებობს, რასაც სხვებისგან ვიძენთ და რაც ჩვენი ბუნებისთვის არ არის დამახასიათებელი. ზოგჯერ ადამიანი იბადება თვინიერი, მოსიყვარულე, თავაზიანი, მაგრამ იმათი გავლენით, ვისთანაც ცხოვრობს, ან ვისზედაც არის დამოკიდებული, მალე იცვლის ზნესა და შინაგან ბუნებასაც. ვეღარ იცნობ, ისე იცვლება. ხდება პირქუში, ღვარძლიანი, სრულიად სხვაგვარი გუნებ-განწყობილების. ბოლოს თვითონაც უკვირს, როდის აქეთ გავხდი აგრე გულქვა და ბაიყუშიო.

16

ბევრს უკვირს, ადამიანები რატომ ერთ ოჯახად არ ცხოვრობენ, არ შეადგენენ ერთ ერს, არ ლაპარაკობენ ერთ ენაზე, არა აქვთ ერთნაირი ადათ-წესები და ერთი სარწმუნოება. ხოლო მე, როცა წარმოვიდგენ, რაოდენ განსხვავებულია ადამიანთა ჭკუა-გონება, გემოვნება, გრძნობები, მიკვირს, შვიდი თუ რვა სული ერთ ჭერქვეშ, ოთხ კედელს შორის რომ ცხოვრობს და ერთ ოჯახად რომ არის გაერთიანებული.

17

არსებობენ მეტად უცნაური მამები, რომელნიც მთელი სიცოცხლე იმის ცდაში არიან, შვილებს როგორმე მოუმზადონ საფუძველი, რათა მამის სიკვდილის შემდეგ ადვილად ინუგეშონ თავი.

18

ადამიანთა უმრავლესობას ძალიან უცნაური ხასიათი, ჩვევები და საქციელი აქვს. მავანი მთელი სიცოცხლე ყოფილა კუშტი,

ანჩხლი, ძუნწი, გველაძუა, დამდაბლებული, ფუსფუსა, ანგარებიანი, თუმცა დაბადებულა მხიარული, გულთბილი, ზანტი, უხვი, გულადი, ამაყი, ყოველგვარ სიმდაბლეს მოცილებული. ცხოვრების სიდუხჭირე, შექმნილი მდგომარეობა, ბრძოლა არსებობისთვის გახდა მისი ესოდენი გარდაქმნის მიზეზი. ერთი სიტყვით, ამგვარ კაცს თვითონვე არ შეუცვლია თავისი თავი. მისგან დამოუკიდებელმა მრავალმა გარემოებამ დაამახინჯა იგი, შეუცვალა მორალური სახე. იგი აღარც ისეთია, როგორიც ჭეშმარიტად არის და აღარც ისეთი, როგორიც ჩანს.

19

ცხოვრება ხანმოკლეა და გაუხარელი; მუდმივ მოლოდინში მიედინება. დასვენება და სიამოვნება მომავლისთვის გადაგვიდვია, იმ ასაკისთვის, როცა ქრება უდიდესი სიკეთე, ჯანმრთელობა და ახალგაზრდობა. ბოლოს დგება ის დროც, მაგრამ მოლოდინი გრძელდება. მოლოდინი არც მაშინ წყდება, როცა საბოლოოდ ვსნეულდებით და სულსაც განვუტევებთ. თუნდაც განვიკურნოთ, წინ გვექნება კვლავ ხანგრძლივი მოლოდინი.

20

როცა კაცს რაიმე სურს, სრული მონა-მორჩილი ხდება იმისი, ვისგანაც ამ სურვილის შესრულებას მოელის, მაგრამ როგორც კი დარწმუნდება, რომ საწადელს მიაღწია, იწყებს ყოყმანს, მოლაპარაკებას და პირობების წაყენებას.

21

ჩვეულებრივ, ადამიანი ბედნიერი არ არის. ყველა შეგუებულია იმ აზრს, რომ ყოველი სიკეთე ათას მსხვერპლს ითხოვს. ამიტომ ის, რაც იოლად მოგვდის, საეჭვოდ გვეჩვენება. ვერ წარმოგვიდგენია, რამე ძვირად თუ არ დაგვიჯდა, შეიძლება გამოსადეგი იყოს, ანდა თუ რაღაც სწორად გამოვზომეთ, გაუჭირვებლად მივაღწევთ დასახულ მიზანს. წარმატების ღირსი რომ ვართ, კარგად ვიცით, მაგრამ წარმატებას თუ მივაღწევთ, ამის იმედი იშვიათად გვაქვს.

22

კაცს, რომელიც ამბობს, ბედნიერება არ მღირსებიაო, შეეძლო მეგობრების ან ნათესავების ბედნიერებით მაინც დამტკბარიყო. ამ შესაძლებლობას შური უქარწყლებს.

23

ჩემს მიერ ზემოთ გამოთქმული აზრებისდა მიუხედავად, ვიტყვი, რომ, შესაძლებელია, ცხოვრებით უკმაყოფილო კაცი ცდება. ჩანს, ადამიანი გაჩენილია უიღბლობის, მწუხარების და გაჭირვებისთვის. ძალიან ცოტა თუ გადაურჩება ამ ხვედრს. კაცი მზად უნდა იყოს ყოველგვარი უბედურებისთვის.

24

ადამიანები ისე მიუდგომელნი არიან საქმეში, ისე მიუკარებელნი იქ, სადაც ოდნავი ანგარება მაინც არის გარეული, ისეთი ანჩხლნი, თუ რაიმე დაბრკოლება გადაეღობათ, ისე უნდათ არ მოტყუვდნენ და სხვები მოატყუონ, ისე ძვირად აფასებენ თავიანთ საკუთრებას და ისე იაფად — სხვის ავლა-დიდებას, რომ საკვირველია, როგორ და რანაირად ახერხებენ ერთმანეთთან შეთანხმებას ქორწინებით, კონტრაქტებით, ვაჭრობით, დაზავებით, ხელშეკრულებით, კავშირებით.

25

ზოგი ქედმაღლობით ცვლის სიდიადეს, სისასტიკით — სიმტკიცეს, ცბიერებით — გონიერებას.

თაღლითს სხვაც თაღლითი ჰგონია. არც თვითონ ტყუვდება და სხვასაც დიდხანს ვერ ატყუებს.

მირჩევნია ვიყო შტერი ან შტერად მივაჩნდე ყველას, ოღონდ თაღლითად ნუ ჩამთვლიან.

კეთილი განზრახვით არავინ ტყუის. თაღლითი ტყუილს ცბიერებასაც უმატებს.

26

ამქვეყნად ცოტანი რომ იყვნენ დოყლაპიები, მაშინ ნაკლები იქნებოდნენ ისინიც, რომელთაც მოხერხებულსა და გამოცდილ კაცებს ეძახიან და რომელნიც სხვების მოტყუებით თავსაც იწონებენ და ჯილდოებსაც იღებენ. აგრე რომ არ ყოფილიყო, განა ეროფილს სიკეთეს მოუტანდა ორპირობა, თაღლითობა, გაიძვერობა; განა დაიმსახურებდა კეთილგანწყობასა და საჩუქრებს იმათგან, ვისთვისაც ცუდი სამსახური გაუწევია, ან სულაც არაფერი გაუკეთებია? ანდა როგორ იამაყებდა თავისი თავითა და თავისი გაქნილობით?

27

დედაქალაქის ქუჩებსა და მოედნებზე გამვლელთა ბაგენი წარმოთქვამენ მხოლოდ ისეთ სიტყვებს, როგორიცაა გამოძახება სასამართლოში, ქონების აღწერა, დაკითხვა, ხელწერილი, თამასუქის გასაჩივრება. ნუთუ მთელს დუნიაზე ერთი ბეწო სამართლიანობაც აღარ არსებობს? ვაითუ, პირიქით, ქვეყანა სავსეა ადამიანებით, რომლებიც წარბშეუხრელად ითხოვენ იმას, რაც არ გაუსესხებიათ, ან სესხის დაბრუნებაზე ცივად ამბობენ უარს? საგერბო ქაღალდი, გამოგონილი იმისთვის, რომ კაცს შეახსენოს ან დაუმტკიცოს თვით მის მიერ მიცემული სიტყვა, — სამარცხვინოა კაცობრიობისთვის!

რომ არ არსებობდეს ვნებები, ანგარება, უსამართლობა, დიდ ქალაქებში რა სიმშვიდე დამკვიდრდებოდა! ყოველდღიური საზრუნავი და საჭმელზე ფიქრიც კი არ იწვევს ამდენ დავიდარაბას.

28

კეთილგონიერ ადამიანს ისე არაფერი უწყობს ხელს მოთმინებით აიტანოს ნათესავებისა და მეგობრების მიერ მიყენებული მწუხარება, როგორც ფიქრი კაცობრიობის მანკიერებაზე და შეგნება იმისა, თუ რაოდენ ძნელია ადამიანთათვის იყვნენ შეურყეველნი,

ხულგრძელნი, ერთგულნი და მეგობრობას პირად ინტერესებზე მაღლა აყენებდნენ. ვინაიდან შეგნებული აქვს ადამიანის შესაძლებლობანი, არ მოითხოვს, კაცი კედელში გაძვრეს, ჰაერში იფრინოს, იყოს სამართლიანი. მას შეუძლია სძულდეს ადამიანთა მოდგმა, რომელიც აგრე რიგად მოკლებულია ყოველგვარ სათნოებას, მაგრამ შეუნდობს ცალკეულ პირებს და ამაღლებული მოსაზრებების თანახმად ზოგი უყვარს კიდეც. თვითონ კი ცდილობს, რაც შეიძლება ნაკლებ დაიმსახუროს მსგავსი ლმობიერება.

29

ზოგიერთნი ამქვეყნიურ სიკეთეს ისე მგზნებარედ ველტვით, რომ მასზე გაფიქრებასაც კი აღტაცებაში მოვყავართ და თავს გვაკარგვინებს. ჩაგვივარდება ხელში და რომ არ მოველოდით, ისე გულარხეინად განვეწყობით მის მიმართ. იმდენად აღარ გვიტაცებს მისი დაუფლება, რამდენადაც უფრო მეტი სიკეთის მოხვეჭისკენ მივისწრაფით.

30

არსებობს შემაძრწუნებელი უბედურებანი და თავზარდამცემი ბედუკუღმართობა, რის წარმოდგენასაც ვერ ბედავს კაცი და რასაც შიშით ვერ უსწორებს თვალს. თუკი ვინმეს თავს დაატყდება, მოულოდნელ ძალას მოიკრებს, პირისპირ მედგრად შეებმება უიღბლობას და რომ არ მოელოდა, ისეთ მხნეობას გამოიჩენს.

31

ზოგჯერ მემკვიდრეობით მიღებული მშვენიერი სახლი, წმინდა სისხლის ცხენი, ჯიშიანი ძაღლი, ხალიჩა, საათი კმარა, რომ შეგვიმსუბუქდეს ღრმა მწუხარება და ნაკლებად განვიცადოთ მძიმე დანაკლისი.

32

ჯერ დავუშვი, რომ ადამიანები უკვდავნი გახდნენ სააქაოში, მერე ჩავუფიქრდი, ნეტავ იმაზე გონივრულად თუ მოაწყობდნენ თა-

ვიანთ ცხოვრებას, ვიდრე ახლა აწყობენ, როცა მოკვდავნი არიან.

33

გაჭირვებული ცხოვრება ძნელი ასატანია. ბედნიერი — ძნელი დასაკარგია: ორივე ერთმანეთის ტოლია.

34

სიცოცხლე არის ის, რის შენარჩუნებასაც ადამიანი ყველაზე მეტად ცდილობს და რასაც ყველაზე ნაკლებად უფრთხილდება.

35

ირენმა დიდი ხარჯი გასწია და ეპიდორს გაემგზავრა. ესკულაპუსი ტაძარში მოინახულა და რჩევა სთხოვა, თავს როგორ მოვუაროო. უპირველეს ყოვლისა შესჩივლა, ძალა გამომელია, დაღლილობისგან ფეხზე ვეღარ ვდგავარო. ღვთაებამ აუწყა, გრძელი გზა გაგივლია და იმის ბრალიაო. ქალმა უთხრა, საღამოს მადა მეკარგებაო. ორაკულმა ბრძანა, სადილზე ნაკლები ჭამეო. ქალმა დასძინა, ღამე არ მძინავსო. ესკულაპუსმა ურჩია, მხოლოდ ღამე გეძინოსო. ირენმა ჰკითხა, რატომ ვსუქდები, რა ვქნაო. ორაკულმა მიუგო, შუადღემდე ნუ იწვები და ხანდახან მოძრაობის საშუალებად ფეხებიც გამოიყენეო. ქალმა განუცხადა, ღვინო მწყენს და საჭმელსაც ვერ ვინელებო. ორაკულმა მოახსენა, წყალი დალიე და დიეტა დაიცავიო. ირენი წუხს, მხედველობა შემისუსტდაო. ესკულაპუსი ურჩევს, სათვალე ატარეო. დავსუსტდი ძალიან, განაგრძობს ქალი, ძველებურად ჯან-ღონე აღარ მომდევსო. ბერდებიო, უთხრა ღვთაებამ. რა მომაშორებს ამდენ სატკივარს? უბრალო რამ, სიკვდილი, ირენ, სიკვდილი, რომელმაც მოასვენა დედაშენი, ბებიაშენი. ძეო აპოლონისა, შესძახა ირენმა, აბა რა რჩევას მაძლევ? ნუთუ ეგ არის მთელი შენი სიბრძნე, რასაც ხალხი ხოტბას ასხამს და ქვეყანა ეთაყვანება? აბა რა მითხარით ახალი და ჯადოსნური? განა მე თავად არ ვიცოდი ყოველივე ის, რაც შენ მასწავლე? მე-

რედა, რატომ არ გამოიყენე შენი ცოდნა, მიუგო ღვთაებამ, რად გინდოდა ამ სიშორეს რომ წამოხვედი და გრძელი გზის გავლით შეიმოკლე დღენი შენნი?

36

სიკვდილი ერთხელ მოდის და ცხოვრების ყოველ წუთს კი ველოდებით მას. სიკვდილის შიში უფრო მძიმე ასატანია, ვიდრე თვით სიკვდილი.

37

მღელვარება, შიში, მწუხარება არ გვაშორებს სიკვდილს, პირიქით, გვაახლოებს. მე მაინც ვფიქრობ, გადაჭარბებული მხიარულებაც არ შეჰფერის ადამიანებს, რაკი მოკვდავნი არიან.

38

ყველა რომ ნამდვილად სიკვდილის შვილები ვართ, უდავოა. ამის მწარე შეგრძნებას გვიმსუბუქებს ის, რომ არ ვიცით როდის მოგველის იგი. დროის ასეთი განუსაზღვრელობა ერთგვარად უახლოვდება უსასრულობას და იმას, რასაც ვუწოდებთ მარადისობას.

39

ამჟამად ოხვრით ვიგონებთ მჩქეფარე სიჭაბუკეს, რაც აღარ არის და აღარ დაბრუნდება. ნუ გვავიწყდება, მალე დავჩაჩანაკდებით და სინანულით გავიხსენებთ ჩვენს ახლანდელ ასაკს, ვაჟკაცობის ასაკს, რასაც ახლა სათანადოდ არ ვაფასებთ.

40

სიბერის გვეშინია, თუმც არა ვართ დარწმუნებულნი, მივაღწევთ თუ არა იქამდე.

41

ადამიანს იმედი აქვს, რომ სიბერემდე იცოცხლებს, სიბერის კი ეშინია, ეს ნიშნავს, უყვარს სიცოცხლე და სიკვდილს გაურბის.

42

გაცილებით ადვილია ბუნებას დაჰყვე და გეშინოდეს სიკვდილის, ვიდრე შეიარაღდე გონებით ნაკარნახევი მოსაზრებებით, განუწყვეტლივ ებრძოლო საკუთარ თავს და ყოველი ძალა და ღონე შეალიო იმას, რომ აღარ გეშინოდეს.

43

ერთნი რომ კვდებოდნენ, მეორენი კი არა, სიკვდილი მეტისმეტად სამწუხარო იქნებოდა.

44

სიცოცხლეს სიკვდილისგან ხანგრძლივი ავადმყოფობა აშორებს თითქოსდა იმისთვის, რომ სიკვდილი შვებად მიიჩნიოს იმან, ვინც კვდება და იმანაც, ვინც რჩება.

45

კაცთმოყვარეობის თვალსაზრისით სიკვდილის დადებითი მხარეა ის, რომ სიბერეს ბოლოს უღებს.

სიკვდილი, რომელიც წინ უსწრებს მიხრწნილ სიბერეს უფრო დროულია, ვიდრე სიკვდილი, რომელიც მას ბოლოს უღებს.

46

ადამიანები ჩივიან, გარდასული დღეები გონივრულად რომ ვერ გამოიყენეს, მაგრამ ჭკუას მაინც არ სწავლობენ და არც დარჩენილ დღეებს იყენებენ უკეთესად.

47

სიცოცხლე სიზმარია. ბერიკაცი ის არის, ვისაც სხვებზე დიდხანს სძინავს. იღვიძებს მხოლოდ მაშინ, როცა სიკვდილი მოუკაკუნებს კარზე. განვლილ წლებს თვალს თუ გადაავლებს, დარწმუნ-

დება, ყოველი წელი ერთმანეთს ჰგავდა, რამეთუ არც ერთი მათგანი არ აღინიშნებოდა რაიმე სიკეთით ან ქველი საქმეებით. ამიტომ, იგი ერთმანეთში ურევს სხვადასხვა ასაკს და ისეთს ვერაფერს ამჩნევს, რომ გამოზომოს დრო, რაც უცხოვრია. იგი ნაწყვეტ-ნაწყვეტ, ბუნდოვანსა და ერთფეროვან სიზმარს ხედავდა და გამოღვიძებისას მაინც სხვებივით გრძნობს, რომ დიდხანს სძინებია.

48

ადამიანისთვის მნიშვნელოვანია მარტოოდენ სამი მოვლენა: დაბადება, სიცოცხლე, სიკვდილი. დაბადებას ვერ იგებს, სიკვდილით იტანჯება, და ავიწყდება, რომ უნდა იცხოვროს.

49

არის ასაკი, როცა გონებას ჯერ არ გაუღვიძია, ინსტინქტით ცხოვრობს პირუტყვივით და მეხსიერებაში კვალს არაფერი ტოვებს. ამას მოჰყვება მეორე ხანა, — გონება იხსნება, ყალიბდება, შესაძლებლობა ეძლევა გაიფურჩქნოს და დიდი გასაქანი მიეცეს, მაგრამ მას ახშობს და ფიტავს თანდაყოლილი მანკიერება, ათასგვარი ვნება, რაც ერთმანეთს ენაცვლება. შემდეგ იწყება მესამე და უკანასკნელი ასაკი: ამ დროს გონება თავის ძლიერებას აღწევს და დიდ ნაყოფსაც უნდა იძლეოდეს, მაგრამ უმალ ცივდება და ჩლუნგდება, რადგან წლებს, სნეულებას, მწუხარებას თავისი გააქვს. ბოლოს და ბოლოს მთლად ეცლება ძალა, ორგანიზმი უძლურდება, ჩაჩანაკდება. ვაგლახ, ეს სამი ასაკი ადამიანის ცხოვრებაა.

50

ბავშვები არიან კადნიერნი, თავხედნი, ფიცხნი, შურიანნი, ცნობისმოყვარენი, ანგარიშიანნი, ზარმაცნი, თავქარიანნი, მშიშარანი, თავშეუკავებელნი, მატყუარანი, გულდახშულნი. ადვილად ტირიან და იცინიან. მცირე რამ კმარა, რომ უზომოდ გაიხარონ და

ასევე უზომოდ შეწუხდნენ. ტკივილს თავად ვერ უძლებენ, სხვას კი სიამოვნებით მიაყენებენ ტკივილს: უკვე ადამიანები არიან.

51

ბავშვებს არც წარსული აქვთ, არც მომავალი. ჩვენგან განსხვავებით აწმყოთი ტკბებიან.

52

ერთი შეხედვით ბავშვებს ერთნაირი ხასიათი აქვთ, თითქოს ერთნაირი ყოფაქცევაც. ძალიან დიდი ყურადღებით უნდა დააკვირდე, რომ განსხვავება შეამჩნიო. გონების განვითარებასთან ერთად განსხვავება თანდათან ღრმავდება, ვინაიდან გონების განვითარებასთან დაკავშირებით აღმოცენდება ვნებები და მანკიერება, ეს ერთადერთი რამ, რაც ადამიანებს ხდის ესოდენ სხვადასხვანაირსა და ესოდენ აღსავსეს წინააღმდეგობებით.

53

მოხუცებისგან განსხვავებით, ბავშვები დაჯილდოებული არიან წარმოსახვის უნარითა და კარგი მეხსიერებით; ამას შესანიშნავად იყენებენ თამაშობებსა და გასართობებში. სწორედ მათი წყალობით იმეორებენ იმას, რისთვისაც მოუკრავთ ყური, აკეთებენ იმას, რაც დაუნახავთ. ყოველ ხელობას ეჩვევიან, რადგან თამაშის დროს ათასგვარი საქმიანობით არიან გართულნი და ყოველნაირი მოძრაობით ხელოსნებს ბაძავენ. დიდ წვეულებებზე სხედან, ნაირნაირ კერძებს შეექცევიან. ხან სასახლეებში, ხან მოჯადოებულ ადგილებში იმყოფებიან. ბავშვი მარტოც რომ არის, წარმოუდგენია, თითქოს მდიდრულ ეტლში ზის და აურაცხელი ამალა ახლავს, ან ლაშქარს მიუძღვება, ბრძოლაში ებმება, გამარჯვებით ტკბება, ან მეფესა და დიდებულ ბატონიშვილებს ესაუბრება, ან თავად არის მეფე, ჰყავს ქვეშევრდომნი და ფლობს დიდ ხაზინას; ხაზინად წარმოიდგენს ფოთლებსა და ქვიშას. ამ ასაკში ბავშვებს შესწევთ უნარი, რასაც თანდათანობით კარგავენ, იყვნენ უფალნი და გამგებელნი საკუთარი სვე-ბედისა და სურვილებისა.

54

არ არსებობს რაიმე გარეგანი მანკი და სხეულის ნაკლოვანება, რასაც ბავშვები არ ამჩნევდნენ. თვალის ერთი შეხედვით ატყობენ და ისეთ ზუსტ სახელსაც გამოუძებნიან, რომ უკეთესს ვერც შეარჩევ. გაიზრდებიან და უჩნდებათ იგივე მანკიერება, რომელსაც უწინ დასცინოდნენ.

ბავშვების ერთადერთი საზრუნავია, თავიანთ მასწავლებლებს ისევე გამოუძებნონ სუსტი ადგილი, როგორც ყველა იმას, ვისაც ემორჩილებიან. შეამჩნევენ თუ არა, მაშინვე იბრიყვებენ და აღარაფრად აგდებენ. რა მიზეზითაც პირველად ვკარგავთ მათ თვალში სათანადო ღირსებას, იმავე მიზეზით ვეღარ აღვიდგენთ მას.

55

ბავშვებისათვის ესოდენ დამახასიათებელი ნაკლი, სიზარმაცე, დაუდევრობა, უსაქმურობა მათ თამაშობაში არ მჟღავნდება. იქ ისინი არიან მკვირცხლნი, გულმოდგინენი, ბეჯითნი, მონდომებულნი, უყვართ წესრიგი, ერთმანეთს არავითარ შეცდომას არ აპატიებენ. შეუძლიათ მრავალჯერ თავიდან დაიწყონ ის, რის გაკეთებასაც ვერ ახერხებენ. ყოველივე ეს უდავოდ მოასწავებს იმას, რომ ერთ მშვენიერ დღეს მოვალეობას არაფრად ჩააგდებენ, მაგრამ სიამოვნებისთვის არაფერს დაიშურებენ.

56

ბავშვებს ყოველივე ვეებერთელა ეჩვენებათ: ეზოები, ბაღები, შენობები, ავეჯი, ადამიანები, ცხოველები. უფროსებს ასევე დიდად ეჩვენებათ ყოველგვარი ამქვეყნიური სიკეთე; გავბედავ და ვიტყვი, სწორედ ამიტომ არიან ისინი პატარები.

57

ბავშვები ურთიერთობას თანასწორუფლებიანობით იწყებენ. ყველა თავის ბატონ-პატრონია. სრულიად ბუნებრივია, დიდხანს

ვერ ძლებენ ასეთ მდგომარეობაში და ერთხელმწიფებაზე გადადიან. რომელიმე მათგანი გამოირჩევა ცოცხალი გონებით, ან უკეთესი აღნაგობით, ანდა სხვადასხვა თამაშის წესებისა და კანონების უკეთესი ცოდნით. დანარჩენნი მას მორჩილებას უცხადებენ და იქმნება გამგებლობის ერთმმართველური ფორმა, რაიც ერთის სურვილებზეა დაფუძნებული.

58

ვის შეუძლია ეჭვი შეეპაროს, თითქოსდა ბავშვებს აზროვნების, შეფასებისა და თანმიმდევრული მსჯელობის უნარი არ ჰქონდეთ? მართალია, ამას მხოლოდ წვრილმანებში ამჟღავნებენ, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ისინი ბალღები არიან და მცირე გამოცდილება აქვთ. თუ ამას სათანადოდ ვერ გამოთქვამენ, ბრალი მათ კი არა, მშობლებსა და აღმზრდელებს მიუძღვით.

59

თუ ბავშვს დავსჯით, როცა სრულებით არაფერი დაუშავებია, ანდა მცირედი დანაშაული აქვს და მკაცრად დავსჯით, დავკარგავთ ყოველგვარ ნდობასა და პატივისცემას. ბავშვებმა ყველაზე უკეთ, ზუსტად იციან, რაც დაიმსახურეს და იმსახურებენ სწორედ იმას, რისიც ეშინიათ. კარგად ესმით, სამართლიანად შერისხეს თუ მცდარად. შეუსაბამო სიმკაცრე ისევე აყენებს ზიანს მათ აღზრდას, როგორც შეუსაბამო ლმობიერება.

60

ადამიანი იმდენ ხანს არ ცოცხლობს, რომ საკუთარ შეცდომებზე ისწავლოს. მთელი სიცოცხლის განმავლობაში უშვებს შეცდომებს და ერთადერთი, რისი მიღწევაც შეუძლია, არის — მოკვდეს გამოსწორებული.

ისე არაფერი გვანუგეშებს, როგორც შეგრძნება იმისა, რომ გადავრჩით და რაღაც სისულელე არ ჩავიდინეთ.

61

ძნელია საკუთარი დანაშაული აღიარო. გვირჩევნია დავფაროთ და სხვას გადავაბრალოთ. ამიტომაც არჩევანს სულიერ დამრიგებელზე ვაჩერებთ და არა სულიერ მამა — აღმსარებელზე.

62

სულელის შეცდომა ზოგჯერ ისე მძიმეა და ისე ძნელად გასათვალისწინებელი, რომ ბრძენს ჩიხში ამწყვდევს; სარგებლობა მოაქვს მხოლოდ იმათთვის, ვინც ამ შეცდომას უშვებს.

63

წინასწარ შეგონებული აზრი თვით დიდებულ ადამიანსაც კი გონებაშეზღუდული, უბირი კაცის დონესთან ათანაბრებს.

64

პატივმოყვარულ ზრახვებსა და გადაჭარბებულ წესიერებას აყოლილნი ისევე გამოვიყურებით და ისევე ვიქცევით, როგორც მაშინ, როცა საკუთარ სურვილებსა და ვალდებულების გრძნობას ვემორჩილებით. ამას წინათ, პარიზში, ერთი კაცი თავის საძულველ, სნეულ ცოლს ისე თავგადაკლული უვლიდა, რომ ავად გახდა და გარდაიცვალა.

65

ადამიანები გულის სიღრმეში ისწრაფიან, პატივსცემას იმსახურებდნენ, მაგრამ გულმოდგინედ მალავენ ამ სურვილს, რადგან ილტვიან, სათნოდ ითვლებოდნენ. ხოლო სათნოების სანაზღაუროდ თუ სხვა რამე გსურს, ვთქვათ, პატივისცემა და ქება, და არა თვით სათნოება, ეს უკვე სათნოებად არ ჩაგეთვლება, ჩაგეთვლება პატივისცემისა და ქების სიყვარულად, რაც იმას მოასწავებს, რომ პატივმოყვარე ბრძანდებით. ადამიანები ძალიან პატივმოყვარენი არიან, მაგრამ სწყინთ, როცა პატივმოყვარედ თვლიან.

66

პატივმოყვარე კაცს სიამოვნებს, როცა თავის თავზე ამბობს კარგს ან ცუდს. მოკრძალებული სულაც არაფერს ამბობს თავის თავზე.

თუ რაოდენ სასაცილოა პატივმოყვარეობა და რაოდენ სამარცხვინო მანკიერება ჩანს იმაში, რომ მის გამომჟღავნებას ვერავინ ბედავს და ხშირად მისი საპირისპირო თვისებების ნიღაბქვეშ მალავენ.

ყალბი მოკრძალება პატივმოყვარეობის უკიდურესი დახვეწილობის გამოვლინებაა. მისი წყალობით პატივმოყვარე კაცი არაპატივმოყვარე ჩანს და ყველას პატივისცემას იმსახურებს ისეთი თვისებით, სრულიად რომ არ შეესაბამება მანკიერებას, რაც დამახასიათებელია მისი ჭეშმარიტი ბუნებისთვის. ამგვარად იგი ტყუის. საკუთარი ღირსების ყალბი განდიდება პატივმოყვარეობის სასინჯი ქვაა. მისი შემწეობით ადამიანი ისწრაფის პატივისცემა მოიხვეჭოს იმ თვისებების გამო, რაც უდავოდ გააჩნია, მაგრამ იმდენად არასახარბიელოა, რომ არა ღირს მათი გამომჟღავნება. ამგვარად იგი ცდება.

67

ადამიანები, როცა საკუთარ თავზე ლაპარაკობენ, აღიარებენ მხოლოდ უმნიშვნელო ნაკლს და კიდევ ისეთ რამეს, რაც მათში დიდ ნიჭიერებაზე და ამაღლებულ თვისებებზე მიანიშნებს. ვჩივით, ცუდი მეხსიერება გვაქვსო, სამაგიეროდ ჩვენი საღი აზრებისა და განსჯის უნარის კმაყოფილნი ვართ. გვისაყვედურებენ, ოცნებაში ხართ გადავარდნილი და დაბნეულიო, ჩვენ ვეთანხმებით, რადგან ეს დიდი ჭკუის მაუწყებელი გვგონია. იტყვი, მარცხიანი ვარ, ხელში არაფერი მომდისო და თავს ინუგეშებ, ეს ხომ წვრილმანია, განა ის არ კმარა, ყველამ რომ იცის, რა გონებითა და სულიერი სიმდიდრით ვარ დაჯილდოებულიო. გულახდილად ამბობ, ზარმაცი რომ ხარ, მაგრამ ისეთი იკლიკანტური გამოთქმებით აცხადებ, რაიც დამადასტურებელია იმისა, რომ შენ არა ხარ შეპყრობილი არც ანგარებით და არც პატივმოყვარული მისწრაფებებით. ჩვენ არ ვწითლდებით ჩვენი ფეთხუმობის გამო, რამეთუ წვრილმანების

უგულებელყოფა იუწყება დიდ რუდუნებას მნიშვნელოვანსა და ღირსშესანიშნავ საქმეებში. სამხედრო პირს სიამოვნებს გაგვაგებინოს, რომ ერთხელ, როცა არც მისი რიგი იყო და არც ბრძანება ჰქონდა მიღებული, განსაკუთრებული მონდომებისა თუ ცნობისმოყვარეობის შედეგად თავი ამოჰყო სანგარში თუ რომელიღაც მეტად საშიშ ადგილას. თან დასძენს, იქიდან გენერალმა ამომიყვანაო. რაც შეეხება ადამიანს, რომელსაც დაბადებით დაჰყოლია ისეთი კეთილგონიერება, რის შეძენასაც სხვები წლების განმავლობაში ამაოდ ცდილობენ; ადამიანი, ვისი სულიც გამოცდილებითაა ნაწრთობი, ვინც უძღვება უამრავ, მძიმე, მრავალნაირ, რთულსა და მნიშვნელოვან საქმეს და არ იღლება; ვისი შორსმჭვრეტელობა და გამჭრიახობა უმკლავდება მოვლენათა ყოველგვარ ცვლილებას; არ გასცნობია მმართველობის ხელოვნებასა და პოლიტიკურ თხზულებებს და მაინც უნდა მიეკუთვნებოდეს სხვათა მბრძანებლად დაბადებულ იმ´ დიდებულ მოღვაწეთა რიცხვს, ვისი საქმიანობაც საფუძვლად დაედო ზემოაღნიშნულ შრომებს: ვისაც ისეთი ამაღლებული ქმედებისათვის შეუწირავს თავი, რომ არ დარჩენია დრო წაეკითხა მშვენიერი და სულის დამატკბობელი წიგნები და არც არაფერს დაკარგავს თუ თვალს მოავლებს და გადაფურცლავს, ასე რომ ვთქვათ, საკუთარ ცხოვრებასა და მოღვაწეობას, დიახ, ასეთ ადამიანს შეუძლია თავისუფლად და საკუთარი თავის დამცირების გარეშე, თამამად განაცხადოს, რომ არც ერთი წიგნი არ წაუკითხავს და საერთოდ არაფერს კითხულობს.

68

ადამიანი ზოგჯერ ცდილობს დამალოს ან სანახევროდ გამოაჩინოს თავისი სისუსტე იმით, რომ გულახდილად აღიარებს მას. ერთი ამბობს, უვიცი ვარო და მართლაც არაფერი იცის; მეორე იტყვის, მოვხუცდიო და მართლაც სამოც წელს გადასცილებია. მესამე აცხადებს, არაფერი გამაჩნიაო და ღარიბია მართლაც.

69

მოკრძალება სულაც არ არსებობს, ანდა აღრეულია სულ სხვა რამესთან იმ შემთხვევაში, თუ მას ჩავთვლით ისეთ შინაგან თვი-

სებად, რაც ადამიანს საკუთარ თვალში აკნინებს და რასაც ზებუ-ნებრივი სათნოება და თავმდაბლობა ჰქვია სახელად. ადამიანი თავისთავად მაღალი და შესანიშნავი წარმოდგენისაა საკუთარ თავზე, საკუთარ თავზე და სხვა არავისზე. ამით თუ არვის აწუხებს, მოკრძალებულია. მოკრძალება გარეგნული თვისებაა, აწესრიგებს ადამიანის გამოხედვას, სიარულს, მეტყველებას, ხმას და აიძულებს, სხვების თვალის ასახვევად ისე მოიქცეს, ვითომცდა რამედ აგდებ-დეს მათ.

70

ქვეყანა სავსეა ისეთი ადამიანებით, რომლებიც, ჩვეულებრივ, ზერელედ ედარებიან სხვებს, ყოველთვის საკუთარ თავს ანიჭებენ უპირატესობას და ამის შესაბამისადაც იქცევიან.

71

თქვენ ამბობთ, ადამიანს მოკრძალება მართებსო. კეთილშობილ კაცს ნეტი რა უნდა! მხოლოდ ისე მოაწყეთ საქმე, რომ სხვებმა არ დაწიხლონ ისინი, ვინც მოკრძალებულობის გამო დათმობაზე მიდის; არ მოსპონ ისინი, ვინც ქედს იხრის.

იმასაც ამბობენ, მღვდელს ჭილობში იცნობენო. გამოჩენილ ადამიანებს მეტიც არაფერი სურთ, მაგრამ საზოგადოება მორთვა-მოკაზმვას მოითხოვს და რა გზა აქვთ, მის ნება-სურვილს უნდა დაემორჩილნენ. საზოგადოება ფუფუნებაზეა დახარბებული და ყველა ცდილობს მის წინ გამოფინოს ფუფუნება. ზოგიერთი მხო-ლოდ იმას სცემს პატივს, ვისაც ფაქიზი თეთრეული და დიბა-ქა-თიბი ამოსია. ამ ფასად მოპოვებულ პატივისცემაზე ყველა ვერ იტყვის უარს. არის ადგილები, სადაც თავის გამოჩენა სავალდე-ბულოდ ითვლება: თუ ვიწრო ოქროს სირმა გაქვს მოვლებული, შიგ ცხვირსაც არ შეგაყოფინებენ, ხოლო თუ ფართო სირმა შეგ-ნიშნეს ფიანდაზად გაგეგებიან.

72

პატივმოყვარეობა და საკუთარ თავზე გადაჭარბებული შეხედუ-ლება გვაიძულებს ეჭვი აღგვეძრას, სხვები ქედმაღლურად გვეპყ-

რობიანო, რაც ხან ასეა და ხან არა. მოკრძალებულ კაცს ასეთი ჭოჭმანი არ სჩვევია.

73

რაოდენ საჭიროა ჩავიხშოთ პატივმოყვარეობა, რაიც გვაფიქრებინებს, თითქოს ყველა ცნობისმოყვარეობითა და მოწიწებით შემოგვცქერის; ერთმანეთს მხოლოდ ჩვენს ღირსებებზე ელაპარაკებიან და ხოტბას გვასხამენ. ამასთან ერთად, იმდენი პატივისცემა უნდა გვქონდეს საკუთარი თავისადმი, რომ არ დავეჭვდეთ, როცა ადამიანები ერთმანეთს ეჩურჩულებიან, უთუოდ ჩვენზე ცუდს ამბობენ, ანდა, თუ იცინიან, მაინცდამაინც ჩვენ დაგვცინიან.

74

რა მოხდა, ალკიპუსი დღეს რატომ მესალმება, მიღიმის და იმის შიშით, რომ თვალს არ მივეფარო, ფაცხაფუცხით ეტლიდან ხტება. მდიდარი არ ვარ, ფეხით მოვდივარ, წესით არც უნდა მამჩნევდეს. იქნებ ასეთი ყურადღება იმით დავიმსახურე, რომ დავინახე, ეტლში დიდებული ეჯდა გვერდში?

75

ჩვენი თავით იმდენად ვართ აღტაცებული, რომ ყველაფერს მას ვუკავშირებთ. გვსიამოვნებს, როცა ჩვენზე ანიშნებენ, გვესალმებიან და თვით უცნობებიც კი გვიყურებენ. აგრე თუ არ იქცევიან, ამაყები არიანო, ვამბობთ. გვნებავს, გაგმოიცნონ ვინცა ვბრძანდებით.

76

ბედნიერებას ჩვენს გარეთ, ადამიანთა მიერ ჩვენზე შექმნილ შეხედულებებში ვეძიებთ. თუმცა გვწამს, რომ ისინი პირმოთნეები, ცბიერნი, უსამართლონი, შურით აღვსილნი, ახირებულნი და წინაჩრახვებით შეპყრობილნი არიან. რა საოცრებაა!

77

ცნობილია, ვიცინით იმაზე, რაც სასაცილოა. მაინც გვხვდებიან ადამიანები, რომელთაც სასაცილოზეც და არასასაცილოზეც ეცინებათ. თუ სულელი ხართ, წინდაუხედავი და მათ წინაშე დაუფიქრებლად რაღაც წამოაყრანტალეთ, თქვენზე იცინიან. თუ ჭკვიანი ხართ, გონივრულად მსჯელობთ და სათანადოდაც იქცევით, მაინც იცინიან თქვენზე.

78

იმას, ვინც ძალმომრეობითა თუ უსამართლობით გვტაცებს ქონებას, ჭორიკანობით მიწასთან გვასწორებს, ვძულვართ კიდეც; მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს სრულიად არ გვცემდეს პატივს. ამიტომაც შესაძლებელია მის მიმართ გული მოვიბრუნოთ და კეთილად განვეწყოთ. ხოლო დაცინვა ყველა შეურაცხყოფაზე უფრო ძნელი საპატიებელია. მასში განსაკუთრებით მძაფრად გამოსჭვივის ზიზღი და ადამიანს უსპობს უკანასკნელ სავანეს — პატივისცემას თავის თავისადმი; საკუთარ თვალში სასაცილოდ ხდის და არწმუნებს, რა ბოროტად არის განწყობილი მისდამი დამცინავი, ვისთანაც შერიგება შეუძლებელია.

რა შემზარავი თვისებაა, თავქარიანად დავცინოდეთ ვისმეს, თავსლაფს ვასხამდეთ, გვეზიზღებოდეს და ამავე დროს ვბრაზობდეთ იმაზე, ვინც ჩვენ დაგვცინის, თავსლაფს გვასხამს და ზიზღით გვიყურებს.

79

ჯანმრთელობა და სიმდიდრე ადამიანს აშორებს მწარე გამოცდილებას და თავის მსგავსთა მიმართ გულგრილად განაწყობს. საკუთარი მწუხარებით გატანჯულნი გაჭირვებაში მყოფთ უფრო თანაუგრძნობენ.

80

ზეიმები, სანახაობები, მუსიკა კეთილშობილ ადამიანებს მახლობლებისა და მეგობრების ბედუკუღმართობისადმი მეტ გულისხმიერებასა და სიბრალულს შთააგონებს.

81

მაღალი სულის ადამიანი შეურაცხყოფაზე, უსამართლობაზე, მწუხარებასა და დაცინვაზე მაღლა დგას. იგი ყოველმხრივ შეუვალი იქნებოდა, გულმოწყალე რომ არ ყოფილიყო.

82

როცა სხვის უბედურებას ხედავ, შენი ბედნიერების თითქოს გრცხვენია.

83

თუ რამ მცირეოდენი ღირსება გვაქვს, იცოცხლე, იმწამსვე ვამჩნევთ საკუთარს თავს, ნაკლის აღმოჩენა კი გვიჭირს და გვიან ვხვდებით ხოლმე. არავის ავიწყდება, დაყალმული წარბები და ნატიფი ფრჩხილები თუ აქვს, ხოლო ელამი რომ არის, თითქმის არც კი ახსოვს და არც იმის აზრზეა, ჭკუა რომ აკლია.

არჟირი ხელთათმანებს იძრობს, რათა გამოაჩინოს თლილი თითები და არც კაბიდან ფეხსაცმლის გამოწევა ავიწყდება, რაიც გვაფიქრებინებს, ალბათ პატარა ფეხები აქვსო. სასაცილო რამეზეც იცინის და სერიოზულზედაც, რამეთუ სურს დაინახონ მისი კოხტად ჩაკიწკიწებული კბილები. ლამაზი ყურები აქვს და ამიტომ არც ყურებს მალავს, მაგრამ არ ცეკვავს, რადგან უკმაყოფილოა თავისი მსხვილი წელის მოყვანილობით. ნებავს ყოველმხრივ მომგებიანად გამოჩნდეს, გარდა ერთისა: ბევრს ლაპარაკობს და ჭკუა სულ არ გააჩნია.

84

ადამიანები თითქმის არაფრად თვლიან სათნოებას და თაყვანსა სცემენ სხეულისა და გონების სრულყოფილებას. კაცი დარწმუნებულია, თითქოს მოკრძალებულად იქცევა და უხერხულ მდგომარეობაშიც არ იგდებს თავს, როცა აცხადებს, რომ კეთილია, შეუდრეკელი, ერთგული, წრფელი, სამართლიანი, მადლიერი, მაგრამ ვერ ბედავს თქვას, მკვირცხლი გონება, ლამაზი კბილები, ნაზი კანი მაქვსო: ეგ უკვე ზედმეტი იქნებოდა.

ის კია, ყველა აღტაცებაში მოჰყავს ორ სიქველეს, გამბედაობასა და გულუხვობას, რის გამოც უგულებელყოფენ ორ ესოდენ სასურველ რამეს: სიცოცხლესა და ფულს. ამიტომაც ვერვინ ამბობს, მამაცი და ხელგაშლილი ვარო.

ხოლო მშვენიერება, სულგრძელობა, სიდიადე იმდენად ძვირფასია და სანუკვარი, რომ არვის ყოფნის სითამამე ხმამაღლა თქვას, მით უმეტეს, თუ ამის საფუძველი არ გააჩნია, ამ თვისებებით ვარ დაჯილდოებულიო, გულში კი საწინააღმდეგოს ფიქრობს.

85

როგორც უნდა ჰგვანდნენ ერთმანეთს შური და მეტოქეობა, მათ შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორც მანკიერებასა და სათნოებას შორის.

შურიცა და მეტოქეობაც წარმოქმნილია ერთი და იმავე მიზეზით, ქონებისა და ღირსებების გამო, მაგრამ მეტოქეობა, შურისგან განსხვავებით, მოფიქრებული, გაბედული, გულწრფელი მისწრაფებაა, რაც ანაყოფიერებს გონებას, ხელს უწყობს მას, ისარგებლოს დიადი მაგალითებით და ხშირად აღამაღლებს კიდეც იმაზე ზევით, რითაც აღტაცებულია. ხოლო შური, პირიქით, აღვირახსნილი გააფთრებაა და ერთგვარად, უნებლიე აღიარებაა სხვისი უპირატესობის. იგი სხვისთვის ქებას არ იმეტებს და სხვისი ჯილდო ბოღმით ავსებს. ეს არის უნაყოფო ვნება, რაც ადამიანს არაფერს მატებს, საკუთარ ნაჭუჭში ამწყვდევს და აიძულებს, მარტოოდენ საკუთარი სახელის განდიდებაზე იფიქროს. გულგრილად განაწყობს სხვათა საქმეებისა და შრომის მიმართ, რის შედეგადაც კაცს უკვირს, როცა ქვეყნად ხვდება ისეთ ადამიანებს, რომელთა ნიჭი მის ნიჭს არა ჰგავს, ანდა ტოლია ნიჭისა, რასაც თვითონ მიაწერს საკუთარ თავს. ეს არის სამარცხვინო მანკიერება, რაც თავისი წრეგასულობით უახლოვდება პატივმოყვარეობასა და საკუთარ თავზე გადაჭარბებულ შეხედულებას და შესწევს უნარი შურიანობით დასნეულებულ ადამიანს შთაუნერგოს, რომ იგი არათუ სხვაზე უფრო ჭკვიანია და ღირსეული, არამედ ჭკვიანი და ღირსეული მის გარდა სხვა არც არავინ არსებობს.

მეტოქეობა და შური ერთად გვხვდება ერთი და იგივე ხელო-

ბის, ერთი და იგივე ნიჭისა და მდგომარეობის ადამიანებში. დაბალი ხელობის კაცები ყველაზე მეტად არიან შურიანები. ვინც ხელოვნების თავისუფალ დარგებს ან სიტყვაკაზმულ ლიტერატურას ემსახურება, — მხატვრები, მუსიკოსები, ორატორები, პოეტები და ყველა, ვისაც კალამი უჭირავს ხელში,—მათ შორის მხოლოდ მეტოქეობა შეიძლება არსებობდეს.

შურისთვის უცხო არ არის ბოროტგანწყობილება, ხშირად ორივე ერთადაც გვხვდება. ხანდახან შური ბოროტგანწყობილებას სცილდება. ეს იმ შემთხვევაში ხდება, როცა შურს იწვევს სხვისი მაღალი მდგომარეობა, ჩვენთვის სრულიად მიუღწეველი, დიდი სიმდიდრე, სამეფო კარის მოწყალება, მინისტრის თანამდებობა.

ბოროტგანწყობილება და სიძულვილიც ერთმანეთს ერწყმის და აძლიერებს, როცა ერთი რამისადმია მიმართული. ხანდახან კი შეუთავსებელია, რადგან ერთი მიზანში იღებს პიროვნებას, ხოლო მეორე მდგომარეობას. გონიერ კაცს არ შეშურდება ბჭედლისა, ვისაც მშვენიერი ხმალი გამოუჭედავს, ან მოქანდაკის, თვალწარმტაცი ქანდაკება რომ შეუქმნია ახლახან. მას ესმის, რომ ამ ხელოვნებას ესაჭიროება ისეთი წესებისა და ხერხების ცოდნა, რისაც მას არაფერი გაეგება, და იარაღიც ისეთი უნდა, რისი არც გამოყენება იცის, არც სახელწოდება და არც ის, თუ რანაირი მოყვანილობისაა. როგორც კი გაიხსენებს, ამ ხელობაში შეგირდობაც კი არ გამივლიაო, თავს ინუგეშებს, მისი დიდოსტატი რომ არ გამხდარა. და, პირიქით, იგი შეიძლება ბოროტად განეწყოს მინისტრის ან მმართველთა მიმართ, შეიძლება შეშურდეს კიდეც მათი, თითქოსდა დიდი ჭკუა და საღი გონება, რაც მას ისევე აქვს, როგორც მბრძანებლებს, იყოს ერთადერთი აუცილებელი იარაღი სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი საქმეების წარმართვისათვის და არ იყოს დაფუძნებული კანონებზე, ადათებზე და გამოცდილებაზე.

86

სრულიად გამოთაყვანებული და გამოშტერებული ადამიანები ცოტაა, უფრო ნაკლებია ამაღლებული და ბრწყინვალე გონებით დაჯილდოებულნი. ადამიანთა უმრავლესობის გონიერება ამ ორ უკიდურესობის შორის მერყეობს. შუალედს კი ავსებენ ჩვეულებ-

რივი გონების ადამიანები, რომელთაც დიდი გასავალი აქვთ საზოგადოებაში და სახელმწიფო მმართველობაში მათში შერწყმულია სასარგებლო სასიამოვნოსთან. კარგი მეხსიერებით დაჯილდოებულთ შესწევთ უნარი, გაუძღვნენ ვაჭრობას, საფინანსო და სამხედრო საქმეებს, საამურნი იყვნენ საზოგადოებაში, მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა თამაშობებში და საუბარში.

87

უჭკუო კაცს მთელი დუნიის ჭკუა ვერაფერს შემატებს. ბრმას სხვისი მხედველობა არაფერს არგებს.

88

დიდი მადლია თუ გონება გაქვს, მაგრამ არანაკლებია, თუ გესმის, რომ დაკარგე იგი. სიგიჟე ამ შეგნებასთან შეუთავსებელია. გონიერებაზე ნაკლებ მნიშვნელოვანი როდია, თუ ვიგრნობთ ჭკუანაკლებობას; ამით შეუძლებელს მივაღწევდით, არ გვექნებოდა ჭკუა, მაგრამ არ ვიქნებოდით არც სულელი, არც ქარაფშუტა და არც თავხედი.

89

გონებაშეზღუდული კაცი თითქოს კუნძიდან არის გამოთლილი. ნიადაგ სერიოზულია. არც არაოდეს იცინის, არც ხუმრობს, არც წვრილმანებით ხარობს. არც განდიდება შეუძლია და არც მცირედით გატაცება, თავდავიწყება. შვილებთან თამაშის უნარსაც კი მოკლებულია.

90

ქარაფშუტაზე ყველა ამბობს, ქარაფშუტააო. პირში თქმას ვერავინ უბედავს და ისე განუტევებს სულს, რომ ვერც გაიგებს.

91

რა უთანხმოებაა გონებასა და გულს შორის! ფილოსოფოსი უხეიროდ ცხოვრობს, თუმც სხვებს ასწავლის ცხოვრებას; შორს-

მკვრეტელი და გამკრიახი პოლიტიკური მოღვაწე საკუთარ ვნებებს ვერ ითრგუნავს.

92

გონება, როგორც ყოველივე, ცვდება. მეცნიერება კვებავს მას და აძაბუნებს კიდეც.

93

პატარა ადამიანებს ხანდახან მრავალნაირი, ყოვლად უსარგებლო ღირსება აქვთ; არ იციან სად გამოიყენონ.

94

არიან ადამიანები, რომლებიც არ იდრიკებიან ძალაუფლებისა და მოწყალების სიმძიმის ქვეშ, ადვილად ეგუებიან თავიანთ აღზევებასა და თავბრუ არ ესხმით, რაც უნდ მაღალი თანამდებობა ეჭიროთ. ხოლო ისინი, ვისაც ბრმა ფორტუნა დაუმსახურებლად გადმოხედავს მოწყალე თვალით და ლამის თრგუნავს თავისი მადლით, კადნიერად და განუზომლად ტკბებიან თავიანთი კეთილდღეობით. მათი გამოხედვა, სიარული, ხმა, ყოფაქცევა, მრავალი ხნის განმავლობაში ამჟღავნებს, თუ რაოდენ მოსწონთ თავი, რაოდენ შეფრფინვიან საკუთარ განდიდებას. ისე დიდგულნი და ყოყოჩები ხდებიან, რომ მხოლოდ ძირს დაცემა თუ მოათვინიერებთ.

95

ბრგე და ღონიერი, მხარბეჭიანი ვაჟკაცი მძიმე ტვირთს მსუბუქად და მოქნილად ზიდავს და თან ცალი ხელიც თავისუფალი აქვს; ჯუჯას ამის ნახევარი ტვირთიც კი გაჭყლეტდა. ასევე გახლავთ, მაღალი თანამდებობა: დიდ ადამიანს უფრო დიდს ხდის, პატარას კი უფრო პატარას.

96

უცნაურ ადამიანებს ბედი სწყალობთ. შეუძლიათ გადაცურონ ისეთი ზღვა, სადაც გემები იძირება და ხალხი იხრჩობა. წარმატე-

ბას აღწევენ ისეთი გზებით, სადაც სხვა კისერს მოიტეხდა. თავიანთი ახირებულობითა და სიგიჟით იწევენ ნაყოფს, რის მოყვანასაც სხვამ მთელი სიბრძნე უნდა შეალიოს. მტლად ედებიან ძლიერთ ამა სოფლისათა, რამეთუ მთელი იმედი მათზე აქვთ დამყარებული. კი არ ემსახურებიან, ართობენ მათ. ღირსეული და საიმედო ადამიანები საჭირონი არიან დიდებულთათვის, ესენი კი — აუცილებელნი. მბრძანებელთა გართობაში თმა უთეთრდებათ და კვიმატი სიტყვაა მათი ერთადერთი სიქველე, რის გამოც ჯილდოს იმსახურებენ. მასხარას როლი, მუდმივი მხიარულება მაღალი თანამდებობისა და მდგომარეობისკენ უკაფავთ გზას. დაბოლოს, სრულიად მოულოდნელად ისეთ ბედს ეწევიან, რაზედაც არც ოდესმე უფიქრიათ და არც უოცნებიათ. და როს განუტევებენ სულს, სააქაოში ამ კაცთა იღბლიანობის ხსოვნა რჩება საბედისწერო მაგალითად იმათთვის, ვისაც განუზრახავს გაჰყვეს მათ გზას.

97

ადამიანს, რომელსაც ერთხელ ჩაუდენია საქვეყნოდ აღიარებული კეთილშობილი და გმირული საქციელი, მოეთხოვება არ გამოამეღავნოს, თუ რაოდენ დააძაბუნა მან. სასურველია, სამარის კარამდე ისე ბრძნულად და ფრთხილად მიჰყვებოდეს ცხოვრების გზას, როგორც სრულიად ჩვეულებრივ ადამიანებს სჩვევიათ. არ უნდა ჩაიდინოს სიმდაბლე, რაც ჩირქს მოსცხებს მის დიად სახელს. არ გაერიოს ხალხში, რომ ახლოს არ დააკვირდნენ და ხალხის ცნობისმოყვარეობა და აღტაცება არ გადაიზარდოს გულგრილობაში, ან იქნებ ზიზღშიც.

98

ზოგისთვის გაცილებით იოლია ათასგვარი კეთილშობილური საქმით იყოს დამშვენებული, ვიდრე რაიმე ერთი ნაკლი გამოისწოროს. მისდა საუბედუროდ ეს მანკიერება სულ არ შეეფერება მის მდგომარეობას და სასაცილოს ხდის ხალხის თვალში. აკნინებს მის მაღალ ღირსებებს, უებრო მოღვაწეობასა და უზადო სახელს. არავინ სთხოვს იყოს უფრო მეტად განათლებული და მოუსყიდველი, უფრო მეტად იცავდეს ზომიერებასა და წესრიგს, იყოს მეტად ერთგული მოვალეობისა, უფრო მეტი მგზნებარებით ზრუნავდეს ხალხის სიკეთეზე, იყოს უფრო სერიოზული: სთხოვენ მხოლოდ ერთს, ნუ გიჟდება ქალებისთვის.

99

ზოგიერთი ცხოვრების მსვლელობაში ისე იცვლება გულით და გონებით, რომ უთუოდ შეცდებით, თუ მათზე იმსჯელებთ მხოლოდ იმისდა მიხედვით, როგორიც იყვნენ სიჭაბუკეში. მავანი იყო მორწმუნე, გონიერი, განსწავლული, მაგრამ უსაზღვროდ ლაღი ცხოვრების აუცილებელი თანამგზავრის, განებივრების წყალობით აღარ გახლავთ ასეთი. მავანი კი თავდაპირველად მარტოოდენ სიამოვნებას ეძებდა და მას ალევდა მთელ თავის ჭკუასა და გონებას. მაგრამ ბედმა უმუხთლა და მონასტერს შეაფარა თავი. გახდა თავშეკავებული და ბრძენი. ჩვეულებრივ, ასეთი კაცი განსაკუთრებული თვისებებითაა დაჯილდოებული და მასზე იმედის დამყარება შესაძლებელია. მრავალ გასაჭირს გამოუწვრთნია მისი პატიოსნება და მოთმინება. შეუსისხლხორცებია უებრო თავაზიანობა, რაიც ოდესღაც ქალებთან ურთიერთობის შედეგად შეუძენია, და, რაც, ბუნებრივ მოთხოვნილებად გადაქცევია სამუდამოდ. გამოირჩევა წესრიგის სიყვარულით, საზრიანობით, ზოგ შემთხვევაში მაღალი ნიჭითაც, რასაც კარჩაკეტილ ცხოვრებასა და ხელმოცარული კაცის მოცალეობას უნდა უმადლოდეს.

მთელი ჩვენი უბედურება ისაა, რომ მარტოობას ვერ ვეგუებით. ამის შედეგია აზარტული თამაშობანი, ფუფუნება, მფლანგველობა, ღვინო, ქალები, უვიცობა, ავყიობა, შური, დავიწყება საკუთარი თავისა და ღვთისა.

100

როგორც ჩანს, ადამიანისთვის, ხანდახან, არ კმარა თავის თავთან ყოფნა. სიბნელე, სიმარტოვე აფორიაქებს მას, აღუძრავს უმიზეზო შეშფოთებასა და უაზრო შიშს. ყველაზე ნაკლები უბედურება, რაც შეიძლება შეემთხვეს, მოწყენილობაა.

101

ქვეყანას მოწყენილობა სიზარმაცის შედეგად მოევლინა და თავის მხრივ დიდი ღვაწლი მიუძღვის იმაში, რომ ადამიანებს გაგიჟე-

ბით უყვართ გართობა, ბანქოს თამაში და საზოგადოებაში თავის გამოჩენა. ვისაც შრომა უყვარს, სიმარტოვეს ვერა გრძნობს.

102

ადამიანთა უმრავლესობა ცხოვრების საუკეთესო წლებს ანდომებს იმას, რომ დანარჩენი წლები ჩაშხამებული ჰქონდეს.

103

არის ნაწარმოებები, რომლებიც იწყება „ანით“ და მთავრდება „ზეტით“: კარგი და ავი, ან ავზე უარესი მოყრილია ერთად და არც ერთი ჟანრი არ არის დავიწყებული. რა დახვეწილი თხზულებებია, რა ღვლარჭნილი სტილი! მათ გონების ვარჯიშის ნაყოფი ეწოდებათ. ჩვენი საქციელიც ასეთივე ვარჯიშია. რაღაც დავიწყეთ, უნდა დავასრულოთ, მთელი სიცოცხლე უნდა შევალიოთ. ჯობდა თავი მიგვენებებინა, სხვა რამ აგვერჩია, მაგრამ დაწყებულის გაგრძელება უფრო ძნელია და საპატიო. განვაგრძობთ, წინააღმდეგობა უფრო მეტად გვაქეზებს, უკან არ დავიხიოთ, პატივმოყვარეობაც გვაღიზიანებს, ატყვევებს გონებას და დამორჩილებული გონებაც ქედს იხრის. ეს გახლავთ ის უხილავი მიზეზი, რაც მრავალ მაღალზნეობრივ საქმიანობას საფუძვლად ედება, თვით სარწმუნოებრივ მისწრაფებებსაც კი.

104

ყველაზე მეტად გვიმძიმს მოვიხადოთ ვალი, რადგან იგულისხმება ისეთი რამ, რასაც ჩვენ, ნებსით თუ უნებლიეთ, მაინც ვაკეთებთ და ამის გამო არავინ გვასხამს ხოტბას, რაც ჩვენ გვიბიძგებს შევასრულოთ საქმენი საქებური და გვაგულიანებს ჩვენს ყოველგვარ წამოწყებებში. „ნ“-ს უყვარს საქვეყნოდ გამოფინოს თავისი ღვთისმორწმუნეობა და აკი გადააბარეს კიდეც ღარიბთა და მათ დასახმარებლად გამოყოფილი სახსრების მეურვეობა. მისი სახლი ერთგვარ ღატაკთა თავშესაფრად გადაიქცა, სადაც გაჭირვებულთ მოწყალებას უბოძებენ და სადაც თავისუფლად თარეშობენ ვიწროსაყელოიანი მამაკაცები და „რუხი დები“. მთელი ქალაქი მის ქველ-

მოქმედებას შესცქერის და ხოტბას ასხამს. ვის შეეპარება ეჭვი, რომ ის ნამუსიანი კაცი არ არის, თუ არა მის მოვალეებს?

105

ჟერონტი სიბერით მოკვდა და ვერ მოასწრო დაეტოვებინა ანდერძი, რის შედგენასაც ოცდაათი წელია აპირებდა. ათი ნათესავი ab intestat ინაწილებს მის მემკვიდრეობას. ჟერონტს დიდი ხანია პირში სული ედგა მხოლოდ თავისი ცოლის, ასტერის მოვლა-პატრონობით. ქალმა მთელი თავისი ყმაწვილქალობა მას შესწირა. თავს ევლებოდა, გვერდიდან არ სცილდებოდა, სიბერეში მისი ერთადერთი ნუგეში იყო და თვალიც მან დაუხუჭა. ქმარმა კი იმდენი ქონებაც კი არ დაუტოვა, რომ თავი ირჩინოს და იოლად გავიდეს ისე, რომ სხვა ბერიკაცი არ გამონახოს.

106

ღრმა სიბერეშიც თუ არ შეელევი თანამდებობასა და ბენეფიციუმებს, და არ გაყიდი, ან ვინმეს არ გადასცემ, ეს მაუწყებელია იმისა, რომ დარწმუნებული ბრძანდები, თითქოს მოკვდავთა რიცხვს არ მიეკუთვნები, მაგრამ თუ იცი, რომ სიკვდილი არ აგცდება, მაშ, შენი თავი გყვარებია და სხვა არავინ.

107

ფაუსტი ერთი მფლანგველი ვინმეა, ფუქსავატი, თავზეხელაღებული, უმადური და თავგასული. ბიძამისს, ავრელიუსს, მაინც უყვარდა იგი და მემკვიდრეობაც დაუტოვა.

ფრონტენიც ავრელიუსის ძმისწულია. მისი პატიოსნება ყველასთვის ცნობილია. მთელი ოცი წელიწადი ბერიკაცს ზედ ყვებოდა და მისი გული მაინც ვერ მოიგო. ბიძის გარდაცვალების შემდეგ, ანდერძით მხოლოდ ის ხვდა წილად, რომ ერთადერთმა მემკვიდრემ ფაუსტმა, მცირეოდენი პენსია დაუნიშნა.

108

სიძულვილი ისეთი ხანგრძლივია და ჯიუტი, რომ თუ ავადმყოფმა მოძულებულ კაცთან შერიგება მოისურვა, უტყუარი ნიშანია, მალე განუტევებს სულს.

109

ადამიანი გულში ჩაგიძვრენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თითლიბაზურად მოუწონებ ვნებებსა და გატაცებებს, რომელთაც დაუპყრიათ მისი სული, ან შეიბრალებ იმ სნეულებისთვის, რაც მოსდებია მის სხეულს. ამაზე მეტ მზრუნველობას იგი თქვენგან არ მოითხოვს. აქედან გამომდინარე, ჯანმრთელსა და თავშეკავებულ კაცს იოლად ვერ მიუდგები და შენს ჭკუაზე ვერ ატარებ.

110

სიზანტე და ვნებების აყოლა ადამიანთან ერთად ჩნდება და მასთან ერთად ქრება. მათგან ვერც კეთილდღეობით განიკურნები და ვერც გაჭირვებით. იგი ნაყოფია კეთილდღეობისა და ანაზღაურება გაჭირვებისა.

111

ბუნების ყველაზე დიდი სიმახინჯე შეყვარებული ბერიკაცია.

112

ძალიან ცოტას ახსოვს, სიყმაწვილეში რაოდენ უმძიმდა ყოფილიყო თავშეკავებული და უბიწო. წესიერების დაცვის, გადაქანცვის, ან ჯანმრთელობაზე ზრუნვის მოსაზრებებით ადამიანი როგორც კი განუდგება სიამტკბილობას და ამ გატაცებას სხვებში შეამჩნევს, მყისვე იწყებს მის გაკიცხვას. ამ საქციელში გამოსჭვივის ლტოლვა იმისადმი, რასაც ჩამოსცილდა. გვირჩევნია სიკეთე, რაც ჩვენთვის აღარ არსებობს, აღარც სხვებისთვის არსებობდეს. ეს გახლავთ შური.

113

მოხუცები იმიტომ კი არ ხდებიან ძუნწები, რომ ეშინიათ, ვაითუ ერთ დღეს ფული შემოგვაკლდეს და გაჭირვებაში ჩავვარდეთო. ბევრს იმდენი ქონება აქვს, რომ ასეთი შიში მათთვის უცხოა. ამ დაჩაჩანაკებულ ბებრუცუნებს რა ფუფუნება სჭირდებათ, როცა საკუთარი ნებით უარს ამბობენ მასზე და სიძუნწეს ეწირებიან? ამას არც იმიტომ სჩადიან, რომ დიდი ავლა-დიდება დაუტოვონ შვილებს, რამეთუ ბუნებრივი არ გახლავთ, სხვა შენს თავზე მეტად გიყვარდეს და თან ზოგიერთ ძუნწს მემკვიდრეებიც არ ჰყავს. ეს მანკიერება უფრო მეტად ასაკისა და მოხუცთა შინაგან მოთხოვნილებათა შედეგია და ისევე იტაცებს ხანდაზმულ კაცს, როგორც სიჭაბუკეში — სიამტკბილობა და დავაჟკაცების ჟამს — პატივმოყვარეობა. სიძუნწე არ მოითხოვს არც ძალ-ღონეს, არც სიყმაწვილეს, არც ჯანმრთელობას. ქონების მოვლა ყოველგვარი ფუსფუსისა და თავისტეხის გარეშეც შეიძლება. მაგრად ჩაკეტე ზანდუკებში და ყველაფერი მოიკელი, ესაა და ეს. ძალიან მოსახერხებელია ბერიკაცებისთვის, მათაც ხომ უნდა ჰქონდეთ რაიმე გატაცება, რაკი ადამიანები არიან.

114

არსებობენ ადამიანები, რომლებიც ცუდ ბინებში ცხოვრობენ, ფიჩვებში წვანან, კონკები აცვიათ, შიმშილით კვდებიან; ზამთარში სიცივე აწუხებთ, ზაფხულში — სიცხე. თავისივე ნებით ურთიერთობას წყვეტენ სხვებთან და თავის დღე და მოსწრებას სიმარტოვეში ატარებენ. იტანჯებოდნენ უწინ, იტანჯებიან ახლაც და მომავალშიც გაიტანჯებიან. მათი ცხოვრება ცოდვათა საუკუნო მონანიებაა თითქოს და ამავე დროს გამთანგველი გზაა, რომელიც საუკუნო წამებისკენ მიემართება. ესენი არიან ძუნწები.

115

მოხუცთათვის სანუკვარია სიჭაბუკის გახსენება. უყვართ ადგილები, სადაც ახალგაზრდობა გაუტარებიათ, ადამიანები, იმ დროს

რომ გაუცვნიათ, სიტყვები, რომელთაც მაშინ ხმარობდნენ, ძველი ყაიდის სიმღერები, ცეკვები. აქებენ იმდროინდელ მოდებს, ჩაცმულობას, ავეჯს, ეტლებს. არ ძალუძთ გაიცხონ ის, რაც აღუძრავდათ ვნებებს, ხელს უწყობდა მათ გართობასა და ნეტარებას, და რასაც ვერ ივიწყებს მეხსიერება. აბა როგორ მოეწონებათ ახალი ჩვევები, ახლანდელი მოდები, რაც აგრე რიგად უცხოა მათთვის, აგრე რიგად უსარგებლო და შექმნილია ახალგაზრდების მიერ, რომელთაც, ყოველივე ამის შედეგად, დიდი უპირატესობა ენიჭებათ მოხუცთა მიმართ.

116

ჩაცმულობის როგორც ზედმეტი უგულებელყოფა, ისევე გადაჭარბებული მორთვა-მოკაზმვა ნაოჭებს უმრავლებს მოხუცს და თვალსაჩინოს ხდის მის დაჩაჩანაკებას.

117

ბერიკაცი დიდი გონებით თუ არ არის დაჯილდოებული, მუდამ ქედმაღალია, ამპარტავანი და უკარება.

118

მოხუცი, ვისაც სამეფო კარზე უცხოვრია და შერჩენია საღი გონებაცა და კარგი მეხსიერებაც, დაუშრეტელი წყაროა გარდასულ დღეთა მოგონებებისა და ფასდაუდებელი ხაზინა ბრძნული ჭეშმარიტებისა. საუკუნის ცოცხალი მატიანეა იგი და აღწერს ისეთ საყურადღებო ამბებს, რასაც ვერსად წაიკითხავ. მისგან ვსწავლობთ ყოფაქცევისა და თავდაჭერის წესებს, რაც სრულიად სანდოა, ვინაიდან გამოცდილებაზეა დაფუძნებული.

119

სიმარტოვეს ბერიკაცზე უკეთესად ახალგაზრდა ეგუება, რადგან მას ვნებები ართობს.

120

ფილიპი უკვე ბებერია. დახვეწილი გემოვნება აქვს ყველაფერში, რაც სიამტკბილობას შეეხება, წვრილმანებშიაც კი. მან ხელოვნებად გადააქცია ჭამა, სმა, დასვენება, სეირნობა. თავის ჯანმრთელობისა და მყუდროების უზრუნველსაყოფად შეიმუშავა პატარ-პატარა წესები, რასაც გულმოდგინედ იცავს. ყოველდღიურ რეჟიმს საშუალება რომ მიეცა და საყვარელი ჰყოლოდა, იმის გულისთვისაც კი არ დაარღვევდა თვით მის მიერვე დადგენილ წესებს. ამ ზედმეტი წვრილმანებით ისე გადაიტვირთა, რომ ჩვეულება აუცილებლობად გადაექცა. ასე და ამგვარად, ფილიპი აორმაგებს და ამაგრებს ჯაჭვებს, რაც ცხოვრებასთან აკავშირებს და ცდილობს დარჩენილი დღეები ისე გამოიყენოს, რომ ცხოვრებასთან განშორება უფრო და უფრო მეტად გაუჭირდეს. ნუთუ ისედაც საკმაოდ არ ეშინია სიკვდილის?

121

გნატონი მხოლოდ თავის თავისთვის ცხოვრობს და ჰგონია, დუნიაზე მის გარდა არვინ არსებობს. იმით არ კმაყოფილდება, რომ სუფრასთან საუკეთესო ადგილზე ზის, კიდევ ორ სკამს იკავებს. ავიწყდება, საჭმელი რომ მომზადებულია არა მხოლოდ მისთვის, არამედ ყველა იქ მყოფთათვის. კერძს შემოიტანენ და დააცხრება მთელ ლანგარს. მეორეს შემოიტანენ, არც იმას გაუშვებს ხელიდან. ერთს ისე არ შეჭამს, რომ ყველას არ გაუსინჯოს გემო. რომ შეძლებოდა, ყველას ერთად შთანთქავდა. დანა-ჩანგალი არ სჭირდება, ხელებით ჭამს, აიღებს ხორცს, გადაატრიალ-გადმოატრიალებს, ძვლებს მოაცლის, გაგლეჯს, დაფლეთს ისეთნაირად, რომ მეინახეებს თუ შიათ, ნარჩენებით უნდა დაკმაყოფილდნენ. ისე თქვლეფს, ისე ამაზრზენად ითხუპნის ცხვირ-პირს, რომ დამშეულსაც მადას წაუხდენს. სუპი და წვენი ნიკაპზე და წვერზე ჩამოსდის და წვეთავს ძირს. რაგუს გადმოიღებს, წურწურით გადმოიტანს თეფშზე, გზა და გზა ღვრის, ერთ ნაჭერს ვინმეს ჩაუგდებს თეფშში, მეორე ნაჭერს სუფრაზე დაადგებს და ასე დატოვებს კვალს. ხვრეპს, ენას აწკლაპუნებს, ახრამუნებს, ხვნეშის, თვალებს აბრიალებს, თითქოს ბაგაზეა მიბმულიო. გამოიჩიჩქნის კბილებს და ისევ განაგრძობს ჭამას. სადაც უნდა იმ-

ყოფებოდეს, თავს ისე გრძნობს, როგორც საკუთარ სახლში. ეკლესიაშია თუ თეატრში, ისე მყუდროდ არის მოკალათებული, თითქოს თავის საწოლში იყოს. კარეტაში მხოლოდ უკან ჯდება და ყველა სხვა ადგილზე, მის სიტყვებს თუ დავუჯერებთ, თავბრუ ეხვევა. როცა მთელ ჯგუფთან ერთად მიემგზავრება, თანამგზავრებს წინ უსწრებს, ირჩევს საუკეთესო ოთახს და საუკეთესო საწოლს. იმსახურებს თავის ლაქიებსაც და სხვებისასაც. რაც ხელში მოხვდება მისი საკუთრებაა, ბარგი, ეკიპაჟი. ყველას თავს აბეზრებს, არავის არაფრად აგდებს, არავინ ეცოდება, სხვისი ტკივილი არად მიაჩნია, მარტო თავისი ავადმყოფობა აწუხებს, ჭარბი სიმსუქნე და ნაღვლის ჩაქცევა; სხვის სიკვდილზე არ ტირის, თვითონ კი სიკვდილის ეშინია და ოღონდ გადარჩენოდა მას, ადამიანთა მთელ მოდგმას სიამოვნებით გაჟლეტდა.

122

კლიტონს თავის სიცოცხლეში მხოლოდ ორი საქმე ჰქონდა: დღისით — სადილი, საღამოს — ვახშამი. როგორც ჩანს, კუჭის მონელებისთვის ყოფილა დაბადებული. საუბრის თემადაც მხოლოდ ეს შეურჩევია. ყვებოდა, ბოლო დროს წვეულებაზე რომ იყო დაპატიჟებული, რა საუზმე მოუტანეს, რამდენნაირი სუპი და სახელდობრ რა სუპი, ახლა შემწვარს არ იტყვით, საწებლებს. ზუსტად ახსოვდა პირველი როდის მოიტანეს, როდის წაიღეს, ჩაროზი როგორი იყო, რა ხილი, როგორი ჭურჭელი გაეწყოთ, რომელი ღვინო მოერთმიათ, რომელი ლიქიორი შეესვა. ზედმიწევნით იცოდა კულინარული ყოველი სიტყვა, ყოველი გამოთქმა და ისე ერკვეოდა ყოველ წვრილმანში, რომ მიღვიძებდა სურვილს მივჯდომოდი სუფრას, სადაც ის არ იმყოფებოდა. უნდა ვაღიაროთ, დიდი გასტრონომიული ალღოთი იყო დაჯილდოებული, ერთხელაც არ უღალატია მისთვის და თავი საფრთხეში არ ჩაუგდია იმით, რომ ეგემა ცუდად მომზადებული რაგუ ან მდარე ღვინო. ამ დარგის ბრწყინვალე მოღვაწე იყო და ჭამა-ყლაპვის ხელოვნება უმაღლეს მწვერვალზე აეყვანა. ვერ იპოვით კაცს, ვინც ჭამს ამდენს და ჭამს აგრე შერჩევით. ამიტომ იგი უზენაესი მსაჯული იყო ნუგბარ-ნუგბარის და ვერვინ გაბედავდა მოსწონებოდა ის, რაც მას არ მოსწონდა. მაგრამ აღარ გვყავს კლიტონი, ერთი კია, სუფრასთან აღმოხდა უკანასკნელი სუნთქვა.

თავის ოჯახში ჰქონდა გაშლილი სუფრა, როცა განუტევა სული. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, სადაც უნდა იყოს, იგი უთუოდ ჭამს და თუ უწერია სააქაოში დაბრუნება, მხოლოდ იმისთვის, რომ ჭამოს.

123

რუფინს თმაში ჭაღარა შეეპარა, მაგრამ ჭარმაგად არის. სახეზე ერთი ნაოჭიც არა აქვს და თვალში ცეცხლი არ ჩაჰქრობია. ყოველივე ეს გვაუწყებს, რომ ოც წელს კიდევ იცოცხლებს. მხიარულია, სიცოცხლით სავსე, ხუმარა და უზრუნველი. გულიანად ხარხარებს, უმიზეზოდ იცინის თუნდაც მარტო იყოს. კმაყოფილია თავისი თავის, ოჯახის, მცირე ქონების და ამბობს, ბედნიერი ვარო. ერთადერთი შვილი დაკარგა, ყმაწვილი კაცი, რომელსაც ბრწყინვალე მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ და რომელიც, ალბათ, ერთ მშვენიერ დღეს თავისი გვარის მშვენება იქნებოდა. რუფინმა მისი დატირება სხვას გადააბარა, ასე თქვა: „შვილი მომიკვდა, დედამისი დიდხანს ვერ იცოცხლებსო“ — და დამშვიდდა. არც გატაცება აქვს, არც მეგობრები ჰყავს და არც მტრები, არავინ ეჯავრება, ყველა მოსწონს, ყველგან და ყველასთან თავისუფლად გრძნობს თავს. პირველ შემხვედრს ისევე გულახდილად და მინდობით ესაუბრება, როგორც იმათ, ვისაც ძველ მეგობრებად რაცხს და იმ წუთასვე მოუყვება ანეკდოტებსა და სახუმარო ამბებს. ადამიანები მიუახლოვდებიან, გასცილდებიან, ის არც ამჩნევს. ამბის მოყოლა ერთთან დაიწყო და დაამთავრებს იმასთან, ვინც პირველის ადგილს დაიჭერს.

124

„ნ“ წლებმა ისე არ გატეხა, როგორც ავადმყოფობამ. ჯერ სამოცდარვა წელიც არ შესრულებია, მაგრამ ნიკრისის ქარი და ღვიძლი აწუხებს. მიტეტკილ სახეზე მწვანე ფერი ადევს, რაც გვაუწყებს, რომ ცალი ფეხი სამარეში უდგას. მიწები მერგელით გააპოხიერებინა და გული დაიარხეინა, თხუთმეტ წელს გაპატივება აღარ დამჭირდებაო. ნორჩი ნერგები ჩაყარა და იმედი აქვს ოც წელიწადში დაბურული საჩრდილობელი გაიზრდება. ... — ის ქუჩაზე კუთხეე-

ში რკინის კავებით გამაგრებულ თლილი ქვის სახლს იშენებს და მიხრწნილი, ათრთოლებული ხმით, რასაც ხანდახან ხველა აწყვეტინებს, ამბობს, სახლი უკუნითი უკუნისამდე იდგებაო. მსახურის ხელზე დაყრდნობილი მშენებლობას ყოველდღე ათვალიერებს და მეგობრებს უჩვენებს, რაც გაუკეთებია და რის გაკეთებასაც აპირებს. შვილებისთვის როდი აშენებს, — არა ჰყავს, არც მემკვიდრეებისთვის, — უნამუსო ხალხია და თანაც წაჩხუბებულნი არიან. თავისთვის იშენებს და ხვალ მოკვდება.

125

ვინ არ იცნობს ანტაგორასს და მის მდაბიურ პირისახეს. საყდრის დარაჯს, ან წმიდანის ქვის ქანდაკებას, ტაძრის მთავარ საკურთხეველს რომ ამკობს, ისე არ ცნობს ხალხი, როგორც ანტაგორასს. დილით მოირბენს სასამართლო პალატას და კანცელარიას, საღამოს — ქალაქის ქუჩებსა და გზაჯვარედინებს. ორმოცი წელია სულ რაღაცას ჩივის და უმალ სიცოცხლეს შეელევა, ვიდრე ამ საქმეს. მთელი ამ ხნის განმავლობაში მართლმსაჯულების სასახლეში არ ყოფილა ისეთი გახმაურებული პროცესი, ან გაჭიანურებული, აბურდული საქმე, მონაწილეობა რომ არ მიეღოს; მისი სახელი ყველა ადვოკატს პირზე აკერია, და ისე უთანხმდება „მოსარჩელესა“ და „მოპასუხეს“, როგორც არსებითი სახელი და ზედსართავი. ყველას ნათესავია და ყველასგან მოძულებული. ერთი ოჯახი არ არის, რომ არ უჩიოდეს მას, ან თვითონ არ ჩიოდეს მასზე. ხან ვინმეს მამულს ყადაღას ადებს, ხან თვით ბის მამულს ადებენ ყადაღას და პროტესტს აცხადებს, ხან მსაჯულად ზის committimus-ის უფლებით, ხან სასამართლოს აღმასრულებლად გვევლინება გარდა იმისა, რომ ყოველდღე კრედიტორების სხდომებს ესწრება. ყველგან სინდიკად ირჩევენ, ვინმე გაკოტრდება და ისიც ზარალობს. ვიზიტებისთვის დროს პოულობს მუდამ და სასტუმრო დარბაზებში ისე არიან ანტაგორასს მიჩვეულნი, როგორც ძველ დგამს. ანტაგორასი სულ სასამართლო პროცესებზე ლაპარაკობს და ახალ ამბებს ყვება. თქვენ იგი მარეს უბანში დატოვეთ, დაგხვდებათ სენ-ჟერმენის უბანში, მიგასწრებთ კიდეც. აქაც ისევ ახალ ამბებსა და თავის პროცესზე ყვება. თქვენც საქმე თუ გაქვთ სასამართლოში და მოსამართლესთან

გარიჟრაჟზე მიხვალთ, მოსამართლე აუდიენციაზე მიგიღებთ, როგორც კი გაისტუმრებს ანტაგორასს.

126

ზოგიერთნი თავიანთ ხანგრძლივ სიცოცხლეს ანდომებენ ერთთაგან თავდაცვასა და სხვაზე თავდასხმას. სიბერისგან კვდებიან მას შემდეგ, რაც იმდენივე ბოროტება მიაყენეს სხვას, რამდენიც თვითონ განიცადეს.

127

თანახმა ვარ, საჭიროა მამულზე ყადაღის დადება, ქონების აღწერა, ციხეები და დასჯა, მაგრამ თავი დავანებოთ მართლმსაჯულებას, კანონმდებლობასა და ფულის ანგარიშს. ყოველთვის ერთნაირად მანცვიფრებს ადამიანთა უსაზღვრო სისასტიკე, ერთმანეთის საწინააღმდეგოდ მიმართული.

128

ვხედავთ ხოლმე რომელიღაც გარეულ ნადირს, მამრებსა და მდედრებს, მიმოფანტულს მინდორ-ველზე: ჩაშავებულებს, ყვიციანებს, მზისგან დახრუკულებს. მიწას მიჯაჭვულნი თავგამოდებით და ჯიუტად თხრიან და ჩიჩქნიან. თითქოსდა დანაწევრებული მეტყველებაც აქვთ და როცა წელში გაიმართებიან, ვხედავთ ადამიანთა პირისახეს. მართლაც, ადამიანები არიან. ღამით სოროებში იმალებიან და კუჭს შავი პურით, წყლითა და მცენარეულის ფესვებით ამოიყორავენ. ისინი სხვა ადამიანებს აცილებენ მოვალეობას მოხნან, დათესონ, აიღონ პური არსობისა და ამგვარად ინარჩუნებენ უფლებას, მიიღონ პური, რაც თავად მოიყვანეს.

129

დონ ფერნანდო თავის პროვინციაში ცხოვრობს. უსაქმურია და უვიცი. ჭორიკანა ვინმეა, მოჩხუბარი, თაღლითი, თავშეუკავებელი, თავხედი. მაგრამ მუდამ მზადაა იშიშვლოს ხმალი, მეზობლებზე გა-

იწიოს და სულ უმნიშვნელო რამისთვის სიცოცხლე გასწიროს; მას ადამიანები მოუკლავს, მასაც მოკლავენ.

130

პროვინციელი აზნაური, გამოუსადეგარი სამშობლოსთვის, ოჯახისთვის, თვით თავის თავისთვის, ხშირად უსახლკარო, დაკონკილი, ყოველგვარ ღირსებას მოკლებული, დღეში ათჯერ მაინც იმეორებს, რომ კეთილშობილ საგვარეულოს ეკუთვნის. ზიზღით იხსენიებს ბეწვისმოსასხამიან და ხავერდისჩაჩიან ბურჟუებს. დღე და მოსწრება ლაპარაკობს თავისი საგვარეულოს სიგელ-გუჯრებზე და ტიტულებზე, რასაც არ გაცვლის კანცლერის კვერთხზე.

131

ადამიანთა ცხოვრება წარმოადგენს უსასრულო და მრავალფეროვან შეხამებას ძალაუფლების, წყალობის, ნიჭიერების, სიმდიდრის, მაღალი მდგომარეობისა და წარმოშობის, ძილის, ფხიანობის, უნარის, სათნოების, მანკიერების, სისუსტის, სისულელის, სიღარიბის, უძლურების, დაბალი წარმოშობისა და სიმდაბლის. ეს ყოველივე სხვადასხვა ადამიანში სხვადასხვანაირად ირევა ერთმანეთში, ცვლის და ავსებს ერთმანეთს და ამგვარად ქმნის სხვადასხვა მდგომარეობასა და პირობებს. ამასთან ერთად, ადამიანებმა იციან სხვისი ავიცა და კარგიც და ერთმანეთს ეპყრობიან იმისდა შესაბამისად, როგორც უკარნახებთ გონება და ვალდებულება. ზოგს ტოლად მიიჩნევს, ზოგს მაღლა აყენებს, ზოგს — დაბლა. ამგვარად წარმოიშობა მეგობრობა, პატივისცემა, მოწიწება, ქედმაღლობა და ზიზღი. აქედანვე გამომდინარეობს ის, რომ საზოგადოებრივ თავყრილობებში ყოველ წუთს ვხვდებით იმათ, ვისი ნახვა ან მისალმება გვენატრება და იმათაც, ვისაც თვალს ვარიდებთ და ახლოს არ ვიკარებთ. ერთის ნაცნობობა საამაყოა, მეორესი-სამარცხვინო. ისიც ხდება, რომ ვისი სიახლოვითაც თავი მოგაქვთ და ცდილობთ კიდეც შეაჩეროთ და გამოესაუბროთ, ის არ გკადრულობთ და უმალ გშორდებათ. აქ თქვენს გამო გაწითლდება კაცი, იქ სხვები წითლდებიან მის გამო; აქ ის არაფრად გაგდებთ, იქ მას არაფრად აგდებენ. საკმაოდ

ჩვეულებრივია, როცა კაცი სხვას ზიზღით ეპყრობა და თავად კი იწვევს ზიზღს. რა უბადრუკობაა! რამეთუ ჭეშმარიტებაა ის, რომ ამ საოცარ ურთიერთობაში ადამიანები ერთის მხრივ იგებენ და მეორეს მხრივ აგებენ, არა სჯობია ხელი აიღონ ამპარტავნობასა და ქედმაღლობაზე, რაიც აგრე არ უხდება თავისთავად სუსტ ადამიანს, ერთხმად შეთანხმდნენ, რათა კეთილად განეწყონ ერთმანეთისადმი და ეს კი ხელსაყრელი იქნება არა მხოლოდ იმისთვის, რომ შენ არავინ დაგამციროს, არამედ იმისთვისაც, რომ განიცადო სიამოვნება, არავინ დაამცირო თვით შენ.

132

ნაცვლად იმისა, რომ ეშინოდეთ ან რცხვენოდეთ სიტყვის „ფილოსოფოსი“, ყველა ზერელედ მაინც უნდა იცნობდეს ფილოსოფიას[1]. ყველასთვის საჭიროა მისი ცოდნა. მისი კანონების ცხოვრებაში გატარება გამოადგება ყოველი ასაკის, სქესის და მდგომარეობის ადამიანს. მისი შემწეობით შევეგუებით სხვის ბედნიერებას, უღირსთა დაფასებას, ბოროტთა წარმატებას, ძალ-ღონისა და სილამაზის დაკარგვას. იგი გვამხნევებს სიღარიბეში, ხანდაზმულობაში, ავადმყოფობასა და სიკვდილში. გულს გვიმაგრებს, რათა არაფრად ჩავაგდოთ სულელთა და დამცინავთა ავყიობა. იგი გვასწავლის, როგორ ვიცხოვროთ უქალოდ, ანდა როგორ მოვითმინოთ ქალი, ვისთანაც ვცხოვრობთ.

133

ადამიანები, ერთსა და იმავე დღეს, გულს უღებენ წვრილმან სიხარულსაცა და წვრილმან მწუხარებასაც. არაფერია ისე არათანაბარი და არათანმიმდევრული, როგორც ის, რაც დროის მცირე მონაკვეთში, მათ გულსა და გონებაში ხდება. ამისგან განკურნვა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამქვეყნად ყველა საგანს თავის ადგილს მიუჩენენ და სათანადოდ შეაფასებენ.

---

1 ნაგულისხმევია, რა თქმა უნდა, ის, რაც ქრისტიანული სარწმუნოებიდან გამომდინარეობს.

134

არც პატივმოყვარე კაცი თვლის თავის თავს საკმაოდ ბედნიერად და არც მოკრძალებული ადამიანი.

135

მეფედ ან მინისტრად რომ არ გავჩენილვარ, ჩემს თავს უბედურად არ ვთვლი, რადგან კარგად ვიცი, რა ბედიც სწევიათ მევენახეებს, ჯარისკაცებსა და ქვის მთლელებს.

136

ნამდვილად უბედურია კაცი, როცა გრძნობს, რომ დამნაშავეა და ამის გამო თავის თავს საყვედურობს.

137

ადამიანთა უმრავლესობას ურჩევნია ერთხელ ძალუმად დაატანოს თავს ძალა და მიაღწიოს მიზანს, ვიდრე ისწრაფოდეს მისკენ ხანგრძლივად და განუხრელად. სიზარმაცისა და დაუდგრომლობის შედეგად მრავალ საუკეთესო წამოწყების ნაყოფს კარგავენ და მათ წინ უსწრებენ ისინი, ვინც უკან იყვნენ, მიდიოდნენ ნელა, მაგრამ შეუსვენებლივ.

138

გავბედავ და დარწმუნებით ვიტყვი, რომ ადამიანებმა გეგმების შედგენა უკეთ იციან, ვიდრე მათი შესრულება. უფრო იოლია გადაწყვიტონ, რისი გაკეთებაა საჭირო, ვიდრე გააკეთონ ის, რაც საჭიროა. კაცი რაიმე საქმეშია გარეული, წინასწარ გადაწყვეტილი აქვს, რაღაც დამალოს, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, ან გაბრაზდება, ან ენას კბილს ვერ დააჭერს, ანდა საუბარში გაერთობა და საიდუმლოს უმალ წამოაყრანტალებს.

139

ადამიანები თავიანთ მოვალეობას უნდილად ასრულებენ, მაგრამ დიდ პატივად მიაჩნიათ, უფრო სწორად, მათ პატივმოყვარეობას ტკბილად ესალბუნება, თუ თავი უნდა გამოიჩინონ სრულიად უცნობ საქმეში, რაიც არც მათ მდგომარეობას შეეფერება და არც ხასიათს.

140

ადამიანი თავის ხასიათის საწინააღმდეგოდ როცა იქცევა, საკუთარ თავისგან ისევე განსხვავდება, როგორც ნიღაბი პირისახისგან.

141

თელეფოსს კი აქვს ჭკუა, მაგრამ, სიმართლე რომ ითქვას, იმაზე ათჯერ ნაკლები, ვიდრე თავად ჰგონია. ჰოდა, რასაც ამბობს, რასაც აკეთებს, რასაც აპირებს და რაც სურს ათმაგად აჭარბებს მის გონებრივ მონაცემებს და არ შეესაბამება არც მის ძალასა და არც უნარს. დიახ, ზუსტად ასე გახლავთ. მის წინ თითქოს ბარიერია აღმართული, რათა შეჩერდეს და იგრძნოს, რომ მისი გადალახვა დაუშვებელია. მერედა რა, ბარიერს ვინ დაგიდევს, არღვევს მიჯნას და უცხო სფეროში იჭრება. თვითონვე პოულობს თავის სუსტ მხარეებს და გამოჰფენს მათ. ლაპარაკობს იმაზე, რაც სულ არ იცის, ან ცუდად იცის. წამოიწყებს რაღაც ისეთს, რისი შნო და მარიფათი არ გააჩნია. მიისწრაფის იმისკენ, რაც მის შესაძლებლობას აღემატება. რა საქმეც უნდა იყოს, ეტოლება საუკეთესოს. ბევრი კარგი და საანაქებო თვისებითაა დაჯილდოებული, მაგრამ ცდილობს ეს თვისებები გამოფინოს როგორც ზღაპრულად დიდებული და შეუდარებელი, და ამით ყველაფერს წყალში ყრის. ხალხი თვალის ერთი დაკვრით ხედავს, რომ ისეთი არ არის, როგორიც ჩანს და ძლივძლივობით იგებს, თუ რას წარმოადგენს სინამდვილეში. თელეფოსი არც იცნობს და არც შეუძლია საკუთარი თავის შეფასება. თანაც იმგვარი ხასიათი აქვს, რომ ვერ კმაყოფილდება იმით, რისი ნიჭი და უნარიც შესწევს.

142

გამორჩეული გონების ადამიანს არა აქვს თანაბარზომიერი ხასიათი. ხან აღზევდება, ხან დაეშვება. მოაწვება შთაგონება და დაუცხრება. თავშეკავების უნარი თუ აქვს, ცოტას ლაპარაკობს, არაფერს წერს, წარმოსახვას ძალას არ ატანს და არ ცდილობს ვინმეს თავი მოაწონოს, განა შეიძლება იმღერო, თუ ყელი გტკივა? ხომ უნდა დაელოდო, სანამ ხმა მოგვიდოდეს?

სულელი ჰგავს ავტომატს, ჭანჭიკს. საკუთარი სიმძიმე ადგილიდან ძრავს, მიაქანებს, ატრიალებს ერთი მიმართულებითა და ერთი სიჩქარით. იგი ერთგვაროვანია და უცვლელი. ვისაც ის ერთხელ უნახავს, უნახავს ცხოვრების ყოველ წუთსა და ყოველ დროს. უკეთეს შემთხვევაში ჰგავს ხარს, რომელსაც ბღავილი შეუძლია, ან შაშვს, რომელმაც სტვენა იცის. ყოველივე წინასაწრ დადგენილი და განსაზღვრულია სულელის ბუნებით, გავბედავ და ვიტყვი, მისი ჯიშით. მასში ყველაზე შესამჩნევი არის სული; იგი არ იძვრის, არ ვითარდება, ისვენებს მხოლოდ.

143

სულელი არ კვდება და თუ მაინც ეწია ის, რასაც ჩვენ მიცვალებას ვუწოდებთ, სიმართლე უნდა ითქვას, მოგებული რჩება, რამეთუ მაშინ მისი სული იწყებს ფიქრს, აზროვნებას, მსჯელობას, დასკვნების გამოტანას, განსჯას, გათვალისწინებას; აკეთებს იმას, რასაც არ აკეთებდა. იგი ხორცის მასიდან თავისუფლდება, სადაც თითქოსდა დასამარებული იყო უსაქმოდ, უმოძრაოდ და ყოველივე იმის გარეშე, რისი ღირსიც იყო. ვიტყოდი კიდეც, რომ იგი სირცხვილით წითლდებოდა თავისი სხეულისა და მისი უხეში და არასრულყოფილი ორგანოების გამო, რომლებშიაც ამდენხანს იყო ჩაკეტილი და რომელთა მეოხებით შეიქმნა მხოლოდ სულელი ან ყეყეჩი. ახლა კი იგი ეტოლება დიდებულ სულებს ადამიანებისა. ეტოლება სულებს, ვისი შემწეობითაც ყალიბდებიან ძლიერი გონებისა და მაღალი ნიჭის ადამიანები. ალენის სული აღარ განირჩევა დიდი კონდეს, რიშელიეს, პასკალისა და ლენჟანდის სულებისგან.

144

ყალბი სისათუთე პირად ცხოვრებაში, გამომჟღავნებული რაიმე შოქმედებაში თუ ყოფა-ქცევაში, იმიტომ კი არ ითვლება ყალბად, რომ მართლაც ცრუა, არამედ იმიტომ რომ გამოწვეულია ისეთი უმნიშვნელო წვრილმანებით, რაიც სულ არ იმსახურებს ამგვარ მოპყრობას. და პირიქით, გემოვნებისა თუ ხასიათის ყალბი დელიკატობა იმიტომ ითვლება ყალბად, რომ მოჩვენებითია და თითლიბაზუური. აგერ, ემილი რაც ძალი და ღონე აქვს გაჰკივის, რომ მოელის საფრთხე, რისიც სულ არ ეშინია. ერთი, პრანჭიობას გადაგებული ქალი თაგვის დანახვაზე ფერს ჰკარგავს. მეორე იაზე გიჟდება და გული მისდის ტუბეროზის სუნზე.

145

ვინ გაბედავს და წარმოიდგენს, თითქოს შეუძლია დააკმაყოფილოს ადამიანის ყველა სურვილი? იქნებ ხელგაშლილმა და უძლიერესმა მეფემ ინებოს? დაე, სცადოს. დაისახოს ერთადერთი მიზანი — ასიამოვნოს ადამიანებს. სასახლის კარი ფართოდ გაუღოს კარისკაცებს, შეუშვას თავის აპარტამენტებშიც. გაუმართოს სანახაობა ბაღებში, რომლებიც თავისთავად სანახაობას წარმოადგენენ. მოუწყოს ათასგვარი თამაშობანი, კონცერტები, გასართობები. სუფრა გაუშალოს გულუხვად და სრული თავისუფლება მისცეს ყველას. მათ მხიარულებაში თვითონაც მიიღოს მონაწილეობა. თავაზიანი იყოს ყველასთან ეს დიდებული პიროვნება, ადამიანური და თბილი ეს სახელოვანი გმირი. გგონიათ, ამას იკმარებენ? ადამიანებს ბოლოს და ბოლოს ბეზრდებათ ის, რითაც თავდაპირველად იხიბლებიან. დროთა განმავლობაში ღმერთების ტაბლასაც მიატოვებდნენ და ნექტარი მწკლარტედ მოეჩვენებოდათ. უყოყმანოდ გაჰკრავენ კბილს ღვთაებრივ სრულყოფილებას, რამეთუ გულში პატივმოყვარეობა და ჟინიანი გულაზიზობა დაჰბუდებიათ. მათ თუ დაუჯერებთ, ისეთი დახვეწილი გემოვნება აქვთ, რომ მისი დაკმაყოფილება არ ძალუძს არავითარ გულმოდგინეობასა და თვით მეფურ სიუხვესაც კი. მათ ბოროტებას საზღვარი არა აქვს და იქამდე მიდის, რომ სიამოვნებით უშხამავენ სიხარულს იმას, ვინც სწორედ მათი

სურვილის დაკმაყოფილების შედეგად განიცდის ამ სიხარულს. და იგივე ადამიანებმა, ჩვეულებრივ ესოდენ ფარისევლებმა და მაამებლებმა, შეიძლება შეიცვალონ სახე და თვით კარისკაცებშიაც კი შევნიშნოთ ნამდვილი ადამიანი.

146

გადაპრანჭული მიხრა-მოხრა, მეტყველება და საქციელი ხშირად უსაქმურობის ან დაუდევრობის ბრალია. მაღალი გრძნობა ან სერიოზული საქმე ადამიანს ბუნებრივ იერს აძლევს.

147

ადამიანებს არა აქვთ ხასიათი და თუ აქვთ, ისიც იმდენად არათანაბარი და ცვალებადი, რომ ადამიანის ბუნებას ვერ ამჟღავნებს. კაცს არ უყვარს, როცა სულ ერთნაირია, ან ნიადაგ წესრიგს იცავს, ან მთლად უწესრიგოა. ხანდახან ერთ სათნოებას მეორეთი იცვლიან და ისვენებენ. უფრო ხშირად, ერთ მანკიერებას იზიზღებენ მეორე მანკიერების გამო. ურთიერთსაწინააღმდეგო ვნებები იტაცებთ და მათში ერთი სისუსტე მეორეს ვერ ეგუება. ურჩევნიათ, ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავარდნენ, ვიდრე ისე მოიქცნენ, რომ ერთი მოქმედება მეორიდან გამომდინარეობდეს. ზომიერების მტრებს ყველაფრის გადაჭარბება უყვართ, გადაჭარბება სიკეთისა თუ ბოროტებისა, მაგრამ მალე ბეზრდებათ და მის შესარბილებლად რაღაც ახალს ჰკიდებენ ხელს. ადრასტე ისე გარყვნილი და გათახსირებული იყო, რომ არ გაძნელებია მოდას აჰყოლოდა და ღვთისმოშიში გამხდარიყო: უფრო გაუძნელდებოდა კეთილზნიან კაცად გადაქცეულიყო.

148

რად არის, რომ ერთი და იგივე ადამიანი უსაზღვრო უბედურებას თავშეკავებულად ხვდება, ხოლო ერთი ბეწო გასაჭირზე თავს კარგავს და ნაღველს ანთხევს? ამგვარ საქციელს სიბრძნე არ უკარნახებს, რადგან სათნოება მარად სათნოებად რჩება და არ ღალატობს თავის თავს. მაშ, ეს მანკიერებით აიხსნება, აბა სხვა რა იქნება, თუ არა პატივმოყვარეობა, რაიც იღვიძებს და წელში სწორდება

ისეთ ვითარებაში, როცა სარფა მოელის და ყველას თავის სადიდებლად ალაპარაკებს. დანარჩენ შემთხვევაში კი მოყუჩებულია.

149

იშვიათად ვნანობთ თუ ცოტა ვილაპარაკეთ, ძალიან ხშირად—თუ ბევრი ვილაპარაკეთ. გაცვეთილი და გახუნებული ჭეშმარიტებაა, რაც ყველასთვის ცნობილია და რასაც არავინ მიჰყვება.

150

მტერს თუ მიაწერ ისეთ ბოროტებას, რაშიაც მას ბრალი არ მიუძღვის და მის თავლაფდასასხმელად ტყუილსაც იტყვი, ამით მხოლოდ საკუთარ თავს მოუტან ზიანს და მტერს დიდ უპირატესობას მიანიჭებ.

151

რამდენი, არათუ ფარული, საქვეყნოდ ცნობილი დანაშაულიც კი არ მოხდებოდა, ადამიანს რომ შეეძლოს საკუთარი თავის გამო გაწითლდეს.

152

ადამიანი, სიკეთის გზაზე იქამდე თუ ვერ მიდის, სადამდეც შეუძლია, ეს მის პირველ აღმზრდელთა ბრალია.

153

ზოგიერთი ადამიანი გონებაშეზღუდულობის წყალობით სიბრძნეს ეუფლება.

154

ბავშვებს წკეპლა და სახაზავი სჭირდებათ. მოზრდილებს— გვირგვინი, კვერთხი, ხავერდის ჩაჩი, ბეწვის მოსასხამი, ლიქტორის წკეპლების კონა, დოლი და მუნდირი. გონება და მართლმსაჯულება წესისამებრ თუ არ არის მორთულ-მოკაზმული, ვერც ვერავის და-

არწმუნებს და ვერც დააშინებს. ადამიანი სულიერია და ხელმძღვანელობს მხედველობითა და სმენით.

155

ტიმონი, როგორც ყველა მიზანთროპი, შეიძლება იყოს ქედმაღალიცა და გაბროლტებულიც, მაგრამ ყოველთვის თავაზიანად იქცევა. თავის თავს არ აძლევს ნებას დაიახლოვოს ვინმე; ყველასთან მეტად წესიერად და სერიოზულად უჭირავს თავი და ყოველმხრივ ცდილობს, არ გაუშინაურდნენ. მათი არც უკეთ გაცნობა უნდა და არც მეგობრობა. ამ მხრივ ემსგავსება ქალთან სტუმრად მისულ მეორე ქალს.

156

გონება ჭეშმარიტებას ჰგავს — ერთადერთია. მისკენ ერთი გზა მიდის, მისგან — ათასი. ჭკვიან კაცს უფრო იოლად გაუგებ, ვიდრე სულელსა და თავხედს. ის, ვინც მხოლოდ ზრდილობიან და გონიერ ადამიანებს შეხვედრია, ან სულ არ იცნობს, ანდა სანახევროდ იცნობს ადამიანებს. რაც უნდ სხვადასხვაგვარი იყოს ხასიათები და ჩვევები, მაღალი წრის ურთიერთობა და თავაზიანობა ერთნაირ საბურველს ჰქმნის; ადამიანები ერთმანეთს ემსგავსებიან ქცევითა და მიხრა-მოხრით, რაც ყველას მოსწონს, ყველას ბუნებრივი ჰგონია და ყველას არწმუნებს, თითქოსდა ყველგან ასეა და სხვაგვარად არც შეიძლება იყოს. მაგრამ ვინმე უბირთა შორის თუ მოხვდა, ან პროვინციაში გაემგზავრა, თუ ბრმა არ არის, სულ მალე საოცარ აღმოჩენებს მოახდენს. იხილავს მისთვის სრულიად ახალსა და წარმოუდგენელ რამეებს. ნელ-ნელა შეიძენს მდიდარ გამოცდილებას და ღრმად შეიცნობს ადამიანთა მოდგმას. უკვე მათემატიკური სიზუსტით გამოიანგარიშებს, თუ რა ფარდობით შეიძლება იყოს ადამიანი აუტანელი.

157

ადამიანის ბუნების ღრმად შესწავლისა და მისი აზრების, გრძნობების, მიდრეკილებებისა და ურთიერთობის სიყალბის გაცნობის შე-

დეგად იძულებული გახლავართ ვაღიაროთ, რომ მერყეობა უფრო ნაკლები უჯდებათ მათ, ვიდრე სიმტკიცე.

158

რამდენი ვინმეა სუსტი, მოშვებული, გულგრილი, რომელიც სატირის ობიექტად გამოდგებოდა, თუმცა დიდი ნაკლი არაფერი აქვს. რამდენი სასაცილო რამ არის მიმობნეული ადამიანებში, მაგრამ ეს სასაცილო თვისებები იმდენად უცნაური და თავისებურია, რომ მათ ყურადღებას არვინ აქცევს და არ გამოდგება არც ჭკუისა და არც ზნეობის სასწავლებლად. ეს მანკიერებანი თავის გვარში ერთადერთნი გახლავან, გადამდებნი არ არიან და კაცობრიობისთვის იმდენად დამახასიათებლად არ ჩაითვლებიან, როგორც ცალკეული პიროვნებისთვის.

თავი მეთოთრმეტე

მსჯელობის შესახებ

1

ისე არაფერი ჰგავს ღრმა რწმენას, როგორც გაბოროტებული კაცის გაჯიუტება. აქედან გამომდინარეობს პარტიული დაჯგუფებანი, შეთქმულებები, მწვალებლობა.

2

ერთი და იგივე რამისადმი ერთნაირად ვერ განვეწყობით: გატაცებას ზიზღი მოსდევს, ზიზღს — გატაცება.

3

სიდიადე გვაკვირვებს, არარაობა ზიზღს იწვევს, ბოლოს ვეჩვევით და ორთავეს ვეგუებით.

4

ჩვევა და სიახლე ერთმანეთის საწინააღმდეგო თვისებებია და ერთნაირად გვიზიდავენ.

5

მხოლოდ ნაძირალებს შეუძლიათ ისეთი სულმდაბლობა გამოიჩინონ, რომ ხოტბა შეასხან მათ, ვისაც მანამდე არაფრად აგდებენ, სანამ მაღალ მდგომარეობას მიაღწევდნენ.

6

მეფის წყალობა არ გამორიცხავს მაღალ ღირსებებს და არც გულისხმობს მათ.

7

საოცარია, რარიგ ვიბღინძებით სიამაყითა და თავმომწონედ, რარიგ ვართ დარწმუნებულნი ჩვენს მოსაზრებათა სიზუსტეში და არ შეგვწევს უნარი, შევაფასოთ მოყვასის ღირსებები: მოდა, ხალხისა და მეფის კეთილგანწყობა აგვიტაცებს და ნიაღვარივით წაგვლეკავს ხოლმე. ვაქებთ, რასაც სხვები აქებენ და არა იმას, რაც თავისთავად საქებურია.

8

ძნელზე ძნელია მოიწონო და შეაქო ის, რაც ჭეშმარიტად ღირსია მოწონების და ქებისა. საეჭვოა, რომ სათნოებამ, ღირსებამ, სილამაზემ, სიკეთემ და მშვენიერმა ნაწარმოებებმა უფრო ძლიერი და უშუალო შთაბეჭდილება მოახდინონ ჩვენზე, ვიდრე შურმა, ეჭვიანობამ, სიძულვილმა. ღვთისმოშიში კეთილ სიტყვას წმიდანს კი არ შეაწევს, არამედ მეორე ღვთისმოშიშს. ლამაზი ქალი თუ მეორე ქალის სილამაზეს ასხამს ხოტბას, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ თავად მასზე ლამაზია. პოეტი სხვის ლექსებს თუ აქებს, შეგიძლიათ სანაძლეო დადოთ, რომ ის ლექსები ცუდია და ღირსი არ არის ყურადღებისა.

9

ადამიანებს ერთმანეთის არც გარეგნობა მოსდით თვალში და არც საქციელი. სხვისი მოქმედება, ყოფაქცევა, აზრები, გამოთქმები, არაფერი ეპიტნავებათ, არაფერი აკმაყოფილებთ. ერთი რაღაცას ყვება, ამბობს ან კითხულობს, მეორე კი ამ დროს წარმოიდგენს, მსგავს შემთხვევაში თვითონ რას გააკეთებდა, რას გაიაზრებდა, რას დაწერდა. ადამიანი ისეა სავსე საკუთარი ფიქრებით, რომ სხვისთვის ადგილი აღარ რჩება.

10

ადამიანთა უმრავლესობა ისეა აყოლილი უწესობასა და ხუშტურებს, ხოლო ქვეყანა ისეა სავსე მანკიერებისა და სიბრიყვის მაგალითებით, რომ ჭკუასთან ახლოს იქნება, თუ არ დავემსგავსებით სხვას, მაგრამ ისე, რომ მეტისმეტად არ შევტოპოთ და ზომიერების ფარგლებს არ გადავცდეთ.

„მოიქეცი, როგორც სხვები იქცევიან", — საეჭვო შეგონებაა, რაც ნიშნავს, — ცუდად მოიქეცი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ წმინდა გარეგნულსა და უმნიშვნელო თვისებებს, რაც დამოკიდებულია ჩვევებზე, მოდაზე ან ზრდილობის წესებზე.

ადამიანები რომ ადამიანები იყვნენ და არა დათვები ან ავაზები, იყვნენ პატიოსანნი და სამართლიანნი, როგორც თავისი თავის, ისე სხვების მიმართ, რა ეშველებოდა კანონებს თავისი ტექსტებითა და მრავალტომიანი კომენტარებით, რა მოუვიდოდა სარჩელს საკუთრების უფლებების აღდგენაზე ან მინიჭებაზე, ანდა ყოველივე იმას, რასაც მართლმსაჯულება ეწოდება? სად გაძვრებოდნენ ისინი, ვინც აგრე გაბერილი და გაფუყულნი არიან, აქაოდა კანონებს ვიცავთ და ვემსახურებითო? ადამიანები გულწრფელნი და პირდაპირები რომ იყვნენ და წინასწარშემუშავებული აზრები არ ჰქონდეთ აკვიატებული, ვიღას დასჭირდებოდა მეცნიერული დისპუტები, სქოლასტიკა და კამათი? ადამიანებს რომ არ იტაცებდეთ გარყვნილება, ღორმუცლობა, ანჩხლობა, ვინ რად დაგიდევდა იდუმალებით მოცულ სამედიცინო ჟარგონს, რომლის მფლობელთაც იგი ოქროს საბადოდ გადაუქცევიათ? ჰოი, კანონის მსახურნო, თეოლოგებო, ექიმებო, რა

გასაჭირი დაგატყდებათ თავს, ყველა ეოთსულოვნად კეთილგონიერნი რომ გავმხდარიყავით! ომისა და ზავის საქმეში რამდენი დიდებული მოღვაწის გარეშე გავიდოდით იოლად! ხელოვნებისა და მეცნიერების რამდენი, თუნდაც სრულქმნილი და სინატიფით გამორჩეული დარგი აღიგვებოდა პირისაგან მიწისა, რამეთუ ისინი კურნავენ მრავალ სიავეს, რისი ერთადერთი წყაროც ჩვენი ბოროტი ხასიათი გახლავთ.

ვარონის შემდეგ რამდენი რამ გაჩნდა ისეთი, რაც ვარონმა არ იცოდა! განა არ კმარა ვიყოთ ისე განსწვალულნი, როგორც იყვნენ პლატონი და სოკრატე?

12

ქადაგებაზე, კონცერტზე, სამხატვრო გამოფენაზე, მარჯვნიდან თუ მარცხნიდან, გვესმის სრულიად საწინააღმდეგო აზრები, გამოთქმული ერთსა და იმავე ნაწარმოებზე. ამიტომაც დასაშვებად მიმაჩნია, რომ ყოველ დარგში შეიძლება შექმნა კარგიც და ცუდიც. კარგი ერთს მოსწონს, ცუდი — მეორეს. ნუ გეშინია, შექმენი ცუდზე უარესიც, მისთვისაც გამოიძებნებიან თაყვანისმცემლები.

13

„ჟღერადი“ პოეზიის ფენიქსი ნაცრიდან აღორძინდა. მისი სახელი ჩაიფერფლა და მყისვე აკიაფდა. ხალხმა, თავისი აზრების ჯიუტმა დამცველმა და შეუცდომელმა მსაჯულმა, აზრი შეიცვალა: ან უწინ ცდებოდა, ან ახლა ცდება. ის, ვინც დღეს იტყვის, „კ“-ს ზოგიერთი ნაწარმოები არ ვარგაო, ისეთსავე გაკიცხვას დაიმსახურებს, როგორც ცოტა ხნის წინათ დაიმსახურებდა, „კ“ კარგი პოეტიაო რომ ეთქვა.

14

შ. პ. მდიდარი იყო, კ. ნ. არ იყო მდიდარი. „ქალწული“ და „როდოგუნა“ სრულიად სხვადასხვა შეფასებას იმსახურებდნენ. ერთთავად ვეკითხებით ჩვენს თავს, რაიმე საქმეში ერთს რატომ უმარ-

თლებს ბედი და მეორეს არა. ამის მიზეზი ჩვენი აპირებული ხასიათია: ჩვენი საქმისთვის, სიამტკბილობისთვის, ჯანმრთელობისთვისა და სიცოცხლისთვის თუ დაგვჭირდა, საუკეთესოს არაფრად ჩავაგდებთ და უარესზე შევაჩერებთ არჩევანს.

15

მსახიობის წოდება რომაელებში სამარცხვინო იყო, ბერძნებში — საპატიო. ჩვენში როგორ არის? მათზე ის აზრი აქვთ, რაც რომაელებს ჰქონდათ, და ეპყრობიან ისე, როგორც ბერძნები ეპყრობოდნენ.

16

ბატილიუსი მიმოსი გახდა თუ არა, რომაელმა ქალებმა არშიყობა გაუბეს. როჰემ თეატრში დაიწყო ცეკვა, როსციამ და ნერინმა — გუნდში სიმღერა და მაშინვე თაყვანისმცემლები ჯგროდ დაესივნენ. დიდმა ძლიერებამ რომაელებს პატივმოყვარეობა და გამბედაობა გაუღვიძა და ამის შედეგად გაუქრო მისწრაფება, შეენახათ საიდუმლო და იდუმალება, რამეთუ სიამოვნებდათ, როცა მათი სიყვარული თეატრის სცენაზე საქვეყნოდ გამოეფინებოდა. არ ეჭვიანობდნენ ამფითეატრში მსხდომ მაყურებლებზე და თავიანთი საყვარლების სიტურფეს უზიარებდნენ. მომთხოვნნი არ გახლდნენ, ოღონდ ყველას სცოდნოდა, რომ კომედიანტი ქალი უყვარდათ და არად აგდებდნენ თუ არც ლამაზი იყო იგი და არც ნიჭიერი.

17

ისე ვერაფერი ამჟღავნებს ადამიანების შეხედულებას მეცნიერებისა და სიტყვაკაზმული ლიტერატურის არსზე, დანიშნულებაზე და იმ სიკეთეზე, რაც მას მოაქვს სახელმწიფოსთვის, როგორც მათი დამოკიდებულება ამ დარგის მოღვაწეთა მიმართ. არ არსებობს ისეთი უბრალო ხელობა, ისეთი დაბალი თანამდებობა, რომლის ესა თუ ის უპირატესობა უფრო სწრაფად და ცხადად არ ხდებოდეს თვალსაჩინო, ვიდრე მეცნიერთა და ლიტერატორთა საქმიანობაშია ეს მოსალოდნელი. ეტლში გადათხლაშული კომედიანტი ლაფში ამოგან-

გლის კორნელს, რომელიც ფეხით მიდის. ბევრისთვის მეცნიერი და პედანტი სინონიმებია.

ზოგჯერ მდიდარი კაცი ლაპარაკობს, ლაპარაკობს მეცნიერებაზე, მეცნიერი კი უნდა სდუმდეს, უსმენდეს, ტაშს უკრავდეს, თუ სურს, სხვა თუ არაფერი, მეცნიერად მაინც ჩათვალონ.

18

ერთგვარი გაბედულებაა საჭირო, რომ ზოგიერთთა წინაშე შენი განსწავლულობის არ შეგრცხვეს: ასეთ ადამიანებს საბოლოოდ ჩამოყალიბებული, წინასწარ შეგონებული აზრი აქვთ სწავლულების შესახებ, თითქოსდა საზოგადოებაში თავაზიანი მოქცევა არ შეეძლოთ, არც ცხოვრების მუღამი გაეგებოდეთ და არც ზრდილობის წესები ესმოდეთ. განდეგილად უნდა ცხოვრობდნენ და წიგნებში იქექებოდნენ. რაკი უვიცობა ადვილი მისაღწევია და თავის მტვრევა არ სჭირდება, უვიცთა აურაცხელი ლაშქარი აწყდება სამეფო კარსა და სატახტო ქალაქს. აბა, მათთან რა შეუძლიათ გააწყონ ერთ მუჭა სწავლულთ, თავის გასამართლებლად რომ იხსენიებენ დ' ესტრეს, არლეს, ბოსუეს, სეგიეს, მონტოზიეს, ვარდს, შევრეზს, ნოვიონს, ლამუანონს, სკუდერის, პელისონსა და მრავალ სხვათ, ვისი განსწავლულობა თავაზიანობასაც ეტოლებოდა; ასევე ბედავენ და იგონებენ დიად სახელებს შარტრის, კონდესი, კონტის, ბურბონის, მენის, ვანდომის, სახელებს ბატონიშვილებისა, რომელთაც შეძლეს ერთმანეთისთვის შეერწყათ შესანიშნავი და ღრმა ცოდნა ატიკურ მჭევრმეტყველებასთან და რომაელთა დახვეწილ მანერებთან. ამის საპასუხოდ უყოყმანოდ აცხადებენ, ესენი გამონაკლისს წარმოადგენენო. და როს სწავლულნი უფრო საფუძვლიან საბუთებსაც იშველიებენ, ბრბოს ღრიანცელში რჩება ღაღადებად უდაბნოსა შინა. ადამიანებს მართებთ უფრო ფრთხილად მიიღონ ამგვარი გადაწყვეტილებანი, თავი შეიწუხონ და შეიგნონ, რომ ეს მაღალი გონების ადამიანები, რაკი მეცნიერების განვითარებას უწყობენ ხელს და ჩვენც გვასწავლიან ვიაზროვნოთ, ვიმსჯელოთ, ვილაპარაკოთ და ვწეროთ სწორად, უთუოდ სამსახურსაც გვიწევენ იმ მხრივაც, რომ ჩვენი ყოფაქცევა უფრო ნატიფი ხდება.

ძნელი არ არის მანერების დახვეწილობით გამოირჩეოდე, გაცილებით ძნელია გონების დახვეწილობით გამოირჩეოდე.

19

„ეგ ხომ სწავლულია, ამბობს პოლიტიკოსი, საქმეებისა არაფერი გაეგება, ჩემი გარდერობის მეთვალყურეობასაც კი არ მივანდობდი.“ ეს კაცი მართალია. დ'ოსა, ქიმენესი, რიშელიე სწავლულები გახლდნენ და სხვა რის მაქნისები იყვნენ? რაო, კარგ მინისტრებად ხომ არ ითვლებოდნენ? „მაგან ბერძნული იცის, განაგრძობს სახელმწიფო მოღვაწე, მწიგნობარია, ფილოსოფოსი“. მართლაცდა, ათენში ხილის გამყიდველი დედაკაცი, ცხადია, ბერძნულად ლაპარაკობდა და ამიტომაც ფილოსოფოსი იყო. ბინიონები და ლამუანონებიც წმინდა წყლის მწიგნობრები იყვნენ, ეჭვი არ გვეპარება, მათაც ბერძნული იცოდნენ. რა ეჩვენებოდა, რას ჩმახავდა დიდებული და სამართლიანი ბრძენი ანტონინი! ამას რას ამბობდა: „ხალხი იქნებოდა ბედნიერი, თუ იმპერატორი ფილოსოფოსი იქნებოდა, ანდა თუ იმპერიას სათავეში ჩაუდგებოდა ფილოსოფოსი“ ანუ მწიგნობარი.

ენები სხვა არა არის რა, თუ არა გასაღები, რაც მეცნიერების კარს ვეიღებს. ერთის ძაგება, მეორეს ასხამს თავლაფს. მნიშვნელოვანი ის კი არ არის, ენა ძველია თუ ახალი, მკვდარია თუ ცოცხალი, არამედ, დამუშავებულია თუ არა და ამ ენაზე დაწერილი წიგნები თუ გამოირჩევა კარგი ან ცუდი გემოვნებით. დავუშვათ, რომ ერთ დღეს ფრანგულ ენას ბერძნულისა და ლათინურის ბედი ეწიოს და რამდენიმე საუკუნის შემდეგ, როცა ფრანგულად აღარავინ ილაპარაკებს, ვინმემ წაიკითხოს მოლიერი ან ლაფონტენი. ის კაციც პედანტად უნდა ჩაითვალოს?

20

მე ვახსენებ ევრიპილს და თქვენ მეუბნებით, გონებამახვილი კაციაო. თქვენ ასევე მეტყოდით იმაზე, ვინც ბოძს თლის, დურგალიაო, ვინც კედელს იყვანს, კალატოზიაო. მე გეკითხებით, სადაა სახელოსნო კაცის, რომლის ხელობა, თქვენის აზრით, გონებამახვილობა ყოფილა. რა აბრა აქვს სახელოსნოზე გაკრული? რა ტანსაცმლით ვიცნობთ? რა იარაღები აქვს? სოლი, ურო თუ გრდემლი? ჩე-

ხავს თუ ჰედავს? სად გამოუფენია თავისი ნამუშევარი გასაყიდად? ხელოსანი თავისი საქმით ამაყობს, ევრიპილიც ამაყობს გონებამახვილობით? თუ აგრეა, სულელი ყოფილა, გონებას რომ წვრილმანებზე ახურდავებს. მდაბალი და გამოფიტული სული ჰქონია და არ შეიძლება გამოვუძებნოთ არც გონების ნატამალი და არც ჭკუის სიმახვილე. სინამდვილეში თუ არაფრით ამაყობს, მაშინ გეთანხმებით, ჭკუაც ჰქონია და გონებაც. განა არ გითქვამთ ასოკირკიტა კაცზე ანდა უხეირო პოეტზე, გონებამახვილიაო? თქვენ რა, თქვენი თავი სრულიად უგონო ხომ არ გგონიათ? და თუ გონება გაქვთ, ალბათ, არც დაჩლუნგებული იქნება; მაშ თქვენც გონებამახვილი ყოფილხართ. მაგრამ გატყობთ, ცოტა არ იყოს, შეურაცხმყოფლად მიგაჩნიათ ეგ სიტყვა. მაშ, განაგრძეთ და მეც დაგეთანხმებით, ასე მონათლეთ ევრიპილი. გამოთქმაც ირონიულად გამოიყენეთ, როგორც სულელებს სჩვევიათ, სიტყვის აზრი რომ ვერ გაუგიათ, ანდა როგორც სჩვევიათ უვიცებს, რომელნიც ირონიას განათლების ნიშნად მიიჩნევენ და სხვებს გაუნათლებლობას უკიჟინებენ.

21

ჩემთან ნუღარ ახსენებთ მელანს, ქაღალდს, კალამს, სტილს, გამომცემელს, გამომცემლობას. აღარავინ გამიბედოს, რა კარგად წერთო, ანტისთენ, წერა განაგრძეთო. ნუთუ აღარ უნდა გვეღირსოსო თქვენი წიგნი? განიხილეთო ყოველგვარი სიკეთე და ბოროტება თანმიმდევრულ, კარგად გააზრებულ ნაშრომში, რასაც არ ექნება დასასრული. დაავიწყდათ დაერთოთ, და არავითარი გასავალიო. მე უარს ვამბობ იმაზე, რასაც ეწოდებოდა, ეწოდება და მომავალში უნდა ეწოდოს წიგნი. ბერილს თაგვის დანახვაზე გული უწუხდება, მე — წიგნის დანახვაზე. ოცი წელიწადია, სადაც ხალხი მოიყრის თავს, ჩემს სახელს ახსენებენ, მაგრამ რაო, უკეთ ვჭამ, უკეთ მაცვია, ჩრდილოეთის ქარი არ უბერავს ჩემს ოთახში, თუ ბუმბულის ლეიბზე ვწევარ? სახელმოხვეჭილი პიროვნება ბრძანდებითო, მეუბნებით, ბევრი თაყვანისმცემელი გყავთო. მერედა, ბევრი რა მაქვს? ერთი პაწაწკინტელა ნატეხიც არ მაშავია იმ ლითონისა, რაც კაცს ყველაფერს აშოვნინებს. სასამართლოს ბრიყვი მოხელე წარადგენს გაბერილ ანგარიშს, აინაზღაურებს არარსებულ ხარჯებს და თავის გო-

გოს გაათხოვებს კონტზე, ან მაგისტრატზე. წითელ ან მოყავისფროლივრეიანი კაცი მეიჯარეს თანაშემწე ხდება, მალე პატრონზე მეტად მდიდრდება. პატრონი უბირ კაცად რჩება, თვითონ კი ფულით აზნაურობას ყიდულობს. „ბ“ მარიონეტების ჩვენებით გამდიდრდა; „ბბ“ — ბოთლებით მდინარის წყლის გაყიდვით. ერთი შარლატანი მთისგალმიდან ცარიელი ზანდუკით ჩამოვიდა. ჯერ ბარგი არ მოეხსნა, რომ პენსია პენსიაზე დააყარეს და ახლა ემზადება გაბრუნდეს იქ, საიდანაც მოვიდა, მხოლოდ ჯორებშებმული ფორნებით. მერკური მერკურია და მეტი არაფერი, მაგრამ მის ხრიკებსა და გაიძვერობას ოქროთი რომ ვერ უნაზღაურებენ, წყალობასა და ჯილდოებს აყრიან თავპირზე. ამას თავი დავანებოთ, ვილაპარაკოთ კანონიერ გასამრჯელოზე. მეკრამიტეს კრამიტში აძლევენ ფულს, მუშას — დროსა და შრომაში, მწერალს თუ აძლევენ რამეს ფიქრსა და წერაში? და თუ ფიქრობს ღრმად და შესანიშნავად, უხვად აჯილდოებენ? ბინას თუ იწყობს ავეჯით, ან თუ იღებს აზნაურობას, რაკი ასე გონივრულად ფიქრობს და საუცხოოდ წერს? ადამიანები უნდა იცვამდნენ, პირს იპარსავდნენ, მათი სახლის კარი საიმედოდ უნდა იკეტებოდეს, მაგრამ განა საჭიროა განათლებულნი იყვნენ? სიგიჟეა, სიბრიყვე, სისულელე,—განაგრძობს ანტისთენი,—აბრაზე წააწერო, აქ მწერალი ან ფილოსოფოსი ცხოვრობსო. თუ შესაძლებელია მომეცით შემოსავლიანი ადგილი, რაც საშუალებას მომცემს ტკბილი ცხოვრება მოვიწყო, მეგობრებს ფული ვასესხო, ვასესხო იმათ, ვისაც ვალის დაბრუნების თავი არა აქვს; ვწერო სალაღობოდ, თავის შესაქცევად, როგორც ტიტირი უსტვენს, ან უკრავს ფლეიტაზე. მხოლოდ ამ პირობით დავემორჩილები იმ ძალმომრეებს, რომლებიც ყელში მიჭერენ ხელს და ჩამჩიჩინებენ. „თქვენ დაწერთ!“ ჩემი ახალი წიგნის ყდაზე წაიკითხავენ სათაურს: „მშვენიერების, სიკეთის, ჭეშმარიტების, იდეებისა და პირველადი მიზეზების შესახებ“. ავტორი ანტისთენი, ზღვის თევზებით მოვაჭრე.

22

უცხო ქვეყნის მეფეთა ელჩები[1], უკანა ფეხებზე მოსიარულე მაიმუნები რომ ყოფილიყვნენ და თარჯიმნის მეშვეობით ესაუბრათ ჩვენთან, გაოცებისაგან აგრე არ დავაღებდით პირს, როგორც გვაკ-

[1] ნაგულისხმევია სიამის ელჩები, რომლებიც ამ ხანებში ეწვიენენ პარიზს.

ვირვებს მათ მსჯელობაში ხანდახან გამოთქმული საღი მოსაზრებები და ზუსტი პასუხები. სხვა ქვეყნების მიმართ წინასწარი აზრით ისე ვართ შთაგონებულნი, ისე ვიბღინძებით ჩვენი ერის სიდიადით, რომ გვავიწყდება, დედამიწის ყველა განედზე, სადაც არსებობენ ადამიანები, არსებობს აზროვნებაცა და საღი განსჯაც. ჩვენ არ მოვისურვებდით, ისევე გვეპყრობოდნენ ისინი, როგორც ჩვენ ვექცევით იმ ხალხს, ვისაც ბარბაროსებს ვეძახით. და თუ ჩვენში რაღაც ბარბაროსობას დაუსადგურებია, ეს სწორედ იმით გამოიხატება, რომ თავზარი გვეცემა, როცა ვხედავთ, სხვა ხალხები ჩვენსავით აზროვნებენ.

ყველა უცხოელი ბარბაროსი არ გახლავთ და არც ყველა ჩვენი თანამემამულეა ცივილიზებული. ასევე, არც ყველა სოფელია სოფლური[1] და არც ყველა ქალაქია დახვეწილი. ევროპაში ერთი დიდი სამეფოს ზღვისპირეთის პროვინციის ერთ კუთხეში სოფლელები მოკრძალებულები და ზრდილნი არიან და, პირიქით, ბურჟუები და მაგისტრატები — გაუთლელნი. სიტლანქე მათ მემკვიდრეობით მოსდგამთ.

23

ჩვენი დახვეწილი მეტყველებით, ფაქიზი ჩაცმულობით, ნატიფი წეს-ჩვეულებებით, შესანიშნავი კანონებითა და თეთრი პირისახით ზოგიერთ ხალხს ბარბაროსებად ვეჩვენებით.

24

აღმოსავლეთის მცხოვრებლებზე რომ ეთქვათ, ისინი ჩვეულებრივ სვამენ მაგარ სასმელებს, რაც თავში აუვარდებათ ხოლმე, ჭკუას აკარგვინებთ და არწყევინებთო, ჩვენ ვიტყოდით, რა ბარბაროსობააო.

25

ეს პრელატი მეფის კარზე იშვიათად ჩნდება, მაღალ საზოგადო-

[1] ეს სიტყვა გადატანითი მნიშვნელობითაა ნახმარი.

ებაში მასლაათი არ ეხერხება, არც ქალებს ეტანება. არც დიდსა და არც პატარა მოგებაზე თამაშობს, არ ესწრება არც ზეიმებს და არც სანახაობებს, არც შეთქმულებაში იღებს მონაწილეობას და არც ხრიკების გაბმა-გამობმა სჩვევია. თავის ეპარქიაში იმყოფება ნიადაგ, მწყემსავს მრევლს სიტყვითა და საკუთარი მაგალითით. თავის ქონებას მოწყალებას ალევს, თავის სხეულს — ცოდვების მონანიებას. მკაცრი წესრიგის დამცველია და ღვთისმოსაობითა და სიწმინდით ტოლს არ უდებს მოციქულებს. დრო შეიცვალა და ამ წესწყობილებაში მოელის უფრო მაღალი წოდება.

26

კარგი იყო გვეგრძნობინებინა განსაზღვრული ყაიდისა და მეტი რომ არ ვთქვათ, სერიოზული საქმის მქონე პირთათვის, რომ ისინი სულაც არ არიან ვალდებულნი დაამტკიცონ, თითქოს აზარტულ თამაშში, სიმღერებში და დროსტარებაში არვის ჩამოუვარდებიან. ვინც დაინახავს მათ ხუმრობასა და მხიარულებას, აღარ დაიჯერებს, სხვა ვითარებაში თუ შეუძლიათ იყვნენ მომთხოვნი და მკაცრი. იქნებ გავბედოთ და შთავაგონოთ, რომ ამგვარი ყოფაქცევით ზიანს აყენებენ მაღალი წრისათვის დამახასიათებელ დახვეწილ მანერებს, რითაც თვით მოაქვთ თავი. ვინაიდან მაღალი წრის ადამიანის მანერები უნდა შეესაბამებოდეს მის მდგომარეობას, იგი კონტრასტებს უნდა ერიდებოდეს და ათასნაირად არ იცვლებოდეს, რათა არ ჩათვალონ უცნაურ და სასაცილო პიროვნებად.

27

ადამიანზე ერთი შეხედვით არ უნდა იმსჯელო ისე, როგორც სურათზე ან ქანდაკებაზე მსჯელობ, არამედ უნდა შეიჭრა მისი სულის სიღრმეში: ღირსებებს მოკრძალების რიდე ფარავს, მანკიერებას — თვალთმაქცობის ნიღაბი. მეტად მცირეა რიცხვი გულთამხილველთა, ვისაც ამის შეცნობა შეუძლია და უფლება აქვს ადამიანი შეაფასოს. მეტად ნელა, ისიც დროისა და შემთხვევის წყალობით თუ ამოტივტივდება უებრო სათნოება და გამოუსწორებელი მანკიერება.

ფრაგმენტი

... ის ამბობდა, ამ მშვენიერი ასულის გონება ედარებაო უებრო ჩარჩოში ჩასმულ ფასდაუდებელ ალმასს, და კვლავ განაგრძობდა: მაღალი სულის და სხეულის მომხიბვლელობა ატყვევებს თვალსა და გულს იმისა, ვინც მას ესაუბრება და ვერ გაუგია, უყვარს იგი თუ აღტაცებულია მისი კდემით. მასში არის ის, რაც საწინდარია ამაღლებული მეგობრობისა და ისიც, რაც მეგობრობაზე შორს გაგიტაცებს. მეტად ნორჩია და კოკორივით აყვავებული, რომ არ მოსწონდეს ვისმეს, მაგრამ მეტად მორცხვი, რომ ისწრაფოდეს ვინმეს დაახვიოს თავბრუ. მამაკაცებში მარტოოდენ მაღალ ღირსებებს აფასებს და მეგობრობას სთავაზობს მხოლოდ. სიცოცხლე ჩქეფს მასში და უნარიც აქვს ღრმა განცდებისა, ამიტომაც ხიბლავს ყველას და აოცებს კიდეც. დაუფლებია ხელოვნებას დახვეწილი და ამაღლებული მუსაიფისა, რასაც ჩაურთავს მოსწრებულ სიტყვას, სიამოვნებასაც რომ ანიჭებს მსმენელს და არც მოითხოვს პასუხს რაიმეს. მოუბარია, ვით შეჰფერის ქალს, სწავლულად რომ არ მოაქვს თავი, ყური მოუკრავს და ეძიებს ჭეშმარიტ ცოდნას, და გისმენთ ისე, ვითარც ქალი, ბევრი რომ იცის, კარგად ესმის თქვენი სიტყვის ფასი და წონა და ვისთვისაც თქვენგან თქმული არც ერთი ბგერა არ დარჩება უყურადღებოდ. არ დაგიწყებთ დავას და კამათს, ვით სჩვევია ელვირს, რომელსაც ნებავს უფრო მეტად ითვლებოდეს გონიერ ქალად, ვიდრე საღად აზროვნებდეს, ცხადად და ზუსტად. აბა რას ვამბობ, კამათს კი არა, თქვენი გრძნობა თითქოს მასთან გადაინაცვლებს, განავრცობს იმას, რაც თქვენ თქვით, შეამკობს მეტად და თქვენც გიხარით, აგრე კარგად რომ გიფიქრიათ, რომ არ ელოდით, წარმოგითქვამთ ისეთი სიტყვა. გამოჩენას რაკი არ ცდილობს, ძალდატანებით არც საუბრობს და არც წერს ასე. სტილს არად აგდებს, როცა აზრი არის მთავარი, რაკი მიმხვდარა, მჭევრმეტყველების სამკაული მარტოდმარტო სისადავეა. თუკი დასჭირდა დაეხმაროს, მოყვასს უშველოს და თქვენ მოგმართოთ ასეთი საქმისთვის, ელვირს მიუშვებს დააფრქვიოს მაღალფარდოვნად სიტყვა კაზმული და რუდუნებით შერჩეული ყოველგვარი შემთხვევისათვის, თვით არტენისი უბრა-

ლოდ, გულღიად და გატაცებით მყის დაგაჯერებთ, უნდა უშველოთ მთხოვნელს უთუოდ. ყველაზე მეტად კითხვა უყვარს, თან ნაცნობობა გამოჩენილ და სახელგანთქმულ პიროვნებებთან, არა იმიტომ, რომ ისინი იცნობდნენ თვით მას, არამედ თვითონ უნდა გაცნობა მათი. არ არის ძნელი, ადრევე მიხვდეთ, გაივლის წლები, საქებური დადგება ქალი, ბრძენი და სათნო, რამეთუ ახლა ხინჯი არა აქვს მის ყოფაქცევას, არც მის განზრახვებს და არც მტკიცე პრინციპებს მისას, რაიც აგრე საჭიროა არტენისივით თაყვანისმცემლებითა და ფარისევლებით გარშემორტყმულ ყველა ქალისთვის. ვაითუ შემთხვევა არ მიეცეს, ვერ იპოვოს სათანადო სარბიელი, იმისათვის, რომ საქვეყნოდ აკიაფდეს მისი ბრწყინვალე ღირსებები, რაკი კარჩაკეტილი ცხოვრება უყვარს და, თუმცა ბაიყუშობას ვერ დავწამებთ, მაინც უნდა ვთქვათ, ცოტა არ იყოს, მარტოობის მოტრფიალეა.

29

ლამაზი ქალი თავისთავად მშვენიერია. არაფერს კარგავს, როცა შილიფად არის ჩაცმული და სამკაული არრა სჭირდება, საკუთარი ხიბლისა და სინორჩის მეტი. მიამიტი სინარნარე უციაგებს პირისახეზე, მიხრა-მოხრას უკეთილშობილებს. ამაზე მეტად ვერ დაღუპავდა მამაკაცებს მისი ხილვა, რაც უნდ მოდაზე მორთულ-მოკაზმულიყო და გამოპრანჭულიყო. ასევე, კეთილგონიერი კაცი თავისთავად არის პატივსაცემი და არ სჭირდება ეცადოს შეიქმნას ისეთი გარეგნობა, რაიც მის პიროვნებას მეტ ღირსებასა და დიდებულებას შემატებს. შეცვლილი იერი, გადაჭარბებული თავმდაბლობა, ახირებული ჩაცმულობა, ფართოფარფლებიანი ქუდი არაფერს შესძენს მის კეთილსინდისიერებას, უფრო მეტად ვერ გამოაჩენს მის ღირსებებს, მხოლოდ შეალამაზებს ამ კაცს და ვაითუ დაუკარგოს ბუნებრიობა და უბრალოება.

ხელოვნური სიდიადე სასაცილოა. თითქოს ორი უკიდურესობა ემთხვევა ერთმანეთს და მათი შუალედი კი საკუთარი ღირსების შეგნებაა. ვინც ცდილობს გახდეს დიადი ადამიანი, ვერ მიაღწევს მიზანს, რადგან ეს სიდიადე კი არ იქნება, არამედ შესრულება დიადი პიროვნების როლისა. სიდიადე მხოლოდ ბუნების ძღვენია. უფრო ადვილია დაკარგო იგი, ვიდრე შეიძინო.

30

ნიჭიერი და სახელგანთქმული ადამიანი თუ პირქუშია და მიუკარებელი, აფრთხობს ყმაწვილკაცებს, მცდარ აზრს შთაუნერგავს სათნოებაზე და აფიქრებინებს, რომ მეტად ძნელი და მოსაწყენია გზა სიკეთისა. ხოლო თუ იგი გულღიაა და პირმცინარი, ახალგაზრდებს მეტად სასარგებლო გაკვეთილს აძლევს და ასწავლის, რომ შეიძლება იცხოვრო მხიარულადაც და საქმიანადაც, გქონდეს სერიოზული მიზნები და უარს არ ამბობდე ისეთ გართობაზე, რაც წესიერების ფარგლებს არ სცილდება. იგი იძლევა მაგალითს, რისი მიბაძვაც საჯურველია.

31

პირისახის მიხედვით არ შეიძლება იმსჯელო ადამიანებზე. მისი მიხედვით ვარაუდი შეიძლება მხოლოდ.

32

გონიერი გამომეტყველება მამაკაცისთვის იგივეა, რაც სახის სწორი ნაკვთები ქალისათვის. ასეთი ყაიდის სილამაზე მარტოოდენ უტვინოებს ენატრებათ.

33

კაცი, ვისი გონება და მაღალი ღირსებები ყველას მიერ არის აღიარებული, არ შეიძლება უშნოდ გეჩვენებოდეს, თუნდაც არ ჰქონდეს სწორი ნაკვთები. და მახინჯიც რომ იყოს, მაინც არ ტოვებს ასეთ შთაბეჭდილებას.

34

რაოდენ ოსტატობას მოითხოვს ბუნებრიობა. რამდენი დრო, გამოცდილება, ყურადღება და გარჯა გვჭირდება, რომ ვიცეკვოთ ისე, მსუბუქად და მოხდენილად, როგორც დავდივართ, ვიმღეროთ ისე, როგორც ვლაპარაკობთ, ვილაპარაკოთ და ვიმსჯელოთ, როგორც ვფიქრობთ, ისევე მგზნებარედ, ცოცხლად, გატაცებით და დამარწმუნებლად წარმოვთქვათ ადრე ნასწავლი სიტყვა საზოგადოების

წინაშე, როგორც უბრალოდ და მოუმზადებლად ვმასლაათობთ კერძო საუბარში.

35

არ უნდა გვწყინდეს, თუ ვინმე კარგად არ გვიცნობს და ჩვენზე ცუდი აზრისაა. იგი ჩვენს წინააღმდეგ კი არა, თავისი წარმოდგენით შექმნილი მოჩვენების წინააღმდეგაა განწყობილი.

36

არსებობს მრავალი წვრილმანი პირობითობა, ვალდებულება, ზრდილობის წესი, დაკავშირებული ადგილთან, დროსთან, განსაზღვრული წრის ადამიანებთან, რომელთა შეცნობა გონებას არ შეუძლია და გამოცდილება კი ადვილად ითვისებს. ადამიანზე რომ იმსჯელო ამგვარი წესების დარღვევის მიხედვით, როცა იგი ჯერ არ შესჩვევია მათ, იგივეა იმსჯელო მისი ფრჩხილებისა და თმის ვარცხნილობის მიხედვით. ერთ მშვენიერ დღეს უეჭველად მიხვდები, რომ შეცდი.

37

√ არ ვიცი, დასაშვებია თუ არა, ადამიანზე შეიქმნა აზრი მისი იმ ერთადერთი შეცდომის მიხედვით, რაც გამოწვეულია ან უკიდურესი გაჭირვებით, ან უსაზღვრო გატაცებით, ანდა დაუფიქრებლობით.

38

იმის საწინააღმდეგო, რასაც საქმეებზე და ხალხზე ამბობენ, ხშირად არის სრული სიმართლე.

თუ ყოველთვის ფრთხილად არ იქნები და არ გამოზომავ ყოველ სიტყვას, მოგელის საშიშროება, ერთ საათზე ნაკლებ დროში თქვა ჰო ან არა ერთსა და იმავე საგანზე ან ადამიანზე, რასაც გაიძულებს ზრდილობისა და საზოგადოებრივი ურთიერთობის წესები; ამ წესების მიხედვით კი დაუშვებელია ერთს ან მეორე მოსაუბრეს შეესიტყვო, თუნდაც ერთი ალთას იყვეს და მეორე ბალთას.

40

მიკერძოება მრავალ უსიამოვნებას ახვედრებს ადამიანს, რაკი ყოვლად შეუძლებელია, რომ ის, ვისაც იგი მფარველობს, იყოს უთუოდ იღბლიანი და გონიერი, ხოლო ის, ვინც არ ეპიტნაევება, აუცილებლად უიღბლო და უტვინო იყოს. რაკი ასეა, ხალხის წინაშე ხშირად უხერხულ მდგომარეობაში ვარდება ან მეგობრების მარცხის შედეგად, ან იმათი წარმატების გამო, ვინც არაჯრად ეპრიანება.

41

კაცი, რომელსაც რაიმეზე წინასწარ აქვს შექმნილი აზრი და ბედავს ეჭიროს საერო თუ სასულიერო მაღალი თანამდებობა, ემსგავსება ბრმას, ვისაც ხატვა მოუწადინებია, მუნჯს, ვისაც თავს უდვია საზეიმო სიტყვით გამოსვლა, ყრუს, სიმფონიაზე რომ მსჯელობს. ეს მეტად სუსტი შედარება გახლავთ და მთელი სისავსით ვერ გამოხატავს წინასწარ აკვიატებული აზრის მთელ საშიშროებას. უნდა დავძინოთ, ეს არის საშინელი, განუკურნავი სენი და გადამდებია ყველა იმათთვის, ვინც ავადმყოფს გაეკარება. იგი მუსრავს ყველას, სნეულის თანასწორთ, მასზე ქვემდგომებს, ნათესავებს, მეგობრებს, თვით ექიმებსაც კი. ექიმები ვერაფერს გააწყობენ, თუ არ ჩააგონებენ, რაცა სჭირს, თუ არ მიაღებინებენ წამალს, ესე იგი, თუ არ დაიყაბულებენ, რომ საჭიროა მოუსმინოს სხვას, ნაკლებ დაუჯეროს თავის თავს, ღრმად ჩაწვდეს საქმის რაობას და მიიღოს ცოტაოდენი განათლება. ხოლო პირმოთნეები, თაღლითები, ცილისმწამებლები, რომელნიც ენას ატარტარებენ მხოლოდ ტყუილის სათქმელადა და ანგარებიანი მიზნების მისაღწევად, არიან შარლატანები, ვისაც იგი ენდობა და ყლაპავს ყველაფერს, რასაც ისინი აწვდიან. სწორედ ამგვარი ადამიანები წამლავენ და კლავენ მას.

42

დეკარტეს შეგონება, საგანზე მსჯელობა მხოლოდ მისი გულმოდგინე და ძირფესვიანი შესწავლის შემდეგ შეიძლებაო, იმდენად

მშვენიერია და ზუსტი, რომ იგი უნდა გავავრცოთ ადამიანთა შესახებ მსჯელობაზეც.

43

ადამიანთა მიერ ჩვენი გონების, ზნეობისა და მანერების გაკიცხვა იმდენად ნაკლებ შეურაცხგვყოფს, რამდენადაც ბილწი და სალახანები არიან მათი რჩეულნი.

აქედანვე გამომდინარეობს ის, რომ მაღალი ღირსების კაცს არაფრად აგდებენ, ხოლო სულელს შეფრფინვიან.

44

სულელი ისაა, ვისაც იმდენი ჭკუაც კი არა აქვს, რომ თავის თავზე შეყვარებული ქარაფშუტა მაინც იყოს.

45

თავის თავზე შეყვარებული კაცი არის ის, სულელებს რომ ღირსეულ ადამიანად მიაჩნიათ.

46

თავხედი ისაა, ვინც თავის თავზე უსაზღვროდ არის შეყვარებული. თავის თავზე შეყვარებული კაცი გღლის, გაშტერებს, თავს გაბეზრებს და გაზიზღებს; თავხედი თავს გაზიზღებს, განრისხებს, გაცოფებს, შეურაცხგყოფს. იგი იწყება იქ, სადაც პირველი მთავრდება.

თავის თავზე შეყვარებული კაცი თავხედისა და სულელის შუალედია. ერთისგანაც რაღაც აქვს მიღებული და მეორისგანაც.

47

მანკიერება სულის გახრწნაა; ნაკლი-ხასიათის მანკიერებაა; სასაცილო თვისებები — ჭკუის ნაკლია.

სასაცილო კაცი ისაა, ვინც სულელს ემსგავსება, სანამ სასაცილოა.

სულელი ყოველთვის სასაცილოა, ეს მისი დამახასიათებელი ნიშანია.

ჭკვიანი კაციც ხანდახან სასაცილოა.

ფათერაკი გონიერ კაცსაც კი სასაცილოდ ხდის.

სულელი ყოველთვის სულელია, თავის თავზე შეყვარებული კაცი ყოველთვის თავის თავზეა შეყვარებული, თავხედი ყოველთვის თავხედია. სასაცილო კი არის ხან ის, ვინც მართლა სასაცილოა და ხან კი ის, ვინც სასაცილოდ ეჩვენებათ იმათ, ვინც მიჩვეულია სასაცილო დაინახოს იქ, სადაც არ არის და არც შეიძლება იყოს.

48

უხეშობა, უზრდელობა, უკმეხობა შესაძლებელია გონიერი კაცის ნაკლიც იყოს.

49

შტერი არის სულელი, რომელიც კრინტს არ ძრავს და ამიტომ უფრო ასატანია, ვიდრე სულელი, რომელიც ლაპარაკობს.

შტერი ჩუმი სულელია და ამიტომ სჯობს ლაქლაქა სულელს.

50

ერთი და იგივე სიტყვები მიამიტობად ან ენაკვიმატობად გვეჩვენება, თუ გონიერი კაცი წარმოთქვამს, ხოლო სისულელედ, თუ სულელი ამბობს.

51

თავის თავზე შეყვარებულ კაცს უადგილო ადგილას ნათქვამი სიტყვის რომ ეშინოდეს, მაშინ თავის ხასიათს უღალატებდა და თავის თავზე შეყვარებული არ იქნებოდა.

52

ლაქლაქი გონებაშეზღუდულობის ერთ-ერთი ნიშანია.

53

სულელი მორცხვია, ქარაფშუტა — თავმომწონე და ლაღი, თავხედი — კადნიერი, ღირსეული ადამიანი — მოკრძალებული.

54

თვითკმაყოფილი ადამიანი ისაა, ვინც დიდ საქმეებად წოდებულ წვრილმან მოხერხებულებას უსაზღვრო გონებაშეზღუდულობას უხამებს.

თვითკმაყოფილ კაცს მიუმატეთ ერთი მისხალი ტვინი და ცოტაოდენი საქმე, კუდაბზიკა გახდება.

სანამ კუდაბზიკაზე იცინიან, მას სხვა სახელი არ გამოეძებნება, როგორც კი მის გამო ატირდებიან, ყოყოჩა გამხდარა და ეგაა.

55

კეთილზნიანი ადამიანი მოხერხებულსა და სათნო ადამიანებს შორის დგას, მხოლოდ მანძილი მასა და ამ ორ უკიდურესობას შორის ტოლი არ არის.

მანძილი კეთილზნიანსა და მოხერხებულს შორის დღითი დღე მცირდება და საცაა გაქრება.

მოხერხებული არის კაცი, რომელიც ფარავს თავის ვნებებს, ანგარებისთვის იბრძვის და მას ბევრ რამეს სწირავს, ვისაც უნარი შესწევს ქონება შეიძინოს, ან შეინარჩუნოს.

კეთილზნიანი ისაა, ვინც შარაგზაზე არ ქურდობს, არავის კლავს, და ვინც მანკიერებას საქვეყნოდ არ გამოფენს.

ყველასთვის ცნობილია, სათნო კეთილზნიანიც არის, მაგრამ ერთი რამაა საოცარი, არცთუ ყველა კეთილზნიანი ადამიანი არის სათნო.

სათნო ადამიანი არც წმიდანია და არც ღვთისმოშიში, იგი კმაყოფილდება იმით, რომ სათნოა.

56

ნიჭი, გემოვნება, საღი გონება სხვადასხვა. მაგრამ შეთავსებადი თვისებებია.

საღ გონებასა და კარგ გემოვნებას შორის იგივე განსხვავებაა, რა განსხვავებაც არსებობს მიზეზსა და შედეგს შორის.

ჭკუასა და ნიჭს შორის ის განსხვავებაა, რაც მთელს ნაწილისგან განასხვავებს.

განა შეიძლება ჭკვიანი კაცი ვუწოდო იმას, ვინც ჩაკეტილა, შემოსაზღვრულა ხელოვნების, თუნდაც მეცნიერების ერთი დარგით და რახან სრულყოფილად დაუფლებია, სხვა არაფერი ახსოვს და არაფერზე ფიქრობს. არ გააჩნია არც განსჯა, არც მგზნებარება, არც წესიერება და არც გულისხმიერება. არ შეუძლია მოგისმინოს, დაფიქრდეს, აზრი გამოთქვას. მაგალითად, ავიღოთ მუსიკოსი. მომხიბლა მისმა დაკვრამ. მერე კი თითქოს საკრავიანად შალითაში ჩაძვრაო. როგორც კი საკრავს ხელს შეუშვებს, იქცევა მანქანად, რომელსაც რაღაც ნაწილი აკლია და აღარაფრის მაქნისია.

ვინ მეტყვის რას ნიშნავს აზარტული მოთამაშის ჭკუა? ვინ განსაზღვრავს მას? ლომბერის ან ჭადრაკის თამაში თუ მოითხოვს გამჭრიახობას, მოქნილობას, გონების დახვეწილობას? და თუ მოითხოვს, რატომაა, რომ შტერები ხშირად საუცხოოდ თამაშობენ, ხოლო დიდად ნიჭიერნი საშუალო დონესაც ვერ აღწევენ და ხელს მოჰკიდებენ თუ არა ბანქოს ქაღალდს ან ჭადრაკის ფიგურებს, თავბრუ ეხვევათ და გონება ეფანტებათ?

ერთი რამ არის ქვეყნად გასაოცარი. ხედავთ ეს კაცი გაუთლელია, მოუხეშავი, გამოშტერებული, არც საუბარი შეუძლია და არც ნანახის გადმოცემა. მოჰკიდებს კალამს ხელს და სანიმუშო მთხრობელია; აამეტყველებს პირუტყვს, ხეებს, ქვებს, ყოველივეს, რაც არ მეტყველებს. რა სიმსუბუქე, რა სინატიფე, რა უშუალობა და სიტყვათუთე გამოსჭვივის მისი თხზულებებიდან.

მეორე კაცი უბრალოა, მორცხვი, მოსაწყენი მოსაუბრე. ნიადაგ ეშლება სიტყვები, ერთის მაგივრად მეორეს ამბობს. თავისი პიესის ღირსებაზე მიღებული ჰონორარის მიხედვით მსჯელობს. არ შეუძლია ხეირიანად წარმოთქვას ან წაიკითხოს ის, რაც თვითონვე შექმნა. მაგრამ რა მწვერვალებს აღწევს თავის შემოქმედებაში! უტოლდება ავგუსტუსს, პომპეუსს, ნიკომედს, ჰერაკლიუსს! მეფეა იგი, დიდი ხელმწიფე, არის პოლიტიკური მოღვაწეც და ფილოსოფოსიც. გმირებს ალაპარაკებს და ამოქმედებს. ხატავს რომაელებს და მის

ლექსებში რომაელები უფრო დიდებულნი, უფრო რომაელები არიან, ვიდრე თვით ისტორიული პიროვნებები.

გნებავთ კიდევ ერთ სასწაულს მოგიყვებით. წარმოიდგინეთ კაცი თავაზიანი, გულთბილი, საამური, დამთმობი, და, ამასთან ერთად, სასტიკი, მრისხანე, ფიცხი, ჭირვეული. იგი გულუბრყვილოა, უშუალო, მიმნდობი, ხუმარა, თავქარიანი, პირდაპირ ჭაღარა ბალღი. მაგრამ მიუშვით ფრთა გაშალოს მისმა გენიამ, რომელიც მასში თუხთუხებს, გავბედავ და ვიტყვი, თვით მისდა გაუცნობიერებლად, მისდა დაუკითხავად! დე, თვით გაჰყვეს შთაგონებას და რა ამაღლებულად, რა აღმაფრენით, რა ხატოვნად აყღერდება მის ბაგეზე ლათინთა ენა. ალბათ სხვაზე მელაპარაკებით, მომმართავთ თქვენ. ო, არა, სწორედ იმაზე, თეოდასზე და სხვა არავისზე. ის ყვირის, ცოფებს ყრის, იატაკზე გორავს, წამოდგება, ჭექა-ქუხილივით გრგვინავს და უცბად, შუა ქარიშხალში გამოსხლტება სხივი, აკაშკაშდება და სითბოს მოგაფრქვევს. მიკიბ-მოკიბულად ნურაფერს ვიტყვით, იგი მეტყველებს გიჟივით და აზროვნებს ბრძენივით. სასაცილოდ წარმოთქვამს ჭეშმარიტებას და უთავბოლოდ — ზუსტსა და ნათელ მოსაზრებებს. და თქვენს გაოცებას საზღვარი არა აქვს, როცა ამ ჯამბაზობასა და მანჭვა-გრეხაში გამოკრთება და აციაფდება საღი აზრი. მეტი რაღა ვთქვა? თვითონაც არ იცის, რას ამბობს ან რას აკეთებს. მასში თითქოს ორი სული ბინადრობს, ერთმანეთს არ იცნობენ და ერთმანეთთან არაფრით არიან დაკავშირებული. თითოეულს თავისი დანიშნულება აქვს და თავისი ადგილი. ამ გასაოცარ პორტრეტს დააკლდებოდა უკანასკნელი შტრიხი, თუ არ გავიხსენებდი, რომ იგი ხოტბაზეა დახარბებული და ვერ ძღება მისი მოსმენით. ლამის თვალი გამოკაწროს ვინმე კრიტიკოსს, მაგრამ გულის სიღრმეში ისე თვინიერია, რომ არვის შენიშვნებს უყურადღებოდ არ ტოვებს. ახლა თავად მეპარება ეჭვი, იქნებ ორი, სულ სხვადასხვანაირი ადამიანი აღვწერე. თუმცა თეოდასში მესამესაც ვიპოვით, რამეთუ იგი არის კეთილი, ენამოსწრებული და შესანიშნავი ადამიანი.

57

საღი განსჯის გარდა, ქვეყნად ყველაზე იშვიათი გახლავთ ალშასები და მარგალიტები.

58

მავანი საქვეყნოდ ცნობილია დიდი ნიჭიერებით. სადაც უნდა გამოჩნდეს, ყველა მოწიწებით ეპყრობა და ეთაყვანება, ხოლო არარაობაა თავის ოჯახში, შინაურებში, რომელთაც ვერ შთაუნერგა პატივისცემის გრძნობა. მეორე კი, პირიქით, ჭეშმარიტი წინასწარმეტყველია და სასიქადულო პიროვნება ოთხ კედელს შუა, შინაურებში, რომლებიც აღტაცებულნი არიან თავიანთი კერპის იშვიათი და შეუდარებელი ღირსებებით. ნებსით თუ უნებლიეთ ყოველივე ამას ეთხოვება, როგორც კი გარეთ გამოდის.

59

როგორც კი ადამიანი სახელმოხვეჭილი ხდება, ყველა მის წინააღმდეგ აღსდგება; თვით იმათაც კი, ვისაც მეგობრებად თვლის, ვერ უპატიებიათ, რომ მისი მაღალი ღირსებები უკვე ფრთებს შლის, სახელი მისი საცაა ქვეყანას მოედება და შეუერთდება იმ დიდებას, რაიც თავად უკვე მიუღიათ. რამდენადაც შესაძლებელია მას არ ამჩნევენ, არ ესალმებიან. მხოლოდ მაშინ, როცა მეფე გადახედავს მოწყალე თვალით და ჯილდოებით აღავსებს, იგი გამოჩენილ ადამიანთა შორის დაიკავებს ადგილს და ყველა აღტაცებით შეეგებება.

60

ხშირად უზომოდ ვაქებთ საკმაოდ შუალანა ადამიანებს და ვცდილობთ ისინი ნამდვილი ნიჭიერების სიმაღლემდე ავიყვანოთ, შეიძლება იმიტომ, რომ გვბეზრდება ერთი და იმავე პიროვნებების მიმართ აღტაცების გამოხატვა, ანდა იმიტომ, რომ ამ გზით ვაკნინებთ მათ სახელსა და დიდებას, რაიც ჩვენთვის უკვე ნაკლებად შეურაცხმყოფელი იქნება და ადვილად შესაგუებელი.

61

ზოგიერთს უზენაესი მოწყალების ნიავქარი თავბრუდამხვევად მიაქანებს წინ. თვალის დახამხამებაში აღარ ჩანს მიწა და დინებას

მიჰყვება ნავი გაშლილი იალქნებით. ასეთ ადამიანებს ყოველიკე ფიანდაზად ეშლებათ ფერხთქვეშ, ყველა უღიმის, საწადელი უსრულდებათ. თითოეული ნაბიჯი მათი, თითოეული ქმედება აღვსილია ქება-დიდებითა და ჯილდოებით. გამოჩნდებიან და ყველა გარს ეხვევა, ულოცავს. შორიახლოს აღმართულია კლდე სალი და მიუდგომელი. მის ძირას იმსხვრევა ყოველი ტალღა: ძლიერება, სიმდიდრე, მუქარა, მლიქვნელობა, გავლენა, მფარველობა ქარიშხალივით ეხეთქება, მაგრამ ვერ არყევს. კლდე იგი არის ხალხი, რომელთან შეჯახებაშიაც იღუპებიან ამ ყაიდის ადამიანები.

62

ჩვეულებრივია და თითქოს ბუნებრივიც, რომ ადამიანი სხვის შრომას საკუთარი საქმიანობის თვალსაზრისით აფასებს. სწორედ ამიტომ ამაღლებული და დიდებული აზრებით გამსჭვალული პოეტი დიდად არაფრად მიიჩნევს ორატორის მჭევრმეტყველებას, რაიც უმეტეს წილად სანიადაგო საკითხებს ეხება. იმისთვის, ვინც თავისი მამულის მატიანეს ადგენს, გაუგებარია, გონიერი ადამიანი სიცოცხლეს როგორ ალევს რაღაც ზღაპრების შეთხზვასა და რაღაც რითმების ძიებას. ხოლო ბაკალავრი, პირველი ოთხი საუკუნის შესწავლით გატაცებული, დარწმუნებულია, რომ ყველა სხვა მეცნიერება არის მოსაწყენი, უაზრო და უსარგებლო. ამავე დროს, თვით მას, ალბათ, აგდებით უცქერს გეომეტროსი.

63

ზოგს საკმაო ჭკუა აქვს, ღრმად გაეცნოს რაიმე საგანს და სხვასაც ასწავლოს. მაგრამ იმის ჭკუა არ ყოფნის, კრინტი არ დაძრას ისეთ საკითხზე, რაზედაც ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს მხოლოდ. თავისი ცოდნის საზღვრებს თამამად ტოვებს, მაგრამ გზა ებნევა და იქცევა ისე, რომ გამოჩენილი ადამიანი სულელივით რატრატებს.

64

ერილი ციტატებზეა გადაგებული. საუბრობს თუ წერს, ან ამბობს სიტყვას, მოჰყავს ციტატები. ღვინო ათრობსო, ფილოსოფოს-

თა მეფის აზრს იშველიებს. ღვინოს წყლით აზავებენო, რომაელ ორატორს ესესხება. ზნეობის საკითხებს განიხილავს და თვითონ კი არა, ღვთაებრივი პლატონი ირწმუნება, სათნოება საქებურია, მანკიერება დასაგმობი და ორთავე შესაძლებელია ჩვეულებად იქცესო. თავს ვალდებულად რაცხს, გაცვეთილი, უფერული, სრულიად უმნიშვნელო ჭეშმარიტებანი, რასაც თვით ერილიც კი ადვილად მოიფიქრებდა, მიაწეროს ძველ ლათინთ და ბერძნებს. და ამას იმიტომ კი არ აკეთებს, რომ ცდილობს მეტი წონა მისცეს თავის ნათქვამს, ანდა განსწავლულობით მოიწონოს თავი; ციტატებზე სული მისდის.

65

მოსწრებული სიტყვა თუ თქვი და თან განაცხადე, ჩემიაო, იქნებ ფათერაკს გადაეყარო და სიტყვა ჩაგიფლავდეს. მსმენელები თუ გონიერი ხალხია, ან ასეთებად თვლიან თავს, ისე მოიქცევიან, ვითომ ვერ შენიშნეს, რადგან დაუშვებლად მიაჩნიათ, რომ თავად არ მოიფიქრეს ეს სიტყვა. და, პირიქით, სიტყვა თუ სხვას მიაწერე, მაშინ ყველა მოიწონებს, ვინაიდან ჩათვლის ფაქტად, რომლის წინასწარი ცოდნა სავალდებულო არ იყო. ამასთან, იგი უფრო ზუსტად ხვდება მიზანს, არავის შურს არ აღუძრავს და არვის გაკრავს კბილს. თუ საჭიროა, გაიცინებენ, თუ მოსაწონია, მოიწონებენ.

66

სოკრატეზე ამბობდნენ, ყოველთვის ბოდავდა და ჭკუით გატენილი გიჟი იყოო. მაგრამ ის ბერძნები, რომლებიც ამ ბრძენ კაცზე ამგვარად ლაპარაკობდნენ, თავად იყვნენ გიჟები! ისინი ამბობდნენ: რა უცნაურ სურათებს გვიხატავს ეს ფილოსოფოსი! რა ახირებულსა და არგაგონილ ზნე-ჩვეულებებს აღწერს! სად გამოუძებნია, ამოუთხრია და შეუგროვებია ეს ახირებული აზრები! რა ფერებია! რა ფუნჯი! ნამდვილი ქიმერებია! ბერძნები ცდებოდნენ. დიახ, ეს იყო ურჩხულები, იყო მანკიერება, მაგრამ სინამდვილიდან ისე ცოცხლად გამოხატული, რომ შიშს აღუძრავდათ. სოკრატე ერიდებოდა ცინიზმს, წყალობდა ადამიანებს და კიცხავდა ცუდ ზნე-ჩვეულებებს.

67

კაცი, რომელმაც სიმდიდრე გაიძვერობით მოიხვეჭა, იცნობს ერთ ფილოსოფოსს, მის წესებს, ზნეობას და საქციელს. რაკი დარწმუნებულია, ყველა ადამიანს თითქოს აქვს მხოლოდ ის მიზანი, რისკენაც მთელი სიცოცხლე მიისწრაფოდა, გულში ამბობს: „რა მეცოდება წესიერების ეს მკაცრი დამცველი. გზა აბნეულია და უთუოდ დაიღუპება. მაგნაირები ვერ აღწევენ ბედნიერების ნეტარ ნავსაყუდელს, თუნდაც ზურგის ქარი ეშველებოდეთ.“ საკუთარი თვალსაზრისის მიხედვით, სწორად მსჯელობს.

ანტისთიუსი ამბობს: „თუ დამივიწყეს, შემინდვია იმათთვის, ვისაც ჩემს ნაშრომებში ხოტბას ვასხამდი. განა რა გავუკეთე მათ? ისინი ხომ მართლაც იყვნენ ღირსნი ქებისა. მაგრამ ვერ შევუნდობ იმათ, რომელთა მანკიერებას ვკიცხავდი ისე, რომ თვით მათ არ ვასახელებდი. ისინი მადლიერნი უნდა ყოფილიყვნენ ჩემი ისეთი სიკეთისთვის, როგორიცაა მათი გამოსწორება. რამეთუ ეს არის არნახული სასწაული, არც ერთს და არც მეორეს ჩემი არაფერი მართებთ“.

„შეუძლიათ,—დასძენს ფილოსოფოსი,—ჩემი ნაშრომის გამო ან შურით აღივსნენ, ან ჯილდოზე მითხრან უარი. ამით ვერ დაჩრდილავენ ჩემს სახელს, და თუნდაც დაჩრდილონ, ვინ ამიკრძალავს მეზიზღებოდნენ ისინი?“

68

კარგია იყო ფილოსოფოსი, მაგრამ ასეთად რომ გთვლიდნენ, არცთუ დიდად სახარბიელოა. დაუშვებელია ვინმეს ფილოსოფოსი უწოდოთ, ეს იმას ნიშნავს, შეურაცხყოფა მიაყენოთ. ასე იქნება მანამდე, სანამ ხალხი აზრს არ შეიცვლის და არ დაუბრუნებს ამ მშვენიერ სახელწოდებას თავის პირვანდელ, შესაბამის მნიშვნელობას და იმ პატივისცემას, რასაც იგი იმსახურებს.

69

არსებობს ისეთი ფილოსოფია, რაიც გვეხმარება აღვმაღლდეთ პატივმოყვარეობასა და სიმდიდრესა ზედა, რაიც გვათანაბრებს, ამას

რას ვამბობ, გვათანაბრებს კი არა, მიგვიჩენს უფრო მაღალ ადგილს, ვიდრე აქვთ მდიდრებს, დიდებულებსა და ძლიერთ ამა სოფლისათა. რაიც შთაგვაგონებს არაფრად ჩავაგდოთ არც მაღალი თანამდებობა და არც ისინი, ვინც ამ თანამდებობებს არიგებენ, რაიც ჩაგვიხშობს სურვილს ვისწრაფოდეთ, ვთხოულობდეთ, ვეხვეწებოდეთ, თავს ვაბეზრებდეთ და გაგვათავისუფლებს იმ დიდი მღელვარებისა და სიხარულისგან, რასაც სურვილის შესრულება იწვევს. არსებობს კიდევ ერთი ფილოსოფია, რომელიც გვასწავლის ყოველივე ზემოჩამოთვლილს დავემორჩილოთ და დავემონოთ, ჩვენი ნათესავებისა და მეგობრების სასიკეთოდ: ეს ფილოსოფია უკეთესია.

თუ ვირწმუნებთ, რომ ზოგიერთს არ შესწევს უნარი საღად იმსჯელოს და თუ წინასწარვე უარვყოფთ იმას, რასაც ისინი ამბობენ, რაც უთქვამთ და რასაც იტყვიან, თავიდან ავიცილებთ ათასგვარ კამათსა და დავას.

71

ადამიანი რამდენადაც ახლოს დგას ჩვენთან, იმდენად მეტად მოგვწონს. და თუ ვინმეს პატივსა ვცემთ, ჩანს, ჩვენს თანატოლად ვთვლით.

72

იგივე ნაკლი, რაც სხვებში მძიმედ და აუტანლად გვეჩვენება, ჩვენცა გვაქვს, მაგრამ თითქოს თავის სიმძიმის ცენტრშია მოთავსებული და ვერ ვგრძნობთ ვერც მის წონას და ვერც თვით მას. მავანი სხვაზე ჩივის, მის შემზარავ სურათს ხატავს და ვერ ამჩნევს, რომ საკუთარი თავი წარმოადგინა.

შევძლებდით სწრაფად გამოგვესწორებინა ჩვენი ნაკლი, თუ გვეყოფოდა გამბედაობა ხმამაღლა გვეღიარებინა იგი და მერე დაგვენახა სხვებში. ამ შემთხვევაში მას თვალს გავუსწორებდით, დავინახავდით როგორიც არის და დამსახურებისდა მიხედვით შევიზიზღებდით.

73

კეთილგონიერებას აქვს ორი საყრდენი წერტილი: წარსული და მომავალი. ვისაც კარგი მეხსიერება დაჰყოლია და შორსმჭვრეტე-

ლია, არ გაქირდავს სხვებს იმის გამო, რაც შესაძლებელია თვითონაც ჩაუდენია. არც ბრალს დასდებს ვინმეს ისეთ საქციელში, რაც, მსგავს პირობებში, ერთ მშვენიერ დღეს იქნებ თავადაც ვერ აიცდინოს.

74

არც პოლიტიკურ მოღვაწეს, არც მხედართმთავარს, არც გაქნილ აზარტულ მოთამაშეს იღბალი თავისთავად არ გაუღიმებს. ის კია, წინასწარ უმზადებენ ნიადაგს, ხელს უწყობენ და თითქმის აუცილებლობად ხდიან. მათ არათუ შესწევთ უნარი შემთხვევა ხელიდან არ გაუშვან, როგორც სულელებსა და მშიშარებს ემართებათ, არამედ შორსმჭვრეტელობისა და წინასწარ მიღებული ზომების წყალობით ისარგებლონ კიდეც შემთხვევით და არა ერთით, ორითაც, იქნებ მრავლითაც. ერთი შემთხვევა ერთ მოგებას იძლევა, მეორე — მეორეს. ხან ერთი — მრავალს. ეს ბრძენი კაცნი ქების ღირსნი არიან, როგორც გამჭრიახობისა, ისე გონივრული მოქმედების გამო. ხოლო მათი იღბლიანობა ისევე იმსახურებს ჯილდოს, როგორც სათნოება.

75

დიდ პოლიტიკურ მოღვაწეზე მაღლა ვაყენებ იმას, ვისაც არ სურს გახდეს დიდი პოლიტიკური მოღვაწე, რამეთუ სულ უფრო რწმუნდება, რომ ქვეყანა ზრუნვის ღირსი არ არის.

76

საუკეთესო რჩევაც კი არ მოგვწონს. რაც მთავარია, ის ჩვენგან არ მომდინარეობს და ეს სრულიად საკმარისია, რათა ავყვეთ ჩვენს ქედმაღლობასა და ხუშტურებს და მაშინვე უკუვაგდოთ. მაგრამ თუ მაინც მივყვებით, ჩანს დავუფიქრდით, ან გაჭირვებამ გვაიძულა.

77

რა საოცარი ბედნიერება სდევდა ამ ფავორიტს მთელი სიცოცხლის განმავლობაში! ვის ღირსებია აგრე უშფოთველად, ხანგრძლი-

ვად და განუყოფლად დამტკბარიყო თავისი მდგომარეობით? უმაღ-ლესი თანამდებობები, მეფის სრული ნდობა, უზარმაზარი ქონება, მაგარი ჯანი და მშვიდი განტევება. მაგრამ რარიგ მკაცრი ანგარიშ-სწორება მოელის ამ წყალობის მადლით გატარებული საამური არსე-ბობისთვის? და კიდევ იმ რჩევა-დარიგებისთვის, რასაც გასცემდა ან არ გასცემდა, ანდა არ იღებდა; სიკეთისათვის, რაც არ ინება და ბო-როტებისთვის, რაც ინება თავად თვითონ, ან ვინმეს შემწეობით. ერთი სიტყვით, პასუხი უნდა აგოს თავისი კეთილდღეობის გამო.

78

სიკვდილი სარფიანია ადამიანისთვის. ცოცხლად დარჩენილნი გვაქებენ და ხშირად ქებას არაფრით ვიმსახურებთ, გარდა იმისა, რომ აღარ ვართ. სწორედ ასეთი ბედი ეწია კატონსა და პიზონს.

ხმა დაირხა, პიზონმა სული განუტევაო; დიდი დანაკარგია, კარგი კაცი იყო და დიდხანს უნდა ეცოცხლაო. რა ჭკვიანი იყო, რა თავა-ზიანი, შეუდრეკელი, გამბედავი, სულგრძელი, ერთგულიო, იტყვით და დასძენთ, თუკი მართლა მკვდარიაო!

79

როცა ვინმეზე ამბობენ, პირდაპირობით, უანგარობითა და პატი-ოსნებით გამოირჩევაო, ქებაზე მეტად ამ სიტყვებში ისმის ადამიან-თა მოდგმის გაქიაქება.

80

მავანი გაჭირვებულთ ეხმარება, მაგრამ ოჯახზე არ ზრუნავს და თავის ვაჟს სიღატაკეში აცხოვრებს. მეორე ახალ შენობას იგებს და ათი წლის წინათ აშენებული სახლის გადახურვისთვის ოსტატის გა-სამრჯელო არ გადაუხდია. მესამე ძვირფას საჩუქრებს ყიდულობს, ფულს აქეთ-იქით ფანტავს და მევალეებს აკოტრებს. საკითხავია, გულმოწყალეობა, ხელგაშლილობა, სულგრძელობა უსამართლო ადამიანს სათნოებად ჩაეთვლება? ეს ყველაფერი ხომ არ არის მისი ხუშტურებისა და პატივმოყვარეობის შედეგი?

81

სამართლიანობა წამსვე და დაუყოვნებლივ უნდა გამომჟღავნდეს. თუ შეფერხდა, უსამართლობა იქნება.

კარგად იქცევა, ანდა იქცევა ისე, როგორც საჭიროა ის, ვინც იქცევა ისე, როგორც საჭიროა. ხოლო ის, ვინც სიკეთეს სჩადის მხოლოდ მას შემდეგ, რაც თავის თავზე დიდხანს ალაპარაკებს ხალხს, დიდ სიკეთეს გამოიჩენსო, ძალიან ცუდად იქცევა.

82

იტყვიან ხოლმე დიდებულზე, რომელიც სუფრას დღეში ორჯერ შლის და მთელ სიცოცხლეს საჭმლის მონელებას ანდომებს, შიმშილით კვდებაო. ამას იმიტომ ამბობენ, ვითომცდა მდიდარი არაა და საქმე კარგად ვერა აქვსო. ეს ნათქვამი გადატანითი მნიშვნელობით უნდა გავიგოთ, ხოლო პირდაპირი მნიშვნელობით მის მევალეებს ეხება.

83

ორივ სქესის ხანშიშესულ ადამიანთა ზრდილობა, თავაზიანობა. მოკრძალება მიქმნის კარგ აზრს იმაზე, რასაც ძველი დრო ჰქვია.

84

დიდად მიმნდობნი არიან მშობლები, რომლებიც მთელ იმედს შვილების აღზრდაზე ამყარებენ, და ძალიან ცდებიან ისინიც, ვისაც ეს იმედი არა აქვს და აღზრდას უგულებელყოფს.

85

თუნდაც მართალნი იყვნენ ისინი, ვინც აცხადებს, თითქოსდა აღზრდას არ ძალუძს ადამიანს შეუცვალოს გული, ხასიათი, სულიერი სამყარო და მხოლოდ გარეგნულად მატებსო პეწს, მე მაინც ვიტყვი, აღზრდა ადამიანისთვის უსარგებლო არ არის-მეთქი.

86

რამდენადაც ნაკლებს ლაპარაკობს ადამიანი, იმდენად მეტს იგებს. ხალხი ფიქრობს, ჭკვიანიაო. და თუ მართლაც აკლია ჭკუა, იტყვიან, ძალიან ჭკვიანიაო.

87

მხოლოდ საკუთარ თავზე და დღევანდელ დღეზე ფიქრი შეცდომების წყაროა პოლიტიკაში.

88

დიდი უბედურებაა, თუ დანაშაული დაგიმტკიცდა, მაგრამ თუ გამართლდი, უფრო მეტი უბედურებაა. განაჩენი გათავისუფლებს, მაგრამ ხალხის თვალში მაინც დამნაშავე რჩები.

89

ერთი კაცი ერთგულად იცავს რელიგიურ წესჩვეულებებს, საეკლესიო ყველა მითითებას პირნათლად ასრულებს და ამისათვის არც არავინ აქებს და არც ჰკიცხავს, სულაც არ აქცევენ ყურადღებას.

მეორე მთელი ათი წელიწადი ეკლესიისკენ არც იყურებოდა, მერე დაუბრუნდა სარწმუნოებას და ქვეყანა შეიყარა; აქებენ, ლამის ცამდე აიყვანონ. რაც უნდათ ის ქნან, მე კი ვკიცხავ მას, ამდენ ხანს რომ მივიწყებული ჰქონდა თავისი ვალდებულება, და ბედნიერად ვრაცხ, რომ გაიხსენა იგი.

90

მლიქვნელი არც თავის თავზეა კარგი აზრის და არც სხვებზე.

91

ერთნი დაივიწყეს ჯილდოების დარიგებისას და ხალხი ამბობდა, რატომ დაივიწყესო. რომ არ დავიწყებოდათ, იტყოდნენ, რატომ გაიხსენესო. საიდან წარმოიშვა ამგვარი წინააღმდეგობა? იქნებ ხალ-

ხის ხასიათიდან გამომდინარეობს, ანდა იქნებ შედეგია შეხედულებათა ცვალებადობისა, შესაძლებელია ორთავესი ერთად?

92

ყველა ერთნაირადაა შეშფოთებული და თავს იმტვრევს, მავანის შემდეგ კანცლერად ვის დანიშნავენო? ვინ იქნება გალიის პრიმასი? ვინ იქნება პაპი? უფრო შორსაც მიდიან. ყველა საკუთარი სურვილისა და ახირების მიხედვით გულში ასახელებს ამ მაღალ თანამდებობაზე უფრო ხანდაზმულსა და დაჩაჩანაკებულ კაცებს, ვიდრე არიან ისინი, ვისაც ეს თანამდებობა უჭირავს. რაკი მაღალი ჩინი არ კლავს თავის მფლობელს, პირიქით აახალგაზრდავებს და მატებს სულიერსა თუ ფიზიკურ ძალას, იშვიათი შემთხვევა როდია, როცა წარჩინებული მოხელე ასაფლავებს თავის შემცვლელს.

93

მდგომარეობის დაკარგვა ანელებს სიძულვილსა და შურს. სიკეთეს ვუსურვებთ იმას, ვინც თავისი იღბლიანობითა და ჯილდოებით გულს აღარ გვიხეთქავს. რა დამსახურება უნდა იყოს, რა სათნოება, რომ არ შევუნდოთ მას. უფლება ენიჭება გახდეს გმირიც, არვინ დასჯის.

კაცი, რომელმაც მაღალი მდგომარეობა დაკარგა, აღარაფრის მაქნისია. მისი სიქველე, მაღალი ღირსებები შეუმჩნეველი რჩება, თუ რამ კარგი აქვს, წყალში უყრიან, სიბოროტედ ან მანკიერებად უთვლიან. თუნდაც იყოს ძალგულოვანი, არ ეშინოდეს არც ცეცხლის, არც მახვილის, შეუპოვრად ეკვეთოს მტერს, ვით ბაიარი და მონრეველი[1], მაინც ტრაბახად ჩაუთვლიან და დასცინებენ. ვერასოდეს გმირი ვეღარ გახდება.

რაღა თქმა უნდა, წინააღმდეგობაში ჩავვარდი, მაგრამ ამაში ბრალი მიუძღვის ადამიანებს, რომელთა აზრებს გადმოვცემ მხოლოდ. მხედველობაში არ მყავს სხვადასხვაგვარი ადამიანები, მარტოოდენ ისინი, ვინც ასე სხვადასხვაგვარად მსჯელობს.

---

[1] მარკიზ დე მონრეველი, გენერალ-ლეიტენანტი, კავალერიის მთავარი ინსპექტორი.

94

ოცი წელიც არ გავა და ადამიანები შეიცვლიან აზრს უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, თვით ომზე, რაც აქამდე სრულიად უდავო და ჭეშმარიტი ეჩვენებოდათ. ვერ გავბედავ დაგარწმუნოთ, რომ ცეცხლი თავისთავად, დამოუკიდებლად ჩვენი შეგრძნებებისა, არ არის ცხელი. ესე იგი სრულიად არ არის ის, რასაც ჩვენ ვგრძნობთ მასთან მიახლოებისას, ვერ გავბედავ, რადგან მეშინია, ვაითუ, ერთ მშვენიერ დღეს, ისევ ცხელი გახდეს, როგორც უწინ იყო. აღარც იმას ავიხირებ, რომ ერთი წრფე მეორეს როცა ემთხვევა, ქმნის ორ მართ, ან სხვაგვარ კუთხეს, მაგრამ ტოლს ორი წრფისა. ხომ შეიძლება ადამიანებმა აღმოაჩინონ რაღაც სხვა, იმაზე მეტი ან ნაკლები და ჩემი მტკიცება სამასხრო გახდეს. იგივეა მოსალოდნელი ყველა დარგში. ძლივს ვუწყობ ხმას მთელ საფრანგეთს, ვობანი უცოდველიაზეთქი. ვინ არის თავდები, რომ მოკლე ხანში არ დამიწყებენ შეგონებას, თითქოსდა ანტიფილუსის მსგავსად ისიც ხანდახან ცდება ფორტიფიკაციაში, რაშიაც არავის უდებს ტოლს და რის უზენაეს მსაჯულადაც ითვლება.

95

ერთმანეთზე ბოღმამორეულ ხალხს თუ დავუჯერებთ, სწავლული მზუთხველია, ბურჟუაა ან პატრიციუსი, ფინანსისტი — გამომძალველი, კეთილშობილი წარმოშობის კაცი — კუდაბზიკა აზნაური; მაგრამ, საკვირველია, რომ ეს ზედმეტი სახელები, შერქმეული სიძულვილისა და მრისხანების შედეგად, ჩვეულებრივ, საყოველთაო სიტყვებად იქცევა და გამოხატავს სრულიად გულგრილი და აღუშფოთველი ადამიანის ზიზღს.

96

ერთ ამბავში ხართ, თავი გამოგიდვიათ, ფუსფუსებთ და აქეთ-იქით დარბიხართ, რაკი მტერი გარბის და გამარჯვება საეჭვო აღარაა, ანდა ქალაქი უკვე ჩაგვბარდა. როცა ბრძოლა გაჩაღებულია, ან მტერი ალყაშია მოქცეული თქვენ ცდილობთ ას ადგილზე მაინც გამოჩნდეთ, რათა არსად იბრძოლოთ, წინ უსწრებდეთ მხედართმთავრის ბრძანებას, რათა მისი შესრულება არ დაგვალოთ და საფრთხეს კი არ ელოდებით, რომ მკერდი მიუშვიროთ, არამედ თვითონ ეძებთ მას. ვაითუ თქვენი გამბედაობა მოჩვენებითია?

97

დანიშნეთ ადამიანები ისეთ ადგილზე, სადაც საჭირო იქნება გაწირონ სიცოცხლე, მაგრამ თავის გადარჩენაც შესაძლებელი იყოს. ადამიანს უყვარს დიდებაცა და სიცოცხლეც.

98

ადამიანს ისე უყვარს სიცოცხლე, რომ საეჭვოა სხვა რამ უფრო მეტად უყვარდეს. და მაინც სიცოცხლეს სახელი ურჩევნია, თუმცა სახელი მის შესახებ შექმნილი აზრია ათასობით ადამიანის მიერ, რომელთაც არც იცნობს და არც არაფრად აგდებს.

99

კაცი არც მეომარია, არც მეფის ამალაშია და მაინც მიდის ბრძოლის ველზე, მიჰყვება სამეფო კარს. ქალაქის აღებაში არ მონაწილეობს, მაგრამ ესწრება მას. როგორც კი თვალს მოჰკრავს გაშლილ ლაშქარს, სანგრებს, საბრძოლო მზადებას, ცეცხლის ხაზს, შეტევაზე გადასვლას, როგორც კი შემოესმება ყუმბარებისა და ზარბაზნების გრუხუნი, რაც უნდ საოცარი იყოს ეს ყოველივე, მაინც მყისვე უნელდება ცნობისმოყვარეობა. მტერი არ ნებდება. საშინელი თავსხმაა. ჯარს ქანცი ეცლება, ლაფში ეფლობა, უნდა შეებრძოლოს მტერსაც და ამინდსაც. მტერმა იქნებ გაარღვიოს ხაზი, ჩვენი ლაშქარი მოემწყვდეს ქალაქსა და მოწინააღმდეგის ჯარს შუა. რა განსაცდელია! ეს ჩვენი კაცი მხნეობას კარგავს და ბუზღუნებს: რა იყო, რა დაშავდებოდა ალყა რომ მოეხსნათ? სახელმწიფოს ბედ-იღბალს ნუთუ ეს ერთი სიმაგრე წყვეტს? დავემორჩილოთ ზეციურ ნებას, რომელიც, ჩანს, ჩვენს წინააღმდეგაა განწყობილი და გადავდოთ ბრძოლა სხვა დროისთვის. მისთვის გაუგებარია შეუდრეკლობა მხედართმთავრისა. შეუდრეკლობაო, ამბობს, თორემ გაბედულება რომ ჰყოფნოდა, სიჯიუტეს მიაწერდა იმ მხედართმთავარს, რომელიც არ უშინდება დაბრკოლებებს და რაც მეტი სიძნელე ხვდება, უფრო მეტი მგზნებარებითა და შთაგონებით მიიწევს წინ, ფხიზლობს ღამით, დღისით სიცოცხლეს საფრთხეში იგდებს, რათა მიაღწიოს მიზანს.

და აი, მტერი ჩაგვბარდა, ეს იმედდაკარგული კაციც აქაქანდა, აქაოდა, დიდად მნიშვნელოვანი იყოო ეს გამარჯვება, ნახეთ, რა შედეგს გამოიღებსო. გადაჭარბებით აფასებს გამარჯვების მნიშვნელობას და იმ საფრთხესა და სირცხვილს, რაც მოგველოდა დამარცხების შემთხვევაში. ამტკიცებს, ჩვენი ლაშქარი, მტრისგან რომ გვიცავდა, დაუმარცხებელიაო. იგი სამეფო კართან ერთად ბრუნდება უკან. გაივლიან ქალაქებს, სოფლებს. ხალხი ფანჯრებიდან გადმოსცქერის მათ და კაცი სიამაყით იბღინძება, აქაოდა მეც ვიბრძოდიო. გზაზე ისე გრძნობს თავს, ვითომცდა გამარჯვებაში მასაც უძღვოდეს წილი და გმირულად აეღოს გამაგრებული ქალაქი. შინ დაბრუნდება და გაგაკრუებთ, ფლანგებიო, ღია გამაგრებაო, შუა ფრონტის ხაზის დაცვაო, ქვემო თხრილებიო, ბასტიონებიო. აღწერს ადგილებს, რომელთა ნახვის სურვილმა მიახეტა იქ და სადაც მის სიცოცხლეს ყოველ წუთში საფრთხე ელოდა. ახლა მოჰყვება, იმ ადგილებიდან დაბრუნებისას რამდენჯერ გადაურჩა მტრის ტყვიას და ტყვედ ჩავარდნას. მხოლოდ კრინტს არ ძრავს, თუ როგორ კანკალებდა შიშით.

100

ყველაზე ნაკლები უსიამოვნება, რაც კი შეიძლება ოდესმე შეგემთხვეს, არის ის, როცა წაიბორძიკებ მოხსენების ან ქადაგების წარმოთქმის დროს. ამით ორატორის არც ერთი ღირსება არ მცირდება: არც გონება, არც სიტყვა განსჯა, არც შთაგონება, არც ზნეობა და არც განსწავლულობა. მაგრამ მეტად განსაცვიფრებელია, რომ ადამიანები, რომლებიც ამ წვრილმან ფათერაკს ესოდენ სამარცხვინოდ და დაცინვის ღირსად თვლიან, საკუთარი ნება-სურვილით აწყდებიან ასეთ ხიფათს, როცა გაჭიანურებულად წარმოთქვამენ სრულიად უსარგებლო სიტყვას.

101

ვინც დროს ფუჭად ხარჯავს, სწორედ ის ჩივის დროის სიმცირეზე. იგი მთელ დღეს ანდომებს ჩაცმას, ჭამას, ძილს, ქარაფშუტულ ყბედობას, ფიქრს იმაზე, თუ რა უნდა გააკეთოს, თუმცა უფრო ხშირად არაფერს აკეთებს. ვეღარ იცლის ვერც საქმისთვის და ვერც

გართობისთვის. და პირიქით, ვინც დროს გონივრულად ანაწილებს, ყველაფერს ასწრებს და დასვენებისთვისაც სცალია.

აიღეთ რომელი მინისტრიც გსურთ, რაც უნდ დაკავებული იყოს, დღეში ორ საათს მაინც ტყუილად კარგავს. აბა იანგარიშეთ რამდენს დაკარგავს მთელს სიცოცხლეში. დაბალი მდგომარეობის ადამიანები ხომ უფრო მეტსაც კარგავენ. რა უსაზღვროდ და ერთსულოვნად იკარგება ის, რაც აგრე რიგად ძვირფასია და რის ნაკლებობასაც ყველა აგრე რიგად ჩივის.

102

არიან ღმერთის მიერ შექმნილი არსებანი, რომელთაც ადამიანები ჰქვიათ, სული უდგათ და მთელს სიცოცხლესა და ძალას მარმარილოს თლას ალევენ. ეს ძალიან მარტივი საქმეა და საპატიოდ არ ითვლება, არიან სხვებიც, რომელთაც აოცებთ პირველნი და თავად არაფრის მაქნისნი არიან. მთელს სიცოცხლეს უსაქმურობაში ატარებენ. ეს უფრო ნაკლებ საპატიოა, ვიდრე მარმარილოს თლა.

103

ადამიანთა უმრავლესობას ავიწყდება, რომ აქვს სული და ებმება ისეთ საქმეში, რომლისთვისაც, ჩანს, სული ზედმეტია. ამიტომაც თუ ვინმეზე იტყვიან აზროვნებსო, ჰგონიათ დიდად სასიამოვნო რამეს ამბობენ მასზე, რადგან ეს სიტყვა ჩვეულებრივ ითვლება ქებად, რაიც კაცს ცოტა მაღლა აყენებს ძაღლზე ან ცხენზე.

104

რით ერთობით? როგორ ატარებთ დროს? მეკითხებიან სულელებიცა და ჭკვიანებიც. რომ ვუთხრა, თვალს ვახელ და ვიხედები, ყურს ვუგდებ და ვისმენ, ჯანმრთელობაზე, დასვენებაზე, თავისუფლებაზე ვზრუნავ-მეთქი, არაფრად ჩამითვლიან. ნამდვილი, უდიდესი და ერთადერთი სიკეთე მათთვის სრულებით არ არის მნიშვნელოვანი. მთავარია, ხომ არ ვთამაშობ? მასკარადზე ხომ არ დავდივარ?

განა ადამიანი სიკეთედ მიიჩნევს თავისუფლებას, თუკი იგი იმ-

დენად დიდია, უსაზღვრო და უსარგებლო, რომ მას აღუძრავს სურვილს, ნაკლებად იყოს თავისუფალი?

თავისუფლება მცონარობა კი არ არის, არამედ უფლებაა ნებისმიერად გამოიყენო დრო და შეირჩიო საქმიანობა. თუ თავისუფლად ყოფნა არ ნიშნავს არაფრის კეთებას, ეს ნიშნავს იყო სრული ბატონ-პატრონი საკუთარი თავის და თვით გადაწყვიტო, რა გააკეთო და რა არ გააკეთო. მართლაც, რა დიდებულია, რა მადლიანი ასეთი თავისუფლება.

105

კეისარი არც ისე მოხუცი იყო, როცა გადაწყვიტა დაეპყრო მსოფლიო. მას უდიდეს სიამოვნებას ჰგვრიდა ტკბილად გაეტარებინა ცხოვრება და სიკვდილის შემდეგ დაეტოვებინა დიდი სახელი. ბუნებას დაეჯილდოებინა ისეთი სიამაყით, პატივმოყვარეობითა და მაგარი ჯანით, რომ უკეთესს სხვას რას გააკეთებდა, თუ არ დაიპყრობდა მთელ ქვეყანას. ალექსანდრე კი მეტად ახალგაზრდა იყო ასეთი სერიოზული მიზნებისთვის. ისიც საოცარია, რომ თითქმის ჭაბუკს ქალები და ღვინო ხელს არ უშლიდა საომარ მოქმედებაში.

106

ციდან ქვეყნის საკეთილდღეოდ მოვლენილმა, ხალხის საყვარელმა და იმედმა, დიდებული გვარის გამგრძელებელმა, ძემ გმირისა, ვის წაბაძვასაც იგი საამაყოდა თვლის, ჭაბუკმა უფლისწულმა ღვთაებრივი ნიჭიერებითა და თავისი ასაკისთვის გასაოცარი სიქველით ქვეყანას უკვე დაუმტკიცა, რომ გმირთა შვილებს უფრო მეტად ძალუძთ გახდნენ გმირები, ვიდრე სხვა მოკვდავთ.[1]

107

დედამიწამ თუნდაც მხოლოდ ას მილიონ წელს იარსებოს, იგი ახლა მაინც მთლად ნორჩია და განვითარების პირველ საფეხურზე იმყოფება. ჩვენ თვითონ კი თითქმის თანამედროვენი ვართ პირველ

---

[1] საწინააღმდეგოდ საკმაოდ გაცვეთილი ლათინური ანდაზისა **Heroum filii noxae.**

ადამიანთა და პატრიარქთა, რომლებთანაც უთუოდ გაგვათანაბრებენ შორეულ მომავალში. მოდი, შევადაროთ მომავალს წარსული, რამდენს ახალსა და ჩვენთვის უცნობს შეისწავლიან ხელოვნებაში, მეცნიერებაში, ბუნებაში, გავბედავ თქმას, ისტორიაშიც კი! რამდენ აღმოჩენას მოახდენენ! რამდენი და რამდენნაირი გადატრიალება მოელის მთელს დედამიწას, სახელმწიფოებსა და იმპერიებს! რაოდენ უსაზღვროა ჩვენი უვიცობა! რა მცირე გამოცდილება შეგვძინა ამ ექვსმა თუ შვიდმა ათასმა წელმა! იმისათვის, ვინც ნელა მიაბიჯებს და არ ჩქარობს, არავითარი გზა გრძელი არ არის. არ არსებობს ისეთი შორეული მიზანი, რასაც ადამიანი ვერ მიაღწევს, თუ ამისათვის მოთმინებითა და რუდუნებით ემზადება.

108

არავის ეგებოდე ფეხქვეშ, არც სხვისგან მოელოდე ფეხქვეშ გაგებას, — აი ეს გახლავთ ტკბილი ცხოვრება, ოქროს საუკუნე, ადამიანის ყველაზე ბუნებრივი მდგომარეობა.

109

საზოგადოება იმათი ხვედრია, ვინც სამეფო კართანაა მიტმასნებული და ვინც ქალაქშია დასახლებული. ბუნება კი განკუთვნილია იმათთვის, ვინც სოფლად ბინადრობს. ეს უკანასკნელნი ცხოვრობენ მხოლოდ. ყოველ შემთხვევაში, ამბობენ, რომ ცხოვრობენ.

110

რატომ მეპყრობით აგრე ცივად, რატომ გწყინთ, თუ რაღაც წამომცდა ყმაწვილკაცებზე, სამეფო კარის მუდმივ სტუმრებზე? ნუთუ თქვენც გლრღნით მანკიერების ჭია, თრაზილ? არ ვიცოდი, თქვენ თვითონ გამაგებინეთ. ის კი ვიცოდი, ახალგაზრდა რომ არ იყავით.

და თქვენ, ვისაც პირად შეურაცხყოფად მიგიღიათ ის, რაც ზოგიერთ დიდებულზე ვთქვი, რატომ ატეხეთ აურზაური, განა აგრე რიგად გაწუხებთ სხვისი ტკივილი? იქნებ თქვენც ბრძანდებით უკადრისი, ვერაგი, ენამწარე, დამცინავი, მლიქვნელი და თვალთმაქცი?

მე ეს არ მსმენია აქამდე, არც მიფიქრია, მხოლოდ დიდებულებზე ვამბობდი.

111

ზომიერების გრძნობა და დინჯი ყოფაქცევა ადამიანს შეუმჩნეველს ხდის. რათა საქვეყნოდ ცნობილი გახდეს, ან დიდი სიქველით უნდა გამოირჩეოდეს, ან დიდი მანკიერებით.

112

დიდი კაცი იქნება თუ უბრალო მდაბიო, ოღონდ წარმატებას მიაღწიოს და ყველა აღტაცებით შესცქერის, აქებს და ადიდებს. ლამის დაუსჯელ დანაშაულსაც კი ისევე შეასხან ხოტბა, როგორც სათნოებას და იღბლიანობა უფრო მეტად განადიდონ, ვიდრე ყველა სათნოება ერთად თავმოყრილი: საქმეს წარმატება თუ არ აგვირგვინებს, იგი შავბნელი, ბინძური და ამაზრზენი ბოროტებაა.

113

ადამიანებს აცდუნებს გარეგნული მიმზიდველობა და მოქნილად მიგნებული დასაბუთება. ხელგაშლილად ხვდებიან დიდებულის პატივმოყვარულ გეგმებს, თავდავიწყებით ლაპარაკობენ მასზე, მოსწონთ სითამამისა და სიახლის გამო, რასაც თვით მიაწერენ მას. ეჩვევიან ამ აზრს, ელიან მის კეთილად დაგვირგვინებას და უცბად, რას ხედავენ, გეგმა ჩავარდა. და მაშინ, სრულიად დარწმუნებულნი, რომ არაოდეს ცდებიან, ისევ დაბეჯითებით აცხადებენ, გეგმა კარგად არ იყო მოფიქრებული და ვერ გაიმარჯვებდაო.

114

ზოგი მოსაზრება ისეთ დიდ გამოხმაურებას, ისეთ მნიშვნელოვან შედეგებს იწვევს, ისე ხანგრძლივად ალაპარაკებს ხალხს, ისეთ იმედს იძლევა ანდა ისეთ შიშს აღძრავს, იმისდა მიხედვით, სასიკეთოა თუ სახიფათო, რომ მასზეა დამოკიდებული იმ ადამიანის იღბალიცა და მომავალიც, ვისაც ეს მოსაზრება ეკუთვნის. როცა აგრე მორთულ-მოკაზმული გამოდის იგი სცენაზე, უკან დასახევი გზა არ

რჩება, რაღაც უნდა თქვას. რომც მიხვდეს, რაოდენ დამღუპველი შეიძლება იყოს მისი წამოწყება, მაინც უნდა განაგრძოს, რადგან უკან დახევა უფრო მეტ უბედურებას მოუტანს, ვიდრე საბოლოო მარცხი.

115

ბოროტი კაცი დიდებულ ადამიანად ვერ გადაიქცევა. როგორც გენებოთ, შეაქეთ მისი შორსმჭვრეტელობა და შთანაფიქრი, მოიწონეთ მისი საქციელი, განადიდეთ, რაკი შესწევს უნარი მიზნის მისაღწევად გამოძებნოს ზუსტი საშუალებანი და უმოკლესი გზები. თუ თვით მიზანი უხეიროა, არც კეთილგონიერი ყოფილა. და იქ, სადაც კეთილგონიერება არ არსებობს, რაც უნდ გულმოდგინედ ეძიოთ, მაინც ვერ იპოვით სიდიადეს.

116

სული განუტევა მტერმა, მრისხანე ლაშქრის მხედართმთავარმა, რომელიც მზად იყო გადმოელახა რაინი. მან იცოდა ბრძოლა და იმდენი გამოცდილებაც ჰქონდა, რომ ბედის სასწორი თავისკენ გადაეხარა. სიხარულის ნიშნად განა შუშხუნები ავუშვით და სახალხო ზეიმი მოვაწყვეთ? ზოგი კაცი, პირიქით, საზიზღარი იბადება და მთელი ხალხის საძულველი ხდება. სწორედ ამის შედეგად, და არა იმიტომ, რომ ყველას აშინებს მისი ახლანდელი ან მომავალი გამარჯვებები, ხალხი სიხარულით ცას ეწევა, და მასთან ერთად ბავშვებსაც კი ტანში ბედნიერების ჟრუანტელი უვლით, როგორც კი მოედნებსა და ქუჩებში დაირხევა ხმა, ქვეყანა მისგან გათავისუფლდაო.

117

ო, დრონო, ო, ჩვეულებანო! — შეჰყვირა ჰერაკლიტემ, — ო, ბედკრულო საუკუნევ! საუკუნევ, აღვსილო ბოროტებით, საუკუნევ დამდაბლებული სათნოებისა და აღზევებული მანკიერებისა! ნეტავ ლიკაონი ან ეგისთე ვიყო, ამაზე უკეთეს შემთხვევას, ამაზე ხელსაყრელ გარემოებას ვერასოდეს გადავეყრები, თუ მსურს გავმდიდრდე და გავიფურჩქნო. ერთს უთქვამს, გადავსერავო ზღვას, წავართმევ მამაჩემს მამულს, გავაგდებ იქიდან თვით მას, ზედ მივაყოლებ მის

ცოლსა და მემკვიდრეს, გავაძევებო თავისი მიწა-წყლიდან და სახელმწიფოდან. სიტყვა და საქმე ერთი იყო. თითქოს უნდა შეშინებოდა, რათა მრავალ მეფეს შური არ ეძია მასზე, რამეთუ ერთი მეფის შეურაცხყოფით, შეურაცხყოფდა ყველას. ნურას უკაცრავად, მეფენი მის მხარეზე არიან და ლამის ეუბნებიან: გადაიარეთ ზღვები და მთები, გაძარცვეთ მამა და მთელ ქვეყანას დაუმტკიცეთ, რომ შესაძლებელია მეფე ისევე განდევნოთ თავისი სამეფოდან, როგორც უბრალო აზნაური თავის კოშკიდან, ფერმერი თავის ფერმიდან. რომ აღარ არსებობს არავითარი განსხვავება ჩვენსა და ჩვენს ქვეშევრდომებს შორის, გამორჩეული მდგომარეობა ყელში ამოგვივიდა. შეაგნებინეთ ხალხს, რომელიც ღმერთმა განართხო ჩვენს ფერხთა ქვეშ, რომ უფლება აქვს მიგვატოვოს, გვიღალატოს, ჩვენც გადაგვცეს და თვითონაც ჩაბარდეს უცხოელს. დე, გაიგონ მათ, რომ ჩვენი ისე არ უნდა ეშინოდეთ, როგორც ჩვენ უნდა გვეშინოდეს მათი. ვის შეუძლია ამ შემაძრწუნებელ მდგომარეობას ხედავდეს და წარბს არ ხრიდეს, ცრემლს არ ღვრიდეს? არ არსებობს ისეთი ჩინი, განსაკუთრებული უპირატესობით რომ არ სარგებლობდეს. არ არსებობს ისეთი წარჩინებული მოხელე, ხმას რომ არ იმაღლებდეს, არ დაობდეს და თავს არ იცავდეს. მარტოოდენ მეფის გვირგვინს არა აქვს არავითარი პრივილეგია. თვით მეფეებმა თქვეს უარი მასზე. მეფეთა შორის ერთადერთი, უსასრულოდ კეთილი და სულგრძელი, ხელგაშლილი ეგებება დევნილის ოჯახს. სხვები შეუკავშირდნენ ერთმანეთს, თითქოსდა აპირებენ შური იძიონ მასზე, რამეთუ იგი საერთო საქმეს იცავს. წინააღმდეგობის სული და შურიანობა ავიწყებთ პატივს, რწმენას, სახელმწიფოს, და უფრო მეტსაც, პირადსა და საგვარეულო ინტერესებს. საფრთხე მოელის არა მათ ტახტზე დასმას, არამედ მათ შემცვლელებს, მემკვიდრეობის უფლებას. დაბოლოს, ადამიანი ყოველთვის ამარცხებს მონარქს. იყო ერთი ხელმწიფე, რომელმაც მთელი ევროპაცა და თავისი თავიც გაათავისუფლა მრისხანე მტრისგან და ამით უზარმაზარი იმპერიის გამანადგურებლის დიადი სახელი მოიხვეჭა. მერედა რა, განუდგა ამ სახელს რაკი საეჭვო მიზნებით შეპყრობილმა, ახალი ომი წამოიწყო. ხოლო ისინი, ვინც მოწოდებულნი არიან იყვნენ მსაჯნი და შუამავალნი, ფეხს ითრევენ და იმედს იძლევიან, მოლაპარაკებას დავიწყებთო, როცა დიდი ხნის წინათ უნდა ჰქონდეთ დაწყებული და საქმის სასარგებლოდ

გადაწყვეტილიც. ო, მწყემსებო! — განაგრძობს ჰერაკლიტე, — ო, ტეტიებო, ქოხმახებში და გომურებში რომ შეყუჟულხართ! თქვენამდე თუ არ აღწევს ეს ამბები, თქვენი გული თუ არ დაუკოდავს კაცთა გაბოროტებას, თქვენს მხარეში თუ არაფერს ამბობენ ადამიანებზე და მხოლოდ მელიებსა და ფოცხვერებს ახსენებენ, მიმიღეთ თქვენთან, შემივრდომეთ, მიწილადეთ თქვენი შავი პური, შემასვით თქვენი გუბის წყალი.

118

ჰეი, თქვენ, ქონდრისკაცებო, ექვსი გოჯის სიმაღლე რომ გაქვთ, ბევრი-ბევრი შვიდი გოჯი და თუ რვას მიაღწიეთ, მზადა ხართ ხალხს ფულით ეჩვენოთ, ვით რაღაც საოცრება, ბაზრობაზე რომ წარმოუდგენენ ყველას. ურცხვად უწოდებთ საკუთარ თავს უმაღლესობასა და უდიდებულესობას, რაიც შეიძლება მხოლოდ მიესადაგოს ცადაზიდულ მთებს, ღრუბლები რომ ახურავთ თავზე. ყოყლოჩინა და კუდაბზიკა პირუტყვნო, თავს რომ არ უყადრებთ სხვა ცხოველებს და არარაობად რომ გამოიყურებით სპილოსა და ვეშაპის გვერდით, წინ წამოდექით, კაცუნებო და პასუხი გაეცით დემოკრიტეს. თქვენ შემოიღეთ გამოთქმები: ცოფიანი მგელი, გააფრთებული ლომი, ბოროტი მაიმუნი. თქვენ, თქვენ რაღა ხართ? ყურში ზუზუნივით ჩამესმის თქვენი ხმა, ადამიანი მოაზროვნე ცხოველიაო. მერე ვინ გიბოძათ ასეთი განსაზღვრა — მგლებმა, მაიმუნებმა, ლომებმა თუ თქვენ თვითონ შეირქვით? პირდაპირ სასაცილოა, თქვენს თანამოძმე პირუტყვს რომ მიაწერთ ყოველივე ცუდს და საკუთარ თავს— საუკეთესოს. მიეცით ნება, თავად განსაზღვრონ, რანი არიან და ნახავთ, რას გაბედავენ და როგორ მოგექცევიან. ჰოი, კაცნო, აღარაფერს ვამბობ თქვენს თავქარიანობაზე, თქვენს სიგიჟეზე და ხუშტურებზე, რაიც დაბლა გაყენებთ თხუნელასა და კუზე, რომლებიც აგრე ბრძნულად მიჰყვებიან ბუნების მიერ მათთვის მოხაზულ გზას და არც ცდილობენ გადაუხვიონ. ერთი წუთით მომისმინეთ. მიმინო კამარას შეჰკრავს ცაში, ისარივით დაეშვება და დააცხრება ქედანს, თქვენ ამბობთ, რა შშვენიერი ფრინველიაო. თუ მწევარი კურდღელს დაეწია და დაიჭირა, — რა მშვენიერი ძაღლიაო. ხომ შეგეძლოთ ასევე გეთქვათ ტახზე მონადირე კაცზე, რომელიც იმდენს არბენინებს ნადირს, რომ ქანცს გააცლის, დაეწევა და ხანჯალს ჩასცემს, რა ყოჩაღიაო. თუ ორი ძაღლი ერთმანეთს უყეფს, ეტაკება, კბენს და გლეჯს, თქვენ ამ-

ბობთ, შეხეთ, რა სულელი ცხოველები არიანო და იმ წამსვე ჯოხს დასტაცებთ ხელს მათ გასაშველებლად. თქვენთვის რომ ეთქვათ, მთელი ქვეყნის კატებმა ერთ მინდორზე მოიყარესო თავი, როცა კნავილით იჯერეს გული, მერე ერთმანეთს დაერივნენ, კბილებითა და ბრჭყალებით გაფატრეს, ცხრა თუ ათი ათას კატას, როგორც ერთი მხრიდან, ისე მეორიდან იქვე გაძვრათ სული და ისე აყროლდნენ მთელ ათ ლიეზე ჰაერი მოიწამლაო, ხომ იტყოდით, ეს რა საზიზღარი და არგაგონილი სოდომიაო! აბა, მგლების ღმუილი და გააფთრება გენახათ, კატებივით რომ შებმოდნენ ერთმანეთს! ერთს ან მეორეს თქვენთვის რომ ეთქვა, სახელის მოხვეჭა გვინდოდაო, თქვენც დაასკვნიდით, სახელის გამო შეყრილან, სისხლი უღვრიათ, მოუსპიათ და გაუჩანაგებიათ თავიანთი მოდგმაო. დაასკვნიდით და გულიანადაც გაგეცინებოდათ ამ საცოდავ ცხოველთა სისულელეზე. ხოლო თქვენ, მოაზროვნე ცხოველებს, გსურთ განსხვავდებოდეთ პირუტყვისაგან, რომელსაც იარაღად კბილები და ბრჭყალები აქვს, და ამიტომ გამოიგონეთ ისრები, შუბები, ხანჯლები, ხმლები, მახვილები. ჩემის აზრით ძალიან გონივრულად მოქცეულხართ, რადგან ცარიელი ხელით დიდს ვერაფერს დააკლებდით ერთმანეთს. ბევრი-ბევრი თმები დაგეგლიჯათ, სახე დაგეკაწრათ, უკეთეს შემთხვევაში, თვალები დაგეთხარათ. ახლა კი აღჭურვილი ბრძანდებით მეტად მოხერხებული იარაღით და შეგიძლიათ ერთმანეთს ისეთი ჭრილობა მიაყენოთ, რომ სისხლის ერთი წვეთიც აღარ შეგრჩეთ და საიქიოს გაემგზავროთ. რამეთუ წლიდან წლამდე სულ უფრო გემატებათ ჭკუა, ძველები უკან ჩამოიტოვეთ ერთმანეთის გაჟლეტის საშუალებათა გაუმჯობესებით: ახლა თქვენს ხელშია პაწაწა ბურთულაკები, რაც იმწამს კლავს კაცს, თუკი თავში ან გულში მოხვდება. გაქვთ უფრო დიდი და მძიმე ბურთებიც; ის თქვენ შუაზე გგლეჯთ და ნაწლავებს გაყრევინებთ. იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ ეცემა ჟქვენი სახლის სახურავს, სხვენიდან სარდაფამდე ანგრევს ყველაფერს, ჰაერში სტყორცნის სახლს, თქვენს მელოგინე ცოლს, თავისი ჩვილითა და ძიძით. და აქ განისვენებს დიდებული სახელი თქვენი, მოყვარული ოჯახის ნგრევისა, აურზაურისა და ბრახა-ბრუხისა. ამასთან, თქვენ დამცველი იარაღითაც ხართ აღჭურვილი და ომის კანონებისდა მიხედვით ფოლადის სამოსი უნდა გამშვენებდეთ. არ მოგატყუებთ, ლამაზი მოსართავია და მაგონებს ოთხ სახელგანთქმულ

რწყილს, რომელთაც, ოდესღაც, ერთი გაქნილი ოინბაზი უჩვენებდა ხალხს. მას რაღაც საიდუმლო აღმოეჩინა იმისა, რომ რწყილებს შუშაში ეცოცხლათ. თითოეულს მუზარადი ეხურა თავზე, ტანზე ბეგთარი ემოსა, ეკეთა სამკლავურები, საბარკულები. შუბიც ჰქონდა ფერდზე ჩამოკიდული. არაფერი აკლდათ. ასეთი აღტურვილობით ხტოდნენ და წრიალებდნენ თავიანთ ბოთლში. ახლა წარმოიდგინეთ ათონის მთის სიმაღლე კაცი, რატომაც არა? რაო, სულს გაუჭირდება ასეთი სხეულის შექმნა? უფრო ხალვათად იგრძნობს თავს. ამ კაცს თვალი კარგად თუ უჭრის, კიდეც დაგინახავთ სადღაც მიწაზე თქვენი შემტევი და დამცველი იარაღებიანად. როგორ გგონიათ, რას იფიქრებს იგი ამ შეიარაღებულ ჭიჭყინებზე და იმაზე, რასაც თქვენ უწოდებთ ომს, ცხენოსან და ქვეით ჯარს, ღირსსახსოვარ ალყის შემორტყმასა და სახელოვან ბრძოლას? თქვენ ხომ სულ ეს სიტყვები გაკერიათ პირზე და ქვეყანა დაყოფილი გაქვთ დივიზიებადა და ლეგიონებად. კაცობრიობა ბატალიონებად ან ესკადრონებად გადაიქცა. „მავანმა ერთი ქალაქი აიღო, მერე — მეორე ქალაქი, მესამე; მოიგო ერთი ბრძოლა, მეორე, განდევნა მტერი. გაიმარჯვა ზღვაზე, გაიმარჯვა ხმელეთზე.“ ვისზე ამბობთ, ერთ-ერთ თქვენთაგანზე თუ ათონის მთის ტოლა ბუმბერაზზე? ჰო, ისევ იმ ფერწასულ, ყვიციან კაცზე ლაპარაკობთ, რომელსაც ექვსი მისხალი ხორციც კი არ აკრავს ტანზე და ერთი რომ შეუბერო, მიწაზე გაადენს ტყაპანს. არაფერს დაგიდევს, ოთხ კაცზე მეტად ხმაურობს, ქვეყანას ცეცხლის ალში ხვევს, მღვრიე წყლიდან მთელი კუნძული ამოაქვს. სიმართლე რომ ითქვას, სხვაგან დამარცხება იგემა. მტერი დაედევნა, მაგრამ ჭაობებს შეაფარა თავი და აღარც ზავი ნებავს და აღარც მშვიდობა. მაგან ჯერ კიდევ ჩვილმა გამოააშკარავა რის გაკეთებაც შეეძლო. ძიძას ძუძუზე უკბინა და საბრალო ქალი ამის გამო მოკვდა, ერთი სიტყვით, დაიბადა მონად და აღარ არის მონა. პირიქით, ბატონია და ისინი, ვინც მან მოათვინიერა და უღელში შეაბა, ჯანს არ იშურებენ და გუთნით მიწას ხნავენ. ამ კეთილ ადამიანებს თავისუფლებაზე ფიქრისაც კი ეშინიათ თითქოს, რადგან თვითონვე დაუგრძელეს მათრახის თასმა იმას, ვინც მათ მიერეკება. ყველაფრით შეუწყვეს ხელი, თავიანთი მონობა რომ გაეხანგრძლივებინათ. დაეხმარნენ გადაეცურა ზღვა, დაუფლებოდა ახალ ვასალებსა და ახალ მიწა-წყალს. თუმცა, ისიც სათქმელია, რომ ამ მიზნის მისაღწევად თავისი დედ-მამა

პანჩურ-პანღურით გამოყარა სახლიდან და მონებიც მხარში ამოუდგნენ ამ სამარცხვინო საქმეში. ზღვის გადაღმა და გადმოღმა, ვისაც კი პირში სული უდგას, გაერთიანებული ძალით არაფერს იშურებენ, რათა იგი დღითი-დღე უფრო გაძლიერდეს და ყველა მათთვის უფრო საშიში გახდეს. პიქტები და საქსონელები აშოშმინებენ ბატავიელებს, ბატავიელები — პიქტებს და საქსონელებს. ვინ უშლით, რამდენიც უნდათ იამაყონ, რომ მისი მონა-მორჩილნი არიან. მაგრამ ეს რა მესმის ზოგიერთ გვირგვინოსანზე, — არაფერს ვამბობ კონტებსა და მარკიზებზე, ჭიანჭველებივით რომ ირევიან, — მხედველობაში მყავს მეფენი და ხელმწიფენი. ამ კაცმა ერთი დაუსტვინა და მათაც კისრისტეხით მოირბინეს, მოსაცდელ დარბაზში მოიშვლიპეს ქუდები და კრინტს არ ძრავდნენ, სანამ იგი რამეს არ შეეკითხებოდა. ნუთუ ეს ის მეფეები ბრძანდებიან, რომელნიც ბუზსაც კი არ იკარებდნენ და ცხვირს იბზუებდნენ, როცა საქმე მიდგებოდა მათ მდგომარეობასა და უფლებებზე და რომელთა შეხვედრები მთელ თვეებს გრძელდებოდა, რაკი მეტად საჭოჭმანო გახლავთ პირველობის დადგენა. განა რას იქმს ეს ახალი არქონტი მათი ბრმა ერთგულებისა და მასზე შექმნილი ესოდენ მაღალი წარმოდგენის გასაშართლებლად? თუ ომში ჩაებმება, უნდა გაიმარჯვოს და გაიმარჯვოს პირადად მან და სხვამ არავინ. მტერი თუ ალყას შემოარტყამს, უნდა მოახსნევინოს და ლაჩრულად უკან დაახევინოს, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ მასა და მტერს შორის ოკეანე არ იქნება გაწოლილი. სხვაგვარად ვერც მოიქცევა, თუ არ ნებავს აწყენინოს თავის ახალ კარისკაცებს, რომელთა რიცხვის გაზრდას ხელი არ უნდა შეუწყოს კეისარმა და არ უნდა ეახლოს მას, თუ რაღაც მნიშვნელოვანი სამსახური არ გაუწია. არქონტი თავის მოკავშირეებთან ერთად ან უნდა დამარცხდეს, რისი წარმოდგენაც უფრო ძნელია, ვიდრე შეუძლებელი, ან უნდა გაიმარჯვოს, რასაც არავინ უშლის ხელს. და თუ გაიმარჯვა, აღარაფერი დაუდგება წინ, კეისრის ძლიერებითა და ღრმა მორწმუნეობით გულგასიებული მოკავშირეებთან ერთად თავს დაესხმის მას, რათა წაგლიჯოს არწივი და შეაჩეჩოს კეისარსა და მის მემკვიდრეს ვერცხლის ლენტი და საგვარეულო მამულები. ასე და ამგვარად, მოსახდენი მოხდა, ყველა ეს მეფე ნებაყოფლობით ჩაბარდა იმას, ვისაც ყველაზე ნაკლებ უნდა მინდობოდნენ. იქნებ ეზოპე მათზე ამბობდა: „ერთ მხარეში ფრთოსანთა სამ-

ყარო დიდმა მღელვარებამ და შიშმა მოიცვა, რადგან მათ მეზობლად ლომი დაბინავდა და მისი ღრიალი გულს უხეთქავდათ. ფრინველებმა თავი შეაფარეს კატას, რომელმაც ფრინველთა დაცვა ინება და შეივრდომა. ბოლოს კი ერთმანეთის მიყოლებით ყველა შეახრამუნა".

თავი მეცამეტე

ბოდის შესახებ

1

ჩვენს არარაობასა და სისულელეს ისიც ამტკიცებს, რომ მოდას ვართ გადაყოლილნი და მას ჭამაზე, ცხოვრების წესებზე, ჯანმრთელობაზე და სინდისზეც ვავრცელებთ. ნადირის ხორცი მოდაში არ არისო და არა ვჭამთ. ციებ-ცხელებისგან თუ სისხლის გამოშვებით განიკურნე, მოდის საწინააღმდეგო ყოფილა და თეოტიმს უკვე დიდი ხანია აღარ უძახიან სულთმობრძავის სარეცელთან. მისი ალერსიანი რჩევა-დარიგება მხოლოდ უბრალო ხალხის სანუგეშებლად გამოდგება. ამიტომაც თეოტიმს შემცვლელი გამოუჩნდა.

2

იშვიათობის მოყვარულისთვის საჯურველია არა ის, რაც გამოსადეგია და მშვენიერი, არამედ ის, რაც იშვიათია, ერთადერთი, რაც მხოლოდ მას აქვს და სხვა არავის. მოსწონს არა სრულყოფილი რამ, არამედ ის, რაც ძნელად საშოვნელია და მოდური. მისთვის ეს გასართობი როდი გახლავთ, ვნებაა და ხშირად მძაფრი ვნებაც, რაიც ასეთი წვრილმანებით რომ არ იყოს შთაგონებული, არაფრით ჩამოუვარდებოდა სიყვარულსა და პატივმოყვარეობას. ეს ვნება სულაც არ ვრცელდება ყოველივე შესანიშნავსა და იშვიათზე, არამედ იმ რაღაც ერთზე, რაც იშვიათიცაა და მოდურიც.

ერთ ყვავილების მოყვარულ კაცს გარეუბანში ბაღი აქვს. მზის

ამოსვლისას გარბის იქ და მზის ჩასვლისას ბრუნდება. თქვენ ხედავთ, იგი გაშეშებული დგას ერთ ადგილზე, თითქოს მიწაში გაუდგამს ფესვები თავის ტიტებს შორის და შესცქერის „ბრილიანტს“. თვალს ისე აჭყეტს, ლამის შუბლზე აუვიდეს. ხელებს ისრესს, ჩაცუცქდება, ახლოდან რომ შეხედოს. ისეთი მშვენიერი არაფერი უნახავს. გული სიხარულით ევსება. მერე „აღმოსავლურს“ მიუახლოვდება, შემდეგ „ქვრივთან“ შეჩერდება, „ოქროს ფარჩას“ გადახედავს, „აქატს“ ესტუმრება და ისევ „ბრილიანტთან“ ბრუნდება. აქედან კი ფეხს აღარ იცვლის, ქანცი ელევა, ჯდება და ავიწყდება, სადილის დრო რომ მოვიდა, ისე იტაცებს ტიტას ფერთა ელვარება და ხავერდოვნება, მშვენიერი ბორდიური, უნაზესი ფოთოლაკები, თვალწარმტაცი ჯამი და გასაგიჟებელი გვირგვინი. შესციცინებს, ეთაყვანება, ეთაყვანება არა ღმერთს, არა ბუნებას, არამედ რაღაც ბოლქვს ტიტასი, რასაც ახლა ათას ეკიუდაც არავის დაუთმობს, თუმცა უფასოდ აჩუქებს ვისმეს, როცა ტიტა კი აღარ იქნება მოდაში, არამედ მიხაკი. ეს კაცი, რომელსაც აქვს გონება და სული, სწამს ღმერთი და საეკლესიო წესებსაც ერთგულად ასრულებს, შინ ბრუნდება დაღლილი, დამშეული, მაგრამ კმაყოფილი და მადლიერი ესოდენ წარმტაცად გატარებული დღით: მან იხილა ტიტები.

აბა მეორეს უთხარით, რა უხვი მოსავალი მოვიდა, რამდენი პური, რამდენი ყურძენი. ყურსაც არ გაიბერტყავს — ხილი აინტერესებს. თქვენც ელაპარაკეთ ლეღვზე, ნესვზე, თან დასძინეთ, წელს ვაშლის ხეები ისე დაიხუნძლა, ლამის ტოტები დაემტვრეს-თქო. არც ახლა გისმენთ, თქვენი სიტყვა მისთვის უცხო კილოკავია. მარტო ქლიავზეა გადაგებული. არ გაბედოთ, თქვენს ქლიავზე ნურაფერს ეტყვით. იგი ერთი ჯიშით არის გატაცებული და სხვა ყველაფერს, რასაც თქვენ უსახელებთ, დამცინავი ღიმილით ხვდება. მიგიყვანთ ერთ ხესთან, სხარტად მოწყვეტს ამ გადასარევ ქლიავს, გახლეჩს, გამოგიწოდებთ ერთ ნახევარს და მეორეს თვითონ ჩაიდებს პირში. ო, რა წვნიანია, ამბობს, ხომ იგემეთ? ღვთაებრივია, არა? ამისთანას ვერსად იპოვით. ნესტოები ებერება, ცდილობს პატივმოყვარეობით აღვსილი სიხარული მოკრძალებითა და მორცხვობით დაფაროს. ო, მართლაც ღვთაებრივო ადამიანო! სად გამოვძებნო სიტყვა შენდა საქებრად და განსადიდებლად! უკუნითი უკუნისამდე ახსენებს ხალხი შენს სახელს! სანამ ცოცხალია, თვალს არ მოვაცილებ

მის ტანს და სახეს, დავაკვირდები მის ნაკვთებს, მიხრა-მოხრას, იგი ხომ ერთადერთია მოკვდავთა შორის, ვისაც ამდაგვარი ქლიავი ეკუთვნის.

ესტუმრებით მესამეს და იგი დაგიწყებთ ლაპარაკს თავის თანამოძმე იშვიათობის მოყვარულებზე, განსაკუთრებით კი დიონეტზე. „აღტაცებული ვარ დიონეტით, — გეუბნებათ ეს კაცი, — და დღითი დღე ნაკლებად მესმის მისი“. ხომ არ გგონიათ მედლებით იმიტომაა გატაცებული, რომ ცოდნა გაიღრმავოს, ანდა მედლები მისთვის ძველი ისტორიის ნათელი და ეჭვმიუტანელი ძეგლია, რაიც რომელიმე განსაზღვრულ მოვლენაზე ღაღადებს? სრულებითაც არა. იქნებ ფიქრობთ, იმიტომ ეძებს აგრე თავგადაკლული თავს, რომ ისწრაფის შეაგროვოს რომის იმპერატორთა გამოსახულებიანი მედლების მთელი სერია? ძალიან ცდებით. დიონეტმა მხოლოდ ის იცის, რომ არსებობს წაშლილი, ნახევრად წაშლილი და წაუშლელი მედლები. ერთი დაფა აქვს, მედლებით დაფარული. ერთი ადგილი ცარიელი დარჩა და თვალში ეჩხირება. ოღონდ შეავსოს, არ დაიშურებს არც ქონებასა და არც სიცოცხლეს, — დაასრულა დემოსედმა და მერე დასძინა, — ხომ არ ინებებთ დაათვალიეროთ ჩემი ესტამპები?“ მაშინვე გამოაწყობს და გიჩვენებთ. თქვენი ყურადღება მიიპყრო ერთმა გაურკვეველი ფერის, გადახუნებულმა, თითქმის წაშლილმა და უმსგავსი გრავიურიდან გადმოღებულმა ესტამპმა, რომელიც, რა მოგახსენოთ და, კაბინეტს კი არა, პტი-პონს ან რიუ ნევს უფრო დაამშვენებდა საზეიმო დღეს. დემოსედი ყაბულსაა, გრავიურა ვერაფერი შვილი ყოფილაო, ვერც გადმოღებით დაიკვეხნისო, მაგრამ მარწმუნებს, იტალიელის ნახელავიაო. იმ იტალიელს თურმე არცთუ ბევრი ნახატი ჰქონია. ესტამპი ცუდად კია შესრულებული, მაგრამ საფრანგეთში ერთადერთი ყოფილა. ამიტომაც დემოსედს ძალიან ძვირად უყიდია და რაც უნდ შესანიშნავი ესტამპი შესთავაზონ, არ გაცვლის. „დიდად ვარ დამწუხრებული, — განაგრძობს იგი, — იქნებ კიდეც დავანებო თავი ესტამპების შეგროვებას. იცით რა, მთელი კალო მაქვს, ერთის გარდა; თუმცა დანარჩენებს ვერ გაუტოლდება, ის კი არა, ყველაზე უხეიროც არის, მაგრამ უიმისოდ კალოს კოლექცია სრული ვერ იქნება. აგერ ოცი წელია მაგის ძებნას გადავყევი და იმედი დამეკარგა, ოდესმე თუ ვეღირსები მის პოვნას. ძნელი გადასატანია, ღმერთმანი“.

მავანი დასცინის ხალხს, ვისაც ცნობისმოყვარეობა ვერ დაუოკებია, ერთ ადგილზე ვერ მოუსვენია და შორეულ მხარეებში მიემგზავრება. არც არაფერს იხსომებენ იქაურს, — უბის წიგნაკებიც კი არ გაუჩინიათ, შიგ რომ რაიმე ჩაინიშნონ, — არც ვინმესთან ამყარებენ ურთიერთობას. მოუნდომებიათ მხოლოდ შეხედონ ახალ კოშკებსა თუ სამრეკლოებს, ანდა გადაცურონ მდინარეები, რომელთაც არც სენა ჰქვიათ და არც ლუარა. სამშობლოს ტოვებენ, რათა უკან დაბრუნდნენ და ისწრაფიან სხვაგან გაატარონ დრო, და ერთ მშვენიერ დღეს შორეული მოგზაურობიდან შინ ჩამოვიდნენ. დამცინავი კაცი სამართლიანად ლაპარაკობს და მეც ყურადღებით ვუსმენ.

მერე წიგნებზე ჩამოაგდო სიტყვა და მაუწყა, წიგნები უფრო მეტს გვასწავლიან, ვიდრე მოგზაურობაო, თან მიმახვედრა, დიდი ბიბლიოთეკა მაქვსო. ბიბლიოთეკის გაცნობა მოვისურვე და შინ ვესტუმრე. მიმიღო. კიბესთან მივედი თუ არა, ისეთი მყრალი სუნი მეცა, რომ ცუდად გავხდი. წიგნებს თურმე შავი ტყავი ჰქონდა გადაკრული და ყარდა. ჩემს მოსასულიერებლად ის ყურში ჩამძახოდა, წიგნებს ოქროსვარაყიანი ნატვიფრი ყდა და შემონაჭერი აქვსო. მაცნობდა იშვიათი გამოცემებიდან ხან ერთ საუკეთესო წიგნს და ხან მეორეს. ისიც მითხრა, მთელი გალერეა წიგნებითაა გაჭედილი, თუმც ზოგიერთი თარო ჯერ კიდევ შეუვსებელია, მაგრამ ისე კოხტად არის შეღებილი, გეგონებათ, მართლაც წიგნები აწყვიაო. თვითონვე გამიმეღავნა, თურმე ერთი წიგნიც არ წაუკითხავს, არცთუ გალერეაში ყოფნით იკლავს თავს და ახლაც თუ წამომყვება, მხოლოდ ჩემდა საამებლად. ასეთი თავაზიანობისთვის მადლობა გადავუხადე. პატრონისა არ იყოს, არც მე მსურს თავი შევყო ტყავის სახელოსნოში, რასაც თავად ბიბლიოთეკას უწოდებს.

ზოგს ცოდნის წყურვილი ახრჩობს, და რაკი არ შეუძლია რომელიმე ერთ დარგზე შეაჩეროს ყურადღება, ყოველგვარი მეცნიერების შესწავლას ლამობს და ვერაფერში ერკვევა. მას ურჩევნია იცოდეს ბევრი, ვიდრე იცოდეს კარგად; იყოს გაუთვითცნობიერებელი და ზედაპირული მეცნიერების მრავალ დარგში, ვიდრე ზედმიწევნით კარგად და ღრმად იცნობდეს მხოლოდ ერთს. პირველ შემხვედრს დიდი სწავლული ჰგონია და მისგან მოელის ზეშთაგონებულ სიბრძნეს. ფუჭი ცნობისმოყვარეობის მსხვერპლი ხანგრძლივი

და გამთანგველი მეცადინეობის შედეგად თავს აღწევს სრულ უვიცობას.

სხვას მეცნიერების გასაღები ხელთა აქვს და შიგ არაოდეს აღწევს. მთელ სიცოცხლეს ალევს აღმოსავლურ, ჩრდილოურ, ორივე ინდოეთისა თუ ორივ პოლუსის ენების შესწავლას. მთვარეზე რომ ლაპარაკობენ, იმ ენის ათვისებასაც ცდილობს. მარტოოდენ ყოვლად უსარგებლო კილოკავები, უცნაური და საიდუმლოებით მოცული დამწერლობა მიაჩნია ღირსად გატაცებისა და შესწავლისა. ებრალება ის გულუბრყვილო კაცი, ვინც მშობლიური ენის შესწავლაზე აცდენს დროს ან, უკიდურეს შემთხვევაში, ეუფლება ბერძნულს და ლათინურს. ეს კაცი სულ რაღაც ისტორიებსა კითხულობს და ისტორიის არაფერი გაეგება. ხან ერთ წიგნს გადაფურცლავს, ხან მეორეს და არავითარი აზრი არ გამოაქვს. მოვლენებისა და პრინციპების შეფასების მხრივ ცარიელია მისი გონების სალარო, რომელიც პირამდე სავსეა ისეთი სიტყვებითა და გამოთქმებით, რომელთა წარმოდგენაც კი არ ძალუძს ადამიანს. მეხსიერება გადატვირთული აქვს ნაირნაირი ცნობებითა და ფაქტებით, მაგრამ თავში არაფერი უყრია.

ერთ ბურჟუას ყველაზე მეტად შენობები უყვარს. აიშენა ისეთი მშვენიერი, მდიდრული და მორთულ-მოკაზმული სასახლე, რომ შიგ ცხოვრება შეუძლებელია. პატრონმა ვერ გაბედა ან თავად შესახლებულიყო, ან რომელიმე პრინცისთვის თუ ფინანსისტისთვის მიექირავებინა. სიცოცხლეს, ალბათ, ერთ უბადრუკ სხვენზე დაასრულებს, ხოლო მისი დარბაზების ანფილადაში, ძვირფასად მოხატულ იატაკებზე მიმოდიან ინგლისელი და გერმანელი მოგზაურები, რომლებიც ამ ბურჟუას სახლს ისევე ათვალიერებენ, როგორც პალეროუაიალის, ლ...გ...სა და ლუქსემბურგის სასახლეებს. ამ საუცხოო კართან ყველა ჩერდება. ყველას სურს ნახოს სახლი და არა პატრონი.

კიდევ ერთი კაცი ვიცით, რომელსაც მოწიფული ქალიშვილი ჰყავს და მზითევს ვერ აძლევს. მზითევს ვინ ჩივის, არ აცვიათ და თითქმის მშივრები არიან. ვერ შეუძენიათ საწოლის ფარდები და თეთრეული. ღარიბ-ღატაკნი არიან და ამის მიზეზი არცთუ შორს გახლავთ, აქვეა დიდ დარბაზში, რომელიც გაჭედილია ჭუჭყითა და მტვრით დაფარული ფასდაუდებელი ქანდაკებებით. რომ გაეყიდა, ჩიტის რძეც არ დააკლდებოდა, მაგრამ გასაყიდად არ ემეტება.

დიფილმა ერთი ჩიტით დაიწყო და ბოლოს ათასი დაუგროვდა. სახლს მათი გალობა კი არა, მათი სიბინძურე ავსებს. ეზო, კიბე, ტალანი, დარბაზი, საწოლი ოთახები, კაბინეტი, ყველაფერი საფრინველად გადაქცეულა. ჭიკჭიკი და ჟღურტული კი არ ისმის, ყურისწამღები ჟრიამულია ატეხილი. არც შემოდგომის ქარი სტვენს ისე გამაყრუებლად და არც ადიდებული მდინარე გუგუნებს ამგვარად. ისევე არ ესმით აქ ერთმანეთის ხმა, როგორც ფინიას წკავწკავი დიდ დარბაზში, სადაც კარისკაცნი მეფის გამოსვლას ელოდებიან. დიფილისთვის ახლა ეს უკვე საამური გასართობი როდია, არამედ მძიმე სამუშაო, რასაც ვეღარ აუდის. მთელ დღეს, დღეს, რაც წავა და აღარ დაბრუნდება, ანდომებს მათთვის მარცვლის დაყრასა და სკინტლის წმენდას. გასამრჯელოს უხდის ერთ კაცს, ვისაც ევალება ფლაჟოლეტზე დაუკრას, რათა იადონებმა დაუსტვინონ და ბარტყები გამოჩეკონ. ის კია, ფულს თუ ასე წაღმა-უკუღმა ფანტავს, ზოგავს კიდეც: მის შვილებს მასწავლებლები არა ჰყავთ და მათ აღზრდაზე არავინ ზრუნავს. საკუთარი ახირებითვე ქანცგაწყვეტილი საღამოს თავის ოთახში იკეტება და ნამდვილად მხოლოდ მაშინ ისვენებს, როცა ჩიტები ისვენებენ და აღარ გალობენ, თუმცა დიფილს ეს პაწაწა არსებები სწორედ გალობისათვის უყვარს. სიზმარში ხედავს ჩიტებს და თავის თავსაც, ფრთოსნად გადაქცეულს; ქანდარაზე ჩამომჯდარს ბუმბული აქოჩრია და ჟღურტულებს. ხანდახან ისიც კი ესიზმრება, რომ ბუმბულს იცვლის და კვერცხებსა დებს.

ვინ შეძლებს ჩამოთვალოს ყველა ჯურის იშვიათობის შემგროვებელი? თუ ყურს მოჰკრავთ, რომ ესა თუ ის კაცი თავის „ავაზებს“, „ბუმბულებს“, „მუსიკას“[1] ისე აქებს, თითქოს დედამიწაზე ამაზე საოცარი და ზღაპრული არაფერი მოიძებნება, მიხვდებით, რომ მას თავისი ნიჟარების გაყიდვა მოუწადინებია. რატომ არა? ის ხომ ოქროს ფასად ყიდულობს მათ.

ამ ბატონს კი მწერები უყვარს. ყოველ დღე ახალ-ახალი შენაძენით მდიდრდება. უნდა იცოდეთ მთელს ევროპაში არავის აქვს შეგროვილი იმდენი პეპელა, იმდენნაირი სიდიდისა და ფერის, როგორც მას. ეს რა დრო შეგირჩევიათ მასთან მისასვლელად? იგი ხომ ღრმა მწუხარებაშია ჩაფლული. ისეთი დარდიანია და გაანჩხლებუ-

[1] ნიჟარების სახელწოდებები.

ლი, რომ მთელი ოჯახი შიშით ძრწის. რა ქნას, დაეკარგა ისეთი რამ, რასაც ვერაფერი შეუცვლის. აბა მიუახლოვდით, შეხედეთ, რა ჰკიდია თითზე; სიცოცხლეს გამოსალმებია, სული განუტევია მუხლუხას, მერედა რა მუხლუხას!

3

დუელი მოდის უდიდესი გამარჯვებაა და მისი ტირანიის უბრწყინვალესი გამოვლინება. ამ ჩვეულებამ მხდალს სიცოცხლის უფლება მოუსპო. ნებსით თუ უნებლიეთ გულადობა უნდა გამოეჩინა და შემოკვდომოდა მასზე გაბედულ ვაჟკაცს. სახელი და პატიოსნება დაუქვემდებარა ახირებულსა და უაზრო მოქმედებას და ეს ისევე აუცილებელი გახდა, როგორც საეკლესიო წესჩვეულებების დაცვა, მით უმეტეს, რომ თვით მეფე იძლეოდა დასტურს. დუელით წყდებოდა, გაეთავისუფლებინათ თუ დაესაჯათ კაცი, ვისაც ბრალად მძიმე დანაშაული ედებოდა. დაბოლოს, ამ ჩვეულებამ ისე ღრმად გაიდგა ფესვი ადამიანთა შეხედულებებში, ისე შეიჭრა მათ გონებასა თუ გულში, რომ ამგვარი სიგიჟისგან მათი განკურნება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღვაწლია დიდზე უდიდესი მეფისა.

4

მოდა ერთ კაცს მხედართმთავრისა და სახელმწიფო მოღვაწის ნიჭს მიაწერდა, მეორეს — მჭევრმეტყველი მოქადაგის, მესამეს — ლექსების მთხზველის. ახლა ისინი აღარავის ახსოვს. ნუთუ შესაძლებელია ესოდენ შესანიშნავი ადამიანები მთლად გადაგვარებულიყვნენ? ნიჭი დაკარგეს თუ მოდიდან გავიდნენ?

5

მოდაში შემოსული კაცი ისევე წარმავალია, როგორც მოდა. და თუ შემთხვევით მართლაც ღირსეული ვინმეა, უკვალოდ არ გაქრება, რაღაც მაინც დარჩება მისგან. უწინდებურად საპატივცემლოა უთუოდ, მაგრამ ახლა ნაკლებად სცემენ პატივს.

სათნოება იმითაა დასაფასებელი, რომ თავისთავად არსებობს და შეუძლია იოლად გავიდეს თაყვანისმცემლების, მიმდევრებისა და

მფარველობის გარეშე. მხარდაჭერასა და მოწონებას თუ ვერ პოვებს, არაფერი უშავდება, პირიქით, უფრო მტკიცდება, იწმინდება და სრულყოფილი ხდება. მოდაში იქნება თუ მოდიდან გავა, სათნოება ისევ და ისევ სათნოებად რჩება.

6

ერთი უთხარით ხალხს, განსაკუთრებით ძლიერთ ამა სოფლისათა, ეს კაცი სათნოებით გამოირჩევაო, გიპასუხებენ, მე რა, თავის სათნოებას მიხედოსო. — ჭკვიანია, თავაზიანი და ენამახვილიო, გეტყვიან, მით უკეთესი მისთვისო. დიდად განათლებულია, განსწავლული, გეკითხებიან, რომელი საათია ან როგორი ამინდიაო, მაგრამ თუ მოახსენებთ, ტიჟილინი მთელ ჭიქა არაყს ერთი ყლუპით გადაკრავსო, და, ჰოი საოცრებავ, ერთ ჭამაზე რამდენჯერმე იჩენს ასეთ ვაჟკაცობასო, მაშინვე შემოგძახებენ: სად არის? მომიყვანეთ ხვალვე, არა, ამავე საღამოს. ხომ მომიყვანთ? და თქვენც მიჰგვრით. და ეს კაცი, ვინც ფულისათვის ბაზრობაზე და ბალაგანებში ხალხს უნდა ართობდეს, დიდებულთა ოჯახში გაშინაურებული გახლავთ.

7

ისე არაფერი აღამაღლებს ადამიანს ხალხის თვალში და ისე სწრაფად არ შემოჰყავს მოდაში, როგორც დიდ თანხაზე თამაშს და მასთან ერთად, გარყვნილებასაც. ერთი მაჩვენა დიდად თავაზიანი კაცი, მხიარული, გონებამახვილი, თუნდაც იყოს კატული ან მისი შეგირდი, თუ გაუძლებს დაპირისპირებას ისეთ ვინმესთან, რომელმაც ერთ დაჯდომაზე ასი პისტოლი წააგო.

8

მოდაში შემოსული ქალი ჰგავს უსახელო ცისფერ ყვავილს, რომელიც ყანაში თავისთავად ამოდის, ჩრდილავს თავთავს, ამცირებს მოსავალს და რაღაც უკეთესის ადგილს იჭერს. მისი ფასი და სილამაზე ნასესხებია იმ თავქარიანი ახირებისგან, რაც იბადება და უმალვე ქრება. ცისფერი ყვავილი დღეს მოდაშია და ქალების სამკაულადაა მიჩნეული. ხვალ მდაბიოთ გადაუგდებენ.

ღირსებებით აღვსილი ქალი ყვავილია. ფერით კი არ ცნობენ, არამედ საკუთარი სახელით იხსენიებენ და ახარებენ მისი სილამაზის ან სურნელების გამო. იგი ბუნების სამკაულია, ქვეყნის მშვენება. მარადჟამს განთქმული იყო მისი სახელი: შეტრფოდნენ ჩვენი მამები და მამების შემდეგ ჩვენ შევტრფით მას.

იქნებ ვინმეს არ მოსწონდეს და სძულდეს კიდეც, ზიანს მაინც ვერ მიაყენებს ვარდსა და შროშანს.

9

ევსტრატე თავის ნავში ზის და მიცურავს ზღვაში. ტკბება კამკამა ჰაერითა და მოწმენდილი ზეცით. ჩანს, ზურგის ქარი დიდხანს იქროლებს და ხელს შეუწყობს ცურვას. მაგრამ უცბად ყუჩდება ქარი, ცა იღრუბლება, ქარიშხალმა მძლავრად შემოუტია, ნავი აიტაცა და უმალ ჩაძირა. ევსტრატე ზედაპირზე ამოტივტივდა, ძალ-ღონე მოიკრიბა და გაცურა. ყველას იმედი მიეცა, იქნებ შეძლოს კიდეც თავს უშველოს და ნაპირს მიაღწიოსო. ვეებერთელა ტალღა მოეხეთქა და ისევ ჩაძირა. დაღუპულად ჩათვალეს უკვე. მეორეჯერაც ამოყო თავი და იმედი კვლავ ჩაესახათ. ისევ წამოვიდა ტალღა, დააცხრა და ჩაიხვია. აღარ გამოჩენილა, დაიხრჩო.

10

ვუატიური და სარაზენი ისე მიესადაგნენ თავიანთ საუკუნეს, რომ გეგონებოდათ, ყველა მათ გაჩენას ელოდაო. ცოტა ადრე, ანდა მოგვიანებით რომ მოვლენოდნენ ქვეყანას, მაპატიეთ და, ეჭვი მეპარება, ყოფილიყვნენ ის, რაც იყვნენ თავის დროზე. მსუბუქი საუბარი, წრეები, დახვეწილი ხუმრობა, თავშესაქცევი და მეგობრული წერილები, შინაურული შეკრებები, სადაც მხოლოდ გონებამახვილი ადამიანები დაიშვებოდნენ, ყველაფერი ეს უკვალოდ გაქრა და ნუ მეტყვით, თითქოს ვუატიური და სარაზენი შეძლებდნენ მის აღდგენას. მათ ნიჭსა და ჭკუაზე ქების მეტი, აბა, რა მეთქმის, უეჭველია, სულ სხვა ჟანრში გაიბრწყინებდნენ, რადგან ჩვენი დროის მანდილოსანთა ყურადღებას ვერ ეღირსებოდნენ. მოგეხსენებათ, ახლა ქალები ან ღვთისმოშიშნი არიან, ან კეკლუცანები, ანდა აზარ-

ტულ თამაშსა და პატივმოყვარულ გრძნობებს გადაყოლილნი; ხანდახან ერთნიც არიან და მეორენიც. წყალობის მიღების სურვილმა, თამაშმა, არშიყობამ, სულიერმა მამებმა დაიჭირეს ადგილი მათ გულში, რაც უწინ გონებამახვილ მამაკაცებს განეკუთვნებოდა.

11

ქარაფშუტა კოხტაპრუწა ფართოფარფლებიან შლაპას ატარებს, ფარფარასახელოებიან კამზოლს, ზონრებიან შარვალსა და ყელიან ფეხსამოსს. საღამოს იწყებს ფიქრს, ხვალ სად და როგორ მივიპყროო ხალხის ყურადღება. გონიერი ადამიანი იმას იცვამს, რასაც მკერავი ურჩევს. არც მოდის სრული უგულებელყოფა ვარგა და არც ზედ გადაყოლა.

12

ერთი აგინებს მოდას, რაც მამაკაცის ტანს ორ თანაბარ ნაწილად ჰყოფს და წელს მეტისმეტად აგრძელებს. მეორეს არ მოსწონს მოდა, რის მიხედვითაც ქალის თავი გადაქცეულია ხუშტურებისდა მიხედვით გააზრებულ და შემკულ, მრავალსართულიან ნაგებობის კვარცხლბეკად. თმა, რაიც შუბლის დასამშვენებლადაა განკუთვნილი, ისეა ზემოთ ავარცხნილი და ყალყზე შემდგარი, თითქოსდა ცდილობენ ქალის ნაზი და კდემამოსილი სახე რამენაირად გამოიყურებოდეს ქედმაღლურად და ისე გამომწვევად, ვითარც შეჰფერის ბაკქანალიაში მონაწილე ახუნტრუცებულ ლამაზმანებს. ერთი სიტყვით, ხან ერთი მოდის საწინააღმდეგოდ აყვირდებიან, ხან მეორისა, თუმცა იგი, რაც უნდ ახირებული იყოს, სანამ ძალაშია, ამკობს და ამშვენებს ადამიანს, რომელიც სარგებლობს ყოველივე იმით, რისი მოცემაც მოდას შეუძლია. და, რაც მთავარია, მისი შემწეობით სხვას აწონებს თავს. მე მგონი, გასაოცარი მხოლოდ ხალხის თავქარიანობა და მერყევი ხასიათი გახლავთ, ერთმანეთისგან აგრე რიგად განსხვავებული კოხტაპრუწობა და წესიერება რომ მოსწონთ და ხან ერთს ანიჭებენ უპირატესობას და ხან მეორეს, ხოლო სამასხროდ და სამასკარადოდ იცვამენ იმას, რაც უწინ, უწინ კი არა, სულ ცოტა ხნის წინათ, საზეიმო ჩაცვულობადა და დიდად მნიშვნელოვან მორთულობად ითვლებოდა.

13

„ნ“ მდიდარია. კარგად ჭამს და კარგად სძინავს; მაგრამ ვარცხნილობის ფოდა უცბად შეიცვალა. მან ეს არ იცოდა და თავს ბედნიერად ეგრძნობდა, ახლა კი მოდას ჩამორჩა!

14

იფისმა ეკლესიაში ახალი მოდის ფეხსაცმელი შენიშნა. ფეხებზე დაიხედა და სირცხვილისგან ალმური მოედო. ასე ეგონა, ტანთ არაფერი ემოსა. მესაზე თავის გამოსაჩენად მოვიდა და ახლა იმალება. მთელი დღე ფეხების გამო საწოლი ოთახიდან ვერ გამოვიდა. სათუთი ხელები აქვს, სურნელოვან საცხს ისვამს. ჩაკიწკიწებული კბილები აქვს და ხშირად იცინის. ტუჩებს კოხტად გამოაბზუებს და ყოველ წუთს იღიმება. ითვალიერებს წვივებს, სარკეში იხედება და უსაზღვროდ მოსწონს თავისი თავი. იმღენი ივარჯიშა, რომ ხმა მეღერი და დაწმენდილი გაუხდა. მისდა საბედნიეროდ, ღაღანა წარმოთქმაც აქვს მომადლებული. მოხდენილად ხრის თავს, ენა ვერ აღწერს, როგორ მიბნედილად იმზირება და როგორ კოპწიაობს. ნარნარი სიარული იცის და ყოველნაირად ცდილობს ტანწერწეტა მოჩანდეს. ლოყებზე ფერს ისვამს, თუმც იშვიათ შემთხვევაში. ისიც მართალია, რომ ატარებს შარვალსა და შლაპას და არ უკეთია არც საყურეები და არც მარგალიტის ფარღული. ამიტომაც მისი პორტრეტი არ მოვათავსე წიგნის იმ თავში, რაიც ქალებს ეხებოდა.

15

ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანები სიამოვნებით მიჰყვებიან მოდას და თანაც არაფრად აგდებენ, როცა მხატვარი მათ პორტრეტს ხატავს. თითქოს გრძნობენ და წინასწარ ჭვრეტენ, რაოდენ უხამსად და სასაცილოდ გამოჩნდება ტანსაცმელი სურათზე, როცა დაკარგავს სიახლის მომხიბვლელობასა და ბეწს. ამჯობინებენ საკუთარი თუ მხატვრის ფანტაზიით შექმნილ, არაფრისმთქმელ ჩაცმულობასა და ნაკეცებიან მოსასხამებს, რაიც სულ არ უხდება არც მათ იერს, არც სახეს, არც ხასიათსა და მდგომარეობას. პოზაც მეტად დაძაბულია

და კადნიერადაც გამოიყურებიან. ისე მკაცრად, მრისხანედ და არაბუნებრივად უჭირავთ თავი, რომ ახალგაზრდა აბატი მეომარს წაგავს, მოსამართლე — ბაქია ცრუპენტელას, ქალაქელი დედაკაცი — დიანას, სათნო და მოკრძალებული ქალი — ამორძალს ან ათენა-პალადას, უბიწო გოგონა — ლაისს, გულკეთილი და სულგრძელი თავადი — ატილას.

ერთი მოდა ვერ ასწრებს მეორის შეცვლას, რომ თვითონ ისპობა უახლესი მოდით, რაც თავის მხრივ მომდევნო მოდას უთმობს ადგილს და არც ეს იქნება უკანასკნელი. ასეთი თავქარიანები გახლავართ ჩვენ. ამდენ გარდაქმნებსა და გადატრიალებაში, სანამ ესა თუ ის მორთულ-მოკაზმულობა წარსულს ბარდება და მივიწყებას ეძლევა, გადის საუკუნე. შემოდის ყველაზე მიმზიდველი და თვალგასაზარი ძველისძველი მოდა. დრომა და წლებმა თავისი გაიტანეს და მოდაში შემოსული ძველი ჩაცმულობა ისევე გვხიბლავს, როგორც რომაელ მებრძოლთა სამოსი და ტოგა თეატრში, ანდა როგორც ხალათი, ლეჩაქი და ჩალმა გობელენებზე და სურათებზე.

ჩვენი მამათა პორტრეტებმა შემოგვინახეს არა მხოლოდ მათი გამოსახულება, არამედ ტანისამოსიც, ვარცხნილობაც, იარაღიცა და ზიზილ-პიპილებიც, რაც სიცოცხლეში უყვარდათ. ამ სიკეთის გადახდა ჩვენ მარტო იმით შეგვიძლია, რომ ჩვენი პორტრეტები დავუტოვოთ შთამომავლობას.

16

ძველ დროში ფართომაქმანიანი შარვლები და კამზოლები ეცვათ, პარიკს არ იხურავდნენ და თავისუფლად აზროვნებდნენ. ახლა ეს მიღებული აღარ გახლავთ. ატარებენ პარიკს, შემოკვართულ ტანსაცმელს, სადა წინდებს და არიან ღვთისმოშიშნი. ყველაფერს განაგებს მოდა.

17

ცოტა ხნის წინათ ღვთისმოშიში კარისკაცი რატომღაც სასაცილოდ ითვლებოდა. რას წარმოიდგენდა, რომ მოდაში შემოვიდოდა?

18

მაღალი მდგომარეობის მისაღებად რას არ იკადრებს კარისკაცი, თუკი ამის გამო თანახმაა ღვთისმოშიში იყოს?

19

ფერები გაზავებულია, ტილოც გადაჭიმული, მაგრამ როგორ გამოვსახო ესოდენ მოუსვენარი, ქარაფშუტა, მერყეევი ხასიათის კაცი, რომელიც ათჯერ და ათასჯერ იცვლის სახეს? ვხატავ ღვთისმოშიშს, და უკვე დარწმუნებული ვარ, მსგავსება დავიჭირე, მაგრამ ხელიდან მისხლტება, უკვე თავისუფლად მოაზროვნეა. ჯანდაბას, დარჩეს ასეთი უმსგავსი გამომეტყველება, რომ შევძლო ზუსტად გამოვხატო მისი გრძნობათა და ფიქრთა მანკიერება; მაგრამ მოდა არ იცდის, ეს კაცი ისევ ღვთისმოშიშია.

20

ვინც ღრმად ჩაწვდომია სამეფო კარის წესჩვეულებებს, იცის რა არის სათნოება და რა არის ღვთისმოშიშობა;[1] მას ვეღარავინ მოატყუებს.

21

არად ჩააგდო და არ დაესწრო ცისკრის ლოცვას როგორც მოძველებულ წესსა და მოდიდან გასულს; ადრე დაიკავო ადგილი, სანამ მწუხრის ლოცვა დაიწყებოდეს; გაიგო ვინ დადის ტაძარში და ვინ დგას გვერდით მხარეს, სად დადგე, რომ ყველამ დაგინახოს და საიდან არ ჩანხარ; ეკლესიაში იფიქრო ღმერთზეც და შენს საქმეებზეც; მიიღო იქ ხალხი, გასცე ბრძანება, დავალებით გაგზავნო ვინმე და დაელოდო პასუხს; არ უსმინო საღვთო წერილს და უსმინო მოძღვარს; გეგონოს, რომ შენი სიწმინდე და ცოდვათა განტევება შენი დამოკიდებულია მოძღვრის კეთილ სახელზე; აგდებით უყურო იმათ, ვისი მღვდელიც მოდური არ არის; ღვთისმსახურებას უსმი-

[1] ყალბი ღვთისმოშიშობა.

ნო მხოლოდ შენს მიერ შერჩეულ ტაძარში, ანდა მხოლოდ მაშინ, როცა შენი მოძღვარი ქადაგებს, მისი მესა სხვისას გერჩივნოს, წმიდა საიდუმლოებას იღებდე მხოლოდ მისგან; სულიერ საკვებს ეწაფებოდე მარტოოდენ საღვთისმეტყველო წიგნებიდან და არ გახსოვდეს, რომ არსებობს დაბადება, მოციქულთა წერილები და ეკლესიის მამათა შეგონებები; ილაპარაკო და იკითხო ისეთ ენაზე, რაც ქრისტიანობის გავრცელების პირველ საუკუნეებშიც კი არვინ იცოდა; აღსარებაზე სხვის მანკიერებას ახსენებდე და საკუთარს ხელს აფარებდე: როგორც ცოდვას, ისე ინანიებდე მწუხარებასა და მოთმინებას შენსას და კიდევ იმას, რომ ვერ მიგიღწევია გმირულ თვითგვემამდე; საიდუმლო შეთქმულებაში მონაწილეობდე ერთთან და მტრობდე მეორეს; აფასებდე მხოლოდ შენს თავს და შენს დამქაშებს; არარა გწამდეს, თვით სათნოებაც კი; ტკბებოდე სიმდიდრითა და მოწყალებით; გემეტებოდეს შენთვის და არა სხვისთვის; არ ეხმარებოდე ღირსეულ ადამიანებს; ღვთის სამსახურს პატივმოყვარული მიზნების მისაღწევად იშველიებდე; მოელოდე ცოდვათა შენდობას სიმდიდრისა და მაღალი მდგომარეობის მეშვეობით; ეს გახლავთ ჩვენი დროის ღვთისმოშიშთა უზენაესი ფიქრი და აზრი.

ღვთისმოშიში[1] ისაა, ვინც უმალ დაკარგავს რწმენას, თუ მეფე ურწმუნოა.

22

ღვთისმოსავისთვის არსებობს ერთი ცოდვა — ხორციელი თავშეუკავებლობა; უფრო ზუსტად, — არაფერი შეეტყოს გარედან და არავინ გაიცხოს. ფერესიდზე თუ იტყვიან, ქალებს ზედაც აღარ უყურებსო, ხოლო ფერენისს ერთგულ ცოლად ჩათვლიან, მეტი არც არაფერი უნდათ. მიუშვით ითამაშონ დიდ თანხაზე, გააკოტრონ მევალეები, სხვისი უბედურებით ისარგებლონ და გაიხარონ, დიდებს ეთაყვანონ, პატარებს ზიზღით შეხედონ, საკუთარი ღირსებებით თავი მოიწონონ, შურით ჩამოხმნენ, იცრუონ, ვინმეს ცილი დასწამონ, ინტრიგების ქსელი გააბან, დაღუპონ ვინმე, ეს არის მათი ცხოვრების აზრი, თავი და ბოლო. ნუ შეუშლით ხელს, თორემ მოინდომებენ დაისაკუთრონ სახელი კეთილსინდისიერ ადამიანთა, რომელ-

[1] ყალბი ღვთისმოშიში

თათვისაც უცხოა არა მარტო ფარული მანკიერება, არამედ ზვაობაცა და უსამართლობაც.

23

თუკი სადმე შევხვდები მორიდებულ, თავმდაბალ და პატივმოყვარულ გრძნობებს მოკლებულ კარისკაცს, რომელიც მეტოქეების გაღატაკებით ხელს არ მოითბობს და არ გამდიდრდება, სამართლიანს, ხელქვეითთა სიკეთეზე მზრუნველს, ვალების გადამხდელს, მოძულეს თაღლითობისა და ავყიობისა, დამგმობს ღორმუცლობისა და სიძვისა, და თუ ეს კაცი ლოცულობს მაშინაც კი, როცა მეფე იქ არ ბრძანდება და მის ლოცვაში მარტოოდენ ბაგენი არ მონაწილეობენ, თუ იგი არ არის პირქუში, მიუკარებელი, ამპარტავანი და თითლიბაზურად სევდიანი, არ არის ზარმაცი და ფუქსავატი, ყურადღებიანია თავის მრავალრიცხოვანი და მეტად მნიშვნელოვანი სამსახურეობრივი მოვალეობისადმი, სურს და შეუძლია მთელი თავისი გონება და ძალა შესწიროს დიდსა და რთულ საქმეებს, განსაკუთრებით ისეთს, რაზედაც დამოკიდებულია ხალხისა და სახელმწიფოს კეთილდღეობა, მაშინ მე ვერ გავბედავდი გამემჟღავნებინა იმ უმწიკვლო კაცის სახელი იმის შიშით, რომ არ მეწყენინებინა მისთვის. და თუ არ დავასახელებდი, მოკრძალება მისი ხელს შეუშლიდა საკუთარი თავი ეცნო ჩემს აღწერილობაში. აი ამგვარ ადამიანზე კი ვიტყოდი: ჭეშმარიტად ღვთისმოსავია იგი, ანდა ეს კაცი ჩვენს საუკუნეს მოვლენია, ვითარც ნიმუში უებრო სათნოებისა, რათა ხალხმა შეიცნოს ორპირნი და თვალთმაქცნი.

24

ონუფრის საწოლზე რუხი სარჟა აქვს გადაფარებული, მაგრამ ბუმბულის ლეიბზე და ტილოს ზეწრებზე წევს. აცვია სადა, მაგრამ მოხერხებული ტანსაცმელი. ზაფხულში მსუბუქი, ზამთარში — თბილი. ამოსია მეტად ფაქიზი ქსოვილის პერანგები, რასაც გულმოდგინედ ფარავს ზედა ტანსაცმლით. მისგან ვერ გაიგონებ: „ჩემი ძაძა“, „ჩემი მათრახი ხორცის მოკვდინებისთვის“; არ უნდა ჩათვალონ იმად, რაც არის, — თვალთმაქცად, პირიქით, ჩათვალონ იმად, რაც არ არის, — ღვთისმოსავად. ერთი კია, ისეთნაირად უჭირავს თავი, უსიტყვოდაც ყველას აფიქრებინებს, თითქოსდა ატარებს ძაძას და მათრახითაც მოიკვდენს ხორცს. მის ოთახში ყველგან წიგნებია მი-

მოფანტული. გადაშალეთ, ხედავთ რა არის? „სულიერი ბრძოლა“, „ქრისტიანული სული“, „წმიდა წელიწადი“. სხვაგვარი წიგნები მაგრად აქვს ჩაკეტილი. ქუჩაში მიდის, ხედავს მისკენ მოემართება კაცი, ვისაც უეჭველად ღვთისმოსავად უნდა მოაჩვენოს თავი; მისთვის ეს ჩვეული ფანდია. არ უჭირს დახაროს თვალნი, ღრმად ჩაფიქრებული სახით გადაადგას ნელი და მორიდებული ნაბიჯები. შედის ეკლესიაში, მიიხედ-მოიხედავს და იმისდა მიხედვით, თუ ვინ იმყოფება იქ, ან მუხლს იყრის და ლოცულობს, ან აინუნშიც არ მოსდის, მუხლი მოიყაროს და ილოცოს. გვერდით თუ დაუდგა გავლენიანი და მაღალი ზნეობის კაცი, არათუ ლოცვას, ხმამაღლა ფიქრს, ოხვრა-კვნესასაც მოჰყვება. მაღალი ზნეობის კაცი თუ გასცილდება, ონუფრი მალულად თვალს გააყოლებს და რაკი აქ აღარ ეგულება, მყისვე დაშოშმინდება და კვნესას შეწყვეტს. აგერ, კიდევ ერთხელ შედის ღვთის სახლში. გაძვრება მლოცველთა შორის, ამოირჩევს ისეთ ადგილს, ყველამ რომ დაინახოს, რარიგ თავმდაბლად შეჰღაღადებს მაცხოვარს. თუ შემოესმა ხმამაღალი ლაპარაკი და სიცილი კარისკაცთა, რომლებიც ტაძარში უფრო მეტად ხმაურობენ, ვიდრე დიდებულთა მოსაცდელ დარბაზებში, მათ გასაჩუმებლად ისე დაიყვირებს, რომ კარისკაცთა ხმას დაფარავს და ისევ იძირება ღრმა ფიქრებში; ამ ბატონებს თავის თავს ადარებს და შედარება მის სასარგებლოდ მთავრდება. ფეხს არ შეადგამს გამოცარიელებულ ეკლესიაში, სადაც შეიძლება ერთმანეთის მიყოლებით მოისმინოს ორი წირვა, ქადაგება და მწუხრის ლოცვა, მარტოდმარტო იდგეს ღმერთის პირისპირ და არვინ უშლიდეს ხელს. უყვარს მრავალრიცხოვან მრევლში გამოჩენა, უყვარს ტაძრები, სადაც ზღვა ხალხი ირევა და სადაც შემთხვევას არ გააცდენს, — ყველა დაინახავს. წელიწადში ორ-სამ დღეს, სრულიად უმიზეზოდ, მარხვას ინახავს. მაგრამ ზამთრის დამლევს აუტყდება ხველა, უჩივის ფილტვებს, სისუსტეს, სიცხიანობას. ატყდება ერთი ხვეწნა-მუდარა, ვედრება და შეგონება, რათა დასაწყისშივე შეწყვიტოს მარხვა. სხვათა საამებლად ონუფრი ძლივძლივობით თანხმდება. ოჯახში განხეთქილებაა, ონუფრი შუამავალია. იგი ძლიერის მხარეზეა. უნდა მეთქვა, შეძლებულის მხარეზეა-მეთქი. აზრადაც არ მოუვა, დიდი ავლა-დიდების შფლობელი ბატონი ან ქალბატონი თუ შესაძლებელია ოდესმე ცდეზოდეს. თუკი მოახერხა და თავი მოაწონა, შეუძვრა და ტკიპასავით

მიეკრა მდიდარ კაცს, ვისგანაც დიდ შემწეობას მოელის, მისი ცოლის შეცდენას არ მოიწადინებს, ის კი არა, არც გაეარშიყება და არც სიყვარულს აუხსნის, თუ ქალის ისევე არ სწამს, როგორც საკუთარი თავის, გაექცევა, თავის მოსასხამს ხელში შეატოვებს. არცთუ ღვთისმოსაობით მოინდომებს მისი გულის მოგებას, რადგან ჩვეულად კი არა აქვს ღმერთზე და რწმენაზე საუბარი, არამედ წინასწარ განზრახვით იშველიებს ამ იარაღს, როცა სჭირდება და როცა დარწმუნებულია, ამგვარი ხრიკები სასაცილო მდგომარეობაში არ ჩააყენებს. მან იცის სად გამოძებნოს მეგობრის ცოლზე უფრო თანამგრძნობი და დამყოლი ქალები. მათთან კარგ ხანსაც რჩება და ხალხს აფიქრებინებს, ვითომცდა ლოცვასა და მარხულობაში განდგომოდეს წუთისოფლის ამაოებას. აბა ვის შეეპარება მის სიწმიდეში ეჭვი, როცა საზოგადოებას კვლავ მოევლინება მიტეტკილი და ფერმიხდილი, ვითარც შეჰფერის თავდაუზოგავ ადამიანს. იგი არც ღვთისმოსაობის ჩრდილქვეშ აყვავებულსა და გაფურჩქნილ ქალბატონებს იწუნებს; ერთი კია, ბებრუცუნებზე გული არ მისდის. ყმაწვილქალებში კი ირჩევს უფრო ლამაზებსა და კარგად მოყვანილებს, — ეს თვისებები იზიდავს ფრიად. ქალები შორდებიან, ონუფრიც შორდება, ბრუნდებიან, ისიც ბრუნდება, რჩებიან, რჩება. ყველგან და ყოველთვის ტკბება მათი ხილვითა და შეხვედრით. განა ჭკუის სასწავლებელი არ არის? ისინიც ღვთისმოსავნი ბრძანდებიან და თვითონაც ღვთისმოსავია. ონუფრი შემთხვევას ხელიდან როგორ გაუშვებს და არ ისარგებლებს მეგობრის ბრმა ნდობით; ხან ფულს ესესხება, ხან ისე მოისაწყლებს თავს, რომ მეგობარი თავად შესთავაზებს და უსაყვედურებს კიდეც, დახმარებისთვის ახლობლებს რატომ არ მიმართავო. ზოგჯერ ორიოდ გროშს ისე არ ისესხებს, თუ ხელწერილი არ მისცა და ღრმად დარწმუნებულია ვალს არავინ გამოართმევს. ხანდახან საწყალობლად წარმოთქვამს, არაფერი მაკლიაო, რაიც მიანიშნებს, — მხოლოდ პატარა თანხა სჭირდება. სხვა დროს საქვეყნოდ შეასხამს ხოტბას მეგობრის გულუხვობას, რათა პატივმოყვარული გრძნობები აუშალოს და უხვი საჩუქარი მიაცემინოს. სულაც არ ფიქრობს მის მთელს მემკვიდრეობას დაეპატრონოს, ანდა მთელი მისი ავლა-დიდება ძღვნად მიიღოს, თუკი ამისთვის საჭირო გახდება დავა აუტეხოს მის ვაჟს, კანონიერ მემკვიდრეს. ღვთისმოსავი არ შეიძლება იყოს ძუნწი, უსინდისო,

უსამართლო და ანგარებიანი. ონუფრი ღვთისმოსავი არ გახლავთ, მაგრამ სურს ხალხი ასეთად მიიჩნევდეს, რათა მორწმუნე კაცის როლის სრულყოფილი შესრულებით ფარულად მოიკვარახჭინოს თავისი კეთილდღეობა. აკი ამიტომაც განზე დგება და სათოფედ არ ეკარება ისეთ ოჯახს, სადაც ქალიშვილიც გასათხოვარია და ვაჟიც ადგილზეა მოსაწყობი. შვილთა უფლებები წმიდათაწმიდაა და ხელშეუხები. მათ ისე ვერ შელახავ, თუ ერთი ვაი-უშველებელი არ ატყდა. ონუფრის კი სულაც არ ნებავს ეს, ვინაიდან არ არის გამორიცხული, ამ მითქმა-მოთქმამ მეფის ყურამდე არ მიაღწიოს და არ გამქღავნდეს მისი ხრიკები. მაშინ კი ნიღაბი ჩამოეხსნება და გამოჩნდება ონუფრის ჭეშმარიტი სახე. ამიტომაც შორეულ ნათესავებისკენ იღებს გეზს, რამეთუ მათ წინააღმდეგ ბრძოლა დიდად საეჭვოდ არ მიაჩნია. მძვინვარე მტერია ბიძაშვილების, ძმისწულ-დისწულების და ერთგული მეგობარი და თაყვანისმცემელი მდიდარი ძიების. თავისი თავი კანონიერი მემკვიდრე ჰგონია ყველა მდიდარი და უშვილო ბერიკაციისა, რომელსაც თუ სურს ნათესავებს დარჩეთ მისი ქონება, ჯერ ონუფრის უნდა დააყრევინოს ფარ-ხმალი. ბოლოს და ბოლოს, მთელ მემკვიდრეობას რომც ვერ დაეპატრონოს, ონუფრის მოზრდილი ნაწილი მაინც განაღდებული აქვს. ამ ფრიად ღირსეული მიზნების მისაღწევად საკმარისია პაწაწინა ცილისწამება, უფრო ნაკლებიც, ოდნავი კბილის გაკვრაც კი, ხოლო ამ ხელოვნების უბადლო ოსტატი გახლავთ ონუფრი. ასეთი ნიჭის მიჩქმალვას სულაც არ აპირებს, პირიქით, სიქველედაც კი მიაჩნია და აცხადებს, თუ სინდის-ნამუსი გაქვს, ზოგიერთი კაცი სააშკარაოზე უნდა გამოიყვანოო. ამგვარ ადამიანებად იგი თვლის იმათ, ვინც არ უყვარს, ვისი დაღუპვაც უნდა და ვისი გაძარცვაც გადაუწყვეტია. მიზანს ხშირად ისე აღწევს, რომ კრინტსაც არა ძრავს. სიტყვა თუ ჩამოვარდა ევდოქსზე, გაიღიმებს, ან ამოიოხრებს. ჩააცივდებიან, ჰკითხავენ, პასუხს არ იძლევა. კარგადაც იქცევა; უკვე საკმაოდ თქვა.

25

რატომ არ იცინით, ზელი, რატომ უღალატეთ ჩვეულებას და აღარ ტიკტიკებთ, აღარც ხუმრობთ. სად გაქრა თქვენი გიჟმაჟობა? „გავმდიდრდიო, — მეუბნებით, — როგორც იყო გავშალე ფრთები

და შვებით ამოვისუნთქეო.“ მაშ უფრო ხმამაღლა გაიცინეთ, ზელი, იკისკისეთ, ვის რად უნდა დიდი სიმდიდრე თუ მას მოწყენილობა და სევდა მოჰყვება? მიბაძეთ დიდებულებს, ისინი ხომ ფუფუნებაში დაიბადნენ და მაინც იცინიან ხანდახან, თუკი სიცილი უყვართ. თქვენც ხომ გიყვართ. ნუ ათქმევინებთ თქვენზე, კარგად მოეწყო, რამდენიმე ათასი ლივრი წლიური შემოსავალი იშოვა და ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავარდაო. — ერთი ადამიანის მფარველობით გავბედნიერდიო, ამბობთ. ასეც ვფიქრობდი, ზელი, მაგრამ დამიჯერეთ, გაიცინეთ ისევ და როცა შემხვდებით, ძველებურად გამიღიმეთ. ნუ შეშინდებით, არაფერს გაკადრებთ, არ მოგეტმასნებით, ცუდს არაფერს გავივლებ გულში არც თქვენზე და არც თქვენს მდგომარეობაზე. ვირწმუნებ, რომ ხართ მდიდარი და გავლენიანი. ღვთისმოსავი ვარო, დასძენთ. კმარა, ზელი, ან კი აქამდე როგორ არ გამახსენდა და ვერ შევხვდი, რომ სპეტაკი პატიოსნების მიერ ნაბოძები სიმშვიდისა და ნეტარებისთვის უჯობნია სევდასა და სიმკაცრეს და თქვენს სახეზე აღბეჭდილა. ახლა ეს დასაშვებად ითვლება და აღარავის უკვირს, რომ ღვთისმოსაობას უფრო მეტად შესწევს უნარი ქალს შემატოს ქედმაღლობა და ამპარტავნობა, ვიდრე სილამაზესა და სიყმაწვილეს.

26

ჩვენს საუკუნეში ხელოვნება და მეცნიერება ძალიან წინ წავიდა და დაიხვეწა. სულის გაწმენდისათვისაც კი ჩამოვაყალიბეთ წესები და მეთოდები და იგი დავამშვენეთ ყოველივე წარმტაცითა და ამაღლებულით, რაც ადამიანის გონებას შეუქმნია ოდესმე. გეომეტრიის მსგავსად ღვთისმოსაობას თავისი ენა, ასე ვთქვათ, თავისი მეცნიერული ტერმინები აქვს. და თუ კაცმა ეს ტერმინები არ იცის, ვერც ღვთისმოსავი იქნება და ვერც გეომეტროსი. მოციქულთა მონათლულმა პირველმა ღვთისმოსავებმა არ იცოდნენ ეს ტერმინები. საბრალონი, მათი ცხოვრების ერთადერთი აზრი იყო რწმენა და შრომა და შეეძლოთ მარტოოდენ ელოცათ და პატიოსნად ეცხოვრათ.

27

ღვთის მორწმუნე მეფისთვის ძნელია სამეფო კარი გარდაქმნას და ღვთის რწმენა გააბატონოს. მას კარგად მოეხსენება, რომ კარისკაცები არაფერს დაიშურებენ, ოღონდ თავი მოიწონონ და წინ წაიწიონ. მეფე ფრთხილად იქცევა, ფარულად, მოთმინებით, რადგან ეშინია, სამეფო კარი ფარისევლურ მორწმუნეობასა და მკრეხელურ თვალთმაქცობაში არ ჩაეფლოს. საკუთარ მონდომებასა და მოხერხებულებაზე ისე არ ამყარებს იმედს, როგორც უფალზე და დროზე.

28

სამეფო კარზე ოდითგან სჩვევიათ პენსიები და საჩუქრები გასცენ მუსიკოსებისთვის, ცეკვის მასწავლებლებისთვის, ფლეიტის დამკვრელებისთვის, ქლესებისთვისა და მაამებლებისთვის. ესენი თვალსაჩინო ღირსებებითა და უდავო ნიჭით არიან დაჯილდოებულნი; ართობენ დიდებულებს და სიდიადის მძიმე ტვირთს უმსუბუქებენ.

ვინ არ უწყის, რომ ფავიე შესანიშნავი მოცეკვავეა, ხოლო ლორენცანი მშვენიერ მოტეტებს თხზავს, მაგრამ ვინ იცის ღვთისმოსავს თუ გააჩნია სათნოება? მისთვის არაფერი მოიძებნება არც მეფის პირად სალაროში და არც სახელმწიფო ხაზინაში, ფრიად სამართლიანადაც. ადვილად წასაბაძი ხელობაა და თუ ჯილდოები წაახალისებს, მეფე იძულებული გახდება საპატიოდ აღიაროს თვალთმაქცობა, თაღლითობა და პენსიები დაურიგოს პირმოთნეებს.

29

იმედი იქონიეთ, სამეფო კარზე გამეფებული ღვთისმოსაობა მალე სატახტო ქალაქსაც მოედება.

30

ეჭვიც არ მეპარება, რომ ჭეშმარიტი ღვთისმორწმუნეობა წყაროა სულიერი სიმშვიდისა. იგი გვეხმარება მოთმინებით შევეგუოთ

სიცოცხლეს და სიკვდილსაც თვინიერად შევხვდეთ, რასაც ვერ ვიტყვით ფარისევლურ ღვთისმოსაობაზე.

31

ყოველი საათი, თავისთავადაც და ჩვენს მიმართაც, განუმეორებელია. წავა და სამარადისოდ დაიკარგება, მილიონი წელიც ვეღარ დააბრუნებს; განვლიან თვენი, წლები და უკუნითი უკუნისამდე ჩაიძირება ჟამთა სვლის უძირო უფსკრულში. და თვით ჟამნიც უკვალოდ წარიშლებიან. დრო პაწაწინა წერტილია მარადისობის თვალუწვდენელ სივრცეში ჩაკარგული და გამქრალი. იგი წარმოშობს უსუსურ, უდღეურ მოვლენებს, რაიც არც მყარია და არც უცვლელი და რასაც მე ვუწოდებ მოდას, ძლიერებას, მფარველობას, სიმდიდრეს, ძალაუფლებას, დამოუკიდებლობას, სიამტკბილობას, სიხარულს, ფუფუნებას. რა ეშველება მოდას, როს თვით დრო აღიგვება? მხოლოდ და მხოლოდ სათნოება, ესოდენ ჩამორჩენილი მოდას, გაუძლებს დროთა სრბოლას და მასზე დიდხანს იცოცხლებს.

თავი მეთოთხმეტე

ზოგიერთ ჩვეულებათა შესახებ

1

ყველას არ შეუძლია აზნაურობა შეიძინოს. ზოგს რომ მოეხერხებინა, მევალეს ნახევარი წლით მაინც გაეგრძელებინა მისთვის ვადა, აზნაური გახდებოდა.

ერთნი იძინებენ მდაბიონი და იღვიძებენ აზნაურნი.[1]

რამდენ ჩვენს აზნაურს მამა და უფროსი ძმები დაბალი წარმოშობისა ჰყავს.

---

[1] ვეტერანები.

2

ზოგი არ ცნობს საკუთარ მამას, თუ იგი მედუქნე ან სასამართლოს მოხელეა. სამაგიეროდ თავს იწონებს პაპით, დიდი ხნის წინათ რომ გარდაიცვალა; იგი ყველასთვის უცნობია და ვერაფერს შემოედავებიან. ასევე ამაყობს ცოლის ნათესავთა დიდი შემოსავლით, მაღალი თანამდებობით. ამრიგად, თავისი მაღალი წარმოშობა რომ დაამტკიცოს, სხვა არა აკლია რა, ტიტულის გარდა.

3

სიტყვა „რეაბილიტაცია“ ისე გავრცელდა სასამართლოში, რომ ოდესღაც აგრე რიგად მიღებული ფრანგული გამოთქმა „აზნაურის სიგელის ბოძება“ უკვე მოძველებული და დახავსებული გვეჩვენება. რეაბილიტაცია ნიშნავს, რომ გამდიდრებული კაცი დასაბამიდან აზნაურია და ეკალება კიდეც იყოს მაღალი წარმოშობის. სინამდვილეში მამამისი ისე დამდაბლებულა, რომ გუთანს გაჰყოლია, ან თოხი დაუჭერია ხელში, ან ტვირთი უზიდავს, ან ლივრეა ჩაუცვამს. თვითონ კი უნდა აღიდგინოს წინაპართა უფლებები, დაიბრუნოს საგვარეულო გერბი, ის კი არა, კალის ჭურჭელზე რომ აქვს ამოტვიფრული, არამედ ის, თავად რომ გამოიგონა. ერთი სიტყვით, აზნაურის სიგელის ბოძება რა საკადრისია მისთვის, იგი მხოლოდ შეეფერება უბირ კაცს, რომელიც ჯერ კიდევ ეძიებს გამდიდრების საიდუმლოს.

4

გლეხი, რომელიც იფიცება, სასწაული ვნახეო, ბოლოს და ბოლოს მართლაც იჯერებს, თითქოს იხილა იგი. ვინც თავის ასაკს მალავს, რწმუნდება და სხვასაც არწმუნებს, ვითომცდა ახალგაზრდაა. ასევე, უბირი კაცი, ვისაც აუჩემებია, რომელიღაც წინაპარი ბარონი მყავდა, ან ციხე-კოშკის მფლობელი იყო და მეც მისი შთამომავალი გახლავართო, სამუდამოდ იმსჭვალება ამ საამური რწმენით.

5

სად ნახავთ ცოტაოდნავ ბედიღბლიან და შეძლებულ უბირს, ვისაც არ ამშვენებდეს გერბი, თავისი საპატიო აღჭურვილობით; ფარის დასამაგრებლებით, მუზარადის ბიბილოთი, დევიზითა და შესაძლებელია საომარი ყიჟინითაც. სად გაქრა განსხვავება ჩაჩქანსა და მუზარადს შორის? ანდა რა განსხვავება უნდა არსებობდეს, როცა აღარც იხურავენ მათ და სახელწოდებაც გაუქმებულია. ვინღა უწყის, სად უნდა გამოსახოს ისინი, გერბის შუაში თუ ნაპირზე, ღია უნდა იყოს, თუ დახურული, რამდენი ზოლი ეკუთვნის მათ ბადეს? წვრილმანებს ვიღა დაგიდევს, პირდაპირ გვირგვინისკენ ილტვიან, რაკი ეს უფრო იოლია, თანაც ღირსად თვლიან თავს და იღებენ კიდეც. მადლობა ღმერთს, კიდევ დარჩენილან ბურჟუები, რომელთაც სირცხვილ-ნამუსი ნებას არ აძლევს მარკიზის გვირგვინს წაეპოტინონ და კონტის ტიტულითაც იოლად გადიან. ზოგი მათგანი შორს აღარ მიდის და გერბი თავისი აბრიდან პირდაპირ ეტლზე გადააქვს.

6

თუ ქალაქში არ დაბადებულხართ და ქვეყანას მოვლენიხართ სოფლის ერთ ქოხში, ან ჭაობში ჩაკარგულ ნანგრევებში და ვას კოშკს უწოდებთ, სიტყვაზეც დაგიჯერებენ, კეთილშობილი წარმოშობის რომ ბრძანდებით.

7

დიდი აზნაური ცდილობს პატარა სენიორად ჩათვალონ და საწადელს ისრულებს. წარჩინებული სენიორი პრინცის ტიტულისთვის იბრძვის; იმდენ ხრიკს მიმართავს, იმდენ მაღალი მდგომარეობის პირს იშველიებს, იმდენ აყალმაყალს ტეხს თავისი უფლებებისა და ადგილუფროსობის თაობაზე, იმდენს კამათობს ახალ გერბზე და გენეალოგიაზე, რაიც ოზიეს არ შეუქმნია მისთვის, რომ საბოლოოდ ხდება უგვანო პრინცი.

8

დიდებულები ტყავში ძვრებიან, ისე ცდილობენ წაბაძონ და გა-

უტოლდნენ უფრო მაღალ დიდებულებს; ეს უკანასკნელნი, ოღონდ არ გაუამხანაგდნენ დაბლა მდგომთ, სიამოვნებით უარყოფენ ყოველგვარ პატივს და წარჩინებას, მძიმე უღლად რომ აწევთ კისერზე და არჩევენ უფრო თავისუფალსა და ლაღ ცხოვრებას. და ისინი, ვინც მათ ნაფეხურებს მისდევენ, უმალ ითვისებენ ამ უბრალოებასა და თავმდაბლობას. ასე თუ გაგრძელდა, ზვაობით შეპყრობილნი ბოლოს ისევე სადად და მარტივად დაიწყებენ ცხოვრებას, როგორც უბრალო ხალხი ცხოვრობს. ეს ხომ დაუშვებელია!

9

ზოგი სამ გვარს ატარებს, რადგან ერთი ეცოტავება. ერთი გვარი სოფლისთვისაა განკუთვნილი, მეორე — ქალაქისთვის, მესამე — სამსახურის ადგილისთვის და თანამდებობისთვის. ზოგიერთს უბრალო, ორმარცვლიანი გვარი აქვს და როგორც კი წელს მოიმაგრებს, რაიმე ნაწილაკით აკეთილშობილებს. ზოგი ერთ მარცვალს აკლებს და მისი ჩვეულებრივი გვარი სახელოვან გვარად გადაიქცევა; მავანი მხოლოდ ერთ ასოს ცვლის და სირიუსი კირიუსად გარდაიქმნება. ბევრი უარყოფს არცთუ სამარცხვინო გვარს და იღებს უფრო სახელგანთქმულ გვარს და აგებს, რადგან ამის შემდეგ მას ადარებენ ამავე გვარის დიდებულ ადამიანებს. დაბოლოს, ისეთებიც მოიძებნებიან, რომელნიც პარიზის სამრეკლოების ძირში დაბადებულან და უნებებიათ იყვნენ ფლამანდიელნი ან იტალიელები, თითქოსდა უბირი კაცი ყველა ქვეყანაში უბირი არ იყოს. ფრანგულ გვარს უცხოურ დაბოლოებას აძლევენ და ჰგონიათ კეთილი წარმოშობა მხოლოდ შორეულ ქვეყნიდან მოდის.

10

უფულობამ თავადაზნაურობა ბურჟუაზიას შეარიგა და წაართვა ურყევი საბუთი იმისა, რომ სახელოვანი გვარის მეოთხე თაობას მიეკუთვნება.

11

რამდენ ბავშვს გააბედნიერებდა ისეთი კანონი, რის მიხედვითაც აზნაურობა მხოლოდ დედის კეთილშობილ წარმოშობაზე იქნებოდა დამოკიდებული. მაგრამ რამდენს გააუბედურებდა!

12

ბევრ ისეთ ოჯახს ვერ შეხვდებით, რომელიც არ ენათესავება დიდ თავადებსაც და დაბალი წარმოშობის ადამიანებსაც.

13

მაღალი წარმოშობა არცთუ ცუდია: რა შეღავათი არ გინდა, რა პრივილეგია, რა თავისუფლება! აბა რა აკლია ტიტულიან კაცს? იქნება ფიქრობთ, აზნაურობის უფლება იმიტომ მოიპოვეს განდეგილებმა[1], რომ გააზნაურებულიყვნენ? მათ ამაოებათა ამაოება როდი იტაცებს. ამ გზით დიდი შემოსავალი მიიღეს და უფრო მეტი სარფა ხვდათ, ვიდრე მარილის ბაჟის შეძენით მიიღებდნენ. მე ვგულისხმობ არა ცალკეულ წევრს, მათი აღთქმა ეწინააღმდეგება ამგვარ მოსაზრებებს, არამედ მთელ ორდენს.

14

ერთი რამ საქვეყნოდ უნდა განვაცხადო, რათა ყველა წინასწარ შევამზადო და არვის გაუკვირდეს ერთ მშვენიერ დღეს: თეოდესმე რომელიმე დიდებული თავის ყურადღების ღირსს მყოფს და ბოლოს და ბოლოს მიბოძებს მაღალ თანამდებობას, შეგახსენებთ, იყო ერთი ჟოფრუა დე ლა ბრუიერი, ვისზედაც საფრანგეთის ყველა მატიანე ერთხმად ღაღადებს, რომ იგი ყველაზე გამოჩენილ სენიორთა შორის იმყოფებოდა, როცა ისინი გოდფრუა დე ბუიონს გაჰყვნენ წმიდა მიწის დასაპყრობად: მე მისი პირდაპირი შთამომავალი გახლავართ.

---

[1] მონასტერი, რომელმაც იყიდა მეფის მდივნის თანამდებობა.

15

კეთილშობილი წარმოშობა თუ სათნოებად ითვლება, მას ბილწავს ყველა, ვინც არ არის სათნო. და თუ იგი სათნოება არ არის, დიდი ვერაფერი შვილი ყოფილა.

16

ზოგიერთ მოვლენას ისეთი პრინციპები უდევს საფუძვლად, რომ თვით მოვლენები საოცარი და გაუგებარი ხდება. და მართლაც, ვის შეუძლია წარმოიდგინოს, რომ ესა თუ ის აბატი, რომელიც ისეა მორთულ-მოკაზმული, განაზებული, ისეთი პატივმოყვარული მისწრაფებითაა გამსჭვალული, რომ ტოლს არ უდებს ორივე სქესის წარმომადგენლებს; აბატი, რომელიც შეჰფოფინებს ბანოვანთ და მეტოქეობას უწევს და კიდეც ამარცხებს მარკიზებსა და ფინანსისტებს, დიახ, ვინ წარმოიდგენს, რომ თავისი ჩინითა და თვით სახელწოდების „აბატის“ ეტიმოლოგიით იგი უნდა იყოს მამა და მწყემსი წმიდა ბერებისა და თავმდაბალი განდეგილების მისაბაძი მაგალითი? რაოდენ უფლებამოსილია და დამთრგუნველი ჩვეულებათა ძალა! აღარაფერს ვიტყვი სხვა უფრო დიდ უწესრიგობაზე, მხოლოდ დავსძენ, ნუთუ არ ეშინიათ. ერთ მშვენიერ დღეს რომ მოევლინოთ ვინმე ყრმა აბატი, ვისაც ან მისი უწმიდესობის ყაიდაზე ეცმება ტანთ ნაცრისფერი, მოქარგული ხავერდის სამოსი, ანდა პირისახე ექნება დაწინწკლული ხალებით და შეთითხნილი ფერუმარილით, ვითარცა შეეფერება ქალებს

17

პალაცო ფარნეზე .გახლავთ საბუთი იმისა, რომ ღმერთების მრუშობას, ვენერებს, განიმედებსა და ყოველგვარ სიშიშვლეს კარაჯო ხატავდა ეკლესიის იმ უფალთა დაკვეთით, რომელნიც თავიანთ თავს წინასწარმეტყველთა მემკვიდრეებად თვლიან.

18

თვით მშვენიერი საგნებიც კი ნაკლებ მშვენიერია, თუ უადგილო ადგილასაა ჩართული. წესრიგის საფუძველია გონიერება, სრულყოფილების საფუძველი კი წესრიგია. არ ხამს ჟიგის შესრულება ტაძარში, არ მართებს ქადაგება თეატრალური ტონით. არც საერო[1] ნახატებით უნდა იყოს შემკული ეკლესია და არც გვერდიგვერდ უნდა იმყოფებოდეს ხატი მაცხოვრისა და „პარისის არჩევანი". არც ეკლესიის მამათ ეგების ისეთი ეკიპაჟი და ამალა, რაიც მარტოოდენ დიდგვაროვან კავალერს შეეფერება.

19

ბოლოს და ბოლოს განვაცხადო საქვეყნოდ, თუ რას ვფიქრობ იმაზე, რასაც მაღალ წრეებში მშვენიერ მწუხრს უწოდებენ? ღვთის ტაძარი ხშირად საერო ნახატებითაა მორთული, ადგილები ფასიანია და წინასწარ გაყიდული, წიგნებსაც ისე არიგებენ, თითქოს თეატრში ვიმყოფებოდეთ. აქ ინიშნება პაემნები და საქმიანი შეხვედრები, ისმის გამაყრუებელი ზუზუნი და მასლაათი; ვიღაც ადის კათედრაზე და ქადაგებს მშრალად, გულგრილად, მხოლოდ იმისთვის, რომ უფრო მეტ ხალხს მოუყაროს თავი და დააკავოს, სანამ ორკესტრი დაუკრავდეს. ოჰ, ამას რას ვამბობ, ორკესტრი კი არა, სანამ არ დასჭექს გუნდი, რომელიც დიდი ხანია ვარჯიშობს ხმის შესაწყობად. განა საკადრისია განვაცხადო, რომ ღვთის სახლზე ზრუნვა მოსვენებას არ მაძლევს და მიბიძგებს ფარდა ჩამოვაფარო წმიდა საიდუმლოებას, რაიც მოწმე ხდება ამგვარი ბიწიერებისა. რაო! აქაოდა თ...ტ...თან არ ცეკვავენ, მაიძულებენ ამ სანახაობას წირვა-ლოცვა ვუწოდო?

20

ჯერ არ მინახავს ვინმეს აღთქმა დაედოს, ან მლოცველად წასულიყოს და წმიდანისთვის ეთხოვოს უფრო თვინიერი გო-

[1] გობელენი.

ნება, უფრო მადლიერი სული, უფრო სამართლიანი და ნაკლებ გაბოროტებული ცხოვრება, ან განკურნება პატივმოყვარეობისგან, ფუსფუსისა და ავყიობისგან.

21

რა ახირებული სანახაობაა, როცა ქრისტიანთა ორივე სქესის ბრბო ერთსა და იმავე დღეს ერთ დარბაზში იყრის თავს, რათა ტაში დაუკრას ადამიანებს, რომლებიც ეკლესიიდან მოკვეთეს მხოლოდ იმისთვის, რომ მაყურებელს წინასწარ ფასგადახდილი სიამოვნება განაცდევინოს. მე მგონი, საჭიროა, ან დავკეტოთ თეატრები, ანდა ნაკლებ მკაცრად განვსაჯოთ კომედიანტის ხელობა.

22

ეგრეთ წოდებულ წმიდა დღეებში ბერი აღსარებას იღებს. ამავე დროს მღვდელი კათედრიდან აფრქვევს მრისხანე სიტყვებს ბერისა და მისი მიმდევრების საწინააღმდეგოდ. ღვთისმოსავი ქალი სააღსარებოდან გამოდის და ესმის, მქადაგებელი ბერს მკრეხელობაში სდებს ბრალს. ნუთუ ეკლესიის უფალთა შორის არავინაა ისეთი, რომ შეძლოს ხმა გააკმენდინოს პასტორს ან ერთხანს აკრძალოს ბარნაბიტელთა მოღვაწეობა?

23

მრევლი უფრო მეტს იხდის ჯვარისწერაზე, ვიდრე ნათლობაზე. ხოლო ნათლობა უფრო ძვირია, ვიდრე აღსარება. იტყვი, ეს არისო წმიდა საიდუმლოებათა გადასახადი, რაიც თითქოსდა განსაზღვრავს მათ შესაბამის ღირებულებას. ამ ჩვეულებაში დასაძრახი არაფერია. ის, ვინც იღებს ან იხდის გადასახადს წმიდა საიდუმლოებისთვის, არ ფიქრობს, რომ ყიდის ან ყიდულობს მას. მაგრამ ჯობდა ამის მოწმედ არ გაგვეხადა გონებაშეზღუდული და ურწმუნო ხალხი.

24

ლოყებღაჟღაჟა და გათქვირებულ მოძღვარს ვენეციური მაქ-

მანით გაწყობილი ფაქიზი თეთრეული აცვია. დაბრძანდება ძოწსა და სიასამურის ბეწვში გახვეულ პიროვნებათა გვერდით. იმ დროს, როცა იგი საჭმლის მონელებას ამთავრებს, ფეიანელი ან რეკოლეტი ტოვებს თავის საკანსა და უდაბნოს, სადაც საკუთარი აღთქმისა და სინდისის კარნახით ცხოვრობს, მოდის რათა იქადაგოს ამ მოძღვრისა და მისი სამწყსოს წინაშე და მიიღოს ფული, თითქოს ქსოვილის თოფსა ყიდდეს. თქვენ სიტყვა გამაწყვეტინეთ და მომმართეთ: „რა ახალი და მოულოდნელი სისასტიკეა! ხომ არ გინებებიათ ამ მოძღვარს და მის სამწყსოს აუკრძალოთ მოისმინოს სიტყვა უფლისა და მიიღოს საკვები სულისა!“ სულაც არა, მე მინდა, თავად გასცემდეს მას დილას და საღამოს, ტაძრებსა და სახლებში, მოედნებზე, სახურავებზე. მე მინდა, ამ დიადსა და დამქანცავ შრომას ხელს ჰკიდებდეს ამ საქმისთვის მოწოდებული ნიჭიერი და მაგარი ფილტვების მქონე ადამიანი, ვინც იქნებოდა ღირსი უხვი შემოწირულებისა და ძვირფასი ძღვენის. ამის გამო ბრალს ვერ დავდებთ მღვდელს, რამეთუ ასეთი წეს-ჩვეულება მიიღო წინამორბედისგან და იმასვე დაუტოვებს შემცვლელს. ამ ახირებულსა და უაზრო წეს-ჩვეულებებს ვკიცხავ ისევე, როგორც არანაკლებ მიუღებელ წესს, რის მიხედვითაც ერთი მიცვალებულის გასაპატიოსნებლად მღვდელი იღებს ოთხმაგ საფასურს: თავისი პიროვნებისათვის, წოდებისათვის, დასწრებისათვის და დახმარებისათვის.

25

ოცი წელია ტიტი ვერ დაწინაურდა, თუმცა არაერთხელ გათავისუფლდა ადგილი. ვერ უშველა ვერც ნიჭმა, ვერც მრწამსმა, ვერც სანიმუშო ცხოვრებამ და ვერც მრევლის კეთილგანწყობილებამ. თითქოს მიწიდან ამოძვრაო, გამოტყვრება ვიღაც და იმას ნიშნავენ. ტიტს ისევ გვერდი აუარეს, არაფრად ჩააგდეს. არ ჩივის, ასეთი გახლავთ წესჩვეულებანი.

26

მეო, ამბობს მნათე, გუნდს ვუძღვები და ვინ მაიძულებს ცისკრის ლოცვაზე ვიაროო? ჩემი წინამორბედიც არ დადიოდა, მე რა

იმაზე ნაკლები ვარ? რატომ უნდა დავამდაბლო ჩემი თანამდებობა და ისეთივე არ დავტოვო, როგორიც მივიღე? „ჩემთვის კი არ ვიღვწი, — აცხადებს სქოლასტიკოსი, — ეკლესიის კეთილდღეობაზე ვზრუნავ. აბა რა წესია, მთავარი კანონიკი ემორჩილებოდეს საეკლესიო კრებულს, ხოლო ხაზინადარი, მთავარდიაკვანი, აღმსარებელი და უფროსი ვიკარი თავისუფლად გრძნობდნენ თავს". „სრული უფლება მაქვს, — წარმოთქვამს ორდენის გენერალი, — მოვითხოვო გასამრჯელო, გინდაც არ ვესწრებოდე ცისკრის წირვას. აგერ მთელი ოცი წელია, რაც უფლება მოვიპოვე, ძილი არ გავიტეხო და მინდა დავამთავრო ისე, როგორც დავიწყე. ჩემს ტიტულს ხომ ვერ ვუღალატებ. აბა რა, განა ტყუილად ვუდგავარ სათავეში კაპიტულს? მხოლოდ ნურვინ შომბაძავს, ჩემი მაგალითი არავის გამოადგება". ასე და ამრიგად, ერთმანეთს უმტკიცებენ, რომ ვალდებულნი არ არიან მამაზეციერს დიდება შეასხან და ამის უფლებას აძლევთ დიდი ხნის განმავლობაში დამკვიდრებული წესები. არის ერთი გაწამაწია, ღელვა და შფოთვა, თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვინ უფრო მეტჯერ გააცდენს წირვას და ლოცვას. ღამის სიჩუმეში გაისმის ზარების რეკვა და მისი მელოდიური ჟღერა აღვიძებს მედავითნეებს, გუნდში მგალობელ ბავშვებს და ნანასავით ჩაესმით კანონიკებს, რომლებიც იძირებიან მშვიდსა და ტკბილ ძილში, ხედავენ საამურ სიზმრებს. გვიან დგებიან, მიდიან ეკლესიაში, რათა ნეტარი ძილისთვის მიიღონ გასამრჯელო.

27

განა დავიჯერებდით, საკუთარი თვალით რომ არ გვენახა, რარიგ უჭირთ ადამიანებს სძლიონ თავს და საუკუნო ნეტარებაზე იზრუნონ. მათ დასახმარებლად მზად არიან განსაკუთრებულ სამოსში გახვეული კაცნი, რომლებიც ოფლსა ღვრიან და ქანცს იცლიან, ოღონდ წინასწარშესწავლილი, მეტად გულისამაჩუყებელი და მაღალფარდოვანი სიტყვებით, ხმის სხვადასხვა ჟღერადობით, ცრემლთა ღვრით, ხელების ქნევით, ათასგვარი მოძრაობითა და ვაივაგლახით დაითანხმონ განუკურნებელი სენით დაავადებული ქრისტიანი იხსნას სული, მიიღოს განტევება ცოდვებისა და დაიმკვიდროს საუკუნო სასუფეველი თვისი.

28

არისტიპის ასული მძიმედჭა აკად. იბარებს მამას, რათა სიკვდილის წინ შეურიგდეს და მიიღოს მისგან მიტევება. როგორ მოიქცევა ეს ბრძენი კაცი, ვისაც რჩევას ეკითხება მთელი ქალაქი? გადადგამს ამ გონივრულ ნაბიჯს და თან წაიყვანს ცოლსაც? ვაითუ ფეხი არ მოიცვალოს არც ერთმა, სანამ სულიერი მამა არ ჩაერევა ამ საქმეში.

29

დედა, რომელიც ასულს მისი სურვილის საწინააღმდეგოდ გზავნის მონასტერში, ღვთის წინაშე პასუხს აგებს არა მარტო თავისი, არამედ შვილის სულის მაგივრადაც, თითქოს თავდებად უდგება მას. და რომ ასეთმა დედამ ცოდვა არ დაიდოს და არ დაიღუპოს, შვილი უნდა გადარჩეს.

30

ერთმა კაცმა ითამაშა და ქონება წააგო. რაც გადარჩა ვიღაც ამბრევილის ბრჭყალებს, უფროსი ქალიშვილის გათხოვებას მოანდომა. უმცროსს სხვა გზა არ დარჩენია, მონაზვნად უნდა აღიკვეცოს არა იმიტომ, რომ ეს მისი მოწოდებაა, არამედ იმიტომ, რომ მისი მამა თამაშობს.

31

ქვეყნად რამდენი გოგონაა სათნო, ჯანსაღი, ღვთისნიერი, რომელიც ილტვის ღვთისმსახურებისკენ, მაგრამ საკმაო შეძლება არ გააჩნია, რათა მდიდრულ მონასტერში სიღარიბის აღთქმა დადოს.

32

ქალი, ვისაც ვერ შეურჩევია სააბატოში თუ უბრალო მონასტერში გამოიკეტოს, დაბრუნებია ძველისძველ საკითხს, მმართველობის რომელი სახე სჯობს, სახალხო თუ დესპოტიზმი.

33

გაგიჟებულა, ცოლი სიყვარულით შეურთავსო, თუ გაიგონეთ, იცოდეთ, რომ მან შეირთო მელიტა, ქორფა, ლამაზი, კეთილგონიერი, ხელმომჭირნე და ქმრის მოსიყვარულე, მაგრამ ნაკლებ მდიდარი, ვიდრე ეჟინია, ვისაც ურიგებდნენ. ეჟინის დიდი მზითევი აქვს და დიდი უნარიც შესწევს, შთანთქას ქმრის ავლა-დიდება და ზედ თავისი მზითევიც მიაყოლოს.

34

უწინ ჯვრისწერა ისე სერიოზულ საქმედ ითვლებოდა, რომ იყო ერთი აწონ-დაწონა, ხანგრძლივი სჯა, გულმოდგინე შეფასება და თავისტეხა. ავი იყო თუ კარგი, ცოლსა და ქმარს მთელი სიცოცხლე ერთად უნდა გაეტარებინათ. ჰქონოდათ ერთი სუფრა, ერთი ბინა, ერთი სარეცელი და ერთმანეთს ვერ დასცილებოდნენ, რაც უნდ დიდი პენსია დაენიშნათ. აბა რას წარმოიდგენდნენ, რომ შესაძლებელია გყავდეს შვილები, გქონდეს ოჯახი და მაინც საქვეყნოდ ეძლეოდე მარტოხელა ადამიანისთვის განკუთვნილ ნეტარებას.

35

როცა კაცი ცდილობს არავინ მოჰკრას თვალი ქალთან, რომელიც მისი ცოლი არ არის, მისი მორიდება გამართლებულია. როცა არ სიამოვნებს ხალხში გამოჩნდეს სახელშელახულ დიაცთან, ესეც მისაღებია. მაგრამ ის კი გაუგებარია, რა უღირსი გრძნობა აიძულებს სირცხვილით გაწითლდეს საკუთარი ცოლის გამო და მასთან ერთად არ გამოჩნდეს საზოგადოებაში. განა ეს ქალი თვით არ აირჩია განუყრელ მეგობრად და არ თვლის მას თავის ნეტარებად, სიხარულად, სამკაულად, ცხოვრების თანამგზავრად? უყვარს იგი, პატივს სცემს და ამაყობს მისი ჭკუით, მაღალი ღირსებებით, სათნოებითა და წარმოშობით.

ვიცი, რა ძალაც აქვს ადათ-ჩვეულებებს, რაოდენ იმორჩილებს გონებას, მოქმედებას, თუნდაც სრულიად უაზრო და უსაფუძვლო იყოს იგი. მიუხედავად ამისა, დარწმუნებული ვარ, რომ მე-

ყოფოდა თავხედობა დედოფლის ხეივანში ყველას ცხვირწინ გამესეირნა ქალთან, რომელიც იქნებოდა ჩემი ცოლი.

36

ყმაწვილი კაცი თუ ცოლად შეირთავს ასაკით თავისზე უფროს ქალს, ეს არც სამარცხვინოა და არც დანაშაული. ხანდახან ასეთი ქორწინება მამაკაცის კეთილგონიერებასა და გამჭრიახობაზე მეტყველებს. ხოლო თუ იგი კეთილისმყოფელს უღირსად მოექცა, თავისი სახე გამოააშკარავა და თვალი აუხილა, რომ ვერაგისა და უმადურის მსხვერპლი გამხდარა, ეს გათახსირებაა! თვალთმაქცობა საპატიოა, თუ აუცილებლობა მოითხოვს ვინმეს მეგობრად მოაჩვენო თავი; ტყუილი დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა გულწრფელობა სისასტიკეს უტოლდება. „ეს ქალი ცას უნდა შეაბერდეს“? განა შეუთანხმდით, რომ წამსვე მოკვდებოდა, მოაწერდა თუ არა ხელს ქაღალდს, რის მეოხებითაც თქვენ გამდიდრდებოდით და ვალებს მოიშორებდით? მოათავებდა ამ კეთილ საქმეს და შეწყვეტდა სუნთქვას. თუ არადა მიიღებდა ოპიუმს ან ციკუტას? ნუთუ მას არა აქვს სიცოცხლის უფლება? განა გაიცხვის ღირსი იქნება თუ თქვენ სულს განუტევებთ მასზე ადრე, ვის დასაფლავებასაც აპირებდით მორთულ-მოკაზმულ კუბოში და ზარების გუგუნ-გრიალში?

37

დიდი ხანია მიაგნეს გამდიდრების ერთ საშუალებას, რაც დიდ გასავალშია მაღალ წრეებში, მაგრამ დანაშაულად ითვლება ბრძნული კანონმდებლობის მიერ.

38

ჩვენს სახელმწიფოში მარადჟამს არსებობდა ისეთი თანამდებობანი, რაიც დასაბამიდან შეუქმნიათ მრავალთა ხარჯზე ერთის გასამდიდრებლად. კერძო პირთა ქონება და ფული მიედინება ამ ერთთან განუწყვეტლივ და დაუსრულებლად. განა სათქმელია, რომ იგი პატრონს აღარ უბრუნდება და თუ უბრუნდება, მეტისმეტად გვიან.

ეს უძირო უფსკრულია, ზღვაა, რომელიც წყლებს მდინარეებიდან იღებს და უკან აღარ აბრუნებს, და თუ აბრუნებს, მიწისქვეშა, ფარული არხებით, ისიც მაშინ, როცა მთლად შეიწოვს მათ და ვეღარ იტევს. თვითონ კი დარჩება ისევ ღრმა და უკიდეგანო.

39

უკანდასაბრუნებელი დაბანდებანი, ოდესღაც ესოდენ სანდო, ხელშეუხები და წმინდად დაცული მათ მცველთა გულმოდგინეობის შედეგად, დროთა განმავლობაში, დაკარგულ დაბანდებად გადაიქცა. ამაზე უკეთეს საშუალებას ქონების გასამრავლებლადა და დასაგროვებლად განა იპოვის კაცი? რა ვქნა, მერვე წილში ხომ არ შევიდე, ანდა ბაჟი ხომ არ შევისყიდო? იქნებ სჯობს გავხდე ძუნწი, მეიჯარე ან მოურავი?

40

თქვენ ვერცხლის ფული გაქვთ, იქნებ ოქროსიც, მაგრამ ეს არ კმარა, მთავარია, რამდენი გაქვთ. ეცადეთ ბევრი დააგროვოთ, პირამიდა აღმართოთ და დანარჩენი ჩემზე იყოს. თქვენ არც მაღალი წარმოშობის ბრძანდებით, არც ჭკუა გაქვთ, არც ნიჭი, არც გამოცდილება. ეგეც არაფერი. თქვენს გროვას ნურაფერს დააკლებთ და ისე აგამაღლებთ, რომ ქუდს აღარ მოუხდით თქვენს პატრონს, თუ გყავთ პატრონი. ვაიძულებ მას თვითონ მოგიხადოთ ქუდი თქვენ, მფლობელს აუარება ლითონისა, რისი რაოდენობაც დღითი დღე მატულობს.

41

ათი წელია ორანტი ერთ სამართლიანსა და მისი კეთილდღეობისთვის მეტად მნიშვნელოვან საქმეზე სამართალს დაეძებს. ხუთი წლის შემდეგ, ალბათ, ეს ქალი შეიტყობს რომელ სასამართლოში და რომელ მოსამართლესთან უნდა იწანწალოს კუბოს კარამდე.

42

ბევრი მოწონებით შეხვდა ამას წინათ სამართლის წარმოებაში შემოღებულ წესს, — სიტყვა შეაწყვეტინონ დამცველს, არ მისცენ საშუალება გამოაჩინოს მჭევრმეტყველების უნარი, გონებამახვილობა და დასაცავი პირის უდანაშაულობის დასადგენად მარტოოდენ ფაქტებითა და მშრალი საბუთებით დაკმაყოფილდნენ. ეს მკაცრი წესები აღაშფოთებს ორატორს, რაკი იძულებულია თავის სიტყვაში გამოტოვოს უბრწყინვალესი ტირადები. მჭევრმეტყველება განიდევნება იმ ერთადერთი სფეროდან, რაც მისთვისაა განკუთვნილი. ეს წესი მეტყველ სასამართლოს მალე მუნჯ სამართალწარმოებად გადააქცევს. მის დასაცავად გვიყენებენ ისეთ დამაჯერებელსა და უდავო არგუმენტს, რაიც არის საქმის წარმოების დაჩქარება. რა გვეთქმის, ისღა დაგვრჩენია გამოვთქვათ სურვილი მარტო საქმის გარჩევისას კი არა, სხვა შემთხვევებშიაც ნუ დაივიწყებენ ამ წესს და კანცელარიაში ისევე მოუკლონ ჯღაბნას, როგორც დასაცავი სიტყვა შეამოკლეს.

43

მოსამართლის ვალდებულებაა სამართალწარმოება, მისი ხელობაა საქმის გაჭიანურება. ბევრ მოსამართლეს ესმის თავისი ვალდებულება და მისდევს თავის ხელობას.

44

მოსამართლისთვის დიდი პატივი როდია, თუ მოსარჩელე წინასწარ შეხვედრას ითხოვს. იგი ან არ ენდობა მოსამართლის გამჭრიახობასა და სინდისს, ან მის თავისკენ გადაბირებას ცდილობს, ანდა უსამართლობას მოითხოვს მისგან.

45

ზოგჯერ კაცი სამართლიან საქმეს აგებს. რადგან გავლენიანია, მეფის კარის მოწყალებით სარგებლობს, მეგობარია ან ნათესავი

მოსამართლისა, ვისაც ისე ძალუმად უნდა მოუსყიდველი პიროვნების სახელი გაუვარდეს, რომ უსამართლობას სჩადის.

46

ჯობს მოსამართლე მრუში იყოს, ვიდრე ქალებზე გადამკვდარი არშიყი. პირველი მალავს თავის სასიყვარულო თავგადასავლებსა და ხასებს და არ იცი საიდან მიუდგე. მეორეს სისუსტე კი ყველასთვის ცნობილია და შეგიძლია მიუგზავნო ყველა ქალი, ვისაც თავს აწონებს.

47

ჩვენში რელიგია და მართლმსაჯულება ერთმანეთს უტოლდება და მოსამართლე ისეთივე მოწიწების გრძნობას აღძრავს, როგორც მღვდელი. მოსამართლე ისე ვერ იცეკვებს მეჯლისზე, ვერ გამოჩნდება თეატრში, ვერ ჩაიცვამს მდიდრულსა და მყვირალა სამოსს, თუ სახელი არ შეილახა. საოცარია, მაინც საჭირო გახდა დაეკანონებინათ მათთვის განსაკუთრებული ტანსაცმელი, რათა უფრო მეტად ღირსეულნი გამოჩენილიყვნენ და მეტი პატივისცემა ჩაენერგათ ყველასთვის.

48

ხელობა რომ შეისწავლო, ჯერ შეგირდი უნდა იყო. მარტივია თუ რთული, საკმაო დრო უნდა მის შესწავლას, წვრთნას და ვარჯიშს მომავალი საქმიანობისათვის. ამ ხანებში შეცდომები დასაშვებიც არის და სასარგებლოც, რაკი მათი გამოსწორება გზაა სრულყოფისაკენ. ომსაც კი თავისი წესები აქვს, თუმცა არსებითად წარმომშობია არეულობისა და უწესრიგობისა. ბრძოლის ველზე ხალხი ერთმანეთს ვერ ჟლეტს ოცეულებად და რაზმეულებად აგრე უბრალოდ დაწყობილი, თუ წინასწარ არ შეისწავლა ეგ საქმე. სისხლის ღვრას თავისი მეთოდები აქვს. ჩვენ გვაქვს სამხედრო სკოლა, მაგრამ ვის უნახავს მოსამართლეთა სკოლა? მაგისტრატურას აქვს საკუთარი ადათები, წეს-ჩვეულებები, კანონები, რომელთა შესწავლასა და ათვისებას დრო სჭირდება, საკმაოდ ხანგრძლივი დროც, მაგრამ ვის სცალია ამისთვის? ყმაწვილი კაცი, ვისაც

სკოლის სახაზავი ძოწის მანტიაზე გაუცვლია და მოსამართლის ადგილი უყიდია, შეგირდობასა და ხელობის გაცნობას იწყებს უზენაესი უფლებით, ერთპიროვნულად განაგოს მოყვასის სიცოცხლისა და ქონების ბედ-იღბალი.

49

ორატორის ძირითადი მოვალეობაა სინდისი და პატიოსნება. უამისოდ ლაქლაქა ხდება. განზრახ ამახინჯებს საქმის ვითარებას, მოჰყავს ყალბი ციტატები, ცილს სწამებს მოწინააღმდეგეს და ისევე სძულს და ეზიზღება, როგორც კლიენტებს ეზიზღებათ თვით იგი. ამგვარი დამცველი მიეკუთვნება იმათ რიცხვს, ვისზედაც ნათქვამია, გასამრჯელოს ლანძღვა-გინებისთვის უხდიანო.

50

„მართალია, ამბობენ, ეს თანხა ამ კაცს ეკუთვნის, კანონი მის მხარეზეა. ერთი პატარა ფორმალობაა დასაცავი და თუ დაავიწყდა მისი შესრულება, აღარაფერი ეშველება. მაშასადამე, დაკარგავს ფულს და, რაღა თქმა უნდა, უფლებას მასზე. მოდი, დავავიწყოთ ეს ფორმალობა". აი, რას ვუწოდებ მე ვექილის სინდისს.

მართლმსაჯულებას დაამშვენებდა, ხალხს სიკეთეს მოუტანდა ბრძნული, სამართლიანი და კეთილგონიერი დევიზი, რაიც სრულიად საპირისპირო იქნებოდა იმ დევიზისა, რომელიც იუწყება, ფორმა შინაარსზე მაღლა უნდა იდგესო.

51

წამება არის საოცარი და ფრიად სარწმუნო გამოგონება, რომელიც სუსტი აღნაგობის უდანაშაულო კაცს ღუპავს და ჯანიან დამნაშავეს გადაარჩენს.

52

დასჯილი ბოროტმოქმედი მაგალითია ყველა არამზადისთვის. უდანაშაულო კაცის დასჯა ყველა პატიოსანი ადამიანის სინდისს უნდა მოეკითხოს. დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, არაოდეს ვიქ-

ნები ქურდი ან მკვლელი, მაგრამ თუ ვიტყვი, არაოდეს დამედება ბრალი ქურდობასა და მკვლელობაში-მეთქი, — დიდი სითამამე იქნება.

რა შემზარავი ბედი სწევია უდანაშაულო კაცს, ვინც სამართალწარმოების აჩქარების შედეგად დამნაშავედ ცნეს. განა მის მოსამართლეს უკეთესი ბედი ეწია?

53

რომ ეამბნათ ჩემთვის, დიდი ხნის წინათ ყოფილაო ერთი მოსამართლე თუ სასამართლოს მოხელე, ვისაც ევალებოდა ეპოვა ქურდები და დაესაჯა; ყველა ქურდს თურმე ახლოს იცნობდა საჩითაც და სახელითაც, ახსოვდაო ყველა ქურდობა, რა მოეპარათ და რამდენი მოეპარათ. ისე დაახლოებია ამ სამყაროს, ისე შეესისხლხორცებია და გაუგია ამ შემზარავი საქმიანობის ყოველი საიდუმლო და ასავალ-დასავალი, რომ შესაძლებლობა მისცემია დაებრუნებინა ერთი გავლენიანი პირისთვის ძვირფასი სამკაული, რაიც მისთვის ამოუცლიათ, როცა ერთი თავყრილობიდან გამოსული ბრბოში გარეულა. ამასთან ისიც რომ დაერთოთ, გავლენიანი პირი გაცოფებული ყოფილა და მოსამართლეს დაუმშვიდებია და საქმე ჩაუფარცხავს, ხოლო სასამართლოს გაუგია და მოხელე დაუსჯიაო, ვიფიქრებდი, ეს გარდასულ დღეთა ამბებია და ისე მოძველებულია, რომ ვერ ვერწმუნები-მეთქი.

მაშ, როგორღა დავიჯერო, რომ მსგავსი ამბები დღესაც ხდება და ცნობილ, დადგენილ ფაქტებად ითვლება. დღესაც არსებობს ასეთი დამღუპველი სიახლოვე სასამართლოს მოხელეებსა და ბოროტმოქმედთა შორის. არათუ არსებობს, ერთგვარ გასართობად და ჩვეულებადაც კი გადაქცეულა.

54

რამდენია ქვეყნად ისეთი ადამიანი, რომელიც ძლიერია სუსტთან, მტკიცე და შეუდრეკელი—უბრალო ხალხის მიმართ, შეუბრალებელი—პატარა ადამიანებისადმი, მკაცრი და ულმობელი წვრილ-

მანებში; უარს ამბობს ღარიბულ ძღვენზე, არაფრად აგდებს ნათესავებს, მეგობრებს და უსუსურია ქალების წინაშე.

55

არ გეგონოთ, თითქოს სრულიად შეუძლებელი იყოს ამა ქვეყნის ძლიერთა მფარველობის ქვეშ მყოფმა პიროვნებამ სასამართლოში წააგოს საქმე.

56

მომაკვდავის მიერ ანდერძით დატოვებულ განკარგულებას ხალხი ისმენს, ვით ორაკულის სიტყვებს. თითოეული თავისებურად ხსნის მას, ესე იგი, იგებს ისე, როგორც საკუთარი სურვილი და სარფა უკარნახებს.

57

შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთ ადამიანს სიკვდილი კი არ განუმტკიცებს უკანასკნელ სურვილს, არამედ სიცოცხლესთან ერთად უსპობს ყოყმანისა და მღელვარების გრძნობას; რამდენჯერაც გაჯავრდებოდა ვინმეზე, იმდენჯერ ახალ ანდერძსა წერდა, დამშვიდდებოდა, დახევდა და ცეცხლში ჩაყრიდა. იმდენი კალენდარი არ ედო მაგიდაზე, რამდენი ანდერძიც ეყარა ზარდახშაში. ყოველ წელს ახალ ანდერძს ადგენდა. მეორე მესამის გამო მოსპო; მესამე უკეთესად შედგენილი მეოთხე ანდერძით შეცვალა, ეს კი თავიდან ბოლომდე საკუთარი ხელით დაწერა და როგორ არ შეეცვალა მეოთხე ანდერძი. და თუ იმას, ვისთვისაც ხელსაყრელია ანდერძის მოსპობა, არც დრო აქვს ამისთვის, არც გაიძვერობა ყოფნის და არც ძალა შესწევს, სხვა გზა არ დარჩენია, მორჩილად უნდა მიიღოს ყველა დამატებითი შენიშვნები და პირობები, რამეთუ სად გამოკრთის უფრო ცხადად მერყეევი ადამიანის ხასიათი, თუ არა ამ ქაღალდზე, რასაც ანდერძის დამტოვებელმა უკანასკნელად მოაწერა ხელი და აღარ ისურვა, ანდა აღარ ეყო დრო, შეეცვალა იგი.

58

რომ არ არსებობდეს ანდერძი, განმგებელი მემკვიდრეთა უფლებებისა, ნეტა რიღასთვის იქნებოდა საჭირო სასამართლო, სადაც

ირჩევა მემკვიდრეობის მაძიებელთა საქმეები. მაშინ მოსამართლეებს ერთი უბადრუკი მოვალეობა დაეკისრებოდათ, სახრჩობელაზე გაეგზავნათ ქურდები და ხანძრის გამჩაღებლები. აბა ვინ იმალება პალატების დახურულ ლოჟებში, ვინ ატუზულა პროკურორის მოსაცდელ დარბაზში, მოსამართლის კართან, ან სასამართლოს დარბაზში ვინ დაძრწის, რა თქმა უნდა, არა მემკვიდრე ab intestat. მათ კანონით ეძლევათ, რაც ეკუთვნით. საჩივარზე მოდიან მემკვიდრეობის მაძიებელნი, უკმაყოფილონი ანდერძის რაღაც ჩანართით, რომელიღაც მუხლით, ანდა ისინი, ვისაც მემკვიდრეობით არაფერი შეხვდათ და არ ეთანხმებიან ანდერძს, მშვიდად და გააზრებულად დაწერილს ისეთი სერიოზული კაცის მიერ, რომელსაც გონებაც საღად უჭრიდა და არც მეხსიერება დაჰკარგოდა. ამასთან ერთად, ანდერძის შედგენაში მეტად გათვითცნობიერებული პიროვნებაც ეხმარებოდა. ისიც ხდება, რომ ვექილი წერს ყოველმხრივ გამართულ ანდერძის ქაღალდს, სადაც არ არის გამოტოვებული არც ერთი სიტყვა სასამართლო ჟარგონიდან და არც რომელიმე მუხლია დარღვეული. ხელს აწერს თვით ანდერძის დამტოვებელი და მოწმეც, თანაც ანდერძი დალუქულია. და მაინც სწორედ ეს ანდერძი ხდება სადავიდარაბო და უქმდება კიდეც.

59

ტიტიუსი ესწრება ანდერძის კითხვას. ცრემლიანი თვალები დასწითლებია, გული მწუხარებისგან ეკუმშება იმ კაცის გარდაცვალების გამო, ვისი მემკვიდრეობის მიღების იმედიც აქვს. ანდერძის ერთი მუხლის თანახმად იღებს თანამდებობას, მეორეთი — საქალაქო რენტას, მესამეთი — მამულს სოფელში. მიწერილია ერთი შენიშვნაც, რომლის თანახმად, რაღა თქმა უნდა, მიეკუთვნება ავეჯით გაწყობილი საცხოვრებელი სახლი შუა პარიზში. დარდით ლამის გაუსკდეს გული, ცრემლი ღაპაღუპით სცვივა. აბა რა ანუგეშებს! უკვე წარმოიდგინა, აგერ, წარჩინებული მოხელეა, ფუფუნებით აღვსილი ორი სახლი სოფლად, ქალაქად. მის ოჯახში უხვად იშლება სუფრა. გარეთ ეკიპაჟი უცდის. „რა კეთილშობილი კაცი იყო ცხონებული, რა სათნო, რა პატიოსანი! ქვეყნად ვინ შეედრება მას!“ ანდერძს რაღაც ჰქონია მიწერილი, კითხულობენ:

სრულუფლებიან მემკვიდრედ ინიშნება მევიუსი, ხოლო ტიტიუსი უნდა დაუბრუნდეს გარეუბანს; აღარც რენტა, აღარც ტიტული. ნუგეში აღარაა საჭირო. ცრემლიც შეუშრა. ახლა მევიუსმა იცეს თავში ხელი.

60

კანონი, რაიც კაცის მკვლელობას კრძალავს, განა ასევე არ კრძალავს დანას, საწამლავს, ცეცხლს, წყალს, ჩასაფრებას, პირისპირ შეტაკებას, ერთი სიტყვით, ყოველგვარ საშუალებას, რაც კაცისკვლისთვის გამოდგება. კანონი, რომელიც ცოლსა და ქმარს უფლებას ართმევს ერთმანეთს გადასცენ თავ-თავიანთი ქონება, განა მხედველობაში იღებს მხოლოდ პირდაპირსა და უშუალო გზებს და არა სხვა ღონისძიებებს? მაშ, როგორღა შემოიღო ფიდეიკომისი, ან როგორ ეგუება მას? ნუთუ დასაშვებია საყვარელი ცოლი ცოცხალი გყავდეს და ახლო მეგობარს დაუტოვო ქონება, რაკი დიდად ემადლიერები, ანდა დიდად ენდობი და დარწმუნებული ხარ, მემკვიდრეობას კეთილ საქმეს მოახმარს? განა მემკვიდრედ დაასახელებ კაცს, ვისზედაც ეჭვი გეპარება, რომ არ გადასცემს მემკვიდრეობას იმას, ვისთვისაც სინამდვილეში გინდოდა ყველაფერი დაგეტოვებინა? განა ამგვარი შეთანხმებისთვის რაიმეს ნიშნავს სიტყვიერი ან წერილობითი დაპირება, ხელშეკრულება და ფიცი? ადამიანებმა შესანიშნავად იციან, მსგავს შემთხვევაში რას უნდა მოელოდნენ ერთმანეთისგან და რატომაა, რომ ფიდეიკომისით მიღებული მემკვიდრეობის მფლობელს სახელი უტყდება თუ ქონებას თავისთვის იტოვებს? და რატომ ხდება იგი სატირისა თუ ვოდევილის კბილგასაკრავი? განა შესაძლებელია შეადარონ დაბანდებათა მცველს, რომელიც დაბანდებებს ფლანგავს, ანდა მსახურს, რომელიც თავისთვის იჯიბავს ფულს, პატრონმა ვილაცასთან რომ გაატანა? ასეთი ბრალდება სამართლიანი არ გახლავთ. ნუთუ სამარცხვინოა უხვი საჩუქრები არ გასცე და შენთვის შეინახო ის, რაც შენია? რა უთავბოლობაა, მეტად მძიმე ტვირთია ეს დალოცვილი ფიდეიკომისი! კანონს თუ დაემორჩილები და მემკვიდრეობას შენთვის დაიტოვებ, ნამუსიან კაცად აღარ ჩაგთვლიან; განსვენებული მეგობრის ხსოვნას თუ პატივსა სცემ და მისი ნე-

ბა-სურვილის თანახმად მემკვიდრეობას მის ქვრივს უბრუნებ, კანონის დამრღვევი ხარ. ჩანს კანონი მაინც და მაინც ვერ უთანხმდება ხალხის აზრს. ხოლო მე, ჩემს თავს ნებას ვერ მივცემ განვაცხადო, კანონი სცოდავს, ან ადამიანები ცდებიან-მეთქი.

61

ამბობენ, ესა თუ ის პირნი თუ კორპორაციები ერთმანეთს პირველობაზე ედავებიანო, თვით პარლამენტის პრეზიდენტი და რომელიღაც პერიც კი ვერ შეთანხმებულანო. ჩემის აზრით, ვინც ცდილობს შეკრებებზე მოწინააღმდეგეს არ შეხვდეს, საკუთარ სისუსტეს გრძნობს და დათმობაზე მიდის. ამგვარად, თავადვე უბოძებს პირველობას მეტოქეს.

62

ტიფონი დიდებულებს მწევრებითა და ცხენებით ამარაგებს, თუმცა რით არ ამარაგებს? დიდებულების მფარველობამ მთლად გაათავხედა. თავის პროვინციაში რაც მოეპრიანება, იმას სჩადის. კლავს, ვერაგულად ცრუობს, მეზობლების სახლებს წვავს, გამკითხავი არავინაა. ბოლოს და ბოლოს თვით მეფეს მოუხდება მისი დასჯა.

63

1

რაგუ, ლიქიორი, საუზმე, სოუსი, ყველა ეს სიტყვა ფრანგულ ენაზე გაუგებრად და ბარბაროსულად უნდა ჟღერდეს, თუ მშვიდობიან დროსაც კი არ ითვლება აუცილებელ საჭიროებად და ფუფუნებისა და ღორმუცელობის გარდა სხვა არაფერს გამოხატავს. რაღა გვეთქმის თუ მოგვესმის ომისა და საერთო სახალხო შავბედობის დროს, როცა მტერი ცხვირწინ გვიდგას და ხვალ ან ხელჩართული ბრძოლა დაიწყება, ან ალყას შემოგვარტყამენ? აბა სად წაგიკითხავთ რამე სციპიონის ან მარიუსის სუფრის შესახებ? ანდა სად თქმულა, რომ მილტიადს, ეპამინონდასს თუ აგეზილასს ნუგბარი საჭმელი უყვარდათ? მე ვისურვებდი, როცა სიტყვა რომელიმე მხედართმთავარზე ჩამოვარდებოდა, უპირველეს ყოვლისა, დაწვრილებით ემსჯელათ მის მიერ მოგებულ ბრძოლებზე, აღებულ

ქალაქებზე და სხვა თუ არაფერი დარჩებოდათ სათქმელი, მერე შეექოთ მისი სიმდიდრე, დახვეწილი გემოვნება და სიფაქიზე. მე კი მერჩია მხედართმთავარს არ დაემსახურებინა ამგვარი ქება.

64

ჰერმიპი მონაა იმისა, რასაც თავად უწოდებს კეთილმოწყობას და მას სწირავს დადგენილ ზნე-ჩვეულებებს, ადათს, მოდას, ზრდილობის წესებს. სულ კეთილმოწყობაზე ფიქრობს, არაფერს უყურადღებოდ არ ტოვებს, ნაკლებად მოხერხებულს უფრო მოხერხებულით ცვლის და ეს საქმე პირდაპირ მეცნიერებად გადაუქცევია. დღე არ გავა, რაღაც ახალი რომ არ აღმოაჩინოს. დაე, სხვებმა ისადილონ, ივახშმონ, მისთვის ეს ლიტონი სიტყვებია. ჭამს, როცა შია, და ჭამს მხოლოდ იმ კერძს, რაც ეგემრიელება. ლოგინი მისი უშუალო ზედამხედველობის ქვეშ უნდა გაუსწორონ და გაუსწოროს მხოლოდ იმან, ვინც მარჯვეა და ვინც აამებს. შინიდან იშვიათად გადის, საწოლ ოთახს არაფერი ურჩევნია. აქ იგი არც უსაქმოა, არც საქმითაა დაკავებული, კი არ მოძრაობს, ფუსფუსებს, რათა ყველაფერი მოიმზადოს, რაც წამლის მიღების შემდეგ დასჭირდება. საჭიროების შემთხვევაში სხვები ყურმოჭრილი მონები ხდებიან ზეინკლებისა და დურგლებისა, ჰერმიპს კი თუ გაქლიბვა მოუნდა, აქვს ქლიბი, თუ გახერხვა — აქვს ხერხი, აქვს ჩაქუჩიც, თუ ლურსმანი გახდა დასაჭედი. განა არსებობს ისეთი იარაღი, რომ არ ჰქონდეს? თანაც დარწმუნებულია, ხელოსნებსაც კი არ გააჩნიათ ამაზე უკეთესი. აქვს სრულიად უცნობი და ახალი ხელსაწყოები, რაიც მისი გამოგონებული გახლავთ, მაგრამ რა დანიშნულება აქვთ თითქმის გადაავიწყდა. მასავით არავის ძალუძს მოკლე დროში და უწვალებლად გააკეთოს ისეთი რამ, რაც არაფერშია გამოსადეგი. საწოლი ოთახიდან საგარდერობოში გასასვლელად ათი ნაბიჯი უნდა გადაედგა, მაგრამ ისე მიალაგ-მოალაგა ავეჯი, რომ ცხრა ნაბიჯზე მეტის გადადგმა აღარ უხდება. შეხეთ რამდენ ნაბიჯს დაზოგავს მთელი სიცოცხლის განმავლობაში! სხვა ოჯახებში გასაღებს გადაატრიალებენ, კარებს ან მიაწვებიან, ან თავისკენ გამოსწევენ, და კარი იღება. რა დამქანცველია! ჰერმიპმა კარის გაღების მეთოდიც გარდაქმნა. თუ როგორ მიაღწია ამას, საიდუმლოე-

ბაა და არვის უმხელს. ზამბარებსა და მექანიზმებს ხუთი თითივით იცნობს. განსაკუთრებით ისეთებს, ურომლისოდაც ქვეყანა იოლად გადის. მის ბინაში სინათლე ფანჯრიდან კი არა, რაღაც სხვა გზით შემოდის. აღმოჩნდა საიდუმლო, ავიდ-ჩამოვიდეს არა კიბით, არამედ სხვა რამით და ახლა იმის ძიებაშია, შინ შესვლისა და გასვლისთვის აღმოაჩინოს უფრო მეტად მოხერხებული რამ, ვიდრე კარებია.

65

დიდი ხანია ხალხი არ ენდობა ექიმებს და მაინც სარგებლობს მათი დახმარებით. ექიმები თავიანთ ასულებს მდიდრულ მზითევს ატანენ, ვაჟებისთვის ყიდულობენ სამართლის ან ეკლესიის მსახურთა თანამდებობებს და მათ წინააღმდეგ ამხედრებული თეატრი და სატირა ვერაფერს აწყობს, რადგან, ვინც დასცინის, ისევ ამდიდრებს ექიმს. ვინც გუშინ ჯანზე იყო, დღეს ავადაა, რაღა თქმა უნდა, ესაჭიროება ადამიანი, რომლის ხელობაა დაარწმუნოს, რომ არ მოკვდება იგი. სანამ ადამიანს სიცოცხლე ეყვარება და ვერ შეძლებს ერთხელ და სამუდამოდ წინ აღუდგეს სიკვდილს, ექიმს ყოველთვის დააყრიან სიცილსა და ფულს.

66

კარგი ექიმი ისაა, ვისაც შეუძლია ზოგიერთი ავადმყოფობის განკურნვა და ნებას რთავს მეორე ექიმს უმკურნალოს სნეულს, ვისი შველაც თავად არ შეუძლია.

67

შარლატანების თავხედობა ისეთ სამწუხარო შედეგებს იწვევს, რომ გვაიძულებს დავაფასოთ მედიცინა და მედიკოსები. ექიმები ხელს არ გვიშლიან მოვკვდეთ, შარლატანები გვკლავენ.

68

კარო კარი ჩვენთან ჩამოვიდა, ჩამოიტანა რეცეპტი და განგვიცხადა, სწრაფმოქმედი წამალიაო, თუმცა ამბობენ, ნელმოქმედი

საწამლავიაო. რეცეპტი საგვარეულო საიდუმლოებაა, მაგრამ თვითონ გააუმჯობესა. წამალი მუცლის გვრემას შველოდა, თვითონ კი მკურნალობს ხანგამოშვებით ციებ-ცხელებას, პლევრიტს, წყალმანკს, აპოპლექსიას, ბნედას. თავს ძალა დაატანეთ და დაასახელეთ რომელი ავადმყოფობაც გაგახსენდებათ პირველად; სისხლის დენაო, ამბობთ? იმასაც არჩენს. რაც მართალია, მართალია, გულწრფელად აღიარებს, მკვდრებს ვერ გავაცოცხლებო, ცოცხალს კი სრულ მიხრწნილობამდე მიიყვანს. მხოლოდ რაღაც შემთხვევით მომხდარა, რომ ამ საიდუმლოების მფლობელი მისი მამა-პაპა მთლად ახალგაზრდანი გარდაცვლილან. ეიზიტში რასაც აძლევენ, ექიმები იმას იღებენ, ზოგი მადლობითაც კმაყოფილდება. კარო კარი კი იმდენად დარწმუნებულია თავისი წამლის ყოვლისშემძლეობაში, რომ გასამრჯელოს თხოულობს წინასწარ და იღებს ადრე, ვიდრე იძლევა წამალს. სენი თუ განუკურნავია, მით უკეთესი, უფრო მეტად ღირსია მისი მოვლისა და წამლისა. მაშ, მიეცით ათას-ათასი ფრანკით სავსე რამდენიმე ქისა, აჩუქეთ თქვენი ერთ-ერთი ყველაზე პატარა მამული, მერე კი ნუღარც იფიქრებთ თქვენს გამოჯანმრთელებაზე ისევე, როგორც არ იფიქრებს კარო კარი. ამ კაცს იმდენი მეტოქე გაუჩნდა, რომ ჩვენს ქვეყანას ჭიანჭველებივით მოედო ხალხი, რომელთა ღრმად პატივცემული გვარი მთავრდება „ო“-ზე ან „ი“-ზე და ჟრუანტელს გვრის ავადმყოფებსაცა და ავადმყოფობასაც.

გამოტყდით, ფაგონ, თქვენი ყველა ინსტიტუტის ექიმები მხოლოდ დროებით კურნავენ ავადმყოფებს, ანდა სულაც ვერაფერს შველიან. ხოლო ისინი, ვისაც მამა-პაპათაგან გადმოსცემიათ მემკვიდრეობით ექიმბაშობა, ფიცავენ და ირწმუნებიან, ავადმყოფს უთუოდ განკურნავთო. მერედა რა ტკბილია მომაკვდავი სნეულისთვის გამოჯანმრთელების იმედი რომ ჩაესახება გულში და სულთმობრძავიც კი უკეთ გრძნობს თავს. სიკვდილი საამურად უახლოვდება, შიშს არ აღუძრავს და ისე ამოხდის სულს, რომ ვერ ასწრებს სიკვდილისთვის განემზადოს, ცოდვები მოინანიოს. ო, ფაგონ-ესკულაპუსო! განავრცე პირზე მიწისა ქინაქინა და პირსასაქმელი; შეისწავლე და სრულჰყავი მარტივი სამკურნალო საშუალებები, რაიც ადამიანთა სიცოცხლის გასახანგრძლივებლად შეუქმნია ბუნებას. აქამდე არნახული გამჭრიახობითა და რუდუნე-

ბით დააკვირდი სნეულების ნიშნებს, შეიცან, რა გავლენას ახდენს მასზე ჰავა, ამინდი და თვით ადამიანის აღნაგობა. უმკურნალე თითოეულს ისე, როგორც მის ავადმყოფობას ეკუთვნის. განდევნე ადამიანის სხეულიდან, რომლის ყოველი მოძრაობა და ფეთქვა ზედმიწევნით ცნობილია თქვენთვის, ყველაზე იდუმალი და დახავსებული სნეულებანი. ოღონდ ნუ ეცდებით განკურნოთ ჭკუის დაავადება, განუკურნებელი გახლავთ იგი. დაე, კორინს, ლესბის, კანიდის, ტრიმალქიონს, კარპუსს იტაცებდეთ, უფრო სწორად, აგიჟებდეთ შარლატანები.

69

ჩვენს სახელმწიფოში ითმენენ ქირომანტებსა და მისნებს; ადამიანებს, რომლებიც ადგენენ ჰოროსკოპებს, მკითხაობენ ფსონის ქაღალდზე, საცრის ქნევით იგებენ წარსულსა და მომავალს — სარკეში ან წყლის ჭურჭელში ჭვრეტით. ეს ადამიანები, მართლაცდა, ერთგვარად საჭირონი არიან: უწინასწარმეტყველებენ მამაკაცებს სიმდიდრეს, ქალიშვილებს სატრფოებზე გათხოვებას, ანუგეშებენ ვაჟებს, მათი მამები ბოლოს და ბოლოს რომ განუტევებენ სულს და ასევე სალბუნს ადებენ ბებერი ქმრების ქორფა ცოლების მწუხარე გულებს. ასე და ამგვარად, ორიოდე გროშის ფასად ატყუებენ იმათ, ვისაც სურთ იყვნენ მოტყუებულნი.

70

რა ვთქვათ მისნობასა და კუდიანობაზე? მათი თეორია წყვდიადით მოცულია, პრინციპები გაურკვეველია, აბნეული და მიემსგავსება სულთა ჭვრეტის მოძღვრების დებულებებს. ის კია, გონიერი და საღი აზროვნების ადამიანები საოცარ ამბებს ჰყვებიან, განსაცვიფრებელ მოვლენებს დასწრებიან ან თავად, ან მათი ნაცნობები, რომელნიც ასევე სანდონი გახლავან. ძნელია დაუფიქრებლად ყოველივე დაიჯერო, ან უარყო. მე ვფიქრობ, ისევე როგორც ყოველივე არაბუნებრივისა და არაჩვეულებრივის მიმართ, აქაც სიფრთხილე გვმართებს, არც ბრმად უნდა ვიწამოთ და არც ხელაღებით უარვყოთ.

71

ბავშვობაში რაც მეტ ენას შეითვისებს ადამიანი, მით უკეთესია მისთვის და ამიტომ ყოველმხრივ უნდა ვიზრუნოთ, ბავშვებს ენები ვასწავლოთ. ყველა წოდების წარმომადგენელს გამოადგება და გზას გაუხსნის მიიღოს ან ფართო განათლება, ანდა საამური და საინტერესო ცოდნა. მაგრამ ამ საკმაოდ მძიმე საქმეს თუ გადავდებთ უფრო გვიანი ასაკისთვის, რასაც სიჭაბუკე ეწოდება, აღარ გვეყოფა არც ნიჭი და არც გულმოდგინება; თუნდაც გვეყოს, ენების შესწავლას უნდა შევწიროთ ის დრო, რაც ენების ცხოვრებაში გამოყენებისთვისაა განკუთვნილი. იძულებული ვხდებით ვიზეპიროთ სიტყვები ისეთ ასაკში, როცა უნდა ვწვდებოდეთ არსს იმ საგნებისა და მოვლენებისა, რასაც ეს სიტყვები გამოხატავენ. ვაღიარებთ, დაგვიკარგავს ცხოვრების პირველი და უმშვენიერესი წლები. ცოდნის დიდ მარაგს მხოლოდ მაშინ დაიგროვებ, როცა ყველაფერს ძალდაუტანებლად ითვისებ, როცა მეხსიერება საღია, დამყოლი და სხარტი, როცა გული და გონება არ დატვირთულა ვნებათა ღელვით, ზრუნვით, სურვილებით და როცა თავზე გადგას ის, ვისზედაც დამოკიდებულია მთელი შენი არსება, ვინც თვალყურს ადევნებს შენს სწავლასა და მეცადინეობას. მე დარწმუნებული ვარ, ჩვენში იმიტომაა ასე ცოტა ნამდვილად განათლებული, ანდა თუ გნებავთ, ისე ბევრი ზედაპირულად გათვითცნობიერებული ადამიანი, რომ აღარავის ახსოვს, რაოდენ საჭიროა ენების შესწავლა.

72

დედანზე მუშაობა არაჩვეულებრივად საჭირო საქმიანობაა. ეს არის ყველაზე მოკლე, ყველაზე სანდო და სასიამოვნო გზა ცოდნის მისაღებად. დედანი ხელთა გაქვთ და ყველაფერს პირველწყაროებიდან ეცნობით. მაშ, იკითხეთ და კვლავ იკითხეთ ეს ტექსტები, ისწავლეთ ზეპირად. საჭირო შემთხვევაში იქიდან მოიყვანეთ ციტატები; ეცადეთ ჩაწვდეთ მათ აზრს, შეიცნოთ სიღრმე, სირთულე და წინააღმდეგობები, შეიცნოთ ავტორის იდეები და იქიდან საკუთარი დასკვნები გამოიტანოთ. გაჰყევით პირველი კომენტატორების გზას, შეეცადეთ ყველაფერი თავიდან გაიგოთ და

თუ ძალიან გაგიჭირდათ, მხოლოდ მაშინ მოიშველიოთ მათი ცოდნა და თვალსაზრისი. კომენტატორთა ახსნა-განმარტებები თქვენ არ გეკუთვნით და ადვილად დაგაბნევენ. თქვენი დაკვირვებანი კი თქვენი გონების ნაყოფია და სამუდამოდ გრჩებათ მეხსიერებაში. უმალ გაგახსენდებათ, როცა ვინმეს რჩევას ეკითხებით, როცა კამათობთ ანდა უბრალოდ საუბრობთ. ამავე დროს, განიცდით სიამოვნებას, რაკი დედნის წაკითხვისას არ წაწყდომიხართ დაუძლეველ სიძნელეს ისეთი საკითხების განმარტებისას, რასაც ჩიხში მოუმწყვდევია კომენტატორები და სქოლასტიკოსები, ესოდენ ნაყოფიერნი, ესოდენ აღვსილნი ფუჭი და უსარგებლო ცოდნით, რისი მეშვეობითაც შუქს ჰფენენ ისედაც ცხადსა და ნათელ პასაჟებს, რაიც უვიცებისთვისაც კი იოლად გასაგებია. გათვითცნობიერების ამგვარი მეთოდით აღჭურვილი ადვილად დარწმუნდებით, რომ მარტოოდენ ადამიანთა სიზარმაცის წყალობით შეძლეს პედანტებმა ბიბლიოთეკები კი არ გაემდიდრებინათ, არამედ გაეფართოებინათ და ტექსტები კომენტარების გროვაში დაემარხათ. როგორც ხედავთ, სიზარმაცემ ისევ თავისი თავი და თავისი სანუკვარი მისწრაფებები დააზარალა, რამეთუ წიგნთა და გამოკვლევათა სიმრავლე მოითხოვს უფრო მეტ ძიებასა და შრომას, რაც მას გულზე მაინცდამაინც არ ეხატება.

73

რომელ კანონებს ემორჩილებიან ადამიანები, როცა თავიანთ ცხოვრებას აწესრიგებენ და ზრუნავენ ჭამაზე, ჯანის სიმრთელეზე და დღის რეჟიმზე? ზრუნავენო? მეტად საეჭვოა: ერთი ხორცს ხილის შემდეგ ჭამს, მეორე პირუკუ იქცევა. ზოგიერთი საჭმლის წინ ერთნაირ ხილს მიირთმევს, საჭმლის შემდეგ — მეორენაირს. რა განსაზღვრავს ამას, ჭკუა თუ ჩვეულება? განა ჯანმრთელობაზე ზრუნვა აიძულებთ ატარონ ნიკაპამდე შეკრული სამოსი ან ბრიჟები, როცა აქამდე მკერდგაღეღილები დადიოდნენ? განა წესიერებაზე ზრუნვამ მიაგნებინათ საიდუმლოს იმისა, რომ ტანთჩაცმულები მთლად დედიშობილა მოჩანდნენ? განა დედაკაცები მამაკაცებზე ჯანმრთელნი და წესიერნი არიან, რომ მოუშიშვლებიათ მკერდი და მხრები? აბა რა კდემამოსილებაა დაფარო არათუ ფე-

ხი, ტერფიც კი, ხოლო იდაყვს ზემოთ გაიშიშვლო მკლავები? ოდესღაც ვინ ჩააგონა ადამიანებს, თითქოს ომი იმისთვის არსებობდეს, რომ ან თავი დაიცვა, ან შეტევაზე გადახვიდე, ესე იგი, აღჭურვილი იყო დაცვითი ან შემტევი იარაღებით. ვინ აიძულებთ დღეს ამას თავი მიანებონ და ბრძოლის ქარცეცხლში, მტრის ხაზთან სამუშაოდ უიარაღო და უბრალო ჯუბებში ჩაცმული მიწის მთხრელები გაგზავნონ იმ დროს, როცა თავად ჩექმებს იცვამენ და მეჯლისზე წასასვლელად ემზადებიან? რა ვთქვათ ჩვენს მამებზე, რომლებიც ამგვარ საქციელს საზიანოდ ჩათვლიდნენ მეფეებისთვისაც და სამშობლოსთვისაც, რანი იყვნენ ისინი, ბრძენნი თუ ჭკუანაკლებნი? მერედა ჩვენ, ჩვენ თვითონ რომელ გმირებს ვიწონებთ ჩვენი ქვეყნის ისტორიაში? გეკლენს, კლისონს, ფუას, ბუსიკოს, ყველას ხომ იარაღი ჰქონდა ასხმული და ბექთარი ეცვა.

74

რით აიხსნება, რომ ზოგიერთი სიტყვა ბედიღბლიანი გამოდგა და ენას შემორჩა, ზოგი კი განიდევნა? Ains[1] დაიღუპა; თვით ხმოვანმაც კი, რომლითაც იწყება სიტყვა და რომელიც აგრე მოსახერხებელია წინა სიტყვის ბოლო თანხმოვანთან გადასაბმელად, ვერაფერი უშველა. მან ადგილი დაუთმო მეორე ერთმარცვლოვან სიტყვას[2], რაც თავისთავად პირველის ანაგრამას წარმოადგენს. Certes[3] სიბერეშიც კი მშვენიერია და თავისი დღეთა მზის ჩასვლისასაც არ დაუკარგავს ძალა. პოეზიას ესადაგება და ჩვენი ენა დიდადაა დავალებული იმ მწერლებისაგან, რომლებიც სახელის გატეხას არ ერიდებიან და პროზაში ხმარობენ მას. არც Maint[4] უნდა მივატოვოთ, სუფთა ფრანგული სიტყვაა და ძალიან ადვილად თავსდება ყოველგვარ გამოთქმაში. Moult[5] თუმც ლათინური წარმოშობისაა, თავის დროზე დიდად გამოსადეგი იყო და ვერ გამიგია beaucoup[6] რით სჯობნის მას. რამდენი დევნა განუცდია car[7]-ს; განათლებული ხალხი მხარს თუ არ დაუჭერს, სამარცხვინოდ წარიშლება კიდეც ჩვენი ენიდან, რომელსაც ამდენ ხანს სამსახურს უწევდა და

---

1 მაგრამ. 2 Mais — მაგრამ. 3 რა თქმა უნდა. 4 მრავალი. 5 ძალიან ბევრი. 6 ბევრი. 7 რამეთუ.

შემცვლელიც არ მოეძებნება. Cil[1] თავისი აყვავების ხანაში ფრანგული ენის მშვენება იყო და პოეტები ღრმად დამწუხრებულნი არიან მისი მოძველების გამო. Douloureux ისევე ბუნებრივად მომდინარეობს douleur[2]-ისგან, როგორც chaleur-ისგან იწარმოება chaleureux ან chaloureux[3]; ეს უკანასკნელი იშვიათად იხმარება, თუმცა ენის სიმდიდრეზე მიანიშნებდა და უფრო ზუსტად გამოხატავდა იმას, რასაც მხოლოდ ნაწილობრივ აღნიშნავს chaud[4]. Valeur-იდან უნდა შემონახულიყო valeureux[5], haine-იდან — haineux[6], peine-დან — peineux[7], fruit-დან — fructueux[8], pitié-დან — piteux[9], joie-დან—jovial[10], foi-დან — féal[11], cour — courtois[12], gîte — gisant[13], haleine—halené[14], vanterie—vantard[15], mensonge—mensonger[16], coutume—coutumier[17], ისევე როგორც part იძლევა partial[18]-ს, point—pointu და pointilleux[19]-ს, ton—tonnant[20]-ს, son—sonore[21]-ს, frein—effrené[22]-ს, front—effronté[23]-ს, ris—ridicule[24]-ს, loi—loyal[25]-ს, coeur—cordial[26]-ს, bien—bénin[27]-ს, mal—malicieux[28]-ს. Heur[29] თავსდებოდა იქ, სადაც bonheur[30]-ისთვის არ იყო ადგილი და შექმნა heureux[31], რაც ესოდენ ფრანგულია, მაგრამ აღარ არსებობს; პოეტები ხანდახან ხმარობენ, მაგრამ არა თავისი ნება-სურვილით, არამედ ლექსის ზომის ძალდატანებით. Issue[32] გალაღებულია, ხოლო issir[33], საიდანაც იგი წარმოიშვა, გაუქმებულია. Fin[34] არსებობს, მაგრამ მისი პირმშო finir[35] მოისპო, როდესაც cesse და cesser[36] ერთნაირი უფლებით არიან აღჭურვილნი. Verd აღარ ქმნის verdoyer[37]-ს, არც fête—fêtoyer[38]-ს, არც larme—larmoyer[39]-ს,

---

[1] ეს. [2] მტკივნეული, ტკივილი. [3] სიცხე — ცხელი, მგზნებარე. [4] თბილი, ცხელი. [5] ღირსება, ფასეულობა — ღირსეული, ძვირფასი. [6] სიძულვილი — საძულველი. [7] შეწუხება — შეწუხებული. [8] ნაყოფი — ნაყოფიერი. [9] სიბრალული— საბრალო. [10] სიხარული — მხიარული. [11] რწმენა — სარწმუნო, ერთგული. [21] სამეფო კარი — კარისკაცი, თავაზიანი. [13] ბინა — მდებარე. [14] სუნთქვა — აქოშინებული. [15] ტრაბახი — ტრაბახა. [16] ტყუილი (არს. სახ., ზმნა). [17] ჩვეულება — ჩვეულებრივი. [18] ნაწილი — ნაწილობრივი. [19] წერტილი — წვეტიანი, წვრილმანი. [20] ხმა — ხმამაღალი. [21] ბგერა — მეღერი. [22] აღვირი — აღვირახსნილი. [23] შუბლი — თავხედი. [24] სიცილი — სასაცილო. [25] კანონი — ერთგული, პატიოსანი. [26] გული — გულიანი. [27] კარგი, სიკეთე — კეთილგანწყობილება, რბილი. [28] ბოროტება — ბოროტი. [29] საათი. [30] ბედნიერება. [31] ბედნიერი. [32] გამოსავალი — გამოსასვლელი. [33] გამოსვლა. [34] ცბიერი. [35] ცბიერება (ზმნა). [36] შეწყვეტა (არს. სახ. ზმნა). [37] მწვანე—ამწვანება. [38] ზეიმი—ზეიმობა (ზმნა). [39] ცრემლი—ცრემლთა ღვრა.

არც deuil—se douloir და se condouloir[1]-ს, არც joie—s'éjour[2]-ს, თუმცა იგივე სიტყვა joie იძლევა se réjouir-ს და se conjouir-ს, ისევე, როგორც orgueil—s'énorgueillir[3]-ს. უწინ „ხალხის" აღსანიშნავად ამბობდნენ კრებით სიტყვას gent[4]-ს და ასეთი მსუბუქი სიტყვა არათუ გაქრა თავად, თან წარიტაცა gentil[5]-იც. ამბობენ, diffamé[6] წარმოებულია fame[7]-დან, რაც აღარ გვესმის. ამბობენ, curieux[8] წარმოებულია cure[9]-დან, და ეს კი აღარ იხმარება. განვაგდეთ si que, de sorte que-ს ან de maniére que[10]-ს გამო; de moi—pour moi-ს ან quant à moi[11]-ს გამო. Je sais que c'est qu'un mal — je sais ce que c'est qu'un mal[12]-ის გამო. ასეთი შეცვლა მოხდა ან ლათინურის ანალოგიური ფრანგული. გამოთქმის გავლენით, ანდა იმისთვის, რომ საფლავზე წარმოთქმული ქადაგება ერთი სიტყვით შემოკლებულიყო. ჩვენამ არჩია par conséquent-ს par conséquence[13] და en conséquence-ს — en consequent[14]. Façons de faire-ს—à maniérés de faire[15] და maniéres d'agir-ს—facons d'agir[16]... უპირატესობა მისცა ზმნა travailler-ს ouvrer[17]-თან შედარებით, être accoutumé-ს — souloir[18]-თან, convenir-ს duire[19]-თან, faire du bruit-ს bruire[20]-თან, injurier-ს vilainer[21]-თან, piquer-ს poindre[22]-თან, faire ressouvenir-ს ramentevoir[23]-თან შედარებით... ხოლო არსებით სახელებში pensées ამჯობინეს pensers[24]-ს, ამ მშვენიერ სიტყვას, ლექსს ესოდენ რომ ესადაგებოდა. Grands actions—prouesses[25]-ს, louanges—loz[26]-ს, méchanceté—mauvestié[27]-ს, porte—huis[28]-ს, navire—nef[29]-ს, armée—ost[30]-ს, monastére—monstier[31]-ს, prairies—prées[32]-ს... და ყველა ამ თანაბრად მშვენიერ სიტყვას შეეძლო ერთმანეთის გვერდით ეარსება და ენა უფრო მეტად გაემდიდრებინა. ზოგიერთი ასოს ჩამატებამ, გამოკლებამ, შეცვლამ, სხვა ადგილას გადატანამ fralater—frelater[33]-ად გადააქ-

---

[1] გლოვა — მწუხარება, გლოვა (ზმნა). [2] სიხარული — უხარია. [3] სიამაყე — ამაყობს. [4] ხალხი. [5] ადამიანური. [6] სახელგატეხილი. [7] სახელოვნება. [8] ცნობისმოყვარე. [9] მოვლა, მკურნალობა. [10] ასე და ამგვარად. [11] რაც შემეხება მე. [12] ვიცი, რა არის ტკივილი. [13] მაშასადამე. [14] შედეგად. [15] ამნაირად, ამგვარად მოქცევა. [16] ქმედების ყაიდა. [17] მუშაობა. [18] შერჩევა. [19] შეეფერება, შეეხამება. [20] ხმაური. [21] შეურაცხყოფა, ლანძღვა. [22] ჩხვლეტა. [23] გახსენება. [24] ფიქრი. [25] მამაცობა, სიქველე. [26] შექება. [27] ბოროტება. [28] კარი. [29] ხომალდი. [30] ჯარი. [31] მონასტერი. [32] ჭალა. [33] თაღლითობა.

ცია, preuver—prouver[1]-ად, proufit—profit[2]-ად, froument—froment[3]-ად, pourfil—profil[4]-ად, pourveoir—provision[5]-ად, pourmener—promener[6]-დ, pourmenade—promenade[7]-ად. ასევე, ჩვევისდა მიხედვით, ზედსართავები habile,utile, facile, docile, mobile, fertile[8] ორივე სქესში უცვლელად რჩება და პირიქით, vil—vile[9]; subtil—subtile[10]-ს აქვს ორივე სქესის ფორმა. შეიცვალა ძველი დაბოლოება: scel-იდან მივიღეთ sceau[11], mantel-იდან—manteau[12], capel-იდან chapeau[13]. coutel-იდან couteau[14] hamel-იდან hameau[15], damoisel-იდან — damoiseau[16], jouvencel-იდან — jouvenceau[17]. ყოველივე ამ ცვლილებისა და განსხვავების შედეგად ვერ ვხედავთ, რომ ფრანგულმა ენამ რაიმე მოიგო. განა ენის განვითარებისთვის აგრე რიგად საჭიროა ჩვევებისადმი დამორჩილება? არა სჯობდა მისი დესპოტური ბატონობის უღელი მოგვეშორებინა? განა უმჯობესი არ იყო ყურად გვეღო მხოლოდ და მხოლოდ გონების კარნახი, რაც თავიდან აგვაცილებდა ყოველგვარ აბდაუბდას და დაგვეხმარებოდა განგვესაზღვრა სიტყვის ძირი და ის ურთიერთობა, რაც არსებობს ცოცხალ ენასა და მის წარმომშობ სხვა ენებს შორის. ამასთან ერთად, თუ გონება ნებას დაგვრთავდა, ჩვევებსაც ნუ უგულებელვყოფდით.

ჩვენი წინაპრები ჩვენზე უკეთესად თუ წერდნენ, ანდა ჩვენ თუ ვჯობნით მათ სიტყვების, შესიტყვებებისა და გამოთქმების შერჩევისა და მეტყველების სიცხადისა და სისხარტის მხრივ? ამ საკითხზე ბევრს დაობენ და ვერ შეთანხმებულან. კამათი ვერც ვერასოდეს გამოიღებს შედეგს, თუკი ზოგიერთისა არ იყოს, გასული საუკუნის უნიჭო მჯღაბნელს შევადარებთ ჩვენს ყველაზე სახელგანთქმულ მწერლებს, შევადარებთ ლექსებს ლორნისა, რომელსაც ფულს აძლევდნენ ოღონდ არ დაეწერა, მაროსა და დეპორტის პოეზიას. ზუსტი დასკვნების გამოსატანად საუკუნე საუკუნეს უნდა დავუპირისპიროთ, შესანიშნავი ნაწარმოები შესანიშნავ ნაწარმოებს, მაგალითად ბენსერადისა და ვუატიურის საუკეთესო რონდოები ქვემომოყვანილ რონდოებს, რომლებიც ზეპირ-

[1] დასაბუთება. [2] სარფა. [3] ხორბალი. [4] პროფილი. [5] სურსათი, მარაგი. [6] გასეირნება. [7] სასეირნო ადგილი. [8] მოხერხებული, სასარგებლო, ადვილი, დამყოლი, მოძრავი ნაყოფიერი. [9] უსინდისო, ბინძური. [10] დახვწილი, სათუთი. [11] ბეჭედი. [12] მანტო, პალტო. [13] ქუდი. [14] დანა. [15] სოფელი. [16] შუა საუკ. ყრმა აზნაური, რომელსაც ჯერ არ მიუღია რაინდობა. არშიყობას გადაყოლილი ჭაბუკი. [17] ყრმა.

მეტყველებას შემორჩა და არ ვიცით, როდის დაიწერა და ვინ დაწერა:

სულზე მიუსწრო ოქიემ მტრის ჯარს,
ურწმუნოები ხოცა და ჟლიტა,
მის გმირობაზე მე რაღა გითხრათ,
როს ყველა უდრეკ რაინდად თელიდა.

გადაიარა ცხრა მთა და ცხრა ზღვა,
და სიკაბუკის წლებმა რომ განვლო,
წყალი ყრმობისა იპოვა სადღაც
და ამ კამკაბმა სამოთხის წყარომ
სულზე მიუსწრო.

როს განიბანა სხეული წყალში,
სულ შეიცვალა ოქიე წამში,
კოხტა, წერწეტა ჭაბუკად იქცა.

ჭორია, თორემ რამდენი ქალი
იხარებს ქვეყნად დღეს სახე მშკნარი,
თუკი ამ წყარომ საბრალო იმ ქალს
სულზე მიუსწრო.

ამა ვაჟკაცზე ბევრი რამ თქმულა,
მისი გმირობით სუყველა ძრწოდა,
ბოლოს აცდუნა ბოროტმა სულმა,
რამეთუ სახე ქალისა ჰქონდა.

შეირთო ეშმა და როცა მიხვდა
რა დაემართა, შიშით არ შეცბა,
კვლავ აღაღზევეს დიდებით გმირთა,
კვალად გაისმა ხოტბა და ქება
ამა ვაჟკაცზე.

ის შეიყვარა მეფის ასულმა
და სიხარულით ცაში ასულმა
არ უღალატა მიჯნურის სიტყვას.

გმირს ცოლად გაჰყვა! — და რა სჯობს ნეტა,
ოჯახში ქალს თუ ალქაჯს რომ ხედავ?!
ან მას უსმინეთ, ან რაიც ითქვა
ამა ვაჟკაცზე![1]

---

[1] ლექსები თარგმნილია ლევან ჭუბაბრიას მიერ.

თავი მეთხუთმეტე

საეკლესიო მჭევრმეტყველების შესახებ

1

ქრისტიანული ქადაგება სანახაობად გადაიქცა. ბიბლიური თვინიერება, რაც მას ასულდგმულებდა, გაქრა. მოქადაგეს ახლა მეტყველი სახე უნდა ჰქონდეს, კარგად დაყენებული ხმა, შესაბამისი ჟესტები, შერჩეული სიტყვების მარაგი და შესწევდეს უნარი გააჟიანუროს სხვადასხვა მოვლენებისა და ამბების მოყოლა. აღარავინ ცდილობს, ღრმად ჩასწვდეს ღვთიურ სიტყვათა აზრს. ქადაგება გადაიქცა აზარტულ თამაშად, სადაც ზოგი ერთმანეთს ეჯიბრება, ზოგი — სანაძლეოს დებს.

2

საერო მჭევრმეტყველებას, რომელიც სასამართლოს დარბაზებში ლემეტრის, პუსელისა და ფურკრუას მეოხებით აყვავდა, ახლა იქ ყავლი გაუვიდა და საეკლესიო კათედრაზე გადმოინაცვლა.

მჭევრმეტყველებამ საკურთხევლამდეც მიაღწია და წმიდა საიდუმლოებათა მოზიარე გახდა. მრევლი მოქადაგეს უსმენს, ერთს კიცხავს, მეორეს აქებს, მაგრამ ვერც ერთი და ვერც მეორე ვერ შთააგონებს განიმსჭვალონ ქრისტიანული სულით. ორატორი ერთს მოსწონს, მეორეს არ მოსწონს; ერთი კია, არავის გამოსწორებას არ ცდილობს და არც მრევლი იკლავს თავს გამოსწორებისათვის.

თვინიერი მოსწავლე მასწავლებელს უსმენს, მის გაკვეთილებს ყურად იღებს და თვითონაც მასწავლებელი ხდება. უჯიათი კაცი ქადაგებას აკრიტიკებს, თითქოსდა რომელიღაც ფილოსოფოსის წიგნი იყოს და საბოლოოდ არც ქრისტიანი ხდება და არც ჭკუას სწავლობს.

3

სანამ არ მოგვევლინება წმიდა წერილით შთაგონებული ადამიანი და ხალხს მარტივად, გასაგებად არ აუხსნის ღვთიურ სიტყ-

ვას, მანამდე ორატორებსა და რიტორებს თაყვანისმცემლები არ მოაკლდებათ.

4

საერო წიგნებიდან ამოღებულმა ციტატებმა, არაფრის მთქმელმა მინიშნებებმა, ყალბმა პათოსმა, ანტითეზებმა, ჰიპერბოლებმა ჭირი მოგვამათ. მოქადაგენი თავს დაანებებენ დიდებულ ადამიანთა პორტრეტების აღწერას და შეეცდებიან უბრალოდ განმარტონ სახარება, რაიც გულში წვდება მსმენელს და ჭეშმარიტ რწმენას შთააგონებს.

5

ბოლოს და ბოლოს გამოგვეცხადა კაცი, ვის გამოჩენასაც თუმც ესოდენ ვნატრობდი, მაინც არ მეგონა, რომ ჩვენს დროში დაიბადებოდა. კარისკაცები ტაშისცემით შეხვდნენ; ზოგს ეყო ჭკუა მართლაც მოსწონებოდა ეს ადამიანი, ზოგი კი ზრდილობის გამო აღფრთოვანდა. საოცარი რამ მოხდა, მეფის კაპელა მიატოვეს, რათა ხალხთან ერთად მოესმინათ ღვთის სიტყვა, წარმოთქმული ამ მოციქულისდარი კაცის მიერ. სატახტო ქალაქმა არ გაიზიარა სამეფო კარის აზრი, ეკლესიის წვრილფეხა მსახურებმა, თვით მნათეებმაც კი, მიატოვეს ტაძრები, სადაც იგი ქადაგებდა და ორატორთა მოსასმენად მომიჯნავე ეკლესიებს მიაშურეს. მხოლოდ მღვდლები მოერიდნენ მიებაძათ მათი მაგალითისთვის. მე ეს უნდა გამეთვალისწინებინა, როცა ვამბობდი საკმარისია ამგვარი კაცი გამოჩნდეს, გვერდიდან არავინ მოშორდება, ოღონდ ხმა ამოიღოს და ყველა სმენად იქცევა-მეთქი. განა არ ვიცოდი, რა მომნუსხველი ძალა აქვს ჩვევას ადამიანისთვისაც და ყველაფრისთვისაც! აგერ ოცდაათი წელია ხალხი უსმენს რიტორებს, ორატორებს, დეკლამატორებს და ჭკუა ეკარგება მათზე, ვინც მოუთხრობს ვრცლად და მოკლედაც. განა დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც მოქადაგენი ისე მოულოდნელად თხზავდნენ ენაკვიმატსა და თავბრუდამხვევ მჭევრმეტყველურ გადასვლებს, ისე ბრწყინვალედ ამთავრებდნენ სიტყვას, გეგონებოდათ ეპიგრამებს წარმოთქვამენო. გამოგიტყდებით, ახლა ოდნავ შეარბილეს, ოდნავ გაამარტივეს და მადრიგალებს დაამსგავსეს. ქადაგება მათემატიკური სიზუსტით გთავაზობთ სამ განყოფილებას: პირველ განყოფილე-

ბაში ამასა და ამას გიმტკიცებთ, მეორეში — სხვა რაღაცას, მესამეში — ისევ ამ რაღაცას. ამგვარად, უპირველეს ყოვლისა, შეიტანობთ ერთ ჭეშმარიტებას და ეს იქნება პირველი განყოფილება; მერე მეორე ჭეშმარიტებას, — ესეც მეორე განყოფილება; ბოლოს მესამე ჭეშმარიტებას, — ეს კი მესამე განყოფილებაში ხდება. პირველ განყოფილებაში შეისწავლით სარწმუნოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან დოგმას, მეორე განყოფილებაში — მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვან დოგმას, ხოლო უკანასკნელში — მესამე და უკანასკნელ დოგმას. უფრო მეტად მნიშვნელოვანი უნდა შეგესწავლათ, მაგრამ დრო აღარ დარჩა და სხვა დღისთვის გადაიდო. დაბოლოს, რათა გადავხედოთ და ცოტაოდნავ შევამოკლოთ ქადაგება, უნდა შევადგინოთ გეგმა... „რაო, ისევ გეგმა!.. შესძახებთ თქვენ, — რა გრძელი შესავალია, ქადაგებისთვის ორმოცდახუთი წუთიც კი არ რჩება! რაც მეტს მიხსნიან და მიჩიჩინებენ, უფრო მეტად მაბნევენ!“ გეთანხმებით, როცა ერთ საკითხზე ათას მოსაზრებას გადმოგიშლიან და თავს უმოწყალოდ გაგიტენიან, სხვა შედეგი არც გახლავთ მოსალოდნელი. მქადაგენი ისე ჯიუტად მიჰყვებიან ამ ჩვეულებას, რომ, ჩანს, დარწმუნებულნი არიან, თითქოსდა მათ ვეებერთელა განყოფილებებზე იყოს დამოკიდებული რწმენაცა და ღვთის კურთხევაც. აბა როგორ უნდა განანათლონ მორწმუნენი ამ ყაიდის მოციქულებმა, თუკი მრევლი ძლივს იგებს მის ნათქვამს, ვერ წვდება ქადაგების აზრს და მსჯელობას ვერ მიჰყვება. ნებას თუ მომცემდნენ, უმორჩილესად ვთხოვდი ერთხანს შეეჩერებინათ მჩქეფარე ნიაღვარი სიტყვებისა, თვითონაც მოეთქვათ და მსმენელთათვისაც მოეთქმევინებინათ სული. ამაოებათა ამაოება! ქარს გატანებული სიტყვების კორიანტელი! წავიდნენ დრონი ბიბლიის სახალხო განმარტებისა, თვით წმიდა ვასილი და იოანე ოქროპირიც კი ვეღარ დააბრუნებენ მათ. ოღონდ არ მოესმინა მათი ხმა, მათი გულუშრყვილო ახსნა-განმარტებანი და სამწყსო კისრისტეხით გაიქცეოდა სხვა ეკლესიებში. ხალხის უმრავლესობას უყვარს მაღალფარდოვანი სიტყვები, ბრტყელ-ბრტყელი ფრაზები, აღტაცებით ისმენს იმას, რაც გაუგებარია და დარწმუნებული ბრძანდება დიდ სიბრძნეს ჩაწვდა, თუ არჩევანი მოახდინა პირველსა და მეორე განყოფილებას შორის, ანდა უკანასკნელსა და უკანასკნელის წინა ქადაგებას შორის.

6

ერთ საუკუნესაც არ გაუვლია მას შემდეგ, რაც ფრანგული წიგნის ფურცლები აჭრელებული იყო ლათინური ტექსტებით. აქაიქ თუ წააწყდებოდით რამდენიმე სტრიქონს ან სიტყვას, ფრანგულ ენაზე დაწერილს. ერთმანეთს მოჰყვებოდა ციტატები, ამონაწერები, შენიშვნები. ქორწინებისა და ანდერძის საკითხებში არაფერი წყდებოდა ოვიდიუსისა და კატულიუსის გარეშე, რომლებიც პანდექტებთან ერთად ეშველებოდნენ ქვრივ-ობლებს. სასულიერო საეროსთან ისე იყო შერწყმული, რომ საეკლესიო მერხზედაც არ შორდებოდნენ ერთმანეთს. აქედანვე გაისმოდა სიტყვები წმიდა კირილესი და ჰორაციუსის, წმიდა კიპრიანესი და ლუკრეციუსის; წმიდა ავგუსტინესა და ყველა წმიდა მამათა აზრთა დასაბუთებისათვის იშველიებდნენ ციტატებს პოეტების შემოქმედებიდან. მრავალი ხნის განმავლობაში სამწყსოს ლათინურ ენაზე უქადაგებდნენ. დედაკაცებსა და მნათეებს ბერძნულად ესაუბრებოდნენ. დიდად განათლებული უნდა ყოფილიყავი, რომ აგრე უმსგავსად გექადაგა. შეიცვალა დრო, შეიცვალა ჩვეულებანი. ტექსტი ისევ ლათინური დარჩა, მაგრამ ქადაგებენ ფრანგულ ენაზე და შესანიშნავ ფრანგულ ენაზედაც. სახარებიდან აღარავის მოჰყავს ციტატები: დღეს კარგად რომ იქადაგო, თითქმის არაფერი უნდა იცოდე.

7

დიდი ქალაქების საეკლესიო მერხებს როგორც იქნა ჩამოაცილეს სქოლასტიკური ღვთისმეტყველება და განდევნეს დაბებსა და სოფლებში, რათა იქ განანათლოს და ღვთაებრივი შუქი მოჰფინოს მიწის მხვნელებსა და მევენახეებს.

8

ხალხს თუ მოსწონს ქადაგება ფერადოვანი სტილის, გასაგები მორალის, მოსწრებული განმეორებების, ბრწყინვალე გამოთქმებისა და ხატოვანი აღწერების გამო, ეს მოქადაგის გონიერებაზე მიუთითებს. მაგრამ ეს როდი კმარა. ჭეშმარიტად მაღალგონიერი მო-

ქადაგე უარყოფს ამ უცხო სამკაულს, რაკი არ ჩათვლის ღირსად სახარებისა. იგი ქადაგებს უბრალოდ, მგზნებარედ, ქრისტიანულად.

9

ორატორი ისე ლაზათიანად აღწერს ზოგიერთ მანკიერებას, ისეთ ორაზროვან წვრილმანებზე ამახვილებს ყურადღებას, ისე დახვეწილი და ფაქიზი გემოვნებითა და აზრით აღვსილს წარმოგვიდგენს, რომ თუ უმალ არ მიჩნდება სურვილი დავემსგავსო ცოდვილს, ყოველ შემთხვევაში, უთუოდ მჭირდება, რომელიმე მოციქული მომევლინოს და ორატორ-მოქადაგეზე უფრო ქრისტიანული შეგონებით გული ამიყაროს მანკიერებაზე, რაიც ესოდენ წარმტაცად ამიწერეს.

10

კარგი ქადაგება ორატორული ხელოვნებისა და ადამიანური მჭევრმეტყველების ყველა კანონის და წესის მიხედვით აგებული, რიტორიკის ყველა სამკაულით აღკაზმული, ყოველი ნაკლისგან განწმენდილი მოხსენებაა. ვისთვისაც ყოველივე ეს ზედმიწევნით გასაგებია, უყურადღებოდ არ ტოვებს არც ერთ მოსაზრებას, არც ერთ წვრილმანს. არ უჭირს ჩაწვდეს ორატორის მსჯელობას არც მაშინ, როცა დინჯად ჩამოთვლის ფაქტებს და არც მაშინ, როცა აღზევდება მჭევრმეტყველების მწვერვალებზე. ყოველივე მხოლოდ ხალხისთვის რჩება გამოცანად.

11

რა შესანიშნავი, რა ჭკუის სასწავლებელი ქადაგება მოვისმინეთ ახლახან! განხილული იყო ქრისტიანული რელიგიის ძირითადი დოგმა, ჭეშმარიტ რწმენაზე ადამიანთა მოქცევის გადაუდებელი ამოცანები. რა წარუშლელი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა მას მსმენელთა სულიერსა და გონებრივ სამყაროზე! აგერ ისინი მიდიან ეკლესიიდან, იმდენად აღელვებულნი და აფორიაქებულნი, რომ ლამის გულში გადაწყვიტონ, თეოდორის ეს ქადაგება წინა ქადაგებას სჯობდაო.

12

ზნეობის საკითხებში ლმობიერება და შემწყნარებლობა ქადაგებისთვის საზიანოა. ამ მხრივ, არაფერი უღვივებს ცნობისმოყვარეობას ერისკაცს, რომელსაც უფრო ნაკლებ, ვიდრე ჰგონიათ, ეშინია მკაცრი ჭკუის სწავლებისა, პირიქით, იწონებს კიდეც, როცა მოვალეობის აღსრულებისას სიმკაცრეს ქადაგებს ვინმე. როგორც ვხედავთ, ეკლესიაში სიმკაცრის დამცველთა ორი ჯგუფია შექმნილი. ერთნი ვალდებულნი არიან თქვან სიმართლე და მხოლოდ სიმართლე, ყოველგვარი შენიღბვისა და შელამაზების გარეშე; მეორენი კი ხარბად და აღტაცებით უნდა უსმენდნენ მათ, ქება-დიდებას ასხამდნენ და იცხოვრონ ისე, როგორც ცხოვრობდნენ, არც უკეთესად და არც უარესად.

13

უზენაესი სათნოებით აღვსილ ადამიანებს შეიძლება ვუსაყვედუროთ, რომ მათ შერყვნეს მჭევრმეტყველება, ყოველ შემთხვევაში, მოქადაგეთა უმრავლესობას სტილი შეუბღალეს. ნაცვლად იმისა, რომ ხალხისთვის ხმა აეწყოთ და ასეთი იშვიათი ძღვენის გამო მადლი შეეწირათ მამაზეციერისთვის, მოქადაგენი შეუკავშირდნენ მწერლებსა და პოეტებს, მათსავით მეხოტბენი გახდნენ და აჯობეს კიდეც მისაძღვნელი ეპისტოლეების, სტანსების და პროლოგების თხზვაში. საღმრთო წერილი შეცვალეს ხოტბის ნაკადით; ხოტბა თუმც სამართლიანი გახლავთ, მაგრამ უადგილო ადგილას არის ჩაჩხირული, რაკი ანგარებითაა ნაკარნახევი და რაც მთავარია, მეხოტბეობა დამამცირებელია მათი წოდებისთვის. იმის გამოც დიდად ბედნიერად ვგრძნობთ თავს, თუ საკურთხეველის წინ გმირს ქება-დიდებით იხსენიებენ და ორიოდე სიტყვა მაინც წამოსცდებათ საღმრთო წერილიდან ან წმიდა საიდუმლოებიდან, რაიც მათი ქადაგების ერთადერთი საგანი უნდა იყოს. ისიც მომხდარა, რომ მოქადაგეს მხოლოდ ერთი მსმენელისთვის მოუმზადებია განმარტება წმიდა სახარებისა, რომელიც ყველასთვის უნდა იყოს მისაწვდომი. შეუტყვია, ის კაცი, რაღაც მიზეზით ვეღარ მოვაო და ისე დაბნეულა, რომ ვეღარ მოუხერხებია ქრისტიანთა წინაშე წარ-

მოეთქვა ქრისტიანული სიტყვა, რაც მათთვის არ იყო განკუთვნილი. იძულებული გამხდარა ადგილი სხვა ორატორისთვის დაეთმო და იმასაც ჰაიჰარად შედგენილ ქადაგებაში სხვა ვერაფერი უთქვამს და ღმერთისთვის შეუსხამს ხოტბა.

14

მსმენელებს ეშინოდათ, რომ თეოდული უფრო ბრწყინვალედ იქადაგებდა. კმაყოფილნი არიან თეოდულითაც და მისი სიტყვითაც. მერე რა, თუ არ დაატყვევა მათი გონება და სმენა, სამაგიეროდ შურიც ნაკლები აღუძრა.

15

მოქადაგენი სამხედრო პირებს მიაგვანან. უფრო მეტ რისკზე მიდიან, ვიდრე სხვა პროფესიის ადამიანები, მაგიერ უფრო სწრაფად იკვლევენ გზას მაღალი მდგომარეობისკენ.

16

საკმაოდ კარგი მდგომარეობა თუ გაქვთ შექმნილი საზოგადოებაში და სხვა ნიჭი არა გაგაჩნიათ რა, გარდა იმისა, რომ შეგწევთ უნარი გაჭიანურებულად ილაპარაკოთ, იქადაგეთ, წარმოთქვით მოსაწყენი სიტყვები. კაცს თუ წინ წაწევა სურს, უთუოდ უნდა მოიხვეჭოს კარგი ან ავი სახელი და თუ არავინ იცნობს, ვერც ვერაფერს მიაღწევს. თეოდატი ერთფეროვნად და გულისგამაწვრილებლად ქადაგებდა, ამიტომაც ყოველგვარი მოწყალება უბოძეს.

17

უწინ დიდი ეპარქიებით აჯილდოებდნენ ისეთ მოქადაგეებს, რომელთაც დღეს უბრალო მრევლსაც კი არ მიაშვებენ.

18

პანეგირიკოსი ძლივს ითქვამს სულს ტიტულების ტვირთქვეშ. მისი სახელი ბრწყინავს ვეებერთელა აფიშებზე, რომელთაც კარ-

დაკარ დაატარებენ და ქუჩებშიაც აკრავენ. ისეთი უზარმაზარი შრიფტითაა დაბეჭდილი, რომ არ შეიძლება თვალში არ მოგვხვდეს ისევე, როგორც შეუძლებელია ქალაქის მოედანი არ შენიშნო. მისი სახელის ამ ბრწყინვალე გამოფენას შეხედავ და უთუოდ გაიცნობ მის პიროვნებასა და მოუსმენ მის სიტყვას. ამის შედეგად დარწმუნდები, აფიშებზე ჩამოთვლილ მის უამრავ დამსახურებათა შორის არ შეიმჩნევა ერთი, — უხეირო მოქადაგის ტიტული.

19

დედაკაცების უსაქმურობა და მამაკაცების ჩვეულება, მიირბინონ იქ, სადაც ქალები თავს იყრიან, უმსგავს მოქადაგეს სახელს უთქვამს და დახმარებას უწევს მაშინაც, როს მისი მზე ჩაესვენება.

20

განა არ კმაროდა სააქაოში ესოდენ აღზევებული და ძლევაშოსილი რომ იყო, გარდაცვალების შემდეგაც წმიდათაწმიდა საკურთხევლის წინ, საეკლესიო კათედრიდან მოძღვარს რომ არ ექო და არ განედიდებინა იგი იმისდა მიუხედავად იყო თუ არა ამის ღირსი? ნუთუ მაღალი წარმოშობისა და გავლენიანობის გარდა სხვა სიდიადე არა არსებობს რა? რატომ არ დაგვიმკვიდრებია ჩვეულება, საჯაროდ მივუძღვნათ პანეგირიკი ადამიანს, რომელიც მთელი სიცოცხლე იყო გულკეთილი, სამართლიანი, მომთმენი, მოყვასის ერთგული და ღვთისმოსავი? ეგრეთწოდებული გამოსათხოვარი სიტყვა მსმენელთა უმრავლესობას დღეს იმდენად უფრო მეტად მოსწონს, რამდენადაც მეტად სცილდება ქრისტიანულ სულისკვეთებას და, თუ გნებავთ, რამდენადაც მეტად უახლოვდება საერო მჭევრმეტყველებას.

21

თავისი ქადაგებით ორატორი საეპისკოპოსო მრევლის ხელში ჩაგდებას ცდილობს. ჭეშმარიტი ღვთის მსახური კი იღვწის სამწყსოს ქრისტიანული სული შთაბეროს. იგი ღირსია მიიღოს ის, რისკენაც პირველი ისწრაფის.

22

გვინახავს ისეთი ღვთისმსახურნი, რომელთაც ცოტა ხნის წინათ შორეულ ქვეყნებში უმოგზაურიათ და იქიდან დაბრუნებულები მოჰყოლიან ტრაბახს, ქრისტიანობა ამდენსა და ამდენს მივაღებინეთო. სინამდვილეში ზოგი დიდი ხნის წინათ ყოფილა მონათლული, ზოგს კი სულაც არ მიუღია ღვთის რჯული. ამას არად დაგიდევენ მოძღვარნი ჩვენნი, ვენსანსა და ქსავიეს ეტოლებიან. თავი მოციქულებად მოაქვთ და დარწმუნებულნი ბრძანდებიან ასეთი თავდადებული შრომა და კეთილშობილი საქმიანობა იმდენად მაღალი დაფასების ღირსია, რომ სააბატოს მიღება სათაკილოდაც კი მიაჩნიათ.

23

აი ამ კაცმა, ერთხელაც რომ არ უფიქრია ამაზე, უცბად საწერ-კალამი აიღო და გადაწყვიტა, წიგნი უნდა დავწეროო. არავითარი ნიჭი არ გააჩნია, მხოლოდ ორმოცდაათი პისტოლი სჭირდება. როგორ ვეხვეწე, ვემუდარე, ხერხი აიღეთ, დიოსკორ, დახერხეთ, ან გაქლიბეთ, ანდა ბორბლის ფერსო გააკეთეთ, არანაკლებ გასამრჯელოს მიიღებთ-მეთქი. თურმე ნუ იტყვით. არც ერთი ხელობა არ უსწავლია. არადა, რაღაც გადაწერეთ, შეასწორეთ, ბოლოს და ბოლოს, სტამბის კორექტორობას მოჰკიდეთ-მეთქი ხელი. ნურას უკაცრავად, ნებავს წეროს და დასტამბოს. რამეთუ სტამბაში სუფთა რვეულს არ გზავნიან, ჯღაბნის რაც მოეპრიანება; სიამოვნებით დაწერდა, სენა პარიზს ჩამოუდის, კვირაში შვიდი დღეა, წვიმსო. და რაკი ასეთ განაცხადს რელიგიისთვისა და სახელმწიფოსთვის ზიანი არ მოაქვს და არც ხალხს უშავებს რამეს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ გემოვნებას უფუჭებს და აჩვევს ყოვლად უაზრო და უხამსი რამეების კითხვას, გაივლის ცენზურასაც და დაიბეჭდება კიდეც. ის კი არა, მეორედაც გამოიცემა, რაოდენ სავალალო და თავლაფდამსხმელიც უნდა იყოს ჩვენი საუკუნისთვის და გამოჩენილი მწერლებისთვის. ეგ კიდევ რა, ერთმა კაცმა გაიფიქრა, უნდა ვიქადაგოო და ქადაგობს კიდეც. აგერ მერხზე დგას, არავითარი მოწოდება და ნიჭი არ გააჩნია, მარტო შემოსავლიანი მრევლი სჭირდება.

24

საერო მისწრაფებებით გამსჭვალული და ურწმუნო ღვთისმსა-ხური თუ საეკლესიო მერხზე დადგა, დეკლამატორი ხდება.

ხოლო წმიდა ადამიანი გარეგნობითაც კი ნდობას აღუძრავს ხალხს. საეკლესიო მერხზე ავა თუ არა, მის მოსასმენად გამზადებულ სამწყსოს მღელვარება ეუფლება; მისი შეხედვა ჭეშმარიტ რწმენას უღვივებს, სიტყვები მისი განუმტკიცებს ყოველგვარ სათნოებას.

25

ქალაქ მოს ეპისკოპოსი და მამა ბურდალუ დემოსთენესა და ციცერონს მაგონებენ. საეკლესიო მჭევრმეტყველების ამ ორ დიდოსტატს თავიანთი დიდებული წინამორბედის ბედი ეწია. ერთმა უმსგავსი კრიტიკოსები მოამრავლა, მეორემ — უხეირო მიმბაძველები.

26

საეკლესიო მჭევრმეტყველება რთული დარგია, რადგან საერო და საორატორო ნიჭიერების საწყისები ყველასგან დაფარულია და მარტოოდენ მცოდნეთათვისაა თვალსაჩინო. დიდი ოსტატობაა საჭირო, რომ მოსაწონიც გახდე და ჭკუის დარიგებაც შეძლო! გაკვალული გზებით უნდა იარო, თქვა, რაც ყველას ადრე გაუგონია და წინასწარ იცის, რასაც იტყვი. მისი საგანი უაღრესად მნიშვნელოვანია, მაგრამ გაცვეთილი და ჩვეულებრივი. დებულებები უდავოა, მათგან გამომდინარე დასკვნები — ყველასთვის ცნობილი. მისი თემა ამაღლებულია, ხოლო ამაღლებულის განხილვის უნარი განა ყველას შესწევს? წმიდა საიდუმლოებას განიხილავს, მაგრამ კატეხიზმოს გაკვეთილზე უკეთესად განმარტავენ მას, ვიდრე ორატორი თავის ქადაგებაში. თვით ზნეობრივ საკითხებზეც კი, რაიც ისევე ვრცელია და მრავალფეროვანი, როგორც მრავალმხრივია ადამიანთა წესჩვეულებანი, მოქადაგე ერთფეროვნად მსჯელობს, სულ ერთი ღერძის ირგვლივ ტრიალებს, აღწერს ერთსა და იმავე სურათებს და თვით სატირაზე უფრო ვიწრო ჩარჩოში იკეტება. სიმდიდრის, სიამტკბილობისა და ფუჭი თაყვანისცემის ჩვეულებ–

რივი განქიქების შემდეგ ორატორს სხვა არა დარჩენია რა, სასწრაფოდ უნდა მოათავოს სიტყვა და მრევლი შინ გაისტუმროს. ხანდახან ხალხი თუ აღელდება და ატირდება, ჩვენ თავისას მივუზღავთ მოქადაგის ნიჭს და გარეგნობას, მაგრამ იმასაც დავძენთ, რომ ამ შემთხვევაში ღაღადებს თვით საუბრის თემა, რომელთანაც ჩვენი ყველაზე სანუკვარი სურვილებია დაკავშირებული. თანაც, უნდა გამოვტყდეთ, ჩვენ მოქადაგის მჭევრმეტყველების ჭეშმარიტი ნიჭი იმდენად კი არ გვათრთოლებს და გვიტაცებს, რამდენადაც გვიპყრობს მისი მჟღერი ხმა და გაშლილი მკერდი. დაბოლოს, მოქადაგე ადვოკატისგან განსხვავებით, მსმენელის ყურადღებას ვერც ცხელცხელი ამბების, ვერც ნაირ-ნაირი შემთხვევების და ვერც განსაცვიფრებელი თავგადასავლების მოყოლით ვერ დაატყვევებს. მას არ ევალება ბუნდოვანი საკითხები გადაწყვიტოს და მოულოდნელი ვითარებანი წინასწარ განჭვრიტოს და მიაკვლიოს. დიახ, იგი მოკლებულია ყოველივე იმას, რაც ორატორის გენიას მატებს ძალას და გაქანებას, რათა აკიაფდეს და გაიბრწყინოს და რაც დაბრკოლებას კი არ უქმნის მგზნებარე მჭევრმეტყველებას, პირიქით, ყოველმხრივ ეხმარება და სწორ მიმართულებას აძლევს. რა ქნას მოქადაგემ; იძულებულია მიადგეს იმ წყაროს, რომლითაც ყველა სარგებლობს. ყველასთვის ცნობილ ჭეშმარიტებას თუ გადაუხვია, მისი ქადაგება ბუნდოვანი, განყენებული, გაუგებარი დეკლამაცია ხდება და საზარებასთან აღარაფერი რჩება საერთო. მოქადაგე აღჭურვილი უნდა იყოს მხოლოდ ერთი თვისებით, — კეთილშობილური უბრალოებით, რაიც ადვილი მისაღწევი როდი გახლავთ, რაკი იშვიათი ტალანტია და ჩვეულებრივი მოკვდავისთვის მიუწვდომელია. ხოლო ვისაც მომადლებია იგი, მაღალი ნიჭიერების, შთაგონების, განსწავლულობისა და დიდი მეხსიერების წყალობით განრიდებია მას.

ადვოკატის საქმიანობა ძნელია, დამქანცველი და იმათგან, ვინც მას მისდევს, ღრმა ცოდნას და განსაკუთრებულ ნიჭს მოითხოვს. მოქადაგეს თუ შეუძლია მოცალების ჟამს მიცვალებულთან გამოსათხოვარი სიტყვა მოამზადოს და ჭკუის დამრიგებლური კილოთი ზეპირად წარმოთქვას ისე, რომ ვერავინ გაბედავს გააწყვეტინოს სიტყვა, რასაც მსმენელთა წინაშე ოდნავ შეცვლილი სახით არაერთხელ გაიმეორებს დიდი წარმატებით, ადვოკატზე ამას ვერ ვიტყვით. იგი მეტად რთულ დასაკავ სიტყვას ამბობს მოსამართ-

ლეების წინაშე, რომელთაგან ერთს უფლება აქვს სიტყვა სულ არ მისცეს, მეორეს კი — ხმა გააკმენდინოს. პასუხის გასაცემად მუდამ მზად უნდა იყოს. ერთსა და იმავე დღეს სხვადასხვა საქმეზე და სხვადასხვა სასამართლოში გამოდის. თავისი სახლი მისთვის არ არის დასვენების, განმარტოებისა და მყუდროების სავანე, სადაც ვერ შეიჭრება ვერც ერთი მომჩივანი. ადვოკატის კარი ღიაა ყველასთვის, ვინც მასთან მოდის, რათა შეკითხვებითა და ეჭვებით სული შეუწუხოს. იგი ლოგინში არ წვება. ნელსაცხებლებით ტანს არვინ უზელს, გამაგრილებელ სასმელებს არვინ უმზადებს. მის ოთახში ყველა მდგომარეობისა და ყველა სქესის წარმომადგენლები თავს არ იყრიან და ხოტბას არ ასხამენ მის ნატიფ მეტყველებას, დახვეწილ გამოთქმებს. არც ნუგეშს სცემენ, რაკი ერთ ადგილას კინაღამ წაიფორხილა; არც ამშვიდებენ და გულიდან ჯავრს არ უყრიან, თუ ერთ პროცესს ისე ვერ გადააკლა თავი, როგორც სჩვეოდა. გრძელ-გრძელი დასაცავი სიტყვების შემდეგ გრძელ-გრძელი საქმეთა წერით ისვენებს. ერთ შრომას მეორე შრომით ცვლის, ერთ ტვირთს — მეორე ტვირთით. გავბედავ და ვიტყვი: ადვოკატი თავის დარგში არ გახლავთ ის, რაც ოდესღაც იყვნენ პირველი წინასწარმეტყველნი.

ამგვარად, სამართლის მჭევრმეტყველებისა და ადვოკატის საქმიანობის და მასთან ერთად, საეკლესიო მჭევრმეტყველებისა და ქადაგის მოწოდების განსაზღვრის შემდეგ, ცხადი ხდება, რომ ქადაგება უფრო ადვილია, ვიდრე დაცვა, მაგრამ გაცილებით ძნელია კარგად ქადაგება, ვიდრე კარგად დაცვა.

27

დაწერილ ნაშრომთან შედარებით რა დიდი უპირატესობა აქვს წარმოთქმულ სიტყვას! ადამიანებს ხიბლავთ ხმა, ხელის მოძრაობა და გარემო, სადაც ისინი იმყოფებიან. მოსაუბრის მიმართ თუ ოდნავ კარგად არიან განწყობილნი, თავდაპირველად აღტაცებით შესცქერიან და მერე უკვირდებიან, რას ამბობს იგი. ჯერ პირი არ გაუღია მსმენელი კი გაიძახის, რა გადასარევად ლაპარაკობსო: შალე ძილს მისცემს თავს და სიტყვა დამთავრდება თუ არა, გაიღვიძებს, რათა კვლავ შესძახოს, რა გადასარევად ლაპარაკობსო. მწე-

რალს ნაკლები თაყვანისმცემელი ჰყავს: მის წიგნს სოფლის ან სამუშაო ოთახის სიმყუდროვეში, თავისუფალ დროს კითხულობენ. მწერლისთვის ტაშის დასაკრავად ხალხი თავს არ იყრის ერთად, არც იმაზე ზრუნავს, რომ პირი შეკრას და მის მეტოქეებს შეუტიოს, ანდა მას პრელატის ჩინი მოუპოვოს. რაც უნდ შესანიშნავი წიგნი იყოს, მაინც ისე არიან გამსჭვალულნი წინასწარ შეგონებული აზრით, უთუოდ საშუალო ღირსებისა იქნებაო, რომ მხოლოდ ფურცლავენ, სხვადასხვა ადგილს ერთმანეთს ადარებენ და აკრიტიკებენ. ეს ხომ ბგერები არაა, ჰაერში რომ გაიფანტოს და დავიწყებას მიეცეს. დაბეჭდილი დაბეჭდილად რჩება. ხშირად, სანამ წიგნი გამოვიდოდეს, მოუთმენლად ელიან, ერთი სული აქვთ, სანამ ხელში ჩაიგდებდნენ და გაბდღვნიდნენ. უდიდესი ნეტარება, რასაც წიგნი განაცდევინებთ, მისი განქიქება გახლავთ. ყოველ გვერდზე რაღაც მოსაწონს თუ წააწყდნენ, ბოღმით ივსებიან და, ვაითუ გაგვიტაცოსო, მიაგდებენ, სწორედ იმიტომ, რომ კარგია.

ვერვინ გაბედავს, ან არვინ მოისურვებს, თავი გამოიდოს, გინდა თუ არა დალაგებულად და ხატოვნად ვლაპარაკობ და შესანიშნავი მეხსიერება მაქვსო. ამასთან, უფლებამოსილია სამღვდლო ტანსაცმელი ატაროს და იქადაგოს. და პირიქით, ყველა დარწმუნებულია, რომ კარგად აზროვნებს და უფრო უკეთესად წერს. ამიტომაც, იმის მიმართ, ვინც მასავით კარგად ფიქრობს და წერს, მტრულადაა განწყობილი. ერთი სიტყვით, ჭკუის დამრიგებელი მოქადაგე უფრო ადრე გახდება ეპისკოპოსი, ვიდრე მაღალნიჭიერ მწერალს რომელიმე უბრალო მონასტრის წინამძღვრად დანიშნავდნენ. მოქადაგე დიდებულთა მოწყალებითა და საჩუქრებით ივსება, ხოლო დიდი მწერალი იმითაც კმაყოფილია, თუ რაც აქვს, ის მაინც შერჩება.

28

როცა ბოროტ ადამიანებს სძულხართ და გდევნიან, კეთილნი გირჩევენ, ღმერთის წინაშე თავი დაიმდაბლოთ და არ აჰყვეთ პატივმოყვარულ გრძნობებს, რაც შეიძლება გაგიჩნდეთ იმის გამო, რომ თქვენს მტრებს არ მოსწონხართ. ასევე, ზოგიერთი ყოველივეს შუალანად ნათლავს და სასამართლოში, ეკლესიაში თუ სადმე სხვა-

გან თქვენს მიერ წარმოთქმულ სიტყვას, ან თქვენს მიერ დაწერილ წიგნს აქიაქებს. თავმდაბლობა გმართებთ, რადგან საშიშია არ აჰყვეთ მეტად შემპარავსა და დახვეწილ ცდუნებას, — ზვაობას.

29

მე ვფიქრობ, რომ მოქადაგემ თავის ყოველ გამოსვლას საფუძვლად უნდა დაუდოს ჭეშმარიტება, რაიც უთუოდ უნდა იყოს არსებითი, მრისხანე და დამრიგებლური. განიხილოს იგი დაწვრილებით და ამომწურავად, ხოლო აგრე რიგად ნაძალადევ, ჭკუანაჭყლეტ, გაპრიალებულსა და გადაღეჭილ ყოველგვარ განყოფილებას თავი ანებოს. ნუ იფიქრებს, თითქოსდა დიდებულთა და მაღალ საზოგადოებას ქრისტიანული სარწმუნოება და საკუთარი მოვალეობანი კარგად ესმოდეთ. ამ ჭკუის კოლოფებსა და ყოვლისმცოდნეებს თამამად შეასწავლოს კატეხიზმო. ჯობს, ის დრო, რასაც გაჭიანურებული ქადაგების შეთხზვას ალევს, სათქმელი მასალის ღრმად გააზრებას მოანდომოს, რათა სიტყვები და გამოთქმები თავისთავად იბადებოდნენ და მისი გულის სიღრმიდან მოედინებოდნენ. ამგვარი მომზადების შემდეგ მიენდოს და მიჰყვეს თავის ნიჭსა და თემის სიდიადით შთაგონებულ შინაგან თრთოლვას. მაშინ აღარ დასჭირდება უსაზღვროდ დაატანოს ძალა მეხსიერებას, რაიც შეეფერება კაცს, სანაძლეოს რომ დებს და არა იმას, ვისაც დიდი საქმე უკისრია და გონების ამგვარი ძალდატანება მიხრა-მოხრას უბორკავს და სახეს უმანჭავს. პირიქით, მოქადაგემ ლაღად უნდა გაშალოს ფრთები, აღიგზნოს თავად, აღაგზნოს სხვებიც, დაიპყროს გონება მათი და გულში მღელვარება ჩაუღვენთოს. მსმენელს აღუძრას შიში, შიში არა იმისა, რომ მოქადაგე საცაა წაიფორხილებს, არამედ სულ სხვა შიში, სულ სხვა მიზეზით გამოწვეული.

30

დე, იმას, ვინც ჯერ იმდენად არ არის სათნო და ქველი, რომ ივიწყებდეს საკუთარ თავს, როცა ღვთიურ სიტყვებს ქადაგებს, ნუ შეაშინებს მისთვისაც სავალდებულო მკაცრი წესები, თითქოსდა ეს წესები ჭკუის გამოჩენისა და მისთვის ესოდენ სანატრე-

ლი მაღალი თანამდებობის დაპყრობის შესაძლებლობას უსპობდნენ. რა ზეგარდმო ნიჭი მომადლებია იმას, ვინც მოციქულთა დარად ქადაგებს და ვინ, თუ არა იგი, იმსახურებს წოდებას ეპისკოპოსისა? განა ფენელონი ამის ღირსი არ იყო? განა შეფეს არჩევანი შეეშლებოდა, რომ მისთვის სულ სხვა ადგილი არ ჰქონოდა განკუთვნილი?

თავი მეთექვსმეტე

თავისუფლად მოაზროვნეთა შესახებ

1

თუ იციან თავისუფლად მოაზროვნეებმა, რომ ამ სახელს მათ ირონიით უწოდებენ? იმაზე დიდი სისუსტე განა შეიძლება, თუ ადამიანს აეკვეს საკუთარი არსებობა, ყოფიერება, გრძნობები, ცოდნა და მიწიერი ცხოვრების დასასრული? რარიგ სამწუხაროა, თუ წარმოიდგენს, თითქოსდა მისი სული ისევე მატერიალურია, როგორც ქვა და ისევე ხრწნადი, როგორც ამაზრზენი ქვეწარმავლები არიან. განა უსაზღვრო ძალას და სიდიადეს არ მატებს ჩვენს გონებას შეგნება იმისა, რომ ვართ ყველა სულიერზე უმაღლესი არსებები, მათი შემქმნელნი და მომწესრიგებელნი. — არსებები სრულყოფილზე სრულყოფილნი, უბიწონი, დაუსაბამონი და უსასრულნი; ხოლო სული ჩვენი არის ხატი ჩვენი, გავბედავ და ვიტყვი, ნაწილი ჩვენი, უხორცო და უკვდავი.

2

მორჩილნი და სუსტნი შთაბეჭდილებებს ერთნაირად აღიქვამენ, მაგრამ პირველნი კარგს ითვისებენ, მეორენი — ავს; სხვაგვარად რომ ვთქვათ, პირველნი დამყოლნი და საიმედონი არიან, მეორენი — ჯიუტნი და გახრწნილნი. ამგვარად, მორჩილი სული ჰეშმარიტ სარწმუნოებას ეზიარება, სუსტი სული არც ერთ სარწ-

მუნოებას არ იღებს და თუ იღებს, მხოლოდ ცრუს. თავისუფლად მოაზროვნეს ან არავითარი რელიგია არ გააჩნია, ანდა თვითონვე იქმნის სარწმუნოებას. მაშასადამე, მას ძლიერი კი არა, სუსტი სული ჰქონია.

3

მე ვუწოდებ მიწიერთ, გაუთლელთ, ამქვეყნიური ამაოებით გატაცებულთ იმ ადამიანებს, ვისი სული და გული მიჯაჭვულია სამყაროს ერთ პაწია ნაფლეთზე, სადაც თვითონ ცხოვრობენ და რასაც სახელად დედამიწა ჰქვია; ვისაც ამის მეტი არაფერი უყვარს და არაფერი მოსწონს; ვისი გონებაც ისევე შეზღუდულია, როგორც მათი არპანებად გამოთვლილი და მიჯნებით შემოსაზღვრული სამფლობელოები და მამულები. იმდენად ნამცეცაა მათი საყრდენი წერტილი, რომ სულ არ მიკვირს, თუ მაშინვე ატორტმანდებიან, როგორც კი თავს ოდნავ დაატანენ ძალას და ჭეშმარიტების შეცნობას მოიწადინებენ. იმდენად მოკლეა მათი თვალსაწიერი, რომ არ ძალუძთ მზისა და ვარსკვლავების უსასრულო სივრცე განჭვრიტონ და იხილონ ღმერთი. რაკი ვერ ჩაწვდომიან სულის მშვენიერებასა და უმწიკვლობას, რაღა თქმა უნდა, ვერც ხვდებიან, რაოდენ აღზევებულია იგი დედამიწასა ზედა და რაოდენ ძნელია მისი დაწყურვება; რაოდენ სასურველია მისთვის არსება უებროდ სრულყოფილი, რაიცა არის ღმერთი და რაოდენ ძვირფასია სარწმუნოება, რამეთუ მტკიცე საყრდენია მისი არსობისა და მიუძღვება ჭეშმარიტების გზაზე. ჩემთვის ადვილი გასაგებია, ამგვარი სულის ადამიანები თუ გულგრილნი არიან სარწმუნოებისადმი და უფალსა და მის მსახურებს უქვემდებარებენ პოლიტიკას, რაც საკაო ცხოვრებას აწესრიგებს და ამშვენებს და რაც, მათი აზრით, ადამიანის ერთადერთი საზრუნავი უნდა იყოს.

4

ზოგიერთს საბოლოოდ ხრწნის ხანგრძლივი მოგზაურობა და აკარგვინებს იმ მცირე რწმენასაც, რაც კიდევ ჰქონდა შერჩენილი. გზადაგზა სხვადასხვა სარწმუნოებას, სხვადასხვა რელიგიურ წესჩვეულებებსა და ადათებს ეცნობა და ეშსგავსება. იმას, ვინც დუ-

ქანში შედის და წინასწარ არ მოუფიქრებია, რომელი ქსოვილის ყიდვა სურს. უჩვენეს უამრავი ქსოვილი; თითოეულს თავისი პეწი აქვს და ლაზათი. არჩევა ვეღარ მოახერხა, დუქნიდან ისე გავიდა, რომ ვერაფერი ყიდა.

5

ზოგი მზადაა ღვთისმოსავი და მორწმუნე იმ პირობით გახდეს, თუ მთელი ქვეყანა თავზე ხელს აიღებს, ღმერთს განუდგება და ამრიგად ჩაითვლება გონებაშეზღუდულადა და მდარე გემოვნების პატრონად. მაშინ თავად რჩეულთა რიცხვში მოხვდება და განაცხადებს, მოდას და ხალხის ხმას მხოლოდ წვრილმანებში მივყვები, ხოლო ისეთ სერიოზულსა და მნიშვნელოვან საკითხებში, როგორიცაა რელიგია, დამოუკიდებელი გახლავართო. საიქიო არსებობისთვის ზრუნვა დიდ გმირობადა და სიმამაცედ მიაჩნიათ და ამასთან ფიქრობენ, თითქოს განსაზღვრული წოდების, ცოდნისა და მსოფლმხედველობის მქონე პიროვნებას არ ხამს სწამდეს ისე მიამიტად, როგორც მეცნიერებსა და მდაბიოთ სწამთ.

6

ჯანსაღ ადამიანს ღმერთის არსებობაში ისევე ეპარება ეჭვი, როგორც საეჭვოდ მიაჩნია, რომ სიძვის დიაცთან დაახლოება დიდი ცოდვაა. როცა დასნეულდება, წყალმანკით გაიბერება, ტოვებს ზასას და მამაზეციერს იწამებს.

7

სანამ დაასკვნიდე, რომ თავისუფლად აზროვნებ და ღმერთი არ ეწამს, ჯერ კარგად უნდა დაუკვირდე საკუთარ თავს, ჩაიხედო გულის სიღრმეში და დარწმუნდე, შეგიძლია თუ არა მტკიცედ შეინარჩუნო მრწამსი და ისე მოკვდე, როგორც იცოცხლე; და თუ მიხვდები, რომ ამისთვის ძალა არ გეყოფა, ისე უნდა იცოცხლო, როგორც მოკვდები.

8

მომაკვდავი ადამიანისთვის ყოველგვარი ხუმრობა უადგილოა და თუ იგი განსაზღრულ საკითხებს ეხება, დამღუპველია. რარიგ შემზარავია, როცა სიკვდილის პირას მისული კაცი სულის ხსნაზე კი არ ფიქრობს, არამედ ენაკვიმატობს და სხვის გაცინებას ცდილობს.

რა აზრიც უნდა გვქონდეს შექმნილი საიქიო ცხოვრებაზე, თვით სიკვდილი იმდენად სერიოზული რამაა, ლაზღანდარობა კი არა, შეუპოვრობა შეეფერება.

9

ყოველ ჟამს არსებობდნენ მაღალი გონების, დიდად განათლებული ადამიანები, რომლებიც დიდებულებს ემონებოდნენ, მათ თავისუფალ აზრებს იზიარებდნენ და ამ უღელს სამარის კარამდე ატარებდნენ, თუმცა თავად სულ სხვანაირი მსოფლმხედველობა ჰქონდათ და სინდისიც სხვას უკარნახებდა. მთელი სიცოცხლე მხოლოდ მათთვის სულდგმულობდნენ და მათი სამსახური თითქოს ცხოვრების საბოლოო მიზნად მიაჩნდათ. ერცხვინებოდათ გასცილებოდნენ დიდებულებს, გამოეჩინათ საკუთარი ჭეშმარიტი არსი და უსაზღვრო მოწიწების ან სისუსტის შედეგად თავს იღუპავდნენ. ნუთუ ამქვეყნად მოიძებნებიან ისეთი დიდებული დიდებულები, ისე წარჩინებული წარჩინებულნი, რომ მათი ნება-სურვილის შესაბამისად ვცხოვრობდეთ და გვწამდეს და სიცოცხლესაც თავაზიანობის გამო კი არ ვემშვიდობებოდეთ, როგორც გვსურს, არამედ ისე, როგორც დიდებულებისთვისაა საამური.

10

მათგან, ვისაც არ ნებავს ისე იცხოვროს, როგორც სხვები ცხოვრობენ და ემორჩილებოდეს საერთო წესებს, მე მოვითხოვ, ამის დასასაბუთებლად მკაფიო მოსაზრებანი და უტყუარი საფუძვლები ჰქონდეთ და ცხოვრება და მისი კანონები სხვებზე უკეთესად ესმოდეთ.

11

ნეტავ მენახა ერთი თავშეკავებული, დინჯი, პატიოსანი და სამართლიანი კაცი, რომელიც მტკიცედ განაცხადებდა, ღმერთი არ არსებობსო. იგი ამას უთუოდ ყოველგვარი ანგარების გარეშე იტყოდა, მაგრამ, რას ვიზამთ, ასეთი ადამიანი არ არსებობს.

12

ცნობისმოყვარეობა არ მასვენებს, ისე მინდა ვნახო ადამიანი, ვინც ჭეშმარიტად დარწმუნებულია, რომ ღმერთი არ არსებობს. ყოველ შემთხვევაში, იმას მაინც მეტყოდა, ეს აზრი რომ უტყუარი საბუთების წყალობით გამოიმუშავა.

13

რაკი შეუძლებელია იმის დამტკიცება, რომ ღმერთი არ არსებობს, ამიტომ ვრწმუნდებით, რომ იგი არსებობს.

14

ღმერთი თვით ასამართლებს და სჯის იმას, ვინც მას შეურაცხყოფს. საკუთარი საქმის მსაჯული თავადვეა, რაც სხვას არ ეპატიებოდა და არც მას, რომ თავადვე არ განასახიერებდეს სამართალსა და ჭეშმარიტებას, ესე იგი, თვით რომ არ იყოს ღმერთი.

15

მე ვგრძნობ, რომ ღმერთი არსებობს და არ ვგრძნობ, რომ არ არსებობს. ეს ჩემთვის სრულიად საკმარისია და ვინც რა უნდა თქვას ამქვეყნად, არაფრად მიმაჩნია. მე ვასკვნი, არის ღმერთი და ეს აზრი თვით ჩემს შინაგან ბუნებაშია ფესვგადგმული. იგი იმდენად ძალდაუტანებლად შევითვისე ბავშვობაში და ისე ბუნებრივად შემომრჩა მოწიფულ ასაკშიც, რომ სიყალბეში ეჭვს ვერ შევიტან, თუმცა ზოგი საწინააღმდეგოდ მსჯელობს. საკითხავია, ამ-

გვარი შეხედულებების მქონე ადამიანები თუ მოიძებნებიან სადმე, და თუ მოიძებნებიან, ეს მხოლოდ იმის დასტური იქნება, რომ ურჩხულებიც ყოფილან ქვეყანაზე.

16

ათეიზმი არ არსებობს. დიდებულნი, ვისაც ყველაზე მეტად სწამებენ ათეისტობას, მეტისმეტად ზარმაცნი ბრძანდებიან, რომ თავი იმტვრიონ, არის თუ არა ღმერთიო. იმდენად დაუდევრები გახლავან, რომ ისევე არაფრად ენაღვლებათ ეს დიდად მნიშვნელოვანი ამოცანა, როგორც საკუთარი სულისა და ჭეშმარიტი რწმენის რაობა. ისინი არც არაფერს უარყოფენ და არც არაფერს ეთანხმებიან: ამაზე სულაც არ ფიქრობენ.

17

მთელს ჩვენს ჯანს, ძალას და ჭკუას ვალევთ სხვებზე ფიქრსა და საკუთარ მცირეოდენ ანგარებასაც კი. ხოლო წესიერება და ჩვეულები გვავალდებულებს ღმერთზე მხოლოდ მაშინ ვიფიქროთ, როცა იმდენი ჭკუაღა გვრჩება, რომ მივხვდეთ, თუ რაოდენ არასაკმარისი გვაქვს იგი.

18

ერთ დიდებულს ჰგონია, გული მიწუხსო და კვდება. მეორეს დღითი დღე ეცლება ძალა და შეუმჩნევლად ემშვიდობება სიცოცხლეს. შემაძრწუნებელი, მაგრამ უსარგებლო გაკვეთილებია! ესოდენ თვალსაჩინო, ერთმანეთის საწინააღმდეგო გარემოება უყურადღებოდ რჩება და ისევე არვის აღელვებს, როგორც არაფრად ვაგდებთ დამჭკნარ ყვავილსა და გამხმარ ფოთოლს. ადგილი გათავისუფლდა, აი რა აფორიაქებს ხალხს; დაუყოვნებლივ უნდა გაიგონ, ვინმე თუ დანიშნეს, ან ვინ დანიშნეს.

19

განა ადამიანები ისე კეთილნი, სანდონი, სამართლიანნი არიან,

რომ მათი იმედი გვქონდეს და არ გვჭირდებოდეს ღმერთი, ვისაც მივმართავთ განსჯისთვის და დახმარებისთვის, როცა ვიღაც გვდევნის ან მუხანათურად გვღალატობს.

20

თავისუფლად მოაზროვნეებს რელიგიის სიდიადე და ელვარება თუ აკრთობთ და აბრმავებთ, მაშინ ძლიერნი და თავისუფალნი კი არა, სუსტი და დაბალი სულის პატრონები ყოფილან. პირიქით, თუ გულს უცრუებთ ის, რაც სარწმუნოებაში გულუბრყვილო და კრძალულია, მაშინ მართლაც ძლიერი გონება ჰქონიათ, უფრო ძლიერი, ვიდრე ჰქონდათ ისე განსწავლულ, ისე ამაღლებულსა და ამავე დროს მორწმუნე მამაკაცებს, როგორიც იყვნენ ლეონები, ბაზილები, იერონიმები და ავგუსტინები.

21

ეკლესიის მამანი, ეკლესიის მოძღვარნი! როგორ ამაყად ჟღერს ეს სახელები და რა მოსაწყენია, რა მშრალი მათი ნაწერები! რა ცივია მათი ღვთისმოსაობა და, ალბათ, მათი სქოლასტიკაც! — ამბობენ ისინი, ვისაც არც წაუკითხავს მათი თხზულებანი. რარიგ გაოცდებოდა ის ხალხი, ოდნავი წარმოდგენაც რომ არა აქვს ეკლესიის მამათა მოღვაწეობაზე, თუკი ოდესმე წაიკითხავენ მათ ნაშრომებს, სადაც გაცილებით მეტი ენის დახვეწილობა და მოქნილობა, გამოთქმების ხატოვანება და სილამაზე, გონების სისხარტე და სიღრმე, მსჯელობის საფუძვლიანობა და სიცხადე, თხრობის სიმკვირცხლე, მომხიბვლელობა და ბუნებრივობაა, ვიდრე ჩვენი დროის ყველა იმ წიგნში, რომელსაც გატაცებით კითხულობენ და რომელიც სახელს უხვეჭს მის ავტორს და პატივმოყვარული გრძნობებითაც აღავსებს. რა ნეტარებაა გწამდეს ღმერთი და იცოდე, რომ შენს რწმენას იზიარებენ, მხარს უჭერენ და განმარტავენ მაღალი სულითა და გონებით დაჯილდოებული ადამიანები! განსაკუთრებით რწმენა იმისა, რომ თავისი ღრმა და უსაზღვრო ცოდნით, უზენაესი და უწმინდესი ფილოსოფიური პრინციპებით, მათი გამოყენებითა და განვრცობით, დასკვნების სიზუს-

ტითა და სიცხადით, მეტყველების კეთილშობილებით, ზნეობისა და გრძნობების სიფაქიზითა და სიმშვენიერით წმიდა ავგუსტინეს მარტოოდენ პლატონი და ციცერონი შეედრებიან.

22

ადამიანი თავისი ბუნებით მატყუარაა, ჭეშმარიტება მარტივია და უბრყვილო. ადამიანი შელამაზებასა და მორთვა-მოკაზმვას მოითხოვს და ჭეშმარიტებასთან არაფერი ესაქმება. ჭეშმარიტება, ასე რომ ვთქვათ, უკვე სრულქმნილი, მზამზარეულად გვეელინება ციდან, ადამიანს კი თავისი ხელით შეთითხნილი, გამონაგონი და მონაჩმახი რამ უყვარს. აბა შეხედეთ უბრალო ხალხს, გაუთლელობისა და სიბრიყვის წყალობით სულ რაღაცას რომ ჩხირკედელაობს, მიედ-მოედება, ყურმოკრულს რომ გაბერავს და გააზვიადებს. პატიოსან კაცს ჰკითხეთ, ყოველთვის თუ ამბობს მართალს, პატივმოყვარეობასა და თავქარიანობას აყოლილს ხანდახან თუ არ წამოსცდება რაღაც მონაჭორი, და ამბის შესალამაზებლად თუ არ ჩაურთავს ისეთ წვრილმანს, რასაც სინამდვილესთან საერთო არაფერი აქვს. სულ ახლახან, ჩვენს თვალწინ, მოხდა შემთხვევა, რასაც ასი კაცი დაესწრო. თითოეული თავისებურად ჰყვება. მათ მონაყოლს თუ ვინმე მოისმენს, ისიც სხვაგვარად მოჰყვება, შეცვლის და გადააკეთებს. მაშ, როგორღა ვირწმუნო უხსოვარ დროს, მრავალი საუკუნის წინათ მომხდარი ამბები? როგორ ვენდო თვით ყველაზე სერიოზულ ისტორიკოსებსაც კი? ანდა როგორ დავუჯერო ისტორიას? ნუთუ კეისარი სენატში მოკლეს? მართლა თუ იყო კეისარი? — ეს რა უნდობლობაა, — მეტყვით თქვენ, — რა ეჭვებია! რა ურწმუნოება! გაგეცინებათ და პასუხის ღირსადაც აღარ გამხდით. ჩანს, თქვენ მართალი ბრძანდებით. მე მაინც დავუშვებ, რომ წიგნი, სადაც მოხსენებულია კეისარი, ბუნებით მატყუარა კაცის მიერ დაწერილი საერო თხზულება არ არის და შემთხვევით ნაპოვნი არ გახლავთ ბიბლიოთეკებში სხვა ხელნაწერებს შორის, რომლებიც მოგვითხრობენ ნამდვილსაცა და აპოკრიფულ ამბებსაც. დიახ, დავუშვებ, ეს წიგნი ღვთაებრივია და ზეციური, რაზედაც ის მიანიშნებს, რომ თითქმის ორი ათასი წელია ადამიანთა ხელში ტრიალებს და ყველა ვით წმიდათაწმიდას ისე უფრთხილდება, თვა-

ლისჩინივით უვლის; ჯერ არავის გაუბედავს მასში ერთი ასოს შესწორებაც კი. თვით ეკლესიაც ყველას დაუმოძღვრებს, უყოყმანოდ იწამონ ყოველივე, რაც ამ წიგნში მონათხრობია კეისრისა და მისი დიქტატურის შესახებ. გულახდილად აღიარეთ, ლუსილ, ამ შემთხვევაში თუ ირწმუნებთ, ნამდვილად არსებობს კეისარი?

23

არავითარი მუსიკა ღირსი არაა ღმერთს ხოტბას ასხამდეს და მის ტაძარში ჟღერდეს. არც ერთ ფილოსოფიას არ შესწევს უნარი ისე ამაღლდეს, რომ იმსჯელოს ღმერთზე, მის ყოვლისშემძლეობაზე, მის დიად ქმედებებსა და წმიდა საიდუმლოებებზე. რამდენადაც უფრო მეტად დახვეწილია და განყენებული ფილოსოფია, იმდენად უფრო უსუსურია და უმწეო, და არ ძალუძს ახსნას საგნები, რისი განსაზღვრულ წერტილამდე შეცნობაც ადამიანისგან მოითხოვს მხოლოდ გულუბრყვილობას, ხოლო ამ საზღვარს იქით ადამიანის გონებისთვის სრულიად მიუღწეველია. თუ იგი მოისურვებს გონებით მიწვდეს ღვთის საიდუმლოებას, მის სრულქმნილებას, გავბედავ და ვიტყვი, მის ქმედებებს, ეს იმას ნიშნავს, რომ წინ გაუსწროს ძველ ფილოსოფოსთ, მოციქულებს. ეკლესიის პირველ მამათ, დიდხანს რუდუნებით ეძიოს წყარო ჭეშმარიტებისა და ამაოდ დაშვრეს. უკუაგდებთ თუ არა ისეთ თვისებებს, როგორიცაა სიკეთე, გულმოწყალება, სამართლიანობა და ყოვლისშემძლეობა, რაიც ესოდენ მაღალსა და სიცვარულით აღსავსე წარმოდგენას გვიქმნის უფალზე, რაც უნდ ძალა დაატანოთ შთაგონებას, მაინც მშრალი, უნაყოფო, აზრდაცლილი ცნებები შეგრჩებათ ხელში და გონებაც აღივსება ფუჭი, გადაპრანჭული და დახვლარჯნილი იდეებით. შეიჭრები ამ ახალ მეტაფიზიკაში და ნელ-ნელა დაკარგავ რწმენას.

24

რა უკიდურესობაში არ ვარდებიან ადამიანები რელიგიის გამო, რაიც თითქმის არ სწამთ და რასაც აგრე უგულოდ ემსახურებიან.

25

სწორედ იმ რელიგიას, რასაც ადამიანები აგრე მგზნებარედ იცავენ სხვა რწმენის ხალხისგან, თვითონვე რყვნიან. საკუთარი მოსაზრებებისა და გემოვნების მიხედვით უმატებენ ან აკლებენ ხშირად არსებით ათას წვრილმანს და მტკიცედ და განუხრელად მისდევენ ამ შეთითხნილ ფორმას. ამგვარად, ზოგადად თუ ვიტყვით, ერს ერთი რწმენა აქვს, ერთი რელიგია, მაგრამ უფრო ზუსტად თუ გამოვთქვამთ, ერს მრავალი რელიგია აქვს, რაკი ყოველ ადამიანს საკუთარი სარწმუნოება შეუქმნია.

26

სამეფო კარზე, სხვადასხვა დროს, ორგვარი ადამიანები ყვავიან და ბატონობენ: ურწმუნონი და ფარისევლები. ერთნი გულახდილნი არიან, მხიარულნი, უბრალონი და პირდაპირნი; მეორენი — ცბიერნი, გაქნილნი და მუზმუზელები, თანაც, პირველებთან შედარებით, ასჯერ მეტად დახარბებულნი ბრძანდებიან მოწყალეობაზე და დღენიადაგ მის მიღებას ცდილობენ. იღვწიან, რამენაირად განუყოფლად დაეუფლნენ ძლიერთა ამა სოფლისათა წყალობას, თავის ნებაზე გამოიყენონ, ერთმანეთს შორის გაინაწილონ და ახლოს არვინ გააკარონ. ჩინები, თანამდებობები, წოდებები, ბენეფიციუმები, პენსიები, ყოველგვარი პატივი მათთვისაა განკუთვნილი, მხოლოდ და მხოლოდ მათთვის. სხვები კი ამის ღირსნი არ გახლავან და თუ გაბედავენ იმედი იქონიონ, თავხედებად ჩაითვლებიან. გაგახსენებთ ერთ მაგალითს: მეჯლისზე ნიღბოსანთა ერთი ჯგუფი შემოდის. ერთმანეთს ხელს ჩაავლებენ და ცეკვავენ. აცეკვებენ ერთმანეთს. ცეკვავენ, კიდევ ცეკვავენ, არვის აბამენ თავიანთ ფერხულში, არვის უწვდიან ხელს, ვინც უნდა იყოს, თუნდაც უაღრესად ღირსი მათი ყურადღებისა. საზოგადოებას მოთმინება ეკარგება, ბეზრდება უყუროს ცეკვას და თვითონ არ იცეკვოს. ზოგი უკმაყოფილოდ ბუტბუტებს. უფრო კეთილგონიერნი უმალ გადაწყვეტილებას იღებენ და მიდიან.

27

არსებობენ ორნაირი ურწმუნონი: ერთნი, ესე თუ ისე, თავიანთ თავს ურწმუნოებად თვლიან; მეორენი კი თვალთმაქცნი ანუ

ცრუღვთისმოსავნი არიან და ეშინიათ ურწმუნოდ არვინ ჩათვალოს. ამ მხრივ, ეს უკანასკნელნი უფრო საშიშნი არიან.

ცრუ ღვთისმოსავს ან არ სწამს ღმერთი, ან დასცინის მას. ჩვენ თავაზიანად ვიტყოდით, მას არ სწამს ღმერთი.

28

რელიგია თუ მოწიწებული შიშია ღვთაებისადმი, რა უნდა ვიფიქროთ იმათზე, ვინც კადნიერდება და შეურაცხყოფს მის მიწიერ განსახიერებას — მეფეს?

29

ჩვენთვის რომ ეთქვათ, სიამელი ელჩი საიდუმლო მისიით ჩამოვიდა და დავალებული აქვს ჩვენს უქრისტიანეს მეფეს უარი ათქმევინოს ქრისტიანულ რელიგიაზე და თავის სამეფოში შემოუშვას ტალაპუანები, რომლებიც ჩვენს სახლებში შემოძვრებიან, რათა წიგნებითა და ოქროპირობით თავიანთ რწმენაზე მოაქციონ ჩვენი ცოლები, შვილები და თვით ჩვენც, შუა ქალაქში აღმართონ პაგოდები და ზედ გამოაწყონ ლითონის კერპები, რაც ჩვენი საღოცავი უნდა გახდეს, განა დაცინვითა და ზიზღით არ შეხვდებოდით ამ ახირებულსა და უცნაურ სიახლეს? ჩვენ კი ზღვაზე ექვსი ათას ლიეს გადავსერავთ ხოლმე, რათა ინდოეთის, სიამის, ჩინეთის და იაპონიის სამეფოთა ბინადარნი ქრისტიანებად მოვაქციოთ. ჩვენ სრულიად სერიოზულად ვთავაზობთ ამ ხალხებს ისეთ რამეს, რაც მათ უაღრესად უაზროდა და უგუნურად უნდა მოეჩვენოთ და მაინც ითმენენ ჩვენ ბერებსა და მღვდლებს, ხანდახან უსმენენ კიდეც, ნებას რთავენ ეკლესიები აიშენონ და თავიანთი მისია შეასრულონ. რით აიხსნება ასეთი განსხვავება ჩვენ შორის? იქნებ ჰეშმარიტების ძლევამოსილებით?

30

ყველას განურჩევლად არ ხამს ქველმოქმედება, თავის კარზე თავმოყრა ქალაქის მათხოვრებისა და მათთვის მოწყალების გაცემა.

განა რომელმა ჩვენთაგანმა არ იცის, ზოგს რამდენი გაჭირვება დასტეხია თავს; ისა სჯობს დაუყოვნებლივ დავეხმაროთ მას ან უშუალოდ ჩვენ, ანდა ვინმესთან გავუწიოთ შუამდგომლობა. არც ყველას ხამს ავიდეს საეკლესიო მერხზე და იქიდან გამოაფრქვიოს დამრიგებლური და კანონმდებლური სიტყვები ღვთისა. მაგრამ ვინ არ წააწყდება ურწმუნოს, ვისაც სათნო და გულისხმიერი საუბრით უნდა წარუძღვეთ ჭეშმარიტების ნეტარ გზაზე. და თუ ერთ კაცს მაინც მოევლინები მოციქულად და ქრისტიანობისკენ მოაქცევ, უნდა იცოდე, რომ ტყუილად არ გივლია მიწაზე და არც ზედმეტი ბარგი ყოფილხარ მისი.

31

არსებობს ორი ქვეყანა: ერთში ცოტა ხანს ვცხოვრობთ და ვტოვებთ ისე, რომ უკან დაბრუნება აღარ გვიწერია. მეორე კი სამარადისო სამყოფელია ჩვენი. პირველ ქვეყანაში გვჭირდება დიდთა მოწყალება, ძალაუფლება, მეგობრობა, სახელი, სიმდიდრე; მეორეში — ზიზღი ყოველივე ამისადმი. აირჩიეთ, რომელიც გენებოთ.

32

ვისაც მხოლოდ ერთ დღეს უცხოვრია, უცხოვრია ერთ საუკუნეს. ყოველივე უცვლელია: მზე, მიწა, სამყარო, შეგრძნებები. დღევანდელი დღე ხვალინდელსა ჰგავს. სიკვდილმა შესაძლებელია ერთგვარად ცნობისმოყვარეობა აღგვიძრას, რამეთუ მას შემდეგ აღარ ვიქნებით ხორცი და ვიქნებით სული. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანი სიახლის მოტრფიალეა, ამ საკითხში ცნობისმოყვარეობას არ იჩენს. ბუნებით მოუსვენარიც არის, ყველაფერი მალე ბეზრდება, მაგრამ სიცოცხლე არასოდეს. ადვილი შესაძლებელია სამარადისო არსებობაზეც სიამოვნებით დათანხმებულიყო. რასაც ხედავს, უფრო მძაფრად აღიქვამს, ვიდრე იმას, რაც იცის სიკვდილის შესახებ. სნეულება, ტკივილი, ცხედარი სურვილს უქრობს შეიცნოს საიქიო და საჭიროა ღრმა რწმენა ღვთისადმი, რათა მორჩილად დაჰყვეს მის ნებას.

33

უფალს ჩვენთვის ნება რომ მოეცა აგვერჩია სიკვდილი ან მარადიული სიცოცხლე, ღრმად ჩავუფიქრდებოდით, რაკი ეს ნიშნავდა არასოდეს გვეხილა სიღატაკის, მონობის, მოწყენილობის, ავადმყოფობის დასასრული, ანდა განგვეცადა სიტკბოება სიმდიდრისა, განდიდებისა, სიამოვნებისა და სიჯანსაღისა მხოლოდ იმიტომ, რომ ჟამთა მსვლელობაში ყოველივე ეს გარდუვალად შეცვლილიყო საწინააღმდეგო მდგომარეობით და ამგვარად სიხარულისა და მწუხარების საბურთაოდ გავმხდარიყავით. და როცა ამას წარმოვიდგენთ, ადვილად ვეღარ ავირჩევთ. ბუნება ამ ტვირთს კისრულობს და ჩვენს ბედს თავადვე წყვეტს, რამეთუ ყველას სიკვდილის შვილებად გვხდის. ხოლო სიკვდილს რელიგია გვიმსუბუქებს.

34

ჩვენი რელიგია ყალბი რომ ყოფილიყო, მაშინ იქნებოდა მოხერხებულად დაგებული მახე, რასაც ისე ვერ აუვლიდი გვერდს, თუ შიგ არ გაებმებოდი. რა დიდებული და ამაღლებულია მისი საიდუმლოებანი! რა თანმიმდევრული და დამაჯერებელია მისი მოძღვრება! რა წარმტაცია მისი იდეა! რა კდემა, რა უმანკოება გამოსჭვივის იმ სათნოებაში, რასაც იგი ქადაგებს! რა მტკიცეა და სარწმუნო მისი ძლევამოსილების დამადასტურებელი საბუთები, რასაც მთელი სამი საუკუნის განმავლობაში თანმიმდევრულად გვიმოწმებდა ამქვეყნად ყველაზე ბრძენი და კეთილგონიერი ათასობით ადამიანი, რომელთაც ერთი და იგივე ჭეშმარიტების რწმენა ძალას მატებდა გაეძლოთ სამშობლოდან განდევნის, ბორკილების, სიკვდილისთვის თვალის გასწორებისა და დასჯის უკანასკნელი წამისათვის. გადაფურცლეთ ისტორია, გაიხსენეთ სამყაროს შექმნა, თუნდაც შექმნის წინა პერიოდი, განა რაიმე ამის მსგავსს წააწყდებით? ნეტა ღმერთი თუ შეძლებს რაიმეთი დამამშვიდოს? სად გავძვრე? საით გავიქცე, რა გზას დავადგე, რომ ვიპოვო; უკეთესს არ ვჩივი, რაღაც ისეთი, რაც ოდნავ მაინც უახლოვდება იმას, საითაც ვისწრაფი. დაღუპვა თუ მიწერია, დე, იქ დავიღუპო. მირჩევნია განვუდგე ღმერთს, ვიდრე შევეგუო ამ თითლიბაზურსა და გაიძვე-

რულ ტყუილს. მაგრამ ყველაფერს ჩავუკვირდი და დავრწმუნდი, ვერ გავხდები ათეისტი; მაშასადამე, დავუბრუნდი რელიგიას ჩემ-სას, მორჩა, გათავდა, აღარ ვეკამათები მას.

35

რელიგია ან ჭეშმარიტია, ან ცრუ. თუ იგი მონაჩმახია მხოლოდ, შაშინ პატიოსან კაცს, ბერსა თუ განდეგილს ამაოდ დაუკარგავთ ხამოცი წელი, ეს არის და ეს, სხვა აღარავითარი განსაცდელი აღარ მოელით. მაგრამ თუ იგი ჭეშმარიტებაზეა დაფუძნებული, მა-შინ რა შემზარავი უბედურება დატყდომია თავს მანკიერ ადამიანს. უბრალოდ გაფიქრება იმ წამებისა, რასაც იგი უმზადებს თავის თავს, თავზარსა მცემს; გონებას არ ძალუძს ჩასწვდეს, ენა ვერ გა-მოთქვამს. ამგვარად, რომც დავუშვათ, თითქოს რელიგია ნაკლე-ბად ჭეშმარიტია, ვიდრე ეს მთელ ქვეყანას წარმოუდგენია, ადა-მიანს უკეთესი გზა მაინც არ გააჩნია, რაიც არის გზა სიკეთისა და ხათნოებისა.

36

არ ვიცი ღირს თუ არა ღმერთის არსებობა დავუმტკიცო იმას, ვინც კადნიერდება და უარყოფს მას. განა იმაზე მეტს იმსახურე-ბენ, რაც წინამდებარე თავში დავუთმე. მათი ყველაზე დამახასია-თებელი თვისება, უვიცობა, ართმევთ უნარს, შეიგნონ ცხადზე უცხადესი მოსაზრებანი და უაღრესად თანმიმდევრული მსჯელობა. მე მაინც თანახმა ვარ, წაიკითხონ ისიც, რაც ქვემოთ წერია, ოღონდ ნუ ეგონებათ, თითქოსდა ესოდენ შუქმოსილ ჭეშმარიტე-ბაზე ამის მეტი არაფრის თქმა არ შეიძლებოდეს.

ორმოცი წლის წინათ არ ვარსებობდი და არც შემწევდა ძალა, საკუთარი თავი წარმომეშვა; მსგავსად ამისა, რაკი ვარსებობ ახ-ლა, არ შემიძლია აღარ ვიყო. მაშასადამე, მე დავიწყე და განვაგრ-ძობ არსებობას რაღაც იმ მადლის წყალობით, რაც ჩემს გარეთაა, რაც გაგრძელდება ჩემ შემდეგ და რაიც ჩემზე უკეთესია და ჩემ-ზე ძლიერი, და თუ ეს რაღაცა არ არის ღმერთი, მითხარი, მაშ რა არის იგი.

დავუშვათ, ჩემი არსებობა დამოკიდებულია ყოვლისმომცვე-

ლი ბუნების ძალებზე, ბუნებისა, რომელიც ყოველთვის ისეთი იყო, როგორსაც მას ახლა ვხედავთ და ასეთივე იყო უხსოვარ დროსაც[1]. მაგრამ ბუნება შესაძლებელია არის სული, მაშინ ღმერთი ყოფილა, ან არის მატერია და, მაშასადამე, მას ძალუძს შექმნას სული. იქნებ იგი შერწყმაა მატერიისა და სულის; ამ შემთხვევაში ბუნებაში სულის საწყისს მე ვუწოდებ ღმერთს.

დავუშვათ ისიც, რომ ის, რასაც მე სულს ვეძახი, მატერიის ნაწილია მხოლოდ და არსებობს ყოვლისმომცველი ბუნების ძალთა წყალობით, ხოლო თვით ბუნებაც არის მატერია, რაც ყოველთვის იყო და იქნება ისეთი, როგორსაც ჩვენ ვხედავთ და რაც არის ღმერთი[2]. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ იმაზე ხომ დამეთანხმებით, რომ ის, რასაც მე ვუწოდებ სულს, რაც უნდა იყოს რაღაც, რაც ფიქრობს და თუ იგი მატერიაა, უთუოდ ისეთი მატერიაა, რომელიც ფიქრობს, რამეთუ ვერვინ დამარწმუნებს, თითქოსდა ჩემში არ იყოს ის, რაც ფიქრობს აი ახლა, როცა გადმოვცემ წინამდებარე მოსაზრებებს. ამგვარად, ის, რაც ჩემში არის და ფიქრობს, თავისი წარმოშობით და არსებობით დავალებულია ყოვლისმომცველი ბუნებისგან, რაიც ყოველთვის იყო და იქნება და რომელსაც ის რაღაც თვლის თავის პირველწყაროდ. მაშინ სრულიად აუცილებელია, რომ ყოვლისმომცველი ბუნება ან თვითონ უნდა ფიქრობდეს, ან უნდა იყოს უფრო ამაღლებული და სრულქმნილი, ვიდრე ის, რაც ფიქრობს. და თუ ამგვარად მოწესრიგებული ბუნება არის მატერია, მაშინ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ყოვლისმომცველი მატერია ან თვითონ ფიქრობს, ანდა უფრო ამაღლებულია და სრულქმნილი, ვიდრე ის, რაც ფიქრობს.

განვაგრძობ: მატერია, როგორც ჩვენ დავუშვით, თუ ქიმერა არ არის და ნამდვილად არსებობს, არ შეიძლება ჩვენი გრძნობებისთვის მთლად მიუდგომელი იყოს. თვითონ თავისთავად თუ არ გადაიშლება ჩვენს თვალწინ, მაინც აღვიქვამთ მისი ნაწილების მრავალგვარი შეთავსების შედეგად, რაკი ისინი ქმნიან სხეულებს და განსხვავებას მათ შორის. მაშასადამე, ეს სხვადასხვაგვარი სხეულები არის თვით მატერია. რამეთუ ჩვენი დაშვების მიხედვით, ეს

---

[1] ურწმუნოთა დებულება.

[2] ურწმუნოთა დასაბუთება.

არის მატერია, რომელიც ფიქრობს ან მაღლა დგას იმაზე, რაც ფიქრობს, აქედან გამომდინარე, რაკი იგი ასეთია ზოგიერთ სხეულში, ასეთივე უნდა იყოს ყველა სხეულში; მაშ იგი ფიქრობს ქვაში, ლითონში, ზღვაში, მიწაში, თვით ჩემში, რაკი მეც სხეული ვარ და ყველაფერში, რაც მის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. და აი, ამ ყოვლად მიწიერ, ესოდენ ხორციელ და ესოდენ ტლანქ სხეულთა თავმოყრას, რაიც შეადგენს ყოვლისმომცველ მატერიას ანუ ხილულ სამყაროს, ვუმადლოდე უნდა იმ რაღაცას, რაც არის ჩემში, რაც ფიქრობს და რასაც მე ვუწოდებ სულს. ეს ხომ აბსურდია.

და თუ პირიქით, ეს ყოვლისმომცველი ბუნება, რაც უნდა იყოს იგი, არ შეიძლება იყოს არც ამ სხეულთა თავმოყრა და არც ცალკეული სხეული, აქედან გამომდინარე, იგი არ ყოფილა მატერია და მას ვერ აღიქვამს ჩვენი ვერც ერთი გრძნობა. ამასთან ერთად, თუ იგი ფიქრობს, და უფრო სრულქმნილია ვიდრე ის, რაც ფიქრობს, მე ისევ ვასკვნი, რომ იგი არის სული ანდა სულზე უფრო უკეთესი და სრულყოფილი რამ; და თუ ის, რაც ჩემში ფიქრობს და რასაც მე სულს ვუწოდებ, ვერ პოულობს თავის დასაბამსა და პირველწყაროს ვერც საკუთარ თავში და როგორც უკვე დამტკიცდა, ვერც მატერიაში, მას უნდა ეძიებდეს ყოვლისმომცველ ბუნებაში, ხოლო მე სახელწოდებებზე უკვე აღარ დავიწყებ დავას; გარნა ყოველგვარი სულის ეს პირველი წყარო, რაიცაა თვით სული, ყველა სულზე მეტად ამაღლებული და მშვენიერი სული გახლავთ და მე მას ვუწოდებ ღმერთს.

ერთი სიტყვით, მე ვფიქრობ, მაშასადამე, ღმერთი არსებობს. რამეთუ იმით, რაც ფიქრობს ჩემში, არავითარ შემთხვევაში არ ვარ დავალებული საკუთარი თავისადმი, ვინაიდან მე არ ძალმიძდა ჩემთვის იგი მიმეცა თავდაპირველად, და არც ახლა შემიძლია შევინარჩუნო იგი ერთი წუთითაც კი. არც დავალებული ვარ იმ არსებისგან, რომელიც იდგება ჩემზე დაბლა და იქნება მატერიალური, რაკი შეუძლებელია მატერია იდგეს იმაზე მაღლა, რაც ფიქრობს. ასე და ამგვარად, მე დავალებული ვარ იმ არსებისგან, რომელიც ჩემზე მაღლა დგას და არ არის მატერია; — იგი ღმერთია.

37

რაკი ყოვლისმომცველი და მოაზროვნე ბუნება გამორიცხავს მასში ყოველგვარი მატერიალურის არსებობას, შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ყოველი არსება, რომელიც ფიქრობს, არ შეიძლება შეიცავდეს მატერიის ნაწილაკსაც კი. თუმცა ყოვლისმომცველი მოაზროვნე არსება თავის თავში მოიცავს უსაზღვროდ მეტ სიდიადეს, ძალას, თავისუფალ ნებას და გონებას, ვიდრე ცალკეული მოაზროვნე არსება, საკუთარ თავში მაინც არ გამორიცხავს უფრო მეტი სისავსით მატერიალურ საწყისს, ვიდრე ცალკეული მოაზროვნე არსება, რამეთუ ერთშიცა და მეორეშიაც ამ გამორიცხვის ხარისხი უსასრულოდ დიდია და ისევე შეუძლებელია ის, რაც ჩემში ფიქრობს, იყოს მატერიალური, როგორც შეუძლებელია ღმერთი იყოს მატერიალური: მაშასადამე, რაკი ღმერთი არის სული, ჩემი სულიც სულიერია.

38

არ ვიცი ძაღლს აქვს თუ არა უნარი აირჩიოს, დაიხსომოს, უყვარდეს, ეშინოდეს, წარმოიდგინოს, იფიქროს. როცა მეუბნებიან, რომ მისი მოქმედება არ გამომდინარეობს არც მისი ვნებებიდან, არც გრძნობებიდან და ბუნებრივია, აუცილებელი შედეგია მისი ორგანიზმის აგებულებისა, რასაც განაპირობებს მატერიის ნაწილაკების სხვადასხვაგვარი განლაგება, შემიძლია დავეთანხმო ასეთ მოსაზრებას. მაგრამ მე ვფიქრობ, დარწმუნებული ვარ, რომ ვფიქრობ და რა საერთო აქვს ჩემს ფიქრებთან მატერიის ნაწილაკების ასეთსა თუ ისეთ მოწესრიგებას, ესე იგი, მათ განლაგებას სივრცეში, რომელსაც აქვს სამი განზომილება: სიგრძე, სიგანე და სიღრმე, და რომელიც განყოფადია ყველა ამ განზომილებაზე.

39

დავუშვათ ყოველივე მატერიალურია და ჩემი თუ სხვათა აზრი არის მარტოოდენ შედეგი მატერიის ნაწილაკების განსაკუთრებული განლაგებისა. მაშ ვინღა შემოიტანა სამყაროში მატერიალურისგან აგრე რიგად დაცილებული იდეები? განა შესაძლებელია, რომ მატერია თავის არსში მოიცავდეს ისე სპეტაკ, ისე უბრალო

და არამატერიალურ იდეას, როგორიც არის სული? როგორ წარმოშობს იგი ისეთ რამეს, რაც უარყოფს და გამორიცხავს თვით მას? როგორ შეიძლება იგი იყოს აზროვნების საწყისი ადამიანში, თუკი სწორედ ეს საწყისი არის დასტური იმისა, რომ ადამიანი არ არის მატერიალური?

40

ზოგი არსება ცოტა ხანს ცოცხლობს, რადგან შედგება მეტად განსხვავებული და ერთმანეთთან შეუთავსებელი ნაწილებისგან. ზოგი კი მეტხანს ცოცხლობს, რადგან უფრო მარტივია, მაგრამ ბოლოს მაინც კვდება, რაკი მისი სხეული ნაწილებისდა მიხედვით იყოფა. ის, რაც ჩემში ფიქრობს, დიდხანს უნდა არსებობდეს, რადგან სუფთაა, ერთგვაროვანი, თავისუფალი ყოველგვარი მინარევისგან და არავითარი საფუძველი არ არსებობს მისდა დასაღუპად. შეუძლებელია შეილახოს და დანაწევრდეს მარტივი არსება, რომელსაც ცალკეული ნაწილაკები არ გააჩნია.

41

სული ფერს მხედველობის ორგანოდან ხედავს, ბგერას სმენის ორგანოდან ისმენს; მას შეუძლია ვეღარც დაინახოს, ვეღარც მოისმინოს, თუ უღალატებს ეს ორგანოები ან გაქრება აღსაქმელი საგნები, მაგრამ თვით არ შეწყვეტს არსებობას, რამეთუ არ არის ის, რაც ხედავს ფერს, ან რაც ისმენს ბგერებს. იგი არის მხოლოდ ის, რაც ფიქრობს. მაშ, როგორ შეძლებს არ იყოს ის, რაც არის? რაკი იგი არამატერიალურია, ვერც ორგანოების, ვერც საგნების ჩამოცილება ვერაფერს დააკლებს მას, სანამ არსებობს ღმერთი და მარადიული ჭეშმარიტებანი; მაშასადამე სული უხრწნელია.

42

ვერ წარმომიდგენია როგორ უნდა იავარიყოს სული, რომელსაც ღმერთმა შთააგონა რწმენა მისი არსების უსასრულობისა და სრულქმნილებისადმი.

შეხედეთ, ლუსილ, მიწის ამ ნაკვეთს, რამდენად უფრო მოვლილია და გამშვენიერებული, ვიდრე მომიჯნავე მამულები. აქ მოლს ტბა და შადრევნები აძლევს ლაზათს, იქ, თვალუწვდენელი ხეივანია, რასაც გვერდით ცოცხალი ღობე ჩაუყვება და ჩრდილოეთის ქარისგან გვიცავს; ერთ მხარეს შემორტყმია ხშირი წარაფი, სადაც პაპანაქება სიცხეშიც გრილა; მეორე მხარეს კი თქვენს წინ თვალწარმტაცი ხედი იშლება. სულ ქვემოთ მიედინება ივეტი თუ ლინიონი, უწინ ძეწნებსა და ტირიფებს ქვეშ რომ იმალებოდა და ახლა ქვის კალაპოტში ჩაუსვამთ. ნაკადულს იქით, დაბლობისკენ, უსასრულოდ მიჰყვება დაჩრდილული ბილიკები, რომელთაც შადრევნებით გარშემორტყმული სახლისკენ მივყავართ.—რა შესანიშნავი დამთხვევაა! — შესძახებთ თქვენ, — რამდენ სილამაზეს მოუყრია აქ შემთხვევით თავი? არა, თქვენ აგრე კი არა, რა თქმა უნდა, პირიქით იტყვით, რა კარგად მოუფიქრებიათ, რა გონივრულად და დიდი გემოვნებით მოუწყვიათო. მეც კვერს დაგიკრავთ და დავძენ, აქ ალბათ, ცხოვრობს ერთ-ერთი იმათგანი, ვინც სადმე დასახლდება თუ არა, იმ დღესვე უხმობს ვინმე ლე ნოტრს, რათა მან დაუხაზოს და დაუგეგმოს ბაღი. მაგრამ რა არის მიწის ეს პაწაწკინტელა ნაგლეჯი, რისი გაკოხტავებისთვისაც მარჯვე ოსტატს არაფერი დაუშურებია, რა ფასი აქვს მას, როცა თვით მიწაც კი ჰაერში ჩამოკიდული ატომია? მომისმინეთ, რასაც გეტყვით.

ლუსილ, თქვენ ამ ატომზე იმყოფებით და ძალიან პატარა ადგილი გიჭირავთ. მაშასადამე, თქვენ ძალიან პატარა ხართ და გაქვთ ორი თვალი, ორი, ძლივს შესამჩნევი წერტილი. მიაპყარით ისინი ზეცას და რას დაინახავთ იქ! სავსე მთვარეს? ამ დროს დიდებულია იგი, კაშკაშა, თუმცა მისი ელვარება მზის შუქის ანარეკლია. მზესავით დიდი ჩანს, პლანეტებზე დიდი, ხოლო ვარსკვლავებზე ხომ აღარც ღირს ლაპარაკი. მაგრამ ნუ მოგატყუებთ თვალი. ციურ სხეულებში ყველაზე პატარაა მთვარე. მისი ზედაპირი ცამეტჯერ ნაკლებია მიწის ზედაპირზე, მოცულობა ორმოცდარვაჯერ ნაკლები, ხოლო დიამეტრი, რაც შვიდას ორმოცდაათ ლიეს უდრის, ოთხჯერ ნაკლებია. აგრე დიდი იმიტომ გეჩვენებათ, რომ ძალიან ახლოა ჩვენთან; ჩვენ შორის მანძილი უდრის დედამიწის დიამეტრს ოცდაათზე გა-

დამრავლებულს, რაც ასი ათასი ლიეა მხოლოდ. მთვარის მიერ გავლილი მანძილი სრულიად უმნიშვნელოა შედარებით იმ ვეებერთელა წრესთან, რასაც ცის სივრცეში მზე შემოხაზავს. რაკი ცნობილია, რომ ძველარე დღეში მხოლოდ ხუთას ორმოცი ათას ლიეს გადის, რაც საათში ოცდაორი ათას ხუთასი, ხოლო წამში სამას სამოცდათხუთმეტი ლიეა, ამ მანძილის დასაფარად მისი სიჩქარე ხუთი ათას ექვსასჯერ უნდა აღემატებოდეს საფოსტო ცხენის სიჩქარეს, რაც საათში ოცხ ლიეს უდრის და ოთხმოცჯერ აღემატებოდეს ბგერის, ხმაურის სიჩქარეს; თუნდაც, მაგალითად ქვემეხის გასროლას ან ჭექა-ქუხილს, რაიც საათში ორას სამოცდაჩვიდმეტ ლიეს ფარავს.

რაც შეეხება მთვარისა და მზის მოცულობას, მათ სიჩქარესა და ჩვენგან დაცილების მანძილს, მათი შედარებაც კი წარმოუდგენელია. ახლავე დაგარწმუნებთ: გაიხსენეთ დედამიწის დიამეტრი,— სამი ათასი ლიე. მზის დიამეტრი ასჯერ მეტია, მაშასადამე, სამასი ათას მილს უდრის. ასეთივეა მისი სიგრძეცა და სიგანეც. როგორი იქნება მისი ზედაპირი! რა უზარმაზარი და თვალუწვდენელი, როცა ერთი მილიონი ჩვენი მიწისნაირი სხეული რომ გაერთიანდეს, მაინც ვერ გაუტოლდება მზეს. თქვენ იტყვით, რამდენად შორს უნდა იყოს, ასეთი პატარა რომ მოჩანსო. მართალი ბრძანდებით, ზღაპრულად შორსაა. დამტკიცებულია, რომ მიწიდან მზემდე არ შეიძლება იყოს მიწის ათი ათას დიამეტრზე ნაკლები, ანუ ოცდაათ მილიონ ლიეზე ნაკლები. შესაძლოა ოთხჯერ, ექვსჯერ, ათჯერაც უფრო შორს იყოს. უძლურნი ვართ გავზომოთ ეს მანძილი.

ცოტა მაინც თვალსაჩინო რომ იყოს, წარმოვიდგინოთ, მზიდან წისქვილის დოლაბი ისეთი სისწრაფით ეშვება, რამდენიც შესაძლებელია და რაც აღემატება დიდი სიმაღლიდან ვარდნილი სხეულის სისწრაფეს. დაუშვათ, მუდმივად ინარჩუნებს ამ სისწრაფეს, არც იმატებს, არც იკლებს, წამში გადის თხუთმეტ ტუაზს, რაც ეფარდება ყველაზე მაღალი კოშკის სიმაღლის ნახევარს, ანუ ცხრაას ტუაზს წუთში. ანგარიშის გასაადვილებლად დავამრგვალოთ ათას ტუაზად. ათასი ტუაზი ნახევარი ლიეა. ამგვარად, დოლაბი ორ წუთში გაივლის ერთ ლიეს, ერთ საათში — ოცდაათს, ერთ დღე-ღამეში შვიდას ოც ლიეს. მიწამდე ოცდაათი მილიონი ტუაზი აქვს გასავლელი. მაშასადამე, მის ვარდნას მოუნდება ორმოცდა-

ერთი ათას ექვსას სამოცდაექვსი დღე, რაც ას თოთხმეტ წელზე მეტს უდრის. ნუ შეშინდებით, ლუსილ, მომისმინეთ. მიწიდან სატურნამდე ათჯერ მაინც მეტი მანძილია, ვიდრე მიწიდან მზემდე, ესე იგი, სამას მილიონ ლიეზე ნაკლები არ იქნება და ქვას დასჭირდება ათას ასორმოც წელზე მეტი, სანამ მიწაზე ჩამოვარდებოდეს.

რაკი აგრე მაღლაა სატურნი, თუკი შეგიძლიათ, ძალა დაატანეთ თქვენს ფანტაზიას, რათა წარმოიდგინოთ, რაოდენ ვეებერთელაა მანძილი, რასაც იგი ჩვენს თავებს ზემოთ გადაირბენს ყოველ დღე. სატურნის მიერ შემოხაზული წრის დიამეტრი ექვსას მილიონ ლიეზე მეტია, მაშასადამე, მისი წრეწირით ათას რვაას მილიონ ლიეს უდრის. ინგლისურ ცხენებს, რომლებიც საათში ათ ლიეს გარბიან, ამ მანძილის დასაფარად ოცი ათას ხუთას ორმოცდარვა წელიწადი დასჭირდებათ.

ჯერ ყველაფერი არ მითქვამს, ლუსილ, ამ ხილული სამყაროს სასწაულზე, ანუ როგორც თქვენ ხანდახან იტყვით ხოლმე, შემთხვევის საოცარ შედეგებზე, შემთხვევის, რაიც თქვენ ყოველივე არსებულის პირველ და ერთადერთ მიზეზად მიგაჩნიათ. თქვენ არც კი იცით, რაოდენ განსაცვიფრებელი ოსტატია იგი. მომისმინეთ და შეიცანით თქვენი ღვთაების მთელი ძალა და შესაძლებლობა. თუ გაგიგიათ, რომ ოცდაათი მილიონი ლიე მიწასა და მზეს შორის, სამასი მილიონი ლიე მიწასა და სატურნს შორის იმდენად უმნიშვნელო რამაა შედარებით მიწასა და ვარსკვლავებს შორის არსებულ მანძილთან, რომ ვერც კი იპოვით მის გამომხატველ სიტყვებს, შედარებაზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია. მართლაც, როგორ დაუპირისპირებ იმას, რაც ვეებერთელაზე ვეებერთელაა, მაგრამ გაზომვა მაინც შეიძლება იმასთან, რაც არ გაიზომება. ჩვენ არ ვიცით, რა მანძილითაა ჩვენგან დაშორებული ვარსკვლავი. გავბედავ და ვიტყვი, ამას ვერ გამოვთვლით, ვერაფერს გვიშველის ვერც კუთხედები, ვერც სინუსები, ვერც პარალაქსები. ერთმა კაცმა პარიზიდან რომ უყუროს უძრავ ვარსკვლავს, მეორემ კი იაპონიიდან და მათ თვალთაგან გაივლოს ორი სწორი ხაზი, რაც ამ მნათობთან გადიკვეთება, მაგრამ არ შეიქმნება კუთხე, ხაზები კი ერთმანეთს შეუერთდება მხოლოდ, რაკი მეტად მცირეა დედამიწის სივრცე ასეთ შორეულ მანძილებთან შეფარდებით, ეს მაგალითი გამოგვადგება მზისა და სატურნის მიმართებაშიც. ვარსკვლავებზე

მეტის თქმა გვმართებს. ორი დამკვირვებელი, ერთი მიწიდან და მეორე მზიდან, ერთსა და იმავე დროს რომ აკვირდებოდეს ვარსკვლავს, მათი თვალთა სხივები ვერ შექმნიდნენ თვალსაჩინო კუთხეს. უფრო გასაგები რომ იყოს, სხვაგვარად განგიმარტავთ: კაცმა ვარსკვლავიდან რომ გადმოიხედოს, ჩვენი მზე, მიწა და მათ შორის ოცდაათი მილიონი ლიეს მანძილი, ერთ წერტილად მოეჩვენება; ეს დამტკიცებული გახლავთ.

ჩვენ არც ის ვიცით, რა მანძილია ერთი ვარსკვლავიდან მეორემდე, რაც უნდ ახლო მდებარე გვეჩვენებოდეს ისინი. დიდ დათვის თანავარსკვლავედის კუდზე ორი ვარსკვლავი თითქოს ერთმანეთს აზის, მათ შორის ძლივს ვამჩნევთ ცის პაწაწა ნაფლეთს, ასე გეგონებათ, ტყუპი ვარსკვლავიაო. თუ ასტრონომთა მთელი განსწავლულობა უძლურია დაადგინოს მანძილი მათ შორის, როგორღა გამოითვლიან მანძილს იმ ვარსკვლავებს შორის, რომელთა ურთიერთსიშორე ჩვენი თვალისთვისაც კი შესამჩნევია, აღარაფერს ვიტყვი იმათზე, რომლებიც სრულიად საპირისპირო მხარეს არიან მოქცეულნი. რა თვალუწვდენელი ხაზია ორ პოლუსს შორის გავლებული. რა ვეებერთელა იქნება ის წრე, რომლის დიამეტრიც იქნება ეს ხაზი? უბრალო გართობად უნდა გვეჩვენოს თვალუწვდენელი უფსკრულების აზომვა იმასთან შედარებით, რომ გამოიანგარიშო მოცულობა სფეროსი, რომლის კვეთია ეს ვეებერთელა წრე. და ამის შემდეგ, განა უნდა გაგვიკვირდეს, რომ ესოდენ უკიდეგანო სივრცის ვარსკვლავები ნაპერწკლებად გვეჩვენება? თუ პირიქით, საოცრებად უნდა ჩავთვალოთ, ასეთი უსაზღვრო სიმაღლიდან ერთგვარ მოყვანილობას მაინც რომ ინარჩუნებენ და ხილულნი არიან? აგრეთვე წარმოუდგენელია ჩვენთვის, რამდენ ვარსკვლავს სულაც არ წვდება ჩვენი თვალი. დიახ, ჩვენ შეგვიძლია გამოვითვალოთ მნათობთა რიცხვი; მხოლოდ იმ მნათობთა რიცხვი, რომელთაც ვხედავთ. მაგრამ, რომელთაც ვერ ვხედავთ, როგორ გამოვითვლით. როგორ დავითვლით თუნდაც იმათ, ირმის ნახტომში რომ შედიან და ქმნიან ამ ასხივოსნებულ ბილიკს, რაც ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით შეიმჩნევა უღრუბლო ღამეს. ისინი ჩვენგან იმდენად შორს არიან, რომ თვალი მათ ცალ-ცალკე კი ვერ ამჩნევს, არამედ მათი ციმციმით გაჩეხილ რძისფერ ბილიკს ხედავს იქ, სადაც ეს ვარსკვლავები იმყოფებიან.

მაშ ასე, მე ვდგავარ მიწაზე, როგორც ქვიშის მარცვალზე, რაც არაფერზეა დაყრდნობილი და ჰაერშია ჩამოკიდებული. ამ ქვიშის ირგვლივ, ექვსი ათასზე მეტი წლის განმავლობაში, წარმოუდგენელი და ენით გამოუთქმელი სიდიდის ცეცხლის სფეროთა უსასრულო რიცხვი ჩვენი გონებისათვის მიუწვდომელ სიმაღლეზეა, ცათა უკიდეგანო და უსაზღვრო სივრცეებში ტრიალებს და დაქრის. ამაზე მეტი საოცრება რაღა უნდა იყოს? არსებობს არანაკლები სასწაულიც. დიახ, თვით დედამიწაც ენით აუწერელი სისწრაფით ბრუნავს სამყაროს ცენტრის, მზის ირგვლივ. და ყველა სფერო, ყველა ეს გოლიათური სიდიდის სხეულებიც დაუსრულებლივ ტრიალებენ. არსად ხვდებიან ერთმანეთს, არ ეჯახებიან, არ უშლიან ხელს. სულ პაწაწინასაც კი გზა რომ აერიოს და მიწას შეხვდეს, რა დაემართება? ნურას უკაცრავად, ყველას თავისი ადგილი აქვს მიჩენილი; ერთხელ და სამუდამოდ დადგენილ წესრიგს ემორჩილებიან და ისე მშვიდად მიჰყვებიან მათთვის განკუთვნილ გზას, რომ არავის სმენას არ სწვდება მათი მოძრაობით გამოწვეული ხმაური, ხოლო უბირ ხალხს მმათი არსებობა არც გაუგია. ო, რა სასწაულებრივი სიფრთხილეა შემთხვევისა! თვით გონებასაც კი არ შეეძლო უკეთესად გაეაზრებინა. ლუსილ, მხოლოდ ერთი რამ მაწუხებს: ეს უზარმაზარი სხეულები ისე ზუსტად, ისე მუდმივად მოძრაობენ და ტრიალებენ, ისე გამოზომილად აწონასწორებენ ერთმანეთს, რომ თვით პაწია ცხოველებმაც კი, რომელნიც მიკარგულები არიან ვეებერთელა სივრცის ერთ კუთხეში, სამყარო რომ ჰქვია სახელად, შეძლეს დაკვირვებოდნენ მათ, გამოეძებნათ საშუალება შეუცდომლად ეწინასწარმეტყველათ თავიანთი გზის რომელ წერტილში იქნებიან ეს მნათობები ორი, ოთხი თუ ოცი ათასი წლის შემდეგ, დღეიდან მოყოლებული. აი ეს არის ჩემი საზრუნავი, ლუსილ. თუ ასეთი ერთხელ და სამუდამოდ დაკანონებული და უცვლელი წესრიგი შემთხვევითობის წყალობითაა შექმნილი, მაშ რაღა ყოფილა წესრიგი? რა არის კანონი? ახლა იმასაც გკითხავთ, რა არის შემთხვევა? სხეულია? სულია? სხვა არსებათაგან განსხვავებული არსებაა, ვისაც განსაკუთრებული ყოფა აქვს შექმნილი და სადღაც იმყოფება? ანდა იქნებ ეს არის სახეობა, ფორმა არსებობისა. როცა ბურთი ქვას დაეჯახება, ვიტყვით, შემთხვევით მოხდაო. მაგრამ ეს შემთხვევა იგივეა რაც ის, აქამდე რომ გვქონ-

და საუბარი? თუ ამავე შემთხვევის წყალობით, ბურთი პირდაპირ აღარ გაგორდება და ცერად წავა, თუ მისი მოძრაობა უშუალო კი არა, გამეშვეებული იქნება, თუ აღარ იმოძრავებს საკუთარი ღერძის ირგვლივ და აქეთ-იქით გორაობას დაიწყებს, შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ სწორედ ამ შემთხვევის შედეგად მოძრაობს ბურთი საერთოდ? განა უფრო ბუნებრივი არ იქნება ვიფიქრო, რომ ბურთი ან თავისთავად მოძრაობს ანდა ვიღაცის ბიძგმა აამოძრავა-მეთქი? თუ საათის გორგოლაჭები ამა თუ იმ სიჩქარით ერთმანეთს წრიულად ამოძრავებენ, განა ნაკლებ მოვინდომებ გავიგო მიზეზი, გორგოლაჭები თავისთავად მოძრაობენ თუ საათის გირი აძლევთ ბიძგს. მაგრამ არც გორგოლაჭებს, არც ბურთს არ შეუძლია თავიანთი თავი აამოძრაონ, ესე იგი, შინაგანი ბუნების მეშვეობით არ მოძრაობენ, რამდენადაც გაჩერების შემდეგ საკუთარ ბუნებას არ იცვლიან. როგორც ჩანს, მათ ამოძრავებს მათთვის უცხო, გარეგანი ძალა. და თუ ციური სხეულები აღარ იმოძრავებენ, შეიცვლება მათი ბუნება? აღარ იქნებიან ციური სხეულები? არა მგონია. მაგრამ ისინი მოძრაობენ და ეს მოძრაობა არ წარმოიშვება თვით მათში და მათი შინაგანი ბუნებიდან არ გამომდინარეობს. მაშ, ეძიეთ, ლუსილ, ის გარეგანი ძალა, რაც მათ ამოძრავებთ. და რასაც იპოვით, მე მას ვუწოდებ ღმერთს.

თუ დავუშვებთ, რომ ეს ვეებერთელა სხეულები უმოძრაონი არიან, მაშინ ვიღა იკითხავს, მოძრაობაში რას მოჰყავსო. იმას კი იკითხავენ, ეს სხეულები ვინ შექმნაო ისევე, როგორც შეიძლება იკითხონ, გორგოლაჭები და ბურთი ვინ გააკეთაო. და თუ იმასაც დავუშვებთ, რომ დიდი სხეულები ატომთა შემთხვევით დახროვებას წარმოადგენენ და ატომები ერთმანეთთან დაკავშირებული და გადაჯაჭვულია მათი ნაწილების ფორმისა და აგებულების მიხედვით, მაშინ ისიც საკითხავი გახდება, ვინ შექმნა ატომები? რა არის ატომი, მატერია თუ გონება? ჰქონდა თუ არა საკუთარ თავზე წარმოდგენა, სანამ არსებობას დაიწყებდა? მაშასადამე, სანამ იქნებოდა, ერთხანს უკვე იყო. ერთსა და იმავე დროს იყო და არც იყო. და თუ თვით შექმნა თავისი არსიცა და ფორმაც, რატომ გახდა სხეული და არა სული? იქნებ ატომი არც დაწყებულა არაოდეს?

იქნებ მარადიულია იგი და უსასრულო? ხომ არ გნებავთ, ატომი გახადოთ ღმერთად?

44

ტკიპას თვალები აქვს. გზაზე საშიში საგანი თუ შეხვდა, განზე წავა. თუ გნებავთ ახლოდან დააკვირდეთ, აბანოზის ხეზე გაუშვით, წინ ჩალის პაწია ღერო დაუდეთ, მაშინვე შეიცვლის მიმართულებას. ნუთუ მისი თვალის ბროლი, ბადურა და ნერვი შემთხვევის ნაყოფია!

წყლის წვეთში თუ ჩავყრით პილპილს, ჩნდება აურაცხელი პაწაწინა არსებები, რომელთა მოყვანილობა მიკროსკოპში შეიმჩნევა. ისინი წარმოუდგენელი სისწრაფით მოძრაობენ, როგორც თვალუწვდენელ ზღვაში ჯოჯოები. თითოეული ეს არსება ტკიპაზე ათასჯერ უფრო პატარაა და მაინც სხეულია, რომელიც არსებობს, იკვებება, იზრდება და რომელსაც, ალბათ, აქვს კუნთები, ჩვენი ვენების მსგავსი კაპილარები, არტერიები, ნერვები და ტვინიც, რაც საკმაოდ ცხელ წვენს ანაწილებს მის ორგანიზმში.

ქვიშის მარცვლის ოდენა ობის პატარა ლაქა მიკროსკოპში წარმოგვიდგება, როგორც აშკარად სხვადასხვანაირი უამრავ მცენარეთა თავმოყრა; ზოგი აყვავებულია, ზოგს ნაყოფი ასხია, ზოგს ნახევრად გაშლილი კოკრები აქვს, ზოგიერთი კი დამჭკნარია. რა ზღაპრულად პაწაწკინტელები უნდა იყოს მათი ფესვები, ფილტრები, რომლებიც ამ პაწია მცენარეებს საკვებს აწვდიან. თუ გავიხსენებთ, რომ ამ მცენარეებსაც აქვთ თესლი, როგორც მუხებს, ფიჭვებს და ზემოაღნიშნული ნამცეცა ცხოველები მრავლდებიან და აჩენენ თავიანთ მსგავსებს, როგორც სპილოები და ვეშაპები, სად მიგვიყვანს ყოველივე ეს? ვინ შექმნა აგრე რიგად ნაზი, ნამცეცა არსებები, რასაც ადამიანი თვალით ვერ ხედავს და რომელთა განზომილება ისეთივე უსასრულოა, როგორც განზომილება ციური სხეულებისა, ოღონდ მეორე უკიდურესობის, სიმეტრიის თვალსაზრისით. იქნებ იმანვე, ვინც შექმნა ცა, მნათობები, ვეებერთელა სხეულები, რომელნიც თავიანთი სიდიდით, სიშორით, სისწრაფითა და გზის უსასრულობით თავზარსა გვცემენ, ვინც შეძლო ესოდენ იოლად ამოძრავება მათი?

უდავოა, რომ ადამიანი სარგებლობს მზის, მნათობების, ცისა და მათი ზემოქმედების ყველა სიკეთით ისევე, როგორც ჰაერით, რითაც სუნთქავს და მიწით, რაზედაც დადის და რაც მის საყრდენს წარმოადგენს. ამ ჭეშმარიტებას თუ კიდევ დამტკიცება სჭირდება და რაღაც მოსაზრებებისა და საბუთების მოშველიება, მაგას რა უნდა, ყოველივე ხელისგულივითაა ჩვენს წინ გადაშლილი, რამეთუ ცა და ციური სხეულები კეთილშობილებითა და ღირსებით ვერ შეედრება მიწაზე მცხოვრებ უგვანო კაცსაც კი. რამდენადაც მათ შორის ისეთივე შეფარდებაა, რა შეფარდებაც არსებობს მატერიასა, რომელსაც გრძნობების უნარი არ გააჩნია და მხოლოდ სამი განზომილების სივრცეს წარმოადგენს, და იმის შორის, რაც არის სული, გონება და აზრი. თუ მეტყვიან, ადამიანი არსებობის შესანარჩუნებლად ამაზე ნაკლებითაც გავიდოდაო იოლად, მე მივუგებ, ღმერთმა თავისი ძლიერების, სიკეთისა და გულუხვობის მხოლოდ მცირეოდენი ნაწილი გამოგვიმჟღავნა, რადგან მას შეეძლო უსასრულოდ მეტი გაეკეთებინა იმაზე, რაც გააკეთა და რასაც ჩვენ ვხედავთ.

მთელი სამყარო, თუკი იგი შექმნილია ადამიანისთვის, არაფერია იმასთან შედარებით, რის შექმნასაც ღმერთი აპირებს მისთვის და ამის დამადასტურებელ საბუთს გვაძლევს არსი რელიგიისა. ადამიანი თუმცა ემორჩილება ჭეშმარიტების ძალას, შეიცნობს საკუთარ უპირატესობას, მაგრამ ამის გამო არც ყოყოჩობს და არც პატივმოყვარული გრძნობებით იმსჭვალება. იგი დიდ სიშტერესა და სიბრმავეს გამოიჩენდა, თუ არ ირწმუნებდა დამამტკიცებელი საბუთების მთელ ჯაჭვს, რისი მეოხებითაც რელიგია ადამიანს აცნობს, რა შესაძლებლობები აქვს მას, რა უნარი, რა ნიჭი და ასწავლის, როგორ შეიცნოს, რა არის იგი და რა შეიძლება გახდეს. „მაგრამ, მთვარეც რომ დასახლებულია, ანდა, ყოველ შემთხვევაში, არცთუ ნაკლებ შესაძლებელია, რომ დასახლებულია“. რას მეუბნებით, ლუსილ, რა შუაშია მთვარე? ღმერთი თუ არსებობს, განა მისთვის რაიმე შეუძლებელია? ალბათ გინდოდათ გეკითხათ, მთელ სამყაროში მხოლოდ ჩვენდამია აგრე რიგად სულგრძელიო? ხომ არ არიან მთვარეზე სხვა ადამიანები ან რაღაც არსე-

ბები, რომელთაც ღმერთი ასევე მფარველობსო? რა ამაო ცნობის-მოყვარეობაა, უაზრო შეკითხვა, ლუსილ. მიწა დასახლებულია. ჩვენ მასზე ვცხოვრობთ და ეს ვიცით, გვაქვს სათანადო დამადასტურებელი საბუთები, უტყუარი ცნობები და ურყევი რწმენა ყოველივე იმის მიმართ, რაც ეხება ღმერთს და რაც გვეხება ჩვენ. ლუსილ, თქვენ არაერთხელ დაკვირვებიხართ მთვარეს, ასტრონომებზე ნაკლებ როდი შეგისწავლიათ მისი ლაქები, უფსკრულები, მთები, ჩვენგან დაცილების მანძილი, ტრაექტორია, დაბნელება. გამოიგონეთ ახალი იარაღები, დააკვირდით უფრო მეტი სიზუსტით, დარწმუნდით, ნამდვილად თუ დასახლებულია მთვარე და რა ცხოველები ბინადრობენ იქ. ჰგვანან ადამიანებს? არიან ადამიანები? მერე მეც მომეცით ნება, დავაკვირდე. და თუ ორთავე დავრწმუნდებით, რომ ადამიანი ცხოვრობს მთვარეზე, მერე გავარკვიოთ, ქრისტიანები თუ არიან და ღმერთმა მფარველობა თვისი თუ გაანაწილა ჩვენსა და მათ შორის.

46

ბუნებაში ყოველივე დიდებული და საუცხოოა, ყოველივეს შემოქმედის მზრუნველი ხელი ატყვია. ისიც კი, რაც ხანდახან უწესრიგოდ და არასრულყოფილად მოჩანს, გულისხმობს წესრიგსა და სრულყოფილებას. ადამიანო პატივმოყვარე და ამპარტავანო! აბა შექმენი ჭიაყელა მაინც, რასაც ფეხით სრეს და ზიზღით დასცქერი. გძაგს გომბეშო, აბა შექმენი იგი, თუ შეგიძლია. რა ოსტატია იგი, ვინც ქმნის ამ არსებებს, რომლებიც, არ ვიტყვი აღაფრთოვანებენ-მეთქი ადამიანს, მაგრამ შიშს გვრიან მას. მე არა გთხოვთ თქვენს სახელოსნოში შექმნათ გონიერი ადამიანი, მშვენიერი აღნაგობის მამაკაცი, ლამაზი ქალი, ასეთი შრომა თქვენს ძალასა და ღონეს აღემატება, მაგრამ ეცადეთ შექმნათ კუზიანი, გიჟი, მახინჯი, ესეც საკმარისი იქნება.

ხელმწიფენო, მეფენო, მონარქებო, მირონცხებულო უფალნო! ნეტავ, თუ შევძელი თქვენი, ყველა უზენაესი ტიტულის ჩამოთვლა? ძლიერნო ამა სოფლისანო, ფრიად დიდებულნო, და სულ მალე, ალბათ, ყოვლისშემძლენო! ჩვენ, უბრალო მოკვდავთ, ალობისთვის ცვარნამი გვჭირდება, შექმენით ნამი, მიწას მიუვლინეთ ერთი წვეთი წყალი.

ბუნების წესრიგი, სილამაზე, გარეგანი მოვლენები ყველასთვის ცნობილია. მისი პირველადი მიზეზი და წარმოშობა არავინ იცის. ჰკითხეთ ქალს, როგორ ხდება, რომ თავის მშვენიერ თვალს გაახელს და უმალვე ხედავს, ჰკითხეთ იგივე სწავლულსაც, ვერაფერს გეტყვიან.

47

მრავალი მილიონი წელი, მრავალი ასი მილიონი წელი, ერთი სიტყვით, დროის ნებისმიერი მონაკვეთი, თვალის ერთი დახამხამებაა შედარებით ღმერთის არსებობასთან, რაიც არის მარადიული. სამყაროს ყველა სივრცე მხოლოდ ერთი წერტილია, ერთი ატომი მის უსაზღვრობასთან შედარებით. თუ ჩემი მოსაზრება სწორია და, რა თქმა უნდა, სწორია, რადგან სასრული ვერ შეეფარდება უსასრულოს, მაშინ საკითხავია, რა მნიშვნელობა აქვს ადამიანის ცხოვრებას, ან მტვრის მარცვალს, რასაც დედამიწა ეწოდება, ანდა მიწის იმ პატარა ნაწილს, რაც ადამიანს ეკუთვნის და სადაც ადამიანი ბინადრობს? ამბობენ, ცხოვრებაში ბოროტები იმარჯვებენო, ყაბულსა ვარ, ზოგიერთი ბოროტი იმარჯვებს. მიწაზე სათნოება დათრგუნულია, დანაშაული დაუსჯელიო, ხანდახან-მეთქი, დავსძენ. ეს უსამართლობააო, სრულებითაც არა. სანამ ასეთ დასკვნებს გამოვიტანდეთ, აუცილებლად უნდა დავამტკიცოთ, რომ ბოროტები ნამდვილად ბედნიერები არიან, კეთილნი ნამდვილად არ არიან ბედნიერნი, დანაშაული ნამდვილად არ არის დასჯილი; რომ დროის ის მონაკვეთი, როცა კეთილი იტანჯება და ბოროტი ხარობს ცოტა ხანგრძლივი მაინც არის, და ის, რასაც ჩვენ კეთილდღეობასა და იღბლიანობას ვუწოდებთ, არ არის თვალის მოტყუება და წამიერი მოჩვენება, რაც მყისვე ქრება; რომ ეს მიწა, ეს ატომი, სადაც სიკეთეს და ბოროტმოქმედებას, როგორც ჩანს, იშვიათად მიეზღვებათ თავ-თავისი, არის სამყაროს ერთადერთი კუთხე, სასჯელსა და საჩუქრებს რომ არიგებენ. როგორც ვასკვნიდი, თუ ვფიქრობ, მაშასადამე სული ვარ-მეთქი, ასევე თუ ჩემის ნებით შემიძლია ჩავიდინო ან არ ჩავიდინო რამე, შემიძლია დავასკვნა, მაშასადამე მე ვარ თავისუფალი. ამგვარად, თავისუფლება არის არჩევანი, ანდა ნებისმიერი გადაწყვეტილება, იყო კეთილი ან ბოროტი; აქედან გამომდინარეობს კარგი ან ცუდი საქციელი, რა-

საც ეწოდება სათნოება ან დანაშაული. ბოროტმოქმედება დაუსჯელი რომ დარჩენილიყო, ეს მართლაც უსამართლობა იქნებოდა, მაგრამ უსამართლობა მხოლოდ დედამიწაზე თუა, არავინ უწყის. მოდი, ათეისტებთან ერთად დავუშვათ, რომ ქვეყნად გამეფებულია უსამართლობა. ყოველი უსამართლობა არის სამართლიანობის ან უარყოფა, ან დარღვევა. მაშასადამე, ყოველი უსამართლობა სამართლიანობას გულისხმობს. ყოველი სამართლიანობა არის უზენაესი გონების შესაბამისობა. გეკითხებით, განა შეიძლება გონება უშვებდეს დანაშაულის დაუსჯელობას, ეს ხომ ისეთივე შეუსაბამობაა, როგორც სამკუთხედზე ნაკლებ კუთხიანი სამკუთხედი. ამგვარად, გონების ყოველი შესაბამისობა არის ჭეშმარიტება. ეს შესაბამისობა, როგორც ახლახან შევნიშნე, ყოველთვის არსებობდა და მიეკუთვნება მარადიულ ჭეშმარიტებათა რიცხვს. ამასთან, ჭეშმარიტება ან სულ არ არის, ან არ შეიძლება იყოს, თუ არ არის ცნობიერების ობიექტი. მაშასადამე, ცნობიერებაც მარადიულია და იგი არის ღმერთი.

ღრმა საიდუმლოებით მოცული დანაშაული, რის გასახორციელებლადაც ბოროტმოქმედნი ათასგვარ სიფრთხილესა და ზომებს მიმართავენ ხალხის თვალის ასახვევად, ისე უბრალოდ და იოლად იხსნება, რომ ასე გეგონება, მარტოდმარტო ღმერთმა შეძლო ამ საიდუმლოების გამომჟღავნებაო. ამგვარი მაგალითი იმდენად ხშირია და მრავალრიცხოვანი, რომ თუკი ვინმე აიხირებს და მას წმინდა შემთხვევითობას მიაწერს, მაშინ ისიც უნდა დაგვიმტკიცოს, რომ შემთხვევითობა ყოველ დროს და ყოველ ჟამს ყოფილა ჩვეულება.

48

თუ დავუშვებთ, რომ დედამიწაზე ყველა ადამიანი, გამონაკლისის გარეშე დატკბება სიუხვით და იქნება ყოველმხრივ დაკმაყოფილებული, აქედან გამომდინარე, დარწმუნებით ვიტყვი, რომ ამქვეყნად არვინ დატკბება სიუხვით და არც არაჯერით იქნება დაკმაყოფილებული. არსებობს მხოლოდ ორგვარი სიმდიდრე, რაზედაც დაიყვანება ყოველი ავლა-დიდება: ფული და მიწები. თუ ყველა გამდიდრდა, ვილა მოხნავს მიწას, ვინღა იმუშავებს მაღაროებში? ვინც მოშორებული იქნება მაღაროებს, შიგ ჩასვლას არ ისურვებს

და ვინც ყამირ, ან მწირ მიწაზე იცხოვრებს, ვეღარ მიიღებს მისგან მოსავალს. დავუშვათ, ვაჭრობას მიჰყონ ხელი. მაგრამ, თუ ხალხი სიმდიდრეში იქნება ყელამდე ჩაფლული და არ მოუხდება საკუთარი შრომით ირჩინოს თავი, ქვეყნის ერთი კუთხიდან მეორეში ვინ გადაიტანს ძვირფასი ლითონის ზოდებს ანდა გადასაცვლელ საქონელს? ვინ ჩაუშვებს ზღვაში გემებს, ვინ მიუჯდება საჭეს, ან ვინ გაჰყვება ქარავანს? მაშინ ხომ ყველას მოაკლდება ყოველგვარი საარსებო საშუალება. არ იქნება გაჭირვება, არ იქნება ხელოვნება, მეცნიერება, გამოგონება, მექანიკა. ამასთან, ქონებისა და საკუთრების თანასწორუფლებიანობა ადამიანის მდგომარეობის შეცვლასაც მოითხოვს; აუქმებს ყოველგვარ უფროს-უმცროსობას, ადამიანს აიძულებს საკუთარ თავს მოემსახუროს, სხვის დახმარებას აღარ მიმართოს; კანონებს უაზროსა და უსარგებლოს გახდის, გამოიწვევს საყოველთაო ანარქიას. გააბატონებს ძალმომრეობას, ურთიერთშეურაცხყოფას, მკვლელობას, დაუსჯელობას.

და, პირიქით, დავუშვათ, ყველა ღარიბია; მზე ტყუილ-უბრალოდ ამოვიდეს დასალიერზე, გაათბოს და გაანაყოფიეროს მიწა. ასევე ამაოდ გადმოაყაროს ცამ მიწას თავისი სიკეთე, მდინარეებმა მორწყონ იგი და დედამიწის მრავალი კუთხე აივსოს ნაყოფიერებითა და სიუხვით. ზღვამაც აგრეთვე უმიზნოდ გადაუშალოს ადამიანებს თავისი უფსკრულები, მთებმა და კლდეებმაც უშედეგოდ გაუხსნან წიაღი და ხალხს შესთავაზონ თავისი განძი. ხოლო დედამიწის ზურგზე დასახლებული ადამიანებიდან ერთნი თუ მდიდრები იქნებიან, მეორენი კი ღარიბ-ღატაკნი, კარგად თუ დააკვირდებით, დარწმუნდებით, რომ გაჭირვება ადამიანებს აახლოებს და აკავშირებს. ერთნი მეორეს ემორჩილებიან, ემსახურებიან, მუშაობენ, იგონებენ, აუმჯობესებენ. მეორენი მათი შრომით სარგებლობენ, საჭმელს აძლევენ პირველთ, ეხმარებიან, მფარველობენ, ხელმძღვანელობენ. ყველგან გამეფებულია წესრიგი და მოჩანს ღმერთის მზრუნველი ხელი.

49

ერთ მხარეს თავი მოუყრია ძალაუფლებასა და უსაქმურობას, მეორე მხარეს — მორჩილებას, გარჯას, სიღარიბეს. ან ყოველივე

გადაადგილდება ადამიანის ბოროტების შედეგად, ან ღმერთი არ ყოფილა ღმერთი.

ადამიანთა მდგომარეობის ერთგვარი უთანაბრობა, რაც წესრიგსა და მორჩილებას ამყარებს, ღმერთის ნამოქმედარია, ესე იგი, მასში ვხედავთ ღვთაებრივ კანონიერებას; მეტად დიდ უთანაბრობაში, ადამიანთა შორის რომ შეიმჩნევა, ადამიანთა ხელი ურევია, ესე იგი, გამომდინარეობს ძალმომრეობის კანონიდან.

უკიდურესობანი ყოველთვის მანკიერია და შექმნილია ადამიანის მიერ. გაწონასწორება სამართლიანია მუდამ და ღმერთის ნახელავია.

გამიკვირდება მკითხველს თუ არ მოეწონა „ხასიათები"; და თუ მოეწონა, ესეც გამიკვირდება.

შენიშვნები

გვ. 15. ერაზმ როტერდამელი (1466—1537)—აღორძინების პერიოდის უდიდესი ჰუმანისტი. ლა ბრუიერის ეპიგრაფი აღებულია ერაზმის იმ წერილიდან, რაც მან თავისი თხზულების „სისულელის ქების“ საწინააღმდეგოდ გამოქვეყნებული კრიტიკული სტატიის საპასუხოდ დაწერა.

გვ. 20. რომაელი ორატორი—ნაგულისხმევია ციცერონი.

გვ. 22. ორდერი — არქიტექტურული კომპოზიციის ერთ-ერთი სახე.

გვ. 28. ერთი თანამედროვე მწერალი...—საფრ. აკ. წევრი ბერნარ ლე ბოვიე დე ფონტენელი (1657—1757). ანტიკური ლიტერატურის დამცველთა და მოწინააღმდეგეთა ეგრეთ წოდებულ „ძველთა და ახალთა“ ბრძოლაში, ფონტენელი „ახალთა“ ბანაკში იყო, ხოლო ლა ბრუიერი „ძველებს“ ემხრობოდა. ამ ნიადაგზე ფონტენელი თავს ესხმოდა ლა ბრუიერს. „გასაღებების“ მიხედვით ფონტენელი ლა ბრუიერს გამოყვანილი ჰყავს „კიდიასის“ სახით (თავი V, § 74). განსაკუთრებით აღსანიშნავია „გალანტურ მერკურში“ ლა ბრუიერის აკადემიაში არჩევის გამო გამოქვეყნებული ფონტენელის, ტომა კორნელისა და ვიზეს წერილი.

გვ. 25. ზელოტები — ძველ პალესტინაში მიწის მუშები და ხელოსნები, რომლებიც რომაელებს ებრძოდნენ. ანტიკური კულტურის თაყვანისმცემელ ლა ბრუიერს ზელოტები გამოყვანილი ჰყავს როგორც უვიცნი.

გვ. 29. „სიდი“ — ფრანგი კლასიცისტის პიერ კორნელის (1606—1684) ტრაგედია. ...როგორც განიხილავდნენ „სიდს“. — მინიშნებულია 1638 წ. გამოქვეყნებული „საფრანგეთის აკადემიის აზრი კორნელის ტრაგიკომედიის „სიდის“ შესახებ“. ბუჰური (1628—1746) — იეზუიტი მამა დომინიკე. გრამატიკოსი და ლიტერატორი.

როჟე დე რაბიუტენი, კონტი დე ბიუსი (1618—1693) —

საფრანგეთის აკად. წევრი. მწერალი. მას ეკუთვნის „გალების სასიყვარულო თავგადასავლები“ და ლუი XIV-ის და მისი კარის შესახებ შექმნილი პამფლეტები, თავშესაქცევი სურათების სერია. კონტ დე ბიუსი მხურვალე მონაწილეობას იღებდა ლა ბრუიერის აკადემიის წევრად 1691 წ. არჩევის დროს. ამ ფაქტს ადასტურებს ლა ბრუიერის წერილი დე ბიუსისადმი, დათარიღებული 1691 წ. 9 დეკემბრით. ლა ბრუიერის კორესპონდენციებიდან შემონახულია მხოლოდ ორი წერილი. აღნიშნულ წერილში ლა ბრუიერი უღრმეს მადლობას უხდის დე ბიუსს იმ დიდი ყურადღების გამო, რაც მან გამოიჩინა არჩევნებში. თუმცა ლა ბრუიერი იმ წელს ვერ გავიდა, მაინც დიდად ემადლიერება დე ბიუსს და ჰპირდება დიდ კონდეს და მის მეუღლეს ვაუწყებ, რა ამაგიც დამდეთო.

83. 80. კრამუაზი — XVII ს. ფრანგ გამომცემელთა ოჯახი.

83. 81. ჟან-ლუი გეზ დე ბალზაკი (1594—1654) — ფრანგი მწერალი. XVII ს. ლიტერატურული ენის შესახებ დაწერილი ტრაქტატებისა და ეპისტოლარული კრებულების ავტორი.

ვენსან ვუატიური (1598—1648) — სალონურ-არისტოკრატული „პრეციოზული“ სტილის პოეტი. თავის დროს დიდ მოწონებას იმსახურებდა მისი ლექსებიცა და წერილებიც.

83. 82—88. ფრანსუა დე მალერბი (1555—1628)—პოეტი და კრიტიკოსი, რომელსაც დიდი როლი მიუძღოდა ფრანგული კლასიციზმის ჩამოყალიბებაში. ტეოფილ დე ვიო (1590—1626)—ფრანგი პოეტი, თავისუფლად მოაზროვნე. პიერ რონსარი (1524—1585) — ფრანგული აღორძინების სახელგანთქმული პოეტი. პოეტების წრის „პლეადის“ მამამთავარი.

კლემან მარო (1495—1544) — „პლეადის“ წინამორბედი. საფრანგეთის აღორძინების ეპოქის გამოჩენილი პოეტი.

რემი ბელო (1528—1577) — „პლეადის“ პოეტი.

ეტიენ ეოდელე (1532—1573) — „პლეადის“ პოეტი და დრამატურგი.

გიიომ დიუ ბარტას (1544—1590) — „პლეადის“ პოეტი.

83. 88. ონორე დე რაკან (1589—1670)—„პასტორალების“ ავტორი. მალერბის შეგირდი და ბიოგრაფოსი.

...ორმა მწერალმა... — იანსენიზმის წარმომადგენელი ნიკოლე (1628—1695) — „პორ-რუაიალის ლოგიკის“ ავტორი; მალბრანში (1638—1715) — ფილოსოფოსი, „ჭეშმარიტების ძიების“ ავტორი.

მიშელ დე მონტენი (1533—1592) — ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსი და მორალისტი. „ესეების“ ავტორი.

ჟაკ ამიო (1513—1593) — პლუტარქეს მთარგმნელი. ეპისკოპოსი, შარლ IX-ს აღმზრდელი.

ნიკოლა კოეფეტო (1574—1623) — ქ. მარსელის ეპისკოპოსი, სახელგანთქმული თავისი ქადაგებებით.

გვ. 34. „გ. მ." — პერიოდული ჟურნალი, რომელიც 1672 წ. დაარსა დონო დე ვიზემ ტომა კორნელის ხელშეწყობით. რედაქტორობდა ვიზე. ჟურნალში იბეჭდებოდა სამეფო კარის ახალი ამბები, პოეზია, ანეკდოტები. ამფიონი — (მით). იუპიტერისა და ანტიოპეს შვილი, კითარის შესანიშნავი დამკვრელი. ნაგულისხმევია ფრანგი კომპოზიტორი ჟან-ბატისტ ლული (1633—1687), კლასიკური ოპერის შემქმნელი, რომელიც წინააღმდეგი იყო თეატრალური ტექნიკის. ლა ბრუიერი თაყვანსა სცემდა მის მუსიკას, მაგრამ ეწინააღმდეგებოდა მის თეატრალურ რეფორმებს.

ორივე „ბერენისს"... — „ბერენისი" — რასინის ტრაგედია; „ტიტუსი და ბერენისი" — კორნელის ტრაგედია. „პენელოპე" — აბატ ჟენეს (1639—1719) ტრაგედია.

გვ. 35. ამ ფუსფუსა ხალხმა... — ზეიმი შანტილიში, რაც პრინცმა კონდემ მოაწყო ტახტის მემკვიდრის პატივსაცემად.

...ფარ-ხმალს აყრევინებენ პოეტებს... — კარისკაცთა ერთმა ჯგუფმა ჩააგდო „ფედრას" დადგმა (1677 წ.).

გვ. 45. დორილა, ჰანდბურგი — ლა ბრუიერი დასცინის ისტორიკოსებს ანტუან ვარილასა (1626—1696) და პიერ-ლუი მემბურას (1610—1686), რომელთაც სახელი ჰქონდათ განთქმული XVII საუკუნეში.

გვ. 45. დეპრეო — ნიკოლა ბუალო (1636—1711) — დიდი ფრანგი პოეტი და კრიტიკოსი.

„ვ"—მხატვარი კლოდ-ფრანსუა ვინიონი (1633—1701). „კ"—ლულის შეგირდი პასკალ კოლასი.

„პირამის" ავტორი—ნიკოლა პრადონი (1638—1698) — საშუალო ნიჭის დრამატურგი, ვისაც რასინის მტრებმა დააწერინეს ტრაგედია „ფედრა და იპოლიტი" და დადგეს „ფედრას" პრემიერის შემდეგ მესამე დღეს.

მინიარი პიერ (1610—1695) — მხატვარი. ცნობილია მისი ისტორიულ თემებზე შექმნილი ტილოები და პორტრეტები.

გვ. 55. ემილი — დიდი მთავარი კონდე; ალექსანდრე — მაკედონელი; კეისარი — იულიუს კეისარი.

გვ. 56. ღმერთთა შვილები... უფლისწულები.

გვ. 69. გისტრიონი — ძველ რომში პროფესიული მსახიობი; შუა საუკუნეებში დას. ევროპაში — მოხეტიალე კომედიანტი.

გვ. 82. პიერ დიუ პიუე მონტორონი — XVII ს. ერთ-ერთი მსხვილი ფინანსისტი; ემერი მიშელ პარტიჩელი — XVII ს. ორმოციან წლებში საფრანგეთის ფინანსთა მინისტრი.

გვ. 106. სებასტიანი ზამეტო (1549—1614) — დიდი ფინანსისტი და

ბანკირი. ცხოვრობდა საფრანგეთის სამეფო კარზე.

რუჩელაი — ფლორენციელი აზნაური, აბატი. XVII ს. დასაწყისში, მარია მედიჩის რეგენტობის დროს მონაწილეობდა სამეფო კარის ინტრიგებში. კონჩინი — მარია მედიჩის ფავორიტი. ერთხანს ლუი XIII მინისტრი იყო. ცნობილია მარშალ დ'ანკრის სახელით. 1617 წ. მოკლა მეფის კაპიტანმა.

83. 120. ბალიი—მოხელე ფეოდალურ საფრანგეთში; მეფის ან სენიორის სახელით სამართალს აწარმოებდა.

83. 123. ...ორიეე სქესის წარმომადგენლებისგან შემდგარი წრე.— მარკიზ რამბუიეს სალონი (XVII ს. 20—24-იანი წლები), კანონმდებელი არისტოკრატული ლიტერატურული გემოვნების, „პრეციოზული" სტილის.

83. 124. ...ზოგიერთი რომანის... — მადამ დე სკუდერის (1607—1701) „პრეციოზული" რომანები, რომელთაგან გამოირჩეოდა „კლელია", როგორც გალანტური ყოფაქცევისა და გრძნობების ეტალონი.

83. 126. ლუკანუს მარკუს ანიუს (39—65 ძვ. წ.) — რომაელი პოეტი. კლავდიანუს—ლათინური პოეზიის ერთ-ერთი უკანასკნელი წარმომადგენელი (IV ს.) მხედართმთავარ სტილიკონის პანეგირიკოსი. სენეკა ლუციუს ანიუს (დაახ. 4 წ. ძვ. წ. 65 წ. ახ. წ.)—რომაელი ფილოსოფოსი და დრამატურგი.

...ვინ არის უნგრეთის მეფე. — 1687 წ. ლეოპოლდ I-ს მეფობის დროს, გაბსბურგების ავსტრიულმა დინასტიამ მიიღო მემკვიდრეობითი უფლება უნგრეთის ტახტზე.

83. 126—127. ნინუსი—გადმოცემით ასირიის სამეფოს დამაარსებელი. ცხოვრობდა XX ს. ძვ. წ.

სემირამიდა — ლეგენდარული ასირიის დედოფალი, ნინუსის მეუღლე. დედაქალაქი ნინევია შეამკო ცნობილი „დაკიდული ბაღებით". სიკვდილის შემდეგ ღვთაებად გამოაცხადეს.

სეზოსტრისი — ეგვიპტის მეფე. ამ სახელით ორ მეფეს, სეტოზ I (XIV ს. ძვ. წ.) და რამზეს II-ს იხსენიებენ. რამზეს II (1388—1322) დაიპყრო სირია, ეთიოპია, არაბეთი. დაიწყო სუეცის არხის გაყვანა. ცნობილია სეზოსტრის დიდის სახელით.

არტაქსერქს I — სპარსეთის მეფე, რომელსაც გრძელხელას უწოდებდნენ. მეფობდა 465—425 წ.

83. 128. ლუკიანე (დაახ. 120—180) — ბერძენი მწერალი—სატირიკოსი. თეოკრიტე — ბერძენი პოეტი. დაიბ. სირაკუზაში დაახ. 310—300 წ. ძვ. წ. ბუკოლიკური პოეზიის ფუძემდებელი. ავტორი „იდილიებისა" და „ეპიგრამების".

გვ. 135. პ. ტ. ბ.—პარტიზანები; ნაგულისხმევია მოიჯარეები.

გვ. 135. სოზი—პლავტეს, მოლიერის კომედიებში გაქნილი მსახური. კარმელი—მონ-კარმელის ორდენის ბერი. ორდენი XII ს. დაარსდა პალესტინაში. საფრანგეთში შევიდა ლუი IX დროს.

გვ. 136. ლიქტორები—ძველ საბერძნეთში მაღალი თანამდებობის პირთა თანმხლებნი.

გვ. 139. ბენეფიციუმი—რომაულ-კათოლიკური ეკლესიის შემოსავლიანი თანამდებობა.

გვ. 147. ეაკ ფოკონე—1680-87 წ. გადასახადების ამკრები საფრანგეთში.

გვ. 152. ზომბაია—სიამის სამეფოში კარის ეტიკეტის ერთ-ერთი პუნქტი, რის მიხედვითაც ელჩები აუდიენციის დარბაზს მუხლმოყრილნი უნდა მიუახლოვდნენ.

გვ. 154. ზენობია—არაბეთის მეფის ოდენატის მეუღლე. პალმირის დედოფალი. 273 წელს დაატყვევა რომაელმა იმპერატორმა ავრელიუსმა.

გვ. 155. ფიდიასი (500—431) — სახელგანთქმული ბერძენი მოქანდაკე. ზევქსისი (464—398) — სახელოვანი ბერძენი მხატვარი.

გვ. 161. გომონი, დიუამელი—ცნობილი ვექილები და ბრუიერის დროს.

გვ. 165. ფეიანტები—ბერების ორდენი, დაარსებული XVI ს. საფრანგეთში. მინიმები—ბერების ორდენი, დაარსებული 1435 წ. საფრანგეთში წმიდა ფრანსუა დე პოლის მიერ.

სირანო დე ბერჟერაკი (1619—1655)—თავისუფლად მოაზროვნე მწერალი. დემარე დე სენ-სორლენი (1596—1676) — მწერალი. „ძველთა და ახალთა“ კამათში ემხრობოდა „ახლებს“.

ლუი ლეკლაში (1620—1671) — ორთოგრაფიის რეფორმისადმი მიძღვნილი ტრაქტატისა და ფილოსოფიის კურსის ავტორი.

ბარბენი — XVII ს. ფრანგი გამომცემელი. გამოაქვეყნა მოლიერის, რასინის, ლაფონტენის და სხვათა თხზულებანი.

გვ. 166. „ნაზ სულთა ანალები“, „მიჯნურთა ფურცელი“ — მადამ დე ვილადიეს რომანტიკული თავგადასავლების კრებულები. „ხელი როლანდი“ — ლულის ოპერა, არიოსტოს პოემის „ხელი როლანდის“ მიხედვით დაწერილი.

გვ. 174. „ვ“—ვერსალი.

„ნ“ დიდი ალიაქოთითა და ზარ-ზეიმით მობრძანდება... — მეფის დილის ტუალეტს ესწრებოდნენ მაღალი არისტოკრატიის წარმომადგენლები.

ვ3. 178. ორიფლამი — XII—XV ს. საფრანგეთის მეფეთა საომარი დროშა.

ვ3. 184. რუსო — ცნობილი მედუქნე პარიზში XVII ს.

ფაბრი — 1661 წ. დაწვეს ღვთისმგმობელობისა და გარყვნილების გამო.

ლაკუტიური — ლუი XIV-ს თერძი. ბოლოს გაგიყდა.

ვ3. 193. ჟან-დომინიკ კასინი (1625—1712) — ასტრონომი, პარიზის ობსერვატორიის დამაარსებელი და დირექტორი.

ცრუ მზე — ოპტიკური მოვლენა ატმოსფეროში.

პარალაქსი — ასტრონომიული ტერმინი; დამკვირვებლის ადგილის მონაცვლებისას მნათობის ხილული გადაადგილების კუთხის გამზომი.

ვ3. 195. არლეკინის თეატრი — იტალიელ კომედიანტთა თეატრი, რომელიც პარიზში მართავდა წარმოდგენებს.

ვ3. 197. ამბობენ, არისო ერთი ქვეყანა...—მინიშნებულია საფრანგეთი.

ვ3. 212. სოკრატე—ფილოსოფოსი; არისტიდე (დაახ. 540—468)—ათენის მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე, რომელსაც ზედმეტ სახელად „სამართლიანი" შეარქვეს. ორთავე საკუთარი პატიოსნებისა და უანგარობის მსხვერპლი გახდა.

ვ3. 221. ტერსიტი — ჰომეროსის „ილიადის" პერსონაჟი — მშიშარა მონა. ლე ბრენი (1619—1690) — ფრანგი მხატვარი.

ვ3. 226. „ფ" — ფონტენბლო.

ვ3. 232. ოლივიე ლე დემი—ლუი XI-ს დალაქი და მესაიდუმლე. შემდგომ მეფის რისხვა დაიმსახურა და 1484 წ. ჩამოახრჩვეს. ჟაკ კერი (1395—1456) — ქ. ბურგის მდიდარი ვაჭარი. საფრანგეთის მეფე კარლოს VII-ს საკუთარი ფინანსებით უხვად ამარაგებდა ინგლისთან ომის დროს. ბოლოს მტრების დასმენით მეფემ საფრანგეთიდან გააძევა.

ვ3. 234. ტ. კ. ლ. — კონტ ტეკელი (1658—1705) უნგრელი სახელოვანი ოჯახიშვილი, რომელიც იბრძოდა გერმანიის იმპერატორ ლეოპოლდ I-ს წინააღმდეგ. მოკავშირე იყო სულთანისა.

ვ3. 235. პროტეესი — (მით). ზღვის ღვთაება, პოსეიდონის ქვეშევრდომი.

ვ3. 239. კოტურნები — თეატრალური ფეხსაცმელი (ბერძ.).

ვ3. 241. პერუ— აქ-სინონიმი უდიდესი სიმდიდრის.

ვ3. 255. ...ამის ამსახველი სურათიც უჩვენა.—მხატვარმა ესტაშ ლესიუერმა (1616—1655) XI-ს კარტეზიანელი ბერების ორდენის დამაარსებლის წმ. ბრუნოს ცხოვრების ამსახველი 22 ტილო დახატა ამ მონასტრისთვის. ზოგიერთი მათგანი დაცულია ლუვრში. ბერმა მენალკს უჩვენა ტილო, რაზედაც დახატუ-

ლი იყო გარდაცვლილ კანონიკ დიოკრიზეს საეკლესიო პანაშვიდი. კანონიკი სიცოცხლეში ფარულად გახრწნილ ცხოვრებაში იყო ჩაფლული და როცა მოძღვარი მისი სულის საცხონებლად წირავდა, იგი წამოხტა და შეპყვირა, ღმერთმა საეკუნო წამება სამართლიანად მომისაჯაო. ამ სასწაულმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ბრუნოზე, რომ ბერად აღიკვეცა.

83. 284. რეხი დები—მონაზვნები, რომლებიც ავადმყოფებს უვლიდნენ. ab intestat — კანონიერი (ლათ.).

83. 292. committimus — რწმუნებულის (ლათ.).

83. 298. ალენი — მოლიერის „ ცოლების სკოლის" პერსონაჟი, სულელი და სასაცილო მსახური.

ჟან ლენანდი (1595—1665) — ფრანგი ეპისკოპოსი, მქადაგებელი მოქადაგე. ცნობილია მისი გამოსათხოვარი სიტყვა ლუი XIII-სადმი.

83. 301. წკეპლების კონა — ლიქტორს ეჭირა ხელეჩოზე მიმაგრებული წკეპლების კონა (იხ. შენიშვნა გვ. 114).

83. 306. ვარონი (116-27) — ღრმა ერუდიციის მქონე რომაელი სწავლული, პოეტი და პოლიგრაფოსი.

83. 306 „კ" — ფილიპ კინო (1635—1688) ფრანგი დრამატურგი. ლულის ოპერების ლიბრეტისტი. მდარე ხარისხის კომედიებისა და ტრაგედიების ავტორი, ვისაც დასცინოდა ბუალო.

შ. პ.— ჟან შაპლენი (1595—1674) მეტად სუსტი პოემის „ქალწულის" ავტორი, რომელსაც ლა ბრუიერი უპირისპირებდა ნიკოლა კორნელს (კ. ნ.) და მის ტრაგედია „როდოგუნას". შაპლენი ამქვეყნიური ყოველმხრივი სიკეთით სარგებლობდა; იყო მდიდარი, მეცნიერებათა აკადემიის მდივანი, ხოლო კორნელი სიღარიბეში მოკვდა.

83. 308. სეზარ დ'ესტრე (1628—1714) — კარდინალი, საფრანგეთის აკადემიის წევრი.

ფრანსუა დ'არლე (1625—1695) — პარიზის მთავარეპისკოპოსი, საფრ. აკ. წევრი.

ჟან-ბენინ ბოსუე (1627—1704) — მწერალი. სახელგანთქმული ორატორი. მეცისა და მოს ეპისკოპოსი. დოფინის აღმზრდელი. პიერ სეგიე (1588—1672)—ლუი XIII და ლუი XIV კანცლერი. საფრ. მეცნ. აკადემიის ერთ-ერთი დამაარსებელი. შარლ დე მონტოზიე (1610—1688) — დოფინის აღმზრდელი. ფრანსუა-რენე დე ვარდი (1621—1688) — ფრანგი გენერალი, რომელმაც მრავალი ლაშქრობა მოიგო.

ლუკ დე შევრეზ (1646—1712) — დიდად განათლებული პიროვნება. გვინეის გუბერნატორი. ფენელონის უახლოესი მეგობარი.

ნიკოლა-პოტიე დე ნოეიონ (გარდ. 1693) — უმაღლესი

სასამართლოს (პარლამენტის) თავმჯდომარე. საფრ. აკად. წევრი.
გიიომ დე ლამუანიონ (1617—1677) — პარლამენტის თავმჯდომარე. დიდად განსწავლული იურისპრუდენციაში.
პოლ პოლისონ (1624—1693) — ისტორიკოსი. საფრ. [illegible]. წევრი.

33. 309. დ'ოსა (1536—1604)—სორბონის რიტორიკისა და ფილოსოფიის პროფესორი. შემდგომ — კარდინალი.
ქიმენესი (1436—1517) — ესპანელი კარდინალი: ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე.
„ხალხი იქნებოდა ბედნიერი...“ — ფრაზა პლატონის „სახელმწიფოდან“, რაც ლა ბრუიერმა მიაწერა რომაელ იმპერატორ ანტონიუსს (დაბ. 86 წ. მეფობდა 138—161 წწ.).

33. 311. ტიტირი — პერსონაჟი რომაელი პოეტის ვერგილიუსის პირველი ეკლოგის; მეოცნებე მწყემსი.

33. 322. ხედავთ ეს კაცი გაუთლელია...—ნაგულისხმევია ლაფონტენი. მეორე კაცი უბრალოა... — ნაგულისხმევია კორნელი.

33. 328. წარმოიდგინეთ კაცი...—პოეტი ჟანნ დე სანტეი (1630—1697). წერდა საგალობლებს ლათინურ ენაზე. როგორც ლა ბრუიერი ისიც დაახლოებული იყო დიდ კონდესთან. შემონახულია ლა ბრუიერის წერილი მისდამი, სადაც ლა ბრუიერი ამშვიდებს პოეტს, კონდე და მისი მეუღლე სულაც არ ჯავრობენ შენზეო. სანტეი მეტად მხიარული და ამავე დროს თავმოყვარე კაცი ყოფილა და ჩანს, ხშირად ვერ აამებდა კონდეთა ოჯახს. როგორც სენ-სიმონი და ლიტერატორი ბერნარ დე ლა მონე გადმოსცემენ, ერთ დღეს სანტეი შამპანური ღვინით დამთვრალა. დიდი კონდეს შვილს, დიუკ დ'ენგიენს მისთვის ბურნუთი ჩაუყრია ღვინოში. სანტეის დაუღევია და მეორე დღეს მომკვდარა.

33. 330. კატონ უტიელი (95—46) — რომაელი სახელმწიფო მოღვაწე. პიზონი (გარდ. 65) — რომაელი პოლიტიკური მოღვაწე, მაკედონიის განმგებელი. ცნობილი იყო სიმკაცრითა და სიხარბით. ლა ბრუიერი ჩვეულებრივ ასახელებს ისტორიულ პირებს რეალურ პიროვნებათა დასახასიათებლად.

33. 333. გალიის პრიმასი — კათოლიკურ ეკლესიაში თავისი მდგომარეობითა და უფლებებით პირველი ეპისკოპოსი.
ტერაი დე ბაიარი (1473—1524) — ფრანგი მხედართმთავარი; ცნობილი თავისი შეუდრეკელობითა და შეუპოვარი ვაჟკაცობით.

33. 334. სებასტიან—ლეპრეტრ ვობანი (1633—1707) — საფრანგეთის მარშალი და სამხედრო ინჟინერი.

33. 338. კეისარი არც ისე მოხუცი იყო, როცა გადაწყვიტა დაეპ-

ყრო მსოფლიო. — საწინააღმდეგოს ამტკიცებს ბლეზ პასკალი: იხ. მისი „აზრები", თავი 31.

...ჭაბუკმა უფლისწულმა... — დოფინი, ლუი XIV-ს ძე, პრინცი ლუი (1633—1711).

...ათინური ანდაზისა... — გმირთა შვილები მამათა ღირსნი ან.

83. 340. ...ოღონდ წარმატებას მიაღწიოს... — აქ და ამის შემდეგ ლა ბრუიერი გამოთქვამს თავის დამოკიდებულებას ინგლისის 1688 წლის რევოლუციის მიმართ; ტახტიდან გადმოაგდეს იაკობ II და გაამეფეს ბურჟუაზიის წარმომადგენელი ვილჰელმ ორანელი.

83. 341. სული განუტევა მტერმა... — 1690 წ. გარდაიცვალა ლოტარინგიის ჰერცოგი კარლ V.

ო, დრონო, ო, ჩვეულებანო! — O tempora, o mores! ფრაზა ციცერონის მიერ კატილინას წინააღმდეგ წარმოთქმული პირველი სიტყვიდან.

ლიკაონი — (მით.) არკადიის მეფე, რომელიც იუპიტერმა მგლად გადააქცია.

ეგისთე — აგამემნონის მკვლელი.

ერთს უთქვამს... — ნაგულისხმევია ვილჰელმ ორანელი, იაკობ II-ს სიძე.

83. 342. მეფეთა შორის ერთადერთი... — ლუი XIV, რომელმაც შეიფარა ინგლისიდან გაქცეული მეფე იაკობ II.

იყო ერთი ხელმწიფე... — გერმანიის იმპერატორი ლეოპოლდ I.

უზარმაზარი იმპერიის... — თურქეთი. ...ახალი ომი წამოიწყო... — ხანგრძლივი ომი კოლონიების დასაპყრობად XVII ს. საფრანგეთსა და მის მეტოქეებს შორის. 1686 წ. ჩამოყალიბდა საფრანგეთის საწინააღმდეგო კოალიცია, აუგსბურგის ლიგა ინგლისის მეთაურობით. ლიგაში შედიოდნენ: ჰოლანდია, ავსტრია, ესპანეთი, შვედეთი, სავოის სახელმწიფო. ომი ინგლისის გამარჯვებით დამთავრდა.

...იყვნენ მსაჯნი და შუამავალნი...—პაპი ინოკენტუს XI.

83. 345. ...ათონის მთის ტოლა ბუმბერაზზე... — მაკედონელი ხუროთმოძღვარი დინოკრატე (IV ს. ძე. წ.), რომელსაც სურდა ათონის მთიდან გამოექანდაკებინა ალექსანდრე მაკედონელის ქანდაკება.

...ყვიციან კაცზე... — ვილჰელმ ორანელი, რომელმაც 1672 წ. საფრანგეთის ლაშქარი ამსტერდამთან შეაჩერა და ბრძანა გაერღვიათ კაშხალები, გაეხსნათ რაბები.

83. 346. პიქტები, საქსონელები, ბატავიელები — ტომები, რომ-

ლებიც შეა საუკუნეებში სახლობდნენ შოტლანდიის, ინგლისისა და ჰოლანდიის ტერიტორიაზე.

არქონტი — მაღალი თანამდებობის პირი ათენში.

კეისარი — მინიშნებულია გერმანიის იმპერატორი ლეოპოლდ I.

33. 340. ჟაკ კალო (1592—1635) — ფრანგი მხატვარი.

33. 351. ლ...გ...ს — ლედიგიერის ანუ ლანგლეს სასახლე.

33. 358. დიდზე უდიდესი მეფისა. — ლუი XIV-ს ბრძანება დუელის აკრძალვის თაობაზე.

33. 357. იფისი — ოვიდიუსის „მეტამორფოზებში" ქალღმერთმა ისიდამ გოგონა ჭაბუკად გადააქცია და იფისი უწოდა.

33. 359. ...არ დაესწრო ცისკრის ლოცვას...—ლუი XIV უმეტესად მწუხრის ლოცვას ესწრებოდა. კარისკაცებიც მას ბაძავდნენ.

33. 362. „სულიერი ბრძოლა" — იტალიელი ბერის ლავრენტი სკუპოლის თხზულება;

„ქრისტიანული სული" — ლუჩინის; „წმიდა წელიწადი" — ფრანგ საეკლესიო მწერალ კრისტოფ ლუაზელის.

33. 366. მოტეტები — ლათინურ ლიტურგიულ სიტყვებზე შექმნილი მუსიკალური ნაწარმოები გუნდისთვის.

33. 367. ზოგს რომ მოეხერხებინა... — ნაგულისხმევია სამეფო დაწესებულებათა მდივნები, მრჩეველები, რომელთაც ოცი წლის სამსახურის შემდეგ აზნაურობა ებოძებოდათ. ზოგჯერ სიღარიბის გამო ისინი ყიდდნენ თანამდებობას და ამ პრივილეგიას კარგავდნენ. ასეთ გადამდგარ ჩინოვნიკებს ვეტერანები ეწოდებოდათ.

33. 369. ოზიე — საფრანგეთის არისტოკრატიულ საგვარეულოთა გენეალოგიის შემდგენელთა ოჯახი.

33. 370. სირიუსი — პლავტისა და ტერენციუსის კომედიების პერსონაჟის, მონის სახელი.

კირიუსი (IV ს. ძვ. წ.) — სახელმოხვეჭილი მხედართმთავარი, სპარსეთის იმპერიის დამაარსებელი.

33. 371. ჟოფრუა დე ლა ბრუიერი მართლაც ისტორიული პიროვნება იყო. მონაწილეობდა მესამე ჯვაროსნულ ომში. გარდაიცვალა 1191 წ.

33. 372. პალაცო ფარნეზე—სასახლე რომში, მოხატული მხატვარ ანიბალ კარაჩის (1560—1609) მიერ. სასახლე ეკუთვნოდა კარდინალ ალექსანდრ ფარნეზეს, რომელიც მოგვიანებით რომის პაპი გახდა პავლე III-ს სახელწოდებით.

...მშვენიერი მწუხრი... — თეატინელების მიერ შესრულებული წირვა. XVII ს. თეატინელებმა (ბერების ორდენი) წირვა თეატრალურ სანახაობად გადააქციეს და მას დიდი მოწონება ხვდა სამეფო კარზე. თ...ტ... — თეატინელები.

33. 374. ბარნაბიტელები — რომაულ-კათოლიკური ბერების ორ-
დენი, დაარსებული მილანში 1530 წ.
...ძოწსა და სიასამურის ბეწვში... — კარდინალები ძოწის
მანტიას ატარებდნენ, ხოლო ღვთისმეტყველების დოქტორ-ია
მანტიას მოვლებული ჰქონდა სიასამურის ბეწვი.
რიკოლეტი — წმიდა ფრანსუას ორდენის ბერი.

33. 379—380. ...გამდიდრების ერთ საშუალებას...—თამასუქები და
გირავნობის ქვითრები.
...უკანდაუბრუნებელი დაბანდებანი... — კაპიტალის დაბან-
დება იმ პირობით, რომ მფლობელი მიიღებს სამუდამო რენ-
ტას. აქ მინიშნებულია 1689 წ. პარიზის მრავალი საავადმყო-
ფოს გაკოტრება, რაც მმართველთა ყალთაბანდობის შედე-
გად მოხდა. ბევრმა კაპიტალთან ერთად რენტაც დაკარგა.

33. 387. ფიდეიკომისი — მემკვიდრეს ევალება მთელი მემკვიდრეო-
ბა ან მისი ნაწილი გადასცეს სხვა პირს.

33. 388. სციპიონ აფრიკელი (დაახ. 235. 183), გაი მარიუსი (156-
86) — ცნობილი რომაელი მხედართმთავრები.
მილტიად უმცროსი (VI ს. დასასრული — V ს. დასაწყისი
ძვ. წ.) — ათენელი სახელმწიფო მოღვაწე და მხედართმთა-
ვარი.
ეპამინონდასი (420—362) — ფივიანელი მხედართმთავარი და
პოლიტიკური მოღვაწე, სახელგანთქმული პატიოსნებით, სა-
თნოებითა და სამართლიანობით.
აგეზილასი (397—360) — სპარტანელი მეფე, რომელმაც
მრავალი ომი მოიგო სპარსეთთან.
...მერე შეექოთ მისი სიმდიდრე... — მინიშნებულია ლუი XIV.

33. 391. ...გვარი მთავრდება „ო"-ზე ან „ი"-ზე...—იტალიელები.
ფაგონი—ლუი XIV-ს ექიმი, დიდად განსწავლული პიროვნე-
ბა.
ქინაქინა—საფრანგეთში XVII ს. შემოვიდა და დიდი დაეა
გამოიწვია. ფაგონი მისი მოხმარების მომხრე იყო.
კორინი (V ს. ძვ. წ.) — ბერძენი პოეტი ქალი.
ლესბია—კატულუსი ასე უწოდებს პოეტ კლაუდიუსის სატ-
რფოს.
კანიდია—ჰორაციუსის მეხუთე ეპოდის პერსონაჟი ქალი.
ტრიმალქიონი, კარპუსი — პერსონაჟები „სატირიკონისა",
რომლის ავტორად თვლიან მწერალ პეტრონიუსს (I ს. ჩვ.
ერამდე). ტრიმალქიონი გამდიდრებული აზატია, კარპუსი
მისი სტუმარი.

33. 395. ბერტრან დიუ გეკლენ (1320—1380) — კარლ V-ს ლაშ-
ქრის მხედართმთავარი; ოლივიე დე კლისონ (1336—1407)—

VI-ს მხედართმთავარი; გასტონ დე ფუა (1331—1391) — მხედართმთავარი; ჟან-ლემეტრ დე ბუსიკო (1364—1421)— საფრანგეთის მარშალი.

გვ. 398 ლორნი—XVII ს. პოეტი, რომელმაც შანტილიში გამართულ საშეფო კარის ზეიმს შეტად სუსტი ლექსები მიუძღვნა. ფილიპ დე დეპორტი (1546—1606) — აღორძინების ეპოქის ფრანგი პოეტი. წერდა პეტრარკას მიბაძვით სასიყვარულო ლექსებს.

...ქვემომოყვანილ რონდოებს... — 1640 წ. გამოქვეყნებულ „სხვადასხვა რონდოების კრებულში" ეს ორი რონდო „ანტიკური რონდოების" განყოფილებაში იყო შეტანილი. ავტორი უცნობია.

ვგ. 400. ლემეტრი, პუსელი. ფურკრუა — XVIIს. ცნობილი ადვოკატები.

ვგ. 401. ...მოციქულისდარი კაცი — კაპუცინი მამა სერაფიმი.

ვგ. 402. წმიდა ვასილი (329—379) — ბერძენი მღვდელი, რელიგიური დოქტრინებისა და ზნეობის საკითხებზე დაწერილი შრომების ავტორი.

იოანე ოქროპირი (347—407) — კონსტანტინოპოლის პატრიარქი, სახელგანთქმული თავისი მქევრმეტყველებით.

იუსტინიანეს პანდექტები — რომაელ იურისტთა გადაწყვეტილებათა კრებული. იუსტინიანე (483—565) — ბიზანტიელი იმპერატორი, რომლის დროსაც .დამტკიცდა რომაული კანონმდებლობა.

ვგ. 408. პოლ დე ვენსან (1576—1660) — დამაარსებელი მოწყალების დათა სამონაზვნო, მისიონერთა და საბავშვო თავშესაფრების კონგრეგაციების.

ფრანსუა ქსავიე (1506—1552) — მღვდელი, მისიონერი ინდოეთში.

ვგ. 409. ქალაქ მოს ეპისკოპოსი — ბოსუე.

ლუი ბურდალუ (1632—1704) — საეკლესიო მქადაგებელი.

ვგ. 414. თავისუფლად მოაზროვნე — esprit fort, რაც ნიშნავს ძლიერი სულის, გონების პატრონს. (ფრანგ.).

ვგ. 420. ლეონი — რომის პაპი 440—461 წწ.

ბაზილები — წმიდა ვასილი (იხ. გვ. 370).

იერონიმი (330—419) — სწავლული ღვთისმეტყველი, მრავალ თხზულებათა ავტორი. კათოლიკურმა ეკლესიამ წმიდანად ჩარიცხა.

ავგუსტინე (354—430) — ჰიპონის ეპისკოპოსი. მრავალი საეკლესიო თხზულების ავტორი. ჩარიცხულია წმიდანებში.

ვგ. 424. ტალაპუანი — ბუდისტური ასკეტების ანუ ბერების სიამური სახელწოდება.

შ ი ნ ა ა რ ს ი

რუსუდან დოდაშვილი „ჟან დე ლა ბრუიერის „ხასიათები
ანუ ჩვენი საუკუნის ზნე-ჩვეულებანი" 5
წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა 15
თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი.
ადამიანის გონების ნამოქმედარი 19
თ ა ვ ი მ ე ო რ ე.
ადამიანის პირადი ღირსების შესახებ 46
თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე.
ქალების შესახებ 61
თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე.
გულის შესახებ 87
თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე.
მაღალი საზოგადოებისა და საუბრის შესახებ 103
თ ა ვ ი მ ე ე ქ ვ ს ე.
სიმდიდრის სიკეთის შესახებ 131
თ ა ვ ი მ ე შ ვ ი დ ე.
დედაქალაქის შესახებ 153
თ ა ვ ი მ ე რ ვ ე.
სამეფო კარის შესახებ 172
თ ა ვ ი მ ე ც ხ რ ე.
დიდებულთა შესახებ 206
თ ა ვ ი მ ე ა თ ე.
მონარქის ან სახელმწიფოს შესახებ 228
თ ა ვ ი მ ე თ ე რ თ მ ე ტ ე.
ადამიანის შესახებ 249
თ ა ვ ი მ ე თ ო რ მ ე ტ ე.
მსჯელობის შესახებ 303

თ ა ვ ი მ ე ც ა მ ე ტ ე.
მოდის შესახებ 347
თ ა ვ ი მ ე თ ო თ ხ მ ე ტ ე.
ზოგიერთ ჩვეულებათა შესახებ 367
თ ა ვ ი მ ე თ ხ უ თ მ ე ტ ე.
საეკლესიო მჭევრმეტყველების შესახებ 400
თ ა ვ ი მ ე თ ე ქ ვ ს მ ე ტ ე.
თავისუფლად მოაზროვნეთა შესახებ 414
შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი
რუსუდან დოდაშვილის . 445

ს. ბ. № 200

რედაქტორი ც. ზ ა ზ ა შ ვ ი ლ ი
მხატვარი გ. ქ ლ ი ბ ა ძ ე
მხატვრული რედაქტორი გ. ღ ლ ო ნ ტ ი
ტექნიკური რედაქტორი ზ. დ ო ნ დ უ ა
კონტროლიორ-კორექტორი დ. კ ა ლ ა ნ დ ა რ ი შ ვ ი ლ ი
კორექტორი მ. გ ე ლ ა შ ვ ი ლ ი
გამომშვები ვ. ვ ა ხ ტ ა ნ გ ა ძ ე

გადაეცა ასაწყობად 21/IV-77 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/XII-77 წ. ანაწყობის ზომა 6×8³/₄. ქაღალდის ზომა 60×84¹/₁₆. ნაბეჭდი თაბახი 26,73, სად. ქაღალდი № 1, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 20,56 ტირაჟი 30.000, შეკვ. № 1112, ფასი 3 მან.

გამომცემლობა „ნაკადული", თბილისი, მარჯანიშვილის 5
Издательство «Накадули», Тбилиси, ул. Марджанишвили № 5

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზ. № 7
Тбилисская книжная фабрика, Государственного Комитета Совета Министров Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, пр. Дружбы № 7

Жан де Лабрюйер

ХАРАКТЕРЫ ИЛИ НРАВЫ НЫНЕШНЕҒО ВЕКА

(На грузинском языке)
Детюниздат Грузинской ССР
«Накадули», Тбилиси, 1978